

ლ. ქვეტაძე

ქართული ენის სინგაქსი

(ვუწყობაჲთაჲს საკითხებითურთ)

სახელმძღვანელო კედაგობიურ სასწავლებელთათვის.

მორე გადაჭრავებული და შეხებაული
გამოცემა

სახელმძღვანელო-კედაგობიური ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა „ცოდნა“

თბილისი 1958

რედაქტორი ა. შანიძე

მარტივი წინადადება

სიტყვათა შეკავშირება

§ 1. სინტაქსის საგანი. გრამატიკა ორი დარგისაგან შედგება: მორფოლოგიისა და სინტაქსისაგან. მორფოლოგია სწავლობს სიტყვის აღნაგობას, მის ცვლილებას, ფორმას, ხოლო სინტაქსი, ემყარება რა მორფოლოგიას, არკვევს სიტყვათა შეკავშირების წესებს წინადადებაში.

ძირითადი ერთეულები. რონელთაც სინტაქსი შეისწავლის, არას სიტყვათა შეკავშირება (რა და რა ტიპის სიტყვები შეეწყობა ერთმანეთს და როგორ) და წინადადება (მარტივი, შერწყმული, რთული).

სინტაქსი გვაძლევს წინადადებად შეკავშირების წესებს სიტყვებისა ისე, რომ მხედველობაში არა აქვს ესა თუ ის კონკრეტული სიტყვათა შეერთება თუ წინადადება. იგი აბსტრაქციას ახდენს კერძოსა და კონკრეტულისაგან და იღებს იმ ზოგადს, რაც საფუძვლად უძევს სიტყვათა შეერთებას წინადადებაში, წინადადების სხვადასხვა ტიპის მიღებას, და მისგან ქმნის წესებს. კანონებს. მაგალითად. სიტყვათა შეკავშირება: „ბეჯითი ბავშვი“, „კარგი წიგნი“, „მაღალი სახლი“ — სხვადასხვა თავიანთი კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობით. მაგრამ ყველა ერთი ტიპისაა (შედგება არსებითი სახელისა და ზედსართავისაგან), სამივეს აქვს ერთი და იგივე საერთო, ზოგადი მნიშვნელობა (გამოხატავენ საგანსა და მის თვისებას); საერთოა მათი შეწყობის წესიც (არსებითი სახელიც სახელობითშია და მასთან დაკავშირებულნი ზედსართავიც). წინადადებები: „არწივი გაფრინდა“, „მზე ამოვიდა“, „მდინარე აღიღდა“ — სხვადასხვა შინაარსისაა, მაგრამ ყველა ერთი საერთო წესის მიხედვით არის აგებული: სამივე წინადადება მარტივია, გაუფრცობელი, შედგება მხოლოდ ქვემდებარისა და შემასმენლისაგან, გამოხატავს საგანსა და მის მოქმედებას; საერთოა ამ წინადადებებში შე-

მაველ წევრთა შეკავშირების წესებიც: მხოლოდითში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენელიც მხოლოდით რიცხვში დგას; სამსავე წინადადებაში შემასმენელი გარდაუვალი ზმნის წყვეტილის მწკრივის ფორმით არის გამოხატული და მათთან ქვემდებარე სახელობითი ბრუნვის ფორმით არის შეწყობილი. ასევე საერთო წესებას მიხედვით შეისწავლის სინტაქსი წინადადების სხვა ტიპებსაც.

საერთო სინტაქსური წესი შემუშავდება კონკრეტული მაგალითების ანალიზზე დამყარებით, მაგრამ მიღებული წესი არ გულისხმობს მხოლოდ ერთ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას, კონკრეტულ სიტყვათა შეკავშირებას თუ წინადადებას, არამედ საერთოდ ყველა სათანადო კონკრეტულ შემთხვევას, ზიტყვათა შეკავშირებას თუ წინადადებას, რომლებზედაც ვრცელდება ესა თუ ის სინტაქსური წესი, სინტაქსური კანონი.

სინტაქსთან დაკავშირებით შეისწავლება პუნქტუაცია (ლათინური სიტყვისაგან Punctum — წერტილი); რომელიც წარმოადგენს სასვენ ნიშანთა დასმის (გამოყენების) წესების ერთობლიობას. პუნქტუაციის დანიშნულებაა, გააადვილოს და დააზუსტოს ნაწერიან გაგება მისი წინადადებებად დაშლით, ხოლო წინადადებათა — მის შემადგენელ აზრობლივ ნაწილებად დანაწევრებით.

§ 2. სინტაქსური კავშირი. წინადადების წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით უკავშირდებიან. წინადადების წევრებს შორის გრამატიკული წესების თანხმად დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია.

წინადადების რომელიმე წევრი შეიძლება იმავე წინადადების ყველა სხვა წევრს უკავშირდებოდეს, ან კიდევ ერთს ან რამდენიმეს. ამ მხრივ ყველაზე მეტი უნარი ზმნა-შემასმენელს აქვს, რომელთანაც ერთდროულად შეიძლება მრავალი წევრი იყოს დაკავშირებული. მაგალითად: „თოვლმა მთლად დაფარა დედამიწა“ (ევლ.). ამ წინადადებაში ოთხი წევრია: ქვემდებარე („თოვლმა“), ვითარების გარემოება („მთლად“), შემასმენელი („დაფარა“) და პარადაპირი დამატება („დედამიწა“). ამათგან შემასმენელს სინტაქსური კავშირი აქვს ყველა დანარჩენ წევრთან („თოვლმა დაფარა“, მთლად დაფარა“, „დაფარა დედამიწა“), ხოლო სხვებს ერთ წევრთან („თოვლმა დაფარა“, „მთლად დაფარა“, „დაფარა დედამიწა“). ხსლა ავიღოთ ასეთი წინადადება: „მთვარემ ბაღესათ გადაფარა ტყეს თავისი სხივები“ (ვაჟა). აქ ექვსი წევრია:

ქვემდებარე („მთვარემ“), ვითარების გარემოება („ბაღესავით“), შემასმენელი („გადააფარა“), ირიბი დამატება („ტყეს“), განსაზღვრება („თავისი“) და პირდაპირი დამატება („სხივები“). ამთგან შემასმენელი ოთხ წევრს უკავშირდება („მთვარემ გადააფარა“, „ბაღესავით გადააფარა“, „გადააფარა ტყეს“, „გადააფარა სხივები“). პირდაპირი დამატება — ორს („გადააფარა სხივები“, თავის სხივები“), ხოლო ერთ წევრთან აქვს სინტაქსური კავშირი ქვემდებარეს („მთვარემ გადააფარა“), ვითარების გარემოებას („ბაღესავით გადააფარა“), ირიბ დამატებას („ტყეს გადააფარა“) და განსაზღვრებას („თავისი სხივები“).

სხვა წევრებთან სინტაქსური კავშირის დასამყარებლად მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა მეტყველებს ნაწილით არის წინადადების ესა თუ ის წევრი გადმოცემული. მაგალითად, ქვემდებარე, გადმოცემული არსებითი სახელით, სინტაქსურად შეიძლება თხოლოდ ორ წევრს — შემასმენელსა და განსაზღვრებას დაუკავშირდეს. მაგალითი: „შეშინებულმა ბავშვმა სიმღერა შეწყვიტა“ (რ. გვ.). „ბავშვმა“ ქვემდებარეა, რომელიც არსებითი სახელით არის გადმოცემული და სინტაქსურ კავშირშია ორ წევრთან: განსაზღვრებასთან („შეშინებულმა ბავშვმა“) და შემასმენელთან („ბავშვმა შეწყვიტა“). როგორადაც უნდა გავავრცოთ წინადადება, არსებითი სახელით გადმოცემული ქვემდებარე (აგრეთვე პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება...) სხვა წევრებს ვერ დაუკავშირდება. მაგრამ თუ ქვემდებარე გადმოცემულია, მაგალითად, უპირო ზმნით, მაშინ იგი სინტაქსურად შეიძლება დაუკავშირდეს გარემოებასა და უბრალო დამატებასაც. მაგალითი: „საამურია სიცხეშია წყალში დგომა“ (ვაჟა). აქ ქვემდებარე („დგომა“) საწყისით არის გადმოცემული, რომელსაც ახლავს ადგილის გარემოება („წყალში დგომა“). მამასადამე, ესა თუ ის წევრი რა და რა წევრს შეიძლება დაუკავშირდეს, ამისთვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, თუ რა წევრია ის, არამედ იმასაც, თუ რა მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, თვითული სიტყვა რამდენ სიტყვასთან არის სინტაქსურად დაკავშირებული.

1. გიორგი ვაშაგავით იქნედა ხმალს (მ. ჯავ.). 2. ბაღები მწყრის გუნდს დასდევდნენ (ვაჟა). 3. თავმჯდომარემ ზარი დააწყარუნა და დარბაზში საჩუქე

ჩამოვარდა (შ. დად.). 4. ჩქარა ჩავიდა მზე და დღის სიცხე ღამის სიომ შეცვალა (ყაზ.).

§ 3. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სინტაქსური კავშირისათვის. სინტაქსური კავშირისათვის მნიშვნელობა აქვს სიტყვათა წყობას წინადადებაში, ამიტომ წინადადების წევრების გადასმ-გადმოსმას სხვადასხვა შედეგი მოსდევს:

1. წინადადების წევრების გადასმ-გადმოსმის დროს სინტაქსური კავშირი შეიძლება არ დაირღვეს და არც აზრი შეიცვალოს. მაგალითად:

ქორმა წიწილა წაიღო (ვაკ).
ქორმა წაიღო წიწილა.
წიწილა ქორმა წაიღო.
წიწილა წაიღო ქორმა.
წაიღო ქორმა წიწილა.
წაიღო წიწილა ქორმა.

აქ სიტყვათა წყობის ყველა შესაძლო ვარიანტია წარმოდგენილი. როგორც ვხედავთ, წინადადების წევრებს შორის სინტაქსური კავშირი არ დარღვეულა და არსებითად აზრიც იგივე დარჩა (განსხვავება ნუანსებშია).

2. წინადადების წევრების გადასმ-გადმოსმის დროს შეიძლება რამდენიმე შეიცვალოს სინტაქსური კავშირი და ამის შესაბამისად — წინადადების შინაარსიც. მაგ., წინადადებაში: „პატარა გოგომ ჩაფით წყალი მოარბენინა“ (კლდ.) — „პატარა“ ქვემდებარის განსაზღვრებაა („პატარა გოგო“), მაგრამ იგი რომ ქვემდებარის შემდეგ გადავსვათ ფორმის შეუცვლელად, გაწყვეტს სინტაქსურ კავშირს ქვემდებარესთან და უბრალო დამატებას დაუკავშირდება: „გოგომ პ ა ტ ა რ ა ჩ ა ფ ი თ წყალი მოარბენინა“.

3. წინადადების წევრების გადასმ-გადმოსმის დროს შეიძლება სულ დაირღვეს სინტაქსური კავშირი. ამ შემთხვევაში სიტყვები აზრს ვერ გადმოგვცემენ. მაგალითად, ავიღოთ ასეთი წინადადება: „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა მშობელ ქვეყანას ზედ მოჰფენოდა“ (კავ.). ახლა ამ წინადადებაში შემავალი სიტყვები დავალაგოთ ასე: „მოჰფენოდა მშობელ ზედ მთვარისა ქვეყანას ნათელი მკრთალი სავსე“. სიტყვებს შორის გაწყდა, დაირღვა სინტაქსური კავშირი და ამის გამო ისინი რაიმე აზრსაც ვერ გადმოგვცემენ.

მაშასადამე, როგორც ზემოთ განხილული შემთხვევებიდან ჩანს, სიტყვათა წყობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს წესიერი სინტაქსური კავშირისათვის.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო. გადაიწერეთ ერთ-ერთი წინადადება. ჩამოწერეთ სიტყვათა გადასმ-გადმოსმის ყველა შესაძლო ვარიანტი და გამოარკვიეთ, ღაირღვა თუ არა სინტაქსური კავშირი.

1. ჭარი მწკრივად დალაგდა (მ. ჭავ.). 2. მთვარე ღრუბელს მოჰფარებოდა (ყაზ.). 3. მეტისმეტი შრომისაგან ნისლებს ოფლი სდენოდათ (ვაჟა). 4. მოედანზე ცხენოსანთა გაზრდილი რაზმი გამოჩნდა (მ. ჭავ.).

§ 4. წყვილები. წყვილების რაოდენობა წინადადებაში. ორი წევრი, რომლებიც ერთმანეთთან სინტაქსურად არიან დაკავშირებული, ერთ სინტაქსურ ერთეულს წარმოადგენს. ასეა ერთეულს წყვილი ჰქვია. წყვილების შედგენა მაშინაა შესაძლებელი, როცა წინადადება ორი ან ორზე მეტი წევრისაგან შედგება. დავაწყვილოთ შემდეგი მარტივი წინადადებები: „დადგა გაზაფხული. ჰაერში სითბო დატრიალდა. ყველგან ამოყვეს თავები პატარა ნაზმა ყვავილებმა“ (რაზ.). ამ ნაწყვეტში სამი მარტივი წინადადებაა. პირველში ორი წევრია და ერთი წყვილი: 1. დადგა გაზაფხული; მეორეში სამი წევრია, წყვილი — ორი: 1. ჰაერში დატრიალდა; 2. სითბო დატრიალდა; მესამეში ექვსი წევრია, ხოლო წყვილი ხუთია: 1. ყველგან ამოყვეს; 2. ამოყვეს თავები; 3. ამოყვეს ყვავილებმა; 4. პატარა ყვავილებმა; 5. ნაზმა ყვავილებმა. მაშასადამე, მარტივ წინადადებაში წყვილების რაოდენობა ერთით ნაკლებია წევრთა რაოდენობაზე.

მოყვანილ მაგალითებში იმდენი წევრია, რამდენი სიტყვაა, რაღვანაც ყოველი სიტყვა ამავე დროს წინადადების წევრიცაა. მაგრამ თუ წინადადების წევრი ერთზე მეტი სიტყვითაა გადმოცემული, მაშინ წევრების რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე სიტყვებისა. მაგალითი: „მონადირემ ირმის გასწვრივ შენიშნა მიშავალი ვეფხი“ (ვაჟა). ამ წინადადებაში ექვსი სიტყვაა, ხოლო წევრი ხუთია, რადგანაც ორი სიტყვა — „ირმის გასწვრივ“ ერთი წევრია. წყვილების შედგენის თვალსაზრისით ზოგჯერ მსგავსი ვითარებაა შერწყმულ წინადადებაში. მაგალითი: „რწყილი და ქიანჰველა დაძმობილდნენ“ (ხალხ.). ამ წინადადებაში სამი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა („რწყილი“, „ქიანჰველა“, „დაძმობილდნენ“) და სამივეს შეუძლია წევრობაც გასწიოს. მაგრამ მოცე-

სულ შემთხვევაში ერთგვარი ქვემდებარეები, რომელნიც მხოლოდ-
აზნ ფორმით არიან წარმოდგენილი, ცალცალკე არ შეიძლება
დაჯავშნობდნენ ზმნის მრავლობითის ფორმას: „წყვილი და კიან-
კველა“ ერთად შევა წყვილის ცალად ზმნასთან.

რთულ წინადადებაში წყვილთა რაოდენობა მასში შემავალ
წინადადებებში ცალ-ცალკე იანგარიშება. მაგალითი: „თავმჯლო-
ძარემ ზარი დააწყარუნა და დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა“ (დად.).
აქ წინადადებაში სულ ექვსი წევრია („თავმჯლოძარემ“, „ზარი“,
„დააწყარუნა“, „დარბაზში“, „სიჩუმე“, „ჩამოვარდა“), მაგრამ
წყვილი ოთხია (და არა ხუთი), რადგანაც მოცემული რთული წინა-
დადება ორი მარტივი წინადადებისაგან შედგება. ასეთივე ვითარე-
ბაა ერთგვარშემსამენლებიან წინადადებაშიც. მაგალითი: „შვილდ-
ისარით შაშვსა ვსდევდით, ჩიტს ვუდგამდით კაკანათსა, ლასტს
ვუგებდით ბელურებსა“ (ერ.). აქ სამი ერთგვარი შემსამენელია
(„ვსდევდით“, „ვუდგამდით“, „ვუგებდით“), რომელნიც ერთმა-
ნეთისაგან დამოუკიდებლად ქმნიან სინტაქსურ კავშირებს. ამიტომ
აქ იმდენი წყვილი უნდა მივიღოთ, რამდენი წევრიც მოიპოვება
შუგ სამის გამოკლებით. მართლაც. მოცემულ წინადადებაში
ცხრა წევრია, ხოლო წყვილი ექვსია, ე. ი. სამით ნაკლები:
1. შვილდ-ისარით ვსდევდით. 2. შაშვსა ვსდევდით, 3. ჩიტს
ვუდგამდით, 4. ვუდგამდით კაკანათსა, 5. ლასტს ვუგებდით,
6. ვუგებდით ბელურებსა.

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო. წაოკთხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, თვითულ წი-
ნადადებაში რამდენი წევრია და რამდენი წყვილის მიღება შეიძლება.

1. მზე იწვერებოდა. დილის ნისლი თანდათან იფანტებოდა (რ. გვ.).
2. მარადელთა ნახირი შემკრთალი ბლავილით შემოვიდა სოფელში (მ. ჯავ.).
3. ცოტა ხნის შემდეგ მთვარემ წვერი ამოყო (ვაჟა). 4. ცა მოიწმინდა და მზის
შუქმა იქაურობა გაანათა (ყაზ.). 5. „ურდლები ფეხით ქექდნენ თოვლს, რომ
ამოეჩინათ ხმელი ბალახი საზრდოდ (ვაჟა).

§ 5. სიტყვათა შეკავშირების ტიპები წინადადებაში. სიტყვათა
შეკავშირება ძირითადად ორგვარია: არადაქვემდებარებითი და და-
ქვემდებარებითი.

1. არადაქვემდებარებითი ჰქვია ისეთ სიტყვათა შეკავშირებას,
რომლებიც ერთიმეორის მიმართ თანასწორია, ერთი სიტყვა არაა
მეორეზე დამოკიდებული. სიტყვათა ასეთი შეკავშირება შერწყმულ
წინადადებაში გვაქვს. მაგალითი: „ხეხილი წ ი თ ლ ა დ, ყ ვ ი თ ლ-
ა დ, თ ე თ რ ა დ ყ ვ ა ო ლ ა“ (ვაჟა). „წითლად“, „ყვითლად“ და „თეთ-

რად“ ერთნაირი წევრებია; ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, მაგრამ ერთმანეთზე არ არიან დამოკიდებული. ერთნაირი წევრები არ ხსნიან ერთმანეთს, ამიტომ მათ ერთმანეთის მიმართ კითხვაც არ დაესმის.

ერთნაირ წევრთა შეკავშირება ინტონაციის ან მაერთებელი კავშირების საშუალებით ხდება (და, თუ, მაგრამ...). მოყვანილ წინადადებაში ერთნაირი წევრები ინტონაციის საშუალებით (ე. ი. უკავშიროდ) არიან ერთმანეთთან შეერთებული. წინადადებაში: „ტბა მოსვენებით და შეუშფოთლად იდგა“ (ვაჟა)— ერთნაირ წევრებს კავშირი „და“ აერთებს. როცა წინადადებაში ერთნაირი წევრი ორზე მეტია, შეიძლება ორივე სახის შეერთება იქნეს გამოყენებული: კავშირიანიცა და უკავშიროც. მაგალითი: „ტყე, მინდორი და ველი ბიბინებდა“ (ვედ.). პირველი ორი ერთნაირი წევრი („ტყე, მინდორი“) ინტონაციის საშუალებით არიან ერთმანეთთან შეერთებული, მეორე და მესამე კი — კავშირის საშუალებით.

2. დაქვემდებარებითი ჰქვია ისეთ სიტყვათა შეკავშირებას, რომლებიც ერთმანეთის მიმართ უთანასწოროა. ასეთი შეკავშირებისას ერთი სიტყვა ხსნის მეორეს. ასახსნელი სიტყვა წამყვანი, მთავარი სიტყვაა, ამხსნელი კი — დამოკიდებული. წამყვანი სიტყვა, როგორც წესი, იკავშირებს, დამოკიდებული კი უკავშირდება მას. ამიტომ ამხსნელ სიტყვას ასახსნელის მიმართ კითხვაც დაესმის. მაგალითი: „პატარა გუგულები თანდათან მოიზარდნენ“ (გოგ.). ავიღოთ წყვილები: „პატარა გუგულები“ და „თანდათან მოიზარდნენ“.

რომელი გუგულები? — პატარა.

როგორ მოიზარდნენ? — თანდათან.

„გუგულები“ და „მოიზარდნენ“ წამყვანი სიტყვებია, „პატარა“ და „თანდათან“ კი — დამოკიდებული, ანუ ამხსნელი.

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 1. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები და გაეცით პასუხი შემდეგი კითხვების მიხედვით: ა) როგორია კავშირი ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში შემავალ სიტყვათა შორის? ბ) როგორია ერთნაირ წევრთა შეერთების საშუალება? გ) რომელია მთავარი სიტყვა და რომელი — დამოკიდებული?

1. მთვარე წყნარად, ნათლად და მედიდურად საითყენლაც მიეშურებოდა (ყაზ.). 2. შემოდგომის წვიმის მსხვილი წვეთები ფოთლებზე შხაუუნებდნენ (რ. გვ.). 3. ფოთლებიდან წკაპწყაპით ჩამოდიოდა ცვარი წვიმისა (ვაჟა). 4. ჩენი ტუმრობა, მღერა, სიცილი ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა (ქავ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები. თვითულ წინადადებაში წემაკალი სიტყვები დააწყვილეთ. მთავარ სიტყვას ერთი ხაზი გაუსვით, დამოკიდებულს — ორი.

1. გამოცდილებას მგლისთვისაც კეჟა ესწავლებინა (ვაჟა). 2. დაბურულ ტყეში დიდი მუხა იღგა (გოგ.). 3. ვარსკვლავებით მოქედელი ცა მიწაზე გართხმულ ღამის სიბნელეს ანელებდა (ქიაჩ.). 4. ხანჯლებივით გაწედილი სიმინდის ფოთლები ნელ-ნელა შრიალებდნენ (რ. გვ.).

წ 6. დაქვემდებარებითი დამოკიდებულების ძირითადი სახეები. მთავარ და დამოკიდებულ სიტყვათა სინტაქსური დამოკიდებულების ძირითადი სახეებია: შეთანხმება, მართვა და მირთვა.

1. შე თ ა ნ ხ მ ე ბ ა ეწოდება სიტყვათა ისეთ დამოკიდებულებას, როცა დამოკიდებული სიტყვა იმ ფორმას იღებს, რაც წამყვან სიტყვას აქვს.

იმ სიტყვას, რომელიც ითანხმებს, მათანხმებელი ეწოდება; იმას კი, რომელიც ეთანხმება, — შეთანხმებული. მაგალითი: „შემკრთალი ბელურები ღობეზე აფრინდნენ“ (ეგდ.). ავიღოთ პირველი წყვილი: „შემკრთალი ბელურები“. წყვილში ორივე ბრუნებადი სიტყვაა: არსებითი სახელი („ბელურები“) და მიმლეობა („შემკრთალი“). არსებითი მთავარი, წამყვანი სიტყვაა, მიმლეობა კი მასზეა დამოკიდებული. წამყვანი სიტყვაც სახელობითშია („ბელურები-ი“) და მასზე დამოკიდებულიც („შემკრთალ-ი“). არსებითი სახელი (წამყვანი სიტყვა) რომ მოთხრობითში დავსვათ, მიმლეობაც (დამოკიდებული სიტყვაც) მოთხრობითში გადადგება: „შემკრთალ-მა ბელურებ-მა“. მათ შორის შეთანხმებაა ბრუნვაში. მათანხმებელია „ბელურები“ (საზღვრული), შეთანხმებულია „შემკრთალი“ (მსაზღვრელი).

სახელმა სახელი შეიძლება რიცხვშიც შეითანხმოს. მაგალითი: „დაღამდა. წ ვ რ ი ლ ნ ი ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ნ ი აყუავდნენ, დასხდნენ ცაზედა“ (ვაჟა). წარიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს („ვარსკვლავნი“) ეთანხმება მსაზღვრელი („წვრილნი“) არა მარტო ბრუნვაში, არამედ რიცხვშიც.

მაშასადამე, ქართულში სახელმა სახელი შეიძლება შეითანხმოს ბრუნვასა და რიცხვში.

ასლა ავიღოთ ასეთი წყვილი: „ბელურები აფრინდნენ“. წყვილში შედის სახელი (ქვემდებარე) და ზმნა (შემასმენელი). მათ შორის შეთანხმებაა რიცხვში: მათანხმებელია სახელი (ქვემდებარე),

შეთანხმებული — ზმნა (შემასმენელი), ე. ი. ზმნა ეთანხმება სახელს რიცხვში.

მაშასადამე, ქართულში შეთანხმების სამი შემთხვევა გვაქვს:

I. სახელი ითანხმებს სახელს ბრუნვაში (შემკრთალ-ი ბელურებ-ი, შემკრთალ-მა ბელურებ-მა).

II. სახელმა სახელი შეიძლება შეითანხმოს არა მარტო ბრუნვაში, არამედ რიცხვშიც (წერილ-ნ-ი ვარსკვლავ-ნ-ი, მთა-ნ-ი მალა-ლ-ნ-ი).

III. სახელი ითანხმებს ზმნას რიცხვში (ბავშვები თამაშობენ...), მაგრამ არა ყოველთვის (ხეები დგას).

შეთანხმებისათვის საჭიროა, რომ წყვილის ორივე ცალი ერთნაირი გრამატიკული კატეგორიისა იყოს.

2. მ ა რ თ ვ ა ეწოდება სიტყვათა ისეთ დამოკიდებულებას, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს იკავშირებს ისეთი ფორმით, რომელიც მას არა აქვს მოცემულ შემთხვევაში, ანდა შეიძლება საერთოდ არც გააჩნდეს.

იმ სიტყვას, რომელიც მართავს, მმართვეი ეწოდება; იმ სიტყვას კი, რომელიც იმართვის, მართული ჰქვია. მაგალითი: „ალაზნის ველს აქა-იქ თხელი ნისლი ეფინა“ (ს. კლდ.). ავიღოთ პირველი წყვილი: „ალაზნის ველს“. წყვილში ორივე სახელია. წამყვანი სიტყვაა „ველს“, „ალაზნის“ კი მასზეა დამოკიდებული. მთავარი სიტყვა მიცემითშია, დამოკიდებული — ნათესაობითში. მთავარ სიტყვას რომ ბრუნვა ვუცვალოთ, დამოკიდებული მაინც ნათესაობითში დარჩება: „ალაზნის ველი“, „ალაზნის ველმა“, „ალაზნის ველად“, „ალაზნის ველო“... მაშასადამე, მთავარი სიტყვა დამოკიდებულს მოითხოვს ნათესაობით ბრუნვაში, ე. ი. მართავს მას ბრუნვაში. მმართვეია „ველს“, მართულია „ალაზნის“. მმართვეი შეიძლება მართული გახდეს: „ალაზნის ველის მიდამოები“... „ალაზნის“ და „ველის“ ორივე ნათესაობითშია, მაგრამ მათ შორის შეთანხმება კი არაა ბრუნვაში, არამედ მართვა: „ალაზნის“ მართულია „ველის“ მიერ, „ველის“ ნათესაობითში დგას იმიტომ, რომ ის მართულია „მიდამოების“ მიერ. „ალაზნის“ მართულია, „ველის“ კი მმართვეიც არის და მართულიც, „მიდამოების“ მმართვეია მხოლოდ. ეს უკანასკნელიც შეიძლება გახდეს მართული: „ალაზნის ველის მიდამოების დათვალიერება“. აქ სამი სახელია ნათესაობითში, რომლებიც ერთმანეთთან მართვით არიან დაკავშირებულა:

„დათვალიერება“ მართავს სიტყვას „მიდამოების“, „მიდამოების“ მიერ მართულია „ველის“. ეს უკანასკნელი კი მართავს სიტყვას „ალაზნის“. „დათვალიერება“ მმართავია, „ალაზნის“ — მართული, „ველის“ და „მიდამოების“ ერთდროულად მმართავიც არიან და მართულიც.

სახელს ბრუნვაში მართავს უფორმო სიტყვაც (თანდებული, ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით): მაგალითი: „მზე დასავლეთისკენ გადიწურა“ (ვაჟა). „კენ“ თანდებულა, იგი უბრუნველია, მაგრამ ბრუნვიანი სიტყვისაგან (სახელისაგან) მოითხოვს ნათესაობითის ფორმას: დასავლეთისკენ. არ შეიძლება ითქვას: დასავლეთმაკენ, დასავლეთიკენ, დასავლეთსკენ, დასავლეთითიკენ, დასავლეთადკენ... მაშასადამე, „კენ“ თანდებული სახელს მართავს ნათესაობით ბრუნვაში. მართავენ სახელს ბრუნვაში სხვა თანდებულებიც, ზოგი ერთ ბრუნვაში („ზე“, „ში“, „მდის“ („მდე“), ზოგიც ორში („გან“, „ვით“).

„ვასოს დედ-მამას სახლის წინ მშვენიერი ბალი ჰქონდათ“ (გოგ): „წინ“ უფორმო სიტყვაა (ზმნიზედა), რომელიც აქ თანდებულის მნიშვნელობით არის გამოყენებული (დამოუკიდებლად არაა წინადადების წევრი) და მართავს სახელს ნათესაობით ბრუნვაში: „სახლის წინ“.

მაშასადამე, თანდებული (აგრეთვე ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით) სახელისაგან ისეთ ფორმას მოითხოვს, რომელიც მას საზოგადოდ არ გააჩნია.

სახელი ბრუნვაში შეიძლება მართოს ზმნამ. მაგალითი: „მონადირემ თოფით დათვი მოკლა“. „მოკლა“ გარდამავალი ზმნაა (წყვეტილში), რომელთანაც სამი სახელია დაკავშირებული: „მონადირემ“ (ქვემდებარე), „დათვი“ (პირდაპირი დამატება), „თოფით“ (უბრალო დამატება). ზმნა რომ პირველი სერიის რომელიმე მწკრივში (მაგ., აწმყოში) გადმოვიყვანოთ, მივიღებთ: „მონადირე თოფით დათვს კლავს“. ზმნა მმართავია, მასთან შეწყობილი სამივე სახელი კი მართულია ბრუნვაში.

დამოკიდებული სიტყვა ზოგჯერ მართულიც არის და შეთანხმებულიც. მაგალითი: „მომღერლების მკერდზე ნიაგი ათამაშებდა ყვავილის ფურცლებს და ჰანგს სალამურისას“ (ევდ.). წყვილში „ყვავილის ფურცლებს“ წამყვანი სიტყვაა „ფურცლებს“, რომელიც დამოკიდებულ სიტყვას („ყვავილის“) მართავს ბრუნვაში. ახ-

ლა ავიღოთ წყვილი: „ჰანგს სალამურისას“. წამყვანი სიტყვაა „ჰანგს“, „სალამურისას“ კი მასზეა დამოკიდებული. „სალამურისას“ რთული ფორმაა: ნათესაობით-მიცემითი („სალამურ-ისა-ს“). იგი მართულ-შეთანხმებულია საზღვრულს (წამყვანი სიტყვის) მიერ ბრუნვაში. მართულია იმიტომ, რომ ნათესაობითის ფორმა მართვით არის გამოწვეული, შეთანხმებულია იმიტომ, რომ ნათ.-ის ფორმა ფუძედ არის გამოყენებული, ნაბრუნებია ხელმეორედ და იმ ბრუნვაში დგას, რომელშიაც — საზღვრული, ე. ი. წამყვანი სიტყვა. მართული სიტყვა მთავარს შეიძლება შეეთანხმოს არა მარტო ბრუნვაში, არამედ რიცხვშიც. მაგალითი: „ყვავილთ პირს ეკონებიან ცივნი ნამცკრევენი ცისანი“ (ვაჟა). წყვილში „ნამცკრევენი ცისანი“ მთავარი სიტყვაა „ნამცკრევენი“, რომელიც ნარიან მრავლობითში დგას, „ცისანი“ კი მასზეა დამოკიდებული. რომელიც მართულია ბრუნვაში („ც-ისა-ნი“), შეთანხმებულია ბრუნვასა და რიცხვში („ცისა-ნი“).

წყვილის ცალები ქართულში ხშირად ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. მაგ., „ბავშვები ხატავენ“, „ბავშვებმა დახატეს“. სახელი (ამ შემთხვევაში ქვემდებარე) ითანხმებს ზმნას რიცხვში, მაგრამ თვითონ მართულია ზმნის მიერ ბრუნვაში. ასეთი საურთიეთო ზემოქმედება დამახასიათებელია ქართულისათვის.

3. მ ი რ თ ვ ა ეწოდება სრულმნიშვნელოვან სიტყვათა ისეთ დამოკიდებულებას, როცა წამყვანი სიტყვა დამოკიდებულს შინა-არსობლივ იკავშირებს ისე, რომ ამას რაიმე გარეგნული გამოხატულება არ ახლავს. მაგალითები: „ოქროპირი გვიან დაბრუნდა“ (რ. გვ.). „განთიადი ნელა შლიდა ფრთებს“ (ქიქაძე). „გვიან“ და „ნელა“ უფორმო სიტყვებია, ზმნიზედები. ისინი ზმნას უცვლელად უკავშირდებიან, ე. ი. „გვიან“ და „ნელა“ მართული სიტყვებია.

ქართულში წამყვან სიტყვას მიერთვას უფორმო სიტყვა (ზმნიზედა) და თანდებულებიანი სახელი.

§ 7. სიტყვათა ჩავუფებო ხინტაქსურა თვალსაზრისით. სინტაქსური თვალსაზრისით სიტყვები ორგეაროა დამოუკიდებელი და დამხმარე. დამოუკიდებელი სიტყვა სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, დამხმარე კი — არასრულმნიშვნელოვანი.

სრულმნიშვნელოვანი სიტყვა დამოუკიდებლად. სხვა სიტყვის დაუხმარებლად გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას საგანზე, ანდა

მოვლენაზე... ასეთი სიტყვა წინადადების წევრია. მაგ., წინადადებაში: „მთვარის შუქის ანარეკლი ოდნავ ანათებდა ფარდულს“ (ქიაჩ.) — ექვსი სიტყვაა. ექვსივე სიტყვა სრულმნიშვნელოვანია, ე. ი. ექვსივე წინადადების წევრია. სრულმნიშვნელოვანი სიტყვა ფორმა-ცვალებადია (სახელები, ზმნები); ანდა ფორმა-უცვლელი, უფორმო (ზმნიზედები).

წინადადებაში მოხმარების თვალსაზრისით სრულმნიშვნელოვანი სიტყვები ოთხ ჯგუფად იყოფა; ესენია:

1. სიტყვები, რომელთაც აზრის გაფორმება-ჩამოყალიბებისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვთ. ესენია ზმნები, რომლებიც წინადადებაში შემასმენელს წარმოადგენენ. აზრის გაფორმება წინადადებაში ძირითადად სწორედ ზმნის საშუალებით ხდება. ამიტომ ზმნა-შემასმენელი წინადადების ხერხემალია. აზრის გამოხატვის საშუალებებით მეტყველების სხვა ნაწილები მას ვერ შეედრება. მაგალითად, წინადადებაში: „პატარა მაროს ძმამ მერცხლის ბარტყი მიუყვანა“ (გოგ.) — ექვსი სიტყვაა (ექვსივე წევრია). ამთგან ზმნა („მიუყვანა“) ცალკეც გამოხატავს აზრს, ე. ი. წინადადებაა, დანარჩენი სიტყვები კი, ცალ-ცალკე თუ ერთად აღებული, არ გამოხატავენ რაიმე გარკვეულ აზრს, მაშასადამე, არცაა წინადადება. ამიტომ არაა გასაკვირი ის დიდი შეფასება, რომელსაც აძლევდა ზმნას ილია ჭავჭავაძე, რომლის აზრით მეტყველების ნაწილებს შორის „მარტო ზმნა არის აზრის გამომეტყველი“. მართლაც, ზმნა სული და გულია ქართული ენისა, ბურჯია მისი.

2. სიტყვები, რომლებიც წინადადებაში საზოგადოდ ქვემდებარისა და დამატების გადმოსაცემად არიან გამოყენებული. ასეთებია: არსებითი სახელები, ნაცვალსახელები (პირისა, კითხვითი...), საწყისები, მოქმედებითი გვარის მიმღობანი, წილობითი რიცხვათი სახელები.

3. სიტყვები, რომლებიც წინადადებაში არსებითი სახელით გადმოცემული წევრის განსაზღვრებად იხმარება. ასეთი სიტყვებია: ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი (რაოდენობითი და რიგობითი), ზოგი ნაცვალსახელი (კუთვნილებითი...) და ვნებითი გვარის მიმღობანი.

4. სიტყვები, რომლებიც ზმნასთან არიან დაკავშირებული და გარემოებას აღნიშნავენ. ასეთებია ზმნიზედები.

დამხმარეა სიტყვა, რომელიც გარკვეულ მნიშვნელობას სხვა

სიტყვებთან ერთად იძლევა, ცალკე, ე. ი. დამოუკიდებლად, არ მიგვითითებს არც საგანზე, არც საგნის ნიშან-თვისებაზე, არც მოქმედება-მდგომარეობაზე, არც გარემოებაზე... ასეთი სიტყვებია: კავშირი, თანდებული და ნაწილაკი, რომელთაც წინადადებაში გარკვეული როლი აქვთ დაკისრებული და ერთმანეთისაგან სხვადასხვა ნიშნით განსხვავდებიან.

კავშირი აერთებს ორ სიტყვას (წინადადების წევრებს), ანდა წინადადებებს. იგი წინადადების წევრი არაა. თანდებული მართავს სახელს ამა თუ იმ ბრუნვაში და მართულ სახელთან ერთად წარმოადგენს წინადადების წევრს. ნაწილაკი დაერთვის როგორც სახელს, ისე ზმნასაც, ე. ი. ახლავს წინადადების ამა თუ იმ წევრს.

ენაში გამოიყოფა ერთი ჯგუფი სიტყვებისა, რომლებიც წინადადებაში განკერძობით დგანან, სხვა სიტყვებთან სინტაქსურ კავშირს მოკლებულნი არიან, მაგრამ სხვა სიტყვებს უპირისპირდებიან როგორც წინადადების ეკვივალენტები. ასეთი სიტყვებია შორისდებულები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. სრულმნიშვნელოვანი სიტყვა შეიძლება დამხმარე გახდეს. მაგალითად, წინადადებაში: „ავადმყოფობისაგან ბავშვი გახდა“ — სამი სიტყვაა და სამივე წევრია. მაგრამ „გახდა“ წინადადებაში: „ბავშვი ხუთოსანი გახდა“ — დამხმარეა და არა-სრულმნიშვნელოვანი. ამ წინადადებაშიც სამი სიტყვაა, მაგრამ წევრი ორია და არა სამი, რადგანაც „ხუთოსანი გახდა“ თუმცა სიტყვა ორია, მაგრამ წინადადებისათვის ერთი წევრია: შემასმენელი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. დამხმარე სიტყვა შეიძლება სრულმნიშვნელოვანი სიტყვის მნიშვნელობით იქნეს გამოყენებული. მაგალითად, წინადადებაში „მინდორი და ველი ყვავის“ (ერ.) — „და“ დამხმარე სიტყვაა, კავშიდრს აბამს ორ სიტყვას შორის. მაგრამ ამ წინადადებაში: „და მაჭგუფებელი კავშირია“ იგივე „და“ აღარაა დამხმარე სიტყვა, არამედ არსებითი სახელის მნიშვნელობითაა გამოყენებული, სახელობით ბრუნვაში ივარაუდება და წინადადებაში ქვემდებარეა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. სახელის მნიშვნელობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შორისდებულცი. მაგალითად, წინადადებაში: „ტკივილისაგან ვაი წამოიძახა“, „ვაი“ სახელია, წინადადების წევრია (პირდ. დამატება) და არა შორისდებული.

შენიშვნა 4. სიტყვები, რომელთაც გარკვეული სინტაქსური ფუნქციის გადმოცემა აქვთ დაკარგებული, შეიძლება სხვა ჯგუფის სიტყვის როლში იქნეს გამოყენებული და მისი სინტაქსური ფუნქცია შეასრულოს. მაგ., ზედსართავი წინადადებაში განსაზღვრებაა, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება არსებითის მნიშვნელობით გამოვიყენოთ და ქვემდებარე ან დამატება გამოხატოს.

წინადადება შინაარსის მიხედვით

§ 8. წინადადების რაობა. ადამიანები ენის საშუალებით ამყარებენ ერთმანეთთან ურთიერთობას, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას. მეტყველებითი ურთიერთობის ძირითადი (თანაც უმცირესი) ერთეული წინადადებაა, სადაც სიტყვები გრამატიკულად არიან ერთმანეთთან შეკავშირებული და ადამიანის აზრი მატერიალურ ენობრივ გარსშია ჩამოყალიბებული. მაგალითად, სიტყვათა ჯგუფი: „ხვერდი, ვით, მწვანე, ბალახი, ბიბინი, სიო, ნაზი“ — არ გამოხატავს რაიმე მთლიან გარკვეულ აზრს, მაშასადამე, არაა წინადადება; მაგრამ ამავე სიტყვების ერთმანეთთან შეწყობით შეიძლება გარკვეული აზრის გამოხატველი წინადადება მივიღოთ: „ხვერდივით მწვანე ბალახს აბიბინებს სიო ნაზად“ (წერ.). აზრი აქ ექვსი სიტყვის საშუალებით არის გადმოცემული, ე. ი. მოცემული წინადადება ექვსი სიტყვისაგან შედგება. დამთავრებული აზრი ერთი სიტყვითაც შეიძლება გადმოიცეს (ჩვეულებრივ ზმნის პირიანი ფორმით). მაგალითი: „დადგა შემოდგომა. დაიწყო ფოთოლმა ჩამოცვენა. გრილა. ღამე რთვილს აგდებს“ (ვაჟა). ამ ნაწყვეტში ოთხი დამთავრებული აზრია გამოთქმული. ე. ი. ოთხი წინადადებაა. პირველი წინადადება ორი სიტყვით არის გადმოცემული, მესამე — ერთით, მეორე და მეოთხე — სამ-სამით.

როგორც ვხედავთ, აზრი წინადადებით არის გამოთქმული, წინადადება კი ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, რომლებიც გრამატიკის წესების მიხედვით არიან გაფორმებული და ერთმანეთთან შეწყობილი.

მაშასადამე, წინადადება ჰქვია ერთ ან რამდენიმე სიტყვას. რომლებიც ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით არიან გაფორმებული, ერთმანეთთან შეხამებული და დამთავრებულ აზრს გადმოგვცემენ.

დამთავრებულ აზრს გამოხატავს, რომ ვამბობთ, ამას ერთგვარი შეზღუდვა სჭირდება. ჩვეულებრივ წინადადება სხვა წინადადებებთან არის დაკავშირებული, ე. ი. ნაწილია ნათქვამისა... ამიტომ ზოგი რამ სხვა წინადადებით არის გასაგები... მაგალითად, მოყვანილი ნაწყვეტიდან რომ ამოვიღოთ წინადადება „ლამე რთვილს აგდებს“, ზოგი რამ გაუგებარი გახდება (მაგალითად, წლის დრო...). ზოგჯერ დამთავრებული აზრის გამოხატვას გარკვეული პირობები განსაზღვრავს. მაგალითად, რომ ვთქვათ „წააქცია“, გაუგებარია ვინ წააქცია. მაგრამ თუ რამდენიმე კაცი ხედავს, რომ ვანო და გივი კიდაობენ და ერთმა მეორე წააქცია, და მყურებელთაგან ერთმა რომ თქვას „წააქციაო“, აზრი გასაგები იქნება.

ყოველი წინადადება შესაბამისი ინტონაციით წარმოითქმია, სხვა წინადადებისაგან გამოიყოფა პაუზით, ასე რომ წინადადება ინტონაციურ მთლიანობასაც გულისხმობს. ამიტომ წინადადება თუ შესაბამისი ინტონაციით არ წარმოითქვა, აზრიც ბუნდოვანი და მხელად გასაგები ხდება. წერაში ერთი წინადადება მეორისაგან ჩვეულებრივ სასვენი ნიშნით გამოიყოფა. მთქმელი წინადადებათა საშუალებით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას მისი გარემოცველი სინამდვილისადმი, თავის გრძნობებსა და სურვილებს, მისწრაფებას სხვაზე იმოქმედოს.

შინაარსისა თუ აგებულება-შედგენილობის მიხედვით წინადადება სხვადასხვაგვარია.

§ 9. წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით. იმის მიხედვით, აზრი დადებითად არის გამოთქმული თუ უარყოფითად, წინადადება ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი. ნათქვამის მიზანი და მთქმელის დამოკიდებულება მისი შინაარსისადმი სხვადასხვაგვარია. ამის მიხედვით წინადადება შეიძლება იყოს თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი... ამათ გარდა გვაქვს აგრეთვე ძახილისა და კითხვით-ძახილის წინადადებები.

§ 10. წართქმითი და უკუთქმითი წინადადება. წართქმითი წინადადება აზრს დადებითად გამოხატავს, უკუთქმითი — უარყოფითად. სხვანაირად რომ ვთქვათ, წართქმითია წინადადება, თუ ზმნით გამოხატული მოქმედება დადებითად არის წარმოდგენილი (სრულდებოდა, სრულდება ან შესრულდება), ხოლო უკუთქმითია, როცა ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულება გამორიცხულია (არ სრულდებოდა, არ სრულდება ან არ შესრულდება). მაგა-

ლითად, წართქმითია: 1. მხედარმა ცხენი საძოვარზე გაუშვა (ვაჟა). 2. მეორე გაზაფხულზე ცირცელმა ფოთლები გამოიტანა. უკუთქმითია: 1. მხედარმა ცხენი საძოვარზე არ გაუშვა, 2. მეორე გაზაფხულზე ცირცელს ფოთლები აღარ გამოუტანია (რაზ.).

წინადადებას უკუთქმით შინაარსს აძლევს:

ა) უარყოფითი ნაწილაკები: არ, ვერ, ნუ, აღარ, ვეღარ, ნულარ.

ბ) უარყოფითი ნაცვალსახელები: არავინ, ვერავინ, ნურავინ, არათერი, ვერათერი, ნურათერი...

გ) უარყოფითი ზმნინებლები: არსად, ვერსად, არსაიდან, არასოდეს, ვერსაიდან...

ს ა ე რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები და იღნიშნეთ, რომელია მათგან წართქმითი და რომელი — უკუთქმითი.

1. ქარი ძალზე უბერავდა (დად.). 2. სპილოს ლომსავით ცალკე ცხოვრება არ მოსწონს (გოგ.). 3. გრილი ნიავი ფოთლებს არხევს (ვაჟ.). 4. ვაჟაკი დაცემულ მტერს ხელს აღარ ახლებს (ლომ.), 5. მუსიკა მინელდა. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა ირგვლივ (დად.). 6. მთვარით გაშუქებულ ქუჩაში არავინ ჩანდა (რ. გვ.). 7. გიორგი გაშმაგებით იქნევდა ხმალს (ვაჟ.). 8. ვაჟაკი ერთხელ გადაფურთხებულს ვეღარ ალოკავს (ყაზ.). 9. ორი კურდღლის მღევარი ერთსაც ვერ დაიქერსო (ანდ.).

§ 11. თხრობითი წინადადება. თხრობითია წინადადება, რომელიც გადმოგვცემს, მოგვითხრობს რაიმე. ასეთი წინადადება არ შეიცავს კითხვას, ბრძანებას, გაკვირვებას... მაგალითები: „ამოვიღა მზე. ნამი შეშრა ყანებზე. პეპლები აფრთხილდნენ ყვავილებზე. ფუტკარიც აბზუილდა“ (რაზ.). მოყვანილ ნაწყვეტში ოთხი თხრობითი წინადადებაა. თხრობითია აგრეთვე წინადადება, რომელიც წარმოადგენს პასუხს კითხვაზე, ადასტურებს რასმე ან უარყოფს. მაგალითი: „— რა ამბავია? — რ ა ღ ლ ა ც ჩ ხ უ ბ ი მ ო ს ვ ლ ი ა თ. — ვისა და ვის? — გ ი ო რ გ ი ს ა და მ ე ჯ ი ნ ი ბ ე ს. — რაზედ? — ს წ ო რ ე დ ა რ ც მ ე ვ ი ც ი. ა ი, გ ი ო რ გ ი მ ო ვ ა და შ ე ვ ი ტ ყ ო ბ თ“ (ვაჟ.).

თხრობითი წინადადების ბოლოს ხმა დაბლდება, სხვა წინადადებისაგან პაუზით გამოიყოფა. წერაში თხრობითი წინადადების ბოლოს წერტილი დაისმის.

§ 12. კითხვითი წინადადება. კითხვითია წინადადება, რომელიც კითხვას შეიცავს. ასეთი წინადადებით მოუბარი (მთქმელა) პირი მიმართავს თანამოუბარს, რომ მისგან მიიღოს მისთვის სა-

ქირო ცნობა, დაუდასტუროს ან უარყოს კითხვითი წინადადებით გამოთქმული აზრი.

კითხვითი წინადადება თანამედროვე ქართულში ძირითადად ორგვარია: ერთი ისეთი, რომელიც შეიცავს კითხვითს სიტყვას (ვინ მოვიდა?), მეორე კი ისეთი, რომელშიც არ ურევია კითხვითი სიტყვა (ბავშვი მოვიდა?).

კითხვითი წინადადების ინტონაცია განსხვავდება თხრობითი წინადადების ინტონაციისაგან. თვით კითხვითი წინადადება ინტონაციურად ბევრნაირია, მაგრამ ისინი ძირითადად ორი დასახელებული ტიპის გარშემო ჯგუფდებიან.

კითხვითი სიტყვებია: კითხვითი ნაცვალსახელები (ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი? როდინდელი? სადაური? რამდენი?...) და კითხვითი ზმნიზედები (სად? საიდან? საითკენ? როდის? როგორ? რატომ? რად? რისთვის?..). კითხვითს სიტყვებს გარდა ენაში მოიპოვება ნაწილაკები, რომელნიც წინადადებას კითხვიას შინაარსს აძლევენ (განა, ხომ, ნუთუ, თუ). ზოგჯერ კითხვითს წინადადებაში ორივეა — კითხვითი სიტყვაც და კითხვითი ნაწილაკიც ან კიდევ ორი კითხვითი ნაწილაკია. მაგალითები: „განა მაგას ვინა ფიქრობს?“ (ჭავ.). „განა მართლა ხომ არ ვამბობთ?“ (ვაჟა). პირველ წინადადებაში კითხვითი ნაწილაკი („განა“) და კითხვითი სიტყვაა („ვინა“), მეორეში — კითხვითი ნაწილაკები („განა“, „ხომ“).

§ 18. კითხვითი სიტყვის შემცველი კითხვითი წინადადება. კითხვითი წინადადება, რომელიც კითხვითს სიტყვას შეიცავს, მიზნად ისახავს, მიღებულ იქნეს ცნობა, რომელიც შეიძლება მოკლედ იქნეს გადმოცემული (ზოგჯერ ერთი სიტყვით). მაგ., ავიღოთ ასეთი წინადადებანი: სად წავიდა ბავშვი? როდის წავიდა ბავშვი? რატომ წავიდა ბავშვი? რისთვის წავიდა ბავშვი? შემკითხველმა იცის ყველა მოყვანილ შემთხვევაში, რომ „ბავშვი წავიდა“, ოღონდ არ იცის პირველ შემთხვევაში წასვლის ადგილი, მეორე შემთხვევაში — წასვლის დრო, მესამე შემთხვევაში — წასვლის მიზეზი, მეოთხე შემთხვევაში — მიზანი. მაშასადამე, ამ ტიპის წინადადებაში კითხვის ქვეშ წინადადების ის წევრია დაყენებული, რომელიც კითხვითი სიტყვით (ნაცვალსახელით, ზმნიზედით) არის გადმოცემული, ამიტომ კითხვის მახვილიც ამ სიტყვაზეა.

კითხვით სიტყვათაგან ზოგი ქვემდებარეა, დამატება ან განსაზღვრება (კითხვითი ნაცვალსახელები), ზოგიც ერთ-ერთი სახის გარემოება (კითხვითი ზმიზელები); მაშასადამე, წყვილებში ზოგი შემასმენელთან შედის (როდის ჩამოვიდა?), ზოგიც — სახელთ გადმოცემულ წევრთან (რომელი ამხანაგი?).

ზმნასთან დაკავშირებულ კითხვით სიტყვებს (ქვემდებარე-დამატებად შეწყობილ ნაცვალსახელებსა და გარემოებად შეწყობილ კითხვით ზმიზელებს) წინადადებაში უშუალოდ მოსდევს ზმნა-შემასმენელი, თანაც კითხვითი წინადადება ჩვეულებრივ კითხვითი სიტყვებით იწყება (მაგ., ვინ წამოიწყო ჩხუბი? რას ჰგავს? მგელი? სად წავიდა ვანო? როდის მომიტანა წიგნი?); ხოლო კითხვითს ნაცვალსახელებს, რომელნიც განსაზღვრებად არიან და ამის გამო სახელთან არიან დაკავშირებული, თუ საზღვრული არაა გამოტოვებული, ჩვეულებრივ მოსდევს სახელი (საზღვრული):

რომელმა ამხანაგმა მოიტანა წიგნი?

რომელი წიგნი მოიტანა ამხანაგმა? და მისთ.

კითხვით-სიტყვიანი კითხვითი წინადადების ინტონაცია დამავალია (უახლოვდება თხრობითი წინადადების ინტონაციას), მაგრამ არა იმ სიღაბლემდე, როგორც ეს თხრობითს წინადადებაში გვაქვს, ე. ი. ამ ტიპის კითხვითი წინადადების „ინტონაცია უფრო მაღალია, ვიდრე თხრობითისა“ (გ. ახვლედიანი). (მდრ.: „მამა გულშინ სოფელში წავიდა“ და „როდის წავიდა მამა სოფელში?“).

თუ კითხვითი სიტყვა არ იწყებს წინადადებას, ინტონაცია აღმავალ-დამავალია: „მამა სოფელში როდის წავიდა?“.

ზოგჯერ კითხვით-სიტყვიანი კითხვითი წინადადების ინტონაცია აღმავალია. ეს მაშინაა, როდესაც კითხვა მეორდება. აქ ორი შემთხვევაა გასარჩევი: პირველი, როდესაც კითხვა მეორდება თვით შემკითხველის მიერ (ვთქვათ, იმის გამო, რომ პასუხი ვერ გაიგონა, ან კიდევ გაიგონა, მაგრამ დაავიწყდა); და მეორე, როდესაც კითხვა მეორდება თანამოუბრის მიერ (ვთქვათ, იმის გამო, რომ შეკითხვა ვერ გაიგონა კარგად და უნდა შეამოწმოს კითხვის სისწორე...). ეს ორი შემთხვევა ინტონაციურად ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდება.

როდესაც კითხვას იმეორებს შემკითხველი, მახვილი წინადადებაში უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალზეა; მაგალითი:—

რ რ დ ის ჩამოხვედი? — გუშინ — რ ო დ რ ს? [ან: რ რ დ ის ჩამოვი-
და? — გუშინ. — როდის ჩამოვიდა?] (კითხვას იმეორებს შემ-
კითხველი).

როდესაც კითხვას იმეორებს თანამოუბარი, მახვილია კითხვითს
სიტყვაზე, უკანასკნელ სიტყვაზე ტონი მალღდება და ბოლო მარ-
ცვალი გაგრძელებულად წარმოითქმის. მაგალითი: — რ რ დ ის
ჩამოხვედი? — რ რ დ ის ჩ ა მ ო ვ ე დ რ ? (კითხვა მეორდება თანა-
მოუბრის მიერ). — მიაბზე, ვ რ ნ ა ხ არ, გულნაკლულად ნუ გამო-
შვებ... — ვ რ ნ ა ვ ა რ ? (ჰავ.). — მაშ რ ა მ დ ე ნ ი ა ? — რ ა მ დ ე -
ნ ი ა ? (ჰავ.).

კითხვითს სიტყვებს ც, მე ნაწილაკების დართვისას კითხვის
შინაარსი ეკარგებათ (ვინც, რაც, სადაც, როგორც... ვინმე, რამე,
სადმე, როგორმე...), მაგრამ ზოგჯერ კითხვითი სიტყვა ნაწილაკებთან
დართვის გარეშეც არაა კითხვითი შინაარსისა. მაგალითად: „ს ა დ ა ც
დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან; სად
წვიმა-თოვლნი. ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან;
ს ა დ უ დაბურსა მას მყუდროებას კაცთ ურიაშული ვერ შესწვდენ-
ნია; სად მეუფება ჰეჰა-ჰუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ
ჰშთენია, — უწინდელს დროში ღვთისა მოსავეთა გამოუქვამავთ
მუნ მონასტერი“ (ჰავ.). „სადაც“ და „სად“ — ორივე მიმართები-
თია, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელს აქ არ ერთვის ნაწილაკი.

§ 14. კითხვით-ნაწილაკიანი წინადადება. გარდა კითხვითი სი-
ტყვებისა (კითხვითი ნაცვალსახელებისა და კითხვითი ზმნიზედებისა),
წინადადებას კითხვის შინაარსს აძლევს კითხვითი ნაწილაკე-
ბიც. ასეთი ნაწილაკებია: განა, ხომ, ნუთუ, თუ.

ა) განა: „განა“ კითხვისა და გაკვირვების გამომხატველი ნაწი-
ლაკია, რომელიც, საზოგადოდ, წინადადებაში საკითხავი სიტყვის
წინ დგას. მაგალითები: 1. განა თ ვ ი თ ო ნ თავს დაანებებს?
(ს. კლდ.). 2. განა კ ა რ გ ე ბ ი ცოტანი არიან? (არაგვ.). 3. განა
ლ უ ა რ ს ა ბ ი ბედნიერი არ იყო? (ჰავ.). 4. განა
ბ ე ბ ე რ ი ც ხ ე ნ ი ქერს არ ჰამს? (ხალხ.). 5. განა ს ხ ვ ა
გ ვ ა რ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ა არ მოიძებნება? (ს. კლდ.).

ზოგჯერ „განა“ მოსდევს ზმნა-შემასმენელს და წინადადების
ბოლოსაც ექცევა. იშვიათად განკერძობითაც დგას ხოლმე. მაგა-
ლითები: 1. მოგწყინდა განა, შე ცუდლუტო, წიგნის კითხვა?
(ჰავ.). 2. მე ევ ყოველი არ ვიცა განა? (ბარ.). 3. ეხლა, განა?

ამ ნაწილაკის ინტონაცია საზოგადოდ რთულია: ჩვეულებრივ კითხვაც გამოიხატება და გაკვირვებაც. როდესაც კითხვა სკარბობს, კითხვის მახვილია შემასმენლის ბოლო მარცვალზე; მაგალითად, ეს ორი წინადადება ერთმანეთისაგან განსხვავებულია შინაარსითაც და ინტონაციურადაც: „განა კარგები ცოტანი არიან?“ და „განა კარგები ცოტანი არიან?“ პირველში (განა კარგები ცოტანი არიან?) ძლიერია კითხვა და შემკითხველი დადასტურებას ან უარყოფას ელის, ხოლო მეორეში („განა კარგები ცოტანი არიან?“) ძლიერია გაკვირვება და მახვილი თვით ნაწილაკზეა, შემასმენლის ბოლო მარცვალი გაგრძელებულად არ წარმოითქმის. შინაარსი გულისხმობს: „კარგები ცოტანი არ არიან“.

ბ) ხომ: ეს ნაწილაკი ჩვეულებრივ გამოხატავს კითხვას, რომელზედაც მტკმელი დადასტურებით პასუხს მოელის: „თავადაც ხომ გინდა ელგუჯას ნახვა?“ (ყაზ.). „თქვენ ხომ სოფელში მიდიხართ?“ ზოგჯერ აღნიშნავს დადასტურებას იმისას, რაც ცნობილია, ან: რაც წინათ არის თქმული. „ხომ მოგახსენეთ, რომ სოფელში მივიღივარ-მეთქი?“ კითხვის მახვილი თვით ამ ნაწილაკზეა.

„ხომ“ ნაწილაკის შემცველი წინადადება ზოგჯერ არაა კითხვითი შინაარსისა: „ჩემი თავის ჯავრი ხომ მკლავდა და მკლავდა, პეპის და იმის გოგოს ნაღველი უფრო ცეცხლს მიკიდებდა“ (ჰავ.). „ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კახეთში, და მშრალი მიწაც არის“ (ჰავ.).

გ) ნუთუ: „ნუთუ“ კითხვა-განცვიფრებას გამოხატავს, უფრო კი — მეორეს (განცვიფრებას). მახვილი თვით ამ ნაწილაკზეა. მაგალითები: „ნუთუ გული აიყარა თავის საყვარელ შვილზე?“ (ვაჟა). „ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი თან არავისი წამოგილია?“ (ჰავ.).

ამ ნაწილაკის ხმარებისას კითხვა-განცვიფრების ქვეშ დაყენებულია წინადადებაში გამოხატული აზრი. წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი (?) ან კითხვისა და ძახილის ნიშანი (!) დაისმის.

დ) თუ: „თუ“ ჩვეულებრივ კავშირია: აერთებს ორ სიტყვას ან ორ წინადადებას, მაგრამ ზოგჯერ მას კითხვითი ნაწილაკის მნიშვნელობაც აქვს: ამ შემთხვევაში იგი ბოლოს დაისმია: წვიმა არ დაგვასველებს თუ?

„თუ“ შედის „ნუთუ“-ში (ნუ-თუ), რომელსაც კითხვის შინაარსს „თუ“ აძლევს.

ე) ა: თანამედროვე ქართულში ჩაითბვას გამოხატავს ნაწილაკი ა (ან „ჰ“-ს დართვით: „აჰ“, „ჰა“), რომელიც წინადადებაში განეკუთვნება დგას. მაგალითები: 1. იქნებ ძილი გინდა, ა? (ს. კლდ.). 2. ა? არ მესმის კარგად, ჩემო დავით, უკაცრავად, გაიმეორე (ქიაჩ.). 3. ნიკორასა და კუდვარდას ვილა ავაყოლო, ა? (ევდ.). 4. როგორ ხარ, ჩემო გიო? ა? (ქიაჩ.). 5. ეგ რაები ჩაგიდენია, ჰა? (ჭავ). 6. მე რაღა დავიშავე, ჰა? (ევდ.). 7. როგორ არის საქმე, აჰ? (ჭ. ლ.).

წინადადება ზოგჯერ კითხვითია, მაგრამ იგი არ მოითხოვს პასუხს.

1. არ მოითხოვს პასუხს შემხვედრი კითხვები, ე. ი. ისეთი კითხვითი წინადადება, რომელიც კითხვითი წინადადების საპასუხოდ არის დასმული: მაგალითები: 1. — როგორ მოშორდი? — რა გითხრა, შვილო? (ჭავ.). 2. — ახლა შენ რომ მარტო დარჩები? — მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბარტყი მიზის (ჭავ.). 3. — მაშ შენ ვერას მიშველი? — აბა რა გიშველო? (ჭავ.).

2. არ მოითხოვს პასუხს კითხვები, რომელნიც თვითვე გულისხმობენ (შეიცავენ) პასუხს: მაგალითები: 1. ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები? (წერ.). 2. ჩემო კალანო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში? (ჭავ.). 3. რა დროს კითხვია? (ჭავ.). 4. ვის არ შეებრალება მგლის პირში ბატკანი? (ვაჟა).

ასეთ კითხვებს რიტორული ჰქვია (ბერძნული „რიტორ“ სიტყვისაგან, რომელიც მკვევრმეტყველს ნიშნავს).

ლიტერატურაში კითხვების გამოყენებას გარკვეული სტილისტიკური მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ მწერალი კითხვებით მიმართავს უსულო საგნებს, ბუნებას ან მკითხველს... მაგალითად: „მთებო, მთებო! რას ელით? ვის ელით? ნუთუ გყავთ სატარფო დიდი ხნის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმა ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ? პასუხი არ ისმის. დგანან წარბ-შეუხრელად. ელოდნენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას?“ (ვაჟა).

ზოგჯერ კითხვა დაისმის არა პასუხისთვის, არამედ მსმენელის (ან მკითხველის) ყურადღების გასამახვილებლად თუ საუბრის

თემის შეცვლის მიზნით: „ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიქანებულს დაჩუპდით... ყური მიუგდეთ... არ გე სმის თ, გლობს ბუღბუღი?“ (გრ. ორბ.).

შემკითხველის მიერ ხშირად კითხვა დაისმის არა სხვისგან პასუხის მიღების მიზნით, არამედ იმისათვის, რომ თვითვე გასცეს პასუხი და კითხვების დასმა გამოიყენოს აზრის განვითარების სტილისტიკურ ხერხად. მაგალითი: „აღარ გაათავებ? — მკითხავს მოწყენილი, და იქნება გაჯავრებულიც, მკითხველი. — როგორ არა! გავათავებ, მაგრამ იცით რითა? იმით, რომ ლუარსაბის ბედნიერება დაირღვევა. თუ მაგისთანა მტკიცე ბედნიერებაც დაირღვევა, მაშ, რაღა ყოფილა და ურღვეველი ქვეყანაზე? — დაიძახებს ჩემთან ერთად დაღონებული მკითხველი.

მარტო ქვეყანაა, მკითხველო, და ურღვეველი და ერთი ლამაზი, გონიერი ქართველის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ (ქავ).

§ 15. კითხვითი წინადადება, რომელიც არ შეიცავს კითხვითს ხიტყვას. კითხვითს წინადადებას, რომელშიაც არ ურევია კითხვითი სიტყვა, კითხვის შინაარსს მხოლოდ ინტონაცია აძლევს. ასეთი კითხვითი წინადადება საზოგადოდ მიზნად ისახავს მიიღოს დადებითი ან უარყოფითი პასუხი, რომელიც მოკლედ (ერთი სიტყვით) შეიძლება იქნეს გაცემული: „მეზვრემ მწვანილი მოიტანა? — მოიტანა“. (ქავ.). სრულად იქნება: „მეზვრემ მწვანილი მოიტანა“. დადასტურება ან უარყოფა ხშირად მიგებითი ნაწილაკებით გადმოიცემა: „არა“ (უარყოფითი), „დაახ“ (დადასტურებითი).

ძველ ქართულში ისეთ კითხვითს წინადადებაში, სადაც არ ერია კითხვითი სიტყვა, მოიპოვებოდა კითხვითი ნაწილაკი ა, რომელიც წინადადებას კითხვითს შინაარსს აძლევდა და უმეტესად ზნა-შემასმენელს დაერთოდა. მიუხედავად იმისა, თუ სად იყო ზნა-შემასმენელი წინადადებაში (ბოლოში, შუაში თუ თავში): „არა მისი გაზრდილი ხარა?“ („შ. წ.“). „არ მიუძღუანოა სამკაული ეგ მისი?“ („შ. წ.“).

ეს ნაწილაკი იშვიათად გვხვდება მოგვიანო ხანის (XVII—XVIII ს.) ნწერლობაშიც, ცოცხალია ამჟამადაც ქართულის ზოგ კილოში (მაგ., მთის კილოებში: ფშაურში, ხევსურულში...) და ამის გამო გვხვდება XIX საუკუნის ნწერლობაშიც (ვაჟას და მისი ძმე-

ზის, აგრეთვე ყაზბეგის ნაწერებში). მაგალითები: 1. არ ჩამოხვალთა ჩვენთანა, მალლათ ნადგომნო იანო? (ხეცს.). 2. ტანთ არ ისხამსა აბჯარსა? (ვაჟა). 3. მაშ ჩემთვის მოხვედა? (ყაზ.).

ძველი ქართლის, ქართლის ცოცხალ კილოთა და ქართველურ ენათა მონაცემები ცხადყოფენ, რომ -ა და მისი ფარდი ნაწილაკები ქართველურ ენებში უმეტესად ზმნა-შემასმენელს დაერთვის; ეს კი თავის მხრივ იმაზე მივეითებებს, რომ კითხვის მახვილი ქართულში ისტორიულად სწორედ შემასმენელთან არის დაკავშირებული. მეგრულში მახვილი მეორე მარცვალზეა ბოლოდან (ი. ყოფშიძე). „ფშაურ კილოში პირველ მარცვალზეა გადმოწეული“ (ა. შანიძე). კითხვითი ნაწილაკის დართვისას განსხვავებას უხვდებით მახვილის ადგილთან დაკავშირებით, მაგრამ საერთოა ის, რომ მახვილი ჩვეულებრივ უველგან შემასმენელთან არის დაკავშირებული. ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაზე დაკვირვება, კილოებისა და ქართველურ ენების მონაცემები მოწმობს, რომ მახვილი უნდა ყოფილიყო არა -ა ნაწილაკზე, არამედ წინამავალ ხმოვანზე, ე. ა. მეორე მარცვალზე ბოლოდან (მოვიდა-ა?), როგორც ეს გვაქვს აქამდე მეგრულში (გოკონ-ო? — გინდა?, სი რექ-ო? — შენ ხარ?). მახვილიანი წინამავალი ხმოვნის გავლენით უმახვილო -ა ნაწილაკი დასუსტდა და შემდეგ სულ დაიკარგა. შედეგად მივიღეთ იმის წინ მდგომი მახვილიანი მარცვლის გავრძელება: „შენ ხარ“? ასე რომ კითხვის მახვილის მატარებელი პირველი მარცვალი ბოლოდან (გააკეთე-ა?) ისტორიულად მეორე მარცვალია ბოლოდან (გააკეთე-ა?).

ამ ტიპის წინადადებაში საკითხავ სიტყვას რომ შემასმენელი წარმოადგენს და კითხვის მახვილიც მასთან არის დაკავშირებული, ამას მოწმობს კითხვითი წინადადებები და მათზე გაცემული პასუხები; მაგალითები: 1. — სიმინდი მოტეხეს? — მოტეხეს, ახლა მექი ჩალასა კრის (ყ. ლორთქ.). 2. — დაზუნდარა ნახე? — ვნახე (ყ. ლორთქ.). 3. — გასინჯა ეჭიმმა? — გასინჯა. (ჯაფ.). 4. მეზვრემ მწუანილი მოიტანა? — მოიტანა (ქავ.). 5. — რუჟა კარგად იცი? — ვიცი, ამხანაგო გენერალო (ყ. ლორთქ.). 6. — მამა გყავს? — არა, შენი ჭირიმე! (ქავ.). 7. — შშობლები გყავს? — მყავს, ამხანაგო გენერალო (ყ. ლორთქ.).

თანამედროვე ლიტერატურულ წარმოთქმაში სრული ერთგვარობა და გარკვეულობაა მაშინ, როცა ზმნა-შემასმენელს წინადადებაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს: კითხვის მახვილს ატარებს ბოლო მარცვალი, რომელიც გავრძელებულად წარმოითქმის. ინტონაცია აღძვალთა. ნაკალითები: 1. პეიას სახლი იცრ? (ქავ.). 2. მატარებელმა ჩაიარა? (ს. კლდ.). 3. მერე მადლობა გადაუხადე? (ევდ.). 4. მერე დათიკო სწავლას თავს ანებებს (ქავ.).

როცა შემასმენელი არაა წინადადების ბოლოს, კითხვის მახვილი მაინც მას გადაჰყვება, წინადადების დასასრულს ხმა დაბლდება, მაგრამ არა იმდენად, როგორც ამას თხრობითში აქვს ადგილი. მაგალითები: 1. შეასრულეთ დავალება? (ს. კლდ.). 2. გასინჯა ექიმმა? (ჯაფ.).

ასეთი წარმოთქმა სწორი, ლიტერატურული წარმოთქმაა, მაგრამ ამ ტიპის წინადადებაში გვხვდება კითხვის მახვილის უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალზე გადატანაც: 1. შეასრულეთ დაალება? (ს კლდ.). 2. გასინჯა ექიმმა? (ჯაფ.). მეტი გაიართლება პირველს აქვს, ასე რომ კითხვის მახვილი უმჯობესია შემასმენელს შევეუნარჩუნოთ მაშინაც, როცა მას წინადადებაში არ უქციავეს უკანასკნელი ადგილი.

ამ ტიპის კითხვითი წინადადებისაგან როგორც შინაარსით, ისე ინტონაციურად რამდენადმე განსხვავდება ისეთი კითხვითი წინადადება, სადაც კითხვის ქვეშ დაყენებულია არა შემასმენელი, არამედ წინადადების სხვა წევრი, რომელიც გამოიყოფა ლოგიკური ხზგასმით. ამ შემთხვევაში ინტონაციასთან ერთად გარკვეული მნიშვნელობა წინადადებაში სიტყვათა რიგს აქვს, სახელდობრ შენასმენელთან იმ სიტყვის მოქცევის, რომელსაც ეხება კითხვა. ავიღოთ ასეთი წინადადება: „თქვენ გუშინ თეატრში იყავით?“, „თქვენ თეატრში გუშინ იყავით?“ „თეატრში გუშინ თქვენ იყავით?“.

პირველ შემთხვევაში ლოგიკური მახვილია ადგილის გარემოებაზე („თეატრში“); შემკითხველს აინტერესებხ — გაიგოს, თანამოუბარი გუშინ თეატრში იყო თუ არა; მეორე შემთხვევაში შემკითხველმა არ იცის თეატრში ყოფნის დრო, აინტერესებხ გუშინ იყო თუ სხვა დროს, მესამე შემთხვევაში შემკითხველს უნდა დაადასტუროს (ან უარყოს), თანამოუბარი თუ იყო გუშინ თეატრში. ამ ტიპის კითხვითს წინადადებაში ლოგიკური მახვილია იმ სიტყვაზე, რომელსაც კითხვა ეხება, შემასმენლის ბოლო მარცვალს კი მაინც ახლავს კითხვის მახვილი.

თუ ამ ტიპის წინადადებებს ვაკვირებაც ახლავს, მაშინ ინტონაციაც რამდენადმე განსხვავებულ ელფერს იღებს და ჩვეულებრივი კითხვითი წინადადებისაგან განსხვავებულ წარმოთქმას ვღებულობთ.

თუ კითხვითი წინადადება არ შეიცავს არც ზმნა-შემასმენელს და არც კითხვითს სიტყვას, კითხვის მახვილი (ჩვეულებრივად კითხვის

თხვისა თუ ჩაკითხვისა) პირველ მარცვალზეა ბოლოდან. მაგალი-
ფები: 1. ჩვენი მეზობლის ბავშვი? 2. — ერთი კარგი ჩიხირთმა? —
ჩიხირთმა? ჰა, ჩიხირთმა? (ქავ.).

თუ ასეთი წინადადების ბოლოს მიმართვია, კითხვის მახვილი
მის წინ მდგომი სიტყვის პირველ მარცვალზეა ბოლოდან. მაგალი-
თები: 1. — შენი სახელი. ძმობილო? — მკითხა იმან (ქავ.). 2. არა,
დათო? (ჩავ.). 3. — შენა. დარეჯან? (ქავ.).

თუ კითხვითი წინადადება მიმართვით არის გამოხატული,
კითხვის მათევილიც მასზეა. მაგალითი: — ცირა! — ბატონო? (წერ.).
ყოველგვარი კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი
დაისმის.

ზოგჯერ წინადადების ბოლოს უარყოფის ნაწილაკი „არა“ (ან
დადასტურების: „ხომ“) არის მოქცეული, რომელიც განმარტოებით
დგას, და კითხვის მახვილიც მასზეა. მაგალითები: 1. დილით ბებეს
წინადადეგად მოქსოვილი დახვდება, არა? (ჩაზ.). 2. ორნაქმა-
რებია მამიდა თქუენი, არა? (კლდ.). 3. სრულებით არა ჰკავს თინა
პატარძალს, არა? (რ. გვ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ წინადადებები სათანადო ინტონაციით და დაახ-
სიათეთ თვითული მათგანი ცალ-ცალკე.

1. ვუ რაღა გაქვს ნაბადში ვახვეული? (ყაზ.). 2. რატომ არ დაუძინია ციკუ-
ნისა? რა ფიქრებშია გართული? (ჩაზ.). 3. ვანა იმაზე ლამაზ საკითხეს წიგნს
კიდევ შეჰხვდება ადამიანი? (ვაჟა). 4. ნეტარ ველარა ვნახოა შენი ლამაზი პი-
რია? (ვაჟა). 5. არ უნდა გაიგოსა კაცმა თავისი სახლი და საქმე? (ვაჟა). 7. ნეტა
რაში გვესაქრობება ჩვენ, ტყის მცხოვრებლებს, ამისთანა ცხოველები, ჰა? (ვედ.).
8. — ვინ აშენებს ელექტროსადგურს? — ვინ აშენებს? (ჭავჭ.). 9. — რომელი
ხარ? — ვერ მიცანი? (კ. ლორთქ.). 10. არ გვენობი თუ? (ჭავ.). 11. ჩვენ
ხალხი არა ვართ თუ? (დად.). 13. — შეენ, ბაბო? (დად.). 14. რად მოგყავთ ბა-
ლახი? რად აღენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზვავებს? რადა ზრდით
ლალთა ხარ-ჩიხეთა? (ვაჟა). 15. მაშ სად მდიოდა ასე გამალბული? (ყაზ.).

§ 16. ბრძანებითი წინადადება. ბრძანებითია წინადადება, რო-
მელიც მოითხოვს მთქმელის ნება-სურვილის შესრულებას. შინა-
არს-ინტონაციურად ბრძანებითი წინადადება მრავალფეროვანია.
იგი გამოხატავს: საკუთრივ ბრძანებას: გ ა ი ყ ვ ა ნ ე თ! — უბრძა-
ნა მან შემსრულებელს“ (კლდ.), მოწოდებას: „მეგობრებო, წინ...
წ ი ნ გ ა ს წ ი თ!“ (ვედ.), რჩევა-დარიგებას: „ბიჭო, ჰ კ ვ ი ა ნ ა დ,
ჰ კ ვ ი ა ნ ა დ!“ (ვაჟა), გამხნევებას: „ნუ გეშინია, ბიჭო, გაჰაგრდი!“
(რ. გვ.). თხოვნასა და ხეყწნა-მულარას: „ღმერთო, ჩემი შვილი პირ-

ნათლად ატარე!“ (ყაზ.), დალოცვას: „აი გაიზარდე, გაიზარდე!“ (ვაჟა), წყევლას: „შენს მოღალატეს მტერზე მოქნეული ხმალი ტარშიამც გაუტყდების!“ (ყაზ.), მისალმებას: „გამარჯობა, ბიძაჩემო!“ (რ. გვ.), მიწვევას: „მობრძანდით, მობრძანდით, გენაცვალე“ (რ. გვ.).

ბრძანებითი წინადადება წართქმითია ან უკუთქმითი. წართქმითი ბრძანებითი გულისხმობს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას, უკუთქმითი კი — შეუსრულებლობას (აკრძალვას, დაშლას). უკანასკნელა აკრძალვით ბრძანებითსაც უწოდებენ. უკუთქმით (აკრძალვით) ბრძანებითს ახლავს უარყოფითი ნაწილაკები „ნუ“ და „არ“ მარტო ან სხვა ნაწილაკთან თუ სიტყვასთან ერთად.

მაგალითები: 1. კაკო, ნუ სწყურები (ჰავ.). 2. ნუ ჩქარობ, ვაჟო! (ყაზ.). 3. არ წახვიდე! 4. ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას! (ბარ.). 5. ნუ რსად წაევა! 6. არსად წახვიდე!

ბრძანებით წინადადებას ხშირად აკლია ზმნა და ზოგჯერ ერთი სიტყვითაც არის გამოხატული (ზმნა იგულისხმება).

მაგალითები: 1. წყნარად!.. სიჩუმე! — მოისმა მასწავლებლის ხმა და შეწყდა ჩურჩული (ევდ.). სიკვდილი მოღალატეს, სიკვდილი! (ყაზ.). 3. დედაკაცო, ცეცხლი! (ჰავ.). 4. ტაში, ტაში, ტაში (რ. გვ.).

ზოგჯერ შეკვეცილია ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმა იმის გამო, რომ მის დასაწყისში ძლიერი მახვილია. 1. გამო, შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს (ერ.). 2. ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა, წადი! (ჰავ.). 3. ღორო, მომე ჯაგარი (ხალხ.). სრულად იქნებოდა: „გამოდი“. „გამეცალე“, „მომეცი“.

ქართულის ზოგ კილოში (მაგალითად მთის კილოებში) მოიპოვება ბრძანებითის ისეთი ფორმებიც, რომელთაც თხოვნითი ელფერი გადაჰკრავს.

მაგალითები: 1. ჩამოხვიდოდი, ბაღებს გამოთხოვებოდი, — უთხრა მზალომ (ყაზ.). 2. მზალვე მომიკითხე... უთხოვოდე, მომიგონოდე... (ყაზ.). 3. მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი გულ-მკერდზე დაიწეროდი! ბარო, წარბნი და წამწამნი იმ სიტყვით დაიკეროდი (ვაჟა).

ბრძანებითს წინადადებაში ხშირად გვაქვს ისეთი ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ ბრძანების ამა თუ იმ ნუანსს ან ძლიერე-

ბენ ბრძანებას. ასეთი ნაწილაკებია: ბარემ, დაე, დეე (დაეხსენ). ნცა, მო (მოდი), ვინძლო, აბა და სხვ.

მაგალითები: 1. დე მკერდს სისხლის დადი აჩნდეს და შუბლს ოფლის ნაკადული (ევდ.). 2. დეე რისხვით ცამ იქექოს! (ევდ.). 3. უწინამც დღე გაქპრობია შენს მკვლელს! (ვაჟა). 4. აბა, ბიჭო, ბანის (ვაჟა). 5. მოდი გავისეირნოთ 6. ბარემ ეგეც წაიღე!

ბრძანებითი წინადადება ზოგჯერ რიტორულია: მიმართულია ბუნების ძალებისადმი, უსულო საგნებისადმი, მიცვალებულისადმი და სხვა, რომელთაც არ შეუძლიათ, მთქმელს გამოეხმაურონ, მისი ნება-სურვილი შეასრულონ, მაგრამ წინადადება მაინც ბრძანებითია.

მაგალითები: 1. აღდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს! (ხალხ.) 2. მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა! (ხალხ.). 3. ნიავო მთისავ, ბუნების მაცოცხლებლო სულო დამბერე, გაავრიდე ჩემი მზურვალე გული! (ვაჟა).

ბრძანებითი წინადადების ბოლოს ძახილის ნიშანი დაისმის, მაგრამ, როცა ბრძანება არაა კატეგორიული ხასიათისა, თხრობით წინადადებისამებრ წარმოითქმის, ან თხრობითს ახლავს, წერტილი იწერება.

მაგალითები: 1. მირზა, მოდი აქ. (რ. გვ.). 2. მობრძანდი, მობრძანდი, გენაცვალე. (რ. გვ.).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ წინადადებები გამომეტყველებით. დაახასიათეთ თვითელი წინადადება შინაარსისა და ინტონაციის მიხედვით.

1. გაჩუმდი გაჩუმდი ხმა ჩაიწყვიტე! (წერ.). 2. ნუ ჩქარობ, ვაჟა! (ყაზ.). 3. ნუ გეშინია, შენი კენესამე, ნუ! (ყაზ.). 4. ვულს ნუ გაიტებს, მგოსანო! (ვაჟა). 5. მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! (ვაჟა). 6. ესრე ტკბილად დამიბერდი, ჩემო შეილო! (ვაჟა). 7. დილა მშვიდობისა, დილა კარგად ყოფნისა, ჩემო კეთილო დაიავ! (ევდ.). 8. მობრძანდით, ჩაი შიირთვით! (რ. გვ.). 9. ცხენები ჩქარა! ჩქარა ცხენები! (რ. გვ.).

§ 17. ძახილის წინადადება. ძახილისაა წინადადება, რომელსაც ახლავს მთქმელის ძლიერი გრძნობა. ამიტომ ძახილის წინადადება მთქმელის ემოციის, მისი გრძნობის გამოვლენას წარმოადგენს. თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები ადვილად გადაეცემა ძახილის წინადადებად, რომელიც განსაკუთრებული ძალად (ძახილის) ტონით წარმოითქმის და ამით განსხვავდება ყველა სხვა ტიპის წინადადებისაგან. მაგ., „წასულა“ თხრობითია, მაგრამ

იგვე ფორმა, წარმოთქმული გაკვირვებით, ძახილის წინადადება („წასულა!“), კითხვით წარმოთქმული — კითხვითია („წასულა?“). ანას გარდა, შეიძლება კითხვასთან ერთად ძახილიც იგულისხმებოდეს („წასულა!“).

ადამიანის გრძნობა მრავალფეროვანია, ამიტომ ძახილის წინადადებაც მრავალფეროვანია: გამოხატავს სიხარულს, მწუხარებას, შიშს, აღტაცებას, ნატვრას, აღშფოთებას, ზიზღს, დანანებას, განცვიფრებას, დაცინვას, შებრალებას, მოწონებას და სხვ.

ერთი და იმავე სიტყვით (თუ სიტყვებით) გადმოცემული ძახილის წინადადებით შეიძლება სხვადასხვა გრძნობა გამოიხატოს იმის მიხედვით, თუ რა ტონით არის წარმოთქმული. მაგ., „ყოჩაღ!“ ერთ შემთხვევაში შეიძლება მოწონებას გამოხატავდეს, მეორე შემთხვევაში კი — დაცინვას. წარმოთქმისას ეს გარჩეულია, მაგრამ წერის დროს ამ ნუანსების გადმოცემა შეუძლებელი ხდება, რადგანაც ნიშანი ერთია (!).

ძახილის წინადადების გადმოსაცემად, გარდა ინტონაციისა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს შორისდებულები და ნაწილაკები (აკი, არ, ნეტავი (ნეტა), რა, როდი...).

ძახილის წინადადების ბოლოს ძახილის ნიშანი დაისმის.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ წინადადებები გამომეტყველებით. გამოარკვიეთ, რა გრძნობაა ამა თუ იმ წინადადებაში გამოხატული.

1. ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებულთ (გრ. ორბ.). 2. ოჰ, რა ტკბილი ხარ, ოცნებაე ტკბილო (ვაჟა). 3. არც ერთი ჰრილობა სასიკვდილო არაა! (ყაზ.). 4. ნეტავი ეხლა ჩემი თამრო დამანახვია (ქავ.). 5. აფსუსს, წისქვილო აფსუსს, თედოს ამაგო! (ვაჟა). 6. ააჰ, რა ტყე გაფუჰდა, რა ტყე დაიღუპა!.. აფსუსს!.. (ვაჟა). 7. ბიჰოსი ბიჰოსი ყოჩაღ, მეგობარო, ყოჩაღ! (ვაჟა). 8. თურმე წყალი არ დაკლებია! (ვაჟა). 9. საწყალი წიფელი (ვაჟა). 10. ჰე, ახია შენზედ! (ვაჟა). 11. ვერ ამოგშხამდა!.. (ვაჟა). 12. გულადი ბიჭები ყოფილხართ, გულადი ბიჭები—დაგვცინა მან და ყველანი ერთად გავეუღეკით ვზას სოფლისავენ (ვედ.). 13. ოხ, რა ძნელია მოლოდინი (ვედ.). 14. წუხელას ცული სიზმარი ვნახე (ვაჟა). 15. ვაჰმე, ვაჰმე, ვაი ჩემო ამაგო, ჩემო უნაყოფო შრომავ! (ვაჟა). 16. აკი იმ ძუძუმწოვარებმა არ გამჭურდეს ეს დროული კაცი! (ქავ.). 17. რა საამური დრო არის, რა საამური წამია! (ვაჟა). 18. უჰ, რა ამაყი ყოფილა! (დად.).

§ 18. კითხვით-ძახილის წინადადება. წინადადება ზოგჯერ კითხვასაც შეიცავს და ძახილსაც: „მართლა გველემშაბივით არ მოიქლაცნება ეს არაგვი?!“ (წერ.). ასეთ წინადადებას კითხვით-ძახილის წინადადება ჰქვია. ამ ტიპის წინადადება გამოხატავს კითხვას და აგრეთვე მოქმედის გრძნობასაც — განცვიფრებას.

კითხვით-ძახილის წინადადების ბოლოს ორი ნიშანი დაისმის: კითხვისა (?) და ძახილისა (!).

მაგალითები: 1. ზღვის ძირში განა ჩააწვდენს კაცი ხმასა?! (ვაჟა). 2. სად გაგონილა, სად თქმულა?! (ვაჟა). 3. ნუთუ მის ღღეში არა გყოლია მოკეთე, გულის შემატკივარი?! (კავ.)

მოყვანილ მაგალითებში ჯერ კითხვის ნიშანია და შემდეგ ძახილისა, ე. ი. წინადადება კითხვით-ძახილისაა. მაგრამ ზოგჯერ წიხარის წამოწეული მთქმელის გრძნობა. ამიტომ ასეთი წინადადების ბოლოს ჯერ ძახილის ნიშანი დაისმის, შემდეგ — კითხვისა (!?).

მაგალითები: 1. განა ყველა, რაც ხმელია, კაცისგან საწუნარია!? (ვაჟა). 2. ახ, თქვენ ბრძანდებით!? (ს. კლდ.). 3. რა ყურმა უნდა გაუძლოს იმ მთების გულის ძგერასა!? (ვაჟა). 4. ...დათვმა როგორ უნდა დამბეგვოს!? (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები სათანადო ინტონაციით. აღნიშნეთ, რა ტიპისაა წინადადება.

1. არიქა, ვინ ხართ მამაცი?! (წერ.). 2. ეგ არის ძმობა და მეგობრობა?! (ვაჟა). 3. კაცმა კაცი როგორ უნდა მოკლას?! (ვაჟა). 4. აჟუ! მაგას როგორ ამბობ?! (ყაზ.). 5. შენ სიტოცხლე ხომ არ მოგპარბებია?! (ვაჟა). 6. შარშან განა ცოტა ორაგულები დახოცა ლვარაში?! (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ წინადადების შინაარსი და დაუსვით სათანადო ნიშნები.

1. ეს რა გავიგონე (წერ.). 2. განა მე არ მიყვარს (ვაჟა). 3. მამ უნდა შერჩეს დათვს იმისი შექმა (ვაჟა). 4. ოხ, რად იშლება ველზე ყვავილი, თუ იგი ასე მალე დაქცნება (ევდ.). 5. ვისა სცემთ, თქვე ბრიყვებო (ვაჟა). 6. აღამიანმა ხომ ჩენი ენა არ იცის (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 3. გაეცანით ქვემოთ მოყვანილ წინადადებებს. გამოარკვიეთ წინადადების შინაარსი და წაიკითხეთ გამომეტყველებით, სათანადო ინტონაციის დაცვით.

1. ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო (ყაზ.). 2. ტყეში ერთი დიდი მუხა იდგა (ვაჟა). 3. თქვენ იცით გერმანული? (ს. კლდ.). 4.— ჩხუბი მოგივიდა? — ჰკითხა არჩილმა გიორგის. — არა. ამასთან საჩხუბარი რა მქონდა? (კავ.). 5. აჰ ხომ არ არის მამაშენი? (კავ.). 6.— მამაშენი ნასწავლია? — ნასწავლი? რა ვიცი, ბარავს კი და! — მერე შენ იცი ბარვა და თონა? — არა (ევდ.). 7. სად ხარ, ჩემო სალამურო, ხმატკბილო და საამურო? (წერ.). 8. არიქა, ვინ ხართ მამაცი?! მიშველეთ! მტურავეებს დაუძახეთ! უშველეთ! — ჰყვიროდა ერისთავი (წერ.). 9. როგორ თუ არ დამხრჩვლა?! (წერ.). 10. ძლივს შუბლგახსნილი არ ვნახე! (კავ.).

§ 10. მრავალწერტილი. მრავალწერტილით აღინიშნება სათქმელის დაუმთავრებლობა, შეწყვეტა, აზრის ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამო-

თქმა, რასაც იწვევს მოლაპარაკის მდღეღარება, მისი მძიმე სულიერი მდგომარეობა, ზოზღვავებული გრძნობა, სხვათა ჩარევა, მოგონება და სხვ. ჩვეულებრივ იწერება სამი წერტილი ერთმანეთზე ძიყოლებით.

მაგალითები: 1. კიდევ!.. კიდევ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!.. მოვდივარ!.. (ჰავ.). 2. — დედი! ჰხედავ... ამ... ანგელოზს!.. — ძლივ-ძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზედ თვალ-გაჩერებულმა. — ვხედავ, შვილო!.. — დედი!.. ღვინო... (ჰავ.). 3. აფჩქარდი... შევცდი... მაგრამ რალა დროს?.. გვიანლა არი!.. გვიანლა არი!.. (წერ.). 4. მშვიდობით!.. ეს საწამლაღი ელვასავით სქრცხ... ცეცხლი მეღება! ვიწვი! ოჰ, წყალი!.. მეფეო, მგოსანს ნუ მოიშორებ... ქვეყნის... დი...ღება... ოჰ, ოჰ, მშვიდობით!.. (წერ.). 5. — წყა... — წამოიხრიალა გიორგიმ და ველარ დაათავა სიტყვა (ჰავ.).

შეწყვეტა, აზრის დაუმთავრებლობა, მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამოთქმა პოეტური სინტაქსის ერთ-ერთი სახეა, ფორმაა, ერთ-ერთი სახის ფიგურაა.

კითხვისა და ძახილის ნიშნების შემდეგ ერთმანეთზე მიყოლებით ორი წერტილი დაისმის (ნ. მაგალითები).

მრავალწერტილი დაისმის ენის მოკიდების, ბორძიკის აღსანიშნავად: ს...სსაკვირველია! ს...სსაოცარია! არაფერი არ მ...მესმის (მ. ჯავ.).

მრავალწერტილით აღინიშნება დამოწმებისას სიტყვისა თუ სიტყვების გამოტოვებაც.

§ 20. ლოგიკური მახვილი. ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში წინადადების აზრის ზუსტად გამოხატვისა და მსმენელის მიერ სწორად გაგებისათვის (ან წამკითხველს მიერ სწორად გაგებისათვის, თუ დაწერილთან გვაქვს საქმე) შეიძლება რომელიმე სიტყვას მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს, ვიდრე დანარჩენებს. ასეთი სიტყვა დანარჩენ სიტყვებთან შედარებით გაძლიერებულად წარმოითქმის, ე. ი. მახვილის მატარებელია წინადადების აზრის მიხედვით. ასეთ მახვილს აზრითი ანუ ლოგიკური მახვილი ჰქვია.

ლოგიკურ მახვილს სტილისტიკური ფუნქცია აქვს, იგი წინადადების მნიშვნელობის ნუანსებს გამოხატავს. მაგალითად, წინადადებაში: „მოხუცმა კარებზე ფრთხილად დააკაკუნა“ (რ. გვ.) — გაძლიერებული წარმოთქმით, ე. ი. ლოგიკური მახვილით, შეგვიძლია გაშოვოთ თვითეული სიტყვა: „მოხუცმა“ (და არა სხვამ), „კარებ-

ზე“ (და არა მაგიდაზე), „ფრთხილად“ (და არა სხვაგვარად), „დააკაუნა“ (და არა „დაარეკა“).

ლოგიკური მახვილი გავლენას ახდენს სიტყვათა რიგზე. მოცემულ წინადადებაში ლოგიკური მახვილის მიხედვით სიტყვები შეიძლება ასე დალაგდეს:

1. მოხუცმა კარებზე ფრთხილად დააკაუნა.
2. კარებზე ფრთხილად მოხუცმა დააკაუნა.
3. მოხუცმა ფრთხილად კარებზე დააკაუნა და სხვ.

ლოგიკური მახვილის მატარებელი სიტყვა წარმოადგენს წინადადების ლოგიკურ ცენტრს; ზეპირ მეტყველებაში ამას ვარკვევით იმით, რომ წინადადების ლოგიკური ცენტრი გაძლიერება-ამაღლებით წარმოითქმის სხვა სიტყვებთან შედარებით. ნაწერში კი ამას კონტექსტი და სიტყვათა რიგი არკვევს. ლოგიკურ მახვილს შეიძლება ატარებდეს არა მარტო სიტყვა წინადადებაში, არამედ თვით წინადადებაც სხვა წინადადებებს შორის. ნაწერში ლოგიკური მახვილის მატარებელი სიტყვის გასარჩევად ხაზგასმას მიმართავენ (ნაბეჭდში კი დაყოფით ან განსხვავებული სახის შრიფტით ბეჭდვას). ლოგიკური მახვილის მატარებელი სიტყვა ზოგჯერ მეორდება.

კითხვით წინადადებათა პასუხებში ხშირად მხოლოდ ლოგიკური ცენტრის გამომხატველი სიტყვები გვაქვს, რომელნიც არასრულ წინადადებას წარმოადგენენ.

ვინ დააკაუნა კარებზე ფრთხილად? — მოხუცმა.

რა ქნა მოხუცმა? — დააკაუნა.

როგორ დააკაუნა მოხუცმა კარებზე? — ფრთხილად.

ს ა ვ ა რ ჩ ი შ ო 1. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები. გამოარკვიეთ, რომელ სიტყვაზეა ლოგიკური მახვილი.

ა) 1. ამხანაგი გუშინ სოფელში წავიდა. 2. გუშინ სოფელში ამხანაგი წავიდა. 3. ამხანაგი სოფელში გუშინ წავიდა.

ბ) 1 მხედარმა ცხენი საძოვარზე გაუშვა (ვჟა). 2. ცხენი საძოვარზე მხედარმა გაუშვა. 3. მხედარმა საძოვარზე ცხენი გაუშვა.

ს ა ვ ა რ ჩ ი შ ო 2. გამოარკვიეთ, ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში რომელ სიტყვაზეა ლოგიკური მახვილი. სიტყვათა რიგი შეცვალეთ ისე, რომ ლოგიკური მახვილის ქვეშ სხვა სიტყვა იქნეს დაყენებული.

1. ვანომ მამას წერილი მისწერა. 2. ლუარსაბმა ქერს მიიბჩინა თვალები (ქავ.). 3. ღია სარკმლიდან უეტრად საყვირის ხმა შემოიჭრა (ს. კლდ.). 4. დუღუნებდნენ ყვავილები ერთხმად (ვჟა). 5. პატარა გუგულები თანდათან მოიზარდნენ (გოგ.).

3. ლ. კ ვ ი პ ა ძ ე, ქართული ენის სინტაქსი

წინადადების წევრები და მათი გამოსახტვა

§ 21. წინადადების წევრის რაობა. წინადადებაში შემავალ სრულმნიშვნელოვან სიტყვებს წინადადების წევრები ჰქვია. „დადგა ზამთარი. თეთრად გადაილესა მთები“ (ვაჟა). პირველ წინადადებაში ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, ე. ი. ორი წევრია, მეორეში — სამი. წინადადებაში: „ქრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა“ (წერ.) — ექვსი სიტყვაა. „და“ დამხმარე სიტყვაა (კავშირი), აერთებს ორ სიტყვას („დაათრო“ და „გააბრუა“), წინადადების წევრი არაა, ე. ი. ამ წინადადებაში ხუთი წევრია და ერთი არაწევრი.

ნაწილაკი და თანდებული (აგრეთვე ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით) წინადადების წევრი არაა, ახლავს ამა თუ იმ წევრს.

მაგალითები: 1. ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს (კავ.) 2. ორ ზღვას შუა ძველის-ძველად საომარი იყო ლელო (გ. ტაბ.). 3. გაზაფხულდა. ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ცა (წერ.). „თურმე“ და „უნდა“ ნაწილაკებია, „შუა“ — თანდებული, „ძირას“ კი — ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით. წინადადების წევრებია: „თურმე უნდა უცალოს“, „ორ ზღვას შუა“, „ბუჩქის ძირას“.

ერთ სინტაქსურ ერთეულს (წინადადების წევრს) წარმოადგენს სრულმნიშვნელოვან სიტყვათა შეკავშირების ზოგი შემთხვევა: „სურამის ციხე“ გუშინ წავიკითხე, ეხლა „გლახის ნაამბობს“ ვკითხულობ: „სურამის ციხე“ და „გლახის ნაამბობი“ თითო წევრია (დამატება) და არა ორ-ორი.

წინადადების წევრი, საზოგადოდ, ამა თუ იმ კითხვაზე მიუგებს. მაგალითი: „განთიადი ნელა შლიდა ფრთებს“ (ქიაჩ.). ამ წინადადებაში შემავალი წევრების კითხვები და პასუხებია:

1. რას შერებოდა განთიადი? — შლიდა.
2. რას შლიდა განთიადი? — ფრთებს.
3. რა შლიდა ფრთებს? — განთიადი.
4. როგორ შლიდა განთიადი ფრთებს? — ნელა.

კითხვა არ დაესმის წინადადების წევრს, რომელიც გადმოცემულია თვით კითხვითი სიტყვით (ვინ მოვიდა?) ან ბრძანებითის ფორმით მეორე პირისა (გააკეთე! წადი!). არ ეწყობა კითხვა შემასმენელს ზოგჯერ მაშინაც, როცა ის გადმოცემულია ზოგიერთი გარ-

დაუვალა ზმნით, რომელიც არაა ბრძანებითის ფორმა მეორე პირისა („პყავს“, „აქვს“, „უყვარს“, „ჰშია“, „არის“ და სხვ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები და გამოარკვეით, რამდენი სიტყვაა თვითივე წინადადებაში და რამდენი წევრი.

1. პატარა ალექსის თავის დღეში აქლემი არ ენახა (გოგ.). 2. ვაჟაკს ვაჟაკობა ყველგან უნდა ეტყობოდეს (ყაზ.). 3. ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო (ყაზ.). 4. ვაჟაკი დაცემულ მტერს ხელს აღარ ახლებს (ლომ.). 5. ორი კურდღლის მღვეარი ერთსაც ვერ დაიქერსო (ანდ.). 6. ვაჟაკი პირდაპირი უნდა იყოს (ყაზ.). 7. დაბლა უზარმაზარი ჰალა იყო დაცემული (ვაჟა).

§ 22. მთავარი და მეორეხარისხოვანი წევრები. წინადადების წევრებია: შემასმენელი, ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება და გარემოება. ამათგან ზოგი წევრი თავისი ფორმითა და შინაარსით რამდენიმე სახისაა. მაგ., გარემოება ხუთგვარია: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა. რამდენიმე სახისაა აგრეთვე დამატება და სხვ...

წინადადების წევრები ორგვარია: მთავარი და მეორეხარისხოვანი. მთავარია, საზოგადოდ, შემასმენელი და მასთან პირით დაკავშირებული წევრები (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება), ხოლო დანარჩენი წევრები—ყველა მეორეხარისხოვანია.

§ 23. მთავარ წევრთა რაოდენობა წინადადებაში. მთავარ წევრთა რაოდენობას წინადადებაში ზმნის აგებულება განსაზღვრავს: წინადადებაში იმდენი მთავარი წევრია, რამდენიც ეწყობა შემასმენელს პირით ერთის მიმატებით. მაგ., „დასავლეთ საქართველოში გუშინ წვიმდა“. „წვიმდა“ შემასმენელია. მასთან პირით არც ერთი წევრი არაა დაკავშირებული და არც იგულისხმება, ე. ი. ამ ტიპის წინადადებაში მხოლოდ ერთი მთავარი წევრია; „ბურსაკირის ღელეში ურიცხვი ცხვარი იღგა“ (ყაზ.): ამ წინადადებაში ორი მთავარი წევრია: შემასმენელი (ერთპირიანი ზმნა: „იღგა“) და ქვემდებარე („ცხვარი“); „შომშილმა ბახალეები ძალიან შეაწუხა“ (რაზ.): ამაში სამია: შემასმენელი („შეაწუხა“), ქვემდებარე („შომშილმა“) და პირდაპირი დამატება („ბახალეები“); „მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა“ (ვაგ.): მთავარი წევრი აქაც სამია: შემასმენელი („მოჰფენოდა“), ქვემდებარე („ნათელი“) და ირიბი დამატება („ქვეყანას“); „ბუზურას მხრების ქარ-

მა ბალახებს რხევა დააწყებინა“ (რაზ.): ამ წინადადებაში შემასმენელი („დააწყებინა“) სამპირიანი ზმნით არის გადმოცემული და ოთხი მთავარი წევრია: შემასმენელი („დააწყებინა“), ქვემდებარე („ქარმა“), ირიბი დამატება („ბალახებს“) და პირდაპირი დამატება („რხევა“).

მთავარი წევრები აყალიბებენ წინადადებას: „ღამე გამოეთხოვა ქვეყანას“ (კავ.), ან წარმოდგენენ წინადადების საფუძველს (თუ წინადადებაში მეორეხარისხოვანი წევრებიცაა): „შვინდის ტყეში ერთი მუხა იდგა“ (რაზ.).

მეორეხარისხოვანი წევრები უკავშირდებიან მთავარ წევრებს, ხსნიან მათ, ავრცობენ და მათთან ერთად ქმნიან სიტყვათა შეკავშირებას. გარემოება და უბრალო დამატება ჩვეულებრივ შემასმენელს უკავშირდებიან, განსაზღვრება კი — ქვემდებარე-დამატებათ. მეორეხარისხოვანი წევრი შეიძლება ახლდეს თვით მეორეხარისხოვან წევრსაც: „ივანეს ცხენი მეზობლის სიმინდში შეიპარა“ (გოგ.): ამ წინადადებაში მეორეხარისხოვანი წევრებია: „ივანეს“, „სიმინდში“ და „მეზობლის“. პირველი ქვემდებარეს უკავშირდება („ივანეს ცხენი“), მეორე — შემასმენელს („სიმინდში შეიპარა“), მესამე კი მეორეხარისხოვან წევრს ახლავს („მეზობლის სიმინდში“).

წინადადების მთავარი შემოღობი

შემასმენელი

§ 24. შემასმენლის რაობა: შემასმენელი წინადადების ძირითადი წევრია, რომელიც უმეტესად ზმნის პირიანი ფორმით გადმოიცემა. ზმნა მდიდარია მორფოლოგიური კატეგორიებით და ერთდროულად მრავალ ცნებას გამოხატავს. ამიტომ შემასმენელიც ისევე რთული შინაარსის (ე. ი. მრვალი ცნების) გამომხატველია, როგორც თვით ის ზმნა, რომლითაც შემასმენელია გადმოცემული. იგი გამოხატავს საგნის მოქმედებას („მერცხალი ჭიკჭიკებს“), მდგომარეობას („ბავშვი წევს“), გრძნობას („ღედას შვილი უყვარს“), ყოლა-ქონებას („განოს ორი შვილი ჰყავს“; „ვანოს წიგნი აქვს“), მოქმედებასა და კუთვნილებითს დამოკიდებულებას სუბიექტ-ობიექტს შორის („ღეღამ კაბა შეიკერა“), ან კიდევ ობიექტებს შორის („ღეღამ შვილს კაბა შეუკერა“), ან მიგვითითებს, რა მოსდის საგანს („სითბოსაგან რკინა ფარ-

თოვლები“), როგორია საგანი („შეპარი ტკბილია“), რა არის საგანი („ია ყვავილია“)...

შემასწავლებელი ორგვარი: მარტივი და შედგენილი.

§ 25. მარტივი შემასწავლებელი. მარტივია შემასწავლებელი, რომელიც ზმნის პირიანი ფორმითაა გამოხატული.

მაგალითები: 1. კაკლის ტოტზე მხოლოდ შაშვი-ღა გალოზ-ღა (ვაჟა). 2. მთვარე ღრუბელს მოჰფარებოდა (ყაზ.).

მარტივ შემასწავლებელს შეიძლება ახლდეს ნაწილაკი.

მაგალითები: 1. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლომე ხმელს წიფელს (ვაჟა). 2. ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს (ჭავჭ.).

ზოგი გარდაუვალი ზმნა (IV უღლების ზმნები) აწმყოს მწკრივის პირველსა და მეორე პირში რთული ფორმითაა წარმოდგენილი (მესამე პირში მარტივი ფორმა): ვლგავარ, ვლგავართ; სღგახარ, სღგახართ; ვსწერივარ, ვსწერივართ; სწერიხარ, სწერიხართ; რთულ-ლია ერთ-პირიან ზმნათა ფორმები III სერიის მწკრივებშიც: გავზრდილვარ, გავზრდილხარ; გავზრდილიყავ, გავზრდილიყავ... ასეთი რთული ფორმები ზმნის უღლების სისტემაში შედის და ამიტომ მარტივ შემასწავლებლად მიიჩნევა (და არა შედგენილად).

რამდენიმე პირნაკლი ზმნა წარმოშობით შედგენილი შემასწავლებელია, ამჟამად კი — მარტივი: თბილა (← თბილ არს), ცივა (← ცივ არს), ცხელა (← ცხელ არს), ბნელა (← ბნელ არს), გრილა (← გრილ არა)...

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო . წაიკითხეთ მაგალითები: გამოარკევით, რა ტიპისაა შემასწავლებელი და როგორია ზმნის ფორმითაა ის გამოხატული.

1. თბილა შეგუბებულმა პაერმა მოძრაობა დაიწყო (ჭავჭ.). 2. დადგა გაზაფხული. პაერში სითბო დატრიალდა (რაზ.). 3. ცხელი მთის კალთებზე შეფენილიყო (რაზ.). 4. ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო (ყაზ.). 5. ჩვენო არავფო! რა რიგ მიყვარხარ! (ჭავჭ.). 6. ამა, მოვლდვარ! (ჭავჭ.). 7. იქ, ცის კიდურზე, ათასამდე მერცხალა შეკრებილიყო (ევდ.). 8. ცივა. ქვა ტყვრება (ვაჟა). 9. გრილა. ღამე რთვილს აგდებს (ვაჟა).

§ 26. შედგენილი შემასწავლებელი. შედგენილია შემასწავლებელი, რომელიც შეიცავს ბრუნებად სიტყვას (სახელს ან სახელზმნას) და შემველ ზმნას. მაგალითი: „მე მწერალი გახლავართ“ (ჭავჭ.); „მე“ ქვემდებარეა, „მწერალი გახლავართ“ კი შედგენილი შემასწავლებელია, რომლის პირველი ნაწილი სახელია, მეორე — შემველი

ზმნა. შედგენილ შემასმენელში შემავალ სახელს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ჰქვია, მეშველ ზმნას კი — ზმნური ნაწილი.

შედგენილ შემასმენელში გვხვდება ყოველგვარი სახელი და სახელზმნა: არსებითი სახელი („ია ყ ვ ა ვ ი ლ ი ა“), ზედსართავი სახელი („შაქარი თ ე თ რ ი ა“), ნაცვალსახელი („ეს წიგნი ჩ ე მ ი ა“), რიცხვითი სახელი („ორჯერ თორმეტი ო ც და ო თ ხ ი ა“), მიმღობა, („განშობა გა და ს უ ლ ი ი ქ ნ ე ბ ო და“ (რახ.) და საწყისი („ცოლ-ქმრის აშლა მებზობელს ფ ა ყ რ ა ე გ ო ნ ა ო“ (ანდ.).

ქვემდებარე და სახელადი ნაწილი ზოგჯერ ერთი და იმავე სიტყვით არის გადმოცემული: „უსწავლელის ყ ო ფ ნ ა რ ა ყ ო ფ ნ ა ა, უსწავლელის ო ი ც ო ც ხ ლ ე რ ა ს ი ც ო ც ხ ლ ე ა“ (ვაჟა); „ც ხ ვ ა რ ი ც ხ ვ ა რ ი ა, თუ გაცხარდა, ცხარიაო“ (ანდ.).

სახელადი ნაწილი სახელია წარმოშობით, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება იგი ზმნიზედად იყოს ქცეული: „ბავშვი სოფელში კ ა რ გ ა დ გახდა“ („კარგი“ ზედსართავი სახელია, „კარგად“ — ზმნიზედა).

მეშველი ზმნა ზოგჯერ ჩავარდნილია (გამოტოვებულია) და შემასმენლის გამოხატვა მთლიანად სახელს აქვს დაკისრებული: „თუ მოწადინებული ხარ წიგნისათვის, მე — ო ს ტ ა ტ ი და შენ — შ ე გ ი რ დ ი“ (ვაჟ.).

მეშველი ზმნის გამოტოვებისას ქვემდებარესა და სახელად ნაწილს შორის ტირე იწერება.

ს ა ვ ა რ ა ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. მარტივ შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, შედგენილს — ორი.

1. პეპლები აფრთხილდნენ ყვავილებზე (რახ.). 2. ტყეში ერთი მუხა იღვა (ვაჟა). 3. ჩვენ თქვენი სტუმრები ვართ (ყახ.). 3. მაშ საქმე გაჩაღებული ყოფილა (ყახ.). 4. ბეეიას მარცხენა ხელი ჩამოკრული ჰქონდა (ყახ.). 5. გიორგი ტყეში ყოფილიყო ქიგოს საქრელად (ვაჟ.). 6. პირიშვერ მზის მოტრფილა (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ა ჯ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები. სახელად ნაწილს ერთი ხაზი გაუსვით, მეშველ ზმნას კი — ორი. გამოარკვიეთ, რა მეტყველების, ნაწილია შედგენილ შემასმენელში შემავალი სახელი (სახელადი ნაწილები).

1. პატოსანი, დარბაისელი ხალხი ბრძანდებით (ვაჟა). 2. დიდი გულჩახვეული კაცი ყოფილხარ (რ. გვ.). 3. მშვენიერი და კოპწია სოფელია მთის კალთებზე შეფენილი საჩხერე (ველ.). 4. სანდრო თუმცა ზარბაცი იყო, მაგრამ

გული კი კეთილი ჰქონდი (გოგ.). 5. მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები (ვაკ.). 6. დაბლა უზარმაზარი ქალა იყო დაცემული (ვაკ.).

§ 27. შედგენილ შემასმენელში შემავალი ზმნები. ზმნათა დიდზე დიდი უმეტესობა წინადადებაში მარტივი შემასმენელია. რამდენიმე ზმნა ხან მარტივი შემასმენელია, ხან კი შედგენილი შემასმენლის ნაწილი. მეშველად გამოყენებული ზმნა უმეტესად გარდაუვალია, იშვიათად გარდამავალიც. მეშველად ჩვეულებრივ შემდეგი ზმნები გვხვდება: „ვარ“ (მონაცვლე ზმნებითურთ: „ვიქნები“, „ვიყავი“), „მაქვს“ („მექნება“); „მყავს“ („მეყოლება“), „ბრძანდება“. „გახლავს“, „გამოღდა“, „გახდა“, „გახალა“, „დარჩა“, „ჰგონია“. „დადგა“, „ჩანს“, „აღმოჩნდა“.

მეშველი ზმნა მოსდევს სახელად ნაწილს („ვახშმობა გადასული იქნებოდა“ (რაზ.) ან უსწრებს მას („დაბლა უზარმაზარი ქალა იყო დაცემული“ (ვაკ.). ზოგჯერ მეშველი ზმნა სახელადი ნაწილისაგან გათიშულია („ქარგა ხშირი ბინდი იყო დედამიწაზე დაცემული“ (ლომ.).

„ვარ“ ზმნის შესამე პირის ფორმა ხშირად შეკვეცილია. დარჩენილია მარტო „ა“, რომელიც უერთდება სახელად ნაწილს (როცა მოსდევს მას: „შოშია ლამაზი ფრინველია“ (გოგ.), ან სხვა სიტყვას (როცა უსწრებს წინ: „ჩვენი კოლმეურნეობა მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი“ (ა. კეიშ.). „თვალუწვდენზეა ვენახი გაშენებული... (ს. კლდ.). მოყვანილ მაგალითებში შემასმენლებია: ა(რის) ცნობილი, ა(რის) გაშენებული. მეშველად გამოყენებული ზმნა ხშირად დამოუკიდებელი ზმნაა, ე. ი. მარტივი შემასმენელია. მაგალითთ: „ბავშვს ხელში წოგნი ჰქონდა“. „ჰქონდა“ აქ მარტივი შემასმენელია, მაგრამ წინადადებაში: „ბავშვს წიგნი წაკითხული ჰქონდა“ — იგივე „ჰქონდა“ მეშველი ზმნაა.

„ა“ ზოგჯერ ქვემდებარესთან არის შეერთებული და ამის გამო ორი წევრი ერთ სიტყვად არის წარმოდგენილი: „ირგვლივ მთებია დიდრონი“ (ვაკ.). „მთები“ აქ ქვემდებარეა, აკი მარტივი შემასმენელია („დიდრონი“ ქვემდებარის განსაზღვრებაა. „ირგვლივ“ — ადგილის გარემოება).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. წაიკითხეთ მაგალითები. ამოიწერეთ შედგენილი შემას-
მენლები, სახელად ნაწილს გაუსვით ერთი ხაზი, მეშველ ზმნას კი — ორი.

1. ვაჟკაცი პირდაპირი უნდა იყოს (ყაზ.). 2. ონისე არაბული გელას მეზო-
ბელი იყო (ყაზ.). 3. ონისეს გული ჩვილდებოდა და მორჩილი ხლებოდა (ყაზ.).
4. [კამჩს] ზაქობაში გატარებული დრო სანატრული გაუხდა (რაზ.). 5 ჩვენ
ახალგაზრდები ვართ (რაზ.). 6. პატიოსანი, დარბაისელი ხალხი ბრძანდებით.
(ვაჟა). 7. გამიხარდი განთქმული მონადირე იყო (ვაჟა). 8. მე მწერალი გახლ-
ვართ (ვაჟ). 9. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის
ლონისა და სიეოცხლის მიმცემი (ვაჟ.). 10. [დათიკო] მშვენიერი შესახედავი
ყმაწვილი კაცი დადგა (ვაჟ.). 11. გიტო გახლდათ დათიკოს უნამუსობის აენ-
ჩავანი (ვაჟ.). 12. დედას შვილი ისევ ლოგინში მწოლარე ეგონა (ვაჟ.). 13. ჩვენი
შიში ტყუილი გამოდგა (გოგ.). 14. დიდი გულჩვილი კაცი ყოფილხარ (რ. გვ.).
15. შენ კვიციანი გოგო ხარ, კარგი კომკავშირელი იქნები (ს. კლდ). 16. ყმაწვა-
ლები განუყრელი მეგობრები გახდნენ (ქიაჩ.). 17. მთვარით გაქათათებული
სოფელიც გამოცვლილი იქნებოდა (რ. გვ.). 18. ჩემი გეგმა შესრულებული
მექნება (ს. კლდ.). 19. ერთი მათგანი გულის ძველი ნაცნობიც აღმოჩნდა
(ქიაჩ.). 20. უკანა კედელი თითქმის მოსრულებული ჩანდა (ქიაჩ.). 21. ახალმო-
სული მწყემსი გაშტერებული დარჩა (ყაზ.). 22. ზოგ ძალს ყურები იცქვეტილი
აქნა (გოგ.). 23. გალიაში დედლებთან ერთად მამალი ჰყავდა დამწყვედული (ვაჟა).
24. ბნელი და მშვიდი ღამეა (დად.). 25. ერთადერთი ღირსება სიბერისა გამოც-
დილებაა (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2 წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელ შემთხვე-
ვაშია ა სახელად ნაწილთან შეერთებული და რომელ შემთხვევაში — სხვა
სიტყვასთან.

1. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? (ვაჟ.).
2. არწივის საყვარელი საქმელი პირუტყვის სისხლია (გოგ.). 3. ფშატაძე დიდ
საქმებშია გაბმული (ვაჟა). 4. ბავშვი სკოლაშია წასული. 5. ჩვენი კოლმეურ-
ნეობა მთელ რესპუბლიკაშია ცნობილი (ა. კეიშ.). 6. ია მშვენიერი პაწაწინა
ყვავილია (რაზ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 3. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, როდის არის
ა მეშველი ზმნისა და როდის არა.

1. კარგია გაღვიძებული აღამიანი... (ვაჟ). 2. პირიშუე შხის მოტრფი-
ლვა (ვაჟა). 3. ცხარე ცრემლს ღვრიდნენ ქათმები, იდგა გლოვა და ზარია
(ვაჟა). 4: თოვლი დამდნარა მთაზედა, ხეებზე მოჰყვტს ღვარაა; აქით არაგვი
აყვირდა, იქით ბანს აძლევს მტკვარია (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 4. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები და გი-
პოარკვიეთ, ერთი და იგივე ზმნა როგორ შემთხვევაში უნდა გავიგოთ მარტივ
შემასმენლად და რომელ შემთხვევაში შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნა-
წილად.

1. ა) სარდიონი ვენახში დარჩა (ქაფ).- ბ) ჩვენი მონადირე ხელცარიელი
დარჩა (გოგ.).

2. ა) ბავშვს მშვენიერი თვალები ჰქონდა. ბ) ონისეს თავი დახრილი ჰქონდა (ყაზ).

3. ა) ზაფხულში ბავშვები სოფელში იყვნენ. ბ) კესანე და იო ტბილში მებობლები იყვნენ. (რაზ).

4. ა) ჩვენ მესხეთში ვყოფილვართ. ბ) ჩვენ ძველი მესხები ვყოფილვართ (ს. კლდ.).

5. ა) მთაწმინდიდან თბილისი ხელისგულივით ჩანს. ბ) დასკვნები ეპეშიუტანელი ჩანს.

6. ა) ამხანაგს ბავშვი სოფელში ჰყავს. ბ) ამხანაგს ბავშვი სოფელში ჰყავს გაგზავნილი.

7. ა) ავადმყოფობისაგან ბავშვი გახდა. ბ) ბავშვი ჩემი გულითადი მეგობარი გახდა.

§ 28. სახელადი ნაწილის ბრუნვები. სახელადი ნაწილი ჩვეულებრივ სახელობით ბრუნვაში დგას, იშვიათად — ვითარებითში, ხოლო ორიოდე ზმნასთან მიცემითის ფორმითაც გვხვდება.

მაგალითები: 1. ბეკინა სამანიშვილი ღარიბი აზნაური იყო (კლდ.). 2. იძულებულს ხდიდა პელაგიასაც და ბეგლარსაც (კლდ.). 3. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი (კავ.).

სახელადი ნაწილი, როცა ის მხოლოდით რიცხვშია, გარეგნულად ზოგჯერ არ განსხვავდება უბრალო ნათესაობითის ფორმისაგან, მრავლობითში დასმისას კი ნათესაობით-სახელობითის რთული ფორმა უფრო მკაფიოდ არის წარმოჩენილი.

მაგალითები: 1. კედელი წნელისა აღმოჩნდა (რ. გვ.). 2. მაიმუნები სხვადასხვა ჯიშისანი არიან (გოგ.).

მხოლოდითის ფორმები ხშირია წლოვანების გადმოსაცემად: „მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი“ (კავ.). ამ შემთხვევაში საზღვრული სახელია ჩავარდნილი, გამორტოვებული. მოყვანილ წინადადებაში ასეთ სახელად „ბავშვი“ უნდა ვივარაუდოთ: „მაშინ თორმეტი წლის ბავშვი ვიყავი“. მაგრამ ზოგჯერ განორტოვებას არა აქვს ადგილი და საზღვრული სახელიც მოიპოვება: „[კეპია] ოცი წლის ბიჭი გეგონებოდა“ (კავ.); „მე მაშინ ოცდახუთი წლის ვაჟკაცი ვიქნებოდი“ (ლომ.).

თუ შედგენილ შემასმენლად აღწერილობითი ვნებითია გამოყენებული, მასში შემავალი მიმღეობა ფუძის სახითაა წარმოდგენილი, როცა იგი უსწრებს ზმნას („ჩემი ძმა გაგზავნილ იქნა ფოთს“), და სახელობითშია, თუ მოსდევს მას („ჩემი ძმა ფოთს იქნა გაგზავნილი“).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. სახელად ნაწილს ერთი ხაზი გაუსვით, მეშველ ზმნას კი — ორა. აღნიშნეთ, სახელადი ნაწილი რომელი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი.

1. პატარა შიმვლები დიდი ხეები გახდნენ (რაზ.). 2. წყალი საშინლად ცივი იყო (ვაჟა). 3. ხეივანი მძიმე მტევნებით არის დატვირთული (მ. ჯავ.). 4. დილაზე ავადმყოფი უირესად შეიქმნა (კლდ.). 5. თუ ამაღამ ოფლი შოიდინე, ხელე კარგად გახდები (ლომ.). 6. დარჩა ველი ობლად. (ვაჟა). 7. ის სიკვდილამდის ისევ იმ გიორგიდ დარჩა (წერ.). 8. პეტრე განათხულზე ავად გახდა (გაბ.). 9. ის გარემოება, რომ ყური მოეკრათ ამ ამბისათვის, ჩემთვის უკვე საინტერესოს ხდიდა მათთან საუბარს (ს. კლდ.). 10. იმედი მაქვს იძულებულს არ გამხდით... (ყაზ.). 11. ამაღამ დავასვენებ და კარგად შეიქნები (ყაზ.). 12. იანვრის მიწურულში თერთმეტი წლის გახდა ბიძინა (ჯავ.). 13. შვიდი წლასა ვიქნებოდი (გოგ.). 14. ვასო კარგი გულისაა (ვაჟა). 15. სულ სხვა ბუნების, მიმართულების და ხასიათის იყო მამაჩემი (წერ.). 16. შენობანი სოფლისა სულ ქვიტირისანი იყვნენ (გოგ.). 17. მე კი ექიმები ქვის გულისანი მეგონა (გაბ.). 18. ისინი სხვანაირი მოდგმისანი არიან (რ. გვ.). 19. მენახირენი ვაოცებას იყვნენ (მ. ჯავ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები. აღნიშნეთ, როგორია შემასმენლები და გაცვით პასუხი, რა შემთხვევაშია მიმღეობა ფუძის სახით წარმოდგენილი და რა შემთხვევაში დგას ის სახელობით ბრუნვაში.

1. ა) ეს სასურველი სიტყვა თეიმურაზისაგან იქნა წარმოთქმული. (ლომ.).
ბ) ეს სასურველი სიტყვა წარმოთქმულ იქნა თეიმურაზისაგან.

2. ა) ბავშვი სოფელში იქნა გაგზავნილი. ბ) ბავშვი გაგზავნილ იქნა სოფელში.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 3. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები და გამოარკვეთ, ერთნაირ სიტყვათაგან რომელი უნდა გავიგოთ მარტივ შემასმენლად და რომელი — შედგენილად.

1. ა) შინ ისე მივედი, რომ ერთი წვეთი წვიმაც არ დამცემია.

ბ) სიცრუე და ორპირობა კაცის ღირსების დამცემია.

2. ა) ქართველ ხალხს მტრებისათვის ქედი არასოდეს მოუღრეკია.

ბ) ეს ცხენიც, ძმაო, ჩემთან შეზრდილა, მოუღრეკია როგორც რომინი, (ჯავ.).

3. ა) ბავშვს მთელ დღეს სიმინდი უტეხია.

ბ) ეს ბავშვი ხასიათით უტეხია.

ქვემდებარე

§ 29. ქვემდებარის რაობა. ქვემდებარე წინადადების მთავარი წევრია. იგი ზმნის სუბიექტური პირის ფარდი სახელია და წინადადებაში სათანადო საგანს მოქმედლად წარმოგვიდგენს. მაგალითი: „ტყეში ერთი დიდი მუხა იღვა“ (ვაჟა).

ქვემდებარე მოქმედი საგნის სახელია (სუბიექტური პირის ფარდი სახელია), რეალური ვითარების მიხედვით კი ისევე მრავალფეროვანია, როგორც თვით სუბიექტური პირი, რომლის ფარდაც ის წარმოადგენს, სახელდობრ: ა) რეალურადაც მოქმედი („ბავშვი სურათს ხატავს“); ბ) რეალურად უმოქმედოა („ბავშვი წევს“); გ) განიცდის მოქმედებას („ბავშვი იხატება“); დ) საქმის მოთავე და ხელმძღვანელია, მოქმედებას რეალურად სხვა ასრულებს („ბავშვი ამხანაგს სურათს ახატვინებს“); ე) მოქმედების გამომწვევი მიზეზია, მოქმედების რეალური შემსრულებელი კი სხვაა („ბავშვი ეხატვინება“); ე) აღნიშნავს საგანს, რომლის თვისებაა გამოსატული („ბავშვი ბეჭითია“ ან მდგომარეობა („ბავშვი დამშვიდებულია“)... მაშასადამე, თუ როგორია მიმართება რეალურად მოქმედ პირსა და გრამატიკულად მოქმედ (სუბიექტურ) პირს შორის, — დამოკიდებულია იმაზე. თუ როგორი ზნითაა შემასმენელი გადმოცემული.

ს ა ე ა რ კ ი შ ო . გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორი. გამოაკვიეთ, როგორია მიმართება გრამატიკულ ქვემდებარესა და რეალურ ვითარებას შორის.

1. გულამაყრელები მთაში მიდიოდნენ (ყაზ.). 2. ბახალები სიხარულით მხრებს ატყაპუნებდნენ (რაზ.). 3. ბუხარში მუხის ჭიკვები დანაკვერცხლდა (რ. გვ.). 4. ბუხურას მხრების ქარმა ბალახებს რხევა დააწყებინა (რაზ.). 5. სიბერე სიკვდილის ცალი გვერდია (ვაჟა). 6. შოშია ლამაზი ფრინველია (გოგ.). 7. დაძაბუნებული ხეები იმის [კოდალას] ნისკართით იყო მოქვერთილი (ვაჟა). 8. ვეთრევიები [მე] ზღვის ტალღებს (ვაჟა).

§ 30. ქვემდებარის გადმოცემა სხვადასხვა მეთყველების ნაწილით. ქვემდებარე ჩვეულებრივ სახელითა და სახელზმნით გადმოიცემა. სახელთაგან უმეტესად არსებითი სახელები და ნაცვალსახელებია (პირისა, კითხვითი) გამოყენებული, სახელზმნათაგან კი — საწყისები და მოქმედებითი გვარის მიმღობანი. მაგრამ ქვემდებარე საზოგადოდ შეიძლება გადმოიცეს ყოველგვარი სიტყვით. რომელიც არსებითი სახელის მნიშვნელობითაა გამოყენებული.

მაგალითები: 1. მ თ ვ ა რ ე ღ რუბელს მოჰფარებოდა (ყაზ.). 2. დ ა ბ ა ლ მ ა არც შემომხედა. მხოლოდ რადაცა ჩაიბურტყუნა (ს. კლდ.). 3. ჩ ვ ე ნ კაკლის ძირში შევიყუყენით (ლომ.). 4. ყ ვ ე ლ ა ნ ი ერიდებოდნენ ავთანდილთან ზამთრობით სტუმრობას (გ. წერ.). 5. ეს ჩურჩული ე რ თ მ ა მეორეს გადასცა, მ ე ო რ ე მ — მესამეს (ლომ.). 6. ირმის მ ო კ ვ ლ ა მხიარულებათ

ათკეცებდა (ვაჟა). 7. დაკრილმა თვალეზი ნელ-ნელა გაახილა (რ. გვ.).

პირველ მაგალითში ქვემდებარე არსებითი სახელით არის გად-
მოცემული („მთვარე“), მეორეში — ზედსართავი სახელით („და-
ბალმა“), მესამესა და მეოთხეში — ნაცვალსახელებით („ჩვენ“,
„ყველანი“), მეხუთეში — რიცხვითი სახელებით („ერთმა“, „მეო-
რემ“), მეექვსეში — საწყისით („მოკვლა“), მეშვიდეში — მიმღობით
 („დაკრილმა“).

ზოგიერთი საკუთარი სახელი (გეოგრაფიული, თხზულების სა-
თაური და სხვ.), რომელიც გადმოცემულია ერთმანეთისაგან გაუ-
თიშავი სიტყვებით ან მთელი წინადადებით, წინადადებაში ერთი
წევრია. ასეთი სიტყვათა გაერთიანება და წინადადება შეიძლება
ქვემდებარედაც იქნეს გამოყენებული: „შავი კაცი“, „შავი ღელა-
ლი“, „შავი თმა“ — აქ „შავი“ ყველგან განსაზღვრებაა, მაგრამ
როცა ვამბობთ „შავი ზღვაო“, აქ ორივე ერთ ცნებას გამოხატავს.
ამიტომ წინადადებაში: „შავი ზღვა საქართველოს დასავლეთით
აკრავს“ — ქვემდებარეა „შავი ზღვა“. მსგავსად ამისა „რაც გინა-
ხავს, ველარ ნახავ“ ცაგარლის პიესაა ქვემდებარეა მთლად პიესის
სათაური („რაც გინახავს, ველარ ნახავ“).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ნაწილაკი, შორისდებული, კავშირი და თანდ-
ებული საზოგადოდ წინადადების წევრი არაა, მაგრამ მათ ზოგჯერ
არსებითი სახელის მნიშვნელობით ვიყენებთ: „ში“ მიცემით
ბრუნვის ფორმას დაერთვის, „ხოლმე“ ნაწილაკია, „მისმა
„გ ა ი მ“ ძალიან შემაწუნა“, „მ ა გ რ ა მ“ აერთებს ორ სიტყვას ან
ორ წინადადებას“. აქ „ში“, „ხოლმე“, „ვაიმ“, „მაგრამ“ ქვემდ-
ებარეებია.

ს ე ვ ა რ ჯ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუს-
ვით, ქვემდებარეს — ორი. მარჯვნივ ფრჩხილებში მიუწერეთ, რა მეტყველების
ნაწილია გამოყენებული ქვემდებარის გადმოსაცემად.

1. ცხვარი მთის კალთებზე შეფენილიყო (რაზ.). 2. ქარი გრიადებდა. თოვლი
შეზე სპეტაკად ბრწყინავდა. მსხალი ნელ-ნელა ირწეოდა (რაზ.). 3. ამის გავო-
ნებაზე მალაშმა, რომელსაც აბესალომი რქმეოდა, თვალეზი დააბრიალა
(ს. კლდ.). 4. ერთი რომ სკრიდა და ჰკათავდა, მეორე სხლავდა და მორებად
ხერხავდა, მესამე კი მინდორზე ეზიდებოდა და იქ აწყობდა (ქიან.). 5. საამუ-
რის სიტყვაში წყალში დგომა (ვაჟა). 6. ამულ-ჩამომულენი გოგრას გამარ-
ჯვების ეუბნებიან (ვაჟა). 7. „ოთარაანთ ქვრივი“ 1887 წელს დაიწერა. 8. ბარ-
კალზედ დაღად „ს“ იყო გამოხატული (ვაჟა).

§ 81. ქვემდებარის ბრუნვები და კითხვები. ქვემდებარის ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი. ამათგან მოთხრობითი საკუთრივ ქვემდებარის ბრუნვაა. სახელობითი და მიცემითი კი, გარდა ქვემდებარისა, დამატების ბრუნვებაცაა. მაგალითები: 1. ცაზე ვ არს კ ვ ლ ა ვ ე ბ ი აკიაფდნენ (წერ.). 2. ა რ წ ი ვ შ ა ფრთა ფრთას შემოჰკრა (რახ.). 3. ღამის წყვილიადისათვის ვ ა ნ თ ი ა დ ს ნისკარტი ეკრა და ფერი ეცვლევინებინა (ყაზ.). პირველ წინადადებაში ქვემდებარე სახელობითშია („ვარსკვლავები“), მეორეში — მოთხრობათში („არწივმა“), მესამეში — მიცემითში („განთიადს“).

ქვემდებარე „ვინ“ ან „რა“ ჯგუფის სახელით არის გადმოცემული. ამის შესაბამისად ქვემდებარეც ამ ორ კითხვაზე მიუგებს. „ვინ“ კითხვაზე მიუგებს ქვემდებარე, რომელიც სახელობითში ან მოთხრობითში დგას (ვინ წერს? — ბავშვი. ვინ დაწერა? — ბავშვმა), ხოლო „ვის“ კითხვაზე — მიცემითში დასმული. „რა“ ნაცვალსახელს კი სამივე ბრუნვის ფორმა განსხვავებული აქვს (რა მოდის? — ძაღლი. რა მ შექამა? — ძაღლმა. რა ს შეუქამია? — ძაღლს).

„ვინ“, „ვის“, „რა“ და „რას“ კითხვებზე, გარდა ქვემდებარისა. მიუგებენ დამატება-ობიექტებიც (პირდაპირი და ირიბი), „რამ“ კი საკუთრივ ქვემდებარის კითხვაა. კითხვა არ დაესმის ქვემდებარეს, თუ ის კითხვითი ნაცვალსახელებით არის გადმოცემული. ქვემდებარის ამოსაცნობად კითხვებს, საზოგადოდ, ვერ დავეყრდნობით.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები და აღნიშნეთ ქვემდებარის ბრუნვა და კითხვა.

1. დადგა ვაზაფხული. ჰაერში სითბო დატრიალდა (რახ.). 2. გოგამ ვაზაფხულზე მეცხვარეობა მოიწადინა (ვაჟა). 3. თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო (ვაჟ). 4. პატარა ალექსის თავის დღეში აქლემი არ ენახა (გოგ.).

§ 82. ქვემდებარე პირველი, მეორე და მესამე პირის ფორმებთან. ქვემდებარის ბრუნვისათვის მნიშვნელობა აქვს, ეს ქვემდებარე მესამე სუბიექტური პირის ფარდი სახელია. თუ პირველწეორისა.

მესამე სუბიექტურ პირთან შეწყობილი ქვემდებარის ბრუნვისათვის კი მნიშვნელობა აქვს, გარდამავალი ზმნით არის შემასმენელი გადმოცემული თუ გარდაუვალთ; როცა გარდამავალი ზმნაა შემასმენლად, რომელი სერისის მწკრივის ფორმაა ის: პირველისა, მეორისა თუ მესამისა.

§ 88. ქვემდებარე გარდამავალი ზმნის მესამე პირის ფორმასთან. გარდამავალი ზმნის (ორპირიანისა თუ სამპირიანის) მე-3 სუბიექტურ პირთან შეწყობილი ქვემდებარე ბრუნვა-ცვალებადია: პირველი სერიის მწკრივის ფორმებთან სახელობითშია, მეორე სერიის მწკრივებთან — მოთხრობითში, მესამე სერიის ფორმებთან კი — მიცემითში. ვნახოთ ეს ორპირიანი გარდამავალი ზმნის მაგალითზე.

I სერია

ა) აწმყოს წრე

- | | | | | |
|----|-------------|--------|----------|---------------------------|
| 1. | ბ ა ვ შ ვ ი | სურათს | ხატავს | } ქვემდებარე სახელობითშია |
| 2. | | | ხატავდა | |
| 3. | | | ხატავდეს | |

ბ) მყოფადის წრე

- | | | | | |
|----|---|--|------------|---|
| 4. | | | დახატავს | } |
| 5. | " | | დახატავდა | |
| 6. | " | | დახატავდეს | |

II სერია

- | | | | | |
|----|---------------|--------|---------|---------------------------|
| 7. | ბ ა ვ შ ვ მ ა | სურათი | დახატა | } ქვემდებარე მოთხრობითშია |
| 8. | " | | დახატოს | |

III სერია

- | | | | | |
|-----|-------------|--|-----------|-------------------------|
| 9. | ბ ა ვ შ ვ ს | | დაუხატავს | } ქვემდებარე მიცემითშია |
| 10. | " | | დაეხატა | |
| 11. | " | | დაეხატოს | |

გარდამავალი ზმნის ქვემდებარე საზოგადოდ რეალურადაც მოქმედია, მოქმედების უშუალოდ შემსრულებელი („ბავშვი ხატავს“) ან კიდევ მოთავეა და ხელმძღვანელი, მოქმედების უშუალოდ შემსრულებელი კი სხვაა („ბავშვი დედას სურათს ახატვინებს“).

ბრუნვაცვალებადია ქვემდებარე იმ ზმნებთანაც, რომელთაც პირდაპირი დამატება დაკარგული აქვთ (და ამის გამო სამპირიანი ზმნა ორპირიანად არის გადაქცეული, ორპირიანი — ერთპირიანად), მაგრამ ინარჩუნებენ გარდამავალი ზმნის სხვა ნიშნებს (მორფოლოგიურსა და სინტაქსურს): „**ა რ ჩ ი ლ მ ა** გოცებით **შ ე ჰ ხ ე დ ა** კესოს“ (ჭავ.). „**მ ტ რ ე დ ე ბ მ ა** მწყერს **და უ ც ა დ ე ს**“ (ვაჟა). „**ამ დროს ქ უ ხ ი ლ მ ა** **და ი გ რ ი ა ლ ა**“ (ჭავ.).

ზმნები, რომელთაც პირდაპირი დამატება აღარ აქვთ და ქვემდებარე კი ბრუნვაცვალებადი ეწყობათ, წარმოშობით მოქმედებათი გვარის ფორმებია. ერთი წყება ასეთი ზმნებისა ენაცვლება საშუალო გვარის ზმნებს, რომელთაც საკუთარი ფორმები მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში მოეპოვებათ: **ტ რ ი ა ლ ე ბ ს ი გ ი**, **ი ტ რ ი ა ლ ა მ ა ნ**; **დ უ ლ ს წ ყ ა ლ ი**, **ი დ უ ლ ა წ ყ ა ლ მ ა**; **ტ ი რ ი ს ბ ა ვ შ ვ ი**, **ი ტ ი რ ა ბ ა ვ შ ვ მ ა**...

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით. ქვემდებარეს — ორი. აღნიშნეთ, რომელ ბრუნვაში დგას ქვემდებარე და რატომ (როგორია ზმნა გარდამავლობის მიხედვით).

1. გაზაფხულზე დაწყებულ საქმეს ზაფხული გვირგვინს დაადგამს (ვაჟა).
2. ხეები განაგრძობდნენ თათბირს (ვაჟა). 3. უშვილობა გერასიმეს გულს უკლავდა (ჭავ.). 4. ნელი სიო ოდნავ არხევდა ფოთლებს (რ. გვ.). 5. მხედარმა ცხენი საძოვარზე გაუშვა (ვაჟა). 6. ოთარაანთ ქერი იე ფიქრმა წაიღო (ჭავ.).
7. სიცოცხლის მომცემს მზეს ათასფერად აყვავებინა დედამიწა (რახ.). 8. მეორე გაზაფხულზე ცირცელს ფოთლები აღარ გამოუტანია (რახ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან აიღეთ ერთ-ერთი. ზმნა გადაიყვანეთ სამივე სერიის ყველა მწკრივში (მესამე პიროში, მხ. რიცხვში) და სათანადოდ შეუწყვეთ სახელები.

1. განთიადი ნელა შლიდა ფრთებს (ქიაჩ.). 2. მეურმემ ურემი გააჩერა (ვედ.). 3. ბავშვმა სული განაბა. 4. გეხანძრეები ცეცხლს აქრობენ. 5. გაზაფხულზე მერცხალი ბუდეს აკეთებს.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 3. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორი. აღნიშნეთ, მოეპოვებათ თუ არა ზმნებს პირდაპირი დამატება და როგორი ქვემდებარე შეეწყობა: ბრუნვაცვალებადი თუ ბრუნვაუცვლელი.

1. ნოდარმა ცას ახედა (რ. გვ.). 2. იმ ენაჩავარდნილმა ადგილმა გაიხმაურა (ჭავ.). 3. მოხუცმა კარებზე ფრთხილად დააკაკუნა (რ. გვ.). 4. ვოჩამ გაკვირვებით გადმოხედა შვილს (ქიაჩ.). 5. დარბაზს ერუანტელმა დაუარა (წერ.). 6. ქალებმა ნაბიჯს აუჩქარეს (ქიაჩ.). 7. ამ დროს ცამ საშინლად დაიქექა (ვაჟა).

§ 84. ქვემდებარე გარდაუვალი ზმნის მესამე პირის ფორმასთან-
გარდაუვალი (ერთპირიანი თუ ორპირიანი) ზმნის მესამე პირის
ფორმასთან შეწყობილი ქვემდებარე ყოველთვის სახელობით
ბრუნვაშია.

ზმნა ერთპირიანია

ზმნა ორპირიანია

I სერია

ა) ა წ მ ყ ო ს წ რ ე

- | | | | |
|----------------|------------|----------------|--------------|
| 1. ბ ა ე შ ე ი | იმალება | 1. ბ ა ე შ ე რ | დედა ემალება |
| 2. | იმალებოდა | 2. | ემალებოდა |
| 3. | იმალებოდეს | 3. | ემალებოდეს |

ბ) მ ყ ო ფ ა დ ი ს წ რ ე

- | | | | |
|----|--------------|----|--------------|
| 4. | დაიმალება | 4. | დაემალება |
| 5. | დაიმალებოდა | 5. | დაემალებოდა |
| 6. | დაიმალებოდეს | 6. | დაემალებოდეს |

II სერია

- | | | | |
|----|----------|----|----------|
| 7. | დაიმალა | 7. | დაემალა |
| 8. | დაიმალოს | 8. | დაემალოს |

III სერია

- | | | | |
|-------|-------------|-------|--------------|
| 9. | დამალულა | 9. | დამალულია |
| 10. | დამალულიყო | 10. | დამალულობდა |
| 11. „ | დამალულიყოს | 11. „ | დამალულობდეს |

გარდაუვალი ზმნა ვნებითი გვარისაა ან საშუალობა (ერთპირი-
ანი ან ორპირიანი). ვნებითი თავის მხრივ სხვადასხვაგვარია: ინიანი
(ერთპირიანი), ენიანი (ორპირიანი), დონიანი (ერთპირიანი ან ორ-
პირიანი) და უნიანი (ერთპირიანი თუ ორპირიანი). საშუალო გვა-
რის ზმნაც ერთპირიანია („დულს“) ან ორპირიანი („უდულს“).
როგორც უნდა იყოს გარდაუვალი ზმნა გვარისა და პირთა რაოდენობის მხრივ, სულერთია, ქვემდებარე ყოველთვის სახელობითი ზრუნვის ფორმით შეეწყობა (ბრუნვა-შეცვლილია). ოღონდ საშუა-
ლი გვარის ზმნებს, რომელთაც ნაკლები ფორმების შესავსებად მოქმედებითი გვარის ფორმები აქვთ გამოყენებული პირდაპირ-
ობიექტური პირის გამოორიციხვით, ქვემდებარე ბრუნვა-ცვალებადი შეეწყობათ (ნ. § 33).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო . 1. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით. ქვემდებარეს — ორი. გამოარკვიეთ, რომელი გვარისაა ზმნა, რამდენ-

პირიანია და რომელი სერიის რომელი მწკრივის ფორმაა. აღნიშნეთ, რომელი ბრუნვის ფორმითაა ქვემდებარე შეწყობილი და ზმნის სხვა სერებში გადაყვანით შეიცვლება თუ არა ქვემდებარის ბრუნვა.

ა) 1. მინდორი თანდათან მშვიდდება (რახ.). 2. ფრინველები სიცილით იხოცებიან (ვაჟა). 3. შუა მინდორზე მდინარე მოიკლავება (ვაჟა). 4. ფოთლებზე კვარი კამკამბდა (რ. გვ.). 5. ეზოში ციციანთალები დაფრინავდნენ (რ. გვ.). 6. ნისლი ეფარებოდა შორს გადაშლილ ალაზნის ველს (ს. კლდ.). 7. მთა მწვანდებოდა (ვაჟა).

ბ) 1. დედამიწა განათდა. გამოჩნდა მშვენიერი ვაკე ქვეშის აღმართისა. აქ ბუნება სრულებით შეიცვალა მშვენიერი მდიდარი სურათებით (ყახ.). 2. უცნობს ფერი ეცვალა (ყახ.). 3. ჰაერში სიგრილე ჩამოვარდა (რახ.). 4. დედანეში ვახშმის მზადებას შეუდგა (ვაჟა). 5. მტრედს გულში ნათელი ჩაუდგა (ვაჟა). 6. მტრედს გული დაუმშვიდდა (ვაჟა). 7. არწივი ლუმს მიუახლოვდა (ვაჟა).

გ) 1. მთვარე ღრუბლებს მოჰფარებოდა (ყახ.). 2. ამ კლდესაც ხავერდით მწვანე ხავსი გადაჰკერა (ვაჟა). 3. მინდორში გაშლილიყო მშვენიერი უსუნო ყვავილი (გოგ.). 4. ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო (ყახ.). 5. ყველას პირსახეზედ მზრუნველობის ბეჭედი დასტყობოდა (ყახ.). 6. ცხვარი მთის კალთებზე შეფენილიყო (რახ.).

ს ა ე რ ა ჯ ი შ ი 2. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით. ქვემდებარეს — ორი. გამოარკვიეთ: ა) რომელი სერიის ფორმითაა შემასმენელი გამოხატული; ბ) ბრუნვაყვალბადი ქვემდებარე შეწყობა თუ ბრუნვაუცვლელი.

1. მთელი ოქახი ფეხზე დადგა (წერ.). 2. დილაობით ნამები შეგროვდებოდნენ იის ფოთლებზე (რახ.). 3. ყველაფერს გაზაფხულის ფერი დასდებია (ვაჟა). 4. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს (ვაჟა). 5. ტყის მღვმარებას ქვემეხების ქუხილი არღვევდა (რ. გვ.). 6. ნელი სიო ოღნავ არხვევდა ფოთლებს (რ. გვ.). 7. განთიადი ნელა შლიდა ფრთებს (ქიაჩ.).

ს ა ე რ ა ჯ ი შ ი 3. ქვემდებარეები სათანადო ბრუნვის ფორმით შეუწყვეთ შემასმენლებს და მაგალითები ისე გადაწერეთ. აღნიშნეთ, რომელი ბრუნვის ფორმით შეწყობა შემასმენელს ქვემდებარე და რატომ.

1. მონღირებ... შინ წასასვლელად გაემზადნენ; ქალებ... ურმებში ჩალავდნენ; ვაჟებ — ცხენებზე ამხედრდნენ (ვაჟა). 2. გაშმაგებულ... ფუტკრებ... მინდვრის კეკლუტთ თავს ევლებოდნენ (ყახ.). 3. მეცხვარეებ... ცხვარი საზამთრო ფარეხებში დააბინავეს (გოგ.). 4. მინდვრები და ქედები გვავლდა... სულ მთლად გადაეჰკან (ვაჟა). 5. მეცხვარე... ნამ-წვიმისაგან დაზუზული ცხვარი მთის კალთებზე გაეშალა. (რახ.).

§ 85. ქვემდებარე პირველი და მეორე პირის ფორმებთან. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები უბრუნველია. ამიტომ ბრუნვაყვალბადია ქვემდებარე თუ ბრუნვაუცვლელი, ამას ამ ნაცვალსახელების ქვემდებარედ შეწყობისას ვერ გავიგებთ.

სახელობითი და მოთხრობითი არაა გარეგნულად გარჩეული მესამე სუბიექტურ პირთან ქვემდებარედ „ვინ“ ნაცვალსახელის შეწყობის დროსაც: ვინ აკეთებს? — ბავშვი; ვინ გააკეთა? — ბავშვმა. მსგავსი ვითარებაა მაშინაც, როცა ზმნის ამა თუ იმ სუბიექტურ პირთან ქვემდებარედ უბრუნველი ნაცვალსახელი „თვითონ“ არის შეწყობილი. ეს განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ჩვეულებრივ ახლავს ქვემდებარეს როგორც განმსაზღვრელი (მაგალითად, მე თვითონ ვავაკეთე), მაგრამ შემასმენელს დამოუკიდებლადაც შეიძლება დაუკავშირდეს. „თ ვ ი თ ო ნ აკეთებს“, „თ ვ ი თ ო ნ გააკეთა“ (შდრ. ბავშვი აკეთებს, ბავშვმა გააკეთა).

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, რომლებიც ზმნის ფორმით ადვილად იგულისხმება, ხშირად გამოტოვებულია: 1. ვგალობ და ვგალობ და იმით ვხარობ (ქავ.). 2. მთელი ღამე დავდიოდით ველზე (ვაჟა). 3. ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს და იმის პატრონს ნუ ეძახი მხდალს (ქავ.).

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების ქვემდებარედ შეწყობისას ზოგჯერ დანართის სახით ქვემდებარის ვინაობის დამაზუსტებელი სიტყვაც არის მოცემული იმ ბრუნვის ფორმით, რომელსაც ზმნა მოითხოვს გარდამავლობისა და სერაიების მიხედვით.

მაგალითები: 1. ჩვენ, კ ა ც ნ ი, მაშინ ვამბობთ (ვაჟა). 2. თქვენ, კ ა ც ნ ი, ამას რაკუნს ეძახით (ვაჟა).

დანართს ფორმა არკვევს, თუ რომელი ბრუნვის ფუნქციით არის ნახმარი ქვემდებარედ შეწყობილი ნაცვალსახელები. ნაცვალსახელები რომ გამოვტოვოთ, მათ ადვილს დანართი დაიჭერს და ზმნას ქვემდებარედ დაუკავშირდება: „კ ა ც ნ ი მაშინ ვამბობთ“; „კ ა ც ნ ი ამას რაკუნს ეძახით“.

„ჩვენ“ ნაცვალსახელის ნაცვლად ზოგჯერ „მე და შენ“ („მე და თქვენ“) ან „მე და ის“ („მე და ისინი“) იხმარება. ამ შემთხვევაში „შენ“ და „თქვენ“ ისევე უცვლელი იქნება, როგორც „მე“, ხოლო „ის“ და „ისინი“ („იგი“ და „ივინი“) ან მათ ნაცვლად რომელიმე არსებითი სახელი („მე და კ ო ტ ე“, „მე და მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი“, „მე და მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ი“) ზმნის პირველი სუბიექტური პირის ფორმასთან ისეა შეწყობილი, როგორც ამას მოითხოვს ზმნა გარდამავლობისა და სერაიების მიხედვით.

მაგალითები: 1. მე და ის დიდი მეგობრები ვიყავათ (ლომ.). 2. ერთხელ მე და პ ა პ ა ჩ ე მ ი ერთ ადგილს შევიყარენით (ქავ.).

3. იმ დღიდან დაეიწყეთ მე და იმან „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა (კავ.). 4. მე და ჩემმა ამხანაგებმა სიცილი დაეიწყეთ (კავა).

მსგავსი ვითარებაა მაშინაც, როცა „თქვენ“ გამოტოვებულია და ზმნის მეორე სუბიექტურ პირთან ქვემდებარედ ამ ნაცვალსახელის მნიშვნელობის გადმომცემი სიტყვებია („შენ“ ნაცვალსახელისა და მესამე პირის ნაცვალსახელისა თუ სხვა სახელის სახით) დაკავშირებული: „შენ და შენი თოფი სულ მუდამ გამარჯვებულები ხართ“ (კავა); „შენ და შენი რძალი და სანღო ყანის სამკალად წადით“ (კავა).

მაშასადამე, თუ პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმასთან ქვემდებარედ ბრუნვიანი სიტყვებია დაკავშირებული, ისინი მათ ისე შეეწყობა, როგორადაც იმავე ზმნის მესამე პირის ფორმებს გარდამავლობისა და სერიების მიხედვით.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსეთ, ქვემდებარეს — ორი გამოარკვიეთ, რომელია ზმნის ფორმაში სუბიექტური პირი, რომელ რიცხვშია ის და რომელი სახელია მასთან ქვემდებარედ შეწყობილი, აგრეთვე რა შემთხვევაში ჩანს ქვემდებარის ბრუნვა და რა შემთხვევაში — არა.

1. მე ოცნებას ვეძლეოდი (ყაზ.). 2. ჩვენ კაცის ძირში შევიყუყუენით (ლომ.). 3. მე ჩემს ლექსს წავიკითხავ, შენ შენი ლექსი წავიკითხე (ველ.). 4. ყველანი სიკედილს შეიღებენ ვართ (ყაზ.). 5. ჩვენ ახალგაზრდები ვართ (რაზ.). 6. თქვენ ყმაწვილი კაცი ბრძანდებით (კავ.). 7. მე და ოთხი სოფლის ბიჭი ამ დროს საბძლის გვერდში ვისხედით (კავა). 8. მე და ბიძაჩემი ვენახში შევედით (ლომ.). 9. ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა, გაეზიარეთ ყველამა საქმე (კავკ.). 10. ჭერი არა გვაქვს, მწყემსები მშვირები ვიზოცებით (ყაზ.). 11. შვლები, საზოგადოდ, მოხერხებულები ხართ (კავა). 12. თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვი, ჩქარა ეიუბნებთ სხვისასა (კავა). 13. მთას რომ უტყვროთ კაცნი, მე მუდამ თვალს გადამაცილებთ (კავა).

§ 30. ქვემდებარე ბრძანებითის ფორმასთან. პირველი და მეორე პირის ბრძანებითის ფორმასთან ხშირად იხმარება წოდებითში დასმული სიტყვა, რომელიც აღნიშნავს, თუ რად მიიჩნევს მოუბარე პირი (ე. ა. პირველი) იმას, ვინც უნდა შესარტლოს მისი ნებასურვილი, ბრძანება. მაგ. წინადადებაში: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა“ (სალხ.) — ბრძანება მიმართულია მეორე სუბიექტური პირისადმი, რომლის ფარდი სახელი, ქვემდებარე, „შენ“ ნაცვალსახელია, რომელიც აქ გამოტოვებულია, მაგრამ იგულის-

ხმება: „შენ ამოდი!“ „შენ ნუ ეფარები გორასას!“ „შუეო“ არაა ზმნასთან დაკავშირებული და წინადადებაში განკერძოებით დგას.

წოდებითში დასმული სიტყვა ხელმეორედ ბრუნებისას შეიძლება წინადადების წევრიც გახდეს, მაგალითად ქვემდებარე: ილია ქუეკვაძის „ჩემო კალამო“ 1861 წელს დაიწერა. „ჩემო კალამო“, რომელიც წოდებითის ფორმაა, მოყვანილ წინადადებაში სახელობითში იგულისხმება და ქვემდებარეა.

ს ა ე ა რ ჭ ი შ ო . აღადგინეთ გამოტოვებული ქვემდებარეები ბრძანებითის ფორმებთან და მაგალითები ისე გადაიწერეთ. აღდგენილ ქვემდებარე კვადრატულ ფრჩხილებში () ჩასვით. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორი, მიმართვის ფორმებს (წოდებითში დასმულ სიტყვებს) — კლავნილი.

1. ზღვაო, აღელდი, აღელდი, ქართველის დაემორჩილე ამთაგორე ტალღები, კიდევს გადააცილე (წერ.). 2. მეგობრებო, წინ, წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული (ვედ.). 3. ოზარდე, მწვანე ჭეჩილო, დაპურდი, გახდი ყანაო (დავ.). 4. წავიდეთ ჩქარა, მომყე (ვაჟა.). 5. შუეო, დაშხედე წვიმავ, დამნაშე კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუქარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომავდებ (ვაჟა.). 6. ბელტი ბელტზედა გადმოვაწვიროთ და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ (ვაჟ.).

ღამატება-ობიექტები (პირმიმართი ღამატებანი)

§ 87. ღამატებათა ორი ძირითადი ჯგუფი. ქართულში ღამატებათა ორი ჯგუფი გვაქვს: ღამატება-ობიექტები და უბრალო ღამატებანი. ღამატება-ობიექტები ზმნის აგებულებით არიან მოცემული; ისინი ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახელებია. ამიტომ ასეთ ღამატებას პირმიმართ ღამატებასაც ეძახიან. უბრალო ღამატება არაა ზმნის აგებულებით ნაგულისხმევი და ამის გამო ზმნის ობიექტურ პირთან არც არის დაკავშირებული. ასეთ ღამატებას სხვანაირად პირმიუძართავი ღამატება ჰქვია. მაგალითად, წინადადებაში: „მონადირემ თოფით დათვი მოკლა“ — ორი ღამატება გვაქვს. ამათგან ერთი („დათვი“) ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახელია, ე. ი. ღამატება-ობიექტია, მეორე კი („თოფით“) ზმნის ობიექტურ პირთან არ არის დაკავშირებული და უბრალო ღამატებაა.

ღამატება-ობიექტები წინადადების მთავარი წევრებია, უბრალო ღამატებანი — მეორეხარისხოვანი. ღამატება-ობიექტები (პირმიმართი ღამატებები) წინადადებაში მაშინ გვაქვს, როდესაც

შემასმენელს ორ ან სამპირიანი ზმნით არის გადმოცემული (ერთპირიან ზმნას ასეთი დამატება არა აქვს). უბრალო დამატება შეიძლება. ახლდეს არა მარტო პირიანი ზმნით წარმოდგენილ შემასმენელს (რამდენ-პირიანიც უნდა, იყოს ზმნა), არამედ უპიროსაც, რომელიც წინადადებაში მეორეხარისხოვანი წევრია. მაგალითად, „თოფით მოკლული დათვი ურმით წაიღეს სოფელში“: ამ წინადადებაში სამი დამატებაა: „დათვი“, „ურმით“ და „თოფით“. ამთვან ერთი („დათვი“) შემასმენლის ობიექტურ პირთან არის დაკავშირებული (წაიღეს, რა? — დათვი), ორი დანარჩენი კი („თოფით“ და „ურმით“) ზმნის პირიანობით არ არის ნაგულისხმევი. შეიძლება ითქვას: „ურმით წასადები“, „ურმით წაღებული“, „ურმით წაღება“. „თოფით“ დამოკიდებულია „მოკლულ“ სიტყვისაგან, რომელიც მოყვანილ წინადადებაში განაზღვრება („მოკლული დათვი“), მაშასადამე, მეორეხარისხოვანი წევრია მეორეხარისხოვან წევრთან („თოფით მოკლული“). „დათვი“ ზმნის ობიექტური პირის ფარდი სახელია და დამატება-ობიექტი ანუ პირმიმართი დამატებაა, „ურმით“ და „თოფით“ კი — ორივე უბრალო დამატებაა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. დამატება-ობიექტს ერთი ხაზი გაუსვით, უბრალო დამატებას — ორი. გამოარკვიეთ, უბრალო დამატება შემასმენელთან არის დაკავშირებული თუ წინადადების მეორეხარისხოვან წევრთან.

1. ტოროლამ წისკარით ამოგლიჯა რამდენიმე ბალახი (გოგ.). 2. შიმშილმა ბახალეზი ძალიან შეაწუხა (რაზ.). 3. ზოგან არწივს ხაფანგით იჭერენ (გოგ.). 4. კამეჩები წნელთ გამოება ურემზე (კავ.). 5. მეურმემ ურემი გააჩერა (ვედ.). 6. მთვარით გაშუქებულ ქუჩაში არავინ ჩანდა (რ. გვ.). 7. დემეტრეს სახლის ეზოში ღვინით სავსე ტივება ეწყო (ვაჟა). 8. ხეები განაგრძობდნენ თათბირს (ვაჟა).

§ 38. ორგვარი დამატება-ობიექტი (პირმიმართი დამატება). ორპირიან ზმნასთან ერთი დამატება-ობიექტია დაკავშირებული, სამპირიანთან — ორა. მაგალითი: „მთვარე ღრუბელს მოჰფარებოდა“ (ყაზ.): „მოჰფარებოდა“ ორპირიანი ზმნაა. ორივე პირი მესამეა. სუბიექტური პირის ფარდი სახელია „მთვარე“, ობიექტური პირისა — „ღრუბელს“. მაშასადამე, „მთვარე“ ქვემდებარეა, „ღრუბელს“ — დამატება-ობიექტი (პირმიმართი დამატება). „ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს“ (ვაჟა): „დაუწყეს“ სამპირიანი ზმნაა. ერთი პირი სუბიექტისაა, ორი — ობიექტისა. სუბიექტური პირის ფარდი სახელია „ხეებმა“, ობიექტური პირებისა. — „თელას“ და

„თვალერება“. მაშასადამე, სამპირიან ზმნასთან პირის მიხედვით დაკავშირებულია ქვემდებარე და ორი დამატება-ობიექტი.

ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. ამის შესაბამისად დამატება-ობიექტიც ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. ღრპირიან ზმნასთან ერთ-ერთია შესაძლებელი, სამპირიანთან — ღრივე.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გადიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორი, დამატება-ობიექტს — კლაცინილი. გამოარკვეით, რამდენი მთავარი წევრია თვითეულ წინადადებაში.

1. შიშის გულმა ფრთხილი დაუწყო (რახ.). 2. მტრედს გული დაუმშვიდდა (ვაჟა). 3. ყველა თელ კოდალას მიაპრო (ვაჟა). 4. არწივი ლეშს მიუახლოვდა (ვაჟა). 5. დედას გულმა ტეხა დაუწყო (ქავ.). 6. პატარა მაროს ძმამ მერცხლის ბარტყი მიუყვანა (გოგ.). 7. მცხეთას არაჩვეულებრივი ელფერი ეღვა (ვედ.). 8. განთიადი ნელა შლიდა ფრთებს (ქიაჩ.). 9. ნოდარი ტყეს უახლოვდებოდა (რ. გვ.)

§ 38. დამატება-ობიექტების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით. დამატება-ობიექტები იმავე მეტყველების ნაწილებით გადმოიციენა, რომლებითაც ქვემდებარე. ამ მხრივ ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებს შორის განახვავება არაა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გადიწერეთ მაგალითები. ქვემდებარეს ერთი ხაზი გაუსვით, დამატება-ობიექტს — ორი. გამოარკვეით, რა მეტყველების ნაწილით არას გადმოცემული ქვემდებარე და დამატება-ობიექტი.

1. ნოდარმა ხარბად დაიწყო კამა (რ. გვ.). 2. ნაცობმა ხმამ დაქრილს ფრანტელი მოჰგვარა (რ. გვ.). 3. პელაგია დიდი ობით შეეგება სტუმარს (კლდ.). 4. [ფშატაძე] ერთს ქათამს მოსტაცებდა, მეორეს — ბატს, მესამეს — ინდურს, მეოთხეს — თვარს და სხვ. (ვაჟა). 5. ამისაგან შენ ისწავლე და შენ მე მასწავლეო (საბა). 6. შენ მე წამახლოსე, მე კიდევ შენ წაგახალისებ (ქავ.). 7. ვაჟაკი დაცემულ მტერს ხელს აღარ ახლებს (ლომ.). 8. არც პოს ამბობდა და არც არას (დად.). 9. განა მარტო „პო“ და „არა“ ჩხუბობენ (ვაჟა). 10. ეს უკანასკნელი პასუხს ოღვედა პირველ „მეს“ (ვაჟა).

§ 40. დამატება-ობიექტების ბრუნვები და კითხვები. დამატება-ობიექტების ბრუნვებია სახელობითი და მიცემითი: „ლუარსაბმა ჭერს მიაბჯინა თვალები“ (ქავ.): ამ წინადადებაში ორი დამატება-ობიექტია. ამათგან ერთი სახელობითში დგას („თვალები“), მეორე — მიცემითში („ჭერს“). ეს ორი ბრუნვა ქვემდებარისა და დამატება-ობიექტების საზიარო ბრუნვებია.

დამატება-ობიექტების კითხვებია ვინ და რა სახელობითისა და მიცემითის ფორმით (ვინ? ვის? რა? რას?). ამ კითხვებზე მიუგებს სახელობითსა და მიცემითში დასმული ქვემდებარეც (ვინ კითხვაზე

მოთხრობითში დასმული ქვემდებარეც, როცა ის ადამიანის აღმწერ-
შენელი სახელით არის გადმოცემული). მაშასადამე, ქვემდებარესა
და დამატება-ობიექტებს საზიარო აქვთ არა მარტო ბრუნვები
(გარდა მოთხრობითისა), არამედ კითხვებიც. ამიტომ ქვემდებარისა
და დამატება-ობიექტების ამოსაცნობად და ამ წევრთა ერთმანეთი-
საგან გასარჩევად თავისთავად არც ბრუნვები გვშველის და არც
კითხვები.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვეით, რამდენი დამატება-
ობიექტია შემასმენელთან დაკავშირებული და რომელი ბრუნვის ფორმით.

1. მენახირეები ნახის სოფლისკენ ძოწნით მოაყოლებენ (რახ.).
2. ღამე გამოეთხოვა ქვეყანას (ქავ.).
3. პატარა გოგომ ჩაფით წყალი მოარბენინა (კლდ.).
4. პატარა მაროს ძმამ შერცხლის ბარტყი მიუყვანა (ვოგ.).

§ 41. პირდაპირი დამატება. პირდაპირია დამატება, რომელიც
წინადადებაში ზმნის პირდაპირ-ობიექტური პირის ფარდ სახელად
არის წარმოდგენილი. პირდაპირი დამატება მხოლოდ გარდამავალ
ზმნას მოეპოვება (ორპირიანს თუ სამპირიანს). ქვემდებარის მოქ-
მედება მას ეხება უშუალოდ („ბავშვმა ს უ რ ა თ ი დახატა“) ან
სხვა პირის მეშვეობით („ბავშვმა დედას ს უ რ ა თ ი დაახატინა“).
მესამე პირდაპირ-ობიექტურ პირთან შეწყობილი დამატება პირდა-
პირია და ბრუნვაცვალებადი. პირველი სერიის ფორმებთან მიცე-
მითში დგას, ხოლო მეორე და მესამე სერიის ფორმებთან სახელო-
ბითშია. გარდამავალ ზმნასთან ქვემდებარეც ბრუნვაცვალებადია.
მაშასადამე, გარდამავალ ზმნასთან (ორპირიანთან თუ სამპირიანთან)
ორი ბრუნვაცვალებადი წევრია დაკავშირებული: ქვემდებარე და
პირდაპირი დამატება.

ზმნა ორპირიანია

ზმნა სამპირიანია

I სერია

ა) ა წ მ ყ ო ს წ რ ე

1. ბავშვი წერილს წერს
2. " " წერდა
3. " " წერდეს

1. ბავშვი დედას წერილს სწერს
2. " " " სწერდა
3. " " " სწერდეს

ბ) მყოფადის წრე

- | | |
|-------------------------|--------------------------------|
| 4. ბავშვი წერილს დაწერს | 4. ბავშვი დედას წერილს მისწერს |
| 5. " " დაწერდა | 5. " " " მისწერდა |
| 6. " " დაწერდეს | 6. " " " მისწერდეს |

II სერია

- | | |
|--------------------------|---------------------------------|
| 7. ბავშვმა წერილი დაწერა | 7. ბავშვმა დედას წერილი მისწერა |
| 8. " " დაწეროს | 8. " " " მისწეროს |

III სერია

- | | |
|--------------------|-------------------------------|
| 9. ბავშვს დაუწერია | 9. ბავშვს დედისათვის მიუწერია |
| 10. " დაეწერა | 10. " " მიეწერა |
| 11. " დაეწეროს | 11. " " მიეწეროს |

პირდაპირ დაბატებასა და ქვემდებარეს ორი საზიარო ბრუნვა აქვს (მიცემითი და სახელობითი), მაგრამ არ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე წინადადებაში ორივე სახელობითში იყოს. ან ორივე მიცემითში.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორი, პირდაპირ დამატებას — კლავნილი. აღნიშნეთ, რომელ ბრუნვაშია პირდაპირი დამატება და რატომ.

1. ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაიღო (ქვე). 2. განთიადი ნელა შლიდა ფრთებს (ქიან.). 3. სიცოცხლის მომცემს შვის ათასფერად აეაჯიჯებინა ოღამიწა (რახ.). 4. შინდორში ბაღლებს ენახათ გაწიწვნილი ბუ (რახ.). 5. შიმშილმა ბახალები ძალიან შეაწუხა (რახ.). 6. ნელი სიო ოდნავ არხედა ფოთლებს (რ. გვ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები. I სერიის ფორმები გადაიყვანეთ II და III სერიაში, II სერიის ფორმები — პირველსა და მესამეში, III სერიის ფორმები — პირველსა და მეორეში და გამოარკვეეთ, რა ბრუნვაში შეეწყობა ქვემდებარე და პირდაპირი დამატება. აღნიშნეთ, რატომ არ ხდება ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების შეხვედრა ბრუნვაში.

§ 42. ირიბი დამატება. ირიბია დამატება, რომელიც წინდადებაში ირიბ-ობიექტური პირის ფარდ სახელად არის წარმოდგენილი. მაგალითი: „მთვარე ღრუბელს ეფარება“: „ეფარება“ ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა. ორივე პირი მესამეა. ერთი პირი სუბი-

ექტურია, მეორე — ირიბ-ობიექტური. სუბიექტური პირის ფარ-
დ: სახელია „მთვარე“, ირიბისა — „ღრუბელს“. მაშასადამე, „მთვა-
რე“ ქვემდებარეა, „ღრუბელს“ — ირიბი დამატება.

ირიბი დამატება აქვს როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ
ზმნასაც. გარდაუვალი ზმნა, რომელსაც ირიბი დამატება ახლავს,
ორპირიანია, გარდამავალი კი — საპირიანი.

ირიბ დამატებას, საზოგადოდ, ქვემდებარის მოქმედება არა-
პირდაპირ (ირიბად) ეხება, მაგრამ რეალური ვითარების მიხედვით
ირიბ-ობიექტური პირი (და ამასთან დაკავშირებით ირიბი დამატე-
ბაც) სხვადასხვაგვარია: „შიშისას გულმა ფრთხილი დაუწყო“
(რახ.): „შიშისას“ ირიბი დამატებაა, რომელიც აღნიშნავს, რომ „გუ-
ლი“ (ქვემდებარე) „შიშისას“ (ირიბი დამატების) კუთვნილებაა. „ამ
სიტყვებმა ბევრს გამოაცვლევინა აზრი“ (წერ.): „ბევრს“ ირიბი
დამატებაა. იგბ აქ მოქმედების უშუალო შემსრულებელია. ასევე:
„დათიკო უსახელოდ მოეკვლევიანა გაბრიელს“: „დათიკო“ ქვე-
მდებარეა, „გაბრიელს“ — ირიბი დამატება. ქვემდებარე („დათი-
კო“) მოქმედების გამომწვევი მიზეზია, ირიბი დამატება
(„გაბრიელს“) კი მოქმედების შემსრულებელია.

ირიბი დამატება ბრუნვაუცვლელია: იგი ყოველთვის მიცემით
ბრუნვაშია.

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო. გადაიწრეთ მაგალითები. ირიბ დამატებას ხაზი გაუსვით.
გამოარკვიეთ, გარდამავალ ზმნასთანაა ირიბი დამატება დაკავშირებული თუ გარ-
დაუვალთან. აღნიშნეთ მისი ბრუნვა.

ა) 1. ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცივდა (ყახ). 2. ათასთერე ყვავი-
ლი ეგებებოდა გაზაფხულს (რახ). 3. ამ კლდესაც ხავერდით მწვანე ხავსი
გადაკერია (ვაჟ). 4. მტრედს გულში ნათელი ჩაუდგა (ვაჟ).

ბ) 1. ლუარსაბმა ქერს მიაბჯინა თვალები (ვაჟ). 2. შვიერს მელას კბი-
ლებმა კაწკაწი დაუწყეს (ვაჟ). 3. ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ერეკლემ
თავის ლაშქარს ნადიმი გაუმართა (გოგ). 4. ვაჟაკი დაცემულ მტერს ხელს
აღარ ახლებს (ლომ). 5. აპრილის პირმცინარე მზე დედამიწას საგაზაფხულო
სხივებით გულ-მკერდს უქარგავდა (ქიაჩ).

§ 43. ირიბი დამატება გარდაუვალ და გარდამავალ ზმნასთან.
გარდაუვალი ზმნის ირიბ დამატებასა და გარდამავალი ზმნის ირიბ
დამატებას შორის განსხვავებაა: გარდაუვალ ზმნასთან ირიბი დამა-
ტება სამსავე სერიაში გვაქვს, გარდამავალთან კი — მხოლოდ
პირველი და მეორე სერიის ფორმებთან.

ირიბი დამატება გარდაუვალ
ზმნასთან

ირიბი დამატება გარდამავალ
ზმნასთან

I სერია

ა) ა წ მ ყ ო ს წ რ ე

- | | |
|-------------------|------------------------------|
| 1. მთვარე ღრუბელს | 1. ბავშვი დიდას წერილს სწერს |
| 2. ეფარება | |
| 2. ეფარებოდა | 2. სწერდა |
| 3. ეფარებოდეს | 3. სწერდეს |

ბ) მ ყ ო ფ ა ღ ი ს წ რ ე

- | | |
|-----------------|--------------|
| 4. მოეფარება | 4. მისწერს |
| 5. მოეფარებოდა | 5. მისწერდა |
| 6. მოეფარებოდეს | 6. მისწერდეს |

II სერია

- | | |
|-------------|---------------------------|
| 7. მოეფარა | 7. ბავშვმა წერილი მისწერა |
| 8. მოეფაროს | 8. მისწეროს |

III სერია

- | |
|------------------------|
| 9. მოჰფარებია |
| 10. მოჰფარებოდა (ყაზ.) |
| 11. მოჰფარებოდეს. |

ორპირიან გარდაუვალ ზმნასთან ორი წევრია დაკავშირებული: ქვემდებარე და ირიბი დამატება. ორივე წევრი ბრუნვაუცვლელია: ქვემდებარე სახელობითშია, ირიბი დამატება — მიცემითში. სამპირიანი გარდამავალი ზმნის პირველი და მეორე სერიის ფორმებთან სამი წევრია დაკავშირებული: ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება. ორი წევრი ბრუნვაუცვლელადია (ქვემდებარე და პირდაპირი დამატება), ერთი — ბრუნვაუცვლელი (ირიბი დამატება). მესამე სერიაში სამპირიანი ზმნა ორპირიანი ხდება და ირიბი დამატება უბრალო დამატებაში გადადის („ბავშვს დე დ ი ს ა თ ვ ი ს წერილი მიუწერია“).

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო . გადაიწერეთ მაგალითები. მონახეთ ირიბი დამატებები და ხაზი გაუსვით. აღნიშნეთ, რამდენ-პირიანია ზმნა, რომელი სერიის რომელი მწკრივის ფორმას ის და რა ფორმით არის მასთან ირიბი დამატება შეწყობილი.

ა) 1. ოთარაანთ ქერივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ეღვა (ჟავ). 2. მეტისმეტი შრომისაგან ნისლებს ოფლო სდენოდათ (ვაჟა). 3. გაზაფხულის დილის მზე ჭერ მთის მწვერვალს არ ამოსილებოდა (ეგდ.). 4. ნისლი ეფარებოდა შორს გადაშლილ ალაზნის ველს (ს. კლდ.).

ბ) 1. დედას გულმა ტბა დაუწერა (ჟავ). 2. აკაკიმ მძალობის ნიშნად ხალხს თავი დაუკრა (რ. გვ.). 3. მარინემ ჩუმი ლილინით სკივრს ხუფი ახადა (რ. გვ.). 4. ელიზბარმა თოფს ფალია გამოუცვალა (ვაჟა).

§ 44. პირდაპირი დამატებისა და ირიბი დამატების შეხვედრა ბრუნვაში. მოთხრობითი საკუთრივ ქვემდებარის ბრუნვაა; მიცემითი ქვემდებარის, პირდაპირი დამატებისა და ირიბი დამატების საზიარო ბრუნვაა, ხოლო სახელობითი — ქვემდებარისა და პირდაპირი დამატებისა. ქვემდებარისა და დამატების (პირდაპირისა თუ ირიბისა) ბრუნვაში შეხვედრა არ ხდება, რადგანაც ზმნის რომელიმე ფორმასთან შეუძლებელია ქვემდებარე და დამატება ერთსა და იმავე ბრუნვაში იდგეს.

ირიბი დამატების ბრუნვა ყოველთვის მიცემითია. პირველი სერიის ფორმებთან მიცემითში დგას პირდაპირი დამატებაც. სამპირიან ზმნას ორივე დამატება მოეპოვება — პირდაპირიცა და ირიბიც. ამიტომ სამპირიანი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან ხდება პირდაპირი დამატებისა და ირიბი დამატების შეხვედრა ბრუნვაში (ორივე დამატება მიცემითში დგას): „შვილი დედას წერილს უგზავნის“. თუ რომელია პირდაპირი დამატება და რომელია ირიბი, ამისათვის საჭიროა ზმნა მეორე სერიაში გადავიყვანოთ: პირდაპირი დამატება სახელობითში გადადგება, ირიბი ისევე მიცემითში დარჩება: „შვილმა დედას წერილი გაუგზავნა“. მაშასადამე „წერილი“ პირდაპირი დამატება ყოფილა, „დედას“ — ირიბი.

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო . გადაიწერეთ მაგალითები. ქვემდებარეს ერთი ხაზი გაუსვით, პირდაპირ დამატებას — ორი, ირიბ დამატებას — კლაკნილი. აღნიშნეთ, რომელი წევრები ხვდება ერთმანეთს ბრუნვაში და რატომ.

1. აპრილის პირმცინარი მზე დედამწას საგაზაფხულო სხივებით გულმეკრდს უქარგავდა (ქიან.). 2. კაცის მოკვლის ამბავი პაპას თავზარსა სცემს (ვაჟა). 3. გაზაფხულზე დაწყებულ საქმეს ზაფხული გვირგვინს დაადგამს (ვაჟა). 4. შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული (ჟავ). 5. კოდალა ბეჭითად აკლიდა კია-მატლებს დაზიანებულ ხეებს (რახ.). 6. ჭავრი უკლავს კლდეს გულს (ვაჟა).

§ 45. პირდაპირი და ირიბი დამატება პირველი და მეორე პირის ფორმებთან. პირველ და მეორე ობიექტურ პირებთან დამატებულ უბრუნველი ნაცვალსახელებია: შეწყობილი, როგორც ვიცით, ამავე ნაცვალსახელებით („შე“, „ჩვენ“, „შენ“, „თქვენ“); გამოხატულია ქვემდებარეც პირველ და მეორე სუბიექტურ პირთან. ამიტომ ამ პირებთან აღნიშნული ნაცვალსახელებით გადმორცემული ქვემდებარე და დამატებები (ირიბი და პირდაპირი) ერთმანეთისაგან გარეგნულად არ არიან გარჩეული, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ზმნა (გარდამავალი თუ გარდაუვალი) და რომელი სერიის ფორმაა იგი. თუ რა სინტაქსური მნიშვნელობით არის ნახმარი წინადადებაში ეს ნაცვალსახელები, ამას ვარკვევთ ზმნის ფორმის ანალიზით: სუბიექტურ პირთან შეწყობისას ეს ნაცვალსახელები ქვემდებარეა, პირდაპირ-ობიექტურ პირთან შეწყობისას — პირდაპირი დამატება. ხოლო ირიბ-ობიექტურ პირთან შეწყობისას — ირიბი დამატება.

ქვემდებარე	პირდაპირი დამატება	ირიბი დამატება
მ ე ვხატავ	მ ე მხატავს	მ ე მიხატავს სურათს
შ ე ნ ხატავ	შ ე ნ გხატავს	შ ე ნ გიხატავს
ჩ ე ე ნ ვხატავთ	ჩ ე ე ნ გვხატავს	ჩ ე ე ნ გვიხატავს
თ ქ ე ე ნ ხატავთ	თ ქ ე ე ნ გხატავს	თ ქ ე ე ნ გიხატავს „

ეს ნაცვალსახელები წინადადებაში ხშირად გამოტოვებულია, მაგრამ ზმნის ფორმის მიხედვით კარგად ჩანს, ქვემდებარეა თუ ერთ-ერთი სახის დამატება. თუ პირველისა და მეორე ობიექტური პირის ფორმასთან ბრუნვიანი სიტყვაა დამატებულად, იგი ისევე შეეწყობა ზმნას გარდამავლობისა და სერიების მიხედვით, როგორც მესამე ობიექტურ პირს.

ს ა ვ ა რ ჩ ი შ ო 1. პირველი და მეორე პირის გამოტოვებული ნაცვალსახელები აღადგინეთ და მაგალითები ისე გადაიწერეთ. აღდგენილი ნაცვალსახელები კვადრატულ ფრჩხილებში ჩასეთ. ქვემდებარეს ერთი ხაზი გაუსვით, ირიბ დამატებას — ორი, პირდაპირ დამატებას — კვადრატული.

1. ცისკარის სხივებმა შეგმოსა და ნაშა გადაგბანაო (წირ.). 2. გაზაფხულმა მეც გამაცოცხლა. საერთო სიხარულში ჩამაბა (რაზ.). 3. გაზაფხულმა მოგვასწრო, ჭანლი ჩავიწვია (ვაჟა). 4. ერთმა წუწკმა მეძებარმა კბილი გამკრა გვერდზედაო; გამწიეს. და გამომწიეს, ჩამომკიდეს ცხენზედაო; მზარეულებს მიმბარეს, კარგად შესწვით ცეცხლზედაო (ხალხ.). 5. ვერ შეგვლევიო, მალხაზო, აგაცდენთ ყოველ გასაჭირს; სულ შეჭრით ჩაგიტყბარუნებთ მაგ პაწაწინა ყელს და პირს (წერ.).

ს ა ვ ი რ ჯ ი შ. თ. 2. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ; პირველ. და მეორე ობიექტურ პირებთან „ჩვენ“ და „თქვენ“ ნაცვალსახელთა მაგიერ დამატებად რა არის შეწყობილი და როგორ.

1. პაპამ გვიტოხა მე და ჩემს ამხანაგებს (ვაჟა). 2. დაგვჩინა ბუხარი მე და ბერუას (ვაჟა). 3. აი, ჩემო მეგობარო, ეს ადგილი მე და შენ გვეკუთვნის (ვაჟა). 4. სადაცა შენ და შენი ძმა ხართ, ძნელი გაადვილდებას (რუსთ.).

§ 40. ორიოდღე დამატებითი ცნობა ქვემდებარესა და დამატებაზე.

1. გარდამავალა ზმნის პირველი სერიის ფორმებთან ქვემდებარე სახელობითში დგას და პირდაპირი დამატება — მიცემითში. ამ საერთო წესის გამოხატვის: წარმოადგენს ზმნა „იცის“, რომელსაც პირველი სერიის ფორმებთან (იცის, იცოდა, იცოდეს) ქვემდებარე მოთხრობითში აქვს და პირდაპირი დამატება — სახელობითში: „პ ა პ ა მ ანდაზებით ლ ა პ ა რ ა კ ი იცის“ (ვაჟა). მესამე სერიის ფორმებთან (სცოდნია, სცოდნოდა, სცოდნოდეს) ქვემდებარე მიცემითშია, პირდაპირი დამატება კი სახელობითში დგას: „პ ა პ ა ს ანდაზებით ლ ა პ ა რ ა კ ი სცოდნია“. მეორე სერიის ფორმები ამ ზმნას არ გააჩნია.

„ვიცი“ წარმოშობით II სერიის ფორმაა (სახელდობრ, II ხოლმეობითისა). ფორმა II სერიიდან პირველ სერიაშია გადმოსული და თან გადმოყოლილი აქვს ის სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც გარდამავალ-ზმნას ახასიათებს II სერიაში.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: მეორე სერიის (II ხოლმეობითის) ფორმაა წარმოშობით აგრეთვე „უწყის“, რომელიც ამჟამად პირველ სერიაშია გადმოსული, აწყმოს წრის ფორმები მოეპოვება (უწყის, უწყოდა, უწყოდეს) და ქვემდებარე მოთხრობითში შეეწყობა: „ეს ყ ვ ე-ლ ა მ კარგად უ წ ყ ი ს“ (ვაჟა).

2. გვაქვს ისეთი ორპირიანი ზმნებიც, რომელთაც ბრუნვაცვალებადი ქვემდებარე შეეწყობა და ბრუნვაუცვლელი დამატება. მაგალითი: „არ ჩილმა გაოცებით შეჰხედა კ ე ს ო ს“ (ვაჟ.). პირდაპირი დამატება („თვალი“) ზმნას დაკარგული აქვს, ე. ი. ერთ დროს ზმნა სამპირიანი იყო და იგი უკვე ორპირიანად არის ქცეული.

3. სამპირიანი ზმნა, საზოგადოდ, გარდამავალია. მასთან სამი წევრია დაკავშირებული: ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება. ქვემდებარე და პირდაპირი დამატება ბრუნვაცვალებადია, ირიბი დამატება — ბრუნვაუცვლელი. ვიცით ისიც, რომ სამპირიანია ზმნა პირველსა და მეორე სერიაში, მესამე სერიაში კი ზმნას ირიბი დამატება ეკარგება და სამპირიანი ზმნა ორპი-

როანი ხდება. მაგრამ გვაქვს ორიოდ ზმნა ისეთიც, რომელთაც სამი ბრუნვაუცვლელი სახელი ეწყო და ზოგ მათგანს საბპირიანობა III სერიაშიც გადაჰყვება. ეს ის ზმნებია, რომელთაც ფორმა ვნებითისა აქვთ, მნიშვნელობა — მოქმედებითისა. მაგალითი: „მამა შვილს საჩუქარს ჰპირდება“ (აწმყო); „მამა შვილს საჩუქარს დაჰპირდა“ (წყვეტილი); „მამა შვილს საჩუქარს დაჰპირებია“ (I თურმეობითი).

ასეთივე ზმნებია: „უყვება“, „ეკითხება“, „ემუქრება“.

ორივე დამატება წარმოშობით ირიბია, მაგრამ ამჟამად ერთი ირიბია, მეორეს კი პირდაპირი დამატების გაგება აქვს. მაგ., „დაჰპირდა იგი მას წიგნს“. „იგი“ ქვემდებარეა; „მას“ — ირიბი დამატება, „წიგნს“ კი მნიშვნელობით პირდაპირ დამატებას უდგას გვერდში.

4. ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან („მომწონს“, „მიყვარს“, „მახსოვს“ და მისთ.) ქვემდებარე-დამატების საკითხი სადავოა. თუ ამ ფორმებს ინვერსიულად გავიგებთ, მიცემითში დასმული სახელი ქვემდებარე იქნება, სახელობითში დასმული კი — დამატება. მაგრამ თუ ამ ტიპის ზმნათა ინვერსიულობას გამოვრიცხავთ, მაშინ მათთან დაკავშირებული სახელები იმავე წესით განიხილება, როგორც საზოგადოდ ორპირიან გარდაუვალთან, ე. ი. სახელობითში დასმული ქვემდებარედ დასახელდება, მიცემითში დასმული კი — ირიბ დამატებად.

„მაქვს“ და „მყავს“ ზმნათა ზმნისწინიანი ფორმები (მიმაქვს, მომაქვს; მიმყავს, მომყავს...) გარდაამავლადაა გაგებული. ამასთან დაკავშირებით სახელობითში დასმული სახელი დამატებადაა მიჩნეული, მიცემითში დასმული კი — ქვემდებარედ. ამ ზმნებს საკუთრივ აწმყოს წრის მწკრივები აქვთ, მყოფადის წრე და მეორე და მესამე სერიის ფორმები გარდაამავალ ზმნათა (წავიღებ, წამოვიღებ, მოვიტან, მივიტან) შენაცვლებით აქვთ შევსებული. მონაცვლე ზმნები მყოფადის წრეში და მეორე და მესამე სერიაში ქვემდებარესა და დამატებას ისე შეიწყობენ, როგორც საზოგადოდ გარდაამავალი ზმნები.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რამდენ-პირიანია ზმნა და როგორ ქვემდებარესა და დამატებას შეიწყობენ ისინი.

1. დარბაზს ერუანტელმა დაუარა (წერ). 2. ქალებმა ნაბიჯს აუჩქარეს (ქიან). 3. გაშტერებული იოთამი დიღხანს უტკეროდა ცოლსა (ვაყა). 4. შტრე-

დებმა ტირიფს თავზე გადაუარეს (ვაჟა) 5. მტრედებმა მწყერს დაუცადეს (ვაჟა). 6. ესტატემ გახურებულ ბუხარს მიაშურა (ვაჟა). 7. გოჩამ გაკვირვებით გადმოხედა შეილს (ქიაჩ.). 8. მერცხალი მთელ დღეს ეზიდებოდა შვილებისათვის საზრდოს.

§ 47. ქვემდებარე და დამატება გარეგნულად მსგავს შემასმენ-
ლებთან. ზნის ფორმა ზოგჯერ შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს
გაგებული (გარდამავლად ან გარდაუვალად, მოქმედებითად ან ვნე-
ბითად...), რაც გამოწვეულია სხვადასხვა მნიშვნელობის ერთი და
იმავე მწკრივის ან სხვადასხვა მწკრივის ფორმათა დამთხვევით.

1. სტატიკური ვნებითის აწმყოფ ფორმა სასხვიაო ქცევისა
გარეგნულად არ განსხვავდება ზოგიერთი მოქმედებითი გვარის
ზმნის I თურმეობითის დაუსრულებელი სახის (უზმნისწინო) ფორ-
მისაგან.

აწმყო
(სტატიკური ვნებითი)

I თურმეობითი
(მოქმედებითი გვარი)

ქაბუკობაში გაგონილი ლ ე ქ-
ს ე ბ ი ვ ა ხ ტ ა ნ გ ს ახლაც
უბას წიგნაკში უ წ ე რ ი ა.

„ლექსები“ ქვემდებარეა, „ვახ-
ტანგს“ — ირიბი დამატება.

ქაბუკობაში ვ ა ხ ტ ა ნ გ ს
ლ ე ქ ს ე ბ ი ც ბევირი უ წ ე-
რ ი ა.

„ვახტანგს“ ქვემდებარეა,
„ლექსები“ — პირლაპარა და-
მატება.

ფორმათა დამთხვევას ადგილი აქვს სხვა პირებშიც: მიწერია,
გიწერია, გვიწერია, გიწერიათ.

ზმნათა ფორმების დამთხვევა თქმულით არ ამოიწურება: წარ-
მოების თვალსაზრისით მოქმედებითის II თურმეობითის ფორმა,
საზოგადოდ, უდრის სტატიკური ვნებითის წყვეტილის ფორმას,
ხოლო მოქმედებითის III კავშირებითის ფორმა ემთხვევა სტატი-
კური ვნებითის II კავშირებითის ფორმას: ეწერა; ეწეროს. სხვა-
ნაირად რომ ვთქვათ, მოქმედებითი გვარისა და სტატიკური ვნები-
თის ფორმათა შეხვედრას ადგილი აქვს მაშინაც, როცა სტატი-
კური ვნებითის ფორმა წყვეტილია ან II კავშირებითი, მოქმ. გვა-
რისა კი II თურმეობითი ან III კავშირებითი (შესაბამისად):

წვეტილი
(სტატიკური ვნებითი)

შო ა ჯ ი რ ს ე კ რ ა ზედ მერ-
ცხლის ბუდესავით ერთი მცირე-
დი ფიცი რ უ ლ ი (კავ.).

მიცემითში დასმული სახელი
„მოაჯირს“ ირიბი დამატებაა,
სახელობითში დასმული („ფიც-
რული“) კი ქვემდებარეა.

2. ენიანი ვნებითის წვეტილის
სხვაედება ზოგიერთი მოქმედებითი
ბითის ფორმისაგან.

წვეტილი
(ენიანი ვნებითი)

ტყეს თანდათან ჩ რ დ ი ლ ი
მოეფინა .

„მოეფინა“ „მოეფინება“ ზმნის
წვეტილის ფორმაა. მიცემითი
ბრუნვის ფორმით შეწყობილი
სახელი (აქ: „ტყეს“) ირიბი დამა-
ტებაა, სახელობითში დასმული
სახელი (აქ: „ჩრდილი“) ქვემ-
დებარეა.

ფორმათა დამთხვევა რომ ხდება II და III კავშირებითებში, ამის
მაგალითია „მოეფინოს“, რომელიც ენიანი ვნებითის II კავშირები-
თის ფორმადაც შეიძლება გავიგოთ და მოქმედებითი გვარის ზმნის
III კავშირებითადაც.

3. მოქმედებითი გვარის -ავ და -ამ თემის ნიშნის მქონე ზმნათა
მყოფადის ფორმები სასხვისო ქცევისა ხშირად ემთხვევა I თურმე-
ობითის ფორმებს.

II თურმეობითი
(მოქმედებითი გვარი)

ლამის წყვილიადისათვის გა-
ნთიადს ნისკარტი ეკ-
რა და ფერი ეცვლევინებინა
(ყაზ.).

მიცემითში დასმული სახელი
„განთიადს“ ქვემდებარეა,
ხოლო სახელობითში დასმული
სახელი („ნისკარტი“) პირდა-
პირი დამატებაა.

ფორმა გარეგნულად არ გან-
გვარის ზმნის მეორე თურმეო-
ბითისაგან.

II თურმეობითი
(მოქმედებითი გვარი)

მზეს სოფლისთვის შუქი
მოეფინა .

აქ „მოეფინა“ „მოჰტენს“
ზმნის II თურმეობითის ფორ-
მაა. მიცემითში დასმული სახე-
ლი (აქ: „მზეს“) ქვემდებარეა,
სახელობითში დასმული სახე-
ლი („შუქი“) პირდაპირი დამა-
ტებაა.

დედა შვილს კაბას უკერავს.

დედას შვილისათვის კაბა შეუკერავს.

ზმნა სამპირიანია. ქცევა სასხვისოა; ღრო მომავალია; „დედა“ სულია; ფორმა ინვერსიულია; ქვემდებარეა, „შვილს — ირიბი ნაწარმოებია სასხვისო ქცევის დამატება, „კაბას“ კი პირდაპირი ფორმით (ქცევის გაგება არა დამატებაა.

ზმნა ორპირიანია. ღრო წარსხვისოა; „დედა“ სულია; ფორმა ინვერსიულია; ქვემდებარეა, „შვილს — ირიბი ნაწარმოებია სასხვისო ქცევის დამატება, „კაბას“ კი პირდაპირი ფორმით (ქცევის გაგება არა დამატებაა.

ზმნა რომ უზმნისწინოდ (უსრული ასპექტით) ავილოთ, მაშინ ერთმანეთს I თურმეობითოსა და აწმყოს ფორმები დაემთხვევა (შდრ.: „დედა შვილს კაბას უკერავს“ და „დედას შვილისათვის კაბა უკერავს“).

4. სათავისო ქცევის მეორე სერიის ფორმები ემთხვევა ინიანი (ერთპირიანი) ვნებითის იმავე სერიის ფორმებს.

სათავისო ქცევა
(წყვეტილი)

ინიანი ვნებითი
(წყვეტილი)

მტირალმა ბავშვმა ცრემლები მოიწმინდა.

ალიონზე ცამოიწმინდა (რ. გვ.).

„მოიწმინდა“ ორპირიანი გარდამავალი ზმნაა. აწყმოსი იქნება „იწმინდს“. „ბავშვმა“ ქვემდებარეა, „ცრემლები“ — პირდაპირი დამატება.

„მოიწმინდა“ აქ ერთპირიანი ზმნაა. აწყმოსი იქნება: „იწმინდება“. ზმნას პირით ერთი სახელი უკავშირდება (აქ: „ცა“) და ეს სახელი ქვემდებარეა.

ფორმათა დამთხვევას ადგილი აქვს II კავშირებითშიც: „მტირალმა ბავშვმა ცრემლები მოიწმინდოს“ და „ალიონზე ცა რომ მოიწმინდოს“.

5. უნიშნო ვნებითის სასხვისო ქცევის ფორმა წყვეტილში შეიძლება დაემთხვეს მოქმედებითი გვარის სასხვისო ქცევის ფორმას იმავე მწკრივისას.

წვეტილი
(უნიშნო ვნებით)

მ ტ რ ე დ ს გ უ ლ შ ი ნ ა თ ე ლ ი
ჩ ა უ ლ გ ა . (ვაჟა).

ზმნა ორპირიანია და ორი სა-
ხელი ეწყობა; სახელობითში დას-
მული სახელი („ნათელი“) ქვე-
მდებარეა, მიცემითში დასმული
(„მტრედს“) — ირიბი დამატება.
მყოფადში იქნება: „ჩაუღგება“.

წვეტილი
(მოქმედებითი გვარი)

დ ე დ ა მ ბ ა ე შ ე ს რ ძ ი ა ნ ი
ბ ო თ ლ ი თ ბ ი ლ წ ყ ა ლ შ ი
ჩ ა უ ლ გ ა .

ზმნა სამპირიანია; „დედამ“
ქვემდებარეა, „ბავშვს“ ირიბი
დამატებაა, „ბოთლი“ პირდაპირი
დამატებაა. მყოფადში იქნე-
ბა: „ჩაუღგამს“.

6. სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები პირველსა და მეორე
ობიექტურ პირებში (I და II სერიაში) გარეგნულად ერთმანეთი-
საგან არ განსხვავდება.

სათავისო ქცევა

ლ ე კ ე ბ მ ა რ ო მ დ ა მ ი კ ი რ ე ს
მ ე მ , დ ა მ დ ე გ ი ყ ო მ ე ა თ ა თ ვ ი ს ა
(ხალხ.)

ზმნა ორპირიანია. „ლექებმა“
ქვემდებარეა, „მე“ — პირდაპირი
დამატება. „ი“ („დამიჭირეს“) სა-
თავისო ქცევის ნიშანია.

სახვისო ქცევა

მ ე ძ ე ბ რ ე ბ მ ა მ ე მ ე ლ ი ა დ ა მ ი
კ ი რ ე ს .

ზმნა სამპირიანია. „მეძებ-
რებმა“ ქვემდებარეა, „მე“ ირი-
ბი დამატებაა, „მელია“ პირდა-
პირი დამატებაა. „ი“ („დამიჭი-
რეს“) აქ სასხვისო ქცევის ნიშა-
ნია.

სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმათა შეხვედრა განხილული
შემთხვევებით არ ამოიწურება. თუ რა მნიშვნელობით არის ხმა-
რებული გარეგნულად მსგავსი ფორმები, ამას არსებითი მნიშვნე-
ლობა აქვს ზმნასთან დაკავშირებულ წევრთა (ქვემდებარისა და
დამატებოა) სწორად დადგენისათვის. ამიტომ წინადადების სინ-
ტაქსური გ - ჩევის დროს საჭიროა სწორად იქნეს გამოკვეთული
ფორმის მნიშვნელობა, რაც, ჩვეულებრივ, კონტექსტიდან ირკვევა.

შემასმენლის ურთიერთობა მვემდებარესა და დამატებასთან
რიცხვის მიხედვით

§ 48. შემასმენლისა და მასთან პირით დაკავშირებულ წევრთა
სინტაქსური ურთიერთობის ძირითადი საკითხები. შემასმენელი,

რომელიც ერთპირიანი ზმნით არის გადმოცემული, რიცხვში ქვემდებარეზეა დამოკიდებული. როგორცაა უნდა გავავრცოთ წინადადება, სადაც შემასმენლად ერთპირიანი ზმნა გვაქვს, მასში, გარდა ქვემდებარისა, არ აღმოჩნდება სხვა სიტყვა (წინადადების წევრი), რომელსაც შეეძლოს გავლენა მოახდინოს შემასმენლის ფორმაზე. ამგვარ წინადადებაში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საშუალო-მოქმედ. ზმნებს) ქვემდებარე სამივე სერის ფორმებთან სახელობითში დგას. ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ქვემდებარეც მუდამ სახელობითშია.

სხვა ვითარებაა, როცა შემასმენლად გარდამავალი ზმნაა, ორთუ სამპირიანი. ორპირიანი ზმნა, როგორც ვიცით, სამწევრიან წინადადებას გულისხმობს: შემასმენლით, ქვემდებარითა და დამატებით (პირდაპირით გარდამავალთან, ირრბით გარდაუვალთან), სამპირიანი კი — ოთხწევრიანს: შემასმენლით, ქვემდებარით, ირიბი დამატებითა და პირდაპირი დამატებით.

შემასმენელი, რომელიც ორ და სამპირიანი ზმნით არის გადმოცემული, რიცხვში, საზოგადოდ, ანგარიშს უწევს არა მარტო ქვემდებარეს, არამედ დამატებასაც. ამასთან ერთად ზმნის გარდამავლობას მნიშვნელობა აქვს როგორც ქვემდებარისათვის, ისე პირდაპირი დამატებისათვისაც.

მვითმდებარე და შემასმენელი

§ 40. მხოლოდობით დასმული ქვემდებარე და მისი შემასმენელი. მხოლოდობით რიცხვში დასმულ ქვემდებარესთან, საზოგადოდ, შემასმენელიც მხოლოდობითში დგას: „ქვითინებდა შველი, კენესოლა ჯეირანი, ოხრავდა ირემი“ (ევლ.).

მხოლოდობითში დგას შემასმენელი მაშინაც, როცა მხოლოდობით რიცხვში დასმული ქვემდებარე კრებითი სახელია (ხალხი, ჯოგი, გუნდი, სტუდენტობა და სხვ.) ან რიცხვითი სახელია (ერთზე მეტი).

მაგალითები: 1. მოზღვავეებულმა ხალხმა ცეცხლი მალე ჩააქრო (ვაჟა). 2. ქუჩაში ახალგაზრდების ჯგუფი გამოჩნდა (ს. კლდ.). 3. ცხვარი მთის კალთებზე შეფენილიყო (რაზ.).

იშვიათად კრებითი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემსმენელი მრავლობითშია: 1. ამ ლაპარაკში ჩამოერივნენ

გუგუას ნათესაობა (ყაზ.). 2. ხალხს ჯერ კიდევ ვერ გამოვ-
ერკვიათ (ყაზ.). 3. ყველა გაოცებით უყურებდნენ
ერთმანეთს (წერ.). 4. ნიგუზის ქვეშ ორივემ გაიხადეს
ჩოხები (კლდ.).

ამ მაგალითებში მხოლოდობით დასმულ ქვემდებარესთან შემან-
მენელი აზრის მიხედვით მრავლობითი რიცხვის ფორმით არის
შეწყობილი. სალიტერატურო ქართულში ასეთი დაკავშირება მიუ-
ღებელია. ამიტომ მრავლობითში დასმული შემასმენლები წესით
მხოლოდობითში უნდა დაისვას.

სუბიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნათაგან
კრებითი სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს მხოლოდობითი რიცხ-
ვის ფორმით ეწყობა მრავლობითის ფუძე, არაკრებითი სახელით
გამოხატულ ქვემდებარეს კი — მხოლოდობითის ფუძე.

ქვემდებარედ არაკრებითი სახელია

ქვემდებარედ კრებითი სახელია

ცაცხვის ჩრდილში ბავშვი
იკლა.

ცაცხვის ჩრდილში ხალხი
ისხდა.

რკინის ხარს ბამბის კუდი
აბია (გამოცანა: ნეშის და ძაფი).
ხის ძირში ფოთოლი გდია.

ხეს ფოთოლი ასხია.
ხის ძირში ფოთოლი
ყრია.

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუს-
ვით, ქვემდებარეს — ორი. გამოარკვიეთ, როგორი სახელით არის ქვემდებარე
გადმოცემული და რა ფორმით არის მასთან შემასმენელი შეწყობილი.

1. ხალხმა სული განაბა (ლომ.). 2. ვაშლილი ძროხა მოგროვებოდა (ქავ.).
3. ჩამოდის ბევსურთა ქარი (ვაჟა). 4. ხალხი ბუზივით ირეოდა იმის გარშემო
(ქავ.). 5. საძოვრებიდან ნახირი ბრუნდებოდა. 6. სიცხისაგან დაოსებული ცხვარი
ხეების ჩრდილში ეყარა. 7. შემოდგომაზე მწერი იხოვება. 8. თებერვალი მიიპა-
რებოდა (რაზ.). 9. მდინარე წყნარად მოკამყამებდა (ვაჟა). 10. მატარებელი
ქშენით დიდძლა (რ. გვ.). 11. მდინარის პირზე ცხერის ფარა ძოვდა (გოგ.).

სავარჯიშო 2. წაითხეთ მაგალითები. მონახეთ შემასმენელი და ქვემ-
დებარე და გამოარკვიეთ, როგორი სახელით არის ქვემდებარე გადმოცემული და
რა ფორმით არის მასთან შემასმენელი შეწყობილი. სალიტერატურო ქართულში
მიღებული წესი თუა დარღვეული, გაასწორეთ და დაასაბუთეთ, რომ გასწორება
საპიროა.

1. ყველამ გაკვირვებით იქით მიიხედეს (ყაზ.). 2. ნასადილევს ორივემ ცოტა
ხანს მოისვენეს (კლდ.). 3. ერთ დღეს მთელი სოფლის ყმაწვილ-ქალობა გერგე-
ტის მთაში... წასასვლელად ემზადებოდნენ (ყაზ.). 4. მთელი გოგრას ოჯახობა
ყანის სამკალად არიან წასულები (ვაჟა). 5. იქვე მიმსხდარიყვნენ დანარჩენი მო-
ხუცი ხალხი და გაჩუმებულნი ყალიონს სწევდნენ (ყაზ.).

§ 50. სულიერი საგნის სახელი ქვემდებარედ -ებ-იან მრავლობითში და მისი შემასმენელი. -ებ-იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან, რომელიც ადამიანის ან სხვა სულიერი საგნის (ცხოველების, ფრინველების, თევზების, მწერების, ქვეწარმავლების) სახელით არის გადმოცემული. შემასმენელი ჩვეულებრივ მრავლობითში ღვას, ე. ი. ეთანხმება მას რიცხვში.

მაგალითები: 1. გუდამაყრელები მთაში მადიოდნენ (ყაზ.). 2. ბაღში შვლები დაკუნტრუშობდნენ (ვაჟა). 3. პატარა გუგულები თანდათან მოიზარდნენ (გოგ.). 4. მზეზე ლიფსიტები ვერცხლივით ბრჭყვიალებდნენ (გოგ.). 5. ეზოში ციცინათელები დაფრინავდნენ (რ. გვ.).

სუბიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნათაგან -ებ-იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარეს, რომელიც სულიერი საგნის სახელია. მრავლობითის ფუძე მრავლობითი რიცხვის ფორმით შეეწყობა.

მაგალითები: 1. იქ ჩგუფად ისხდნენ ბუზები (ვაჟ.). 2. ფრინველები სიცილით იხოცებიან (ვაჟა).

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორი. აღნიშნეთ, როგორი საგნის სახელია ქვემდებარედ, რომელ რიცხვშია იგი და როგორაა მასთან შეწყობილი შემასმენელი.

1. ქალები ურემში ჩალადგნენ; ვაჟები ცხენებზე ამხედრდნენ (ვაჟა). 2. მინდორში ბაღლებს ენახათ გაწიწნილი ბუ (რაზ.). 3. გზაზე ნიკორა ხარები გამოჩნდნენ (ყაფ.). 4. სამოგრებიდან ძროხები ზოზონით ბრუნდებოდნენ (რ. გვ.). 5. შემკრთალი ბელურები ღობეზე აფრინდნენ (ველა).

სავარჯიშო 2. გამოტოვებული სუფიქსები აღადგინეთ და მაგალითები ისე გადაიწერეთ. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორი. გამოარკვიეთ, როგორი სახელითაა ქვემდებარე გადმოცემული, რომელ რიცხვშია, რომელი რიცხვის ფორმით შეეწყო შემასმენელი და რატომ.

1. მტრედებმა მწყერს დაუცად... (ვაჟა). 2. ბუდეში პაწაწინა ბარტყები ცხოვრობდ... (გოგ.). 3. ორღობეებში კრელგოკებიანი ღორები ღრუტუნებდ... (რ. გვ.). 4. გარეთ ცხენები ხვიხინებდ... (რ. გვ.). 5. ქალებმა ნაბიჯს აუჩქარა... (ქიარ.).

§ 51. უსულლო საგნის სახელი ქვემდებარედ -ებ-იან მრავლობითში და მისი შემასმენელი. -ებ-იან მრავლობითში დასმულ უსუ-

ლო საგნის სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეწყობის მტკიცე წესი არ არის შემუშავებული: ის შეიძლება შეუთანხმდეს ქვემდებარეს და შეიძლება არა.

-ებ-იანი მრავლობითი ძველ ქართულში იშვიათად იხმარებოდა და შემასმენელს რიცხვში ვერ ითანხმებდა. სალიტერატურო ქართულში-ებ-იანი მრავლობითის გამოყენება თანდათან გაფართოვდა და თანაც გაძლიერდა ამ ნიშნის სინტაქსური ძალა. შემასმენლის შეთანხმება -ებ-იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან დაიწყო ამ შემთხვევებიდან, როცა ქვემდებარე სულიერი საგნის (პირველ რიგში ადამიანთა) სახელით იყო გადმოცემული და შემდეგ რამდენადმე გავრცელდა უსულო საგნის სახელით გამოხატულ ქვემდებარეზედაც.

შეთანხმება ხშირია, როცა ზმნის სუბიექტური პირი აქტიურად მოქმედ საგანს გულისხმობს. ასეთებია, საზოგადოდ, მოქმედებითი გვარის ზმნები, ერთი წყება სამუშაო გვარის ზმნებისა და ზოგიერთი ვნებითიც.

მაგალითები: 1. მთები ხევიან (რახ.). 2. მთებმა დახუქეს თვალები (ვაჟა). 3. ხეები განაგრძობდნენ თათბირს (ვაჟა). 4. დუღუნებდნენ ყვავილები ერთხმად (ვაჟა). 5. მთებმა შავი ნაბდები წამოისხეს (ვაჟა). 6. ციდან ღრუბლები ქურდებივით მიიპარებოდნენ (რახ.).

მოყვანილ მაგალითებში ზმნები ყველა გვარისა ურევია, მაგრამ ყველგან სუბიექტური პირი აქტიურად მოქმედს გულისხმობს.

ხშირია შეუთანხმებლობა განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნა ვნებითი გვარისაა: 1. მთები ინგრეოდა, ხეები ტყდებოდა (ვაჟა). 2. თეთრად გადაიღვსა მთები (ვაჟა). 3. ცას შავი ღრუბლები გადაეკრა (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორი. აღნიშნეთ, რომელ რიცხვში ღვას შემასმენელი -ებ-იან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან და რომელი გვარის ზმნით არის ის გადმოცემული.

ა) 1. ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს (ვაჟა). 2. ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ (წერ.). 3. ჩამავალი მზის აღმაცერი სხივები ეთხოვებოდნენ ტბისპირულას კლდოვან ნაპირებს (ჯად.). 4. შემოდგომის წვიმის მსხვილი წვეთები ფოთლებზე შხაპუნებდნენ (რ. გვ.). 5. სიცივისაგან დაფიჩხებული ტოტები კანკალებენ და ცახცახებენ (ყახ.).

ბ) 1. დემეტრეს სახლის ეზოში ღვინით სავსე ტიკები ეწყო (ვაჟა). 2. ბეციას თვალები ცეცხლები ანთებოდა (ყაზ.). 3. ხეები კი იცრეკებოდა, მინდვრები ტიტვლდებოდა (რახ.). 4. ეს ცრემლები უხდებოდა მის თვალებს (ვაჟა). 5. დიდრონი მავკლის ბუჩქები ერთყა იმათ გარშემო (ვაჟა).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 2. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები. გამოარკვიეთ, რომელი გვარის ზმნითაა შემასმენელი გადმოცემული და რას უნდა მიეცეს უპირატესობა — შეთანხმებას თუ შეუთანხმებლობას.

1. ა) ზედ ქვაბები ეკიდა (ვაჟა).

ბ) მთვარის სხივები ხეებზე სირმის ძაფებივით ეკიდნენ (რ. გვ.).

2. ა) ირინეს ხელები უკანკალებდა (ჯაფ.).

ბ) მუხლები უკანკალებდნენ და ფეხზე ძლივს იდგა (ქიაჩ.).

3. ა) იმისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთებისა და ტყის წვერებს ეთხოვებოდა (ვაჟა).

ბ) ჩამავალი შვის აღმაცერი სხივები ეთხოვებოდნენ ტბისპირულას კლდოვან ნაპირებს (ჯაფ.).

4. ა) ასე მიდიოდა მოხუცის დღეები (ყაზ.).

ბ) ძმაო, რა ტებილად, რა უღარდელად ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ (ქაჯ.).

5. ა) ...ზვიედან კი ტრტებდაბურული ხეები დასცქერის თავზე (ველა).

ბ) ეს გაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩავ ხმელს წიფელს (ვაჟა).

6. ა) მუცელას კბილებმა კაწკაწი დაუწყო (ვაჟა).

ბ) მშიერს მელას კბილებმა კაწკაწი დაუწყეს (გოგ.).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 3. გამოტოვებული სუფიქსები აღადგინეთ და მაგალითები ისე გადაიწერეთ. აღნიშნეთ, რომელი რიცხვის ფორმით შეეწყო შემასმენელი ქვემდებარეს და რატომ.

1. თვით ვარსკვლავები თვალების ფშენებით ათვალიერებდ... ამ ცის სტუმარსა (რახ.). 2. ცოტა ხნის შემდეგ ურმები სოფლებში შემოვიდ... (ველა). 3. ვერცხლისფერ ნაშუე მოციალე სხივები მხიარულად დასთამაშებდ... ხავერდოვან მდგლოს (ჯაფ.). 4. ხანჯლებივით გაწვდილი სიმინდის ფოთლები ნელინელ შრიალბდ... (რ. გვ.). 5. დაწყვეტილი ტელეფონის მავთულები გველის წიწილებივით სისინებდ... (რ. გვ.). 6. ვერხვის ფოთლებმა თრთოლა დაიწყ... (ვაჟა).

§ 52. ქვემდებარე ნარ-თანთან მრავლობითში და მისი შემასმენელი. ნარ-თანთან მრავლობითში დასმული ქვემდებარე საზოგადოდ თანამედროვე ქართულშიაც ითანხმებს შემასმენელს რიცხვში. აქ ერთმანეთს მკვეთრად არ უპირისპირდებიან სულიერი და უსულო საგნების სახელებით გადმოცემული ქვემდებარეები, თუმცა ცოტაოდენი განსხვავება მაინც შეინიშნება.

მაგალითები: 1. ი ს ი ნ ი [ლოდები] თვალდაშტერებით დასცქერიან უფსკრულს (ვაჟა). 2. მისნა კი დ ე ნ ი, ხშირჯალიანნი და ზამთრისაგან გაყვითლებულნი, ა მ წ ვ ა ნ დ ნ ე ნ (ვაჟა). 3. ყ ვ ა ვ ი ლ თ ს უ ლ ი გ ა ნ ა ბ ე ს (ვაჟა).

იშვიათად ნარ-თანთან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შემასმენელი. მხოლოდითში დგას. ამ შემთხვევაში ქვემდებარედ ან უსულო საგნის სახელია, ან კიდევ ნაცვალსახელი, რომელიც უსულო საგნის სახელის ნაცვლად არის ნახმარი.

მაგალითები: 1. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მოზანე კლდერი გვერდით არ ახლავს (ვაე). 2. ყველანი სილა, კენჭები და ზიპები ერთად მზეზე გიშერივით საამურად ბრკყვიანავდა (რაზ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რომელი რიცხვის ფორმითაა შეწყობილი შემასმენელი ნარ-თანთან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან.

1. დალამდა. წვრილნი ვარსკვლავნი აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა (ვაეა). 2. კლდის ტირილს თავდაკიდებით ყურს უგდებენ მთანი (ვაეა). 3. ფრინველთ გააბეს საერთო მღერა (ვაეა). 4. საღ წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან (ვაე). 5. წამხდარს საქმესა რას არგებს მერმელა თითზე კბენანი (ვაე). 6. ნაპარლნი ყვავილებით და ხვეულის მცენარით შეიმოსნენ (ვაეა).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები. აღნიშნეთ, რომელ მრავლობითშია ქვემდებარე და როგორ შეწყობა მას შემასმენელი. შემდეგ -ებ-იანი მრავლობითა შეცვალეთ ნარიანით და გამოარკვიეთ, შეიცვლება თუ არა შემასმენლის რიცხვი.

1. ხეები კი იცრცვებოდა, მინდვრები ტიტვლდებოდა (რაზ.). 2. მთები ინგრეროდა, ხეები ტუდებოდა (ვაეა). 3. ცას შავი ღრუბლები გადაეკრა (ვაეა). 4. თეთრად გადაიღესა მთები (ვაეა). 5. იქ ყვავილები გაშლილა ჩემ საზრდოდ, საწუწუნელადო (წერ). 6. მაღალი ხეები შეირყა (ყაზ.).

ჭ ნ მ. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვი, როცა ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს ისეთი სახელი, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა ერთზე მეტს გულისხმობს. როცა ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს ისეთი სახელი, რომლის მნიშვნელობაც ერთზე მეტს გულისხმობს (რიცხვითი სახელები: ორი, სამი... ბევრი, მრავალი; ნაცვალსახელები: ყველა, რამდენიმე), ქვემდებარეც მხოლოდითში დგას და შემასმენელიც.

მაგალითები: 1. ოთახიდან ორი დედაკაცი გამოვიდა (ს. კლდ.). 2. ერთ აღგილსა მრავალი თეთრი ყარყატი ბუღოზდა (საბა). 3. ყველა მთიელი მწყემსი სამთო ქოხს ამგვარად აკეთებს (ვაეა). 4. გალავნის კარებთან რაშდენი მე შეიარაღებული ყმაწვილი ბიჭი იდგა (ყაზ.).

აღნიშნული წესიდან გადახვევა ორი სახისა გვხვდება: 1. შემასმენელი აზრის მიხედვით უწევს ანგარიშს ქვემდებარეს და მრავლობითში დგას: „მეორე ოთახიდან გამოცვივდნენ სამი ბიჭი“ (ქავ.).

2. მრავლობითში დგას ქვემდებარეც და შემასმენელიც: „ყველა ფრინველები გზას უთმობენ“ (ვაჟა).

სალიტერატურო ქართულში ორივე სახის გადახვევა თანაბრად წიუღებელია. მაშასადამე, მოყვანილი მაგალითები ასე უნდა შესწორდეს: „მეორე ოთახიდან გამოვიდა სამი ბიჭი“, „ყველა ფრინველი გზას უთმობს“.

იშვიათად (უფრო პოეზიაში) ნარიან მრავლობითშია ქვემდებარე და რიცხვითი სახელიც მის განსაზღვრებად. ამ შემთხვევაში შემასმენელიც მრავლობითში დგას: „გუშინ შეიღნი გურჯანელნი სანადიროდ წასულიყვნენ“ (ხალხ.). ასეთი მრავლობითი ფორმალურია, რადგანაც „შვილნი“ და „შვილი“ მნიშვნელობით ერთია.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, როგორი სახელი ახლავს განსაზღვრებად ქვემდებარეს, რომელ რიცხვში დგას იგი და როგორ არის მასთან შემასმენელი რიცხვის მიხედვით შეწყობილი.

1. ერთ დღეს ორმა მოუსვენარმა ბიჭმა ტყისკენ გასწია (რაზ.). 2. ორი ბიჭი ყანიდან მოდიოდა სოფლისაკენ (გოგ.). 3. მეორე დღეს ჩვენ სახლის წინ მდგომ კაკაულზე წვეილი შოშია შარშანდელ ბუდეს დასტრიალებდა (რაზ.). 4. ფიცხლავ შეიკრიბა ოცდაათი შეიარაღებული ვაჟაკი (გოგ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები. აღნიშნეთ, როგორი სახელი ახლავს ქვემდებარეს განსაზღვრებად, რომელ რიცხვში დგას იგი და რომელ რიცხვშია შემასმენელი. წინადადება შეცვალეთ სალიტერატურო ქართულში მიღებული წესის მიხედვით და მაგალითები ისე გადაიწერეთ. დასაბუთეთ, რომ შეცვლა საჭიროა.

1. სუთ! სუთ! — დაიძახეს რამდენიმე ბიჭმა ერთად (რაზ.). 2. სახლის უკან, ზვარში, იდგნენ რამდენიმე კაკლის ხეები (ლომ.). 3. წყემსთა შორის მრავალი მოხვეები იყვნენ (ყაზ.). 4. ორივე მეგობარმა ხიხითით და სიცილით განაგრძეს გზა სახლისაკენ (კლდ.). 5. ყველა მძლევარი ფრინველები გაიკრიფნენ ჩვენის ქვეყნიდან თბილ ქვეყნებში (ვაჟა).

§ 54. შედგენილი შემასმენელი და ქვემდებარე. მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან ხშირად მრავლობითშია არა მარტო მეშველი ზმნა, არამედ სახელადი ნაწილიც: „ყმაწვილები განუხრელი მეგობრები გახდნენ“ (ქიაჩ.); „ყმაწვილები“ ქვემდებარეა, „მეგობრები გახდნენ“ — შედგენილი შემასმენელი, რომლის ორივე ნაწილი მრავლობითშია. ქვემდებარეს („ყმაწვილები“).

და სახელად ნაწილს („მეგობრები“) ამ შემთხვევაში საერთო აქვთ ბრუნვა და რიცხვი.

მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის რიცხვში ურთიერთობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი:

1. მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან სახელით (არსებითთ, ზედსართავით) გადმოცემული სახელადი ნაწილიც მრავლობითში დგას და მეშველი ზმნაც: 1. ისინი ჩვენი მეგობრები არიან (გოგ.). 2. ესლიფსიტები პატარა ორაგულები იყვნენ (გოგ.). 3. ისინი ფერით წითლები იყვნენ (ვაჟა). 4. პატარა შიმელები დიდი ხეები გახდნენ (რაზ.).

2. ხშირია ისეთი შედგენილი შემასმენელი, რომლის სახელადი ნაწილი ვნებითი გვარის მიმღეობაა, ხოლო მეშველად „ვარ“ ზმნის ფორმებია მონაცვლე ზმნებითურთ (იყო, ყოფილა. იქნება; მყავს, ნაქვს). აქ გასარჩევია ორი შემთხვევა:

ა) თუ -ებ-იან მრავლობითში დასმული ქვემდებარე ისეთია, რომ შემასმენელს მხოლობითში მოითხოვს, მეშველი ზმნაც მხოლობითში დგას და მიმღეობით გადმოცემული სახელადი ნაწილიც: 1. ტალავერში მალლა ყურძნის მტევნები იყო ჩამოკიდებულნი (წერ.). 2. დაძაბუნებული ხეები იმის [კოდალას] ნისკარტით იყო მოჭვრეთილი (ვაჟა).

ბ) თუ -ებ-იან მრავლობითში დასმული ქვემდებარე ისეთია, რომ შემასმენელს მრავლობითში მოითხოვს, მეშველი ზმნა მრავლობითშია, ვნებითი გვარის მიმღეობა (სახელადი ნაწილი) კი მხოლობითშიც გვხვდება და მრავლობითშიც.

მეშველი ზმნა მრავლობითშია, მიმღეობა — მხოლობითში: 1. ისინი დაბინავებულნი იქნებიან (ვაჟა). 2. კახელებიც იძულებული ყოფილან, რომ აგრე ნოქცეულიყვნენ (წერ.).

მეშველი ზმნაც მრავლობითშია და მიმღეობაც: 1. მოხვევები მთაში განთქმულნი არიან (ყაზ.). 2. თაგვები დღისით სორობში არიან მიმალულნი (გოგ.).

უპირატესობა მიმღეობის მხოლობით რიცხვში დასმას უნდა მიეცეს.

აღწერილობითს ვნებითში შემავალი მიმღეობა ყოველთვის მხო-

ლობითშია: ბავშვები გაგზავნილ იქნენ (ან: ბავშვები იქნენ გაგზავნილი).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო . გადაწერეთ მაგალითები. შედგენილ შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორი. გაეციოთ პასუხი, რომელ რიცხვშია ქვემდებარე, მეშველი ზმნა და სახელადი ნაწილი.

1. ისინი მხოლოდ კარგი მეგობრები იყვნენ (რ. გვ.). 2. ყველანი ლამაზები იყვნენ (ვაჟა). 3. პატარა კუქულები დიდრონი ბატები გახდნენ (რახ.). 4. [თევზები] უფრო გულადნი ხდებოდნენ (გოგ). 5. ამის გამო ცხრა ძმანი ერთიერთმანეთზე უკეთესი ვაჟები და მშველიშვილები დადგნენ (გოგ.). 6. ძალიან უგულისყურონი გამოდგნენ გულქანის დედოფლები (რახ.). 7. იმისი უზარმაზარი ქვევრები რძესავით ღვინოებით სავსენი იყვნენ (რახ.). 8. საუბრები და წერაობები დიდი ოსტატები არიან (ვაჟა).

§ 55. შემასმენლის რიცხვი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებით გადმოცემულ ქვემდებარესთან. პირველი და მეორე პირის ფორმებთან, როგორც ვიცით, ქვემდებარე უბრუნველი ნაცვალსახელებით არის გადმოცემული. მხოლოდითი და მრავლობითი აქ გარჩეულია სიტყვის მნიშვნელობით: „მე“ და „შენ“ ერთზე. მიუთითებს, „ჩვენ“ და „თქვენ“ — მრავალზე (ორსა და მეტზე). როცა პირველი და მეორე სუბიექტური პირი მრავლობითშია და ქვემდებარედ „ჩვენ“ და „თქვენ“ ნაცვალსახელები ან ამ ნაცვალსახელთა მნიშვნელობის გადმოცემი სიტყვა თუ სიტყვებია, შემასმენელი ყოველთვის მრავლობითში დგას: 1. ჩვენ კაკლის ძირში შევიყუყუენით (ლომ.). 2. თქვენ იმას კარგად არ იცნობთ (ვაჟ.). 3. ერთხელ მე და პაპა-ჩემი [ჩვენ] ერთს ადგილს შევიყარენით (ვაჟ.). 4. მგლები, საზოგადოდ, მთხერბებულები ხართ (ვაჟა). 5. ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა, გავიზიარეთ ყველამა საქმე, და რიგ-რიგითა ყველა ძმურადა ვყარაულობდით ძროხასა ღამე (ვაჟ.). 6. კაცი-და ფეხი სად მოვიკიდოთ ორმა კაცმა მაგ ვიწროზედ? — ასძახა გიორგიმ (ვაჟ.).

შენიშვნა: როცა „თქვენ“ ერთი პირისადმია მიმართული, მეშველი ზმნა მრავლობითშია, სახელადი ნაწილი კი მხოლოდითში დგას: 1. თქვენ ყმაწვილი კაცი ბრძანდებით (ვაჟ.). 2. თქვენ დიდი გულჩახვეული კაცი ყოფილხართ (რ. გვ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო . გადაწერეთ მაგალითები. შემასმენელს (მარტივსა თუ შედგენილს) ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარეს — ორი: გამოარკვიეთ, როგორ სახელობთა ქვემდებარე გადმოცემული და როგორაა შემასმენელი მასთან რიცხვში შეწყობილი.

1. ჩვენ ახალგაზრდები ვართ (ყაზ.). 2. ყველანი სიკვდილის შეილება ვართ (ყაზ.). 3. თქვენ, ბატონებო, ჩემი ქმრის ერთგული მეგობრები ბრძანდებით (ლომ). 4. ე, თქვენ, როგორც გეტყობათ, გაუბედავი კაცი ყოფილხართ (რ. გვ.). 5. ამ დღიდან მე და ჩემი ბატონი მეგობრები შევიქნით (ვედ.). 6. გზაში მე და ეფრემი შეველაპარაკდით (ყაყა). 7. და ისევე ზღაპარს გლესურს მორიგად თითოსა შინც ყველა ვიტყოდით (ქავ.). 8. შენ და შენი რძალი და სანდო უანის სამკალად წადით, მე სახვეტს წაველ (ყაყა).

დამატებისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში

§ 56. პირდაპირი დამატება და შემასმენელი. პირდაპირი დამატების რიცხვი პირველი პირის ფორმასთან გარჩეულია ყოველთვის: მხატავს იგი მე, გვხატავს იგი ჩვენ, მხატავენ იგინი მე, გვხატავენ იგინი ჩვენ; მხატავ შენ მე, გვხატავ შენ ჩვენ, მხატავთ თქვენ მე, გვხატავთ თქვენ ჩვენ.

მეორე პირის ფორმასთან პირდაპირი დამატების რიცხვი გარჩეულია მაშინ, როცა ქვემდებარე მხოლოდითშია: გხატავთ მე თვენ, გხატავთ (←გხატავსთ) იგი თქვენ. ქვემდებარე რომ მრავლობითში დაეაყენოთ, შემასმენელს შეითანხმებს რიცხვში და პირდაპირი დამატების მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღუნიშნე-ლი დარჩება: ჩვენ გხატავთ შენ (თქვენ), იგინი გხატავენ შენ (თქვენ). „მე-3 პირდაპირ-ობიექტურ პირს საკუთარი ნიშანი არა აქვს არც მხოლოდითში და არც მრავლობითში. ამის გამო არც გარჩევაა ფორმებისა ობიექტის რიცხვის მიხედვით, ე. ი. ზმნას ერთი და იგივე ფორმა აქვს მაშინაც, როცა ობიექტი მხ. რიცხვშია, და მაშინაც, როცა იგი მრავლობითშია“ (ა. შანიძე). მაგალითად: „შლიდა ფრთას“, „შლიდა ფრთებს“.

ძველ ქართულში ნარიან მრავლობითში დასმული პირდაპირი დამატების მრავლობითობა ზმნის ფორმაში ნ (ენ) სუფიქსით აღი-ნიშნებოდა. მაგალითად: „დაწერა წიგნი“, მაგრამ: „დაწერსა წიგნი“.

თანამედროვე სალიტერატურო ენასა და ქართულის ბევრ კი-ლოში პირდაპირი დამატების ასეთი რიცხობრივი გარჩევა აღარ არის, მაგრამ შემორჩენილია ზოგიერთ კილოში (მაგალითად ფშა-ურში, ხევსურულში) და გვხვდება ლიტერატურაშიც იქიდან გამო-

სულ მწერალთა ნაწერებში (მაგალითად, ვაჟა-ფშაველასაში).

პირდაპირ-ობიექტური პირის მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნათაგან მრავლობითში დასმულ ან კრებითი სახელით გადმოცემულ პირდაპირ დამატებასთან მრავლობითის ფუძეა შემასმენლად: „ქ ვ ა გ ა დ ა ა გ ო“ მაგრამ: „ქ ვ ე ბ ი გ ა დ ა ყ ა რ ა“.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ნარიან მრავლობითში დასმულ პირდაპირ დამატებას — ორი. გამოარკვეით, არის თუ არა პირდაპირი დამატების მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღნიშნული. თუ არის, რით არის იგი გადმოცემული?

1. მე რა მნახა, ცხენსა შეჭდა, თვალთა ცრემლნი მოიხონცა; შესაპყრობლად შეეუხხენ, სპანა სრულად დამიხონცა (რუსთ.). 2. შევიდა, მოტირალნი გამოასხნა, ორნივე მკლავნი დაუხსნნა და მრავალი სისხლი აღინა (საბა). 3. თვალთა ქელი უკუელო, ცხელი ცრემლნი მოიწურნა, კმალ-კაპარკი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა (რუსთ). 4. გაშალნეს ხელნი ჩემს გასატაცებლად (ვაჟა). 5. გრგვინით ჩამოვლნეს ქალანი (ვაჟა). 6. იმათ მე მკრეს, მე ისინი ეკრენ (ვაჟა). 7. ხოშარის გორზედ დავმარხენ [ისინი], თავზე დასტირის ქარია (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვეით, პირდაპირ-ობიექტური პირის მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნათაგან რომელი ფუძეა გამოყენებული და რატომ.

1. ტყემ მოისხა ფოთოლი (ვაჟა). 2. ორშოში ფეტვი ჩაყყარე (ხალხ.). 3. ცოტეს ჩიტის ბარტყები ბუდიდან ამოესხა (გოგ.). 4. ერთ ბებერ დედაკაცს კატომ სულ ერთიანად დაახოცინა [მამლები] (ლომ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 3. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვეით, რას გამოხატავენ — და ზმნისწინიანი ფორმები და როგორ შეიცვლება ზმნის ფორმა, პირდაპირ-დამატება რომ მხოლოდობით რიცხვში გადავიყვანოთ.

1. აი და აფრინეს მერცხლებმა. ბარტყები (გოგ.). 2. შაშვები ძალიან შეწუხდნენ, ვერც ბარტყები დაზარდეს, ვერც ქურდი იპოვეს (რაზ.). 3. ქალებმა დაყვლიფეს ბატები, დაწიწქნეს, დატუხეს, ფეხებსაც კარი წააძერეს, მერე გამოწელეს, კუქები დაატყავეს, დარეცხეს და ხონჩით იქვე ტახტთან თაროზე შედგეს (რაზ.).

§ 57. ირიბი დამატება და შემასმენელი. პირველი პირის ფორმასთან ირიბი დამატების რიცხვი გარჩეულია ყოველთვის: მ-ესალმება ბავშვი მე, გვ-ესალმება ბავშვი ჩვენ, მ-ესალმებიან ბავშვები მე, გვ-ესალმებიან ბავშვები ჩვენ; მ-ესალმები შენ მე, გვ-ესალმები შენ ჩვენ, მ-ესალმებით თქვენ მე, გვ-ესალმებით თქვენ ჩვენ.

მეორე პირის ფორმასთან ირიბი დამატების მრავლობითობა ზმნაში შეიძლება აღინიშნოს და შეიძლება არა: ირიბი დამატების მრავლობითობა აღინიშნება, თუ შემასმენელი არ არის ქვემდებარე

ჩესთან მრავლობით რიცხვში შეთანხმებული: გესალმები-თ მე
 თ ქ ვ ე ნ, გესალმება-თ იგი თ ქ ვ ე ნ. თუ შემასმენელი შეთანხმე-
 ბულია ქვემდებარესთან მრავლობითში, ირიბი დამატების მრავ-
 ლობითობა ზმნის ფორმაში აღარ აღინიშნება: გესალმებით ჩ ვ ე ნ
 თქვენ, გესალმებიან ი გ ი ნ ი თქვენ. აქ, როგორც ვხედავთ, სხვა-
 დასხვა მნიშვნელობის ფორმათა დამთხვევასაც აქვს ადგილი: „გე-
 სალმებით“ ფორმაში „თ“ აღნიშნავს ქვემდებარის მრავლობითო-
 ბას (გესალმებით ჩ ვ ე ნ თქვენ) ან ირიბისას (გესალმებით მ ე
 თ ქ ვ ე ნ).

მესამე პირის ფორმასთან ირიბი დამატების მრავლობითობა შე-
 იძლება აღინიშნოს, თუ შემასმენელი არ არის ქვემდებარესთან
 მრავლობითში შეთანხმებული: „ბ ა ტ ა რ ძ ლ ე ბ ს აკენები გვერ-
 დით ე დ გ ა თ“ (ვაჟა). მაგრამ თუ ქვემდებარედ ისეთი სახელია,
 რომელიც შემასმენელს მრავლობითში მოითხოვს, ირიბი დამატე-
 ხის მრავლობითობა აღარ აღინიშნება: „დედებს ბ ა ვ შ ვ ე ბ ი
 გვერდით ე დ გ ნ ე ნ“.

ზოგჯერ ქვემდებარე არ უშლის ხელს, მაგრამ ზმნაში ირიბი და-
 მატების მრავლობითობა მაინც არაა აღნიშნული: „შენი ამბავი,
 ეხლა მართალი, ზღაპრად მ ი უ ვ ა ჩვენს- შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ს“
 (კვა). „მიუვა“ ფორმის ნაცვლად შეიძლებოდა ყოფილიყო:
 „მიუვათ“.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, მრავლობითში
 დასმული ირიბი დამატება ითანხმებს თუ არა შემასმენელს რიცხვში.

1. ნაღობაიდის სიტყვებზე მწყემსებს ჩოჩქოლი შეუდგათ (რაზ.).
2. ფრინვე-
 ლებს და ცხოველებს მოუსვენრობა ეტყობოდათ (რაზ.).
3. მეტისმეტი შრომი-
 საგან ნისლებს ოფლი სდენოდათ (ვაჟა).
4. განრისხებული ბატონი მოსამსახუ-
 რეებს მიუბრუნდა (ევდ.).
5. არწივი გამოემშვიდობა მთებს (ვაჟა).
6. დამშეულ
 ძაღლებს სუნი ეცათ (წერ.).

**წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები და
 მათი ბამოხატება**

უ ბ რ ა ლ ო დ ა მ ა ტ ი ბ ა ნ ი ქ

წ მ მ. ზოგადი ცნობები უბრალო დამატების შეხახებ. უბრალო
 დამატება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრია, რომელიც თა-
 ვისი ფორმითა და შინაარსით რამდენიმე სახისაა. იგი ახლავს რო-
 გორც ზმნის პირიან ფორმას, ისე უპიროსაც (საწყისსა და მიმღე-
 თბას): ფ ა ნ ქ რ ი თ დახატა, ფ ა ნ ქ რ ი თ დახატვა, ფ ა ნ ქ

რით დახატული. ასეთი დამატება გვხვდება ზედსართავ სახელ-
თანაც: ლორზე დაბალი, ცხენზე მაღალი (გამოცა-
ნა: ქული).

ზმნის პირიანი ფორმა, როგორც ვიცით, წინადადებაში შემასმე-
ნელია, ხოლო უპირო ფორმითა და ზედსართავი სახელით შეიძლე-
ბა წინადადების სხვადასხვა წევრი გადმოიცეს. ამიტომ უბრალო
დამატება შეიძლება ახლდეს როგორც შემასმენელს: „ზოგან არ-
წივს ხ ა ფ ა ნ გ ი თ ი კ ე რ ე ნ“ (გოგ.), ისე წინადადების სხვა
წევრებსაც: ქვემდებარეს: „ტ ა ნ კ ე ბ თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ა გამარჯვე-
ბით დამთავრდა“ (რ. გვ.), დამატებას: „ზ უ რ ა ბ მ ა ც მ შ ვ ე ნ ი ვ რ ა დ
ი ც ო ლ ა თ ა რ ზ ე დ ა კ ვ რ ა“ (გოგ.), განსაზღვრებას: „ა რ წ ი ვ ი -
ს ა გ ა ნ შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ი წ ე რ ო ე ბ ი ს უ ლ დაბლა და დაბლა ეშვე-
ბოდნენ“ (რაზ.) და გარემობას: „გ ი ო რ გ ი ტ ყ ე შ ი ყ ო ფ ი ლ ი ყ ო კ ი -
გ ო ს ს ა ქ რ ე ლ ა დ“ (ქავ.).

უბრალო დამატება უმეტესად არსებითი სახელით (საწყისი-
თურთ) და ნაცვალსახელებით გადმოიცემა, იშვიათად — სხვა მეტ-
ყველების ნაწილებითაც. იგა უთანდებულოა ან თანდებულიანი.
მისი ბრუნვებია: მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითა-
რებითი. უბრალო დამატებას კითხვად დაესმის „ვინ“ ან „რა“ იმ
ფორმით, რა ფორმითაც უბრალო დამატებაა გადმოცემული.

სხვადასხვა ფორმით გადმოცემული უბრალო დამატება ზოგჯერ
შინაარსით ერთნაირია. მაგალითად: „ბავშვებით ჩამოვიდა“ ან
„ბავშვებიანად ჩამოვიდა“. „ბავშვებით“ და „ბავშვებიანად“ ში-
ნაარსით ერთნაირია (ორივე თანაობის დამატება), მიუხედავად
იშისა, რომ „ბავშვებით“ მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა, „ბავშვე-
ბიანად“ — ვითარებითისა. გვაქვს პირიქითაც: ფორმით ერთნაი-
რია, მნიშვნელობით — სხვადასხვა: „ბავშვით ჩამოვიდა“ და „ცხე-
ნით ჩამოვიდა“. „ბავშვით“ და „ცხენით“ — ორივე უბრალო და-
მატებაა და ერთმანეთისაგან არ განსხვავდება არც ფორმით (ორივე
მოქმედებით უბრუნვაშია), არც წყვილის ცალკით (ორივე ერთსა და
იმავე ზმნასთან შედის წყვილში) და მასთან სინტაქსური კავშირით
(ორივე მართულია ზმნისაგან მოქმედებით ბრუნვაში), მაგრამ, მიუ-
ხედავად ამისა, სხვადასხვა შინაარსისაა: „ბავშვით“ თანაობის და-
მატებაა, „ცხენით“ კი — საქურვლისა. განსხვავება ამ სიტყვების
განსხვავებულმა ლექსიკურმა მნიშვნელობამ განსაზღვრა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვეით, რა მეტყველების
ნაწილით და რა ფორმით არის უბრალო დამატება გადმოცემული, რას ახლავს

ის და რა კითხვაზე მიუგებს (უბრალო დამატებები ქვემოთ დაყოფით არის დი-ბეკლილი).

1. ზღინარე კ — ს მ წ ყ ე მ ს ი ს ა თ ვ ი ს ბატკანი მოეტაცნა (ვაჟა). 2. კამე-ჩები წ ნ ე ლ ი თ გამოება ურემზე (ვაჟა). 3. ს ი ც ი ვ ი ს ა გ ა ნ შეწუხებულს მყეფრები ხმას ველარ ილებდნენ (რაზ.). 4. გალობდა შაშვი და თავის გა ლ ო ბ ა შ ი ღ ნებოდა (ვაჟა). 5. შ ე ნ ზ ე დ ამბობენ, რომ ხარ მამაცი (ვაჟა). 6. ქვევით გაამართა მკვირცხლი თ ო ფ ი ს ს როლა (ყაზ.). 7. დემეტრეს სახლის ეზოში დ ვ ი ნ ი თ სავსე ტიკები ეწყო (ვაჟა). 8. ყვავილინ მუღამამს ს ი ც ო ც ხ ლ ე-ზე საუბრობდნენ (ვაჟა). 9. [გვადიმ] ხურჯინი ნ ა ბ დ ი ა ნ ა დ სახლში შეათრია (ქიაჩ.).

§ 59. უბრალო დამატება მიცემითში. მიცემითში დასმული უბ-რალო დამატება ჩვეულებრივ თანდებულიანია, იშვიათად უთანდე-ბულოც. თანდებულთაგან უბრალო დამატების გადმოსაცემად მი-ცემითის ფორმას დაერთვის „თან“, „ზე“ და „ში“. მოუგებს კითხ-ვებზე: ვისზე? რაზე? ვისთან? რასთან? რაში? ვისთან ერთად? რას-თან ერთად? უთანდებულო დამატებას კითხვაც უთანდებულოდ-დაესმის.

მიცემითში დასმული უბრალო დამატება შინაარსით რამდენიმე სახისაა.

§ 60. უთანდებულო მიცემითი უბრალო დამატებად. უთანდე-ბულო დამატება გვხვდება ზოგიერთი ზმნის პირიან ფორმასთან და ვნებითი გვარის მიმღობასთან:

1. თოფიანებმა თ ო ფ ე ბ ს ხელი გაიკრეს (ვაჟა). 2. თავისი აღ-ზრდითა და ცხოვრებით მ ო თ მ ი ნ ე ბ ა ს შეჩვეული მათია ძო-უთმენლად მოელოდა მზის ამოსვლას (ყაზ.).

ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის ირიბი დამატება იმავე ზმნის ვნებითი გვარის მიმღობასთან უთანდებულო უბრალო დამატებას გვაძლევს: მაგალითად: „მელია საქათმეს შემოეჩვია“ — „ს ა ქ ა თ-მ ე ს შემოჩვეული მელია“.

ზმნის პირიან ფორმასთან თანდებულიანი უბრალო დამატება უფრო ბუნებრივია: „თოფიანებმა თ ო ფ ე ბ ზ ე ხელი გაიკრეს“. ვაჟა-ფშაველას ანალოგიურ შემთხვევაში უბრალო დამატება თან-დებულიანი ფორმით აქვს კიდევაც გადმოცემული: „ცოტა რომ გა-იარეს, უფრო ფიცხლად გაიკრეს თოფიანებმა ხელი თ ო ფ ზ ე-ნ ა ქ ა ხ ი ა ნ ე ბ მ ა — ნ ა ქ ა ხ ზ ე, წალდუნიაანებმა — წ ა ლ დ უ ნ ა ზ ე; და შუბიანებმა — შ უ ბ ზ ე“ (ვაჟა).

უთანდებულო მიცემითი ბუნებრივია „და“ კავშირის წინმდგომი უბრალო დამატებისათვის: „ფრინველები დიდ წინდახედულებას იჩენენ შვილებს და ზრდასა და იმათ დაფრენაში“ (გოგ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო . გადიწერეთ მაგალითები. უთანდებულო უბრალო დამატებას ერთი ხაზი გაუსვით, იმ სიტყვას კი, რომელსაც ახლავს, — ორი. აღნიშნეთ, თანამედროვე ქართულში რა შემთხვევაშია უთანდებულო მიცემითი ბუნებრივი და რა შემთხვევაში — არაბუნებრივი.

1. დედი, ფეხებს ჩამაცვი! (ვაჟა). 2. დიდს ჩავარდა საგონებელს, შეუდგა ბკობას, რჩევასა (ქავ.). 3. გზატკეცილს აყოლებული თხრილის გაღმა, ცოტა მოშორებით, გოჩას სახლისაკენ ბილიკი უხვევდა (ქიაჩ). 4. როგორც კი შემსხდარიყვნენ ცხენებს, ბერიძე მაშინვე დასტევებიყო (ვაჟა). 5. მთელი სკა სიხარულსა და ნეტარებაში იყო (რაზ.). 6. ფიქრობს ხმელი წიფელი... აწყყოსა. და მომავალზე (ვაჟა). 7. შვე მონადირე მეგონა, სახუნდარს მოფარებული (ასათ).

§ 81. „თან“-დართული დამატება. „თან“-დართული დამატება სხვადასხვა მნიშვნელობისაა. „ტ ა ნ კ ე ბ თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ა გამარჯვებით დამთავრდა“ (რ. გვ.). „ტანკებთან“ უბრალო დამატებაა და გამოხატავს სამოქმედო საგანს: ტანკებს ებრძოდნენ (და ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა). „თან“-დართული დამატება ხშირად თანაობას გამოხატავს: „დედაჩემს ცნობის მოყვარეობასთან შრომის მოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა“ (წერ.): „ცნობის მოყვარეობასთან“ თანაობის დამატებაა. „თან“-თანდებულიან თანაობის დამატებას გასაძლიერებლად ჩვეულებრივ „ერთად“ დერთვის: „მგლებიც მეცხვარეებთან ერთად მთა-ბარობენ“ (რაზ.). თანაობის დამატება თავის მხრივ სხვადასხვა მნიშვნელობისაა. მაგ., მოყვანილ მაგალითში უბრალო დამატებაა „მეცხვარეებთან ერთად“. შემასმენლით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს არა მარტო ქვემდებარე, არამედ უბრალო დამატებით გადმოცემული საგანიც, მაგრამ ისე, რომ ქვემდებარის მოქმედება თანსდევს უბრალო დამატებით გადმოცემული საგნის მოქმედებას. „მამამ წერილთან ერთად ფულიც გამომიგზავნა“: „წერილთან ერთად“ უბრალო დამატებაა, რომელსაც იგივე მოქმედება ეხება, რაც პირდაპირ დამატებას.

6. ლ. კ ვ ა ქ ი ა ძ ე , ქართული ენის სინტაქსი

„თან“-დართული უბრალო დამატების კითხვებია: ვისთან? რასთან? ვასთან ერთად? რასთან ერთად?

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო . წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა ფორმით არის უბრალო დამატება გადმოცემული და რა მნიშვნელობისაა იგი.

1. მხოლოდ ნიავი მთისა მოლხენით ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა (ვაჟ).
2. გაფაციცებით ხოხნიდნენ ძროხები ბალახთან ერთად ყვავილებს (ვაჟ).
3. ფშაველებმა ხშირად ერთმანეთთან ლექსით შაირობა იციან (ვაჟ).
4. მე ამ ამხანაგებთან ერთად დილიდან საღამომდე სულ მინდორში დავბოდი (წერ.).
5. ტყვიის საღობო ტაფაში სხვა ტყვიის ნაქვლეტებთან ერთად ნინამ ერთი ტყვია ჩააგდო (ვაჟ).
6. სოფელთან ერთად გაგის სახლშიაც ადგნენ (ყაზ.).
7. მთებთან ერთადა კლდეებიც თოფებივითა ტყვებოდნენ (ვაჟ).

ჭ მჟ. „ზე“-დართული დამატება. „ზე“-დართული დამატება აღნიშნავს საგანს, რომელზედაც ხდება მოქმედება, რომელსაც ეხება მოქმედება. „ყვავილნი მუდამეჟამს ს ი ც ო ც ხ ლ ე ზ ე საუბრობდნენ“ (ვაჟ). „განა ამისთანა კორები მოუგონია ელისაბედს დ ა რ ე ჭ ა ნ ზ ე დ ა?“ (ვაჟ). მოყვანილ მაგალითებში „ზე“-დართული დამატება ზმნის პირიან ფორმას (შემასმენელს) ახლავს, მაგრამ იგი ჩვეულებრივია საწყისთან და მიმღობასთანაც: „ზურაბმაც მშვენივრად იცოდა თ ა რ ზ ე დ ა კ ვ რ ა“ (გოგ.). „გვიმ ზეპირად იცის სამამულლო ო მ ზ ე დ ა წ ი რ ი ლ ი ლექსები“.

„ზე“-დართული დამატება ჩვეულებრივია აგრეთვე უფრო-ობითი ხარისხის ფორმებთან: „ძმები ე რ თ მ ა ნ ე თ ზ ე უ კ ე თ ე ს ი ვაჟკაცები დადგნენ“. ხშირია დადებითი ხარისხის ფორმებთანაც: „განა ი მ ა ზ ე ლ ა მ ა ზ საკითხავს წიგნს კიდევ შეჰხვდება ადამი.ნი?“ (ვაჟ). ასეთი დამატება შეიძლება ახლდეს ვითარების ზმნიზედასაც: „ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო მ კ ა ფ ი ო ლ ელიკოს ხმა ისმოდა“ (ქიაჩ.).

„ზე“-თანდებულებიანი დამატების კითხვებია: ვისზე? რაზე?

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო . გადაიწერეთ მაგალითები. „ზე“-დართულ დამატებას ერთი ხაზი ვალსებით, იმ სიტყვას კი, რომელსაც ახლავს იგი, — ორი. აღნიშნეთ, რა მეტყველების ნაწილით არის დამატება გადმოცემული და რა სიტყვასთან არის იგი დაკავშირებული.

1. ვაჟები ცხენებზე ამხედრდნენ (ვაჟ).
2. დიღხანს ფიქრობდა კრუხი ჩხეკის ნაამბობზე (რაზ.).
3. ზედ ხის შამფურზე აგებული ირმის მწვადი იწვებოდა (ვაჟ).
4. ჩვეულება რჭულზე უმტკიცესიაო (ხალხ.).
5. ამაზე ტურფა და კარგი შე სხვა აღარა მგონია (ვაჟ).
6. ფრინველებში ყველაზე თამამად კოდალა იქცეოდა (ვაჟ).

§ 63. „ში“-დართული დამატება. „ში“-დართული დამატება ახლავს როგორც ზმნის პირიან ფორმას, ისე საწყისსა და მიმღეობას. მოგვიგებს კითხვაზე: რაში?

ჩვეულებრივია ასეთ დამატებად საწყისები და აბსტრაქტული სახელები, იშვიათად კონკრეტული არსებითი სახელები და სხვა ბრუნებადი სიტყვებიც (მიმღეობა, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი): „დიდს გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ა შ ი ჩ ა ვ ა რ დ ა წ ი ს ქ ე ვ ი ლ ი“ (ვ ა ჯ ა). (გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ა შ ი ჩ ა ვ ა რ დ ნ ა, გ ა ჭ ი რ ვ ე ბ ა შ ი ჩ ა ვ ა რ დ ნ ი ლ ი). „ღამე თანდათან ახლოვდებოდა და მიწას ბნელს ს უ ღ ა რ ა შ ი ხ ვ ე ვ დ ა“ (ყ ა ზ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უთანდებულო თუ „ზე“-, „ში“- და „თან“-თანდებულებიანი მიცემითის ფორმები ზოგჯერ გარემოებაა და არა უბრალო დამატება.

ს ა ე ა რ ჭ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. „ში“-დართულ დამატებას ერთი ხაზი გაუსვით, იმ სიტყვას კი, რომელსაც ახლავს იგი, — ორი. აღნიშნეთ, რა მეტყველების ნაწილით არის გადმოცემული უბრალო დამატება და რა სიტყვას უკავშირდება იგი.

1. შაშივ გალობდა და თავის გალობაში დნებოდა (ვ ა ჯ ა). 2. ამ სიტყვებმა ყველაში უჩვეულო აღტაცება გამოიწვია (რ. გვ.). 3. ფრინველები ერთმანეთს ეჭიბებოდნენ მხაარულებაში (ე ვ დ.). 4. ონსე გაყრდოლა, აღელდა და თავდავიწყებაში ჩავარდა (ყ ა ზ.). 5. იპოვებთან ისეთი კაცნი, რომელთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩავარდნილი ხმელი წიფელი (ვ ა ჯ ა). 6. ფულის სარგებელში დემეტრემ კარაპეტას ღვინო მიუწყო (ვ ა ჯ ა). 7. სჯობს მონებაში გადიდ-კაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვლარი (წ ე რ.).

§ 64. უბრალო დამატება ნათესაობითში. ნათესაობითში დასმული უბრალო დამატება უთანდებულოა ან თანდებულებიანი. თანდებულთაგან აქ გვხვდება: გან, მიერ. თვის, გულისთვის, შესახებ, მიმართ და სხვ.

შინაარსით ნათესაობითში დასმული დამატება მრავალფეროვანია. ზოგი რეალური ვითარების მიხედვით მოქმედ საგანს გამოხატავს, ზოგი სამოქმედოს, ზოგი საგნის დანიშნულებაზე მიუთითებს ან კიდევ მასალაზე, რომლისგანაც რაიმე კეთდება და სხვ.

§ 65. ქვემდებარისებრი დამატება. ვნებითი გვარის ფორმა, როგორც ვიცით, ერთი პირით ნაკლებს შეიცავს სათანადო მოქმედებითზე. მოქმედებითის ვნებითში გადაყვანისას ზმნას აკლდება სუბიექტური პირი, მისი ფარდი სახელი (ქვემდებარე) ნათესაობითში გადადგება, დაირთავს „გან“ თანდებულს (იშვიათად „ძიერ“-ს) და ქვემდებარისებრი დამატებაა.

სამიერიანი მოქმედებითი

ხათანადო (ორპირიანი) ვნებითი

ყ ინ ვ ა მ მ ცენარეს ფესვები გაუხზმო.

ყ ი ნ ვ ი ს ა გ ა ნ მ ცენარეს ფესვები გაუხზმა.

ორპირიანი მოქმედებითი

ხათანადო (ერთპირიანი) ვნებითი

ყ ი ნ ვ ა მ მ ცენარის ფესვები გააზმო

ყ ი ნ ვ ი ს ა გ ა ნ მ ცენარის ფესვები გახზმა.

„ყინვამ“ ქვემდებარეა, „ყინვისაგან“ — ქვემდებარისებრი დამატება. ეს, თავის მხრივ, იმასაც გულისხმობს, რომ ქვემდებარისებრი დამატება ქვემდებარე გახდება, თუ ზმნას ვნებითი გვარიდან მოქმედებითში გადავიყვანთ: ს ი თ ბ ო ს ა გ ა ნ რ კ ი ნ ა ფ ა რ თ ო ვ ღ ე ბ ა — ს ი თ ბ ო რ კ ი ნ ა ს ა ფ ა რ თ ო ე ბ ს. გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე იმავე ზმნის საწყისთან ქვემდებარისებრი დამატებად გადაიქცევა. ყუყუნა წ ვ ი მ ა მოვიდა — ყუყუნა წ ვ ი მ ი ს მოსვლა; მ დ ი ნ ა რ ე ა დ ი დ ღ ა — მ დ ი ნ ა რ ი ს ა დ ი დ ე ბ ა; მ ზ ე ჩ ა ვ ი დ ა — მ ზ ი ს ჩ ა ს ვ ღ ა.

გარდამავალი ზმნის ქვემდებარე იმავე ზმნის ვნებითი გვარის მიმღეობასთან ქვემდებარისებრი დამატება გახდება: ქ ო რ მ ა წ ი წ ი ლ ა წ ა ი ლ ო — ქ ო რ ი ს წ ა ლ ე ბ უ ლ ი წ ი წ ი ლ ა; მ ო ნ ა დ ი რ ე მ დ ა თ ვ ი მ ო კ ლ ა — მ ო ნ ა დ ი რ ი ს მ ო კ ლ უ ლ ი დ ა თ ვ ი.

ქვემდებარისებრი დამატება უთანდებულოა ან „გან“ თანდებულს დაირთავს, რომელსაც შეიძლება „მიერ“ შეენაცვლოს: ა მ ხ ა ნ ა გ ი ს ა გ ა ნ გ ა მ ო გ ზ ა ვ ე ნ ი ლ ი — ა მ ხ ა ნ ა გ ი ს მ ი ე რ გ ა მ ო გ ზ ა ვ ე ნ ი ლ ი; მ ო ნ ა დ ი რ ი ს ა გ ა ნ მ ო კ ლ უ ლ ი დ ა თ ვ ი — მ ო ნ ა დ ი რ ი ს მ ი ე რ მ ო კ ლ უ ლ ი დ ა თ ვ ი.

„მიერ“-დართული სახელი ყოველთვის ქვემდებარისებრი დამატებაა, „გან“-დართული კი რამდენიმე სახისაა (გარდა ქვემდებარისებრისა):

ა) აღნიშნავს მასალას, რომლისაგანაც რაიმე მზადდება: „კ ო დ ე ბ ს, ს ა დ ვ ე ბ ლ ე ბ ს, კ ა ს რ ე ბ ს ს უ ლ ც ა ც ხ ვ ი ს ა გ ა ნ ა ე თ ე ბ ე ნ“ (რაზ.).

ბ) აღნიშნავს დაშორებას, დაცილებას, თავის დაღწევას: „ი ა გ ო მ ო რ ჩ ა და გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ღ ღ ა თ ა ვ ი ს ი ქ რ ი ლ ო ბ ი ს ა გ ა ნ“ (ყაზ.).

ქვემდებარისებრი დამატების კითხვებია: ვისგან? რისგან? ვის მიერ?

შ ე ნ ი შ ე ნ ა 1. „გან“- დართული ნათესაობითის ფორმა ზოგჯერ გარემოებაა და არა დამატება.

შ ე ნ ი შ ე ნ ა 2. როცა ქვემდებარისებრ დამატებად I და II პირის უბრუნველ ნაცვალსახელთა (მე, შენ, ჩვენ, თქვენ) სათანადო კუთვნილებითია (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი), იგი სახელობით ბრუნვაშია: მე ავაშენე სახლი — ჩემი აშენებული სახლი, შენ ააშენე სახლი — შენი აშენებული სახლი, ჩვენ ავაშენეთ სახლი — ჩვენი აშენებული სახლი, თქვენ ააშენეთ სახლი — თქვენი აშენებული სახლი. „ჩემი“, „შენი“, „ჩვენი“, „თქვენი“ მნიშვნელობით აქ იგივეა, რაც: ჩემ მიერ, შენ მიერ, ჩვენ მიერ, თქვენ მიერ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა 3. უფროობითი ხარისხის ფორმებთან დამატება წინათ ნათესაობითში იღვავა: „არცარა ენის უტკბოსი იქნებას და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო“ (სახა). ნათესაობითის ნაცვლად ამ შემთხვევაში ამჟამად ჩვეულებრივია „ზე“-დართული მიცემითი: „ენაზე უტკბესი“ („ენაზე ტკბილი“).

ს ა ე ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. ქვემდებარისებრ დამატებას ერთი ხაზი გაუსვით, იმ სიტყვას კი, რომელსაც იგი ახლავს, — ორი. გამოარკეიეთ, რა ფორმით არის უბრალო დამატება გადმოცემული და რასთან არის იგი შეწყობილი (პირიან ზმნასთან, საწყისთან თუ მიმდებარესთან).

1. დედა ნიბლია მოუსვენრად ელოდა ამხანაგის დაბრუნებას (რახ.). 2. სიცივისაგან შეწუხებული მყეფრები ხმას ველარ იღებდნენ (რახ.). 3. მეცხვარესაც ნამწვიმისაგან დაზუზული ცხვარი ლირკუიან მთის კალთებზე გაეშალა (რახ.). 4. თადულას მიერ მოტანილმა ახალმა ცნობამ საერთო გამოცოცხლება შეიტანა ქალებში (ჯაფ.). 5. მეტისმეტი შრომისაგან ნისლებს ოფლი სდენოდათ (ჯაფ.). 6. პატარა კეკეს სიცივისგან ხელები ეყინებოდა (გოგ.).

ს ა ე ა რ ჭ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები. აღნიშნეთ, რა ფორმით არის უბრალო დამატება გადმოცემული და რა შინაარსისაა ის.

1. პატრონმა გამოხარული პარკებისაგან წერილი ძაფი ამოახვია (გოგ.). 2. ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს, სირცხვილისგან დაგვიხსენი (ჯაფ.). 3. ომარა-შვილმა დაიხსნა გაპირებებისაგან სამართალი (ჯაფ.). 4. ქვისაგან ციხეებს აგებდნენ ჩვენი წინაპრები (დად.).

ს ა ე ა რ ჭ ი შ ო 3. მოქმედებითი გვარის ზმნები გადაიყვანეთ სათანადო ვნებითში, წინადადება ამის მიხედვით გამართეთ და გამოარკეიეთ, რა წევრად გადაკეთდება მოქმედებითის ქვემდებარე სათანადო ვნებითთან.

1. შიშვილმა ბახალეები ძალიან შეაწუხა (რახ.). 2. გაზაფხულზე დაწყებულ საქმეს ზაფხული გვირგვინს დაადგამს (ჯაფ.). 3. ნოტიო გაზაფხულს აემწვანებინა ლურჯ ლილასავით ჭვავილები (ჯაფ.). 4. თოვლმა მთლად დაფარა დედამიწა (ეედ.). 5. ოღნავე ნიავეი არხვედა ყლორტებს (ჯაფ.). 6. შვილის გამომეტყველებამ შელანია შეაერთო (რ. გვ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 4. წაიკითხეთ მაგალითები; ზმნები გადააკეთეთ საწყისად და გამოარკვეეთ, რად იქცევა ქვემდებარე.

1. ზღვა ლელავს. 2 მზე ამოვიდა. 3. მთიდან ნიავე წამოვიდა (ევლ.). 4. მთის წვერზე მთვარე გამოჩნდა (რ. გვ.). 5. ეტლო კლუბთან გაჩერდა (რ. გვ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 5. წაიკითხეთ მაგალითები. აღნიშნეთ, როგორია უბრალო დამატება და რასთან არის იგი დაკავშირებული. ვნებითი გვარის მიმღეობა გადააკეთეთ მოქმედებითი გვარის ზმნად, გამართეთ წინადადება და გამოარკვეეთ, რად იქცევა უბრალო დამატება.

1. სიცივისაგან დაფიჩხებული ტოტები კანკალბენ და ცახცახებენ (რაზ.).
2. არწივისაგან შეშინებული წეროები სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ (რაზ.).
3. ზამთრისაგან გაყვლეფილი ხეები საამურად იმოსებოდნენ ნორჩი, ლამაზი ფოთლებით (ლომ.).
4. ღრუბლებისაგან სანახევროდ დაფარული მზე მცხრალად აშუქებდა (რ. გვ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 6. წაიკითხეთ ნაწყვეტი. გამოარკვეეთ, რა ფორმით არის უბრალო დამატება გაღმოცემული და რასთან არის იგი დაკავშირებული. გაღმოაკეთეთ თანამედროვე ქართულზე და აღნიშნეთ, როგორ შეიცვლება.

საშუალმან თქვა ფერობა მამისა და მოახსენა:— დ ე ო ფ ლ ი ს უ ლ ა მ ა ზ ე ს ი, მეფის ც ხ ე ნ ი ს უ მ ს უ ქ ნ ე ს ი და მეფის შ ე ვ ა რ დ ნ ი ს უ მ ა ლ ე ს ი არ იქნების პარსა ზედა ქვეყნისააო. — მასცა უბრძანა მეფემან: — სამეფო წილი არა გხედესო! — კითხა უმცროსსა და თქვა: — გაზაფხულის უკეკლუცესი, შემოდგომისაგან უფრო უმსუქნესა და თვალთაგან უფრო უმაღლესი არა რა იქნების პირაა ზედა ყოვლისა ქვეყნისააო. — მოეწონა მამასა და სამეფოდ იგი შეინახა (საბა).

§ 56. პირდაპირისებრი დამატება. პირდაპირისებრია დამატება, რომელიც პირიანი ზმნის პირდაპირი დამატებისაგან არის გამოსული. ასეთი დამატება შეიძლება ახლდეს მხოლოდ გარდამავალი ზმნის საწყისსა და გარდამ. ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღეობას, ნათესაობითში დგას და შინაარსით პირდაპირ დამატებას ჩამოჰგავს. იგი ყოველთვის უთანდებულოა. მაგალითად, „ურემი გააჩერა“ — „ურმის გაჩერება“, „ურმის გამჩერებელი“. „ურემი“ პირდაპირი დამატებაა, „ურმის“ კი — პირდაპირისებრი.

მამასადამე, პირიანი ზმნის პირდაპირი დამატება იმავე ზმნის საწყისთან და მოქმედებითი გვარის მიმღეობასთან პირდაპირისებრ დამატებად იქცევა.

უთანდებულო ნათესაობითში, როგორც ვიცით, დგას ქვემდებარისებრი დამატებაც. ამასთან ერთად მოქმედებითი გვარისა და ვნებითი გვარის ზმნებს, საზოგადოდ, საწყისი საერთო აქვთ. ამიტომ კონტექსტის გარეშე ზოგჯერ ძნელდება იმის გარკვევა, თუ რად უნდა იქნეს მიჩნეული საწყისთან ნათესაობითის ფორმით და-

კავშირებული უბრალო დამატება — ქვემდებარისებრ დამატებად თუ პირდაპირისებრად. ავიღოთ ასეთი მაგალითი: „ბავშვი დაინაღა. ბ ა ვ შ ვ ი ს დამალვა ვერავინ შენიშნა“. „ბავშვის“ აქ ქვემდებარისაგან მიღებული დამატებაა, მაშასადამე, ქვემდებარისებრი დამატებაა. ახლა ავიღოთ ასე: „ღედამ ბავშვი დამალა. ბ ა ვ შ ვ ი ს დამალვა ვერავინ შენიშნა“. „ბავშვი“ პირდაპირი დამატებაა, „ბავშვის“ აქ პირდაპირი დამატებისაგან არის გამოსული, ე. ი. პირდაპირისებრი დამატებაა.

მაშასადამე, ნათესაობითში დასძული უბრალო დამატება გარდაუვალი ზნის საწყისთან ქვემდებარისებრია, ხოლო გარდამავალი ზნის საწყისთან — პირდაპირისებრი.

პირველი და მეორე პირის უბრუნველ ნაცვალსახელთა მაგიერად (მე, შენ, ჩვენ, თქვენ) თავ-თავისი კუთვნილებითი ნაცვალსახელებია ნახმარი: ჩემი განხარებელი (შენი, ჩვენი, თქვენი), ჩემი განხარება (შენი, ჩვენი, თქვენი).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. პირდაპირისებრ დამატებას ხაზი გაუსვით. აღნიშნეთ, რასთან არის პირდაპირისებრი დამატება დაკავშირებული (საწყისთან თუ მოქმედებითი გვარის მიმღობასთან).

1. ღედამეში ვახშმის მზადებას შეუდგა (ვაჟა). 2. ბალები მაშინვე ჩიბუხის ძებნას შეუდგნენ (ვაჟა). 3. კაცის მოკვლის ამბავი პაპას თავზარსა სცემს (ვაჟა). 4. სიცოცხლის მოშემს მზეს ათასფერად აუყვავებინა ღედამიწა (რახ.). 5. თანაც გააბეს მსჯელობა გველის მკამელის ცოდნაზე, ხის მკრელის, ბალახთ მთიბუელის, მათს ჩანადინარს ცოდვაზე (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები. პირდაპირისებრ დამატებას ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარისებრს — ორი.

1. ქარის მოტანის ქარივე წაიღებო (ხალხ.). 2. ათასში ერთხელ ძაღლის გამუღმებული ყუფა ბანს მისცემდა ხოლმე მგლის ყმუილს (ყაზ). 3. მტრისა ისრით გამსერტელი ხმალს უღუნდა, ფარს უხევდა (წერ.). 4. მე მივუსუცქდებოდი გვერდით შაქრის მტკრვევებს და იქით-აქეთ შორს გაბნეულ ფხვნილს ქორივით მიეჩერებოდი (წერ.).

§ 67. ირიბისებრი დამატება. ირიბისებრია უბრალო დამატება, რომელიც ჩვეულებრივ ირიბი დამატებისაგან არის მიღებული და შინაარსითაც ირიბ დამატებას ჩამოჰგავს. ასეთი დამატება „თვის“—დართული ნათესაობითით არის გადმოცემული და მოვკვება როგორც გარდამავალი თუ გარდაუვალი ზნის პირიან ფორმას, ისე საწყისსა და მიმღობას. გასარჩევია ირიბისებრი დამატების მიღების რამდენიმე შემთხვევა:

ა) გარდამავალი ზმნის ირიბი დამატება მესამე სერიის ფორმებთან ნათესაობითში დადგება, „თვის“ თანდებულს დაირთავს და უბრალო დამატებად იქცევა: „მდინარე კ — მ მწყემსს ბატკანი ღოსტაცა“ — „მდინარე კ — ს მწყემსს ისათვის ბატკანი მოეტაცნა“ (ვაჟა): „მოსტაცა“ სამპირიანი ზმნის მეორე სერიის (წყვეტილის) ფორმაა, „მწყემსს“ — ირიბი დამატება. „მოეტაცნა“ იმავე ზმნის მესამე სერიის (II თურმეობითის) ფორმაა, „მწყემსისათვის“ — ირიბისებრი დამატება.

ბ) სამპირიანი ზმნის სასხვისო ქცევის ირიბი დამატება იმავე ზმნის საარვისო ქცევის ფორმასთან ირიბისებრ დამატებად იქცევა: „ბიძამ ლადას კაკანათი გაუკეთა“ (ვედ.) — ბიძამ ლადასათვის კაკანათი გააკეთა. „გაუკეთა“ სამპირიანი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმაა, „ლადას“ — ირიბი დამატება. „გაკეთა“ იმავე ზმნის საარვისო ქცევის ფორმაა, „ლადასთვის“ — ირიბისებრი დამატება. „მეზობელს სახლი უშენდება“: „უშენდება“ ორპირიანი გარდაუვალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმაა, „მეზობელს“ — ირიბი დამატება. ზმნა რომ საარვისო ქცევრს ფორმად გადავაკეთოთ, ირიბი დამატება აქაც ირიბისებრ დამატებად იქცევა: „მეზობლისათვის სახლი შენდება“.

„თვის“ თანდებული, საზოგადოდ, დანიშნულებას გამოხატავს. ასეთი დამატება შეიძლება ახლდეს სამპირიანი ზმნის როგორც საარვისო, ისე სასხვისო ქცევის ფორმებსაც: „ბავშვისთვის შეაქვრვინა“, „ბავშვისთვის შეუყვრა“.

„თვის“- დართული დამატება, როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს უპირო ფორმასთანაც (საწყისთან და მიმღეობასთან): „ბავშვისთვის კაბის შეკვრვა“, „ბავშვისთვის შეკერილი კაბა“. თუ უბრალო დამატება რამდენიმეა (ორი ან მეტი) და ორი უკანასკნელი „და“ კავშირითაა შეერთებული, კავშირის წინ მდგომი დამატება უთანდებულოა: „ეგ თქვენის სურვილისა და გადაწყვეტილებებისათვის მიმინდვია“ (გაბ.).

„თვის“-თანდებულიანი დამატების მნიშვნელობა აქვს ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ორისად, შვილისად... სალიტერატურო ქართულში ასეთი ფორმები გვხვდება ვაჟა-ფშაველასა და ზოგიერთი სხვა მწერლის ნაწერებში. მაგალითი: „ორისად (= ორისთვის) თოფი დაეკრა ბერიძეს“ (ვაჟა).

სალიტერალურო ქართულში ხშირია უბრალო დამატება, როცა ნათესაობითის ფორმას დაერთვის „დამი“ (დმი): „ორივეს მადლობით გვიცემდა გული მზისადმი, ქვეყნისადმი“ (ს. კლ.).

შენიშვნა: „თვის“- თანდებულიანი ნათესაობითის ფორმა: ზოგჯერ გარემოებაა და არა უბრალო დამატება.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. უბრალო დამატებას ხაზი გაუსვით. აღნიშნეთ, რა შინაარსისაა უბრალო დამატება და რა ფორმით არის იგი გადმოცემული.

ა) 1. შვეს პირი მოეკრა მთების წვერებისათვის (რახ.). 2. ეს ხეები ზამთარში მშვენიერი თავშესაფარია ფრინველებისათვის (რახ.). 3. გაშწარებული ხოსრო ბარტყებისათვის თუთის მოსატანად გაიქცა (რ. გვ.).

ბ) 1. ჭოგისად გაეხათ ხელი და გაერკათ (ვაჟა). 2. არა, შვილო!.. შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლით-ლა ვივლი და ვიციცხლებ (ქავ.). 3. ბაღებისად თავი დაუნებებავ (ვაჟა).

გ) 1. მისი [საჩინოს] სტუმართმოყვარეობისა და მეზობლებისადმი დახმარების ამბავი ბავშვმაც კი იცოდა (ჯაფ). 2. სარდიონიე შორეული პატივისცემით იყო გამსიქვალული საჩინოსადმი (ჯაფ). 3. ადამიანისადმი სიყვარულით სავსე გული გაქვთ (ს. კლ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. ზმნები გადმოიყვანეთ პირველი ან მეორე სერიის ერთ-ერთ მწკრივში. გამოარკვიეთ, რად იქცევა უბრალო დამატება.

1. [შვეარდენს] ერთი ქათამი შეეკამა მეზობლისათვის (ვაჟა). 2. შენი თავი შენის ვაჟაკობისათვის შიპატიებია (ქავ.). 3. შვეს პირი მოეკრა მთების წვერებისათვის (რახ.). 4. ტყისათვის ძაძა ჩაუცვამს სიბნელეს დანატყეება (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 3. სასხვისო ქცევის ფორმები გადააკეთეთ საარვისო ქცევის ფორმებად და წინადადებები ისე გამართეთ. გამოარკვიეთ, რად იქცევა სასხვისო ქცევის ირიბი დამატება.

1. ერთხელ ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ერეკლემ თავის ლაშქარს ნადიმი გაუმართა (ვაჟა). 2. პეტრემ ყმაწვილებს ქვეშ გაუშალა თავისი ნაბადი (ქავ.). 3. დარეჯანმა შამანდუხს ნაბადი დაუგო (ვაჟა).

§ 88. ნათესაობითში დასმული უბრალო დამატების სხვა შემთხვევები. ნათესაობითში დასმულ უბრალო დამატებას დაერთვის აგრეთვე თანდებულები: „შესახებ“, „მიმართ“, „მაგივრად“ (მაგიერ) და სხვ.

მაგალითები: 1. მთიელის ცხოვრების შესახებ მოძღვრის შეხედულება საიდუმლო არ იყო (ყაზ.). 2. ლუარსაბს მზეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს (ქავ.). 3. ტირილის ნაცვლად სიცილი დაიწყო. 4. ამხანაგის პიმართ გულისხმიერება გამოიჩინა.

ს ა ე რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვეეთ, რა ფორმით არის გადმოცემული უბრალო დამატება.

1. [მგლები] ასე თათბირობდნენ თარეშის, ლაშქრობის შესახებ (ვაჟა). 2. მხრებზე შალის ნაქერი წამოასხა შალის მაგივრად (რაზ.). 3. თითქოს მწუხარების წინაშე თვით ბუნებასაც მოეხარა თავი (ყაზ.). 4. მშინაშა ცხვრები რაღას გააწყობდნენ გააფთრებული ლომების წინააღმდეგ (გოგ.).

§ 69. უბრალო დამატება მოქმედებითში. მოქმედებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ძირითადად ორი სახისაა: საკუთრებისა და თანაობისა. თანაობის დამატება უთანდებულოც შეიძლება იყოს და თანდებულიანიც, საკუთრებისა კი ყოველთვის უთანდებულოა.

§ 70. საკუთრების დამატება. მოქმედებითში დასმული ზოგი დამატება აღნიშნავს საკუთრველს, ანუ იარაღს, რომლითაც მოქმედება სრულდება. ასეთ დამატებას საკუთრების დამატება ჰქვია. მაგალითად, წინადადებაში: „სტუმრები საკუთარი ავტომანქანით ჩამოვიდნენ“ (ქიაჩ.)—„ავტომანქანით“ საკუთრების დამატებაა.

საკუთრების დამატება ახლავს როგორც ზმნის პირიან ფორმას, ისე საწყისსა და მიმღობას: თ ო ფ ი თ მოკლა, თ ო ფ ი თ მოკვლა; თ ო ფ ი თ მოკლული. იშვიათად გვხვდება სახელებთანაც (ზედსართავთან, რიცხვით სახელთან). ს ა ქ მ ი თ მართალი, ვ ა ე კ ა ც ო ბ ი თ პირველი, „აღამიანისადმი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ საესე გული გაქვთ“ (ს. კლდ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უბრალო დამატებად ზმნას ზოგჯერ თავისივე საწყისი ახლავს მოქმედებითი ბრუნვის ფორმით: „ვეცხოვრობ ცხოვრებით ტკბილითა“ (ვაჟა); „მოტეხით კი ერთი წკირიც არ მოუტეხია“ (ვაჟა); „— კარგი, წაბრძანებთ წაბრძანდები, მაგრამ შენიანთან არ შეივლი?“ (დალ.).

ს ა ე რ ჯ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. უბრალო დამატებას ერთი ხაზი გაუსვით, იმ სიტყვას კი, რომელსაც უბრალო დამატება ახლავს, — ორი. გამოარკვეეთ, რასთან არის უბრალო დამატება დაკავშირებული და რა შინაარსისა იგი.

1. სისხლი სისხლით არც დაბანილა, არც დაიბანება (ვაჟა). 2. კაშეჩები წნელით გამოება ურემზე (ვაჟა). 3. გლეხს ურმით თივა მიჰქონდა (გოგ.). 4. მატარებლით წასვლას გემით წასვლა არჩია. 5. მთვარით გაშუქებულ ქუჩაში არავინ ჩანდა (რ. გვ.). 6. სხვები ფოთლებით შებურულ ხეებზე სხედან (ვაჟა). 7. დემეტრეს სახლის ეზოში ღვინით სავსე ტიკები ეწყო (ვაჟა). 8. კითხვა კიდევ, კარგად მოგახსენებთ, კითხვით, ბევრის კითხვით, თვალთა მხედველობის ვარჯიშობით შეიძინება (ვაჟა).

§ 71. თანაობის დამატება. მოქმედებითში დასმული თანაობის დამატება უთანდებულოა ან „ურთ“- თანდებულიანი. ნიშნულ-

ბით ორივე ერთია. ამიტომ უთანდებულო ფორმა შეიძლება შეიცვალოს თანდებულიანით. თანდებულიანი — უთანდებულოთი: „ცოლ-შვილით ჩამოვიდა“, „ცოლ-შვილითურთ ჩამოვიდა“. ასეთი დამატება ახლავს საწყისსა და მიმღეობასაც: „ცოლ-შვილით ჩამოსვლა“, „ცოლ-შვილით ჩამოსული“. „ცოლ-შვილით“ თუ „ცოლ-შვილითურთ“ მნიშვნელობით იგივეა, რაც „ცოლ-შვილთან ერთად“, „ცოლშვილიანად“.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: უთანდებულო მოქმედებითის ფორმა ზოგჯერ გარემოებაა (ადგილისა, დროისა, ვითარებისა...) და არა უბრალო დამატება.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. უთანდებულო თანაობის დამატებას ერთი ხაზი გაუსვით, თანდებულიანს — ორი.

1. [შლევას] ანკესი ძლიურთ ნინიამ გაუშართა. (ვაჟა). 2. მარნის უკანა კედელზე ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჭირითურთ (ვაჟა). 3. აგერ ჩემი პატრონი მობრძანდება თავის ცოლ-შვილით ბაღის დასათვალისებრად (ვაჟა). 4. სხვებს არც გვაძი ჩამორჩებოდა თავის შვილებითურთ (ქიაჩ.). 5. ფოთლებს შუა ამოიზარდა პატარა ღერო კოკრით. (გოგ.). 6. ელიზბარმა მთელი კახეთის და არაგვის სანადირო ადგილები ჭავის ძირითურთ იცოდა (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები. თანაობის დამატებას ერთი ხაზი გაუსვით, სპეკრელისას — ორი.

1. ვერც დაყვავებით და ვერც გაჯავრებით მე ისინი [ძაღულები] ვერ შევაჩერე (გოგ.). 2. დაბალი საღორიდან გამოძვრა ტალახიანი ღორი თავის ჰყვირილა გოკებითა (გოგ.). 3. პატარა გოგომ ჩაფით წყალი მოარბენინა (ყლდ.). 4. ტორღლამ ნისკარტით ამოგლიჯა რამდენიმე ბალახი (გოგ.). 5. ზამთრისაგან გაყვლეფილი ხეები იმოსებოდნენ ნორჩი, ლამაზი ფოთლებით (ლომ.). 6. დედა პატარა შვილითა კოკებით ლობიოს ხარშავდა (მღვ.).

§ 72. უბრალო დამატება ვითარებითში. ვითარებითში დასმული უბრალო დამატება ყოველთვის უთანდებულოა. შინაარსით ძირითადად ორგვარია: თანაობისა და ახალი ვითარების აღმნიშვნელ-გადმომცემი.

§ 73. თანაობის დამატება ვითარებითში. „იან“-სუფიქსიანი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა ჩვეულებრივ თანაობის დამატებაა: „აგერ ესტატე გამოჩნდა თავის სტუმრებიანად“ (ვაჟა). „სტუმრებიანად“ მნიშვნელობით იგივეა, რაც „ურთ“-დართული ან უთანდებულო მოქმედებითით გადმოცემული თანაობის დამატება: „სტუმრებით“, „სტუმრებითურთ“.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ამას ადგილი აქვს, როცა იან-სუფიქსიანი სიტყვაა დაყენებული ვითარებითში, მაგრამ ასეთი სახელის ვითარე-

ბითი ბრუნვის ფორმა ზოგჯერ გარემოებაა და არა უბრალო დამატება.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო . გაღიწერეთ მაგალითები. თანაობის დამატებას ერთი ხაზი გაუსვით, იმ სიტყვას კი, რომელიც მას იკავშირებს, — ორი.

1. [მანუჩა] წიგნებიანად თავის ოთახში გავიდა (ქიაჩ.). 2. [ლეომ] პირველი კუნწულა თითქმის ფოთლებიანად გააქანა პირისაკენ (ვედ.). 3. [ზვავი] ათასწლოვან მუხას ძირიანად ჰკლუჯდა (რახ.). 4. მოღლილმა მამალმა ეშმაკობა იხმარა და კაცანათიანად შეძერა ფიჩხებში (ვედ.). 5. გვადიმ ზურჯინი ნაბლიანად სახლში შეათრია (ქიაჩ.). 6. მაგარკუნთებიანი მკლავებით შეეძლო ხე მოეთხარა ფესვებიანად (რ. გვ.).

§ 74. ვითარების დამატება. ვითარებითში დასმული უბრალო დამატება ხშირად აღნიშნავს გარდაქმნას, ცვალებას, გადაქცევას, ე. ი. ახალ ვითარებას. ასეთ დამატებას ვითარების დამატება ეძახიან.

მაგალითად: „ტყე უზარმაზარ ქალაქად იქცა“ (ვაჟა): „ქალაქად“ უბრალო დამატებაა, რომელიც მიუთითებს, რომ ის ამ სიტყვით აღნიშნული საგანი კი არ იყო — არამედ სხვა („ტყე“): „ტყე გადაიქცა ქალაქად“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ვითარებითში დასმული სახელი ზოგჯერ შედგენილი შემასმენლის ნაწილია („ავადმყოფი კარგად გახდა“) ან გარემოება („ბავშვი კარგად სწავლობს“).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. გაღიწერეთ მაგალითები. უბრალო დამატებას ერთი ხაზი გაუსვით, მკავშირებელ სიტყვას — ორი. გამოარკვიეთ, რასთან არის იგი დაკავშირებული.

1. მთებიდან ჩამონადენი პატარა წყლები წუთზედ ნიღვრებად გადაიქცნენ (ყახ.). 2. რბილი, ბამბასაგით ფაფუკი გინგლი პაწაწა ბუმბულად გადაიქცა (რახ.). 3. გვლამაც წარმოიდგინა თავისი თავი გმირად (რახ.). 4. ობოლი ყმაწვილი შეოლად აიყვანა (გოგ.). 5. ჭერ კიდეც ცხოვლად ჩანდა ნორჩ მწვანე ბალახზე მარგალიტებად დაფანტული წვიმის ცვარი (ვაჟა). 6. იმ წუთში ბეჟიას, — ასე ეძახდნენ მწყემსს, — ფრინველად გადაქცევა უნდოდა (ყახ.). 7. საბნადაც ტყე ეხურებოდა.. ხარ-ირემს (ვაჟა). 8. სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან (ქავ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. (უბრალო დამატებათა გასამეორებლად) წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რა ფორმითაა უბრალო დამატება გადმოცემული და რა მნიშვნელობისაა იგი..

1. ფრინველები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მხიარულებაში (ვედ.). 2. დიხანს ფიქრობდა კრუხი ჩხიკვის ნამბობზე (რახ.). 3. ჩენი გუგულის დედობილი კოდალაც სხვებთან ერთად ბარისკენ წავიდა (რახ.). 4. მხოლოდ ნიავე მთისა შოლხენით ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა (ქავ.). 5. ზამთრისგან გაყველ-

ფილი ხეები საამურად იმოსებოდნენ ნორჩი, ლამაზი ფოთლებით (ლომ.). 6. თედოს მინასაანთ გოლასათვის ქამრის ღილები წაერთმია (კავ.). 7. არწივი ელაშენება ბუმბულითურთ გადაყლამოს (კავა). 8. მოგლიჯე ერთ-ერთი ვერხვი ფესვებიანად და აქ ამომიტანე (კავა). 9. ნეტავი რადმე მაქცია, ბულბულად გადამაქცია (ხალხ.). 10. ირინემ არაფერი იცოდა დღევანდელი კრების შესახებ (ჯაფ.). 11. ალვანის მინდორი მოკვდილი იყო ხალხით (წერ.). 12. მოვიდა მეხალე ტყეში ბარით (გოგ.).

ბარემოება

75. გარემოების რაობა. გარემოება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრია, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების ადგილს (იქ წვიმდა), დროს (გ უ შ ი ნ წვიმდა), მიზეზს (ს ი ც ხ ი ს გ ა მ ო ბ ა ლახი გაწმა), მიზანს (დასასვენებლად წავიდა), ან კიდევ ზომა-ოდენობას მოქმედებისას ან ხარისხს რაიმე ნიშნეულობისას (ორჯერ წაიკითხა; ძალიან თეთრი...).

გარემოება უმეტესად ზმნასთან დაკავშირებული წევრია. ზოგი სახის გარემოება ახლავს ზედსართავ სახელსაც (ძალიან თეთრი, ოდნავ წითელი) და ზმნიზედასაც (ძალიან მალა, უფრო ახლო) და აძლიერებს მაკავშირებელი (წამყვანი) სიტყვის მნიშვნელობას.

§ 76. გარემოების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით. ზმნიზედა წინადადებაში გარემოებაა. მაგრამ გარემოების გადმოსაცემად გამოყენებულია არა მარტო საკუთრივ ზმნიზედა, არამედ სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) და უბირო ზმნა (საწყისი, მიმდებარე). გარემოება შეიძლება იდგეს მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (თანდებულის დართვით ან უთანდებულოდ).

§ 77. გარემოების სახეები. გარემოება ხუთგვარია: ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა. გარემოების კითხვები იგივეა, რაც ზმნიზედისა.

ზმნიზედის რვა ჯგუფი გვაქვს, გარემოება კი ხუთი სახისაა. ეს იმიტომ, რომ ზომისა და ოდენობის ზმნიზედები (ამდენად, იმდენად. მეტად, მთლად... „ჯერ“ - დართული სახელები: ორჯერ, სამჯერ...) ცალკე წევრად არ არის გამოყოფილი და ვითარების გარემოებად არის მიჩნეული. კითხვითი (სად? საიდან? საითკენ? როდის? როგორ? რატომ? რისთვის?..) და მათგან მიღებული მიმართებითები (სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც, რისთვისაც...) კი განაწილებულია გარემოებებზე თავ-თავისი მნიშვნელობის მი-

ხედვით. მაგალითად, ადგილის ზმნიზელის კითხვები (სად? საიდან? საითკენ? სადამდე?) და მათგან მიღებული მიმართებობები (სადაც, საიდანაც, საითკენაც), როგორც წინადადების წევრი, აგილის გარემოებაა და ა. შ.

ა დ გ ი ლ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა

§ 76. ადგილის გარემოების რაობა. ადგილის გარემოება აღნიშნავს მოქმედების ადგილს (აქ ცხოვრობს), მოქმედების მიმართულებას (ქალაქისკენ წავიდა), მოქმედების დასაწყის ან დასასრულ პუნქტებს სივრცეში (ქალაქიდან წავიდა, ქალაქამდე მივიდა). ის მოგვიგებს კითხვებზე: სად? საიდან? საითკენ? სადამდე?

ადგილის გარემოება ჩვეულებრივ ზმნას ახლავს, პირიანსა თუ უპიროს: მოსკოვს წავიდა, მოსკოვს წასვლა, მოსკოვს წასული.

ადგილის გარემოება ზოგჯერ სახელთანაც არის დაკავშირებული, როცა შემასმენელი გამოტოვებულია ან კიდევ სახელს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის მნიშვნელობა აქვს: „ფქვილი აქა, ქატო იქა“ (ხალხ.). „გარეთ ატლასი, შიგნით ათასი“ (გამოცანა: ბროწეული).

ადგილის გარემოება გადმოიცემა საკუთრივ ადგილის ზმნიზელთ და სახელით. სახელი ადგილის გარემოების გადმოსაცემად ოთხ ბრუნვაში გვხვდება: მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. ნათესაობითში მულამ თანდებულიანია, მიცემითში, მოქმედებითსა და ვითარებითში თანდებულიანიც შეიძლება იყოს და უთანდებულოც.

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო . წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რა სიტყვით არის ადგილის გარემოება გადმოცემული, რას აღნიშნავს, რა კითხვებზე მიუგებს და რასთან არის დაკავშირებული (პირიან ზმნასთან, საწყისთან, მიმდებობასთან).

1. გარეთ ცხენები ხვიზინებდნენ (რ. გვ.).
2. იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი (ვავ).
3. მეორე ზამთარს ვიორგიმ ქალაქს ჩასვლა ვეღარ გაბედა (გაბ.).
4. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა (ევედ.).
5. ოთახში დასადგურებულ სიჩუმეს ხანდახან ქვემეხების გრუხუნი არღვევდა (რ. გვ.).
6. კოლმეურნეები სასოფლო ქალოებისაკენ მიდიოდნენ (ქაფ.).
7. აღმოსავლეთით ცის პირი ნათღებოდა (ეაყა.).
8. მთიდან ნიავი წამოვიდა (ევედ.).
9. ასე მიდიოდა ქვეუნად ცხოვრება (რაზ.).

§ 70. ზმნიზელა ადგილის გარემოებად. ზმნიზელთ გადმოცემული ადგილის გარემოება აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც მოქმე-

ღება ხდება ან იმყოფება საგანი, ან კიდევ — მოქმედი ან სამოქმედო საგნის მოძრაობის მიმართულებას.

ადგილ-მდებარეობის აღნიშვნელი ზმნიზედით გადმოცემული ადგილის გარემოება მიუგებს კითხვაზე: სად? — აქ, იქ, აქა-იქ; შინ, შიგნით; გარეთ; ზევით, ქვევით; თავში, ბოლოში, შუაში; აღმა, გაღმა, დაღმა, გადაღმა, გამოღმა, გადმოღმა; შორს, ახლოს, შორი-ახლო, ახლო-მახლო, დაბლა, მაღლა და მისთ.

მიმართულების აღნიშვნა სხვადასხვაგვარია. ზოგი ზმნიზედით გადმოცემული ადგილის გარემოება აღნიშნავს მოქმედების დასაწყისს პუნქტს და მიუგებს კითხვაზე: საიდან? — აქედან, იქიდან, შინიდან, გარედან, ზევიდან, ქვევიდან. ზოგი აღნიშნავს იმ ადგილს, საითკენაც მოძრაობა არის მიმართული და მიუგებს კითხვაზე: საითკენ? (საით?) — აქეთკენ, იქითკენ, შინისკენ... ზოგიც — მოქმედების დასასრულს პუნქტს სივრცეში და მიუგებს კითხვაზე: სადამდე? — აქამდე, აქამდის, იქამდე, შინამდე...

ქართულში არ არის გარჩეული სხვა პუნქტისაგან მიმართული მოძრაობისა და ერთ ადგილას მყოფობის აღნიშვნელი ზმნიზედები. ამიტომ ერთი და იგივე ზმნიზედა (მაგალითად, იქ, შინ, იქეთ, წინ, უკან, ქვევით...) ერთ შემთხვევაში გამოხატავს ადგილს, სადაც არის საგანი ან ხდება მოქმედება, მეორე შემთხვევაში კი იმ პუნქტს, საითკენაც მოძრაობა არის მიმართული. ამის შესაბამისად ხად კითხვა ორივე მნიშვნელობით გამოიყენება: სად ცხოვრობს? — იქ. სად წავიდა? — იქ. მეორე შემთხვევისათვის შეიძლებოდა კითხვად დაგვესვა „საითკენ?“ და გვეპასუხნა ზმნიზედით: იქეთკენ.

ზოგჯერ ადგილის გარემოება (ზმნიზედით გადმოცემული) აღნიშნულთან ერთად გამოხატავს მოუბარი პირის მყოფობის ადგილსაც: უჩვენებს, რომ მოქმედება ხდება (ან საგანი არის) იმ ადგილას ან მიმართულია იმ ადგილისაკენ, სადაც არის მოუბარი პირი (აქ, აქეთ, აქეთკენ...), ან კიდევ აღნიშნავს იმ ადგილიდან მოქმედებას, სადაც მოლაპარაკე პირია (აქედან...), ან კიდევ იმ ადგილს, სადაც არის საგანი, ხდება მოქმედება, ან იწყება მოქმედება (იქ, მანდ, ქვევით, ზევით, გაღმა, გადაღმა...).

ზმნიზედა, საზოგადოდ, უბრუნველი სიტყვაა. ზოგჯერ იგი სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი (უთანდებულო თუ თანდებულისანი), მაგრამ მნიშვნელობით დაცილებუ-

ლია ნამდვილი ბრუნვის ფორმებისაგან და გაზმნიზედებულია (თავში, ბოლოში, შუაში).

თქმის და იწერება: ზემოთ, ქვემოთ, გარეთ... (და არა: ზემოდ, ქვემოდ, გარედ...).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო . გადაიწერეთ მაგალითები. ზმნიზედით გამოხატულ ადგილის გარემოებას ხაზი გაუსვით. გამოარკვიეთ, საკუთრივ ზმნიზედით არის ადგილის გარემოება გადმოცემული თუ ბრუნვიანი სიტყვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმაა გაზმნიზედებული; ადგილ-მდებარეობას უჩვენებს თუ მიმართულებას და რა კითხვაზე მიუგებს. აღნიშნეთ ისიც, თუ რას ახლავს ზმნიზედით გადმოცემული ადგილის გარემოება (პირიან ფორმას, უპიროს...).

1. იქ ყვაილები გაშლილან ჩემ საზრდოდ, საწუწნელადო (წერ.). 2. ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი ჰგონია (ხალხ.). 3. [კოდალა] დაფრინავდა ტყეში, მარჯვნივ თუ მარცხნივ, აღმა თუ დაღმა (ვაჟა). 4. სილაშხითა ხოხობი შუაში ჩაისვიანო; ბულბული გალობისათვის სულ თავსა დაისვიანო; საწყალი ბერი ქედანი ბოლოში მოიგდიანო (ხალხ.). 5. მას აქეთ-იქეთ აქანებს სიო საამო და ნელი (წერ.). 6. გარს ვალავანი არტყია (ხალხ.). 7. დღამთილი უკან უზის (ხალხ.). 8. ძირს ნადირს დაუქაქანე, მაღლა ქორსა და ძერასა (წერ.). 9. დაღმა დაემვა ღამურა (წერ.). 10. დაბლა მწყერი განაბულა (წერ.). 11. და შინისაკენ მოკურცხლა ადვსილმა სიხარულითა (წერ.). 12. შორიდან მოდის... წინ უძვეს ბევრი ცხრა მთა და ცხრა ველი (წერ.). 13. ქვეშ შესდგომოდნენ ტოტები (წერ.). 14. სვავიც მხრების ტყლაშა-ტყლუშით იქეთკენ მიეშურებოდა (რახ.). 15. შენ ზევითა ხარ, მე ქვევით (წერ.). 16. გარშემო სრული მყუდროება სუფევდა (ყაზ.). 17. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა (რ. გვ.). 18. კარში გამოდი, ჯოჯოლა, წყნარად ნუ სწევხარ კერასა (ვაჟა).

§ 80. სახელი ადგილის გარემოებად მიცემითში. არსებითი სახელი მიცემითში ადგილის გარემოებად უთანდებულოა ან თანდებულიანი. უთანდებულო მიცემითი ფორმის თვალსაზრისით ორგვარია: მარტივი და რთული.

ა) მ ა რ ტ ი ვ ი ფ ო რ მ ა ა დ გ ი ლ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა დ . მარტივი ფორმით ადგილის გარემოებად უმეტესად გეოგრაფიული სახელები გვხვდება, მაგრამ იშვიათად სხვა ტიპის სახელებიც: „იმ საღამოს ს ტ ე ა ნ წ მ ი ნ დ ა ს ა მოვედი“ (ვაჟ.). „სტეფანწმინდას“ ადგილის გარემოებაა. ასეთი ფორმები ადგილის გარემოებად ჩვეულებრივი იყო ძველ ქართულში, თანამედროვე ქართულში კი იშვიათად იხმარება. მათ ჩვეულებრივ თანდებულიანი ფორმებიც კლასი: „სტეფანწმინდაში“,

ბ) რ თ უ ლ ი ფ ო რ მ ა ა დ გ ი ლ ის გ ა რ ე მ ო ე ბ ა დ.
ხშირად მართული განსაზღვრება კარგავს კავშირს საზღვრულ
წევრთან, ნათესაობით-მიცემითის რთული ფორმით არის წარმოდ-
გენილი, იგი ადგილის ზმნიზედის მნიშვნელობით არის გამოყენე-
ბული და, როგორც წინადადების წევრი, ადგილის გარემოებაა:
„მ ო კ ე თ ე ე ბ ი ს ა ს ვ ი ყ ა ვ და ე ხ ლ ა შ ი ნ მი ვ დ ი ვ ა რ“ (ყაზ.). ასე-
თი რთული ფორმები ადგილის გარემოებად ყოველთვის უთან-
დებულაა.

თანდებულთაგან ადგილის გარემოების გადმოსაცემად მიცე-
მითის ფორმას დაერთვის მდებარეობის (სადაობის) აღმნიშვნელი
თანდებულები: ზე (ზედ, ზედა), ში (შინა), შუა, შორის, თან (თანა)
და ზოგიერთი ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით.

ში: ფითრის მარცვალმა ის ზამთარი მსხლის ქ ე რ ქ შ ი გაა-
ტარა (რაზ.).

ზე: ც ა ზ ე ღ რ უ ბ ლ ე ბ ი ი რ ე ო დ ნ ე ნ (ქიაჩ.).

თან: ა ლ ა ყ ა ფ ის კ ა რ ე ბ თ ა ნ მ ა ნ ქ ა ნ ა მ ს ვ ლ ა შ ე ა ნ ე ლ ა (ქიაჩ.).

შუა და შორის: „შუა“ და „შორის“ ცალკე მდგომი თანდებუ-
ლებია, რომლებიც იხმარება ორ (ან მეტ) სახელთან, ან მრავლო-
ბითში დაყენებულ ერთ სახელთან, ან კიდევ ერთი სახელის მხო-
ლობითის ფორმასთან, თუ მას განსაზღვრებად ახლავს ერთზე მე-
ტი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი (რაოდენობითი რიცხვითი
სახელები: „ორი“ და „ორზე“ მეტი... ნაცვალსახელები: რამდენიმე,
ყველა...).

მაგალითები: 1. კარის თავზე ობობას აბლაბუდები გაება
კ ე დ ე ლ ს ა და ქ ე რ ს შ უ ა (ჯაფ.). 2. მორჩინის გზაზე დაძღ-
გარი მეომრები კ ა რ ვ ე ბ ს შ ო რ ი ს მი მ ო ღ ი ო დ ნ ე ნ (რ. გვ.).
3. ო რ ზ ღ ვ ა ზ შ უ ა ძ ვ ე ლ ის-ძ ვ ე ლ ა დ სა ო მ ა რ ი ი ყ ო ლ ე ლ ო (ტაბ.).

ეს თანდებულები შეიძლება შეგვხვდეს ისეთ სახელებთანაც,
რომელთა მნიშვნელობა ერთზე მეტს გულისხმობს: ჩვენ შუა, ჩვენ
შორის; სამს შუა, სამს შორის...

მაგალითები: 1. ჩ ვ ე ნ შ უ ა ხ ი ღ ი ა ჩ ა ტ ე ხ ი ლ ი... (ჭავ.). 2. მ ა დ ლ ო
მ ა რ ტ ო ო რ ს შ უ ა ს ა ქ მ ე ა (ჭავ.).

ზოგიერთი ადგილის ზმნიზება თანდებულის მნიშვნელობით სხელის მიცემითი ბრუნვის ფორმასაც დაერთვის და სახელთან ერთად გადმოსცემს ადგილას გარემოებას.

მაგალითები: 1. ფითრის მარცვალი შეძერა. მსხლის ქერქს ქვეშ (რახ.). 2. ქიშკარს გადაღმა ბავშვებმა კიეხით ჩაირბინეს (რ. გვ.). 3. მზე აჭარის მთებს იქით ნელა ეშვება (რ. გვ.).

მიცემითი ბრუნვის ფორმით გადმოცემული ადგილის გარემოება აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც იმყოფება საგანი ან ხდება მოქმედება და მიუგებს კითხვაზე: სად?

ს ა ვ ა რ ჯ ი შ თ. გადაიწერეთ მაგალითები. ადგილის გარემოებას ერთი ხაზი გაუსვით, იმ სიტყვას კი, რომელსაც ის უკავშირდება, — ორი. აღნიშნეთ, რა ფორმითაა ადგილის გარემოება გადმოცემული.

1. ვანოს მამა დილით ადრე ქალაქს მიდიოდა (გოგ.). 2. მეორე ზამთარს გიორგიმ ქალაქს ჩასვლა ველარ გაბედა (ვაბ.). 3. მეორე დღეს სოლომანმა გასწია ქაიხოსრო ქათამაძისას (კლდ.). 4. ელგუჯა და მზალო დასახლდნენ ხარანაულებთან (ყაზ.). 5. პაერში სითბო დატრიალდა (რახ.). 6. ბაღში შვლები დაკუნტრუშობდნენ (ვაჟა). 7. ცაზე ვარსკვლავები აკიფდნენ (წერ.). 8. აივანზე კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა (ეგდ.). 9. ბუხართან კატა კრუტუნებდა (რახ.). 10. ერთი კლუბთან გაჩერდა (რ. გვ.). 11. მომაკვდავი მტრედი თავდაყირა ბალახებს შუა ჩავარდა (რახ.). 12. ანკარა წყალს... ახვერდებულ ნაპირებს შორის საჩკესავით გაქონდა ლაბაძი (ლომ.). 13. დედა კატა კარს უკან ცუცქს გრძელ კულამობუბული (წერ.). 14. ყანაზედა მივდიოდი, ამიფრინდა თვალწინ მწყერი (წერ.). 15. კოკასა შიგან რაცა ღვას, იგივე წარმოსდინდების (რუსთ.).

§ 81. სახელი ადგილის გარემოებად ნათესაობითში. ადგილის გარემოების გადმოხატვამად ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის „კენ“ თანდებული ან ადგილის ზმნიზება თანდებულის მნიშვნელობით.

„კენ“- დართული ნათესაობითის ფორმა, რომელიც შემასვენელთან არის დაკავშირებული, იმ ადგილს აღნიშნავს, საითკენაც ქვემდებარე ან პირდაპირი დამატებაა მიმართული, და მიუგებს კითხვაზე: საითკენ? (საით?).

მაგალითები: 1. ნოდარი უცნობთან ერთად პუნქტის აქენ გაემართა (რ. გვ.). 2. მეორე დილას აღაზამ ძროხა გარეკა მთის აკენ (ვაჟა).

„პუნქტისაკენ“ გვიჩვენებს მიმართულებას, რომელიც ქვემდებარეს აქვს აღებული, „მთისაკენ“ კი პირდაპირი დამატების მოძრაობის მიმართულებას გამოხატავს.

„კენ“-თანდებულებიანი სახელი ზოგჯერ მიმღეობასთან არის დაკავშირებული და აღნიშნავს მიმღეობით განსაზღვრული საგნის მოძრაობის მიმართულებას: „სოსომ... ბ ა თ უ მ ი ს კ ე ნ მ ი მ ა ვ ა ლ მ ა ჩამოიარა რიონის სადგურში“ (დად.). „ს კ ო ლ ი ს ა კ ე ნ მ ი მ ა ვ ა ლ ბ ა ე შ ვ ს გ ზ ა შ ი ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი შ ე უ ე რ თ დ ნ ე ნ“. მეორე მაგალითში „კენ“-თანდებულებიანი სახელი ირიბი დამატების („ბავშვს“) მიმართულებას უჩვენებს.

ხშირად ადგილის ზმნიზედა თანდებულის მნიშვნელობით ნათესაობითის ფორმას მოითხოვს და ორივე ერთად გამოხატავს ადგილის გარემოებას. მაგალითად, „გ ა რ შ ე მ ო მ ა რ ტ ყ ი ა მ ა გ რ ა დ დ ა ქ ე დ ი ლ ი ლ ო ლ ე ბ ა“ (ვაჟა): „გარშემო“ აქ ადგილის ზმნიზედით გადმოცემული ადგილის გარემოებაა „ი ი ს გ ა რ შ ე მ ო ბ ე ვ რ ი ყ ვ ა ვ ი ლ ი დ ა ბ ა ლ ა ხ ი ო ყ ო ა მ ო ს უ ლ ი“ (რახ.): აქ კი ორივე „გარშემო“ თანდებულის მნიშვნელობითაა ნახმარი, მოითხოვს ნათესაობითს და ორივე ერთად („იის გარშემო“) ადგილის გარემოებაა.

ადგილის გარემოება, რომელიც გამოხატულია სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმითა და თანდებულად გამოყენებული ზმნიზედით, აღნიშნავს მოქმედების ადგილს და მიუგებს კითხვაზე: სად? — ხის ძირას, სახლის ირგვლივ, შავილის ქვეშ, სახლის წინ, სახლის უკან და სხვ.

ს ა ვ ა რ ჩ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. ადგილის გარემოებას ხაზი გაუსვით. გამოარკვიეთ, რა ფორმით არის ადგილის გარემოება გადმოცემული; აღნიშნეთ, ადგილის გარემოება ქვემდებარის მოძრაობის მიმართულებას გამოხატავს თუ პირდაპირი დამატებისას.

1. მენახირეები ნახირს სოფლისკენ ძოვნით მოაყოლებენ (რ. გვ.). 2. კოლმეურნეები სასოფლო კალოებისაკენ მიდიოდნენ (ჩაფ.). 3. შვე დასავლეთისაკენ გადაიწურა (ვაჟა.). 4. შუა ხანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ქნა (ქაე.). 5. შენ თვალს გარიღებ მაშინა, მთებისკენ მწადის ცქერანი (ვაჟა.). 6. თმებს უუუიყრის ნაჟაღი, ცისაკ დაიწყებს ცქერასა (ვაჟა.).

ს ა ვ ა რ ჩ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები. ადგილის გარემოებას ხაზი გაუსვით. აღნიშნეთ, რა მნიშვნელობით არის გამოყენებული ზმნიზედა და სახელის რომელი ბრუნვის ფორმას დაერთვის იგი.

1. მონადირემ ირმის გასწვრივ შენიშნა შიმავალი ვეფხვი (ვაჟა.). 2. შტრედების ახლოს მწყრის კუკუკუი მოისმა (ვაჟა.). 3. გარიტრაჟე მელია მამლისა და კოდალას საჭლომ ხის ძირას დაიბადა (ვაჟა.). 4. ვასოს დედ-მამას სახლის წინ მშვენიერი ბალი ჰქონდათ (გოგ.). 5. მწვანეიანი თითქოს იძროდა ცხენების

ფეხების ქვეშ (ყვდ.). 6. ჩემს ფანჯრის ზევით მერცხალი ბუდეს უკეთებს შვილე-
ბსა („ღელა ენა“). 7. ვენახის თავში იდგნენ უზარმაზარი კაკლის ხეები (ლომ.).
8. სოფლის ბოლოს რომ გავედი, ვიციოდი, არ შემჩნებოდა (ხალხ.). 9. ცხენი
საბძლის გარშემო სჯიჯნიდა გოლვისაგან გამხმარს ბალახსა (კავ.). 10. ღვთისუ-
ნელი თავჩაქინდრული იღვა კრების წინაშე (ვაჟა). 11. ორთ კაცი კიშკრის უკან
აიტუზა (მ. ჭავ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 3. გადაიწერეთ მაგალითები. ზმნიზედით გადმოცემულ
ადგილის გარემოებას ერთი ხაზი გაუსვით, სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორ-
მითა და თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებული ზმნიზედით გადმოცემულს
კი — ორი.

1. ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო (ყაზ.). 2. კაბურღილის
ირგვლივ ფუსფუსობდნენ ასეულობით მუშები (ყვდ.). 3. გარშემო სრული მყუ-
დროება სუფევდა (ყაზ.). 4. ამ საბძლის გარშემო აღაძინის კვალი არა ჩანდა
(კავ.). 5. [ქარმა] ყუნწში მოსწყვიტა ნაყოფი, ძირს მოდის ბზრილა-ტრიალით
(წერ.). 6. ვაზაფხულდა. ბუნჩის ძირას თავს იწონებს ნაზი ია (წერ.). 7. წინ მე-
ძებრები მოუდის, დავეშილი ჩემზედაო (ხალხ.). 8. ხუთი-ექვსი წიწილა მოგ-
როვდა კრუხის წინ (რაზ.). 9. ქვეშ იყო მარანი, წალმით დახურული (კავ.).
10. ღორი ასწლოვან მუხის ქვეშ რკოთი გაძლა, გაიბერა (ცახელი). 11. გაღმა
ჩანს ქისტის სოფელი არწივის ბუდესავითა (ვაჟა). 12. სოფლისა გაღმა გორია,
ღამწვარი, ქვიშიანია (ვაჟა).

§ 82. სახელი ადგილის გარემოებად მოქმედებითში. სახელის
უთანდებულო მოქმედებითით გადმოცემული ადგილის გარემოება
ძველ ქართულში აღნიშნავდა გამოსვლის, ე. ი. მოქმედების დასა-
წყის პუნქტს სივრცეში. ამ ფუნქციით ახალ ქართულში უთანდე-
ბულო მოქმედებითი იშვიათად გვხვდება, იგიც უფრო პოეზიაში.
გამოსვლითის ფუნქციით უთანდებულო მოქმედებითი შედარებით
ზმირია მთის კილოებში (ფშაურში, ხევსურულში...). ასეთი მნიშ-
ვნელობა აქვს უთანდებულო მოქმედებითს მოძრაობის გამომხატ-
ველ ზმნებთან და მიუგებს კითხვაზე: ს ა ი დ ა ნ ?

მაგალითები: 1. ის იმ ღამესვე ქურდულად გავიდა კ ა ხ ე-
თ ი თ (წერ.). 2. ოფლი წურწურით პატიოსან შ უ ბ ლ ი თ გელვ-
რება (კავ.). 3. გველსა ხ ვ რ ე ლ ი თ ამოიყვანს ენა ტკბილად
ნოუბარი (რუსთ.).

უთანდებულო მოქმედებითი ზოგჯერ მოქმედების ადგილს ან
მიმართულებას გამოხატავს და არა გამოსვლის პუნქტს.

მაგალითები: 1. ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი თ ცის პირი ნათდებოდა
(ვაჟა). 2. ქალმა ხმა ვერ გასცა, გაუშვირა ხელი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე-
თ ი თ (წერ.).

სახელის მოქმედებითის ფორმა ზოგჯერ ზმნიზედად არის ქცეული: „[ჩალხოს] თ ა ვ ი თ ეღვა პირმოტეხილი ჩარეკა წყლით“ (ვაჟა).

ფამოსვლითის ფუნქციის გაღმოსავლემად მოქმედებითი ბრუნვის მარტივი ფორმა საკმარისი არ აღმოჩნდა და მას დაერთო თანდებული „გან“: სახლ-ით-გან, სოფლ-ით-გან, მთ-ით-გან... წყარო-მთ-გან. მეღერმა „გ“-მ (თანდებულის თავკიდურმა ბგერამ) დაიმსგავსა თ (ბრუნვის ნიშნის თანხმოენითი ნაწილი) და მივიღეთ ასეთი ფორმები: სახლ-იდ-გან, სოფლ-იდ-გან, მთ-იდ-გან, წყარო-დ-გან... შემდეგ გ დაიკარგა და ბოლოთანხმოენიან და ფუძეკვეცად ფუძეებთან მივიღეთ იდან (სოფლ-იდან), ფუძეუკვეცელ სახელებთან კი დან (წყაროდან). XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებში შეიძლება შეგვხვდეს ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის შენახვით (სახლით-გან), ან თ-ს გამეღერებით (სახლიდგან); მაგალითები: 1. მთ ე ბ ი დ გ ა ნ ჩამონადენი პატარა წყლები წუთზედ ნიაღვრებად გადაიქცა (ყაზ.). 2. დედას ძ უ ძ უ დ გ ა ნ შეიღსა აჰგლეჟენ (ქავ.). ამჟამად ასეთი ფორმები აღარ იხმარება. გვხვდება მხოლოდ ასე: სახლიდან, მთიდან, წყაროდან, სადაც წაშლილია როგორც ბრუნვის ნიშნის, ისე თანდებულის პირვანდელი სახე.

მაგალითები: 1. მსხალმა წვერები დან გაღმოსხედა ფითრის მარცვალსა (ჩაზ.). 2. ხეები დან გაყინულმა ქირხლმა წკრიალით დაიწყო ჩამოდენა ძირსა (ჩაზ.).

ადგილის გარემოებაა დამ-დართული მოქმედებითის ფორმაც: „შევსხედით ცხენებზე და წამოვედით ს ტ ე ფ ა ნ წ მ ი ნ დ ი ლ ა მ“ (ქავ.). ასეთი ფორმები ხშირია აღმოსავლური კილოებიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გვხვდება უფრო ადრეც (XVII — XVIII სს.). „დამ“, როგორც პროფ. არნ. ჩიქობავამ გამოარკვია, მიღებულია „დაღმე“ ზმნიზედისაგან მოქმედებითს ბრუნვაზე დართვით, ასე რომ „სტეფანწმინდიდამ“ არაა „სტეფანწმინდიდან“ ფორმის ფონეტიკური ვარიანტი. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში „დამ“-დართული ფორმა არ იხმარება.

„გან“ თანდებული „რისგან“ (ან: „ვისგან“) კითხვაზე ნათესაობითს მოითხოვს და სახელთან ერთად უბრალო დამატებაა ან მიზეზის გარემოება. კითხვაზე „საიდან“ მოქმედებითს დაერთვის და ადგილის გარემოებაა. მაგალითად, „იავო განთავისუფლდა ქრილო-

ბისაგან“ (ყაზ.), „ქრილობისაგან“ უბრალო დამატებაა (კითხვა: რისგან?). „იავოს ქრილობიდან სისხლი აღარ სდიოდა“: „ქრილობიდან“ ადგილის გარემოებაა (კითხვა: ზაიდან?).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. ადგილის გარემოებას ხაზი გაუსვით. გამოარკვიეთ, რა ფორმით არის გადმოცემული ადგილას გარემოება, რასთან არის ის დაკავშირებული (პირიან თუ უპირო ფორმასთან) და რას აღნიშნავს (გამოსვლის პუნქტს თუ მოქმედების ადგილს)...

1. საქართველოს ყოველ კუთხით მოეყარა თავი ერსა (წერ.). 2. კარით გამოსხლეტილი სინათლის შუქი მისასვლელ გზაზე სვეტივით გაწვა ეზოში (ქიაჩ.). 3. შვე დასავლეთით მთებს ეფარებოდა (ლომ.). 4. წყალნი, მთით დაქანებულინი, აღმასებრ უფსკრულს ცვივიან (გრ. ორბ.). 5. ვიშ, განახტული შოდის შორეთული შოდის და მოაქვს ცით სიხარული (კავ.). 6. ტყვეობით დაბრუნებული ძვებში ყოფინთა სტკებოდა (ვაჟა.). 7. ის იყო, რომ ბრუნდებოდა საბერძნეთით ქართლის ჯარი (წერ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები. ადგილის გარემოებას ხაზი გაუსვით. გამოარკვიეთ, რა ფორმით არის ადგილის გარემოება გადმოცემული.

ა) 1. ფოთლებიდან წკაპწკაპით ჩამოდოდა ცვარი წვიმისა (ვაჟა). 2. მთიდან ნიავი წაპოვიდა (ევდ.). 3. მართამ ბუხრიდან ცეცხლიანი მუგუზალი მოარბენინა (ევდ.). 4. საძოვრებიდან ძროხები ზოზინით ბრუნდებოდნენ (რ. გვ.).

ბ) 1. შორის ტყიდგან დათვის ბურღლუნი მოისმოდა (ყაზ.). 2. დაღონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი, და თურმე ყოვლით იმედ-მიხდილი ქართლითგან წაავლას დააპირებდა (ბარ.). 3. წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი, ჩემს სახლ-კარიდგან გამავადეს შორა (კავ.).

გ) 1. ვენახიდან პატარაალივით მორცხვად წითლად გამოიყურება ატამი. (ვაჟა). 2. ამ დროს სოფლიდან მამლის ყვირილი მოისმა (ვაჟა). 3. იერის პირს დიდი ლოდია ჩამოთრეული მთიდანა, შავ-ფერა, ჩამონახეთქი მალაღის შავის კლდიდანა (ვაჟა). 4. ოთახიდან გარეთ გამოვედი (კავ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 3. გამოტოვებული დაბოლოება აღადგინეთ და წინადადებები ისე გადაიწერეთ. ადგილის გარემოებას ერთი ხაზი გაუსვით, უბრალო დამატებას — ორი. გამოარკვიეთ, რა კითხვაზე მიუგებს ადგილის გარემოება და რა კითხვაზე — უბრალო დამატება.

1. დარბაზი... დუღუქისა და დაირის ხმა მოისმა (დად.). 2. გადაგვარების მოსურნე ბუნებ... კრულია (წერ.). 3. უცებ თხრილის გუბ... მოისმა ბაყაყების ალიაქოთი (გოგ.). 4. სვეტად ბუხრ... მალა აღიოდა ბოლი (ვაჟა). 5. ხანდახან ნიავ... ვაფანტულს მტვერში გოჩას დროშა გამოჩნდებოდა (ყაზ.). 6. ღია კარებ... ქონებში შვე უხვად შედიოდა (რ. გვ.). 7. მიდის ურემი და უეცრად ვილაყამ ტყ... ასკუბა ცხენი (კავ.). 8. პატარა კეკეს სიცივი... ხელები ეყინებოდა (გოგ.). 9. მეუღანბოემ იქავ კუთხ... მოზიდა შეშა, ცეცხლი ანთო (კავ.).

§ 88. სახელი ადგილის გარემოებად ვითარებითში. სახელი ადგილის გარემოებად ვითარებითში ჩვეულებრივ თანდებულობიანია, იშვიათად უთანდებულოც. უთანდებულო ვითარებითით გადმოცე-

მული ადგილის გარემოება აღნიშნავს ადგილს და უბასუხებს კითხვაზე: სად? მაგალითი: „მ. ი. ნ. დ. ვ. რ. ა. დ. თოვლი აღარ იდო“ (რახ.).

თანდებულთაგან ვითარებითს ბრუნვას მოითხოვს „მდე“ (მდის). ადგილს გარემოება, რომელიც თანდებულნი ვითარებით არის გადმოცემული, აღნიშნავს გარკვეულ ადგილამდე (პუნქტამდე) მიწევნას სივრცეში და მოუგებს კითხვაზე: სადამდე? მაგალითი: „კესო... ხმაამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს სასაფლაოში“ (ჭავ.).

ზოგჯერ გამოსვლის, ე. ი. მოქმედების დასაწყისი პუნქტისა და დასასრულის, მიწევნის პუნქტის აღმნიშვნელი სიტყვები ერთად გვაქვს და ორივე ერთად აღნიშნავს ადგილს (მანძილს) ერთი პუნქტიდან მეორე პუნქტამდე. პირველი მოქმედებითი ბრუნვის ფორმითაა გადმოცემული, მეორე — ვითარებითისა. ორივე ერთად უბასუხებს კითხვაზე: ზაიდან სადამდე? მაგალითი: „სახლიდან ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდან სასაფლაოში“ (ჭავ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. უთანდებულო ვითარებით გადმოცემულ ადგილის გარემოებას ერთი ხაზი გაუსვით, თანდებულნი — ორი. აღნიშნეთ, რას აღნიშნავს პირველი და რას მეორე.

1. ირემო, მთასა მყვირალო, რად ჩამოვარდი ბარადა? (ხალხ.). 2. ასე მიდიოდა ქვეყნად ცხოვრება (რახ.). 3. რიკულებიან აივანზე გადამდგარი ყაფლანი კოპებ-შეკრული გასქეროდა ლიხის სადგურამდე თანმასავით წვრილ და დაკლავნილ ბილიკს (რ. გვ.). 4. თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვსცილდე (ვაჟა). 5. ბარად დაედოდი სადავლოდ (ვაჟა). 6. ქუთაისამდის ორი დღის სავალი იყო (წერ.). 7. ონისეს თვალი გულის საძირკვლამდის უნდოდა ჩაეწვდინა (ყახ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები. სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოცემულ ადგილის გარემოებას ერთი ხაზი გაუსვით, უბრალო დამატებას — ორი, შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს — კლაკნილი.

1. წიწილის თეთრი ბუმბული ველად გაჰქონდა ნიავსა (ვაჟა). 2. ტრფობა გჰქონდა გულში აბჯრად და სატევრად ხმალი ხელში (ჭავ.). 3. დედოფლად იყო ჩვენი ნაცნობი ინგილო ქალი (გოგ.). 4. მხრები მესხმება, ვიზრდება, ცად ვიწევ ასაფრენადა (ვაჟა). 5. ზღვად ვცურავ ნეტარებისა (ვაჟა). 6. ირმას ერთბაშად ლოყები ნაკვერცხლებად ექცა (რ. გვ.). 7. მე და მიმინო შეგობრად ვიყავით (ვაჟა). 8. გზად მხოლოდ ერთი მურია ძალი მოჩანს (რახ.). 9. ცხვარს შევლი მგლად ეჩვენებოდა (ვაჟა). 10. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი (ჭავ.). 11. ამაოდ ჩამოსხდებიან ცილამ ვარსკვლავნი ბარადა... მოსქდება კლდისა ნაპრალი, ჩაიქვდება ქალადა (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო 3. (ადგილის გარემოების გასამეორებლად) წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვეეთ, რა მეტყველების ნაწილით არის ადგილის გარემოება გადმოცემული და რა ფორმით.

1. ძირს ნადირს დაუქაქანე, მალა ქორსა და ძერასა (წერ.). 2. ქუჩაში მსუბუქი მანქანა იდგა (ს. კლდ.). 3. ბანზედ პურის შარცვლები ეყარა (გოგ.). 4. მტრედის მხიარულად მიფრინდა ქორაფთან (ვაჟა). 5. ელგუჯა და მზალო დასახლდნენ ხარანულუბისას (ყაზ.). 6. გუვეალ ჰაობებს შუა აქლემის კუბივით მოჩანდა ერთი მომტრო ბორცი (რ. გვ.). 7. გოჩას დაღონებული და სევდიანი თვალები ზეისკენ მიეპყრა (ყაზ.). 8. მზე გადახრილი ჭერ კიდევ სრულად მთისა გადაღმა არ დასულიყო (ვაკ.). 9. წყალნი, მთით დაქანებული, უფსკრულსა იყარებდნენ (გრ. ორბ.). 9. ორი ბიჭი ყანიდან მოდიოდა სოფლისაკენ (გოგ.). 10. მთიდან ბარად მომდინარი არწივი მის [წიფლის] კენწეროზე ისვენებდა (ვაჟა). 11. თოვლის წყლებმა დაიწყეს ცელქად დენა მინდვრად და ხევებში (ვაჟა). 12. [პეტრემ] ფეხი ძლივს მოაწვდინა სამნე ურმის ჰალებამდე ფეხის მოსაყიდებლად (ვაჟა).

დ რ ო ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა

§ 84. დროის გარემოების რაობა. დროის გარემოება აღნიშნავს მოქმედების დროს: დროის გარკვეულ ერთეულს („გუშინ წავიდა“), დროის გარკვეულ მონაკვეთს („დიღას წავიდა“), მოქმედების მიმდინარეობის ხანგრძლივობას (ორსაათს წერდა“), მოქმედების დასაწყისს („დიღიდან ვმუშაობდი“) ან დასასრულს („საღამომ დე ვმუშაობდი“). ის მოგვიგებს კითხვებზე: როდის? რამდენ ხანს? რა ხნიდან? (რა დროიდან?), ჩანამდის? (რა დრომდე?).

დროის გარემოება ახლავს როგორც ზმნის პირიან ფორმას, ისე უპიროსაც (საწყისსა და მიმლეობას): „გუშინ წავიდა“, „შარშან წასული“, „ღამით წასვლას დღისით წასვლა არჩია“. პირველ წინადადებაში დროის გარემოება („გუშინ“) ზმნის პირიან ფორმას ახლავს („წავიდა“), მეორეში — მიმლეობას („წასული“), მესამეში — საწყისს („წასვლას“, „წასვლა“).

დროის გარემოება გადმოიცემა საკუთრივ დროის ზმნიზედით ან არსებითი სახელით (საწყისითურთ). სახელი დროის გარემოების გადმოსაცემად შეიძლება იდგეს მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (თანდებულის დართვით ან უთანდებულოდ).

§ 85. ზმნიზედა დროის გარემოებად. დროის გამომხატველი ზმნიზედა დროის გარემოებაა და აღნიშნავს დროის გარკვეულ ერთეულს ან დროის გარკვეულ მონაკვეთს. უმეტესად მოგვიგებს

კითხვაზე: როდის? დროის ზმნიზედებია „ხვალ“, „გუშინ“, „ზეგ“, „შარშან“ და მისთანანი, რომელთაც არა აქვთ რომელიმე ბრუნვის ფორმა. მაგრამ ხშირია დროის გარემოებად ისეთი დროის ზმნიზედები, რომლებიც ბრუნებადი სიტყვის (არსებითი სახელის, საწყისის) ამა თუ იმ ბრუნვის ფორმისაგან არიან წარმომდგარი („დღეს ჩამოვიდა“), ან კიდევ ფუძით ან ფუძეთა კავშირიანი თუ უკავშირო შეერთებით არიან მიღებული („ზამთარ-ზაფხულ“).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ზოგი ზმნიზედა ხან ადგილის გარემოებაა, ხან დროისა: „სულ ბოლოს სუფრაზე ბულბული იჭდა“ (ვაჟა); „ბოლოს ახალგაზრდა ქალებიც გამოჩნდნენ“ (მ. ჯავ.). „ბოლოს“ პირველ მაგალითში ადგილის გარემოებაა, მეორეში — დროისა.

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, დროის გარემოებად პირველადი ზმნიზედაა თუ ნასახელარი, აგრეთვე სახელისაგან მიღებული ზმნიზედა რა ფორმითაა წარმოდგენილი.

1. ალიონზე ცა შოიწმინდა (რ. გვ.). 2. თქროპირი გვიან დაბრუნდა (რ. გვ.). 3. დღეს მერცხალი შემოფრინდა (წერ.). 4. [ჩალხო] ზამთარ-ზაფხულ გულ-გაღელილი დადიოდა (ვაჟა). 5. განთიადისას გააბა მაშალმა ყვილი (ვაჟა). 6. ეს დღე ახლა სახნავ-სათესი ადგილია (გოგ.). 7. ხვალ საღამოთი ამოიარე, ვილაპარაკოთ (რახ.). 8. შაშვი ამჟამად თავის თავს გამარჯვებულად სთვლიდა (ვაჟა).

§ 86. სახელი დროის გარემოებად მიცემითში. მიცემითი ბრუნვის ფორმა დროის გარემოების გადმოსაცემად უთანდებულოა ან თანდებულიანი. თანდებულთაგან აქ გამოყენებულია „ში“ და „ზე“.

უთანდებულო მიცემითის ფორმა დროის გარემოების გადმოსაცემად ჩვეულებრივია, როცა ვასახელებთ დღეებს (ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს, კვირას), თვეების რიცხვს (ორ იანვარს, შვიდ ნოემბერს, ოც აგვისტოს), წელს (ათას ცხრაას ორმოცდაათ წელს), დღესასწაულს (ახალ წელიწადს), დროის ერთეულს (ორ წუთს, ორ საათს, სამ დღეს, ორ კვირას, ათ თვეს, ათ წელიწადს, ორ საუკუნეს). უთანდებულო მიცემითში დგას დროის გარემოების გადმოსაცემად აგრეთვე ნა—ევ აფიქსებით ნაწარმოები სახელები, რომელთაც ზმნიზედური გამოყენება აქვთ: ნ ა ა ხ ა ლ წ ლ ე ვ ს, ნ ა ვ ა ხ შ მ ე ვ ს.

დროის გარემოებას გადმოგვცემს საწყისებისა და ზოგიერთი სახელის ნათესაობით-მიცემითის ფორმები: „მზის ჩ ა ს ვ ლ ი ხ ა ს

დაბრუნდა“, „გ ა ნ თ ი ა დ ი ს ა ს გააბა მამალმა ყივილი“ (ვაჟა)-
„ჩასვლისას“ საწყისის რთული ფორმა ნათესაობით-მიცემითისა,
„განთიადისას“ კი — სახელისა. ასეთი ფორმები დროის ზმნიზე-
დებია.

„ში“ თანდებული დაერთვის თვეების სახელებს (იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილში, მაისში...), აგრეთვე წლის დროების ორ სახელს: ზაფხულში, ზაძმთარში. „ში“ თანდებულიანია ჩვეუ-
ლებრივ დროის გარემოება, როცა მოქმედება დროის გარკვეულ
მონაკვეთში ხდება: ორ წუთში, სამ საათში, ორ დღეში, სამ კვირაში,
ხუთ თვეში, ორ წელიწადში, მე-12 საუკუნეში. ამათგან ზოგი უთან-
დებულადაც გვხვდება.

„ზე“ დაერთვის წლის დროების ორ სახელს (გაზაფხულზე, შე-
მოდგომაზე), აგრეთვე რამდენიმე სხვა სახელს (განთიადზე, ალიონზე,
რეჟარაზე). „ზე“ თანდებულია გამოყენებული, როცა მოქმედება
დაწყება ან დამთავრება საათებსა და წუთებშია ნაჩვენები. კრება
ო რ ს ა ა თ ზ ე დაიწყო, ხ უ თ ს ა ა თ ზ ე დამთავრდა; ო რ
ს ა ა თ ს ა და 25 წ უ თ ზ ე და მისო...

დროის გარემოებაა მიცემითში დასმული დროის აღმნიშვნელი
სახელები, რომელთაც „შორის“ თანდებული დაერთვის: „შუშანიკის
წამება“ დაწერილი უნდა იყოს 476 — 483 წლებს შორის.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო . გადიწერეთ მაგალითები. დროის გარემოებას გაუსვით ქვე-
მოთ ხაზი. გამოარკვიეთ, რა მეტყველების ნაწილია დროის გარემოების გადმოსა-
ცემად გამოყენებული და რა ფორმით.

1. ხევსური შიშია ყურძნობას კახეთს იყო სამუშაოდ (ვაჟა). 2. ნაეაშმევს
ირაკლიმ სტუმარი თავის ოთახში წაიყვანა (რ. გვ.). 3. პატარაობისას თევზაობა
ძლიერ მიყვარდა (გოგ.). 4. ორივე მხარე მთელ ღამეს საომრად ემზადებოდა
(გოგ.). 5. იღვა ასე მუხა მრავალ ათისა და ასი წლის განმავლობაში (რან.).
6. ბოლოს ახალგაზრდა ქალებიც გამოჩნდნენ (მ. ჯავ.). 7. ერთხელ ძლიერ დაცხა
(ვაჟა).

§ 87. სახელი დროის გარემოებად ნათესაობითში. სახელის
ნათესაობითი ბრუნვის ფორმა დროის გარემოების გადმოსაცემად
დაერთავს თანდებულს „თანავე“ ან დროის ზმნიზედას (წინ, შემდეგ)
თანდებულის მნიშვნელობით.

„თანავე“ დროის გარემოების გადმოსაცემად ჩვეულებრივ
საწყისის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის: „გ ა ღ ვ ი ძ ე-
ბ ი ს თ ა ნ ა ვ ე ი რ გვლივ გაცეცებით მიმოიხედა“ (რ. გვ.). „შემ-
დეგ“ — დართული ნათესაობითის ფორმა ყოველთვის დროის გარე-

მოება: „ცოტახნის შემდეგ ანმაურებულს ვენახში სიჩუმე ჩამოვარდა“ (ევდ.).

„წინ“ დროის გარემოების გადმოსაცემად საწყისის ან დროის აღმნიშვნელი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის: „ფრინველები წასვლის წინ მოგროვებას გუნდ-გუნდად იწყებენ“ (გოგ.). „წინ“-დართული ნათესაობითის ფორმა ხშირად ადგილის გარემოებაა: „სახლის წინ მაღალი ხე დგას“.

იშვიათად დროის გარემოებაა „თვის“-დართული ნათესაობითიც: „პლატონმა მიიპატიჟა დანიშნული დღისათვის ახლო მეზობლები“ (კლდ.).

შენიშვნა: „შემდეგ“ იშვიათად მიცემითის ფორმასთანაც გვხვდება („ცოტახანს შემდეგ ურჩები სოფლებში შემოვიღწინენ“ (ევდ.), მაგრამ ჩვეულებრივ ის ნათესაობითს უკავშირდება. ზოგჯერ იმის წინ საწყისია ჩაეარდნილი: „ამ სიტყვების შემდეგ ისინი დასხდნენ ვახშმად“ (ყაზ.). იგულისხმება: „ამ სიტყვების თქმის შემდეგ“.

საკარჯო. გადაიწერეთ მაგალითები. დროის გარემოებას გაუსვით ხაზი. აღნიშნეთ, რა მეტყველების ნაწილი არის დროის გარემოების გადმოსაცემად გამოყენებული და რა ფორმით.

1. გაღვიძებისთანავე იმისი ხმა კეკა-ქუხილივით. გაისმოდა გაღმა-გამოღმა (ვჟა). 2. ცოტახნის შემდეგ მთვარემ წვერი ამოყო (ვჟა). 3. ორი კვირის შემდეგ შიშია დაბრუნდა ხევსურეთში (ვჟა). 4. მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა განთიადის წინ (გოგ.). 5. ომის დაწყების წინ ამ რაზმის მეომართ შეკუთცეს ერთმანეთს (გოგ.).

§ 88. სახელი დროის გარემოებად მოქმედებითში. მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გადმოცემული დროის გარემოება უთანდებულოა ან „გან“-თანდებულოანი. მნიშვნელობით სხვადასხვაგვარია: აღნიშნავს მოქმედების დასაწყისს („დილიდან (← დილ-იდ-გან← დილ-ით-გან) ვმუშაობდი“), მოქმედების შესრულების დროს („დილით დავწერე“), წელიწადის გარკვეულ მონაკვეთებს („ზაფხულობით უფრო შესაბრალოსია ხმელი წიფელი“ (ვჟა), დროის ერთეულით გამოსატულ ვადას („ხუთი წუთით“, „სამი საათით“, „ორი დლით“, „სამი კვირით“, „ოთხი თვით“, „ორი წლით“). მოქმედების დაწყებას ჩვეულებრივ „გან“-დართული ფორმები გადმოგვცემს, უთანდებულო ფორმები კი ჩვეულებრივია დროის აღმნიშვნელ სახელთაგან „ობა“ სუფიქსით ნაწარმოები ზმნიზედური გამოთქმებისათვის („ზაფხულობით“, „ლამ-ლამობით“, „ზამთრობით“...).

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო . გადაიწერეთ მაგალითები. დროის გარემოებას ხაზი გაუსვით და გამოარკვიეთ, რა მეტყველებების ნაწილია გამოყენებული დროის გარემოების გადმოსაცემად და რა ფორმით.

1. ბალახის ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი (ვაჟა). 2. დილაობით ნამები შეგროვდებოდნენ იის ფოთლებზე (რაზ.). 3. [სარდონს] გაზაფხულობით და ზაფხულობით ბალჩაში განსვენება უყვარდა (ვაჟა). 4. აღარ ისმოდა შემოდგომით გულის მანათობელი ხარ-ირმის ყვირილი (ვაჟა). 5. თეოფილე სიყრმიდანვე გარჯაში იყო (რ. გვ.). 6. სიყრმით ჩამიკლავს მამულში თავი (ვაჟ.). 7. იმ ხანებში მამაჩემი კახეთს წავიდა ერთი კვირით (ვაჟა).

§ 89. სახელი დროის გარემოებად ვითარებითში. ვითარებითი ბრუნვის ფორმას დროის გარემოებად ჩვეულებრივ თანდებული დაერთვის („მდე“ ან „მდის“). ასეთი ფორმა უმეტესად საწყისისაა („გათენებამდის“) ან ისეთი სახელისა, რომლის ლექსიკური მნიშვნელობაც დროზე მიუთითებს (კვირამდის), და აღნიშნავს მოქმედების დასასრულს, ანუ მიწვევის პუნქტს დროში.

ზოგ დროის ზმნიზედას ვითარებითის ფორმა აქვს: ძველად, ძველისძველად, აშეამად...

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. დროის გარემოებას ხაზი გაუსვით ქვეშ. აღნიშნეთ, რა მეტყველების ნაწილის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული დროის გარემოების გადმოსაცემად, აგრეთვე თანდებულისა თუ უთანდებულო.

1. შაშვი აშეამად თავის თავს გამარჯვებულად სთვლიდა (ვაჟა). 2. ძველად ჩვენში გვარიშვილობას დიდი ფასი ედვა (წერ.). 3. სიკვდილამდე ვის შოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა (რუსთ.). 4. მე ამ ამხანაგებთან ერთად დილიდან საღამომდე სულ მინდორში დავბოდი (წერ.). 5. მზის ამოსვლიდან ჩასვლამდის შრომობს, ირჩება ერთგულად (გოგ.). 6. ოთხშაბათამდის ნუ მომელოდებითო (ვაჟ.). 7. ვახშმად დიდი კუფი გაჩაღდა (დაღ.).

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო 2. (დროის გარემოების გასამეორებლად) გადაიწერეთ მაგალითები. დროის გარემოებას ხაზი გაუსვით ქვეშ. გამოარკვიეთ, რა კითხვებზე მიუგებს, რა მეტყველების ნაწილია დროის გარემოების გადმოსაცემად გამოყენებული და რა ფორმით.

1. პატარაობისას ხშირად მინახავს პაპა: ზამთარში ცეცხლის პირას წამოწოლილი ნაბდის ნაგლეჯზე, გაზაფხულობით დერეფანში შამბზე მჭლომარე (ვაჟა). 2. მეორე გაზაფხულზე ცირცელს ფოთლები აღარ გამოუტანია (რაზ.). 3. ვალეიძებისთანავე ირგვლივ გაცეცებით მიმოიხედა (რ. გვ.). 4. იმ ხანებში მამაჩემი კახეთს წავიდა ერთი კვირით (ვაჟა). 5. ერთი ზამთრის განმავლობაში ასი მგელი მოკვალი (ვაჟა). 6. [დედაბერი] ყოველთვის მამლის ყვილისას აღვიძებდა გოგონებს (გოგ.). 7. მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა განთიადის წინ (გოგ.). 8. ქუხილის შემდეგ დაუჩუბებული მიდამო მალე თქვეშად წამოსულმა წვიმამ აახმაურა (რ. გვ.). 9. დროდადრო ტყიდან მოტეხილი ხის გრიალი მოისმოდა (რაზ.). 10. მე ამ ამხანაგებთან ერთად დილიდან საღამომდე სულ მინდორში დავბოდი

(წერ.). 11. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს (ვაჟა). 12. ნასადილევს ორივემ ცოტა ხანს მოისვენა (კლდ.). 13. მეორე დილას ილაზამ ძროხა გარეკა მთისაკენ (ვაჟა). 14. მამინ თორმეტის წლისა ვიყავი (ვაჟა). 15. იმათ ბრძოლა დილიდან საღამომდე გაგრძელდა (ვაჟა).

ვითარების გარემოება

§ 90. ვითარების გარემოების რაობა. ვითარების გარემოება აღნიშნავს, თუ როგორ ხდება მოქმედება, აგრეთვე ზომა-ხარისხს მოქმედებისას ან რაიმე ნიშნულულობისას. ის მოგვიგებს კითხვებზე: როგორ? (რანაირად?), რამდენად? რამდენჯერ? მაგალითად: „ბავშვი ლამაზად წერს“: „ლამაზად“ ვითარების გარემოებაა და მოქმედების როგორობას აღნიშნავს; წინადადებაში: „ძალიან კარგი მეგობრები მყავს“—ვითარების გარემოებაა „ძალიან“, რომელიც აძლიერებს საგნის თვისებებს ხარისხს: „ძალიან კარგი“ უფრო მეტია, ვიდრე „კარგი“. ვითარების გარემოება აგრეთვე ერთი საგნის მოქმედების მეორე საგნის მოქმედებასთან მსგავსება-შედარებას გამოხატავს, ან კიდევ ერთი საგნის თვისებებსას — მეორე საგნის თვისებებსასთან („ვეფხვსავით იბრძოდა“, „სისხლივით წითელი“) და სხვ.

ვითარების გარემოება ახლავს როგორც ზმნის პირიან ფორმას („ფაქიზად შეინახა“), ისე მიმღეობას („ფაქიზად შენახული“) და საწყისს („ფაქიზად შენახვა“), არაიშვიათად ზედსართავ სახელსაც („ძალიან კარგი“, „მეტად ლამაზი“). ვითარების გარემოება შეიძლება ახლდეს თვით ვითარების ზმნიზედსაც („ძალიან ნელა“, „ძალიან კარგად“, „უფრო ლამაზად“). „ძალიან“ ვითარების ზმნიზედია, რომელიც ახლავს ვითარების ზმნიზედებს („კარგად“, „ნელა“). ორივე ერთად („ძალიან კარგად“, „ძალიან ნელა“) წინადადებაში ერთი წევრია: ვითარების გარემოება. ასევე „უფრო“ და „ლამაზად“ ორივე ზმნიზედია, პირველი („უფრო“) ახლავს მეორეს („ლამაზად“) და ორივე ერთად ვითარების გარემოებაა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ვითარების ზმნიზედა შეიძლება ახლდეს ადგილისა და დროის ზმნიზედებსაც: ძალიან ახლოს, ძალიან შორს... ძალიან ადრე, ძალიან გვიან...

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. ვითარების გარემოებას ერთი ზაზი გაუსვით, იმ სიტყვას კი, რომელსაც ახლავს, — ორი. აღნიშნეთ, რას ახლავს ვითარების გარემოება.

1. თეთრად ქათქათებს მინდორი (მღვდ.). 2. მეცხვარე სევდიანად სალამურს აჯაკანებდა. კურდღელი ხარბად წიწყნიდა დანამულს ჭეჭილს (რაზ.). 3. [ვიორჯის] კობტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა (ჰავ.). 4. ალექსი ძლიერ გამბედავი ბავშვი იყო (გოგ.). 5. კარგულამ გამოიღო მარწუხით თეთრად გავარვარებულს, გაღვივებული რკინა (რაზ.). 6. ხავერდით მწვანე ბალახს აბიბინებს სიონაზად (წერ.). 7. ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა (ჰავ.). 8. ქარი ძალზე უბერავდა (დად.).

§ 81. ვითარების გარემოების გადმოცემა. ვითარების გარემოება ვითარების ზმნიზედით ან სახელით (არსებითით, ზედსართავით, რიცხვითით, ნაცვალსახელით) და უპირო ზმნით (საწყისით, მიმღეობით) გადმოიცემა, რომელთაც ვითარების ზმნიზედის მნიშვნელობა ეძლევათ. აქ რამდენიმე შემთხვევაა გასარჩევი:

1. ვითარების ზმნიზედა სახელის ფუძით არის გადმოცემული: „მიმშოილმა ბახალები ძ ა ლ ი ა ნ შეაწუხა“ (რაზ.).

2. ფუძეა გაორკვეებული: „ფაფუჟი ღრუბელი ნ ა ჰ ე რ-ნ ა ჰ ე რ აქა-იქ მიდი-მოდიოდა“ (ჰავ.).

3. „ივ“-დართული უარყოფითი მიმღეობის (აგრეთვე ზოგიერთი სახელის) ფორმები: „[მდინარე] მღვრიე ტალღებს შ ე უ წ ყ ვ ე ტ-ლ ი ვ სცემდა ვიწრო ნაპირებს“ (გოგ.).

4. ზმნიზედები, რომელნიც ვითარებითი ბრუნვისაგან არიან შეეყვებით მიღებული („ბავშვი ნ ე ლ ა“ (—ნელ-ად) ძიდიოდა“), ან სიტყვას სხვა ბრუნვის ფორმები აკლია და მისი ვითარებითი ბრუნვის ფორმა ამოვარდნილია ბრუნვათა რიგიდან: „ერთბაშად“, „ფრიად“, „უცბად“... მაგალითი: „ე რ თ ბ ა შ ა დ ქარი ამოვარდა“.

5. სახელის ფუძეზე „ებრ“ თანდებულ-დართული: „წყალნი, მითთ დაქანებულნი, ა ლ მ ა ს ე ბ რ უფსკრულს ცვივიან“ (გრ. ორბ.).

6. „ვით“-თანდებულიანი მიცემითისა და სახელობითის ფორმები: „ხან ბ ე ლ უ რ ე ბ ი ვ ი თ ჟივქივებდნენ, ნ ი ბ ლ ი ე-ბ ი ვ ი თ წიწინებდნენ, ხან მ ზ ე წ ვ ი ა ს ა ვ ი თ წრიბინებდნენ ლა ლ ო ბ ე მ ძ ვ რ ა ლ ა ს ა ვ ი თ წიოდნენ“ (რაზ.).

7. „ზე“-თანდებულიანი ფორმა აქვს ზოგ ვითარების ზმნიზედას: „ყალიონი ძ ა ლ ზ ე დ გამოაბოლა“ (ჰავ.). „დავფრინავ ტყეში ჩ ე მ ს ნ ე ბ ა ზ ე“ (რაზ.).

8. ვითარების გარემოებაა „ებრ“-და „მებრ“-დართული ნათესაობითის ფორმა: „ფ რ ი ა ლ ო ს ა ე ბ რ ჩამოთლალი აქვს იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე“ (ჰავ.).

9. სახელისა და საწყისის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა: „ს ი ფ რ-
თ ხ ი ლ ი თ მიდიოდნენ ჩვენი მგზავრები“ (ყაზ.); „შალვა მოწი-
წებით, გაფაცვიცებით ყურს უგდებდა მამას“ (ვაჟა), აგრე-
თვე „ობა“-თი ნაწარმოები ზომა-წონის სახელები მოქმედებითში:
„თითო-ოროლა წვეთობით ნაშს ვასხურებ“ (ვაჟა).

10. ზედსართავის, მიმღობისა და რიცხვითი სახელის ვითარე-
ბითი ბრუნვის ფორმა: „ველზე სქლად იწვა ბალახი“ (ვაჟა); „ემ-
მაკი მელია მოუფიქრებლად არაფერს გააკეთებდა“ (რაზ.);
„ყვავს ნისკარტი ორად გაუსქდა“ (რაზ.).

11. ვითარების ზმნიზედად არის მიჩნეული „ჯერ“-დართული რი-
ცხვითები: ორჯერ, სამჯერ... „[მგელმა] ორჯერ თუ სამჯერ
კიდევ დაიყმულია და მერე გაჩუმდა“ (რაზ.). ვითარების გარემოებაა
აგრეთვე „ხელ“ და „გზის“-დართული რიცხვითებიც.

შენიშვნა: „ერთხელ“ დროის გარემოებაა: „ერთხელ
მთაში თოვლი აღრე მოვიდა“ (ვაჟა), ან ვითარებისა: „ერთხელ
კი არა, ორჯერ წავეკითხე“.

12. ზოგიერთი არსებითი სახელის ვითარებითის ფორმა ზმნიზე-
დად არის ქცეული: მწკრივად, გუნდად, გეზად, ცერად და მისთ...
„ღვინის ურმები იღვნენ მწკრივად ლოკინის ხევის პირს“ (ჭავ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო . გაღიწერეთ მაგალითები. ვითარების გარემოებას ხაზი
გაუსვიეთ. აღნიშნეთ, რა ფორმით არის ვითარების გარემოება გაღმოცემული.

1. ერთ სახლში თავები ძლიერ გამრავლდნენ (გოგ). 2. გულდაგულ ეძებდა
არჩილ: (რ. გვ.). 3. არწივი ნელ-ნელა დაბლა იწვედა (ვაჟა). 4. ისინი მიდიოდნენ
ჩქარა და შეუსვენებლივ (ყაზ.). 5. ის მიდიოდა წყლისაკენ შეუფერხებლივ და
შოუაზრებლივ (ყაზ.). 6 [მელია] ოცჯერ დაწვა და ადგა (რაზ.). 7. ნოდარი ოცდა-
შეორჯერ გავიდა ბრძოლის ველზე (რ. გვ.). 8. გარშემო მარტყია მაგრად
დაქედლი ლოდები (ვაჟა). 9. პატარა ქორებიც ქორულად და შმაგად იცქირებო-
დნენ (ვაჟა). 10. ედლებს ბუჩქ-ბუჩქად მწვანე ხავსი გადაკვრია (გაბ.). 11. ცოტა
გეზად უნდა დაგვიკრია (ჭავ.). 12. იქ ჩგუფად ისხდნენ ბუზები (ჭავ.). 13. მა-
ნაც სილამურისაებრ დაიკვნესა (ევდ.). 14. ქალი უძრავად, წარბ-შეუხრელად
იჭდა მაინც (ვაჟა). 15. ხშირი ფოთლებიდან წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა
(ვაჟა). 16. მენახირები ნახირს სოფლისკენ ძოვნით შოაყოლებენ (რაზ.). 17. და-
კრილმა წნორის ფურცელსავით ცახცახი დაიწყო (ყაზ.). 18. ხალხი ფუტკარივით
იბრუნდა (რ. გვ.). 19. ღამის სიბნელე თანდათან იწურებოდა (ევდ.). 20. გული
ძალზედ დაუწყებდა ხოლმე ცემას (ევდ.). 21. მცხოვრებთა რიცხვი ერთი-
ორად გაზრდილიყო (ქიან.). 22. ბეჟიას თვალები ცეცხლებერ ანთებოდა (ყაზ.).
23. — მერმე? — მერმედა აქერენ ფუთობით (დად.).

მიზეზისა და მიზნის ბარემოზიანი

§ 92. მიზეზის გარემოება. მიზეზის გარემოება აღნიშნავს მოქმედების გამომწვევე მიზეზს. მაგალითი: „ამ ს ი მ ხ და ლ ი ს გ ა მ ო კურდღელი დღისით სულ თავის ბუნაგში იწვა“ (გოგ.). „სიმხდალის გამო“ მიზეზის გარემოებაა, რომელიც აღნიშნავს, თუ რატომ იწვა კურდღელი დღისით თავის ბუნაგში. მიზეზის გარემოება ახლავს როგორც პირიან ფორმას („სიმხდალის გამო იწვა“), ისე საწყისსა („სიმხდალის გამო წოლა“) და მიმღეობას („სიმხდალის გამო დაწოლილი“). იგი მოგვიგებს კითხვებზე: რატომ? რის გამო? რა მიზეზით? მიზეზის გარემოებას გადმოგვცემს მიზეზის ზმნიზედა (ამიტომ, მაგიტომ, იმიტომ) და სახელი (საწყისითურთ) ნათესაობითში ან მოქმედებითში.

სახელი მიზეზის გარემოებად მოქმედებითში უთანდებულოა: „მელიამ სიმწვავეით (= ს ი მ მ წ ვ ა ვ ე ს გ ა მ ო) კინლამ დაიყვირა“ (რაზ.).

ნათესაობითის ფორმას ახლავს თანდებული „გან“, „გამო“, „წყალობით“, „გამოისობით“, „მეოხებით“...

მაგალითები: 1. ხეების ტოტებმა თახთახი იწყეს ს ი ბ რ ა ზ ი - ს ა გ ა ნ (ვაჟა). 2. ისინი ს ი შ ო რ ი ს გ ა მ ო ვერ მოდიოდნენ პაპასთან სამასლაათოდ. (ვაჟა). 3. ს ი ნ ა თ ლ ი ს ა და ა დ გ ი ლ - მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ი ს წ ყ ა ლ ო ბ ი თ ჩემ წინ თითქმის ყოველ წაშს იცვლებოდა სურათი (ლომ.). 4. ა მ ი ს გ ა მ ო ი ს ო ბ ი თ აქეთკენ გვალვა ძლიერ ხშირი სტუმარია (ლომ.). 5. ამ გ ა რ ე მ ო ე ბ ა თ ა მ ე ო ხ ე ბ ი თ ქართველები ძველ დროში მტკიცედ დაადგნენ წარმატებისა და განვითარების გზასა (ლომ.).

ძველი თაობის მწერლების ენაში მიზეზის გარემოების გაგება ზოგჯერ „თვის“-თანდებულებიან ნათესაობითის ფორმასაც აქვს: „მთა-ული მთლად გაფითრდა ამგვარი დ ა მ ც ი რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს“ (ყაზ.) ამჟამად ასეთი ფორმა იშვიათია. მის ნაცვლად სჯობს „გა-მო“-დართული ნათესაობითი გამოვიყენოთ: „დამცირების გამო“.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. მიზეზის გარემოებას ხაზი გაუსვით, აღნიშნეთ, რა ფორმით არის მიზეზის გარემოება გადმოცემული (ბრუნვა, თანდებულებიანი თუ უთანდებულო).

1. ლამპის უქონლობის გამო ბოთლში ჩარკობილი კარტოფილის სანთელი აენთოთ (რ. გვ.). 2. ისინი ძლიერ შეწუხებულნი იყვნენ მუცელას ავადმყოფობის გამო (ვაჟა). 3. ოტია ვაშრა სირცხვილისაგან (ყლდ). 4. ბავშვებმა შიშისაგან ტირილი მორთეს (გოგ.). 5. ბეკინა ამ სოფლად აღარ იყო ჯავრისაგან (ყლდ.).

6. ჩვენ ვერ შევუბრუნდებით, რომ ზოგიერთის თავგადასავალი წყალობით ოჯახი განადგურდეს (ჯაფ.). 7. ცოლების მოწყალებით ძმებს ჩხუბი მოუვიდათ და გაიყარნენ (კე.). 8. ყველა ეს კი წყლის შეზღუდვით ხდებოდა (ლომ.). 9. მაგის გამოისობით კარგ მოქმედებებსაც სახელი აქვს გატეხილი (კე.). 10. გერასიმეს წყალობით ყველა აღმაცერად მიყურებდა (ჯაფ.). 11. თავის შიშით თვალთ დაუბნელდა (რაზ.). 12. ნინია სიხარულით ფეხზე აღარ იდგა (ვაჟა). 13. სვაეი სიმძლირით ძლიერდა ქვინადა (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები; გამოარკვიეთ, რა ფორმით არის მიზეზის გარემოება გადმოცემული, და აღნიშნეთ, რომელი თანდებულის დართვაა უფრო შესაფერისი.

1. ყველანი გაუჭარდნენ ამ მოუთმენლობისათვის (ვაჟა). 2. მელას ერთხელ ამისთანა ვაზდულობისათვის ძლიერ შავი დღე დააყენეს (გოგ.). 3. პირველი უჩიოდა მეორეს სარწმუნოების შეურაცხყოფისათვის (ლომ.). 4. ნუ დაგვკარგავ, შენ გენაცვალე, ამ ჩენი გაქირვებულობისათვის (კლდ.). 5. ირავლი ბავშვივით მომღიშარ მირზას ესაყვედურებოდა დავიწყებისათვის (რ. გვ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 3. გადაიწერეთ მაგალითები. „გან“-დართული ნათესაობითი გადმოცემულ ქვემდებარისებრ დამატებას ერთი ხაზი გაუსვით, მიზეზის გარემოებას — ორი.

1. ლომი სიბრაზისაგან თვალებიდან და კბილებიდან ცეცხლსა ყრიდა (ვაჟა). 2. სიცივისაგან დაფიხებელი ტოტები კანკალებენ და ცახცახებენ (რაზ.). 3. ჯაბანა დარდისაგან ლოგინად ჩავარდა (ვაჟა). 4. შეცხვარესაც ნამწვიმისაგან დაზუზული ცხვარი ლიქვიან მთის კალთებზე გაეშალა (რაზ.). 5. სიცივისაგან ყვავიცი კი ველარ აღებდა პირს, რომ დაეჩხავლა (ვედ.). 6. პატარა კეკეს სიცივისაგან ხელები ეყინებოდა (გოგ.).

§ 93. მიზნის გარემოება. მიზნის გარემოება აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოქმედების მიზანს და მოგვიგებს კითხვებზე: რისთვის? რა მიზნით? რად? ისახლავს როგორც პირიან ზმნას („სანადიროდ წავიდა“), ისე საწყისს („სანადიროდ წასვლა“) და მიმღეობას („სანადიროდ წასული“).

მიზნის გარემოებას გადმოგვცემს მიზნის ზმნიზედა (ამისთვის, იმისთვის, მაგისთვის, ამად), ან კიდევ სახელი და მომავალ-დროიანი მიმღეობა.

სახელი მიზნის გარემოებად ნათესაობითში დაირთავს თანდებულს „თვის“ ან „გულისთვის“. საწყისს ნათესაობითში შეიძლება დაერთოს „მიზნით“. მაგალითები: 1. მამალი ნიბლია ჩვეულებებისა-მებრ მინდორში დაფრინავდა ს ა ვ შ მ ლ ი ს ა თ ვ ი ს (რაზ.). 2. წვრილი ფრთოსნები სოფელში იყრიდნენ თავს ს ა ზ რ დ ო ს გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს (რაზ.). 3. სამეგრელოში ხის სახლებს ჯანმრთელობის და ც ვ ი ს მი ზ ნ ი თ ა გებენ (დად.).

8. ლ. კ ვ ა ჯ ა ძ ე, ქართული ენის სინტაქსი

მიზნის გარემოება უმეტესად ვნებითი გვარის მომავალ-დროიანი მიმღობის ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა (ასეთი ფორმა ზმნიზედაა). მაგალითი: „ნოდარმა ორი მებრძოლი გაგზავნა დასახვერად“ (რ. გვ.).

მიზნის გარემოებაა ხშირად სა — ლ თავსართ-ბოლოსართით წარმოქმნილი სახელი ვითარებითში: „ერთ დღეს გოგრა ს ა ნ ა დ ი რ ო ლ წავიდა“ (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. მიზნის გარემოებას ხაზი გაუსვით და გამოარკვიეთ, რა ფორმით არის გამოხატული.

1. [სარდიონმა] ბიჭი აფრინა თოფისათვის (ვაჟა). 2. წიწილებისა და იმათი დედების გულისათვის მამალმა რამდენიმე ინდაური ცალ-ცალკე გალახა (ვაჟა). 3. მე ჩონგური მისთვის მიწადა, რომ სიმათლეს მსახურებდეს (წერ.). 4. მხედარი აჩქარებით გამოვიდა ბრძანების ასასრულებლად (წერ.). 5. მინდვრიდან ტყეში მოეშურებოდნენ ქედნები ლამის გასათევად (ვაჟა). 6. ბიძაჩემი ადრე გაპარულყო სანადიროდ (ვაჟა). 7. ყველას თავის სასარგებლოდ იყენებდა (რაზ.). 8. გიორგი ტყეში ყოფილიყო კიგოს საქრელად (ვაჟ.). 9. იქ ყვავილები გაშლილა ჩემს საზაროდ, საწუწნელად (წერ.). 10. მასპინძლები დასაძინებლად ეშვადებოდნენ (მ. ჭავ.). 11. საძებნელად წასული ძმადნაფიცები ხელცარიელი დაბრუნდნენ (მ. ჭავ.). 12. კურდღელმაც მოსასვენებლად მიჰმართა ტყეს (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. (უბრალო დამატებისა და გარემოების გასამეორებლად) წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, ერთი და იმავე ფორმით წინადადების რა და რა წევრია გადმოცემული.

ა) 1. იმ საღამოს ს ტ ე ფ ა ნ წ მ ი ნ დ ა ს ა მოველი (ვაჟ.). 2. ნ ა ს ა დ ი ლ ე ვ ს ო რ ი ე მ ც ო ტ ა ხ ა ნ ს მოისვენეს (კლდ.).

ბ) 1. მეორე დღეს სოლომანმა გასწია ქაიხოსრო ქ ა თ ა მ ა ძ ი ს ა ს (კლდ.). 2. საცოდავს ძლივს ჩაეძინა გ ა ნ თ ი ა დ ი ს ა ს (არაგ.).

გ) 1. გრილი ნიავე მოღულუნებდა ტრიალს მ ი ნ დ ო რ ზ ე (ვაჟა). 2. გოჩას გაშოს ვ ლ ა ზ ე ხ ე ვ ს ქ ა რ ი წ ყ ნ ა რ ა დ შ ე ი ნ ძ რ ა (ყაზ.). 3. ყვავილნი მუდამეამს ს ი ც ო ე ხ ლ ე ზ ე საუბრობდნენ (ვაჟა).

დ) 1. ფრინველები ერთმანეთს ეჯობებოდნენ მ ხ ი ა რ უ ლ ე ბ ა შ ი (ეკლ.). 2. ბეველამ უთხრა: მ ი ნ დ ო რ შ ი ვ ცხოვრობ მე უბრუნველად (წერ.). 3. ასი წლის ბებერმა ი ა ნ ვ ა რ შ ი მ არ წყვი მოინდომაო (ანლ.).

ე) 1. მხოლოდ ნიავე მთისა მოლხენით ტყეში ფ ო თ ლ ე ბ თ ა ნ ლ აზ ლ ა ნ დ ა რ ო ბ დ ა (ვაჟ.). 2. მგზავრებმა ერთ დანგრეულ ს ა ხ ლ თ ა ნ შ ე ის ვ ე ნ ე ს (რ. გვ.).

ვ) 1. მდინარე კ — ს მ წ ყ ე მ ს ი ს თ ვ ი ს ბ ა ტ ქ ა ნ ი მ ო ე ტ ა ც ნ ა (ვაჟა). 2. მერცხლები მარტო ს ა კ მ ლ ი ს ა თ ვ ი ს გაფრინდებოდნენ ხოლმე მინდორში (გოგ.).

ზ) 1. ბეკინა ამ სოფლად აღარ იყო ჯ ა ვ რ ი ს ა გ ა ნ (კლდ.). 2. ა რ წ ი ე ი . . . ა გ ა ნ შ ე მ ი ნ ე ბ უ ლ ი წ ე რ ო ე ბ ი ს უ ლ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ (რაზ.).

თ) 1. ზოგან არწივს ხ ა ფ ა ნ გ ი თ ი ე ბ რ ე ნ (გოგ.). 2. დაბალი სალორიდან გამოძვრა ტალახიანი ღორი თავისი მკვირიანა გ ო კ ე ბ ი თ ა (გოგ.). 3. მზე,

დასავლეთით მთებს ეფარებოდა (ლომ). 4. ზაფხულობით ვარდისა ხშირი სტუმარი იყო ბულბული (ვაჟა). 5. ჩახვს სისხლი თქრიალით გასდიოდა (ვაჟა). 6. თავს შიშით თვალთ დაუბნელდა (რაზ.).

ი) 1. ნათლიმამის სახლამ დისაც კაი მანძილი იყო (კაე). 2. შხეს ერთი შუბის ტარილა ჩაუდიოდა ჩასვლამ დის (ვაჟა).

კ) 1. ტყე უზარმაზარ ქალქად იქცა (ვაჟა). 2. შინდვრად თოვლი აღარ იღო (რაზ.). 3. იქ ჩგუფად ისხდნენ ბუზები (კაე). 4. გვადიმ ხურჩინი ნაბდიანად სახლში შეათრია (ქიაჩ). 5. ხეებზე კოკორი გასაშლელად მომზადებულია (ვაჟა).

ბანსაზღვრება

§ 94. განსაზღვრების რაობა. განსაზღვრება. ჰქვია წინადადების მეორეხარისხოვან წევრს, რომელიც არსებითი სახელით გადმოცემულ სხვა წინადადების წევრს ან თვით განსაზღვრებას რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს, ანუ განსაზღვრავს.

მაგალითები: 1. პატარა გუგულები თანდათან მოიზარდნენ (გოგ.). 2. ვანომ გრძნობიერი წერილი მისწერა დედ-მამას (ვაჟა). 3. შემოდგომის წვიმის მსხვილი წვეთები ფოთლებზე შეაპუნებდნენ (რ. გვ.). 4. შოშია ლამაზი ფრინველია (გოგ.).

მოყვანილ მაგალითებში „პატარა“ განსაზღვრავს ქვემდებარეს („პატარა გუგულები“), „გრძნობიერი“ — პირდაპირ დამატებას („გრძნობიერი წერილი“), „წვიმის“ და „მსხვილი“ — ქვემდებარეს („მსხვილი წვეთები“, „წვიმის წვეთები“), „შემოდგომის“ — განსაზღვრებას („შემოდგომის წვიმა“), „ლამაზი“ — შედგენილი შექმენლის სახელად ნაწილს („ლამაზი ფრინველი“).

განსაზღვრება დაქვემდებარებული წევრია, ხოლო საზღვრული. რომელიც განსაზღვრების წყვილის ცალია, წამყვანი სიტყვაა.

§ 95. განსაზღვრების სახეები. განსაზღვრება ორგვარია: ატრიბუტული (შეთანხმებული) და არაატრიბუტული (მართული). ატრიბუტული განსაზღვრება ახასიათებს საზღვრულ წევრს რაიმე ნიშნის მიხედვით და ჩვეულებრივ ეთანხმება მას ბრუნვაში. თვისებას, საზოგადოდ, ზედსართავი სახელები (ატრიბუტივები) გამოხატავენ, მაგრამ ხშირად ზედსართავისებურ გამოიყენება და შეეწყობა საზღვრულ წევრს სხვა სახელები (რიცხვითი სახელი, არსებითი სახელი, ნაცვალსახელი) და სახელზმნა (მიმღეობა, საწყისიც კი): დიდი სახლი, ხუთი წიგნი, ურემი შეშა, ჩვენი სახლი, დანგრეული სახლი, ერთი წველა ყველი. „დიდი“ (ზედ-

სართავი სახელი), „ხუთი“ (რიცხვითი სახელი), „ურემი“ (არსებითი სახელი), „ჩვენი“ (ნაცვალსახელი), „დანგრეული“ (მიმღობა) და „წველა“ (საწყობი) — ყველა ატრიბუტული განსაზღვრებაა.

მართულია განსაზღვრება, რომელიც ნათესაობითშია დასმული: ხ ი ს სახლი, ა მ ხ ა ნ ა გ ი ს წიგნი და მისთ. მართულ განსაზღვრებად არსებითი (ან გაარსებითებული) სახელია გამოყენებული, რომელიც საზღვრულ წევრს განსაზღვრავს უმეტესად მასალის მიხედვით („ხ ი ს სახლი“) ან კუთვნილებისა („ა მ ხ ა ნ ა გ ი ს წიგნი“). ასეთი განსაზღვრება ზოგჯერ მართულ-შეთანხმებულია (წიგნმა ა მ ხ ა ნ ა გ ი ს ა მ“).

განსაზღვრება საზღვრულ წევრს ზოგჯერ ისე მკიდროდ უკავშირდება, რომ მათი ერთმანეთისაგან გათიშვა შეუძლებელია, ორივე ერთად წინადადების ერთი წევრია: „შავი ზღვა“, „წყნარი ოკეანე“ და მისთ. „შავი“ და „წყნარი“ განსაზღვრებაა წყვილებში: „შავი დაფა“, „წყნარი ბავშვი“, მაგრამ ზემოთ დასახელებულ წყვილებში („შავი ზღვა“, „წყნარი ოკეანე“) მათ ცალკე წევრად ვერ გამოვყოფთ. (ნ. § 30).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ თ. გადაიწერეთ მაგალითები. ატრიბუტულ განსაზღვრებას ერთი ხაზი გაუსვით, მართულს — ორი. აღნიშნეთ, რა მეტყველების ნაწილით არის განსაზღვრება გადმოცემული და რა წინადადების წევრს განსაზღვრავს ის.

1. ყვითელი ფოთლები ყველგან მუხლამდე ეყარა (რ. გვ.). 2. გაფრენილ ქორს ბაზიერები დაედევნენ (წერ.). 3. გლეხმა გათიბა ცხრა ურემი თივა (ევდ.). 4. ბაბალემ ჩიბიდან ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმში (კავ.). 5. მთვარის შუქის ანარეკლი ოდნავ ანათებდა ფარდულს (ქიარ.). 6. ქუჩაში მსუბუქი მანქანა იდგა (ს. კლდ.).

§ 96. განსაზღვრების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით. განსაზღვრება შეიძლება გადმოიცეს სახელითა და სახელზნნით, მაგრამ ამ მხრივ განსხვავებაა როგორც მეტყველების ნაწილებს შორის, ისე თვით ერთი მეტყველების ნაწილის ფარგლებშიც. ზოგიერთი ჯგუფის სიტყვებისათვის განსაზღვრების გამოხატვა ძირითადი სინტაქსური ფუნქციაა, ზოგისთვის — არაძირითადი. მაგალითად, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი (რაოდენობითი და რიგობითი), ზოგიერთი ნაცვალსახელი (კუთვნილებითი, ჩვენებითი, განსაზღვრებითი) და ენებითი გვარის მიმღობანი წინადადებაში ჩვეულებრივ განსაზღვრებაა. არსებითი სახელები, მოქმედებითი გვარის მიმღობანი, ზოგიერთი ნაცვალსახელი (მაგალითად პირისა) ძირითადად ქვემდებარე-დამატებას გადმოს-

ცემენ, მაგრამ ზოგი ამათვანი ხშირად განსაზღვრებად და გარემოებად არის გამოყენებული.

§ 97. ზედსართავი განსაზღვრებად. ზედსართავი სახელი (ვითარებითი თუ მიმართებითი) წინადადებაში ჩვეულებრივ ატრიბუტული განსაზღვრებაა. მიუგებს კითხვებზე: როგორი? რომელი? რანაირი? სადაური? როდინდელი?

1. ბუნარში ნელი ცეცხლი ენთო (ქიაჩ.). 2. დედაშვილი — სიყვარული მძლეთა-მძლუა (ქავ.). „ნელი“ ვითარებითი ზედსართავი სახელია, „დედაშვილი“ — მიმართებითი და ორივე ატრიბუტული განსაზღვრებაა. ზოგჯერ ზედსართავი არსებითი სახელის ფუნქციით არის გამოყენებული, ან კიდევ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია.

ს ა ე ა რ ა ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. ზედსართავი სახელით გადმოცემულ განსაზღვრებას ერთი ხაზი გაუსვით, შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს — ორი, ქვემდებარე-დამატებას — კლავნილი.

1. გორგოლა იყო მალაი (გოგ.). 2. მთვარიანი ღამე იყო (გოგ.). 3. სათბოში ცხოვრობდა ცქვიტი ტოროლა (გოგ.). 4. წყალი საშინლად ცივი იყო (ვაჟა). 5. დაბალმა არც შემომხედა (ს. კლ.) 6. იგი ნიჭიერი აღმოჩნდა (ქიაჩ.). 7. კარგ მოქმელს კაი გამოვინეც უნდაო, ნათქვამია (ვაჟა). 8. ამის გაგონებაზე მალაში, რომელსაც აბესალომი რქმეოდა, თვალები დააბრიალა (ს. კლ.).

§ 98. რიცხვითი სახელი განსაზღვრებად. რიცხვითი სახელი (რაოდენობითი და რიგობითი) წინადადებაში ჩვეულებრივ განსაზღვრებაა (ატრიბუტული). რაოდენობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს საგნის რაოდენობას (ორი წიგნი, ათი ფანქარი) და მიუგებს კითხვაზე: რამდენი? რიგობითი აღნიშნავს საგნის რიგს და უპასუხებს კითხვაზე: რომელი? მერამდენე? რიგით რომელი?

საზღვრული წევრი, თუ მას განსაზღვრებად რიცხვითი სახელი ახლავს, მხოლოდითში დაისმის. განსაზღვრება, რაოდენობითი რიცხვითი სახელით გადმოცემული, და მისგან განსაზღვრული სიტყვა არსებითად წინადადების ერთი წევრია: „მარშან ცხრა კალმახი დავიჭირე“ (რახ.).

ს ა ე ა რ ა ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. რაოდენობითი რიცხვითი სახელით გადმოცემულ განსაზღვრებას ერთი ხაზი გაუსვით, რიგობითით გადმოცემულს — ორი, საზღვრულ წევრს — კლავნილი.

1. ვენახში ათი-თორმეტი ძირი ატამი ადგა (ჯაფ.). 2. მეორე დღეს გულქანს აღრიანად გამოეღვიძა (რახ.). 3. ბაღში ბევრი ხეხილი იდგა (გოგ.). 4. სერზედ მიდის სამი მგელი (ხალხ.). 5. დარეჯანი სიკვდილამდე პირველი ქმრის ერთგული

დარჩა (ეჟა). 6. ორი ათასი ქართველი ხუმრობა არ გახლავსთ (წერ.). 7. განთიადისას ნენეს მეხუთე გოგო გაუჩნდა (გაბ.).

§ 99. ნაცვალსახელი განსაზღვრებად. განსაზღვრებად ნაცვალსახელთაგან, გარდა პირისა, თითქმის ყველა ჯგუფი იხმარება, მაგრამ უმეტესად ამ ფუნქციით კუთვნილებით, ჩვენებითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია გამოყენებული. ზოგი ნაცვალსახელი პირის ნაცვალსახელიც არის და ჩვენებითიც და ამის შესაბამისად ხან ქვემდებარე-დამატებად არაუხმარა („ის მღერის“, „ის გააგზავნა“) და ხან—განსაზღვრებადაც („ის ბავშვი მღერის“).

ზოგიერთ ნაცვალსახელთან („ყველა“, „ყოველი“, „რამდენიმე“, „ზოგი“, „ზოგიერთი...“) საზღვრული წევრი მხოლოდობითში დაისმის: ყველა ბავშვი, ყოველი მოქალაქე, რამდენიმე კაცი, ზოგიერთი კაცი.

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. ნაცვალსახელით გამოხატულ განსაზღვრებას ერთი ხაზი გაუსვით, საზღვრულ წევრს — ორი. აღნიშნეთ, რომელი ჯგუფის ნაცვალსახელით არის განსაზღვრება გადმოცემულა.

1. ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში? (ქავ.). 2. პატარა ჩემი ამხანაგები ჩემს გულჩვილობას იქ დასცინოდნენ (ქავ.). 3. იმ გზას დაადგე, წადი, — და როცა ცხვირწამოწყდის მთა შეგეყრება, ის მთა აქნება კულიგორაცა (ქავ.). 4. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი? (ქავ.). 5. შენის თვალით რომ ხელაღდე შენი შრომის კეთილ ნაყოფს, განა ეს ბედნიერება არ არის?! (ლომ.). 6. ვისი შვილი ხარ, პატარავ? 7. ამას იქმოდა ყოველი კაცი, თუნდა მხალაი და თუნდა ვაჟკაცი (ქავ.). 8. იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი (ქავ.). 9. ვილას ახსოვს თავისი სატკივარი? (წერ.).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 2. გამოიყენეთ განსაზღვრებად ნაცვალსახელები „ყველა“, „რამდენიმე“, „ყოველი“, „ზოგი“ („ზოგიერთი“) და თვითულზე თითო-თითო წინადადება შეადგინეთ. აღნიშნეთ, საზღვრული მხოლოდობითშია თუ მრავლობითში.

§ 100. მიმღეობა განსაზღვრებად. მიმღეობა ხშირად წინადადებაში განსაზღვრებაა: „შე მ კ რ თ ა ლ ი ბელურები ღობეზე აფრინდნენ“ (ევდ.). განსაზღვრებად ყოველგვარი მიმღეობა გვხვდება, მაგრამ უფრო ხშირად ვნებითი და საშუალი გვარისა.

ხშირია განსაზღვრებად რთული სახელი, რომელიც არსებითი სახელისა და მიმღეობის შეერთებით არის მიღებული (მიმღეობა უმეტესად ვნებითი გვარისა): „თ ვ ა ლ ე ბ გ ა შ ტ ე რ ე ბ უ ლ ი, ტ უ ჩ ე ბ მ ო კ უ მ უ ლ ი, ს ა ხ ე გ ა ბ რ წ ყ ი ნ ე ბ უ ლ ი მონადირე სმენად იყო გადაქცეული“ (ეჟა). ამ რთულ სიტყვათა მეორე

ნაწილი (მიმღეობა) პირველ ნაწილს (არსებითს) განსაზღვრავს, მაგრამ წინადადებაში ასეთი რთული ფორმები ერთი წევრია (განსაზღვრება) და სხვა საგანს ახასიათებს რაიმე ნიშნის მიხედვით. ასევე ერთი წევრია (განსაზღვრება) ისეთი რთული ფორმები, რომლებიც ზედსართავი ან რიცხვითი სახელის არსებითთან შეერთებისაგან არიან წარმომდგარი: გ უ ლ თ ბ ი ლ ი კ ა ც ი, ს ა მ თ ვ ა ლ ი ს ა ხ ლ ი და მისთ.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო . გადაიწერეთ მაგალითები. მიმღეობით გადმოცემულ განსაზღვრებას ერთი ხაზი გაუსვით, მისგან განსაზღვრულ წევრს — ორი. აღნიშნეთ, რომელი გვარის მიმღეობაა განსაზღვრებად.

1. შამშილით შეწუხებული მგლები ღმუღუნენ (რახ.). 2. დაბურულ ტყეში დიდი მუხა იდგა (გოგ.). 3. მგორავი ქვა ხავს ვერ მოიკიდებს (ანდ.). 4. მამუკა დასაკლავი ხაროვით აბლავდა (რ. გვ.). 5. ბარტყების დამკარგველი ჩიტი კვლავ გოდებდა (რ. გვ.). 6. მხურვალე მზე ზედ დაგყურებდა (ჭავ.). 7. მოზღვავებულმა ხალხმა ცეცხლი მალე ჩააქრო (ვაჟა). 8. თვალმღვრეული და ხანჩალამოდებული სიმონა ბაღდასაქენ გავმართა (მ. ჭავ.).

§ 101. არსებითი სახელი განსაზღვრებად. არსებითი სახელით ჩვეულებრივ მართული განსაზღვრება გადმოიცემა, იგი ნათესაობითში დგას და საზღვრულ წევრს უმეტესად მასალის ან კუთვნილების მიხედვით განსაზღვრავს: „აგურის სახლი“, „ამხანაგის წიგნი“. „აგურის“ მასალაზე მიუთითებს, „ამხანაგის“ — კუთვნილებაზე.

მაგრამ ატრიბუტულ განსაზღვრებად ჩვეულებრივია ზომის სახელი (მეტრი, მტკაველი, აღლი, კილომეტრი, ჰექტარი), წონისა (ტონა, ფუთი, კილო, გრამი, მისხალი...), საწყაოსი (ორმო, ურემი, ვედრო, ბოთლი, ჭიქა, კოკა, ვაგონი...), პროფესიისა, წოდებისა და თანამდებობისა (ექიმი, პროფესორი, დოქტორი, დირექტორი...) და ზოგი სხვა (ხელი, ფრთა, უღელი, თავი, კომლი და სხვ.).

არსებითი სახელით გადმოცემულ ატრიბუტულ განსაზღვრებას ჩვეულებრივ ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი (ზოგჯერ ზედსართავიც) და ორივე ერთად წარმოადგენს საზღვრული წევრის განსაზღვრებას. მაგალითი: „აქ თუნდა ოთხი ჩაფიღვიწო ჩაეტევა“ (ჭავ.).

ერთი და იგივე არსებითი ატრიბუტულ განსაზღვრებადაც შეიძლება შეგვხვდეს და მართულადაც. მაგალითი: „გლახმა გათიბეს ხრა უ რ ე მ ი თივა“ (ევდ.): „ურემი“ ატრიბუტული განსაზღვრე-

ბა. „წინა ურმის კოფოზე ესკუპა შვიდი-რვა წლის სოფლელი ბავშვი“ (გოგ.): „ურმის“ მართული განსაზღვრებაა.

იშვიათად განსაზღვრებად საწყისი ცვხვდება: „ერთი წველა ყველი“, „ერთი გაბმა აბრეშუმი“.

შენიშვნა: წონის, საწყაოს, ზომისა და ფართობის აღმნიშვნელი არსებითი სახელები (ზოგი სხვა) და რაოდენობითი რიცხვითი სახელები, რომელთაც „მდე“ თანდებული დაერთვის, არსებითთან ხმარებისას ატრიბუტული. განსაზღვრებაა და აღნიშნავს რაოდენობასა თუ ზომა-ოდენობას მიახლოებით. მაგალითები: 1. ხუთკოღამდე დიკა ჰქონდათ დათესილი (ვაჟა). 2. ოცდაათამდე კაცი წავიდა დათვზე (ვაჟა).

სავარჯიშო. გადაიწერეთ მაგალითები. არსებითა სახელით გადმოცემულ მართულ განსაზღვრებას ერთი ხაზი გაუსვით, ატრიბუტულს (რიცხვითი სახელითურთ) — ორი, საზღვრულ წევრს — კლაკნილი. გამოარკვეეთ, რას აღნიშნავს მართული განსაზღვრება და რას — ატრიბუტული.

ა) 1. დილის ნისლი თანდათან იფანტებოდა (რ. გვ.). 2. მზის სხივი მთას წვერებს შესთამაშებდა (ყაზ.). 3. აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ორივე ქურდიანო (ანდ.). 4. პატარა მაროს ძმამ მერცხლის ბარტყი მუყყანა (გოგ.).

ბ) 1. იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული (ვაჟა). 2. ვფემიამ ერთი პატარა ლამბაქი გოზინაყი მოადლდა (რაზ.). 3. [ვფემიამ] ერთი კასრი ფქვალი გამტყიცა... (რაზ.). 4. ვენახში ათი-თორმეტა ძირი ატამი იდგა (ჭაფ.). 5. [ლუარსაბს] ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა (ჭაფ.). 6. გუშინ საღამოზედაც ჭერისთვის რომ ბიქი ამოვიდა, ერთი აბგა მწყერი გამოგზავნა (ჭაფ.). 7. ბაბალემ ჭიბიდან ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმი (ჭაფ.). 8. დედამ ჩაულაგა ერთი ხელი ტანასამოსი (ჭაფ.).

§ 102. განსაზღვრების ადგილი წინადადებაში. განსაზღვრებისა და მისგან განსაზღვრული წევრის რიგი (წყობა) ორგვარია: პირდაპირი და ინვერსიული (შებრუნებული). თუ განსაზღვრება წინ უძღვის საზღვრულ წევრს („დიდი სახლი“, „აგურის სახლი“), წყობა პირდაპირია, თუ მოსდევს („სახლი დიდი“, „სახლი აგური-სა“), — ინვერსიული.

თანამედროვე ქართულში გაბატონებულია პირდაპირი წყობა, ინვერსიული კი შედარებით იშვიათად გვხვდება (ისიც უფრო პუხნაში).

განსაზღვრება (ატრიბუტული თუ მართული) ჩვეულებრივ უშუალოდ დგას საზღვრულ წევრთან, მაგრამ ზოგჯერ (თუმცა

იშვითად) გათიშულია მისგან: „ჩამოუქიმა ყურები მაგრად და თვალზედ მზრუნველს უსვამდა ხელსა“ (ვაკ.); ამ წინადადებაში წინ მდგომი ატრიბუტული განსაზღვრება („მზრუნველს“) მისგან განსაზღვრული წევრისაგან („ხელსა“) შემასმენლით („უსვამდა“) არის გათიშული. „ტებილი ხმა იმოდან სალამურისა“ (ვაკ.): აქ მომდევნო განსაზღვრება („სალამურისა“) გათიშულია საზღვრულთან („ხმა“).

გამეორების თავიდან ასაცილებლად საზღვრული წევრი ჩვეულებრივ გამოტოვებულია და განსაზღვრება განმარტოებით დგას: „ზღვის წყალი თბილია, მდინარისა — ცივი: „მდინარისა“ განმარტოებული განსაზღვრებაა.

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ მაგალითები. წინ მდგომ განსაზღვრებას ერთი ხაზი გაუსვით, მომდევნოს — ორი, საზღვრულს — კლავნილი. აღნიშნეთ, როგორია განსაზღვრება (მართული თუ ატრიბუტული).

1. ხმელი წიფელი ამოიკენესებს ღრმა კენესით (ვაკ.). 2. გამოძვარი გვერდი ხისა დროგამოშვებით პატარა ენასავით ალს წამოაგდებდა (ვაკ.). 3. გახარებული ბეკეკა ხუსხუსით გაყევა წყველ მელას (რახ.). 4. მხოლოდ ნიავი მთასა მოლხენით ტყეში ფოთლებთან ლხლანდარობდა (ვაკ.). 5. ფოთლებიდან წკაპწყაპით ჩამოდიოდა ცვარი წვიმისა (ვაკ.). 6. ველს შვენიერსა ჩასძინებოდა (ვაკ.).

სავარჯიშო 2. გადაიწერეთ მაგალითები. გათიშულ განსაზღვრებას ერთი ხაზი გაუსვით, განმარტოებულს — ორი, საზღვრულს — კლავნილი.

1 არ შევხედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა (ერ.). 2. წიგნი იმისთანა რამ არის, რომ აქვინი სოფლის ამბავს ქალაქში ჩამოიტანს, ქალაქისას სოფელში წაიღებს (ვაკ.). 3. მწვანეს ეწვდება ფოთოლსა ხარი ირემი რქიანი (ვაკ.). 4. ძერა მოკლეს უბედური (მღვ.). 5. ამბობენ ვეჯაკობისას, თოფისასა და ხმლისასა (ვაკ.).

§ 103. განსაზღვრებისა და საზღვრული წევრის სინტაქსური ურთიერთობა. განსაზღვრება და მისგან საზღვრული წევრი სახელებით არის გადმოცემული. სახელს კი ქართულში ორი გრამატიკული კატეგორია აქვს: ბრუნვა და რიცხვი. ამიტომ მათი სინტაქსური ურთიერთობა ბრუნვასა და რიცხვში ურთიერთობას გულისხმობს, რისთვისაც, თავის მხრივ, მნიშვნელობა აქვს: ა) ატრიბუტულია განსაზღვრება თუ მართული; ბ) ატრიბუტული განსაზღვრება ხმოვანზეა დაბოლოებული თუ თანხმოვანზე; გ) პირდაპირია წყობა თუ ინვერსიული; დ) ებ-დან მრავლობითშია საზღვრული თუ ნარ-თანაბნში; ე) საზღვრულთან დგას უშუალოდ თუ გათიშულია მისგან ან განმარტოებულია; ვ) რა ტიპის სახელია განსაზღვრებად...

§ 104. ატრიბუტული განსაზღვრება და საზღვრული. ატრიბუტული განსაზღვრება, რომელიც ხმოვნით დაბოლოებული სახელით არის გადმოცემული, პირდაპირი წყობისას საზღვრულს ყველა ბრუნვაში ფუძის სახით ეწყობა: პატარა ბავშვი, პატარა ბავშვმა, პატარა ბავშვს და შემდგომი... თუ გათიშულია ან განმარტობული, ბრუნვის ნიშანს დაირთავს: „მწვანეს ეწვდება ფოთოლსა ხარი ირემი რქიანი“ (ვაჟა).

თანხმოვნით დაბოლოებული სახელით გადმოცემული განსაზღვრება ჩვეულებრივ სრულად ეთანხმება საზღვრულს სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში (მაღალი სახლი, მაღალ-მა სახლ-მა, მაღალ-ო სახლ-ო), ნაწილობრივ—ნათესაობითსა და მოქმედებითში (მაღალი სახლ-ის, მაღალ-ი სახლ-ით), ხოლო ფუძის სახით შეეწყობა მიცემითსა და ვითარებითში (მაღალ სახლ-ს, მაღალ სახლ-ად).

თუ ატრიბუტული განსაზღვრება რამდენიმეა, უახლოესი ფუძის სახითაა შეწყობილი, ხოლო სხვები სრულად ეთანხმებიან საზღვრულ სახელს. მაგალითები: 1. ახალგაზრდას, ლამაზსა და პატროსან ქვრივს მრავალი მთხოვნელი გაუჩნდა (მ. ჯავ.). 2. შეშინებულსა და გაბრუებულ მოწაფეს ცხვირში სისხლი წასკდა (წერ.). 3. საკვირვლად მიყვარს დაბურულს. ხმაგაკმენდილ ტყეში ხის ძირას ჯდომა... (კვა.)

შენიშვნა 1. ფუძის სახით შეწყობა გვხვდება მოთხრობითში, ნათესაობითსა და მოქმედებითშიც (მაღალ სახლმა, მაღალ სახლის, მაღალ სახლით). ასეთი შეწყობა გავრცელებულია (და დასაშვებია) პოეზიაში. ნათესაობითსა და მოქმედებითში დასმულ საზღვრულთან ატრიბუტული განსაზღვრება ზოგჯერ ნათესაობითის სრული ფორმითაც გვხვდება (დიდის სახლის, დიდის სახლით), რაც თანამედროვე ქართულისათვის მიუღებელია.

შენიშვნა 2. სახელობით ბრუნვაში დასმულ „ვით“-თანდებულებიან საზღვრულთან თანხმოვანზე დაბოლოებული განსაზღვრება ფუძის სახით იხმარება: „პავლე ხაფანგში გაბმულ მგელივით ტრიალებდა ზალამოდე და დაჭრილ დათვივით ჰგმინავდა, ღმუოდა, ოხრავდა“ (მ. ჯავ.). ასეთი შეწყობა მიცემითის ანალოგიით აიხსნება: „ხაფანგში გაბმულ მგელსავით“, „დაჭრილ დათვსავით“...

კუთვნილებითი „შენი“, „ჩვენი“, „თქვენი“ რომ არ აირიოს პირის ნაცვალსახელებში, მიცემითსა და ვითარებითში საჭიროებენ ბრუნვის ნიშნის დართვას: ჩვენ-ს ამხანაგს (შენ-ს, თქვენ-ს ამხანაგს) და მისთ.

ზოგიერთი სახელი, ატრიბუტულ განსაზღვრებად გამოყენებული, ნათესაობითსა და მოქმედებითშიც ფუძის სახით ეწყობა საზღვრულს: ამხანაგ ვახტანგის, ამხანაგ ვახტანგით; გაზეთ „კომუნისტის“, გაზეთ „კომუნისტით“...

მეორე ადგილზე დასმული განსაზღვრება (ხმოვნით თუ თანხმოვნით დაბოლოებული) ეთანხმება საზღვრულს ყველა ბრუნვაში: სახლი მაღალი, სახლმა მაღალმა, სახლსა მაღალსა... ბავშვი პატარა, ბავშვმა პატარამ, ბავშვსა პატარას... მაგალითები: 1. ხეზე შემოჭდა ჩ ი ტ ი პ ა ტ ა რ ა (ვაჟა). 2. შეიფრთხილა ჩ ი ტ მ ა პ ა ტ ა რ ა მ. 3. ქალის ქ ვ ი თ ი ნ ს ა მ დ უ ლ ა რ ე ს მ თ ა ნ ი ი წ ე რ ე ნ მ კ ე რ ღ ზ ე ლ ა (ვაჟა). 4. ანაზღად ისმის სიძღერა ი ა დ ო ნ ი ს ა ნ ა ზ ი ს ა (ასათ.). 5. რამ აატირა მოხუცი ეგრე ც რ ე მ ლ ი თ ა ც ხ რ ი თ ა (ვაჟა). 6. იმ ჩვენის ობლის სული კი იქცა პ ე პ ე ლ ა დ კ რ ე ლ ა დ ა (ვაჟა). 7. ჩ ი ტ ო პ ა ტ ა რ ა ვ, იკიკიკე კვლავ ტყბილი ხმითა.

-ებ-იან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან განსაზღვრება მხოლოდობითში დგას: მაღალი სახლები, პატარა ბავშვები. მრავლობითს საკომპენსაციოდ ზოგჯერ ერთი და იმავე ფუძის გაორკვევებით ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით მიღებული რთული სახელი იხმარება. მაგალითები: 1. ლ ა მ ა ზ - ლ ა მ ა ზ ი ბიჭები თოფ-იარაღში სხდებოდნენ (ხალხ.). 2. ერთი დედაკაცი თორნიდან თ ბ ი ლ - თ ბ ი ლ შოთებს ყრიდა (ვაჟა). 3. შემოდგომა მოვიდა წ ი თ ე ლ - ყ ვ ი თ ე ლ ფერებით (ასათ.). 4. წყალზე წ ი თ ე ლ - ყ ვ ი თ ე ლ ი ქაველი ციმციმებდა (მ. ჯავ.).

ნარიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს განსაზღვრება ჩვეულებრივ ეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში (მაღალნი მთანი, მაღალნი მთანი), თანიან მრავლობითში დასმულს (ე. ი. მოთხრობით-მიცემით-ნათესაობითში დასმულს) ფუძის სახით ეწყობა (მაგრამ ეს ფუძე წარმომდგარია თანის ჩამოკვევით): მაღალ მთათა (მიღებულია აქედან: მაღალთა მთათა, რაც იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს კიდევ: „რად აღენთ ცივთა წყაროთა?“ (ვაჟა).

შებრუნებული რიგისას ხუთსავე ბრუნვაშია შეთანხმება: მთანი მალალნი, მთანო მალალნო, მთათა მალალთა.

შებრუნებული რიგისას შესაძლებელია -ებ-იან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან განსაზღვრებაც მრავლობითში დადგეა: მაგალითები: 1. მთებში მალლები, კლდეები, ლალი არაგვი თავადა—მოწყენილია სუყველა, ვხედავ ჩუმადა ტირიან (ვაჟა). 2. მოდიან, მაგრამ მასთან შეხვედრა ვერ გაუბედავთ ქუჩებსს პატარებსს (ასათ.).

პირველი და მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები ინვერსიული წყობისას ორმაგი მიცემითის ფორმით იხმარებიან. მაგალითები: 1. ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა, ვერ უშველიდა ტკივილებს ჩემსას (ასათ.). 2. მე მისთვის დავრჩი, რომ ხსოვნას შენსას სიკვდილის ხელი არ მივაკარო (ნ. ნად.).

შენიშვნა: თანდებულიანი სახელის განსაზღვრება ინვერსიული წყობის დროს თანდებულიანი ხდება: „გაიფრენს გარეთ დამეში ბნელში“ (ვაჟა). თანდებულიანია აგრეთვე თანდებულიანი სახელის განმარტობებული განსაზღვრება: „მარჯვენა ხელში წიგნი ეჭირა, მარცხენაში — რვეულები“.

სავარჯიშო. გადაწერეთ მაგალითები. ატრიბუტულ განსაზღვრებას ერთი ხაზი ვაუსვით, საზღვრულ წევრს — ორი. გამოარკვიეთ, როგორია წყობა, რომელ ბრუნვასა და რიცხვში დგას საზღვრული წევრი, როგორია განსაზღვრება ფუძის დაბოლოების მიხედვით და როგორ შეეწყობა საზღვრულს.

1. პატარა გოგომ ჩაფით წყალა მოარბენინა (კლდ.). 2. მწვანე ფოთლების მაგივრად თოვლი დაჰყინვია ხეებსა (რაზ.). 3. იზარდე, მწვანე ჩეჩილო, დაპურდი, გახდი ყანაო (დავ.). 4. შეშინებულმა ბავშვმა სიმღერა შეწყვიტა (რ. გვ.). 5. ვაჟაკი დაცემულ მტერს ხელს აღარ ახლებს (ლომ.). 6. აჟაკი ნელი ნაბიჯით მადიოდა (რ. გვ.). 7. კლდეებს შავ ზეწრად ქანლი გადაფარებოდა (ვაჟა). 8. ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია? (კვავ.). 9. ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა (კვავ.). 10. შთები... ფიქრს მისცემიან მწარესა (ვაჟა). 11. დალაშობ... წვრილნი ვარსკვლავნი აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა (ვაჟა). 12. შორნი მნათობნი მოკამკამენი იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ (კვავ.). 13. აბოენანო ფრინველნო, ვაჟაკნო ხმლიანნო, დაიწიეთ უკან (ვაჟა). 14. კავკასის მთების წვერთა მალალთა ზედ გადაჰვინა ოქროს ნათელი (კვავ.). 15. მთათ რომ შეხებდა მალალთა, დაიქვიითინა მწარედა (ვაჟა). 16. ბანაკში დარჩენილმა თედომ და მიხამ ჩამომჭადარს და ღრმად ჩაფიქრებულ უცხო კაცს ცერად გადახედეს (მ. ჯავ.). 17. ეს გამომეტყველება თითქოს დიდი ხნის ნაცნობსა და შერეულ საგანს ერთხელ კიდევ დამშვიდებით ათვალაიერებდა (ვაჟა). 18. შედრკა, აკოცა ყვაილებს გაშლილს (ასათ.). 19. იბერიელთა სოფელი... შილალ-შილალი ცხენები... ხალიბის ფოლადს აღნობენ მამაცი ხალიბელები (ასათ.). 20. დროშიონს

ოთხმოცამდე ქალი და კაცი შეიდგენდა (ვაჟა). 21. სამოცამდე ქალსა და კაცს მოუყარა თავი (ვაჟა).

§ 105. მართული განსაზღვრება და საზღვრული. პირდაპირი წყობისას იბრუნვის საზღვრული, განსაზღვრება უცვლელია: აგურის სახლი, აგურის სახლმა, აგურის სახლს...

შებრუნებული რიგით განსაზღვრება მართულ-შეთანხმებულია: მოთხრობითში (სახლმა აგურისამ), მიცემითსა (სახლსა აგურისას) და წოდებითში (სახლო აგურისავ), სახელობითსა და ვითარებითში კი მართულის ფორმითაა (სახლი აგურისა, სახლად აგურისა).

თუ საზღვრული წევრი წარ-თანთან მრავლობითში დგას, განსაზღვრება მართულია ბრუნვაში და შეთანხმებულია ბრუნვასა და რიცხვში სახელობითში (სახლნი აგურისანი), მოთხრობით-მიცემითსა (სახლთა აგურისათა) და წოდებითში (სახლნო აგურისანო), სხვა ბრუნვებში არ იხმარება.

როცა განსაზღვრება რამდენიმეა, უკანასკნელი მართულ-შეთანხმებულია, სხვები ჩვეულებრივ მართულად რჩებიან: „ფოთლებმა მუხისა, არყისა და წიფლისამ“, „ფოთლებს მუხისა, არყისა და წიფლისას“.

თუ განსაზღვრება გათიშულია (მიუხედავად წყობისა) ან განმარტოებული, იგი მართულ-შეთანხმებულია: „საბრალო დედებრისასათაგენი ყანასა მკიანო“ (ხალხ.). „დედაბრისასა“ გათიშული განსაზღვრებაა და ნათესაობით-მიცემითის რთული ფორმით არის წარმოდგენილი: დედაბრ-ისა-სა. გაუთიშავად იქნება: დედაბრის ყანას. „კაკლის ხეები ეზოებში და ხილისანი ბაღებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა“ (ვაჟ.). „ხილისანი“ განმარტოებული განსაზღვრებაა (საზღვრული „ხეები“ გამოტოვებულია), რომელიც მართულია ბრუნვაში, შეთანხმებული — ბრუნვასა და რიცხვში.

მართული განსაზღვრება პირდაპირი წყობისას გაუვრცობელია (აგურის სახლი), შებრუნებული რიგისას — დართვა აუცილებელია (სახლი აგურისა). /

ხშირად მართულ განსაზღვრებას თავის მხრივ ახლავს მართული განსაზღვრება. მაგალითად: „აგურისსახლისსახურავი“, „აგურისსახლისსახურავისფერი“. ნათესაობითში დასმულ სახელებს შორის თითქოს შეთანხმებაა, მაგრამ ეს მოჩვენე-

ბითია: ნამდვილად აქ ყველა სახელი მართულია თავ-თავის საზღვრულის მიერ. ხშირია მართული განსაზღვრება ნათესაობითში თანიანი მრავლობითით: მწერალთა კავშირი, მუშათა კლასი, მეცნიერებათა აკადემია და მისთ.

შენიშვნა 1. მართული განსაზღვრება, რომელიც საზღვრულის წინ დგას უშუალოდ, იშვიათად შეიძლება მართულ-შეთანხმებულის ფორმითაც შეგვხვდეს: „ქედანი დაფრინავს, წმინდა თევდორეს შესთხოვს ოქროსას ბოლოს და ფრთასა“ (ვაჟა).

შენიშვნა 2. მართული განსაზღვრება ინვერსიული წყობისას შეიძლება მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითშიც შეგვხვდეს მხოლოდ მართულის ფორმით, მაგრამ სალიტერატურო ქართულში უპირატესობა შეთანხმებას ეძლევა. მაგალითები: 1. თითქოს ძალებმა ბუნებისა მხოლოდ შენ გიხმეს (ნ. ნად.). 2. გაშლილო მზეო, გავსილო მთვარევ, ლაქლაქა ვარდო წინანდალისა (ასათ.). 3. ...და ჰიკვიკებდა, როგორც ბულბული, სიმღერას ქართლის ბედნიერების (ასათ.). უნდა იყოს: „ძალებმა ბუნებისამ“, „ლაქლაქა ვარდო წინანდლისავ“, „სიმღერას ქართლის ბედნიერებისას“.

სავარჯიშო. გადაიწერეთ მაგალითები. მართულსა თუ მართულ-შეთანხმებულ განსაზღვრებას ერთი ხაზი გაუსვით, საზღვრულს — ორი. აღნიშნეთ, რა ადგილი უკავია განსაზღვრებას საზღვრულის მიმართ და როგორაა შეწყობილი მასთან.

1. მდინარის პირზე ცხვრის ფარა სძოვდა (გოგ.). 2. კაცნი ერთობას მთებისას ვერაფრით დაიწუნებენ (ვაჟა). 3. სისხლისამ მორწყო წვიმამა... (ვაჟა). 4. ხმალს აშველებენ ფარებსა, მტრისას დაიკვრენ ძვირადა (ვაჟა). 5. წყალსა სმენ არაგვისასა ჭიხვნი, ირემნი რქიანნი (ვაჟა). 6. არწივთა მალის მთისათა ნეტავ რად უნდათ მქებარი (ვაჟა). 7. ცა მწყარალი ყინულისასა მიწას ესროლა ზოდებსა (ვაჟა). 8. ხეები, მთები გადავლეს, ნაპრალებს აპყვენ კლდისასა (ვაჟა), 9. შიტომ მშმუნვარებს ვაჟკაცი, ფიქრისას ავებს ყორესა (ვაჟა). 10. თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვი, ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა (ვაჟა). 11. მისი წრისანი ამ სოფელში თითქმის არავინაა (დად.). 12. იქაური სინათლე ილარც მზისასა ჰგვანდა, არც ცეცხლისასა (ვაჟა).

§ 106. განსაზღვრება და უბრალო დამატება ნათესაობითში. ნათესაობითში დამატულ განსაზღვრებასა და უბრალო დამატებას შორის გარეგნული განსხვავება არაა: ერთიცა და მეორეც მართულია ან მართულ-შეთანხმებულო. მაგალითად, ამ წყვილებში: „ამხანაგის წიგნი“, „ამხანაგის წასვლა“, „ამხანაგის წაყვანა“ — სიტყვა

„ამხანაგის“ წინადადების სხვადასხვა წევრია. პირველ წყვილში („ამხანაგის წიგნი“) განსაზღვრებაა, მეორე წყვილში („ამხანაგის წასვლა“) — ქვემდებარისებრი დამატება, მესამეში („ამხანაგის წაყვანა“) — პირდაპირისებრი დამატება. მათ შორის განსხვავებას ქმნის ის, თუ რასთან არის დაკავშირებული მართული თუ მართულ-შეთანხმებული სიტყვა — სახელთან თუ სახელმზნასთან. სახელთან შეწყობისას განსაზღვრებაა, სახელმზნასთან დაკავშირებისას კი — უბრალო დამატება (პირდაპირისებრი ან ქვემდებარისებრი).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. გაღიწერეთ მაგალითები. მართულ განსაზღვრებას ერთი ხაზი გაუსვით, უბრალო დამატებას — ორი. აღნიშნეთ რასთან არის დაკავშირებული უბრალო დამატება და რასთან განსაზღვრება.

1. ირმის მოკვლა მხიარულებას აათეცვბდა (ვაჟა). 2. გადახრილი მზე დარბაზის სარკმელს აღგებოდა (რ. გვ.). 3. ერთხელ შვის შუქი პირდაპირ თვალებში მოადგა ფითრსა (რაზ.). 4. ქარის მოტანის ქარივე წაიღებსო (ანდ.). 5. დედა ნიბლია მოუსვენრად ელოდა ამხანაგის დაბრუნებას (რაზ.). 6. ჭირნახულის მოყვანას ერთგულად მისდევენ (გოგ.). 7. ფრთხილს ძალს პატრონის გარეთ. ვასვლა არ გამოუბარა (ქაე.). 8. მღინარის პირზე ცხერის ფარა ძოვდა (გოგ.). 9. მთვარის შუქის ანარეკლი ოდნე ანათებდა ფარდულს (ქიან.). 10. მოკრიალებულ ცაზე მაისის მზე ბრწყინავდა (რ. გვ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები და გამოარკვიეთ, რა წევრებია და როგორ არიან შეწყობილი წამყვან სიტყვასთან „მთისასა“ და „მტრისას“.

1... წესს ვერ დაარღვევს მთისასა (ვაჟა). 2. რაღა მიქარდა, თუ მტრისას გაჟღერტას გავიგონებდი (ვაჟა).

§ 107. განკერძოებული განსაზღვრება. განსაზღვრება ზოგჯერ პაუზით გამოეყოფა თავის საზღვრულ წევრს და წინადადებაში განკერძოებით დგას მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებიტურტო. მაგალითად, „ამ ტყეში უზარმაზარი ხე იდგა, თვალ-აუწვდენელი“ (ვაჟა). ამ წინადადებაში ქვემდებარეს („ხე“) ორი განსაზღვრება ახლავს: „უზარმაზარი“ და „თვალაუწვდენელი“. ამათგან პირველი („უზარმაზარი“) ჩვეულებრივი ატრიბუტული განსაზღვრებაა, მეორე კი („თვალაუწვდენელი“) — განკერძოებული. ამ შემთხვევაში განკერძოებულ განსაზღვრებას არ ახლავს მიმყოლი სიტყვები, მაგრამ უფრო ხშირად ის გავრცობილია მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებით. მაგალითები: 1. ხალხი, წუთის წინათ სულ განაბულნი, ეხლა მხიარულად ყაყანებდა (ქაე.). 2. კაცი, სიცხისაგან დაოსებულნი, ძლივს სულს იქცევდა (ქაე.). განკერძოებულ განსაზღვრებას პირველ წინადადე-

ბაში („სულგანაბული“) ახლავს დროის გარემოება („წუთის წინათ“), მეორეში („დაოსებული“)— ქვემდებარისებრი დამატება („სიცხისაგან“).

განკერძობული განსაზღვრება უმეტესად მიმღობით არის გადმოცემული (ჩვეულებრივ ვნებითი გვარისა. ნ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები), იშვიათად — ზედსართავი სახელით. მაგალითად. „მალლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი, ს ი ს ხ ლ ი ვ ი თ წ ი თ ე - ლ ი (წერ.).“

განსაზღვრების განკერძობების ძირითადი შემთხვევებია:

1. მიმღობითა და ზედსართავი სახელით გადმოცემული გავრცობილი განსაზღვრება, რომელიც საზღვრული წევრის შემდეგ დგას, განკერძობულია ყოველთვის.

მაგალითები: 1. პეტრე, უ წ ი ნ დ ე ლ ზ ე უ ფ რ ო მ ი ბ ე რ ე - ბ უ ლ ი, ქალაქს მიდიოდა (ქავ.). 2. მოაგონდა კალიას თავისი მწვანე მინდორი, ყ ა ნ ი თ ა და ბ ა ლ ა ხ ი თ ს ა ვ ს ე (რაზ.).

2. საზღვრული წევრის შემდეგ მდგომი ორი ან ორზე მეტი გაუვრცობელი ატრიბუტული განსაზღვრება განკერძობულია, თუ საზღვრულის წინ კიდევ არის ატრიბუტული განსაზღვრება.

მაგალითები: 1. ქორის ბახალები პ ა ტ ა რ ა ქ ო რ ე ბ ი დახდნენ, ა მ ა ყ ი, გ უ ლ ა დ ი და შ ე უ პ ო ვ რ ე ბ ი (რაზ.). 2. თქვენ ნახავთ შიგ პ ა ტ ა რ ა მ ე რ ც ხ ლ ე ბ ს, ლ ა მ ა ზ ე ბ ს და შ ნ ო ი - ნ ე ბ ს (გოგ.).

შენიშვნა: თუ საზღვრულს, რომელსაც წინ აქვს განსაზღვრება, მოსდევს ზედსართავი სახელით გადმოცემული გაუვრცობელი ერთი განსაზღვრება, ის არ განკერძოვდება: „ნელად მოღელავს მოღუღუნე მტკვარი ა ნ კ ა რ ა“ (ბარ.). აქ ორი განსაზღვრებაა: „მოღუღუნე“ და „ანკარა“. პირველი საზღვრულის წინაა, მეორე — შემდეგ. განკერძობებას ადგილი არა აქვს.

3. განსაზღვრება (გავრცობილი თუ გაუვრცობელი) განკერძობულია, როცა ის ახლავს პირის ნაცვალსახელს.

მაგალითები: 1. ფ ე რ მ ი ხ დ ი ლ ი, უ ძ რ ა ვ ა დ გა შ ე შ ე - ბ უ ლ ი, ის უფრო ბოძზე აკრულ უსულდგმულო ცხედარს ჰგავდა (ლომ.). 2. მე, ა მ ი მ ე დ ი თ წ ა ხ ა ლ ი ს ე ბ უ ლ ს, დღედაღამ მეტი არა მეფიქრებოდა (წერ.).

განკერძობული განსაზღვრება ჩვეულებრივ საზღვრულის შემდეგაა, მაგრამ ზოგჯერ უსწრებს მას. საზღვრულის (ნაცვალსა-

ხელის) გამოტოვებისას განკერძოებული განსაზღვრება განმარტოებული ხდება. მაგ., „მასწავლებლის ნაამბობით და ინტერესებულს წიგნის კითხვა კიდევ უფრო შემიყვარდა“.

განკერძოებული განსაზღვრება შეიძლება ახლდეს ქვემდებარეს, პირდაპირ დაშატებას, ირიბ დაშატებასა და შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს, ამიტომ იგი გვხვდება სახელობითში. მოთხრობითსა და მიცემითში.

მაგალითები: 1. კესოს ტახტზე გადაეშალა დახაზული ქალაღი, სხვადასხვა ფერად აქრელებული (კავ.). 2. არყმა, კლდის შუა წელზე მდგომარემ, შეარხია ტოტები (ვაჟა). 3. [ღეღამ] ...თვალი შეასწრო გიორგის, კაკლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს (კავ.). 4. [ქორის ბახალები]... დაფრთიანდნენ და პატარა ქორები დახდნენ, ამაც ი, გულადი და შეუპოვრები (რახ.).

პირველ წინადადებაში განკერძოებული განსაზღვრება პირდაპირ დამატებას ახლავს („ქალაღი“), მეორეში — ქვემდებარეს („არყმა“), მესამეში — ირიბ დამატებას („გიორგის“), მეოთხეში — შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს („ქორები“).

განკერძოებული განსაზღვრებები ერთმანეთთან შეიძლება პაპირისპირებელი კავშირითაც იქნენ შეერთებული: „თოლისქვამი ხომ, თავის ბედს დამორჩილებული, მაგრამ თავისი მომავლით მაინც გზაგაუგნებელი, თუ ნექტარინა არ უბრძანებდა, მაინც მარტოდ იყო (დაღ.).

ხშირად შესაძლებელია, რომ საზღვრულის შემდეგ მდგომ განკერძოებულ განსაზღვრებას ადგილი შეეუცვალოთ და ჩვეულებრივ განსაზღვრებად ვაქციოთ: „კესოს ტახტზე გადაეშალა დახაზული, სხვადასხვა ფერად აქრელებული ქალაღი“; განკერძოებული განსაზღვრება საზღვრულს ყოველთვის სრულად ეთანხმება ბრუნვაში, ხშირად რიცხვშიც.

მაგალითები: 1. შეურმეები, ქანცგაწყვეტილნი სიციხისაგან, გულადმა გაშოტილიყვნენ კონკილაზე აყენებულ ურმებს ქვეშ (კავ.). 2. ბაცაყებმაც, ტოტების მხრივ ლაღლაზე სანილოზე გამოსულებმა, წყალში ჩქაღა-ჩქლუღი გაიღეს და ხმა გაკმინდეს (ვაჟა). 3. ყუავილის კოკრებს, ახლად გამონასკულებს, ოღნავ გადაეხაღათ მწვანე პირბაღე (ყახ.).

მძიმის ხმალება განკერძოებულ განსაზღვრებასთან შემდეგ წესებს ემყარება:

1. განკერძოებული განსაზღვრება, რომელიც წინადადების თავშია, თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ წინადადებისაგან მძიმით გამოიყოფა: „მ უ ყ ა ი თ ი ს ხ ე ლ ი თ გ ა მ ა რ გ ლ ი ლ ი, სავესე იყ ო ის მწვანილეულითა“ (ლომ.).

2. განკერძოებული განსაზღვრება, რომელიც წინადადების ბოლოშია, თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ წინადადებისაგან მძიმით გამოიყოფა: „ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, ო თ ხ კ უ თ ხ ი ვ ლ ი ა და ფ ა რ ლ ა ლ ა ლ ა“ (კავ.).

3. განკერძოებული განსაზღვრება, რომელიც წინადადების შიგნით არის მოქცეული, თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა: „წყალნი, მ თ ი თ და ქ ა ნ ე ბ უ ლ ნ ი, აღმასებრ უფსკრულს ცვივიან“ (გრ. ორბ.). „ნისლნი, და დ ლ ი ლ ნ ი ც უ რ ვ ი თ ა, მთის ყურეთ მიმალულიყენენ“ (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. დაუსვით სასვენი ნიშნები. განკერძოებულ განსაზღვრებას მიმყოლი სიტყვებითურთ ხაზი გაუსვით.

ა) 1. მეტი ქაერისაგან ხმა-გაკმენდილი იგი მოაჭდა ცხენს (კლდ.). 2. ასე გაჩუმებული სულ-გაკმენდილი ის დარჩა რამდენიმე ხანს (ყაზ.). 3. სახე-წამოწითლებული თვალბ-ამღვრეული იგი შეჩერდა ერთ ადგილას და აქეთ-იქით იტყირებოდა (კლდ.).

ბ) 1. შენი ამბავი ესლა მართალი ზღაპრად მიუვა ჩვენს შეილოშვილებს (კავ.). 2. ნაცარი წერილ დადარში არეული მალა მტვრად ავარდა (ყაზ.). 3. ფრინველნი ჯერ კიდევ ძილით მოცულნი დღის მოლოდინით კრთებოდნენ (ყაზ.). 4. იგი თავბირჩამომტვრეული ბუხრის თავზე ჰკიდია (ვაჟა).

გ) 1. უფრო მეტად შეიყვარა ვანომ ერთი ბელურა ჩიტი სხვებზე უფრო ცქეიტი მარდი ქოჩორა და ლამაზი (გოგ.). 2. ერთი ციხე მედგა მტერთაგან შეუუვალი (საბა). 3. გვადას წინ ბრიგადირი ზოსიმე იდგა ცალგვერდით მისკენ მობრუნებული (ქიაჩ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. წაიკითხეთ თქვენ მიერ გადაწერილი მაგალითები და გამოარკვიეთ, რომელ წინადადების წევრს ახლავს განკერძოებულ განსაზღვრება და რა სინტაქსურ ურთიერთობაშია მასთან.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 3. ჩვეულებრივი განსაზღვრება გადააქციეთ განკერძოებულ განსაზღვრებად და მაგალითები ისე გადაიწერეთ. დაუსვით სასვენი ნიშნები.

1. ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ერეკლემ თავის ლაშქარს ნადიმი გაუმართა (ვაჟა). 2. მთებიდან ჩამონადენი წყლები წუთზე ნიაღვრებად გადაიქცნენ (ყაზ.). 3. შიმშილით შეწუხებული მგლები ღმუროდნენ (რაზ.). 4. ჯაფისაგან დაღლილი ფუტკარი წყალში ჩავარდა და იხრჩობოდა (გოგ.).

პრედიკატული განსაზღვრება

§ 108. პრედიკატული განსაზღვრების რაობა. პრედიკატული ანუ შემასმენლური განსაზღვრება ჰქვია წინადადების მეორეხარისხოვან წევრს, რომელიც ზმნა-შემასმენლთან არის დაკავშირებული და საგანს ახასიათებს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების მომენტთან მიმართებით. ასეთი განსაზღვრება ჩვეულებრივ აღნიშნავს არა საგნის მუდმივ ან რამდენადმე ხანგრძლივად დამახასიათებელ ნიშანს, არამედ მომენტურს, ე. ი. ისეთს, რომელიც საგნისათვის დამახასიათებელია ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების პროცესში. მაგალითები: 1. ილია გახარებულად გამოვიდა გარეთ (რ. გვ.). 2. ლუარსაბი გაშტერებულ იდგა (ჟავ.). 3. ლევანი გაყუჩებულ იქდა (ყლდ.). 4. პატარა ქალი აღტაცებულ იქდა (რახ.). „გახარებული“, „გაშტერებული“, „გაყუჩებული“ და „აღტაცებული“ — ყველა პრედიკატული განსაზღვრებაა. მოცემული წინადადებები რომ დავწყვილოთ, მივიღებთ: I. ილია გამოვიდა, გახარებულად გამოვიდა, გამოვიდა გარეთ; II. ლუარსაბი იდგა, გაშტერებულ იდგა; III. ლევანი იქდა, გაყუჩებულ იქდა; VI. პატარა ქალი, ქალი შესტყეროდა, აღტაცებულ იქდა. როგორც ვხედავთ, პრედიკატული განსაზღვრება წყვილში ზმნასთან შედის და აღნიშნავს ისეთ ნიშანს, რომელიც საგნისათვის დამახასიათებელია მაშინ, როცა ხდება ზმნით გამოხატული მოქმედება. ასე, მაგალითად, როცა ვამბობთ — „ილია გახარებულ იქდა გამოვიდა გარეთ“, — აქ „გახარებული“ იმას ნიშნავს, რომ ილია „გამოვიდა“ ზმნით გადმოცემული მოქმედების შესრულების დროს იყო გახარებულ ი, ე. ი. მაშინ, როცა ის გარეთ გამოვიდა. შევადაროთ ერთმანეთს: „გახარებულ იქდა გამოვიდა გარეთ“ და „ილია გახარებულ იქდა გამოვიდა“. პირველ შემთხვევაში „გახარებული“ ატრიბუტული განსაზღვრებაა, სახელთან შედის წყვილის ცალად („გახარებული ილია“) და აღნიშნავს საგნის რამდენადმე ხანგრძლივ ნიშანთფისებას, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე „გახარებული“ ზმნას უკავშირდება („გახარებული გამოვიდა“) და პრედიკატული განსაზღვრებაა, ე. ი. აღნიშნავს საგნის ნიშანს, რომელიც მას (საგანს) ახასიათებს მხოლოდ ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების დროს.

ზემოთ დასახელებულ მაგალითებში პრედიკატული განსაზღვრება („გახარებული“, „გაშტერებული“, „გაყუჩებული“, „აღტაცებული“) ქვენდებარეს განსაზღვრავს, მაგრამ იგი შეიძლება ახლდეს დამატებასაც (პირდაპირსა და ირიბს). მაგალითები: 1. ის კაცი ისევ-ისე მწოლარე დაეინახე (ქავ.). 2. გუტატემ ხელში ატატებულ მიბგვარა შველი ნექტარინას (დად.). 3. ...ონისეს ცოცხალს ველარ ნახავდა (ყაზ.) 4. კოდალას ფულუროში მჯდომარეს წავაწყდი (ეაქა). „მწოლარე“, „ატატებული“ და „ცოცხალს“ პირდაპირი დამატების პრედიკატული განსაზღვრებებია, ხოლო „მჯდომარეს“ — ირიბსა.

პრედიკატული განსაზღვრება სხვადასხვა იერს ატარებს. იგი შეიძლება ისეთ ნიშანს გამოხატავდეს, რომელიც საგანს გაუჩნდება მოქმედების მომენტში, მაგრამ საერთოდ მისთვის ეს დამახასიათებელი არაა. მაგალითები: 1. ნიბლია სულ განაბული შესცქეროდა ალაღს (რაზ.). 2. უფრო გამაღებული წავიდა პეტრე ავლაბრის ბაყებისაკენ (ქავ.).

პრედიკატული განსაზღვრება ზოგჯერ ისეთ ნიშანსაც გამოხატავს, რომელიც საგანს მუდმივ ან დროის ხანგრძლივ მონაკვეთში ახასიათებს, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალური და შესამჩნევია (თუ ყურადღება გასამახვილებელი) ხდება ზმნით გადმოცემული მოქმედების განხორციელების მომენტში. მაგალითი: მაღალა და თვალტანადი იდგა იგი მთისკაცის წინ (ქიაჩ.).

მიუხედავად ამა თუ იმ იერისა, პრედიკატული განსაზღვრებისა და შემასმენლის ურთიერთობის ყველა შემთხვევისათვის საერთოა ის, რომ კავშირი მათ შორის მხოლოდ დროებითია.

სავარჯიშო. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა შემთხვევაში რა წევრს განსაზღვრავს პრედიკატული განსაზღვრება.

1. მტკვარი ადიდებული მოდიოდა (გოგ.). 2. თოვლიდან იქდა დაფიქრებული (რ. გვ.). 3. ბუხარი გაძლიერებული დაგვიხვდა (ვედ.). 4. მონადირე დილით ხელცარიელი დაბრუნდა სახლში (გოგ.). 5. სიდერმან მოიხედა, სიძე დავარდნული ნახა (საბა). 6. ჰაბუკობაში თავისი მომავალი გაიცისკროვნებული წარმოედგინა (ს. კლდ.). 7. ...ცხენს გამოკეთებულს დაგახედრებს დარიკო (კლდ.). 8. ვუპასუხე მე გულამოქდარმა (ქავ.). 9. შეშფოთებულს ხედავდა დედაბერი იპოლიტეს და ამშვიდებდა (ს. კლდ.). 10. გარიელამ მხრებგაშლილმა ერთი შეინავარდა... (რაზ.).

§ 109. პრედიკატული განსაზღვრების გადმოცემა. პრედიკატული განსაზღვრება ჩვეულებრივ ვნებითი ან საშუალო გვარის მიმღე-

ობით არის გადმოცემული, იშვიათად — სახელითაც. ვნებითი გვარის მიმღეობათაგან უმეტესად „ულ“ და „ილ“ სუფიქსებით ნაწარმოები წარსულ-დროიანი ფორმები იხმარება, ხოლო სხვაგვარი წარმოებისა შედარებით იშვიათად გვხვდება. მაგალითები: 1. ჭაბუჯი გ ა რ ი ნ დ ე ბ უ ლ ი იჭდა (რ. გვ.). 2. პავლე წ ა მ ო წ ო ლ ი ლ ი ოცნებობდა (გაბ.). 3. ეფემია გ ა უ ხ დ ე ლ ი მიწვა (რ. გვ.). 4. დათვი მეორე დღეს შუადღემდე სოფლის შუა მოედანზე გასატყავებელი ეგდო (ვაჟა). 5. ის კაცი ისევ-ისე მ წ ო ლ ა რ ე დავინახე (ვაჟა). 6. დოდონა ნ ა ღ ლ ი ა ნ ი იღვა შოფერის კაბინასთან (ს. კლდ.). 7. თეკლიასაც უ ვ ა ხ შ მ ო ს დაეძინა (რან.). 8. ბეჟია პ ი რ ვ ე ლ ი მოვიდა გონს (ყაზ.). პრედიკატულ განსაზღვრებად პირველ ხუთ მაგალითში მიმღეობაა, დანარჩენებში — სახელები (მეექვსესა და მეშვიდეში ზედსართავი, მერვეში — რიგობითი რიცხვითი სახელი). ამასთანავე პირველ სამ მაგალითში ენებითი გვარის წარსულ-დროიანი მიმღეობის ფორმებია (პირველ ორში — წართქმითი: „გარინდებული“, „წამოწოლილი“, მესამეში — უკუთქმითი: „გაუხდელი“), მეოთხეში — მომავალ-დროიანი („გასატყავებელი“), ხოლო მეხუთეში პრედიკატული განსაზღვრება საშუალო გვარის მიმღეობით არის გადმოცემული („მწოლარე“).

ხშირია პრედიკატულ განსაზღვრებად ისეთი რთული სიტყვა რომელშიაც ერთი და იმავე ან სხვადასხვა ტიპის სიტყვებია გაერთიანებული. მაგალითად:

1. პრედიკატული განსაზღვრება გადმოცემულია ტოლად — შერწყმული რთული სიტყვებით: 1. მუცელა მ შ ი ე რ - მ წ ყ უ რ ე ა ლ ი შესჩერებოდა იმათ. (ვაჟა). 2. ...ტყიანი მთა გ ა შ ე შ ე ბ უ ლ - გ ა რ ი ნ დ ე ბ უ ლ ი გამოიყურება (ლომ.). 3. გიორგი ც ო ც ხ ა ლ - მ კ ვ დ ა რ ი ნახეს... (ვაჟ.).

2. პრედიკატულ განსაზღვრებად სხვადასხვა ტიპის სიტყვების შეერთებით მიღებული რთული სიტყვაა: 1. თ ვ ა ლ ც რ ე მ ლ ი ა ნ ი უ ჩ ვ ე ნ ე ბ და ბავშვი ჩემზე (ვაჟა). 2. გიორგი თ ა ვ ჩ ა ლ უ ნ უ ლ ი იღვა (ლომ.). 3. ონოფრე იღვა გ უ ლ ხ ე ლ დ ა კ რ ე ფ ი ლ ი (ყაზ.). „თვალცრემლიანი“, „თავჩაღუნული“ და „გულახელდაკრეფილი“ — სამივე პრედიკატული განსაზღვრებაა. ამათაგან პირველში არსებითი და ზედსართავია გაერთიანებული („თვალ-ცრემლიანი“), მეორეში — არსებითი და მიმღეობა („თავ-ჩაღუნული“), ხოლო მესამეში სამი სიტყვაა შეერთებული

(„გულ(ს)-ხელ-დაკრეფილი“), რომელთაგანაც მესამე („დაკრეფილი“) მიმღეობაა.

ს ა ვ ა რ ჩ ი შ ო . წააკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რით არის გადმოცემული პრედიკატული განსაზღვრება.

1. ტორილა გაბრუებული იქდა (ვაჟა). 2. ბიძაჩემი დაღვრემილი ჩიბუხს აბოლებდა (რაზ.). 3. ჭექა — გაეარდა თოფი და კურღლევი იქვე მკვდარი გაგორდა (გოგ.). 4. ...მეცხვარე მინდორში მძინარე იპოვნეს (ვაჟა). 5. ვანე ტანგაუხდელი დაწვა ლოგინზე (რაზ.). 6. თვითონაც შეწუხებულ-გაბრაზებულნი დახტოდა და ჰყიოდა (რაზ.). 7. მწვევარმა დაიყვირა და ტუნისისლიანი გამოვარდა გარეთ (ვაჟა). 8. ის პირმოკეშული იქდა (ვაჟა). 9. ირემი ზურგზე რქებგადადებული გარბოდა (ვაჟა).

§ 110. პრედიკატული განსაზღვრების მიმართება განსაზღვრებასა და ვითარების გარემოებასთან. პრედიკატული განსაზღვრება, საზოგადოდ, ორმაგი სინტაქსური ბუნებისაა: ერთდროულად ახასიათებს საგანსაც და საგნის მოქმედების პროცესსაც. ამის გამო იგი, ერთი მხრით, ქვემდებარესა თუ დამატება-ობიექტთან არის დაკავშირებული, ხოლო, მეორე მხრით, ზმნასთან. პირველისა გამო იგი განსაზღვრებას ეკედლება, ხოლო მეორისა გამო ვითარების გარემოებას უახლოვდება. მაგრამ ამ მხრივ ყოველთვის ერთნაირი ვითარება არ არის: პრედიკატულ განსაზღვრებაში ზოგჯერ ერთ-ერთი მომენტი სჭარბობს, ზოგჯერ კი ორივე მხარე თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი. მაგალითად: „იგი პ ა ტ ა რ ა დ ა - ო ბ ლ დ ა , დ ა რ ა ო უ მ წ ე ო , ბ ე რ ა ვ ი“ (ვაჟა). „პატარა“, რომელიც ზედსართავი სახელით გადმოცემული პრედიკატული განსაზღვრებაა, ახლოს დგას ატრიბუტულ განსაზღვრებასთან. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: „ის [ავადმყოფი] თ ვ ა ლ ე ბ დ ა ჰ ყ ე ტ ი ლ ი , გ ა ყ ვ ი თ ლ ე ბ უ ლ ი დ ა გ ა შ ტ ე რ ე ბ უ ლ ი ი წ ვ ა“ (ლომ.). აქ სამი პრედიკატული განსაზღვრებაა, რომელთაგანაც „გაყვითლებულში“ უფრო მეტად არის განსაზღვრებასთან სიახლოვის მომენტი, ვიდრე ორ დანარჩენში. ასეთი სიახლოვით აიხსნება, რომ ზოგჯერ ძნელდება კიდევ გარკვევა იმისა, თუ რასთან გვაქვს საქმე — ატრიბუტულ თუ პრედიკატულ განსაზღვრებასთან. ასეთი სიძნელე განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როცა განსაზღვრება ვნებითი გვარის მიმღეობით არის გადმოცემული და იგი მოქცეულია ქვემდებარესა და შემასმენელს შორის. მაგალითად: „ჯავარა გ ა კ ვ ი რ - ვ ე ბ უ ლ ი დ ა გ ა შ ტ ე რ ე ბ უ ლ ი შესაჩერებოდა დარეჯანს“

(ვაჟა). „გაკვირვებული“ და „გაშტერებული“ — ორივე პრედიკატული განსაზღვრებაა, მაგრამ თუ მათ წინადადებისაგან ინტონაციურად გამოვაცალკევებთ და ამის შესაბამისად წერის ღროს მძიმეებით გამოვყოფთ, — მაშინ ზმნასთან გაწყვეტენ კავშირს და განკერძოებული განსაზღვრებები გახდებიან. მაგალითად: „ჯავარა, გაკვირვებული და გაშტერებული, შესჩერებოდა დარეჯანს“. ასევე, სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციისაა მიმღეობის ფორმა შემდეგ მაგალითებში: „მე, შეშინებული, დავბრუნდი შინ“ და „მე შეშინებული დავბრუნდი შინ“. პირველ შემთხვევაში „შეშინებული“ განკერძოებული განსაზღვრებაა, მეორეში — პრედიკატული.

პრედიკატულსა და განკერძოებულ განსაზღვრებებს შორის შესაბამისობა სხვა მხრივაც არის: ერთიცა და მეორეც შეიძლება ახლდეს ქვემდებარესა და დამატებას (პირდაპირსა და ირიბს). და ანგარიშს უწევენ მათ ბრუნვასა და რიცხვში (ნ. §§ 107, 112, 113). ამასთანავე, ატრიბუტული განსაზღვრება, ზედსართავი სახელითა თუ მიმღეობით გადმოცემული, პირის ნაცვალსახელებთან არა გვაქვს. პრედიკატული და განკერძოებული განსაზღვრება კი იხმარება მაშინაც. როცა ქვემდებარე თუ დამატება (პირდაპირი თუ ირიბი) პირის ნაცვალსახელებით არის გადმოცემული. მაგალითები: 1. მე სულგანაბული ყურს ვუგდებდი (ვაჟა). 2. ის პირმოკეთული იჯდა (ვაჟა). 3. იმან ხელცარიელმან ვერ გაბედა შებრძოლება და გაიქცა (ლომ.). 4. ის რომ აფრენილი დაინახა, პირველიც აფრინდა (რაზ.). პირის ნაცვალსახელები, რომლებთანაც პრედიკატული განსაზღვრებებია დაკავშირებული, პირველ სამ მაგალითში ქვემდებარეებია („მე“, „იმან“, „ის“), მეოთხეში — პირდაპირი დამატება.

ნიშანი, რომელიც ქვემდებარეს ეკუთვნის, ხშირად ეკუთვნის ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედებასაც, ე. ი. ოგი წარმოადგენს როგორც ქვემდებარის, ისე ქვემდებარის მოქმედების ნიშანსაც. ასეთ შემთხვევებში პრედიკატული განსაზღვრება ძალიან ახლოს დგას ვითარების გარემოებასთან, ისე ახლოს, რომ ვითარების გარემოების კითხვასაც კი იგუეებს. ასე, მაგალითად, წინადადებაში: „ყაფლანი გაოცებული უცქეროდა თეოს“ (რ. გვ.) — „გაოცებული“ ახასიათებს როგორც ქვემდებარეს („თეოს რომ უცქეროდა, მაშინ იყო ყაფლანი გაოცებული“), ისე ქვემდებარე-

მოქმედებასაც („ყაფლანი გ ა რ ც ე ბ ი თ უცქეროდა თეოს“). მეორე მომენტი აქ ისე ძლიერად არის წარმოდგენილი, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ მიმღეობას ვითარების გარემოებას კითხვაც კი დაესმის: „როგორ უცქეროდა ყაფლანი თეოს?“

პრედიკატული განსაზღვრებისა და ვითარების გარემოების ასეთი სიახლოვით აიხსნება, რომ ისინი ზოგჯერ ერთი ოდენობის სინტაქსურ ერთეულებადაც კი არიან წარმოდგენილი. მაგალითები: 1. ის მილიოდა წყნარად და დაფიქრებულთი (ყაზ.). 2. ელუჯა... წყნარად, ჩუმიად და პირმოკუმული იქურვებოდა (ყაზ.). 3. შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვდება (ქავ.). 4. სოფელში... წელგაშლილი და თამამად გამოვივლიდი ხოლმე... (გოგ.). 5. ზიხარ თავდახრით და მოწყენილი (კ. ნად.). პრედიკატული განსაზღვრებები („დაფიქრებული“, „პარმოკუმული“, „შეუნდობარს“, „წელგაშლილი“ და „მოწყენილი“) დასახელებულ მაგალითებში ვითარების გარემოებასთან მაჭგუფებელი კავშირით („და“) არიან შეერთებული, მაგრამ ზოგჯერ ისინი უკავშიროდ არიან წარმოდგენილი და ერთმანეთს გამოეყოფიან ზეპირმეტყველებაში პაუზით, ხოლო წერის დროს იძიმით. მაგალითები: 1. ფეხშეუხრელად, მკვიდრად, პირდალმეჭილო, მრისხანე დვას კლდე (ვაჟა). ის მილიოდა წყნარად, დაფიქრებულთი (ყაზ.). 3. ირმა უხმოდ, წელმოწყვეტილი გაჰყვა ბიძას (რ. გვ.). „პირდალმეჭილი“, „მრისხანე“, „დაფიქრებული“ და „წელმოწყვეტილი“ პრედიკატული განსაზღვრებებია, რომლებიც ვითარების გარემოებასთან უკავშიროდ არიან შეერთებული.

მსგავსი ვითარება გვაქვს იშვიათად რთულ წინადადებაშიც. მაგალითი: „ხალხი თავდაკიდებით, მორჩილად ისმენდა ამ სიტყვებს, საბაკი დაჩოქილი იდგა... (ვაჟა). ვითარების გარემოება („თავდაკიდებით“, „მორჩილად“) და პრედიკატული განსაზღვრება („დაჩოქილი“) რთული წინადადების ნაწილებში ერთმანეთის ბაღლად არიან წარმოდგენილი დასაპირისპირებლად.

მიუხედავად იმისა, რომ დასახელებულ მაგალითებში პრედიკატული განსაზღვრება ვითარების გარემოებას ერწყმის ან მის ბაღლად არის წარმოდგენილი, იგი განსხვავებულ მნიშვნელობას მიანიც

ინარჩუნებს. მაგალითად, წინადადებაში: „ის მიდიოდა წყნარად და დაფიქრებულად“ (ყაზ.) — ერთმანეთს რომ შევადაროთ „წყნარად“ და „დაფიქრებული“, განსხვავებას ადვილად შევნიშნავთ: ვითარების გარემოება („წყნარად“) ახასიათებს ზმნით („მიდიოდა“) გამოხატული მოქმედების პროცესს, პრედიკატული განსაზღვრება („დაფიქრებული“) კი მოქმედების პროცესსაც („დაფიქრებით მიდიოდა“) და მოქმედ საგანსაც, ე. ი. ქვემდებარეს („ის დაფიქრებულად იყო, როცა მიდიოდა“). ამიტომ ამ ორი წევრის ერთმანეთთან გათანაბრება, საზოგადოდ, სტილისტიკურად გაუმართლებელია და ამდენად სრულიად მიუღებელიცაა. მაგალითად, წინადადებაში: „— შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვდები“ (ქავ.) — უმჯობესია ვითარების გარემოებაც პრედიკატულ განსაზღვრებად იქნეს წარმოდგენილი და წინადადება ასე გაიმართოს: „— შემომფიცე, რომ ისე უზიარებელს და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვდები“.

შენიშვნა 1. ზოგჯერ ნათლად არა ჩანს, მიმღეობის ფორმა ატრიბუტულ განსაზღვრებად უნდა იქნეს გაგებული თუ პრედიკატულად. მაგალითი: „— სოსიკა, ზაქარა, ბერუა, თედუა! — ყვიროდა გაბრაზებულ სარდიონი“ (ვაჟა). რა იგულისხმება აქ — „გაბრაზებულ სარდიონი ყვიროდა“ თუ „გაბრაზებული ყვიროდა სარდიონი?“ თითქოს პირველი, ე. ი. „გაბრაზებული“ ქვემდებარის ატრიბუტული განსაზღვრება ჩანს. თუ ასე გავიგებთ, მაშინ იგი ინტონაციურად ქვემდებარეს განეკუთვნება. მაგრამ თუ მიმღეობას ქვემდებარისაგან პაუზით გამოვყოფთ და ინტონაციურად ზმნას დაუწყავშირებთ, მაშინ იგი პრედიკატული განსაზღვრების მნიშვნელობით აღიქურვება.

შენიშვნა 2. პრედიკატული განსაზღვრება უნდა გარჩეულ იქნეს შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილისაგან. შედგენილ შემასმენელში ზმნა მეშველია, ე. ი. არაა დამოუკიდებელი და სახელადი ნაწილის გარეშე შემასმენელს ვერ გამოხატავს: პრედიკატულ განსაზღვრებასთან ზმნა დამოუკიდებელია, ე. ი. შემასმენელია. შევეუპირისპიროთ ერთმანეთს შემდეგი წინადადებები: „მე გარინდებული ვიყავ“ (ქავ.) და „ჭაბუკი გარინდებულად იჯდა“ (რ. გვ.). „გარინდებული ვიყავ“ შედგენილი შემასმენელია, მაშასადამე, „გარინდებული“ აქ სახელადი ნაწილია,

„ვიყავ“ — მეშველი ზმნა. მეორე წინადადებაში „გარინდებული“ პრედიკატული განსაზღვრებაა, „იქდა“ — მარტივი შემასმენელი. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადებები: „ონისეს თავი დახრილი ჰქონდა (ყაზ.) და „თეოფილე თავდახრილი მიუახლოვდა მათ“ (რ. გვ.). „დახრილი“ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია, ხოლო „თავდახრილი“ პრედიკატული განსაზღვრებაა.

სავარჯიშო წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები და გამოარკვეეთ, ერთნაირ სიტყვათაგან რომელი რად უნდა გავიგოთ.

1. ა) ეს ძალი იხევ ცოცხალი ყოფილა (ლომ).
ბ) [ქორს] იხვი ეგრევე ცოცხალი ეყრა (საბა).
გ) დედამ გუშინ ცოცხალი ქათამი იყიდა.
2. ა) სულგანაბული ბულბული ფოთლებში მიმალულიყო (წერა).
ბ) ბავშვები სულგანაბული უსმენდნენ მას (რ. გვ.).
გ) იგი ისე იყო სულგანაბული, რომ ბუზის გაფრენის ხმაც კი ესმოდა.
3. ა) მონადირე დილით ხელცარიელ დაბრუნდა სახლში (გოგ.).
ბ) ხელცარიელი მონადირე სახლში დილით დაბრუნდა.
გ) მე გარკვევით დავინახე, რომ მონადირე ხელცარიელი იყო.
4. ა) დაღლილი კაცი ხის ჩრდილში ისვენებდა.
ბ) ივანე მუშაობისაგან დაღლილი ყოფილიყო.
გ) აგი სკოლიდან დაღლილი დაბრუნდა.
5. ა) შეილის კარგი სწავლით მშობლები გახარებულნი არიან.
ბ) გახარებული ბავშვი შინ გაიქცა.
გ) ბავშვი შინ გახარებული გაიქცა.
6. ა) ხიდან გაყვითლებული ფოთლები ცვიოდა.
ბ) იგი გაყვითლებული იდგა ჩემ წინ.
გ) ზამთრის პირზე ხეს ფოთლები გაყვითლებული აქვს.

§ 111. ზმნები, რომელთაც ახლავს პრედიკატული განსაზღვრება. პრედიკატული განსაზღვრება შეიძლება ახლდეს როგორც გარდაუვალ (ერთ-და ორპირიან), ისე გარდამავალ (ორ-და სამპირიან) ზმნასაც. მაგრამ უფრო ხშირად იგი ისეთ ზმნებთან გვხვდება, რომლებიც მდგომარეობას ან მოძრაობას გამოხატავენ, ან კიდევ მხედველობასთან, სმენასა და მეტყველებასთან არიან დაკავშირებული. ზმნის ფორმები უმეტესად წარსული დროისაა, უფრო იშვიათად — აწმყო-მომავლისა.

მაგალითები: 1. ღრუბელაშვილი თავჩაღუნული იდგა (ლომ). 2. ის პირმოკუმული იქდა (ვაჟა). 3. ბავშვებიც სულგანაბულნი იხსდნენ (ლომ). 4. ილია გახარებული გამოვიდა გარეთ (რ. გვ.). 5. კურდღელი გ-

ძლიერებულ იგარბოდა (ვაჟა). 6. საწყალი დედა ნიბლია
გაჩარებულ მოფრინდა თავის შვილებთან (რაზ.). 7. დარეჩანი თავგადაღლეჯილი გაიქცა მწყემსის მისაშველებლად (ვაჟა). 8. წუნუ თავდაღუნული გამობრუნდა (ყაზ.). 9. ონისე დაღონებული შეჰყურებდა (ყაზ.). 10. ნიბლია სულგანაბული შესცქეროდა ალაღს (რაზ.). 11. მუცელა მშიერ-მწყურვალ შიშხერებოდა ომათ (ვაჟა). 12. ყველა სულგანაბულთ უსმენდა (ჯაფ.) 13. შვილი სულგანაბული ყურს უგდებდა დედას (ვაჟა). 14. ბუღბული თვალდაბუქული გალობს მუღამ (ვაჟა). 15. დაბლა მდინარე ღრიალებდა გაბრაზებულ (ვაჟა).

სავარჯიშო. წაითხეთ ქვემოთ მოყვანილ მაგალითები და გამოარკვიეთ, როგორ ზმნასთან არის დაკავშირებული პრედიკატული განსაზღვრება.

1. ხალხი სულგანაბული იღგა (ლომ.).
2. პირმოკუმული ოქლა ბებერი (ვაჟა).
3. მტკვარი აღიდებული მოდიოდა (გოგ.).
4. მარინე გაღლებული დაბრუნდა სახლში (ვაჟა).
5. ხალხი სულგანაბული ყურს უგდებდა იმის ლაპარაკს (ყაზ.).
7. ისიც გაკვირებული შემომქცეროდა (ჯაფ.).
8. ჩემი მფრიკა გაკვირებული შემომჩერებოდა (ვაჟა).
9. დაღონებული იწვა უღბურს ტყეში (ვაჟა).
10. ირემი ზურგზე რქებგადაგდებული გარბოდა (ვაჟა).
11. მუცელა გულღმა ეგღო გაშხლართული (ვაჟა).
12. ოქროპირი თავდახრილი უსმენდა თეოფილეს (რ. გვ.).
13. ...ფრინველი მხრებშეკუმშული დაეცა მას თავზე (ვაჟა).
14. დიამბეგი გაფხორილი ხეივნის ქვეშ დასეირნობდა (ვაჟა).
15. [ბეჟეი] გაჩუმებული მოელოდა მოხუცის სიტყვას (ყაზ.).
16. კული ცოფიანს შეშასავით გაშვირლი უქირავს (რაზ.).
17. ყაფღანი გააღმასებული წამოღგა (რ. გვ.).
18. წითელარმიელი თავჩაქინდრული განაგრძობდა გზას (რ. გვ.).
19. სიყრმის მეგობრები ხელბეგაშლილი გაექანენ ერთმანეთისაკენ (რ. გვ.).
20. ბატანიც უკან მისდევდა დაფეთებული (რაზ.).
21. ...თაყარაყს თვალდახუქული სვამდა (რ. გვ.).
22. ის გაშურებული მიფრინავდა თავის მხსნელთან (რაზ.).
23. კესო გულშეწუნებული გაიშხლართა იატაკზე (რ. გვ.).
24. ...მტკვარი აზვირთებული მოქუნდა (გოგ.).
25. დეღამ რომ დამინახა, გახარებული გამოიქცა ჩემკენ (ლომ.).
26. ...გაღმებული იბრძოდა (ლომ.).
27. პავლე წამოწოლილი ოცნებობდა (გაბ.).
28. ...გახლებული ეძებდა გაფრენილი მტრედის გზა და კვალს (ლომ.).
29. დროგამოშვებით სულგანაბული დასრიალებდა ცელქი ნიავი (ლომ.).
30. მამალი გახარებული სცემდა ნისკარტს პურის მარცვლებს (ვედ.).
31. თვითონაც შეწუნებულ-გაბრაზებული დახტოდა და კვიოდა (რაზ.).
32. ის გამალებული უგებდა თავის კაკანათს (ვედ.).
33. მეწისქვილე თავგადაღლეჯილი ტრიალებს (ვაჟა).
34. გაფითრებული მივევარი პორფისს (ყაზ.).
35. ონოფრე... გაცხარებული მუშაობდა (ყაზ.).
36. გაკვირებული თვლიერებდა სარდიონი სტუმარს (ჯაფ.).
37. ...ხოსროს ხელცარიელი მიჰყავდა კესო (რ. გვ.).
38. დიდად განრის-

ხებული დახვდა ცოლი თვისი (საბა). 39. სულთი დაღვრემილი, შეწუხებული მისდევდა ხარებს (ყაზ.).

§ 112. პრედიკატული განსაზღვრების ბრუნვები. პრედიკატული განსაზღვრება, როგორც ვიცით, ქვემდებარის ან დამატებებს (პირდაპირისა თუ ირიბის) მომენტურ განსაზღვრებას წარმოადგენს. მისი ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი (ე. ი. იგივე, რაც დასახელებული წევრებისა), დანარჩენ ბრუნვებში იგი არ შეიძლება იდგეს. ამასთანავე, პრედიკატული განსაზღვრება ყოველთვის სრული ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითები: 1. არაგვი აღიღებულა. „აღევებულა“ მოდის (ვაჟა). 2. — ძლივს უბღგახსნილი არ ვნახე! (ქავ.). 3. ...იმ დღიდან კი გაბაშვილი დაჩოქილი არ გვინახავს (წერ.). 4. ვამეხმა გაოცებულმა შეხედა ბარამს (დად.). 5. ეს სიტყვები მარომ თავჩაღუნულმა და გაწითლებულმა წარმოსთქვა (გაბ.). 6. კოდალას ფულუროში მჯდომარეს წავაწყდი (ვაჟა). 7. თქვენისთანა პატივისცემ კაცს ხელცარიელს ვერ გავისტუმრებ (ლომ.).

პრედიკატული განსაზღვრება ჩვეულებრივია მაშინაც, როცა ქვემდებარე თუ დამატება პირის ნაცვალსახელებით არის გადმოცემული. მაგალითად: 1. ის პირმოკუმული იჭდა (ვაჟა). 2. ის რომ აფრენილი დაინახა, პირველიც აფრინდა... (რაზ.). 3. ვუპასუხე მე გულამომჯდარმა (ქავ.). 4. — რა ვქნა, შენი ჭირიშე? — უპასუხა იმან ცოტად შერცხვენილმა (ქავ.).

შენიშვნა 1. იშვიათად პრედიკატული განსაზღვრება, ნაცვლად მოთხრობითისა თუ მიცემითისა, შეცდომით სახელობითში გვხვდება, რაც არაა სწორი: 1. — რა ცალები? — იკითხა იმან და გაშტერებულნი დაუწყო ყურება (ყაზ.). 2. ხვარამზეს თავჩაქინდრული ეძინა (რ. გვ.). 3. ფეხშიშველი მოიარა გელათი და მოწამეთა (ლორთქ.). უნდა იყოს: „გაშტერებულმა დაუწყო ყურება“; „ხვარამზეს თავჩაქინდრულს ეძინა“, „ფეხშიშველმა მოიარა გელათი და მოწამეთა“.

შენიშვნა 2. თუ ქვემდებარე და დამატება გამოტოვებულია, პრედიკატული განსაზღვრება განსაზღვრებადვე რჩება და მათი სინტაქსური ფუნქციით არ აღიჭურვება. მაგალითები: 1. თვალდახუჭული გალობს მუდამ (ვაჟა). 2. გახა-

რებულმა გაქვია შინსაკენ (ვაჟა). „თვალდახუჭული“ და „გახარებულმა“ — ორივე პრედიკატული განსაზღვრებაა და არა ქვემდებარე, მიუხედავად იმისა, რომ ქვემდებარე გამოტოვებულია (კონტექსტის მიხედვით პირველ მაგალითში ქვემდებარედ იგულისხმება „ბულბული“, მეორეში — „მუცელამ“).

სავარჯიშო. გამოარკვიეთ, ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში პრედიკატული განსაზღვრება რასთან არის დაკავშირებული და რა ფორმითაა წარმოდგენილი.

1. ნუნუ თავდაღუნული გამობრუნდა (ყაზ.). 2. მტკვარი აღიდებული მოდიოდა (გოგ.). 3. ნიბლია სულგანაბული შესქეროდა ალალს (რახ.). 4. მე შებლგახსნილი წავედი (ვაჟა). 5. დიდად განრისხებული დახვდა ცოლი თვისა (საბა). 6. იაგომ პირველი მისული იქვე თავგაჩეხილი გააგორა (ყაზ.). 7. ნინიკამ დიდად ნასიამოვნებმა გაიღვიძა (ვაჟა). 8. ფარჩომ პირველმა დაიწყო (ყაზ.). 9. ჩვენი მთის ხალხი მკვდარს დაუმარხავს არ დააგდებს... (ყაზ.). 10. შემფოთებულს ხედავდა დედაბერი იპოლიტეს და ამშვიდებდა (ს. კოლდ.). 11. ლუმელი სითბოსაც მშვენიერს იძლევა... (დად.).

§ 113. პრედიკატული განსაზღვრების შეწყობა რიცხვში ქვემდებარესა და დამატებასთან. პრედიკატული განსაზღვრება რიცხვში ანგარიშს უწევს როგორც ქვემდებარეს, ისე დამატება-ობიექტებსაც (პირდაპირსა და ირიბს). ამიტომ პრედიკატული განსაზღვრება ხან მხოლოდითშია და ხან მრავლობითში. სახელდობრ:

1. თუ ქვემდებარე და დამატება მხოლოდითშია, პრედიკატული განსაზღვრებაც მხოლოდითში დგას: 1. კ ა ბ უ კ ი გ ა რ ი ნ დ ე ბ უ ლ ი ი ჯ დ ა (რ. გვ.). 2. კ ო დ ა ლ ა ს ფ უ ლ უ რ ო შ ი მ ქ დ ო მ ა რ ე ს წ ა ვ ა წ ყ დ ი (ვაჟა). 3. შვიდად და გ ლ ე ჯ ი ლ ი მიუტანეს თევდორას ქ უ დ ი (ვაჟა).

2. თუ ქვემდებარე და დამატება მრავლობითშია, ჩვეულებრივ პრედიკატული განსაზღვრებაც მრავლობითშია: 1. ი ს ი ნ ი გ ა რ ბ ო დ ნ ე ნ გ უ ლ გ ა ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ი (ყაზ.). 2. მ უ ხ ე ბ ი გ ა შ ე შ ე ბ უ ლ ნ ი ი დ გ ნ ე ნ (რახ.). 3. ბ ა ვ შ ვ ე ბ ს უ ს წ ა ვ ლ ე ლ ე ბ ს, უ გ უ ნ უ რ ე ბ ს ვ ე რ დ ა ვ ტ ო ვ ე ბ თ (ვაჟა).

3. თუ ქვემდებარე (აგრეთვე დამატება) „ჩვენ“ (ან „თქვენ“) ნაცვალსახელით არის გადმოცემული, ჩვეულებრივ პრედიკატული განსაზღვრებაც მრავლობითშია: „ჩ ვ ე ნ ს ა ხ ე გ ა მ ტ კ ნ ა რ ე ბ უ ლ ე ბ ი შეეყუარებდით ერთმანეთს“... (ვაჟა).

4. მხოლოდითში დასმულ რამდენიმე ერთგვარ ქვემდებარესთან (ან დამატებასთან) პრედიკატული განსაზღვრება მრავლობითშია:

წინ როგორ და უკან შავარდენი დამალე ბულები მიდიოდნენ (ვაჟა).

პრედიკატული განსაზღვრება უმეტესად ნარიან მრავლობითშია, უფრო იშვიათად — ებიანში. ამასთანავე, თუ პრედიკატული განსაზღვრება მრავლობითში ქვემდებარესთან არის შეთანხმებული, ჩვეულებრივ ზმნაც მრავლობითში დგას, ე. ი. ეთანხმება ქვემდებარეს რიცხვში.

შენიშვნა: იშვიათად ქვემდებარე (და ზმნაც) მრავლობითში დგას, პრედიკატული განსაზღვრება კი მხოლოდითშია: „გაოცებული გამოვიდნენ სახლიდან ვაქრები“ (წერა). პრედიკატული განსაზღვრება („გაოცებული“) აქ მხოლოდითშია, მაგრამ უფრო ბუნებრივი ჩანს მისი მრავლობითში დამა: „გაოცებულნი (ან: გაოცებულნი) გამოვიდნენ სახლიდან ვაქრები“.

სავარჯიშო. გამოარკვიეთ, ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში პრედიკატული განსაზღვრებები რიცხვის მიხედვით როგორ არიან შეწყობილი ქვემდებარე-დამატებასთან.

1. ჩემი მურია გაკვირებული შემოჩერებოდა (ვაჟა). 2. ფრინველი გამოაჩვენებულნი დაბრუნდნენ ნადავლით (ვაჟა). 3. სხვა ყვავილები თავზარდაცემულნი, გაშტერებულნი მიაჩერდნენ ირემს (ვაჟა). 4. შუაქაცებიც ქვასავით გაჩუმებულნი მისდევდნენ ონისეს (ყაზ.). 5. მზალო და ელგუჯა გაჩუმებულნი, სულგანაბლნი და ხმაგაქმნილები მიდიოდნენ (ყაზ.). 6. მწყემსმა მგლებისაგან დაგლეჯილ ცხვრებს ცოცხლებს ვედარ მოუსწრო. 7. მონადირემ დათვის ბელები ცოცხლები მოიყვანა შინ.

§ 114. პრედიკატული განსაზღვრების ადგილი წინადადებაში. პრედიკატული განსაზღვრება ზმნის წინ დგას ან მოსდევს მას. პირველი (ე. ი. წინმდგომი) ჩვეულებრივია, ხოლო მომდევნო შედარებით იშვიათად იხმარება. მაგალითად:

1. პრედიკატული განსაზღვრება ზმნის წინ დგას: 1. ნუნუ თავდაღუნული გამობრუნდა (ყაზ.). 2. ყაფლანი გაოცებულნი უცქეროდან თეოს (რ. გვ.). 3. გოგრა გაბღენძილი წავიდა (ვაჟა). 4. ღრუბელაშვილი თავჩაღუნული იდგა (ლომ.). 5. იხვი ეგრევე ცოცხალი ებყრა (საბა). 6. ის პირმოკეშული იჯდა (ვაჟა).

ზოგჯერ ზმნა ქვემდებარის წინ არის წამოწყებული და პრედიკატული განსაზღვრება იწყებს წინადადებას: 1. პირმოკეშული იჯდა ბებერი (ვაჟა). 2. თვალცრემლიანი უჩვენებდა ბავშვი ჩემზე (ვაჟა).

2. პრედიკატული განსაზღვრება მოსდევს ზმნას: 1. ონოფრე იღვა გულხელდაკრეფილი (ყაზ.). 2. თეო დიდხანს იჭდა დაფიქრებული (რ. გვ.). 3. დაბლა მდინარე ღრიალებდა გაბრაზებულნი (ვაჟა). 4. მათა იბრძოდა გამწარებულნი (ყაზ.).

მოყვანილ მაგალითებში შემასმენლის წინ ქვემდებარე დგას, ხოლო პრედიკატული განსაზღვრება, რომელიც ბოლოშია, უშუალოდ მოსდევს ზმნას. გვხვდება სხვა რიგიც: ზმნა ქვემდებარის წინ დგას, პრედიკატული განსაზღვრება — ქვემდებარის შემდეგ. მაგალითი: იქვე იღვა ისიც დოინჯუემოყრილი (ვაჟა).

სავარჯიშო 1. გამოარკვიეთ ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში პრედიკატული განსაზღვრების ადგილი.

1. ოქროპირი თავდახრილი უსმენდა თეოფილეს (რ. გვ.). 2. ცურვა ჩინებული იცოდა (გოგ.). 3. ლუარსბი გამტრებული იღვა (ვაჟა). 4. გაკვირვებული ათვალეობდა სარდიონი სტუმარს (ჭაფ.). 5. გულხელშეკუმშული ელოდებოდა ხალხი განგების განჩინებას (ვაჟა). 6. დიახ, ტყეში ვიქეჩი ჩასაფრებული (ვაჟა). 7. ოქროპირი დიდხანს იჭდა გაჩინდებული (რ. გვ.). 8. დიდხანს იღვა დათო კედელზე მიყუდებული... (ევდ.). 9. ...სასიკვდილოდ დაჭრილი გრიგოლა კი წაიღეს შინ ცოცხალ-მკვდარი (ყაზ.). 10. თუ დაჭრილს ცოცხალს მიუსწრო, ნუ აქვს სიკვდილის დარღია (ვაჟა). 11. ერთხელ თვითონ ერეკლემ გამაგდებინა ლეკებს ცოცხალ-მკვდარი (ვაჟა). 12. ერთხელ ტყუილ-უბრალოდ ნათრევენახეტი, დაღლილი და ხელცარიელი მოვიდოდა ჩემი ნათლიმამისაკენ (ვაჟა). 13. ქალი სიხარულათ პირგანათებული მიესალმა თვალშავას (ვაჟა). 14. პეტო, ცხენი ხომ კარვად მოვილილი დაგახვედრე? (რ. გვ.). 15. იგი ქაბუჯი ძელზე დაკიდებული ნახა (საბა). 16. ომის შემდეგ თადეოზი გამოარკვებული დაბრუნდა ქალაქში (გაბ.). 17. მთისკაცს გამალებული მოჰყავდა თავისი ცხენი (ქიაჩ.).

სავარჯიშო 2. წაიკითხეთ წინა სავარჯიშოში მოყვანილი მაგალითები და გამოარკვიეთ, წინადადების რომელ წევრს (ქვემდებარეს, პირდაპირ დამატებას თუ ირიბს) განსაზღვრავს პრედიკატული განსაზღვრება და რომელ ბრუნვაში დგას ის.

სავარჯიშო 3. (წინადადების წევრთა გასამეორებლად) გადაიწერეთ ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი. წინადადების წევრებს გაუსვით ერთი ხაზი და მარჯვნივ ფრჩხილებში მიუწერეთ, რა წევრია წინადადებისა. წინადადებას არაწევრებს ორი ხაზი გაუსვით.

დადგა ვაზაფხული. პერში სითბო დატრიალდა. ყველგან ამოყვეს თავები პატარა ნაზმა ყუავილებმა და მიესალმნენ ერთმანეთს გრძელი ძილის შემდეგ. ირგვლივ ათასნაირი მწერები აირივნენ. ჩიტებმაც მოძებნეს ადგილი ბუდეებისათვის, სადაც უნდა დაბინავებულიყვნენ და გამოეჩეკათ ბარტყები.

ყველაზე მეტს ერთი პატარა ნაზლია დახტოდა და გაფაციცებით ეძებდა რაღაცას. აგერ იპოვა ერთი ბუმბული და სიხარულთ საღდაც გააქანა. დაბლა

გაფოთლილ ჩირგვზე მოჩანდა ნაშენ-უშენი ბუდე. იქვე დაფანთალობდა ნიბლია.

გავიდა ერთი კვირა. ნიბლიამ დადო ოთხი კვერცხი და ჩაქდა ბუდეში. ნიბლია ერთ წამსაც არა შორდებოდა ბუდეს და მუდამ იმის შიშში იყო, ვაითუ ან მტერმა წამიხდინოს ბუდე და ან გაშიცოდეს კვერცხებში. თუ როგორღაც კვერცხი გამოჩნდებოდა ფრთის ქვეშედან, ჩიტი მაშინვე შეაგორებდა მხრებქვეშ და ჩაქუქკავდა თბილად.

მამალი ნიბლია მუდამ თავის მეუღლის ზრუნვაში იყო: დღე დაფრინავდა მიწდორში საკმლის საზიდავად, ღამე კი ბუნჩის შტოზე იქდა და სდარაჯობდა დედალ ნიბლიას (რახ.).

§ 116. ბრუნვათა ფუნქციები. სიტყვების შეკავშირებისათვის ქართულში დიდი მნიშვნელობა აქვს ბრუნვის კატეგორიას: ამ კატეგორიის საშუალებით მყარდება სინტაქსური კავშირი სახელისა სახელთან, ან სახელისა ზმნასთან...

სხვადასხვა ბრუნვას, საზოგადოდ, სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია აქვს. ზოგ ბრუნვას ერთი ფუნქცია აქვს, ზოგს — რამდენიმე. ამასთანავე ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება სხვადასხვა ბრუნვამაც გამოხატოს. მაგალითად: „ბ ა ვ შ ე ი ხ ა ტ ა ვ ს“ და „ბ ა ვ შ ე ი დ ა ხ ა ტ ა“. „ბავშვი“ სახელობითი ბრუნვის ფორმაა, მაგრამ პირველ წინადადებაში იგი ქვემდებარეა, მეორეში — პირდაპირი დამატება; მაშასადამე, ფორმა ერთია, ფუნქცია — სხვადასხვა. ახლა ავიღოთ ასეთი მაგალითი: „ცოლშვილით ჩამოვიდა“ და „ცოლშვილიანად ჩამოვიდა“. „ცოლშვილით“ მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა, „ცოლშვილიანად“ — ვითარებითისა, მაგრამ ფუნქციით ერთნაირია: ორივე თანაობას გამოხატავს.

ბრუნვათა ძირითადი ფუნქციები თანამედროვე ქართულში ასეთია:

1. სახელობითი ბრუნვით გადმოიცემა: 1. ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე: ე ტ ლ ი კ ლ უ ბ თ ა ნ გ ა ჩ ე რ ღ ა (რ. გვ.).

2. პ ი რ დ ა პ ი რ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა: მ ე უ რ მ ე მ უ რ ე მ ი გ ა ა ჩ ე რ ა (ეგდ.)

3. შ ე დ გ ე ნ ი ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი: წ ყ ა ლ ი ს ა შ ი ნ ლ ა დ ც ი ვ ი ი ყ ო (ვაჟა).

4. დ რ ო ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა: ო რ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ვ ი ყ ა ვ ი მ ე ბ ა ლ ე დ (ვაჟა).

შენიშვნა: „ვით“-თანდებულიანი სახელობითი აწვითა რების გარემოებაა: წამოხტა კაკო. ლო მი ვით ზეზე (ქავ.)

II. მოთხრობითი ქვემდებარის ბრუნვაა: მტრედებმა ტირიფს თავზე გადაუარეს (ვაჟა).

III. მიცემით ბრუნვაში შეიძლება იდგეს:

1. ქვემდებარე: მეორე გაზაფხულზე ცირცელს ფოთლები აღარ გამოუტანია (რაზ.).

2. პირდაპირი დამატება: განთიადი ნელა შლიდა ფრთებს (ქიაჩ.).

3. ირიბი დამატება: მთვარე დრუბელს მოჰფარებოდა (ყაზ.).

4. შედგენილი შემახმენლის სახელადი: ნაწილი: პოდა, ჩვენ. უვნებელს ვზდიდით მათ (ს. კლდ.).

5. უბრალო დამატება: საქათმეს შემოჩვეულმა მელია ძაღლებს დაეგლიჯათ.

6. ადგილისა და დროის გარემოება: იმ საღამოს სტეფანწმინდას ახოვედი (ქავ.).

თანდებულიანი მიცემითი გამოიხატება:

ა) უბრალო დამატება: 1. ნიავი... ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა (ქავ.). 2. ჩვეულება რჯულზე უმტყვესიო (ანდ.). 3. შაშვი... თავის გალობაში დნებოდა (ვაჟა).

ბ) ადგილის გარემოება: 1. ეტლი კლუბთან გაჩერდა (რ. გვ.). 2. ცაზე ვარსკვლავები აკიფდნენ (წერ.). 3. ბაღში შვლები დაკუნტრუშობდნენ (ვაჟა). 4. თრზღვას შუა ძველის-ძველად საომარი იყო ლელო (ტაბ.).

გ) დროის გარემოება: 1. ალითნზე ცამოიწმინდა (რ. გვ.). 2. ასი წლის ბებერმა იანვარში მარწყვი მოინადომო (ანდ.).

დ) ვითარების გარემოება: 1. წნორის ფურცელს ავით ცახცახი დაიწყო (ყაზ.). 2. ყალიონი ძაღწედ გამოაბოლა (ქავ.).

ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა:

1. უბრალო დამატება: 1. დედა ნიბლია მოუსვენრად

გლოდა ამხანაგის დაბრუნებას (რაზ.). 2. ირმის მოკვლა მხიარულებას აათქეცებდა (ვაჟა).

2. მართული განსაზღვრება: მოკრიალებულ ციხე; მაისის მზე ბრწყინავდა (რ. გვ.).

თანდებულებიანი ნათესაობითი გამოიხატება:

ა) უბრალო დამატება: 1. არწივისაგან შეშინებული წეროები ზულ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ (რაზ.). 2. თადულას მიერ მოტანილმა ახალმა ცნობამ საერთო გამოცოცხლება შეიტანა ქალებში (ჯაფ.). 3. მზეს პირი მოეკრა მთებზე წვერებისათვის (რაზ.). 4. [მგლები] ასე თათბირობდნენ თარეშის, ლაშქრობის შესახებ (ვაჟა). 5. პატრონმა გამოხარული პარკებისაგან წვრილი ძაფი ამოახვია (გოგ.).

ბ) ადგილის გარემოება: 1. მზე დასავლეთისკენ გადიწურა (ვაჟა). 2. ცხენი საბძლის გარშემო სჯიჯნიდა გოლვისაგან გამხმარს ბალახსა (ქაჟ.).

გ) დროის გარემოება: 1. გაღვიძებისთანავე იმის ზმა ქექა-ქუხილივით გაისმოდა გაღმა-გამოღმა (ვაჟა). 2. მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა განთიადის წინ (რ. გვ.).

დ) ვითარების გარემოება: ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს ამ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე (ქაჟ.).

ე) მიზეზის გარემოება: ისინი სიშორის გამოვერ მოდიოდნენ პაპასთან სამასლაათოდ (ვაჟა).

ვ) მიზნის გარემოება: 1. სარდიონმა ბიჭი აფრინა სახლში თოფისათვის (ვაჟა). 2. წვრილი ფრთოსნები ლოფელში იყრიდნენ თავს საზრდოს გულისათვის (რაზ.).

მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გაღმოიციემა:

1. უბრალო დამატება: 1. გლესს ურმით თივა შიბქონდა (გოგ.). 2. ფოთლებს შუა ამოიზარდა პატარა ღერო კოკრტთ (გოგ.).

2. ადგილის გარემოება: 1. აღმოსავლეთით ცას

პირი ნათლდებოდა (ვაჟა). 2. ტყვეობით დაბრუნებული ძმებში ყოფნითა სტყებოდა (ვაჟა).

3. დროის გარემოება: 1. დილით ძროხაში მგზავნიდნენ, საღამოს — ღორისკენაო (ხალხ.). 2. ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს (ვაჟა).

4. ვითარების გარემოება: 1. ხშირი ფოთლებიდან წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა (ვაჟა). 2. აიშალნენ მეურმეები თვალების ფშვნიტითა (ჟავ.). 3. თითო-ოროლა წვეთობით ნამს ვასხურებ (ვაჟა).

5. მიზეზის გარემოება: 1. სვავი სიმამლრით ძლივსლა ქშინავდა (ვაჟა). 2. თავს შიშით თვალთ დაუბნელდა (რაზ.).

თანდებულიანი მოქმედებითი გამოიხატება:

ა) უბრალო დამატება: შალვას ანკესი ძუითურთ ნინიამ გაუმართა (ვაჟა).

ბ) ადგილის გარემოება: ფოთლებიდან (← ფოთლები-ი-გან — ფოთლებ-ით-გან) წკაპწკაპით ჩამოდიოდა ცვარი წვიმისა (ვაჟა).

გ) დროის გარემოება: თეოფილე სიყრმიდანვე გარჯაში იყო (რ. გვ.).

ვითარებითი ბრუნვის ფორმა შეიძლება იყოს:

1. უბრალო დამატება: 1. [ზვავი] ათასწლოვან მუხას ძირიანად ჰგლეჯდა (რაზ.). 2. მთებიდან ჩამონადენი პატარა წყლები წუთზედ ნიადვრებად გადაიქცნენ (ყაზ.).

2. შედგენილი შემასმენლის სახელად იწოდები: დილაზე ავადმყოფი უარესად შეიქმნა (კლდ.).

3. ადგილის გარემოება: მინდვრად თოვლი აღარ იდო (რაზ.).

4. დროის გარემოება: შაშვი ამჟამად თავისთავს გამარჯვებულად სთვლიდა (ვაჟა).

5. ვითარების გარემოება: 1. პატარა ქორებიც ქორულად და შმაგად იქცირებოდნენ (ვაჟა). 2. იქმწკრთვად ისინენ ბუზები (ჟავ)

6. მიზნის გარემოება: 1. ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო

ს ა ნ ა დ ი რ ო დ (ვაჟა). 2. გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს ს ა ჭ რ ე ლ ა დ (ვაჟ.).

თანდებულისანი ვითარებითით გადმოიცემა:

ა) ა დ ზ ი ლ ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა: 1. კესო... ხმამაულებლად მიჰყვა მიცვალბულს ს ა ს ა ფ ლ ა ო მ დ ე (ვაჟ.). 2. ქ უ თ ა ი ს ა მ . ღ ი : ს ო რ ი დ ღ ი ს ს ა ვ ა ლ ი ი ყ ო (წერ.).

ბ) დ რ ო ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა: 1. ო თ ხ შ ა ბ ა თ ა მ დ ი ს ნ უ მომელოდებითო (ვაჟ.). 2. ს ი კ ვ დ ი ლ ა მ დ ე ე ო ს მოუკლავს თავი კაცსა შეცნიერსა (რუსთ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. წოდებითი ბრუნვის ფორმა წინადადების წევრი არაა, იგი მიმართვისათვის არის გამოყენებული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. წინადადების წევრი ზოგჯერ რთული ფორმით არის გადმოცემული. ასეთი რთული ფორმებია ნათ.-მიც.-ის ფორმები ადგილისა და დროის გარემოებად, ან კიდევ მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებისა თუ უბრალო დამატებისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. წინადადების წევრი შეიძლება გადმოიცეს ისეთი სიტყვითაც, რომელიც არ არის ფორმა რომელამე ბრუნვისა. ასეთია, მაგალითად, ზმნიზედები.

ზემოთ არაფერია თქმული განსაზღვრების შესახებ, რადგანაც იგი ბრუნვაში, საზოგადოდ, საზღვრულ წევრს უწევს ანგარიშს და ყველა ბრუნვაში შეიძლება იდგეს.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო . გადაიწერეთ ტექსტი. ბრუნვის ფორმებს (თანდებულისან თუ უთანდებულოს) გაუსვით ხაზი და გამოარკვეით, რა და რა ფუნქცია აქვთ მათ.

შიშშილით შეწუხებული მგლები ღმუღონენ. ღრუში შეხიზნული ბუ მწარედ გაკიოდა. ყველა შეწუხებული და შეძრწუნებული იყო. ვინც გარეთ იყო, სახლში ეშურებოდა. ვინც სახლში იყო, გარეთ. აღარა ჰყოფდა თავს. ყველას კარები დაეხურა, გაეჩაღებინათ ცეცხლი და შემოსხდომოდნენ ძირს.

სიცივისაგან შეწუხებული მყეფრები ხმას ველარ იღებდნენ, ბოსლებსა და საბძლებს შეჰხიზნებოდნენ. ჩიტებს ტყე-მინდვრის სიცივით ველარ გაეძლოთ, საბძლებსა და სახლებს შეჰსეოდნენ. ზოგი სად იხოცებოდა, ზოგი სად (რახ.).

მარტივი წინადადების სახეები

§ 116. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით. აგებულების მიხედვით წინადადება სამგვარია: მარტივი, შერწყმული და რთული.

მარტივია წინადადება, რომელშიაც აზრი ერთი ან ერთმანეთთან დაქვემდებარებით დაკავშირებული რამდენიმე (ორი ან მეტი) სიტყვით არის გადმოცემული. მაგალითად: „გადიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთმად სიმღერა“ (ვაჟა). აქ ორი მარტივი წინადადებაა: 1. „გადიქუხა; 2. „ჩიტებმა მორთეს ერთმად სიმღერა“. პირველ წინადადებაში აზრი ერთი სიტყვით არის გადმოცემული, ხოლო მეორეში ოთხი სიტყვაა, რომლებიც ერთმანეთთან დაქვემდებარებით არიან დაკავშირებული.

ზოგიერთ წინადადებაში მოიპოვება რამდენიმე ისეთი წევრი, რომლებიც ერთსა და იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ და ერთნაირად არიან დაკავშირებული ერთ საერთო წევრთან, ხოლო ერთმანეთთან ჩამოთვლას პაუზით ან მაერთებელი კავშირებით (ე. ი. თანწყობით, არადაქვემდებარებით) არიან შეერთებული. ასეთ წევრებს ერთგვარ წევრებს ვეძახით, ხოლო ერთგვარწევრებიან წინადადებას შერწყმული წინადადება ჰქვია. მაგალითად: „ხის ტოტებზე ჩიტუნები ფრთხილებენ, სრიალებენ, იშენებენ მალაბუდეს, დაჰხარაინ და გალობენ“ (წერ.). ამ წინადადებაში ქვემდებარეა „ჩიტუნები“, რომელთანაც ხუთი შემასმენელია დაკავშირებული; ამათგან პირველი ოთხი შემასმენელი პაუზით არის ერთმანეთთან შეერთებული, ხოლო მეოთხე („დაჰხარაინ“) და მეხუთე („გალობენ“) — მაერთებელი კავშირით. მაშასადამე, მოყვანილი წინადადება შერწყმულია შემასმენლების მიხედვით.

რთულია წინადადება, რომელიც რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან შედგება. მაგალითები: 1. მოწმენდილი ცა გაკრიალებულიყო და მზის სხივი მთის წვერებს. შესთამაშებდა (ყაზ.). 2. მინდორი და ველი ყვავის, ნამი ბზინავს ათასფერად (ერ.). პირველი რთული წინადადება ორი მარტივი წინადადებისაგან შედგება, მეორე — შერწყმულისა და მარტივისაგან.

§ 117. მარტივი წინადადება წინადადების მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით. მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით მარტივი წინადადება ოთხგვარია: ერთწევრიანი, ორწევრიანი, სამწევრიანი და ოთხწევრიანი. მთავარ წევრთა რაოდენობას მარტავ წინადადებაში განსაზღვრავს ის, თუ რამდენ-პირიანი ზმნით არის გადმოცემული შემასმენელი.

ერთწევრიანია მარტივი წინადადება, რომელშიაც ერთი მთავარი წევრია: „დაზამთრდა“. „დაზამთრდა“ შემასმენელია, მასთან ქვემდებარე არაა და არც იგულისხმება. როგორადაც უნდა გავავრცოთ მოცემული წინადადება (მაგალითად, „გვიან დაზამთრდა“, „წელს გვიან დაზამთრდა“), მასში მთავარი წევრი მაინც ერთი იქნება: შემასმენელი.

თუ შემასმენელი ერთპირიანი ზმნით არის გადმოცემული, მთავარი წევრი ორი იქნება: შემასმენელი და ქვემდებარე. მაგალითები: 1. ქარი გრიალე ბა (რახ.). 2. მთიდან ბარად მომდინარი არწივი მთის კენწეროზე ისვენებდა (ვაჟა). ორივე წინადადებაში ორ-ორი მთავარი წევრია: ქვემდებარე და შემასმენელი. განსხვავება მათ შორის იმ მხრივია, რომ მეორე წინადადებაში მთავარ წევრებს ცალ-ცალკე მეორეხარისხოვანი წევრები ახლავს, პირველში კი წინადადება მხოლოდ ქვემდებარითა და შემასმენლით არის გადმოცემული.

თუ ზმნა ორპირიანია, წინადადებაში სამი მთავარი წევრია: შემასმენელი, ქვემდებარე და დამატება-ობიექტი (პირდაპირი ან ირიბი). მაგალითად: „ოთახში დასადგურებულ სიჩუმეს ხანდახან ქვემეხების გრუხუნის არღვევდა“ (რ. გვ.). ამ წინადადებაში შემასმენლად ორპირიანი გარდამავალი ზმნაა („არღვევდა“), მაშასადამე, აქ შემდეგი სამი მთავარი წევრია: შემასმენელი („არღვევდა“), ქვემდებარე („გრუხუნი“) და პირდაპირი დამატება („სიჩუმეს“). მეორეხარისხოვანი წევრები ამ სამი წევრის გარშემო იყრიან თავს: „ხანდახან არღვევდა“ შემასმენლის ჯგუფია, „ქვემეხების გრუხუნი“ — ქვემდებარისა, „ოთახში დასადგურებულ სიჩუმეს“ — პირდაპირი დამატებისა.

თუ შემასმენლად სამპირიანი ზმნაა, წინადადებაში ოთხი მთავარი წევრია: შემასმენელი, ქვემდებარე, ირიბი დამატება და

პირდაპირი დამატება. მაგალითი: „გაზაფხულზე დაწყებულ ს.ა.ქ-მეს ზაფხული გვირგვინს დაადგამს“ (ვაჟა).

შენიშვნა: ესა თუ ის მთავარი წევრი ხშირად გამოტოვებულია, მაგრამ იგულისხმება.

ს ა ვ ა რ გ ი შ ო. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები და დაახასიათეთ ისინი წინადადების წევრთა შედგენილობის მიხედვით.

1. ქოხში საკმაოდ ჩამობნელდა (ყაზ). 2. საშინლად ცხელოდა (ვაჟა). 3. ირგვლივ სრულა სიჩუმე ჩამოვარდნილიყო (ყაზ). 4. ბურსაქირის დეღეში ურიცხვი ცხვარი იღვა (ყაზ). 5. პეპლები აფრთხილდნენ ყვავილებზე (რაზ). 6. შიმშილმა ბახალები ძალიან შეაწუხა (რაზ). 7. მტრებს გული დაუმშიდდა (ვაჟა). 8. ყველამ თვალი კოდალას მიაპყრო (ვაჟა). 9. ფულის სარგებელში დემეტრემ კარაბეტას ღვინო მიუწყო (ვაჟა).

§ 118. გავრცობილი და გაუვრცობელი წინადადება. გაუვრცობელია წინადადება, რომელიც მარტო მთავარ წევრებს შეიცავს.

მაგალითები:

1. დაბნელდა (ვაჟა).
2. დადგა ზამთარი (ვაჟა).
3. ხეები განაგრძობდნენ თათბირს (ვაჟა).
4. დამე განოეთხოვა ქვეყანას (კავ).
5. ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს (ვაჟა).

პირველ მაგალითში გაუვრცობელი წინადადება მარტო შემასმენელს შეიცავს („დაბნელდა“) (მასთან ქვემდებარე არაა და არც იგულისხმება), მეორეში — შემასმენელსა („დადგა“) და ქვემდებარეს („ზამთარი“), მესამეში (სადაც ზმნა ორპირიანია და გარდამავალი) — შემასმენელს („განაგრძობდნენ“), ქვემდებარეს („ხეები“) და პირდაპირ დამატებას („თათბირს“), მეოთხეში (სადაც ზმნა ორპირიანია და გარდაუვალი) — შემასმენელს („განოეთხოვა“), ქვემდებარეს („დამე“) და ირიბ დამატებას („ქვეყანას“), მეხუთეში — შემასმენელს (დაუწყეს“), ქვემდებარეს („ხეებმა“), ირიბ დამატებას („თელას“) და პირდაპირ დამატებას („თვალიერება“).

გავრცობილია წინადადება, რომელიც, მთავარ წევრებს. გარდა, შეიცავს ერთ ან რამდენიმე მეორეხარისხოვან წევრს.

მაგალითები: 1. თანდათან დაბნელდა (ვაჟა). 2. დადგა მკაცრი, ზამთარი. 3. ხეები დიდხანს განაგრძობდნენ თათბირს. 4. დამე.

მშვილად გამოეთხოვა ქვეყანას. 5. გაკვირვებულმა ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები და გამოარკვიეთ, როგორია წინადადება — გავრცობილ თუ გაუვრცობელი.

1. თარი ქროდა. საშინლად ციოდა (ვკა). 2. მთვარემ ბადესავით გადააფარა ტყეს თოვის სხივები (ვკა). 3. უცნობს ფერი ეცვალა (რახ). 4. მთვარე ღრუბელს მოჰფარებოდა (ყახ). 5. დადგა გაზაფხული. პაერში სითბო დატრიალდა (რახ). 6. შიმშილმა ბახალები ძალიან შეაწუხა (რახ). 7. ელიზბარმა თოფს ფაღია გაჰოკუცვალა (ვკა). 8. პატარა მაროს ძმამ მერცხლის ბარტყი მიუყვანა; (ვკა). 9. თოვლმა მთლად დაფარა დედამიწა (ევდ). 10. ოღნავი ნიავი არხველა ყლორტებს (ვაფ).

§ 119. უქვემდებარო წინადადება. უქვემდებაროა წინადადება, თუ შემასმენელთან ქვემდებარე არ მოიპოვება და არც ივარაუდება. მაგალითი: „ტყეში თანდათან დაბნელდა“ (რ. გვ.). ამ წინადადებაში შემასმენელს („დაბნელდა“) ორი წევრი ახლავს: ადგილის გარემოება („ტყეში“) და ვითარების გარემოება („თანდათან“). წინადადებაში ქვემდებარე არ მოიპოვება და ასეთად არც შეიძლება ვივარაუდოთ რომელიმე სახელი. მაშასადამე, მოყვანილი წინადადება უქვემდებარო წინადადებაა (გავრცობილი).

უქვემდებაროდ იხმარება ჩვეულებრივ ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი პირნაკლი ზმნები მე-3 პირის მხ. რიცხვის ფორმით: ბნელა, ცივა, თბილა, გრილა, ცხელა, თოვს, წვიმს, ყინავს, ქუხს, ელავს, გაზაფხულდა, დაზამთრდა, გათენდა, ბინდდება, ბნელდება, ღამდება, გარიყრაყდა, ჩაპოცხა, მოთოვა, მოწვიმა და მისთ. ამათგან ზოგი იშვიათად ქვემდებარიანიც გვხვდება: 1. გათენდა დილა (ყახ). 2. გათენდა მეორე დღე (ყახ). 3. თოვლი თოვს (ვკა).

ზოგიერთი გარდამავალი ზმნა (ორპირიანი თუ სამპირიანი) გარკვეულ შემთხვევაში კარგავს მე-3 სუბიექტური პირის ფარდ სახელს და ამის გამო უქვემდებარო ხდება.

მაგალითები: 1. ღამე რთვილს აგდებს (ვკა). 2. ზამთარში ფანჯრის მინებს შიგნიდან ოფლს და ასახამს ხოლმე (ვკა).

„აგდებს“ და „დაასხამს“ — ორივე გარდამავალია, პირველი — ორპირიანი (შეიწყობს ორ სახელს: ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებას), მეორე — სამპირიანი (შეიწყობს სამ სახელს: ქვემდებარეს, ირიბ დამატებასა და პირდაპირ დამატებას), მაგრამ მოყვანილ მაგალითებში ორივე უქვემდებაროა და ამის გამო პირველს მხოლოდ პირდაპირი დამატება ეწყობა („რთვილს აგდებს“),

შეორეს კი — ირიბიც („მინებს დაასხამს“) და პირდაპირიც („ო ფ ლ ს დაასხამს“).

უქვემდებაროა აგრეთვე გარკვეულ შემთხვევებში ისეთი გარდამავალი ზმნები, როგორიცაა: „დაიჭირა“ („კარგი ამინდები დაიჭირა“), „სდებს“ („ზამთრობით მთებში დიდ თოვლს სდებს“), „იციბ“ („შავი ზღვის სანაპიროზე ზამთრობით დიდი სიცივე არ იციბ“) და სხვ.

უქვემდებაროდ იხმარება ჩვეულებრივ ადამიანის ჯანმრთელობისა და მისი ორგანიზმის მდგომარეობის გამომხატველი ზმნები: მამთქნარებს, მასლოკინებს, მაზმორებს, მახველებს, მაკანკალებს, მაცახცახებს, მაციებს, მაცხელებს, მკვალაჯს ტანში, ცხვირს მაცემინებს და მისთ.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ზმნა ზოგჯერ კარგავს ობიექტურ პირსაც. მაგალითად; „მოუჭირა“ საზოგადოდ სამპირიანი ზმნაა („მოუჭირა მან მას იგო“), მაგრამ ზოგჯერ უდამატებოდ იხმარება: „ყინვამ მოუჭირა“. აქ არ ჩანს, ყინვამ რა მოუჭირა და რას მოუჭირა.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. უქვემდებარო შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით, ქვემდებარის — ორი. გამოაკვიეთ, უქვემდებარო შემასმენლებს რა და რა წევრები ახლავს.

1. ქოხში საკმაოდ ჩაშობნულდა და მხოლოდ ჩქარ-ჩქარი ელვა ანათებდა იქაურობას (ყაზ). 2. მიბნულდა. დაიწყო შხუფთლვა. დაიქეა; იქ დაიელვა, აქ დაიქუხა (ლორთქ). 3. ნეტავი რადმე მაქციო, ბულბულად გადამაქციო, ბულბულის ენა მასწავლა, ამ ბალებს შემომამეია (ხალხ). 4. მაქროლებს და ტანში მზარავს (გურ). 5. ირაცრავა, ქარი ჩადვა (წერ). 6. ოპ, რამოდენა ჭიხვი იცის ბაისბუნის თავს (ვაჟა). 7. საშინლად ცხელოდა (ვაჟა). 8. სდებს თოვლს. აყინავს. ცივა. ქვა ტყვრება (ვაჟა). 9. დაიწყო გაბმული წვიმები და დაიჭირა სიცივეები (გოგ). 10. სახლში მეტად ბნელოდა (კლდ). 11. ლამით ცოტაოდნად წამოუწვიმა (ჯაფ). 12. დაზამთრდა დათოვა, ზოგჯერ ყინავს. მდინარემ იკლო. საღამოა. თოვს (ლორთქ). 13. დაბნელდა, დაუკუნეთდა. ხმაურობა აღარსაიდან ისმოდა (ვაჟა). 14. გაზაფხულდა. ჭვჭილიები გაბზინდა (ვაჟა). 15. დილაა... თოვა გადილო, ქარმა ღმუილი შეწყვიტა (ცახელი). 16. თოვი რომ გადილო, ბევრს ხანს არ გაუვლია, ყინვამ მოუჭირა: აცივდა. აყინდა (ვაჟ). 17. უცებ კოკისპირული წვიმა დაუშვა. 18. უღეგარ, უსვენარ თერგში კი კალმახი იცის (ვაჟ).

§ 120. განუსაზღვრელ-ქვემდებარისი (ქვემდებარე-გაუჩინარებულთ) წინადადება. განუსაზღვრელ-ქვემდებარისია წინადადება, რომელსაც ქვემდებარე არ მოეპოვება, მაგრამ მოქმედად მანაც იგულისხმება ვილაცა, გაუტრკევეელი პირი თუ პირები: „მალაზიაში

ბევრი საინტერესო წიგნი მოიტანეს“. „მოიტანეს“ ორპირიანად გარდამავალი ზმნაა, რომელსაც ბრუნვაცვალეზადი ქვემდებარე ეწყობა; მოყვანილ წინადადებაში ამ ზმნასთან მოქმედად იგულისხმება ვილაცა, მაგრამ ქვემდებარედ კონკრეტულად არც ერთი სახელი არ ივარაუდება. მაშასადამე, ამ წინადადებაში ქვემდებარე იგულისხმება გაურკვეველად, განუსაზღვრელად.

განუსაზღვრელ-ქვემდებარიან წინადადებაში შემასმენელი მე-3 სუბიექტურა პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგალითები: 1. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან სასიხარულო ამბებს იწერებია. 2. ამბობდნენ, რომ ოთარაანთ ქვრივი, — რაც უნდა მდარე მოსავალი ყოფილიყო, — სამ საპალნეს ღვინოს მაინც გაჰყიდდაო ყოველწლივ (ჭავ.). 3. იმ კლდის თავს. საცა ჯოყოლა მოკლეს ხევსურთა ბრძოლაში, ღამ-ღამ ჰხედავენ სურათსა ზეგვისგან ნაგალს გორაში (ვაჟა). 4. ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულელია“ (ჭავ.).

შენიშვნა 1. განუსაზღვრელ-ქვემდებარიანი წინადადება განსხვავდება საკუთრივ უქვემდებარო წინადადებისაგან (§ 119). უქვემდებარო წინადადებაში მოქმედება თავისთავად ხდება, მოქმედი საგანი (ქვემდებარე) არ ჩანს და არც იგულისხმება („გარიყრაჟდა“). განუსაზღვრელ-ქვემდებარიან წინადადებაში ქვემდებარე არ მოიპოვება და ასეთად რომელიმე კონკრეტულ სახელს ვერც ვივარაუდებთ, მაგრამ მოქმედად მაინც იგულისხმება ვილაცა.

შენიშვნა 2. უქვემდებარო და განუსაზღვრელ-ქვემდებარიანი წინადადება განსხვავდება უსრული წინადადებისაგან. უსრული წინადადებაში ზოგჯერ ქვემდებარე გამოტოვებულია, მაგრამ ნათქვამისა და პირობის მიხედვით მოქმედად გარკვეული საგანი იგულისხმება (§ 123).

სავარჯიშო 1. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა ტიპისაა წინადადება

1. ამ მინდიაზე ამბობენ დაუჯერებელს ამბებსა (ვაჟა). 2. ძველ დროში ფშავლებს ფხოველებს ეძახდნენ (ვაჟა).

სავარჯიშო 2. შეადგინეთ განუსაზღვრელ-ქვემდებარიანი წინადადებები ქვემოთ მოყვანილ ზმნების გამოყენებით: იწერებია, ამბობენ, იტყობინებიან, ვთხოვენ. გადმოგვცემენ, იტყვიან, ყიდიან, შობაწინ, აყეთებენ.

§ 121. მოქმედების განზოგადება (განზოგადებულპირიანი წინადადება). ზოგერთ წინადადებაში ზმნა განზოგადებულ მოქ-

მედებას გულისხმობს. ერთპირიან ზმნაში განზოგადებული მოქმედება სუბიექტურ პირს ეხება, ორ- და სამპირიანში იგი შეიძლება ეხებოდეს როგორც სუბიექტურ პირს, ისე ობიექტურსაც (ირიბს). სუბიექტური თუ ობიექტური პირი, რომელსაც განზოგადებულა მოქმედება ეხება, ჩვეულებრივ მეორეა მხოლოდით რიცხვში (იშვიათად მრავლობითშიც). სათანადო ნაცვალსახელები ამ შემთხვევაში საზოგადოდ არ იხმარება: ზმნით გამოხატული მოქმედება განზოგადებულია, საერთოა ყველასათვის.

მაგალითები: 1. რასაც დასთეს, მასვე მოჰკი (ანდ.) (=ყოველი კაცი მას მოჰკის, რასაც დასთესს). 2. ნუ უთხრი სხვას ორმოს, თორემ თვითონვე ჩავარდება (ანდ.) (=ყოველი კაცი, რომელიც სხვას ორმოს გაუთხრის, თვითონვე ჩავარდება შიგ).

განზოგადებული მოქმედება იშვიათად პირველი და მე-3 სუბიექტური პირის ფორმითაც გადმოიცემა (ჩვეულებრივ მრავლობითი რიცხვისა).

მაგალითები: 1. თვალით ვხედავთ, ყურით ვისმენთ (=ყოველი კაცი თვალთ ხედავს, ყურით ისმენს). 2. ურემი რომ ჭრიჭინს დაიწყებს, საპონს ამოსცხებენ და გააუმდება (ყაზ.) (=ურემი რომ ჭრიჭინს დაიწყებს, ყოველი კაცი საპონს ამოსცხებს).

მოქმედების განზოგადება ხშირია ანდაზებსა და გამოცანებში, აგრეთვე განმეორებული მოქმედების გადმოსაცემად, რაც ზოგჯერ ჩვევასა და ჩვეულებაში გადადის.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვეეთ, რა ფორმით არის გადმოცემული განზოგადებული მოქმედების გამომხატველა ზმნებში.

1. სადაც მიხვიდე, იქაური ქული დაიხურეო (ანდ.). 2. ნუ დასცინი სხვასაო, გადავწდება თავსაო (ანდ.). 3. ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერჩებების დროს შეგრცხვეს (ანდ.). 4. როგორც ვიკირდეს, ისე გიღირდეს (ანდ.). 5. ამყოს აპყევი, დამყოს დაპყევიო (ანდ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები. უკვემდებარე ზმნას ერთი ხაზი გაუსვით, განუსაზღვრელ-კვემდებარეიანს — ორი, განზოგადებული მოქმედების გამომხატველ ზმნებს კი — კლაკნილი.

1. ხან წვიმდა, ხან თოვდა (რახ.). 2. გრილა. ღამე რთილს აგდებს (იაია). 3. ამბობენ: თამარ დედოფალს ის აკვანი იქ ჩაუღვამს. ამას კი აღარ ამბობენ: აკვანში ვინ ჩააწვინა (ქავ). 4. ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირს დაუშინესო (ანდ.). 5. დაცავით სისუფთავე! 6. აქ თამბაქოს არ ეწევიან. 7. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თვითაო (ანდ.). 8. — მაშე ამბობენ, თუ არ ეგრე, მიშინო

არ გაიგეშება თურმე. კლანჭებზედაც ეცნენბიან თოკს გამოაბმენ, თუ ვინცობაა ნავარღვედ გაიწიოს, — არ გაუშვან (კვა.)

§ 129. სახელდებითი წინადადება. სახელდებითია წინადადება, რომლითაც აღინიშნება საგანი თუ მოვლენა რისიმე მტკიცების გარეშე.

მაგალითები: 1. უ დ ა ბ ნ ო . ს ა დ ა მ ო . იწყება ქარიშხალი. ცა მოღუშულია (ლორთქ.). 2. ს ა ძ ა დ ი ლ ო ო თ ა ხ ი . კანკელს საჩრდილობელი აფარია. მ კ რ თ ა ლ ი ს ი ნ ა თ ლ ე . სამოვრის ჩუხჩუხი არღვევს სიჩუმეს (ლორთქ.). სახელდებითი წინადადებებია: „უდაბნო“, „სალამო“, „სასადილო ოთახი“ და „მკრთალი სინათლე“. სახელდებითი წინადადება გაუვრცობელია (პირველ მაგალითში: „უდაბნო“, „სალამო“) ან გავრცობილი მეორეხარისხოვანი წევრებით (მეორე მაგალითში: „სასადილო ოთახი“, „მკრთალი სინათლე“) და სახელობით ბრუნვაში დგას.

სახელდებითი წინადადება უმეტესად მხატვრულ ლიტერატურაში გამოიყენება ბუნების აღწერისას, უეცარი, სწრაფად ცვალუბალი მოვლენებისა და შემთხვევების გადმოსაცემად და სხვ.

მაგალითი: „ბრინჯაო. კრამიტი. ვაზი და სურო.

შავი ქვა. ნახშირი. კუბრი და ნავთი.

მარხილი. ურემი. ცული და ურო.

ნავი და ბორანი. ტივი და კავთი“ (ზომ.).

სახელდებით წინადადებას უახლოვდება მოთხრობის, ლექსის, დაწებებულების, მაღაზიის, ქუჩის სახელწოდება: „ოთარაანთ ქვრივი“, „შელის ნუკრის ნაანბობი“, „სათაგური“, „გველს მქამელი“, „განთიადი“, „ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „უნივერსიტეტის ქუჩა“ და მისთ.

ლექსის, მოთხრობის, წიგნის სახელწოდება ზოგჯერ შემასმენლით გადმოიცემა, ან კიდევ შემასმენლის შემცველი წინადადებით. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას მოთხრობებია: „კლდემ მხოლოდ ერთხელ თქვა“, „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე?“, „ამოდი ს, ნათღება!“. -

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო . წაიკითხეთ მაგალითები. აღნიშნეთ, რომელაა სახელდებითი წინადადება და როგორაა იგი გადმოცემული.

1. თავს მუზარადი ეხურა; ტანს ეცვა ჯაქვის პერანგი. დინჯი ნაბიჯი. დაძაბვრული სხეული. მისრა-მოსრა მკვირცხლი. კილო მბრძანებელი. აზრი ფხიზელი (ლორთქ.). 2. ქედები. კლდეები. სერები. მთები. მტკვარი და რიონი. აღაზან-

ენგური. შინდერები. ველები. ძროხები. ცხვრები. ზურნა, სალამური. დაფი და ჩანგური (ზომ.). 3. პატარა გოგო ფეხზე წამოდგა... ფართე სახე... დიდრონი ლურჯი და ძლავრ შავი თვალები... წაბლისფერი, სქელი, თავზე დახვეული და ბუნებრივის მოხდენილობით გაწეწილი თმა... სახელო აკაპიწებული, საყელო ამოჭრილი ლურჯი პერანგი, რომელზედაც მხოლოდ ნაცრისფერი, მოკლე კაბას ქვედაწეული ეცვა... ტიტველი, ღონიერი და თავისუფლად ზრდილი თეთრი ფეხბა (ლორთქ.).

§ 128. სრული და უსრული წინადადება. მარტივი წინადადება სრულია ან უსრული (არასრული). სრულია წინადადება, თუ მასში არ არის გამოტოვებული რომელიმე წევრი. მაგალითად, „პატარა გუგულები თანდათან მოიზარდნენ“ (გოგ.). აქ გამოტოვებულად არ იგულისხმება რომელიმე წევრი, მაშასადამე, მოყვანილი წინადადება სრულია.

წინადადება უსრულია, თუ მასში გამოტოვებულია ერთი ან რამდენიმე წევრი (მთავარი თუ მეორეხარისხოვანი). წევრების გამოტოვება აიხსნება იმით, რომ ისინი ადვილად იგულისხმება წინა ნათქვამთან დაკავშირებით, ან სხვა ვითარების მიხედვით. ამ ტიპის წინადადება ჩვეულებრივია განსაკუთრებით კითხვა-მიგების დროს. მაგალითები:

1. — ვინ მოვიდა? (წინადადება სრულია).

— მ ა მ ე (უსრულია).

2. — როდის ჩამოვიდა მამა სოფლიდან? (წინადადება სრულია).

— გ უ შ ი ნ (უსრულია).

პირველ უსრულ წინადადებაში გამოტოვებულია ერთი წევრი: შემსამენელი („მოვიდა“), მეორეში — სამი: შემასმენელი („ჩამოვიდა“), ქვემდებარე („მამა“) და ადგილის გარემოება („სოფლიდან“).

ორივე უსრულ წინადადებაში გამოტოვებული წევრები ნათელია წინა ნათქვამის (კითხვების) მიხედვით.

უსრული (არასრული) წინადადება ზოგჯერ დამოუკიდებელია. გამოტოვებულა წევრი ადვილად იგულისხმება წინა ნათქვამისა თუ სხვა ვითარების გარეშეც. მაგ.: „შენ საით?“ აქ გამოტოვებულია „მიდინარ“. სრულად იქნება: „შენ საით მიდინარ?“

არასრული წინადადება ზოგჯერ რთული წინადადების ნაწილს წარმოადგენს. გამოტოვებული წევრი დასახელებულია რთულში შემავალ სხვა წინადადებაში და ამის გამო იგი ადვილად იგულისხმება. მაგალითი: „ყორანი იჯდა მუხის ერთ ხმელს ტოტზე და თ ვ ა ლ ე -“

ბიდან ცრემლი დაპაღუპით ჩამოსდიოდა (გაჟა). „ყოჩანი“, რომელიც დასახელებულია პირველ წინადადებაში და ქვემდებარეა, იგულისხმება მეორეში ირიბ დამატებად. მეორე წინადადება სრულად იქნება: „ყოჩანს თვალებიდან ცრემლი დაპაღუპით ჩამოსდიოდა“.

ზოგჯერ რთულში შემავალი ყველა წინადადება უსრულია. გამოტოვებული წევრი იგულისხმება წინა ნათქვამის (წინადადების) მიხედვით. მაგალითი:

„თიბათვის დღე იყო. გაჭირვებულნი გუგული თავის „გუგუს“ გაიძახოდა. [გუგულს] ბუღოზის დრო მოსვლოდა და [გუგულმა] არ იცოდა ჯერ კიდევ არავისი ბუღე, რომ [გუგულს] კვერცხი ჩაედვა და გამოეჩეკა“ (რაზ.). გამოტოვებული წევრი, რომელიც აქ აღდგენილია და კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული, იგულისხმება წინა წინადადების მიხედვით.

შენიშვნა: წინადადება, რომელშიაც ქვემდებარედ თუ დაზატებად იგულისხმება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები (მე, ჩვენ, შენ, თქვენ), სრულია, თუ სხვა წევრი არ აკლია.

მაგალითები: 1. ხვალ რუსთავს მივდივარ. 2. გუშინ თეატრში განახე.

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ მაგალითები. სრულ წინადადებას ერთი ხაზი გაუსვით, არასრულს — ორი. გამოარკვიეთ, რა წევრები იგულისხმება გამოტოვებულად არასრულ წინადადებაში.

1. — ხროც გესმის? — მკითხა. — რასაკვირველია, მესმის! (წერ.). 2. სად ისწავლე? — სახლში (წერ.). 3. საით, მამა? — ქალაქში ცოტას გულს გადავყოლებ — ალერსიანად გაეხმაურა მოხუცი (ყ. ლორთქ.). 4. დამინახე? — დაიანახე. (ყ. ლორთქ.). 5. — ვინ გითხრა შენ ეგ? — დედამ (წერ.). 6. — დედაშენი სად არის? — ყანაშია, ბიძა ბარნაბა. — სიმინდი მოტეხეს? — მოტეხეს (ყ. ლორთქ.). 7. გაიწურა ზაფხული. დაფრთიანებული კოდალები ბუღდან ამოსხა დედამ და სიხარულით ტყეს მოედუნენ (რაზ.).

სავარჯიშო 2. რომელიმე მოთხრობიდან ამოიწერეთ სრული და უსრული წინადადების ხუთ-ხუთი მაგალითი.

სიტყვათა რიბი მარტივ წინადადებაში

§ 124. სიტყვათა რიგისათვის ქართულში. ქართული ენა მდიდარია სიტყვათა მიმოსახრელი აფიქსებით, ე. ი. ისეთი აფიქსებით, რომელთა მეშვეობითაც გარკვეული ვიმართება მყარდება სიტყვებით

აღნიშნულ საგნებსა და მოვლენებს შორის. მაგალითად, წინადადებაში: „ძალღმა მგელი დაახრჩო“ — ქვემდებარეა „ძალღმა“, ხოლო „მგელი“ პირდაპირი დამატებაა. ახლა ავიღოთ ასე: „ძალღი მგელმა დაახრჩო“. აქ „ძალღი“ პირდაპირი დამატებაა, „მგელმა“. — ქვემდებარე. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვათა რიგი უცვლელი დარჩა, შეიცვალა სახელების სინტაქსური ფუნქცია. ეს შეცვლა იმავე სახელების სხვა ბრუნვის ფორმით შეწყობამ განიჭვია: „მოთხრობითში“ დასმული სახელი ქვემდებარეა, სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი კი პირდაპირი დამატებაა. მაშასადამე, სიტყვებით აღნიშნულ საგნებსა და მოქმედებს შორის მიმართება აფიქსების საშუალებით დაიყარდა. რიგის შეცვლა ამ მხრივ გავლენას ვერ მოახდენს. მაგალითად, ჩარიგადაც უნდა შევცვალოთ მოცემულ წინადადებაში სიტყვათა რიგი, ამით ეს მიმართება არ დაირღვევა (ნ. § 3). ასეა ეს მრავალ შემთხვევაში. ამითაა გამოწვეული, რომ ქართულში (და საერთოდ აფიქსებიან ენებში) სიტყვათა მუდმივი რიგის საჭიროება არცაა, როგორც ამას ზოგ ენაში აქვს ადგილი. სიტყვათა რიგი აქ შედარებით თავისუფალია. ეს კი თავის მხრივ სიტყვებისათვის ადგილებთან შეცვლის დიდ შესაძლებლობას იძლევა, რაც ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ სტილისტიკური მიზნებისათვის, ე. ი. აზრის სხვადასხვა წუანსის გადმოსაცემად.

სიტყვების რიგი ქართულში, როგორც აღვნიშნეთ, შედარებით თავისუფალია, მაგრამ აბაოლუტურად თავისუფალი მაინც არაა. ხშირად ამა თუ იმ წინადადებაში წარმოდგენილი სიტყვების რიგს ყველა შესაძლო ვარიანტი ერთნაირი ღირებულებისა არაა: ზოგი ბუნებრივია, ჩვეულებრივი, საყოველთაოდ ხმარებული, ზოგიც — ხელოვნური, ნაკლებ-ბუნებრივი ან კიდევ სრულიად მიუღებელი. გვაქვს ერთგვარი შეზღუდვა, ე. ი. სიტყვათა რამდენადმე მყარი წყობა გარკვეული შემთხვევებისათვის. ასე, მაგალითად, განსაზღვრება ჩვეულებრივ საზღვრული წევრის წინ დგას (ნ. § 102), პირველ ადგილზე დგას აგრეთვე გარემოება თუ უბრალო დამატება უპირო ზმნით გადმოცემულ წევრთან (ნ. § 126), შემასმენლის წინ დგას კითხვით წინადადებაში კითხვითი ზმნიზედები და კითხვითი ნაცვალსახელები (ნ. § 13) და სხვ.

წინადადება შინაარსისა და აგებულების მიხედვით სხვადასხვაგვარია; ამას კი მნიშვნელობა აქვს სიტყვათა რიგისათვის. ის, რაც ერთისათვის ბუნებრივია და ჩვეულებრივი, მეორისათვის შეიძლე-

ბა სრულიად უჩვეულო იყოს. თვით ერთი ტიპის წინადადებაშიც, მაგალითად მარტივში, არ შეიძლება სიტყვათა რიგის საკითხი ერთნაირად ოდგეს უსუბიექტო ან ერთ-, ორ- და სამპირიან ზმნათა შემცველ წინადადებაში. ეს კი თავის მხრივ იმაზე მიგვითითებს, რომ სიტყვათა რიგი ცალ-ცალკე იქნეს განხილული წინადადების ტიპების წინხედით.

§ 125. სიტყვათა რიგი უქვემდებარო წინადადებაში. შემასმენელს, რომელიც უსუბიექტო (და უობიექტო) ზმნით არის გადმოცემული, შეიძლება ახლდეს გარემოება (ჩვეულებრივ ადგილისა, ღროისა, ვითარებისა), იშვიათად უბრალო დამატებაც. ამ ტიპის წინადადებაში ზმნა-შემასმენელი ჩვეულებრივ ბოლოშია, ხოლო გარემოება მის წინ დგას. მაგალითად: „საშინლად ცხელოდა“ (ვაჟა); „ღრუბლიანს ღამეს თბილა“ (გოგ.); „ტყეში ბნელოდა“ და მისთ. მოყვანილ მაგალითებში თითო გარემოებაა, მაგრამ შეიძლება ერთდროულად იყოს ორი ან მეტი სხვადასხვა სახისა. თუ წინადადებაში ადგილისა და ვითარების გარემოებაა, ან კიდევ ღროისა და ვითარებისა, — შემასმენლს წინ ვითარების გარემოება დადგება, ხოლო ღროისა თუ ადგილის გარემოება თავში მოექცევა: „სახლში მეტად ბნელოდა (კლდ.); „ტყეში თანდათან ჩამობნელოდა“ (რ. გვ.); „წუხელ ძალიან ბნელოდა“... თუ შემასმენელს ერთდროულად სამივე სახის გარემოება ახლავს, ჩვეულებრივი, ე. ი. ბუნებრივი დალაგება ასეთი იქნება: დ რ ო ის გ ა რ ე მ ო ე ბ ა — ა დ გ ი ლ ის გ ა რ ე მ ო ე ბ ა — ვ ი თ ა რ ე ბ ის გ ა რ ე მ ო ე ბ ა — შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი . მაგალითად: „გუშინ ტყეში ძალიან ბნელოდა“. შეიძლება პირველ ადგილზე ადგილის გარემოება იდგეს, მეორეზე — ღროისა: „ტყეში გუშინ ძალიან ბნელოდა“. წარმოდგენილი რიგი ერთადერთი არაა. შეიძლება შეგვხვდეს სხვაგვარი წყობაც (მაგ. გარემოება შემასმენლის შემდეგ), მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი რიგი დასახელებული წევრებისა უფრო ბუნებრივია და ჩვეულებრივი.

§ 126. უბრალო დამატებისა და გარემოების ადგილი სახელ-ზმნით გადმოცემულ წინადადების წევრთან. უპირო ზმნა და მასთან დაკავშირებული უბრალო დამატება თუ გარემოება, საზოგადოდ, არ შეიძლება ერთმანეთისაგან გაითიშოს. ამასთანავე უბრალო დამატება და გარემოება, ცალკე თუ მიმყოლი სიტყვებითურთ, ჩვეულებრივ უპირო ზმნით გადმოცემული წინადადების წევრის წინ

დგას. მაგალითები: 1. ს ი ც ი ვ ი ს ა გ ა ნ დ ა ფ ი ჩ ხ ე ბ უ ლ ი ტოტები კანკალებენ და ცახცახებენ (რაზ.). 2. შ ი მ შ ი ლ ი თ შე წ უ ზ ე ბ უ ლ ი მგლები ღმუოდნენ (რაზ.). 3. ტ ყ ვ ე ო ბ ი თ დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი ძმებში ყოფნითა სტკებოდა (ვაჟა). 4. ა ლ ე - ქ ს ი ძ ლ ი ე რ გ ა მ ბ ე დ ა ვ ი ბ ა ვ შ ვ ი ი ყ ო (გოგ.). 5. მეორე ზამთარს გიორგიმ ქალაქს ჩასვლა ვეღარ გაბედა (გაბ.). 6. მოაგორებს მღვრიე ტალღებს კლდეებში ჩაჭედული ძტკვარი (რაზ.). 7. ცოტა ხნის შემდეგ ყვითელი საშოვრით დატვირთული ბანჯგელიანი სიხარულით მიეშურებოდა ჰკისკენ (რაზ.). 8. ვ ე რ ც ხ ლ ი ს ფ ე რ ნ ა მ ზ ე მ ო ც ი ა ლ ე ს ხ ი ვ ე ბ ი მ ხ ი არ უ ლ ა დ ას თ ა მ ა შ ე ბ დ ნ ე ნ ხ ა ვ ე რ დ ო ვ ა ნ მ დ ე ლ ო ს (ჯაფ.).

პირველ ექვს მაგალითში უპირო ზმნასთან დაკავშირებული უბრალო დამატება თუ გარემოება გაუფერცობელია, ხოლო მეშვიდესა და მერვეში გაერცობილია მიმყოლი სიტყვებით.

გარემოება და უბრალო დამატება უპირო ზმნას ზოგჯერ ერთდროულად ახლავს. ამ შემთხვევაში უპირო ზმნის წინ ჩვეულებრივ გარემოება დგას, ხოლო გარემოების წინ— უბრალო დამატება: 1. ფ რ თ ხ ი ლ ს ძ ა ლ ს პ ა ტ რ ო ნ ი ს გ ა რ ე თ გ ა ს ვ ლ ა არ გამოეპარა (ქავ.). 2. ღ რ უ ბ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო დ დ ა ფ ა რ უ ლ ი მ ზ ე მ ც ხ რ ა ლ ა დ ა შ უ ქ ე ბ ლ ა (რ. გვ.).

უპირო ზმნას შეიძლება ახლდეს რამდენიმე სხვადასხვა შინაარსის გარემოება: „ც ი ვ ა მ ი ნ დ შ ი ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ა დ გ ა რ ე თ ყ ო ფ ნ ი ს შე მ დ ე გ ა გ ი ზ გ ი ზ ე ბ უ ლ ბ უ ხ ა რ თ ა ნ ჯ ღ ო მ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ი ბ ე დ ნ ი ე რ ბ ა ი ყ ო“ (ს. კლდ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ზემოთ განხილულ შემთხვევებში მოცემული წყობა ჩვეულებრივია, ე. ი. პირდაპირი. იშვიათად შეიძლება შეგვხედეს ინვერსიული წყობითაც: „...„და შინისაკენ მოჰქურცხლა აღვსილმა სიხარულითა“ (წერ.).

უბრალო დამატება და გარემოება პირველ ადგილზე დგანან მაშინაც, როცა ისინი ზედსართავ სახელთან ან ზმნიზედსთან არიან დაკავშირებული: 1. ყ უ რ ძ ნ ი თ ს ა ვ ს ე გ ო ღ რ ე ბ ი ს ა ლ ა მ ო ს ბ ი ნ დ შ ი ვ ე ნ ა ხ ის ს ა ნ ა პ ი რ ო ღ ა ნ დ ა რ ა ჯ ე ბ ი ვ ი თ გ ა მ ო ი ყ უ რ ე ბ ო დ ნ ე ნ (ჯაფ.). 2. ამ კლდესაც ხ ა ვ ე რ დ ი ვ ი თ მ წ ვ ა ნ ე ხ ა ვ ს ი გ ა დ ა მ კ ვ რ ი ა (ვაჟა). 3. ვ ე ნ ა ხ ს ქ ვ რ ი ვ ი ძ ა ლ ი ა ნ კ ა რ გ ა დ უ ე ლ ი დ ა (ქავ.). 4. ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო მ კ ა ფ ი ო დ ე ლ ი კ ო ს ხ მ ა ი ს მ ო ღ ა (ქიაჩ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო . გამოარკვეით, უპირო ზმნასა და ზედსართავ სახელს რა წევრები ახლავს და როგორია მათი წყობა.

1. მთიდან ბარად მომდინარი არწივი მის [წიფლის] კენწეროზე ისვენებდა (ვაჟა). 2. ღრუში შეხიზნული ბუ მწარედ გაჰკიოდა (რაზ.). 3. ოთახში დასადგურებულ სინუმეს ქვემეხების გრუხუნნი არღვევდა (რ. გვ.). 4. ხავერდით მწვანე ბლახს აბზინებს სიო ნაზად (წერ.). 5. გამდნარ ოქროს ტბასავეთ მდგარი ყანა თანდათან ტოკვას იწყებდა (რ. გვ.). 6. უკაცოდ დარჩენილი ოჯახი ყველას ეცოდებოდა (რ. გვ.). 7. მთვარის შუქით ალაღაპებული მდინარის მკერდზე გაღმა ნაპირიდან გამოტყორცნილი ხეთა ჩრდილები აღმაანებს ჰგვანდნენ (რ. გვ.).

§ 127. სიტყვათა რიგი ერთპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში. თუ შემასმენელი ერთპირიანი ზმნით არის გადმოცემული და წინადადება გაუვრცობელია, სიტყვათა რიგის ორი ვარიანტია შესაძლებელი: 1. ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე — შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი; 2. შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი — ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე. პირველი წყობა ჩვეულებრივია, მეორე კი შედარებით იშვიათად გვხვდება, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში იგი უპირატესობით სარგებლობს. მაგალითები:

1. ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე — შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი: 1. არჩილი წამოდგა (ვაჟ.). 2. ზამთარი მოახლოვდა (ვაჟა). 3. ქარი გრიალებდა (რაზ.). 4. ალიონმა აიწია. დედამიწა განათდა (ყაზ.). 5. ბუნება თვლემდა. ჩიტები დაფრთხილობდნენ. ტყე გაყუჩებულაყო (ვაჟა).

2. შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი — ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე: 1. დადგა გაზაფხული (რაზ.), 2. წავიდა მერცხალი. წავიდა გუგული (ვაჟა). 3. გათენდა დილა (ყაზ.).

შემასმენელი წინადადების ბოლოში ან თავში მაშინაც, როცა ქვემდებარე გავრცობილია მეორეხარისხოვანი წევრებით. მაგალითად: 1. ერთი კალთა ცისა აიხადა (ვაჟა). 2. შიმშილით შეწუხებული მგლები ღმუოდნენ (რაზ.). 3. მოვიდა შუაგული შემოდგომისა (ვაჟ.). 4. გამოჩნდა მშვენიერი ვაკე ქვეშეს აღმართისა (ყაზ.). 5. დადგა მაძლარი შემოდგომა (ვაჟ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : იშვიათად განსაზღვრება გათიშულია ქვემდებარისაგან და შუასმენელი ქვემდებარესა და გათიშულ განსაზღვრებას შორის არის მოქცეული: დ ი ლ ა გათენდა მ ზ ი ა ნ ი (ან: მ ზ ი ა ნ ი გათენდა დ ი ლ ა).

წინადადება შეიძლება გავრცობილ იქნეს შემასმენელთან დაკავშირებული მეორეხარისხოვანი წევრებითაც, რომლებიც ცალკე ან მიმყოლი სიტყვებით არიან წინადადებაში წარმოდგენილი. გან-

ვიხილოთ ამგვარ წინადადებაში სიტყვათა რიგის რამდენიმე შემთხვევა:

1. შემასმენელთან ერთად წინადადებაში წარმოდგენილია ქვემდებარე და ადგილის გარემოება. ეს ორი უკანასკნელი შეიძლება გავრცობილ იქნეს მიმყოლი სიტყვებით. გვხვდება ამ წევრთა სხვადასხვაგვარი წყობა:

ა) ადგილის გარემოება — ქვემდებარე — შემასმენელი:

1. ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ (წერ.). 2. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა (ვედ.). 3. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა (ლომ.). 4. ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა (გაბ.). 5. ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო (ყაზ.). 6. ტყეში ერთი დიდი მუხა იდგა (ვაჟა). 7. ბურსა-ჭირის ლელეში ურიცხვი ცხვარი იდგა (ყაზ.). 8. შვინდის ტყეში ერთი მუხა იდგა (რაზ.). 9. მოკრიალებულ ცაზე მაისის მზე ბრწყინავდა (რ. გვ.). 10. ქუჩაში ახალგაზრდებს ჯგუფა მოჩანდა (ს. კლდ.). 11. ერთ ადგილს მრავალი თეთრი ყარყატი ბუდობდა (საბა). 12. დაბურულს ტყეში დიდი მუხა იდგა (გოგ.). 13. შუა მინდორზე მდინარე მოიკლაკნება (ვაჟა). 14. ცაზე ღრუბლები ირეოდნენ (ქიაჩ.). 15. დემეტრეს სახლის ეზოში ღვინით სავსე ტიკები ეწყო (ვაჟა).

ბ) ქვემდებარე — ადგილის გარემოება — შემასმენელი:

1. გუდამაყრელები მთაში მიდიოდნენ (ყაზ.). 2. ცხვარი მთის კათლებზე შეფენილიყო (რაზ.). 3. ივანეს ცხენი მეზობლის სიმინდში შეიპარა (გოგ.). 4. ჩვენ კაკლის ძირში შევიყუყუენით (ლომ.). 5. ნოდარი ქასთან მივიდა (რ. გვ.). 6. კოლმეურნეები სასოფლო კალოებისაკენ მიდიოდნენ (ჯაფ.). 7. მზე დასავლეთისაკენ გადიწურა (ვაჟა).

ქართულისათვის ზემოთ განხილული ორივე რიგი ბუნებრივია. მაგრამ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთს ეძლევა უპირატესობა: სტილისტიკურად ეს ორი შემთხვევა ერთნაირი ღირებულებისა არ არის, ისინი აზრის სხვადასხვა ნუანსს ვადმოგვცემენ, სახელდობრ: შემასმენლის წინ ლოგიკური მახვილის მატარებელი წინადადების წევრი ექცევა.

შეიძლება შეგვხვდეს სხვაგვარი წყობაც. მაგალითად: ადგილის გარემოება — შემასმენელი — ქვემდებარე

რე: 1. ქვევით გაიშართა მკვირცხლი თოფის სროლა (ყაზ.). 2. მინდორში გაშლილიყო მშვენიერი უსუხო ყვავილი (გოგ.). ან კიდევ: ქვემდებარე — შემასმენელი — ადგილის გარემოება: პეპლები აფრთხილდნენ ყვავილებზე (რაზ.). და სხვ.

ზოგჯერ შემასმენელს ორი სხვადასხვა მნიშვნელობის ადგილის გარემოება ახლავს, რომელთაგანაც ერთი შემასმენლის წინ დგას, ხოლო მეორე მოსდევს მას: „ორი ბიჭი ყანიდან მოდიოდა სოფლისაკენ“ (გოგ.).

2. თუ წინადადებაში ქვემდებარესა და შემასმენელთან ერთად ვითარების გარემოებაა წარმოდგენილი, ჩვეულებრივი წყობა ასეთია: ქვემდებარე — ვითარების გარემოება — შემასმენელი. მაგალითები: 1. მატარებელი ზანტად დაიძრა (რ. გვ.). 2. პატარა გუგულები თანდათან მოიზარდნენ (გოგ.). 3. ცხენების ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა (ყაზ.). 4. მდინარე წყნარად მოკამკამებდა (ვაჟა). 5. მსხალი ნელნელა ირწყოდა (რაზ.). 6. ცეცხლი ოდნავლა ბუუტავდა (ვაჟა). 7. ღრუში შეხიზნული ბუ მწარედ გაჰკიოდა (რაზ.).

გვხვდება სხვაგვარი წყობაც, რაც სტილისტიკური მიზნებისათვის არის გამოყენებული. სახელდობრ:

ა) ვითარების გარემოება — ქვემდებარე — შემასმენელი: 1. ყველაზე თამამად კოდალა იქცეოდა (ვაჟა). 2. ყველაზე უფრო მკაფიოდ ელიკოს ხმა ისმოდა (ქიაჩ.).

ბ) ვითარების გარემოება — შემასმენელი — ქვემდებარე: თეთრად გადილესა მთები (ვაჟა).

გ) შემასმენელი — ქვემდებარე — ვითარების გარემოება: დუღუნებდნენ ყვავილები ცრთხნად (ვაჟა).

3. შემასმენლის წინ დგას ჩვეულებრივ მიზნისა და დროის გარემოებაც. მაგალითები: 1. ბავშვი განთიადზე დაიბადა (ს. კლდ.). 2. პარტიული კრება გვიან ღამით დამთავრდა (ვაჟა). 3. ფრინველები გასაფრენად ემზადებოდნენ (რაზ.).

დროის გარემოება ხშირად იხმარება წინადადების თავშიც: 1. მალე საღამოს ექვსი საათი შესრულდა (ევდ.). 2. ალიონზე ცა მოიწმინდა (რ. გვ.).

4. ხშირად წინადადებაში რამდენიმე სხვადასხვა შინაარსის გარემოებაა (მაგ. ადგილისა და ვითარებისა, ადგილისა და დროისა, ადგილისა და მიზნისა და სხვ.). ზანვეძილთ ამ ტიპის წინადადების ორიოდ შემთხვევა:

ა) ქვემდებარესა და შემასმენელთან ერთად წარმოდგენილია ადგილისა და ვითარების გარემოება (ცალკე ან მიმოვლი სიტყვე-ბითურთ). გვხვდება სხვადასხვა წყობა:

1. ადგილის გარემოება — ქვემდებარე — ვითარების გარემოება — შემასმენელი: 1. ერთს სახლში თავგები ძლიერ გამრავლდნენ (გოგ.). 2. საძოვრებიდან ძროხები ზოზინით ბრუნდებოდნენ (რ. გვ.). 3. თხმელის ძირში ფიჩხის ცეცხლი ოღნავ ბეუტავდა (ქიაჩ.). 4. ღია კარებიდან ქოხებში მზე უხვად შედიოდა (რ. გვ.). 5. ხშირი ფოთლებიდან წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა (ვაჟა).

2. ქვემდებარე — ადგილის გარემოება — ვითარების გარემოება — შემასმენელი: 1. გამწარებული დედა-ჩიტი ხიდან-ხეზე მოუსვენრად დაფრინავდა (რ. გვ.). 2. თოვლი მზეზე სპეტაკად ბრწყინავდა (ჩაზ.).

3. ადგილის გარემოება — ვითარების გარემოება — შემასმენელი — ქვემდებარე: 1. გაუვალ ქაობებს შუა აქლემის კუზივით მოჩანდა ერთი მომცრო ბორცვი (რ. გვ.). 2. ვენახიდან პატარძალივით მოჩახვად წითლად გამოიყურება ატამი (ვაჟა). 3. ფოთლებიდან წკაპწკაპით ჩამოდიოდა ცვარი წვიმისა (ვაჟა). 4. ბუხარში ისევ გიზგიზებდა ცეცხლი (ს. კლ.).

4. ქვემდებარე — ვითარების გარემოება — შემასმენელი — ადგილის გარემოება: 1. დარცხენილი ძაღლი უხალისოდ გაბრუნდა დერეფნისაკენ (ჯაფ.). 2. პატარა მწყემსები მხიარულად დარბოდნენ მურყიანებში არავის პირას (ვაჟა). 3. მტრედი მხიარულად მიფრინდა ქორაფთან (ვაჟა).

ბ) წინადადებაში დროისა და ადგილს გარემოებაა. მყარი წყობა არც ამ შემთხვევაში გვაქვს. უფრო გავრცელებულია:

1. დროის გარემოება — ქვემდებარე — ადგილის გარემოება — შემასმენელი: 1. ცოტა ხნის

შემდეგ ურმები სოფლებში შემოვიდნენ (ევდ.). 2. გარიყრაჟზე მელია მამლისა და კოდალას საჯდომ ხის ძირას დაიბადა (ვაჟა).

2. დროის გარემოება — ადგილის გარემოება — ქვემდებარე — შემასმენელი: 1. ცოტა ხნის შემდეგ ახმაურებულს ვენახში სიჩუმე ჩამოვარდა (ევდ.). 2. ამ დროს ჩვენის სოფლიდან მამლის ყვილი მოისმა (ვაჟა).

3. ქვემდებარე — დროის გარემოება — ადგილის გარემოება — შემასმენელი: 1. ვანოს მამა გუშინ სოფელში წავიდა. 2. ბავშვი დილით სკოლაში წავიდა.

4. დროის გარემოება — ქვემდებარე — შემასმენელი — ადგილის გარემოება: 1. ორი კვირის შემდეგ შიშია დაბრუნდა ხევსურეთში (ვაჟა).

ზოგჯერ წინადადებაში ორზე მეტი გარემოებაა, ან კიდევ რამდენიმე გარემოებასთან ერთად უბრალო დამატებაც არის წარმოდგენილი. მაგალითად: 1. ყურძნით სავსე გოდრები საღამოს ბინდში ვენახის სანაპიროდან დარაჯებივით გამოიყურებოდნენ (ევდ.). 2. ვანოს მამა დილით ადრე ურმით ქალაქს მიდიოდა (გოგ.). პირველ წინადადებაში წინადადების წევრები (მიმყოლი სიტყვებითურთ) ასეა დალაგებული: ქვემდებარე („ყურძნით სავსე გოდრები“), დროის გარემოება („საღამოს ბინდში“), ადგილის გარემოება („ვენახის სანაპიროდან“), ვითარების გარემოება („დარაჯებივით“), შემასმენელი (გამოიყურებოდნენ). მეორეში: ქვემდებარე („ვანოს მამა“), დროის გარემოება („დილით ადრე“), უბრალო დამატება („ურმით“), ადგილის გარემოება („ქალაქს“), შემასმენელი („მიდიოდა“). ეს რიგი, რა თქმა უნდა, ერთადერთი არაა.

როგორც ზემოთ განხილული შემთხვევებიდან ჩანს, სიტყვათა მყარი რიგი არა გვაქვს, მაგრამ შეინიშნება უფრო გავრცელებული და ბუნებრივი დალაგება წინადადების წევრებისა. ასე, მაგალითად, შემასმენელი ჩვეულებრივ ბოლოშია (უფრო იშვიათად შუაში), ვითარების გარემოება შემასმენლის წინ დგას, ადგილისა და დროის გარემოება იწყებს წინადადებას ან შემასმენლის წინ ექცევა და სხვ. სიტყვათა სხვადასხვაგვარი დალაგებით სხვადასხვა ნუანსია გადმოცემული.

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო . გამოარკევით, რა და რა წვერებისაგან შედგება ქვემოთ მოყვანილი წინადადებები და როგორია მათი რიგი.

ა) 1. ქუჩაში ღრამული იღვა (რ. გვ.). 2. მიწიდან ბალახი იწვერებოდა (რ. გვ.). 3. მინდვრის მიწურულში დიდი მთა მოჩანდა (ვკაე). 4. გარშემო სრული მყუდროება სუფევდა (ყაზ.).

ბ) 1. მინდორი თანდათან მშვიდდება (რაზ.). 2. მატარებელი ქშენით დაიძრა (რ. გვ.). 3. მსხალი ნელ-ნელა ირწეოდა (რაზ.). 4. ცეცხლი სანახევროდ ჩამქრალიყო (ჭაფ.).

გ) 1. ღია საიკმლიდან უეცრად საყვირის ხმა შემოიჭრა (ს. კლდ.). 2. საქონელი მინდორზე საძოვნელად გაიშალა (კვე.). 3. შექვიფებული აკაკი სასტუმროში გვიან დაბრუნდა (რ. გვ.). 4. მხცოვანი პოეტი სასტუმროსაკენ ფეხით გაემართა (რ. გვ.). 5. ყუაილნი მუდამაქამს სიცოცხლეზე საუბრობდნენ (ვკაე).

§ 128. სიტყვათა რიგი ორპირიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ წინადადებაში. ქვემდებარის, ირიბი დამატებისა და შემასმენლის დალაგების ექვსი ვარიანტია შესაძლებელი:

1. ქვემდებარე — ირიბი — შემასმენელი: მთვარე ღრუბელს მოჰფარებოდა (ყაზ.).

2. ქვემდებარე — შემასმენელი — ირიბი: მთვარე მოჰფარებოდა ღრუბელს.

3. ირიბი — ქვემდებარე — შემასმენელი: ღრუბელს მთვარე მოჰფარებოდა.

4. ირიბი — შემასმენელი — ქვემდებარე: ღრუბელს მოჰფარებოდა მთვარე.

5. შემასმენელი — ქვემდებარე — ირიბი: მოჰფარებოდა ღრუბელი მთვარეს.

6. შემასმენელი — ირიბი — ქვემდებარე: მოჰფარებოდა მთვარეს ღრუბელი.

ამ ექვსი შესაძლო ვარიანტიდან პირველი და მესამე ყველაზე გავრცელებულია და ჩვეულებრივი, ამათ შემდგომ — მეორე და მეოთხე, ხოლო მეხუთე და მეექვსე ვარიანტები იშვიათია და უმეტესად შეიძლება პოეზიაში შეგვხვდეს.

1. ქვემდებარე — ირიბი დამატება — შემასმენელი: 1. ნოდარი ფანჯარას მიადგა (რ. გვ.). 2. არწივი ლეშს მიუახლოვდა (ვკაე). 3. დედაჩემი ვახშმის მზადებას შეუდგა (ვკაე). 4. მზე ცის დასავალს ეფარებოდა (ჭაფ.). 5. ნოდარი ტყეს უახლოვდებოდა (რ. გვ.).

თუ წინადადებაში შემასმენელთან დაკავშირებული უბრალო დამატება ან. გარემოება მოიპოვება, ისინი უმეტესად ქვემდებარესა

და ირიბ დამატებას შორის, ან ირიბ დამატებასა და შემასმენელს შორის მოექცევიან. მ ა გ ა ლ ი თ ა დე: 1. დიდრონი ხეები წვერებით ცას ებჯინებოდნენ (ვაჟა). 2. ბაღლები მაშინვე ჩიბუხის ძებნას შეუდგნენ (ვაჟა). 3. მეგობრის ნუგეშიანი სიტყვები იოთამს გულზე მალამოდ წაესო (ვაჟა). პირველ ორ მაგალითში უბრალო დამატება („წვერებით“) და გარემოება („მაშინვე“) ქვემდებარესა და ირიბს შორისაა მოქცეული, ხოლო მესამეში — ირიბსა და შემასმენელს შორის.

2. ქვემდებარე — შემასმენელი — ირიბი დაშატება: 1. ღამე გამოეთხოვა ქვეყანას (ქავ.). 2. ათასფერი ყვავილი ეგებებოდა გაზაფხულს (რაზ.). 3. ჩამავალი მზის ალმაცერი სხივები ერთხოვებოდნენ ტბისპირულას კლდოვან ნაპირებს (ჯაფ.).

უბრალო დამატება თუ გარემოება, სინტაქსურად შემასმენელთან დაკავშირებული, ჩვეულებრივ შემასმენლის წინ დგას: 1. ბეკინა გაკვირვებით მიაჩერდა შვილს (კლდ.). 2. არჩილი გვერდით მიუჯდა გვადის (ქიაჩ.). 3. განხარებული ბექეა ხუსხუსით გაჰყვა წყეულ მელასა (რაზ.).

შენიშვნა: მიზნის გარემოება უმეტესად ბოლოშია: ანუსია ეცა კარებს ბრძანების ასასრულებლად (კლდ.).

3. ირიბი დამატება — ქვემდებარე — შემასმენელი: 1. მტრელს გული დაუმშვიდდა (ვაჟა). 2. უცნობს ფერი ეცვალა (ყაზ.). 3. ვიქტორს სახე გაუბრწყინდა (ჯაფ.). 4. მასპინძელს დვინო მოჰკიდებოდა (ჯაფ.). 5. გაფრენილ ქორს ბაზიერები დაედევნენ (წერა).

მეორეხარისხოვანი წევრები, შემასმენელთან დაკავშირებული, ირიბ დამატებას უსწრებენ წინ ან მოსდევენ მას, ან კიდევ შემასმენლის წინ თუ შემდეგ დგანან. მაგალითები: 1. იმ დამესოთარაანთ ქვრივს ძილი არ მიჰკარებია (ქავ.). 2. მეტისმეტი შრომისაგან ნისლებს ოფლი სდენოდათ (ვაჟა). 3. ნადიბაიძის სიტყვებზე მწყემსებს ჩოჩქოლი შეუდგათ (რაზ.). 4. ალაზნის ველს აქა-იქ თხელი ნისლი ეფინა (ს. კლდ.). 5. ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა (ქავ.). 6. ტყეს თანდათან ჩრდილი მოეფინა (ევდ.). 7. ლელას ცრემლები წამოთვიდა სიცოცხლისაგან (ვაჟა).

4. ირიბი დამატება — შემასმენელი — ქვე-

შ დ ე ბ ა რ ე: დაღლილ აბღულას გაუწყდა მოგონებათა ძაფი (ევდ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები და გამოარკვიეთ, რა რიგით არიან დალაგებული წინადადების წევრები.

1. გაზაფხულის დილის მზე ჯერ მთის მწვერვალს არ ამოსცილებოდა (ევდ.).
2. მატარებელი ჰახათის აღმართს მიუახლოვდა (რ. გვ.).
3. პელაგია დიდი ამბით შეეგება სტუმარს (კლდ.).
4. ყაფლანი უქმყოფილოდ გაუღდა გზას (რ. გვ.).
5. ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცივდა (ყაზ.).
6. ფათერაქას ჩურჩხელის დანახვანე კბილების ძაგმაგი აუტყდა (ევდ.).
7. ახლად აყრილ ყლორტებს წვიმის ცვარები გარს ეხვეოდნენ ლამაზ ცრემლებად (ევდ.).

§ 120. ხიტყვათა რიგი ორპირიანი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში. ქვემდებარის, პირდაპირი დამატებისა და შემასმენლის წყობის ექვსი ვარიანტია აგრეთვე შესაძლებელი:

1. ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე — პ ი რ დ. დ ა მ ა ტ ე ბ ა — შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი: მეურმემ ურემი გააჩერა (ევდ.).

2. ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე — შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი — პ ი რ დ. დ ა მ ა ტ ე ბ ა: მეურმემ გააჩერა ურემი.

3. პ ი რ დ. დ ა მ ა ტ ე ბ ა — ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე — შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი: ურემი მეურმემ გააჩერა.

4. პ ი რ დ. დ ა მ ა ტ ე ბ ა — შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი — ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე: ურემი გააჩერა მეურმემ.

5. შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი — ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე — პ ი რ დ. დ ა მ ა ტ ე ბ ა: გააჩერა მეურმემ ურემი.

6. შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი — პ ი რ დ. დ ა მ ა ტ ე ბ ა — ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე: გააჩერა ურემი მეურმემ.

ამ ექვსი ვარიანტიდან ჩვეულებრივია პირველი სამი, ხოლო დანარჩენი ვარიანტები იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს.

1. ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე — პ ი რ დ. დ ა მ ა ტ ე ბ ა — შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი: 1. ხალხმა სული განაბა (ლომ.). 2. სალამურმა ქვითინი დაიწყო (რ. გვ.). 3. ნოდამრა თვალები დახუჭა (რ. გვ.). 4. ირმის მოკვლა მხიარულებას აათეცებდა (ვაჟა). 5. ვარსკვლავებით მოქედლილი ცა მიწაზე გართულ ლამის საბნელეს ანელუბდა (ქიაჩ.).

მეორე მაგალითში ქვემდებარეს, ხოლო მეხუთეში ქვემდებარესა და პირდ. დამატებას ახლავს მიმყოლი სიტყვები, რომლებიც

გადაადგილებისას უცვლელად გადაჰყვებიან წაჰყვან, ე. ი. მაკაე-
შირებელ წევრებს (ქვემდებარესა და პირდ. დამატებას).

გარემოება თუ უბრალო დამატება, სინტაქსურად შემასმენელ-
თან დაკავშირებული, ჩვეულებრივ პირდაპირი დამატების ან შემას-
მენლის წინ დგას. დროის გარემოება ხშირად თავშია, ე. ი. ქვემდე-
ბარის წინ. მაგალითად: 1. გოგია მ გა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე მეცხვარეობა
პოიწადინა (ვაჟა). 2. მართამ ბ უ ხ რ ი დ ა ნ ცეცხლიანი მუგუზა-
ლი მოარბენინა (ევდ.). 3. პატარა გოგომ ჩ ა ფ ი თ წყალი მოარბე-
ნინა (კლდ.). 4. ამ სიტყვებმა ყ ვ ე ლ ა შ ი უჩვეულო აღტაცება
გამოიწვია (რ. გვ.). 5. კულაც თ ა ვ მ ო მ წ ო ნ ე დ უღვაშებს აცმა-
ცუნებდა (ვაჟა). 6. მხედარმა ცხენი ს ა ძ ო ვ ა რ ზ ე გაუშვა (ვაჟა).
7. მერცხლებმა დერეფნის კ უ თ ხ ე შ ი ბუდე გაიკეთეს (გოგ.).
8. მეორე გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე ცირცელს ფოთლები აღარ გამოუტა-
ნია (რაზ.).

ზოგჯერ მეორეხარისხოვანი წევრი რამდენიმეა. მაგალითები:
1. ნოდარმა მეგობარი ს ა ნ გ ა რ შ ი ნ ე ლ ა დაასვენა (რ. გვ.).
2. მენახირეები ნახირს ს ო ფ ლ ის კ ე ნ ძ ო ვ ნ ი თ მიაყოლებენ
(რ. გვ.). 3. ე რ თ ხ ე ლ თამარს თავისი ბატყანი სიმინდიან თ ა-
ბ ა ხ ზ ე დაეყენებინა (რაზ.). 4. აზვირთებული ტალღები გეჰს
ნ ა ფ ო ტ ი ვ ი თ ისროდნენ ა ქ ე თ-ი ქ ი თ (რ. გვ.).

პირველ ორ მაგალითში მეორეხარისხოვანი წევრები შემასმენ-
ლის წინ დგას ერთმანეთზე მიყოლებით, მესამეში ერთი იწყებს
წინადადებას, ხოლო მეორე შემასმენლის წინ დგას, მეოთხეში
ერთი შემასმენლის წინაა, მეორე კი მოსდევს მას.

2. ქვემდებარე — შემასმენელი — პირდ. დამა-
ტება: 1. ოდნავი ნიაფი არხევდა ყლორტებს (ჭაფ.). 2. ხეები გა-
ნაგრძობდნენ თათბირს (ვაჟა). 3. ფეიქარამ გაათავა თავისი ქსელის
ქსოვა (რაზ.).

თუ ამ ტიპის წინადადებაში მეორეხარისხოვანი წევრიცაა, იგი
ჩვეულებრივ შემასმენლის წინ დაიჭერს ადგილს. მაგალითად:
1. თოვლმა მ თ ლ ა დ დაფარა დედამიწა (ევდ.). 2. ნელი სიო
ო დ ნ ა ვ არხევდა ფოთლებს (რ. გვ.). 3. განთიადი ნ ე ლ ა შლიდა
ფრთებს (ქიაჩ.).

3. პირდ. დამატება — ქვემდებარე — შემას-
მენელი: 1. ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაიღო (ჭავ.). 2. თეოფი-
ლე ცახცახმა აიტანა (რ. გვ.). 3. ერთი თხილის გული ცხრა ძმამ

გაიყო (ანდ.). 4. ოზაზში დასადგურებულ სიჩუმეს ხანდახან ქვე-
ნეხების გრუხუნნი არღვევდა (რ. გვ.).

იშვიათად შემასმენელი წინაა წამოწეული და მას მოსდევენ
პირდ. დამატება და ქვემდებარე, მაგრამ ასეთი წყობა არაა გავრ-
ცელებული. მაგალითები: 1. მოაგორებს მღვრიე ტალღებს კლდეებ-
ში ჩაქედლილი მტკვარი (რაზ.). 2. ზოფლოს ორლობებში დაიწყეს
კრიჭინი მქამელ დადებულ თავის ურამებმა (ქავ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო . გამოარკვეით, რა რიგით არის სიტყვები დალაგებულ-
ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

ა) 1. შეხურებულს გულს სისხლის მოძრაობა აჩქარებინა (ყაზ.). 2. სიცივე
ჰაერში მწვევე ნაპერწყლებს ისროდა (ევდ.). 3. ბახალები სიხარულით მხრებს ატ-
ყაუწებდნენ (რაზ.). 4. მეორე ზამთარს გიორგიმ ქალაქს ჩასვლა ველარ გაბედა
(გაბ.).

ბ) 1. მზე სიხარულით უცქეროდა კრელ ქვეყანას (რაზ.). 2. დაბრყვებულმა
მერცხალმა საცოდავად დაიწყო ჰყვილი (გოგ.). 3. გორაკს მტველები თანდა-
თან აძლიერებდნენ ცეცხლს (რ. გვ.). 4. ნოდარმა ხარბად დაიწყო ქამა (რ. გვ.).

§ 130. სიტყვათა რიგი სამპირიანი ზმნის შემცველ წინადადება-
ში. სამპირიან ზმნასთან, როგორც ვიცით, დაკავშირებულია სამი
მთავარი წევრი: ქვემდებარე, ირიბი დამატება და პირდაპირი და-
მატება. ამ წევრთა დალაგების 24 კომბინაცია არის შესაძლებელი,
რომელთაგანაც ზოგი ბუნებრივია, გავრცელებული, ზოგიც —
იშვიათად ხმარებული.

1. ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე — ი რ ი ბ ი დ ა მ . — პ ი რ დ . დ ა მ . — შ ე -
მ ა ს მ ე ნ ე ლ ი : 1. ნაცნობმა ხმამ დაქრილს ერუანტელი მოკვავა-
რა (რ. გვ.). 2. ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს (ვაჟა).
3. ელიზბარმა თოფს ფალია გამოუტყვალა (ვაჟა). 4. უშვილობა გე-
რასიმეს გულს უკლავდა (ჭაფ.). 5. დარეჯანმა შამანდუხს ნაბადი
დაუგო (ვაჟა).

თუ წინადადებაში შემასმენელთან დაკავშირებული მეორეხარის-
ხოვანი წევრებიც იქნა წარმოდგენილი, ისინი ჩვეულებრივ ირიბი
დამატების წინ იკავებენ ადგილს, ან იწყებენ წინადადებას. მაგა-
ლითად: 1. ერთმა გლეხმა ფ ი ც ხ ლ ა ვ ქ უ დ ს ხ ე ლ ი ი ტ ა ც ა („დედა-
ენა“). 2. მარინამ ჩ უ მ ი დ ი ღ ი ნ ი თ ს კ ი ვ რ ს ხ უ ფ ი ა ხ ა დ ა (რ. გვ.).
3. აკაკიმ მ ა დ ლ ო ბ ი ს ნ ი შ ნ ა დ ხ ა ლ ს თ ა ვ ი დ ა უ კ რ ა (რ. გვ.).

4. დვინის სარგებელში დემეტრემ 'კარაპეტას დვინო შიუწყო (ვაჟა).

2. ირიბი დამ. — ქვემდებარე — პირდ. დამ. — შემასმენელი: 1. შიშიას გულმა ფრთხილი დაუწყო (რაზ.). 2. პატარა მაროს ძმამ მერცხლის ბარტყი მიუყვანა (გოგ.). 3. გაზაფხულზე დაწყებულ საქმეს ზაფხული გვირგვინს დაადგამს (ვაჟა). 4. დედას გულმა ტეხა დაუწყო (ვაგ.).

3. ქვემდებარე — შემასმენელი — პირდ. დამ. — ირიბი დამატება: 1. ირაკლიმ სიხარულით ჩამოართვა ზელი მირზას (რ. გვ.). 2. თვალებგაბრწყინებული მარო აღტაცებით უჩვენებდა კაჟკაჟს დაძმებსა (რაზ.).

მეორეხარისხოვანი წევრი (აქ: ვითარების გარემოება) შემასმენლის წინ დგას.

4. ქვემდებარე — ირიბი დამ. — შემასმენელი — პირდ. დამატება: 1. ლუარსაბმა ჰერს მიაბჯინა თვალები (ვაგ.). 2. გაკერებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწვავი ტყვილი გულისა (ვაგ.).

5. ქვემდებარე — პირდ. დამ. — ირიბი დამ. — შემასმენელი: 1. ყველამ თვალი კოდალას მიაპყრო (ვაჟა). 2. არწივმა ფრთა ფრთას შემოჰკრა (რაზ.).

6. ქვემდებარე — პირდ. დამ. — შემასმენელი — ირიბი დამატება: ვანომ გრძნობიერი წერილი მისწერა დედ-მამას (გოგ.).

დასახელებული შემთხვევები ყველაზე უფრო გავრცელებულია. როგორც ვხედავთ, სამპირიანი ზმნის შემცველ წინადადებაში პირველ ადგილზე ჩვეულებრივ ქვემდებარე ან ირიბი დამატება, ბოლოში — შემასმენელი ან ერთ-ერთი (ზოგჯერ ორივე) დამატება, შუაში — ირიბი და პირდაპირი, ქვემდებარე და პირდაპირი. შემასმენელი და პირდაპირი, ირიბი და შემასმენელი, ან კიდევ პირდაპირი დამატება და შემასმენელი. ამ ტიპის წინადადებაში ჩვეულებრივ არ გვხვდება თავში პირდაპირი დამატება ან შემასმენელი.

შენიშვნა: ხშირად სამპირიან ზმნასთან გამოტოვებულია ქვემდებარე ან დამატება: ამ შემთხვევაში ესა თუ ის წევრი შეიძლება ისეთ ადგილსაც შეგვხვდეს, რომელიც არაა ბუნებრივი მაშინ, როცა ყველა წევრი მოიპოვება.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო . გამოარკვიეთ, რა თანამიმდევრობით არიან დალაგებული წინადადების წევრები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში.

1. ვაჟაკი დაცემულ მტერს ხელს არ ახლებს (ლომ). 2. ტაგანას ფშავლები რძის საწველ პატარა კოდს უძახიან (ვაჟა). 3. კაცის მოკვლის ამბავი პაპას თავზარსა სცემს (ვაჟა). 4. ჩემს ფანჯრის ზევით მერცხალი ბუდეს უკეთებს შვილებსა („ღედა ენა“). 5. დიდი ხვეწნის შემდეგ ბიძამ ლადას კაცანათი გაუკეთა (ვედა). 6. პეტრემ ყმწვილებს ქვეშ გაუშალა თავისი ნაბადი (ვაჟა).

შერწყმული წინადადება

§ 131. შერწყმული წინადადების რაობა და ტიპები. ზოგიერთ წინადადებაში მოიპოვება რამდენიმე ერთგვარი წევრი, რომელნიც თანწყობით არიან ერთმანეთთან შეერთებული, უკავშირდებიან ერთსა და იმავე წევრს და მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზე. ასეთ წევრებს ერთგვარი წევრები ჰქვია. მაგალითი: „ცისა ლაქვარღზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუშდვრე ვლად“ (ვაჟ). აქ შემასმენელთან („მოჩანდა“) ორი ერთგვარი ვითარების გარემოებაა დაკავშირებული: „თეთრად და აუშდვრე ვლად“.

ისეთ წინადადებას, რომელშიაც რამდენიმე (ორი ან ორზე მეტი) ერთგვარი წევრი მოიპოვება, შერწყმული (ერთგვარწევრიანი) წინადადება ჰქვია.

შერწყმულ წინადადებაში შეიძლება იყოს: 1. რამდენიმე ერთგვარი შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან: „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა“ (წერ).

2. რამდენიმე ერთგვარი ქვემდებარე ერთ შემასმენელთან: „ტყე, მინდორი და ველი ბიბინებდა“ (ვედა).

3. რამდენიმე პირდაპირი დამატება ერთ შემასმენელთან: „თოვლს დაეფარა თეთრად მინდორი, ტყე და ველი“ (ვედა).

4. რამდენიმე ირიბი დამატება ერთ შემასმენელთან: „ფრინველებსა და ცხოველებს მოუსვენრობა ეტყობოდათ“ (რაზ).

5. რამდენიმე ერთი შინაარსის უბრალო დამატება ერთ შემასმენელთან: „ფიჭობს. ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე“ (ვაჟა).

6. რამდენიმე განსაზღვრება ერთ საზღვრულთან: „წვრილი,

მაგრამ ხვრიში თოვლი მიმავლებს პირისახეს უწყებლავდა“ (ყაზ.).

7. რამდენიმე გარემოება ერთ შემასმენელთან: „ლომი სიბრაზი-საგან თვალებიდან და კბილებიდან ცეცხლსა ჰყრიდა“ (ვაჟა).

ზოგი წევრი (მაგალითად, უბრალო დამატება, გარემოება) რამდენიმე სახისაა. ამიტომ შერწყმული წინადადებაც, ზემოთ დასახელებულ შემთხვევებს გარდა, კიდევ სხვადაა შესაძლებელი.

რამდენიმე ერთგვარი უბრალო დამატება და გარემოება შეიძლება ახლდეს სახელზმნით (საწყისით თუ მიმღეობით) გადმოცემულ წინადადების ამა თუ იმ წევრსაც: 1. „მთლად ტყავში, ნაბადსა და ყაბალახში გახვეული პატარა ბიჭი ცხენს ღიერეკებოდა“ (ყაზ.). 2. „გიორგის კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა“ (ქავ.). პირველ წინადადებაში სამი ერთგვარი უბრალო დამატება ახლავს მიმღეობით გადმოცემულ განსაზღვრებას („გახვეული“), მეორეში — ორი ვითარების გარემოება („კოხტად და ფაქიზად“) საწყისით გამოხატულ წინადადების წევრს („ჩაცმა-დახურვა“).

ერთგვარ წევრებს ჩვეულებრივ გრამატიკული ფორმაც ერთი აქვთ, მაგრამ ეს არაა აუცილებელი. მაგალითად, წინადადებაში: „ტბა მოსვენებით და შეუშფოთებლად იდგა“ (ვაჟა) — ორი ერთგვარი ვითარების გარემოებაა, რომელთაგანაც პირველი მოქმედებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მეორე — ვითარებითისა.

ერთგვარი წევრები ზოგჯერ გავრცობილია სხვა სიტყვებით: „ჩვენი პატარა მდინარე მრისხანედ აბურცდა და მღვრიე ტალღებს შეუწყვეტლივ სცემდა ვიწრო ნაპირებს“ (გოგ.). ეს წინადადება შერწყმულია შემასმენლების მიხედვით („აბურცდა“, „სცემდა“). პირველს ახლავს ვითარების გარემოება („მრისხანედ აბურცდა“), მეორეს — ვითარების გარემოება („შეუწყვეტლივ სცემდა“) და პირდაპირი და ირიბი დამატება თავთავის: განსაზღვრებითურთ („სცემდა მღვრიე ტალღებს“, „სცემდა ვიწრო ნაპირებს“).

ზოგჯერ ერთგვარ წევრებს წარმოადგენს ცინტაქსურად დაუშლელი სიტყვათა შეკავშირება. მაგალითი: „სახლიდან ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდან სასაფლაომდე კუბო

ეჭირა არჩილს (ვაჟ.). აქ ორი ერთგვარი ადგილის გარემოებაა: 1. „სახლიდან ეკლესიამდე“, 2. „ეკლესიიდან სასაფლაომდე“.

წინადადებაში შეიძლება იყოს რამდენიმე წყება ერთგვარი წევრებისა. ასეთი წინადადება შერეული სახის შერწყმული წინადადება იქნება. მაგალითად, „გარეული ბატები მწკრივად და სისინით მისდევდნენ იშვანე ბალახს და გაშმაგებით მისთიბავდნენ“ (ვაჟა). ამ წინადადებაში ერთ ქვემდებარესთან ორი შემასმენელია („ბატები მისდევდნენ და მისთიბავდნენ“); ამათგან პირველს ორი ვითარების გარემოება ახლავს („მწკრივად და სისინით მისდევდნენ“). მაშასადამე, ეს წინადადება შერეული სახის შერწყმული წინადადებაა.

ერთგვარი წევრები ერთმანეთთან შეერთებულია ან კავშირითა და ინტონაციით, ან კიდევ უკავშიროდ, მხოლოდ ინტონაციით. მაგალითად, წინადადებაში: „ღრუბლიანი, მაგრამ წყნარი დღე იყო“ (ევლ.) — ერთგვარი წევრები („ღრუბლიანი“ და „წყნარი“) შეერთებულია კავშირით („მაგრამ“), რასაც თან ახლავს სათანადო ინტონაცია. ამ წინადადებაში კი: „მურია ღრინავს, ყფეს, ტრიალებს“ (ვაჟა) — შემასმენლები შეერთებულია უკავშიროდ, მხოლოდ ინტონაციით. როცა ერთგვარი წევრი ორზე მეტია, შეერთება ჩვეულებრივ კავშირისადაც არის და უკავშიროც. „ფრინველები მარდად და ხტოდნენ ხეებზე, გალობდნენ და კიკიკებდნენ“ (გოგ.).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა ტიპისაა შერწყმული წინადადება, როგორაა ერთგვარ წევრთა შეერთება.

1. ტყეში შეცოტავდნენ ფრინველები და პატარა ნადირები (გოგ.). 2. გიორგიმ ცხენები ცოტა მომორებით წაიყვანა, ჩაუკრა თავები და საძოვარზედ მიუშვა (ყაზ.). 3. მისმა ხმამ დაიარა მთება და კლდეები (ვაჟა). 4. ხერხსა, სატეხსა, ხელეჩოს, ნაჯახს, ცულს ვენაცვალეები (წერ.). 5. მიხაროდა დედის, ძმის, ნათესაეების, მეზობლების ნახვა (ქიაჩ.). 6. ტანზედ მაცვია პატარა, მოკლებეწიანი, თეთრის თვლებით მოწინწყლული თხელი ქათიმი (ვაჟა). 7. ბულბულები პალებსა და ტყეებში საამურად უსტეენენ (გოგ.). 8. ხეხილა წითლად, ყვითლად, თეთრად ყვავდა (ვაჟა). 9. იქ ყვავილები გაშლილან ჩემს საზრდოდ, საწუწნელადო (წერ.). 10. ამოვიდა მთვარე და გაანათა ტყე, მთა, ბნელი კუნძულები (ვაჟა). 11. ანდრიამ ყურები ცქციტა, წამოდგა ფეხზე, შუბლთან მიდებული გაშლილი ხელით თვალები დაიჩრდრა და დასავლეთისაკენ გაიხედა (ლომ.). 12. მაღალ, დაუსრულებელ ცის სივრცეში რომელიღაც ონავარი ფრინველი დინჯად ცურავდა და ამპარტანულად გადმოსცქეროდა მის ქვეშ ვადაშლილ ბუნების უხესა და მდიდარ სუფრას (ლომ.). 13. მზე და ჩრდილი,

ნათელი და ბნელი, ტკივილი და აშკარა ერთმანეთში გაება და ჩაეწნა (კავ.).
14. ალკათის დილაღ დაროსავით უძილო, მოღუშული, ცრემლიანი და შფოთიანი გათენდა (მ. კავ.).

§ 132. უკავშირო შეერთება. უკავშირო წინადადებაში ერთგვარ წევრებს შორის მცირე პაუზაა (შესვენება).

წერაში უკავშიროდ შეერთებული ერთგვარი წევრები მათთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვებითურთ ერთმანეთისაგან ჩიძიმით გამოიყოფა. მაგალითები: 1. „ისინი შეხაროდნენ სიცოცხლეს, ბუნებას, გაზაფხულს“ (ევდ.). 2. „ერთ დროს უზარმაზარ ზუზას ვკვებდით, საზრდოს ვაწვდიდით, ძუძუს ვაწოვებდით“ (ვაჟა). უკავშირო შერწყმულ წინადადებაში იმდენი მძიმე იწერება, რამდენი ერთგვარი წევრიც მოიპოვება შიგ ერთის გამოკლებით. მაგალითად, მოყვანილ წინადადებებში სამ-სამი ერთგვარი წევრია და მძიმე ორ-ორჯერ არის ნახმარი.

თუ დამწერს ერთგვარ წევრთა ჩამოთვლა დამთავრებულად არ მიაჩნია და კიდევ გულისხმობს რაღაცას, წინადადების ბოლოს მრავალწერტილი იწერება. „მამამ შვილისათვის მალაზიაში იყიდა რვეულები, წიგნები, ფანქრები...“.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები, დაუსვით სასვენი ნიშნები. გამოარკვიეთ, რა წევრის მიხედვით არის წინადადება შერწყმული. ერთგვარ წევრებს ქვეშ ხაზი გაუსვით.

1. ჩვენი ხუმრობა მღერა სიცილი ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა (კავ.). 2. ნისკარტიდან, კლანჭებიდან არწივს სისხლი სდიოდა (ვაჟა). 3. მშვილდისარით შაშვსა ესდევდით ჩიტს ვუღვამდით კაკანათსა ლასტს ვუგებდით ბელურებსა (ერ.). 4. თაგვები შეიყარნენ საღამოზე ერთად დაკარეს დაფს ღოღს დაირას დუღუკს ზურნას (ვაჟა). 5. დაშრა ცივი წყაროები მოჩუხჩუხე ხეებზე ნაკადულები (ვაჟა). 6. ფხვიერი გამშრალი მტვრად ქცეული მიწა მოცურავდა პაწაწა ზეავებად (რაზ.). 7. ჩიტები ეღიველივებდნენ გალობდნენ უსტვენდნენ (ყაზ.). 8. კიბლუები დათბნენ ვაცოცხლდნენ გამოძვრნენ მსხლას ქერქილან (რაზ.). 9. ნაბრალთა მიდამოები მალე აივსო ძვლებით ბუმბულით ნადირთა ბალნით (ვაჟა). 10. თოვლზე ვხედავდი ფრთებმოკუმულ უსიცოცხლო ბელურებს ჩხიკებს ყვავ-კაქკაქებს (ევდ.). 11. მას მუსაიფი დაუწყო ცამ ღეღამიწამ ტყემაო (ვაჟა).

§ 133. კავშირიანი შეერთება. წინადადების ერთგვარ წევრებს აერთებს მაერთებელი კავშირები: მაჯგუფებელი, მაცალკეებელი, მაპირისპირებელი.

1. მაჯგუფებელი კავშირები: და, თუ.

შერწყმულ წინადადებაში „და“ ორ ერთგვარ წევრს აერთებს, რთულში კი — ორ წინადადებას. თუ წინადადებაში ერთგვარი წევრი ორზე მეტია, ჩვეულებრივ ორი უკანასკნელია „და“-თი შეერთებული, დანარჩენები კი — ინტონაციის საშუალებით. „და“-ს ხმარება უკანასკნელი წევრის წინ მიუთითებს, რომ ერთგვარ წევრთა ჩამოთვლა (დასახლება) დამთავრებულია. მაგალითი: „გიორგიმ ცხენები ცოტა მოშორებით წაიყვანა, ჩაუკრა თავები და საძოვარზე მიუშვა“ (ყაზ.). ამ წინადადებაში სამი ერთგვარი შემასმენელია, რომელთაგანაც პირველი და მეორე უკავშიროდაა შეერთებული, მეორე და მესამე — „და“ კავშირით.

„თუ“-ს ხშირად „და“-ს მნიშვნელობა აქვს, ე. ი. აჯგუფებს ერთგვარ წევრებს: „ნ ა ც ვ ა ლ ი თ უ ი ა ს ა უ ლ ი ო თ ა რ ა ა ნ თ ქ ვ რ ი ვ ი ს ე ზ ო შ ი ვ ე რ გ ა ი წ ა წ ა ნ ე ბ დ ნ ე ნ“ (ქავ.).

ერთგვარი წევრები ზოგჯერ კავშირიან წყვილულებს წარმოადგენს: 1. „მისი [ნზრს] სხივები ბრწყინვალეებით მოეფინა ცასა და ქვეყანას, მთასა და ბარს, ტყესა და მინდორს“ (ლომ.). 2. „კაცი თუ დედაკაცი, დიდი თუ პატარა თავგამოდებით მუშაობდა“ (ვაჟა).

„და“ და „თუ“ კავშირებით შეერთებულ ერთგვარ წევრებს შორის მძიმე არ დაისმის (ნ. ზემოთ მაგალითები).

„და“ კავშირის წინ მდგომი სახელი მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ჩვეულებრივ გავრცობილია: „ქალსა და კაცს“, „აგურისა და ქვას“, „თოფითა და ხმლით“.

თუ მიცემითსა და ნათესაობითში დასმულ ერთგვარ წევრებს (უბრალო დამატებასა და გარემოებას) ერთი და იგივე თანდებული მოუღოს, „და“-ს წინ მდგომი ჩვეულებრივ უთანდებულოდ იხმარება: „ბულბულები ქალებსა და ტყეებს ში საამურად უსტვენდნენ“ (გოგ.). თუ ერთგვარ წევრებს გაძლიერების მიზნით ცნაწილაკი დაერთვოს, და-ს წინ მდგომიც თანდებულიანია: „ერეკლემ მალე ბრწყინვალედ გაიმარჯვა სპარსელებზე და ც და ოსმალებზე და ც“ (გოგ.). თუ ერთგვარი წევრები ორზე მეტია, და-ს წინ მდგომი ჩვეულებრივ უთანდებულოა, დანარჩენებთან სჯობს თანდებულის განმეორება: „ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე“ (ვაჟა).

ერთგვარ წევრებს (გარდა შემასმენლებისა) გაძლიერების მიზნით შეიძლება ც (ცა) ნაწილაკი დაერთოს: „ხალიჩა ც მოართვი,

მ უ თ ა ქ ა ც ა, ქ ვ ე შ ა გ ე ბ ი ც“ (ჭავ.). ერთგვარ შემასმენლებს ამავე მიზნით ც-ს ნაცვლად კიდევ უძღვის წინ: „კ ი დ ე ც კ რ ის, კ ი დ ე ც კ ე რ ა ვ ს“. ზოგჯერ და კავშირიც არის ნახმარი; მაგალითად: „კ ი დ ე ც კ რ ის და კ ი დ ე ც კ ე რ ა ვ ს“.

უკუთქმით წინადადებაში ც ნაწილაკის განმეორებულად ხმარება აუცილებელია. ამ შემთხვევაში იგი დაერთვის არა წინადადების წევრს, არამედ უარყოფით ნაწილაკებს და ვლებულობთ: არც — არც, აღარც — აღარც, ვერც — ვერც, ნურც — ნურც. მაგალითები:

1. „ფუჭი კაკალი არც ყვავს არგია, არც კაცსაო“ (ანდ.).
2. „აღარც ცხვირი ეტყობოდა საბრალოს, აღარც წვერი და აღარც თვალები“ (ვაჟა).- 3. „იმ დალოცვილსა ვერვინ ასწრებდა ვერც ხვნას, ვერც თესვას და ვერც ა მკასა“ (ჭავ.). 3. „ნუ მოუშვებ ჩემთან ნურც ქორს, ნურც ალაღს“ (ვაჟა). ზოგჯერ და კავშირიც არის ნახმარი (ნ. მეორე და მესამე მაგალითი). როცა უკუთქმით წინადადებაში შემასმენელი წინ არის წამოწეული, მაშინ მას მაინც ახლავს უარყოფის ნაწილაკი ც-ს დაურთველად: „არ გვარიდებდნენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც დარს და არც ავდარს“ (წერ.). (ნ. აგრეთვე მეორე მაგალითი). თუ შემასმენელს გადავწევთ, მას უარყოფითი ნაწილაკი აღარ უნდა: „არც სიცივეს გვარიდებდნენ, არც სიცხეს, არც დარს და არც ავდარს“.

ც- და ცა-დართული განმეორებული ნაწილაკებით შეერთებულ ერთგვარ წევრებს შორის (არც — არც, ვერც — ვერც, ნურც — ნურც...) მძიმე დაისმის, თუ არ არის ნახმარი და კავშირი (ნ. მაგალითები ზემოთ).

მაჯგუფებელი კავშირების მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე საპირისპირო ცალგების მქონე ზოგიერთი კავშირიც: არა მარტო..., არამედ; არათუ..., არამედ კიდევ; არათუ..., კიდევ; როგორც...; ისე. ამ კავშირებთან დას გამოიყენება შეუძლებელია. ერთგვარი წევრები ერთმანეთისაგან აქაც მძიმით გამოიყოფა.

მაგალითები: 1. ბუზებს გაბეზრებული ჰყავთ არა მარტო აღამიანები, არამედ შინაური ცხოველებიც (ვოგ.). 2. სვანეთში არა თუ ვყოფილვარ, მიცხოვრია კიდევ (ან: სვანეთში არა თუ ვყოფილვარ, არამედ მიცხოვრია კიდევ). 3. აკაკის დედამ

კარგად იცოდა რ ო გ ო რ ც ხალხური პოეზია, ი ს ე ძველი ქართული მწერლობაც.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ. მაგალითები. დასვით სასვენი ნიშნები. ერთგვარ წვერებს ერთი ხაზი გაუსვით, კავშირებს — ორი.

1. გაგულისებული ნისლი უშიშრად ამოდინდა დედამიწიდან და ოხშივარსავეთ ეფინებოდა მწვანე მინდორს (ყაზ.). 2. კაცი თუ დედაკაცი დიდი თუ პატარა თავგამოდებით მუშაობდა (ვაჟა). 3. ფრინველები დიდ ქუეას იჩენენ ყველა თავის მოქმედებაში: საკმლის შოვნაში ბუდის კეთებაში მტრის მოგერიებასა და მოტყუებაში შვილების გაზრდასა და იმათ დაფრენაში (გოგ.). 4. სულ ტყუილი ყოფილა პურმარილიც პატივისცემაც სიყვარულიც მეგობრობაც (კვა). 5. სისხლი სისხლით არც დაბანია არც დაიბანება (ვაჟა). 6. აღარ ისმოდა შემოდგომით გულის მანათობელი ხარ-ირმის ყვირილი აღარც შვლას ხავილი აღარც ტურის ჩხავილი და აღარც ყმული მშიერი მგლისა (ვაჟა). 7. ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს ვერც სიცხე ვერცა ზამთარი (კვა). 8. ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა ნუცა ავდარსა (ბარ.). 9. [სეტყვას] ვაზებისათვის არა მარტო მტევნები არამედ ტოტები და ფოთლებიც კი დაემტვრია (ლომ.). 10. სხვა ქვეყნის წყლის არამც თუ გემო არამედ ხმაურობაც კი ისეთს მოაღერსედ აღარ ეჩვენებოდა (ყაზ.). 11. ვანომ კარგად შეისწავლა როგორც რუსული ისე ფრანგულიც.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. ფუძის სახით წარმოდგენილი ერთგვარი წვერები სათანადოდ გააფორმეთ და მაგალითები ასე გადაიწერეთ. სასვენი ნიშნები დასვით.

1. მთლად ტყავ.. ნაბად.. და ყაბალაში გახვეული ბიკი ცხენს მიერეკებოდა (ყაზ.). 2. ამ ყოფა... და ქუეის გონიერ ვარჯიშობაში გადიოდა დილა (კვა). 3. მახლობელ ბაღ.. და ზერებში მებობელი გლეხები მუყაითად ტრიალებდნენ (რ. გვ.). 4. დიდ ვაება.. და საგონებელში ჩავარდა თავების გუნდი (ვაჟა). 5. მერცხალი გარიერაიდან საღამომდე დაულაღავად დანადირობს ბუზებ... კოლოებ... ქინკლებ... და სხვა ამგვარ მწერებზე (გოგ.). 6. ნადირები მიიმალნენ თხილ ბუნავებ... და სორიებშა (გოგ.). 7. ვყოფილვარ იქაურ ვენახებში მინადირნია ბებერ კაკლებ... თუთებ... და ტირიფებზე (ვაჟა).

2. მაცალკევებელი კავშირებია: ხან... ხან... (ხან... ხან კი, ხან... ხანაც, ხან... ხან კიდევ), ან (ან... ან, ან... ანდა, ან... ან არადა), თუნდ... თუნდ, გინდ... მაცალკევებელი კავშირები ჩვეულებრივ მეორდება. უკანასკნელის წინ ზოგჯერ და-ც არის ნახმარი.

„ხან... ხან“ აღნიშნავს მოქმედების მონაცვლეობას, რიგრიგობას დროში: 1. „მოუხსენარი შაშვი ხ ა ნ ერთ ბუჩქში ჩაფრინდებოდა, ხ ა ნ მეორეში“ (ვედ.). 2. „კაჰკაჰი ხ ა ნ თელის კენწეროს მოექცეოდა, ხ ა ნ მღეროდა თავისებურად, ხ ა ნ ა ც ფრენით შემოუვლიდა ეზოს“ (ვედ.).

ან; ან... ან (ან... ანდა, ან... ან კიდევ...) გულისხმობს ერთ-ერთის არჩევას რამდენიმესაგან, სხვების გამორიცხვით: „დიდს მტერს კაცი ან შეეხვეწება და ან გარდაეხვეწება. სწორს მტერს ან პასუხს უზამს, ან მოუფრთხილდება“ (საბა).

ან-ს უახლოვდება მნიშვნელობით გინდ (← გინდ-) და თუნდ (← თუ უნდა): „შენ თუნდ წადი, თუნდ დარჩი (მ. ჯავ.)“.

მაცალკეებელი კავშირებით შეერთებულ ერთგვარ წევრებს შორის მძიმე დაისპის, თუ მაცალკეებელ კავშირთან ერთად არ არის ნახმარი და კავშირიც. მაგალითად, „გივი ხან წიგნს კითხულობს, ხ ა ნ სურათს ხატავს“; „გივი ან წიგნს კითხულობს, ა ნ სურათს ხატავს“; „გივიმ გინდ წიგნი იკითხოს, გ ი ნ დ სურათი ხატოს“; „თუნდ წიგნი იკითხოს, თ უ ნ დ სურათი ხატოს“. მოყვანილ მაგალითებში და არ არის ნახმარი და მძიმე იწერება. და კავშირი რომ ვინმართ, მძიმე აღარ დაიწერება. მაგ., „გივი ხან წიგნს კითხულობს და ხ ა ნ სურათს ხატავს“ და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ე ა: როცა ან ერთხელ არის ნახმარი, ერთგვარ წევრებს შორის მძიმე ჩვეულებრივ არ დაისპის; მაგალითად: „მიყიდე ვაშლი ან ყურძენი“, „ნახე იმ ბავშვის დედა ან მამა“, „წავიდეს გივი ან ვანო“ და მისთ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები, დასვით სასენი ნიშნები. ერთგვარ წევრებს ერთი ხაზი გაუსვით, მაცალკეებელ კავშირებს — ორი.

1. [ქორი] ხან კაკაბსა და როკოს იქერდა ხან ქედანსა სდევნიდა ხან სოჯლად ჩამოვარდებოდა (რაზ.). 2. შუე ხან გამოაშუქებს ხან თვალებს ხუქავს (ვედ.). 3. [ბულბული] ხან დაკვენისის ვარდის ბუჩქებს ხან უგალობს სავეს შთვარეს ხან ყურს უგდებს მოქანცული წყაროს, ლურჯად მომჩქეთარეს (მღვ.). 4. [ჩხივი] ან შველსავით დაიხაველბდა ან ხის ტოტებზე ქურღულად დაიწყებდა ფრენას (ვაჟა). 5. ან მოგიყვან იმ ცხენს ან თავს შეესწირავ შენს მეგობრობას (წერ.). 6. ან გამოცანებს ვამბობდით და ან სხებერ როგორმე ვიქცევდით თავს (წერ.). 7. ბავშვი ხან ძნას ეზიდებოდა ხან წყალში ბანაობდა ხან მარწყვს კრეფდა და ხან მწერებს დასდევდა (გოგ.). 8. [არსენა] უნებურად ხან ხმალზე ისვამდა ხელს ხან ხანჯალს აწვალებდა ხან კიდევ წელზე დამბაჩას ისინჯავდა (მ. ჯავ.).

3. შაპირისპირებელი კავშირებია: მაგრამ, ხოლო, კი, არამედ. ოღონდ, თუმცა. ამათგან „არამედ“ ცალკე არ გვხვდება. იგი უპირისპირდება ამათ: „არა“, „კი არა“, „კი ნუ“ (არა — არამედ, კი არა — არამედ, კი ნუ — არამედ). „მაგრამ“, „ხოლო“, „არამედ“ კავშირები საპირისპირო ზიტყვათაგან იწყებენ ყოველთვის მეორეს და მათ წინ მძიმე დაისპის. „კი“ კავშირო საპირისპირო ზიტყვის

შემდეგაა, ამიტომ მძიმე მძს წინ კი არ დაისმის, არამედ იქ, სადაც მთავრდება პირველი საპირისპირო სიტყვა მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ. მაგალითები:

1. ღრუბლიანი, მ ა გ რ ა მ წყნარი ღლე იყო (ეგდ.).
2. ხოსრომ ოჟთის ნაწილი გალიაში ჩაყარა, ხ ო ლ ო დანარჩენი პეშვით თვითონ შექამა (რ. გვ.).
3. ფანომ ერთი შვილი აქ დატოვა, მეორე კი მოსკოვში წაიყვანა.
4. იყიდე ა რ ა ვაშლი, ა რ ა მ ე დ ყურძენი.
5. ვანო კ ი ა რ ზარმაცობს, ა რ ა მ ე დ ბეჯითად სწავლობს.
6. გულს კ ი ნუ გაიტეხ, ა რ ა მ ე დ გამხნევდი.
7. ვანო კეთილია, ო ლ ო ნ დ გულმავიწყი.
8. ვანო დიდია, თ უ მ ც ა უღონო.

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო . გადაიწერეთ მაგალითები; დასვით სასვენი ნიშნები. ერთ-ვეარ წვერებს ქვეშ ერთი ხაზი გაუსვით, მაპირისპირებელ კავშირებს კი — ორი.

1. თამარმაც შეიხელა მალა მაგრამ იქ წერობის გუნდის მეტი ვერაფერი დაინახა (რახ.).
2. კაცმა ხანჯლის ტარს გაივლო ხელი მაგრამ ისევ თავი შეიკავა (ყახ.).
3. მგელს წითელი ენა გადმოეგდო ხოლო თავის ნამოქმედარს თვალს არ აშორებდა (ვავა).
4. მთელ ღღეს წიგნებს კვითხულობდი ახლა კი ვისვენებ.
5. მოვიდეს არა დედა არამედ მამა.
6. გინდ წადი გინდ დარჩი.
7. ბავშვმა კი არ უნდა იზარმაცოს არამედ ბეჯითად უნდა ასწავლოს.
8. კი ნუ ზარმაცობ არამედ ბეჯითად ისწავლე.
9. ზოგი ბავშვი ზარმაცია თუმცა ნიჭიერი.

§ 184. ერთგვარი და არაერთგვარი განსაზღვრება. საზღვრულს შეიძლება ახლდეს რამდენიმე (ორი ან მეტი) ერთგვარი ან არაერთგვარი განსაზღვრება.

რამდენიმე განსაზღვრება ერთგვარია, თუ ყოველი მათგანი უშუალოდ არის დაკავშირებული საზღვრულ წვერთან და ერთი და იმავე რიგის ნიშნით ახასიათებს მას. მნიშვნელობის მხრივ ერთგვარი განსაზღვრებები სხვადასხვანაირია:

1. ერთგვარი განსაზღვრებები საგნებს ასახელებენ მათ-მათი დამახასიათებელი ნიშნების ჩამოთვლით: „ბავშვმა ბაღში წ ი თ ე ლ ი, ყ ვ ი თ ე ლ ი და თ ე თ რ ი ყვავილები დაკრიფა“. საგანი აქ ზევრია („ყვავილები“) და დახასიათებულია მათ-მათი ფერის მიხედვით. თვითეული განსაზღვრება („წითელი“, „ყვითელი“, „თეთრი“) ეკუთვნის არა მთლიანად საზღვრული სახელით აღნიშნულ საგანს („ყვავილებს“), არამედ მის ერთ ნაწილს (ყვავილი ზოგი წითელი იყო, ზოგი ყვითელი და ზოგი თეთრი).

2. ერთგვარი განსაზღვრებები ასახელებენ საგანს მისი და-

გახასიათებელი ნიშნების ჩამოთვლით: „გრძელი, ხშირი, ოქროსფერი თმა კოჭებამდე სცემდა“ (ვაჟა).

ზემოთ დასახელებული ტიპის განსაზღვრებებს შორის შეიძლება ვიხმაროთ „და“ კავშირი: „წითელი და ყვითელი“, „ყვითელი და თეთრი“; „გრძელი და ხშირი“, „ხშირი და ოქროსფერი“, უკავშიროდ (უ-და-კავშიროდ) შეერთებისას ერთგვარ განსაზღვრებებს შორის მძიმე დაისმის.

3. ხშირად მეორე (ანუ მომდევნო) განსაზღვრება აძლიერებს პირველს ან ხსნის და აზუსტებს მას. მაგალითად, „წმინდა, ანკარა წყაროები ჩამოიჩუხჩუხებდნენ“ (ყაზ.). „მშვენიერი, კამკამა მთვარიანი ღამე იყო“ (ევდ.). ასეთ ერთგვარ განსაზღვრებებს ჩვეულებრივ სინონიმური მნიშვნელობა აქვთ, უკავშიროდ არიან შეერთებული და ერთმანეთისაგან მძიმით არიან გამოყოფილი. ასეთი განსაზღვრებები ზოგჯერ მაიგივებელი კავშირითაც არიან შეერთებული: „— მოგიყვით? — ოო, ეს დიდ იმბავია, ე. ი. გრძელი და რთული“ (დად.).

არაერთგვარი განსაზღვრებები საგანს სხვადასხვა მხრივ ახასიათებენ: „იამშვენიერი პაწაწინა სუნისანი ყვავილია“ (გოგ.). აქ სამი არაერთგვარი განსაზღვრებაა. მათ შორის არ შეიძლება ჩავსვათ და კავშირი (ან მაიგივებელი ე. ი., ანუ). არაერთგვარ განსაზღვრებებს შორის მძიმე არ დაისმის. ასეთ განსაზღვრებათაგან, საზოგადოდ, საზღვრულს საკუთრივ მის წინ მდგომი განსაზღვრავს, ხოლო სხვები — საზღვრულს მათ შემდეგ მდგომ განსაზღვრებიანად. მაგალითად, წინადადებაში: „თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო“ (ქავ.)—საზღვრულია „ჰაერმა“. მას უშუალოდ განსაზღვრავს „შეგუბებულმა“, „თბილმა“ კი განსაზღვრავს საზღვრულს მის განსაზღვრებიანად: „შეგუბებულმა ჰაერმა“.

არის შემთხვევა, როცა ორ განსაზღვრებას შორის მძიმის დასმა-დაუსმელობა ცვლის ნათქვამის აზრს. მაგალითად:

ზეავმა მოთხარა მეორე თავ-
მომწონე მუხა.

პირველი განსაზღვრება („მეო-
რე“) განსაზღვრავს საზღვრულს
მეორე განსაზღვრებიანად: „თავ-
მომწონე მუხა“. იგულისხმება,
რომ პირველი მუხაც თავმომ-
წონეა.

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითება. დასვით სასვენი ნიშნები.
ერთგვარ განსაზღვრებებს გაუსვით ხაზი.

1. ქობს შორიახლოს ჩაუდიოდა მეტისმეტად წმინდა ანკარა ცივი მუდამ
მზიარული ხევი (ვაჟა). 2. იაგო მარჯვე ყოჩალი გულადი და შოაზრებული ბიჭი
იყო (ყაზ.). 3. დალოცა ღმერთმა ისევ თავზე ხელადებული გიჟი გადარეული
შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი (კვაკ.). 4. ტანზედ მაცვია პატარა
შოკლებეწვიანა თერთის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი (ვაჟა).
6. გარეთ ნელი ეუქუნა წვიმა მოდიოდა (ვაჟა).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარაკიეთ, როგორია გან-
საზღვრებები და არის თუ არა საკირო მძიმის დასმა მათ შორის.

1. დიდი კრელი კატა ტახტზე მიღა-მოდიოდა (ვაჟა). 2. [კოდალამ] ახლაც
გამოათარია ერთი მსუქანი მოთეთრო კია (ვაჟა). 3. ღამურას მთელი ტანი ერთ
პატარა შოგარძო გუნდას მიუგავს (გოგ.). 4. ჩვენი პატარა მდინარე მრასხანედ
აბურცდა (გოგ.). 5. ეფემიამ ერთი პატარა ლამაჟი გოზინაყი შოაღულა (რახ.).
6. ვალენის კარებთან რამდენიმე შეიარაღებული ყმაწვილი ბიჭი იდგა (ყაზ.).

§ 135. განმაზოგადებელი სიტყვები ერთგვარ წევრებთან. წინა-
დადებაში ხშირად მოიპოვება ერთგვარ წევრთა განმაზოგადებელი
(გამაერთიანებელი, შემკრები) სიტყვებიც. მაგალითი: „იხვსა,
ბატსა და ქათამსა — ყველას გავჰკარი კბილია“ (ხალხ.). აქ ერთ-
გვარ წევრთა გამაერთიანებელი (განმაზოგადებელი) სიტყვაა
„ყველას“.

ერთგვარი წევრები და მათი გამაერთიანებელი სიტყვა ერთსა
და იმავე კითხვაზე მიუგებენ და ერთი და იგივე წევრია წინადადებ-
ბისა. მაგალითად, მოყვანილ წინადადებაში ერთგვარი წევრები
(„იხვსა, ბატსა და ქათამსა“) და ამ წევრთა გამაერთიანებელი
სიტყვა („ყველას“) — ყველა ირიბი დამატებაა.

განმაზოგადებლად შეიძლება იყოს სიტყვათა შეერთებაც:
„ფრინველები დიდ ჰკუას იჩენენ ყველათავის მოქმედებ-
აში: საკმლის შოვნაში, ბუდის კეთებაში, მტრის მო-
გერიებასა და იმის მოტყუებაში, შვილების დაზრდასა
და იმათ დაფრენაში“ (გოგ.).

განმაზოგადებელ სიტყვებად გვხვდება რაოდენობითი რიცხვითი სახელები (ჩვეულებრივ მრავლობითი რიცხვის ფორმით) და ნაცვალსახელები (ყველა ან ყველანი, ყველაფერი, სუყველა), აგრეთვე ნაცვალსახელური წარმოშობის ზმნიზედები (ყველგან, ყოველთვის და სხვ.). ხშირია განმაზოგადებლად ისეთი არსებითი სახელები, რომლებიც ერთგვარ წევრთა მიმართ გვაროვნულ ცნებას გამოხატავენ: „ერთმა ვინმემ აუზებში წვრილი თევზი გააჩინა: ლორჯო, ჩხამა, თევზ-ნაფოტა, გველანა და კაპარკინა“ (წერ.). „წვრილი თევზი“ გვაროვნული ცნებაა, „ლორჯო“, „ჩხამა“, „თევზ-ნაფოტა“, „გველანა“ და „კაპარკინა“ კი სახეებს წარმოადგენენ.

§ 186. სასვენი ნიშნები განმაზოგადებელ სიტყვებთან.

1. თუ ერთგვარი წევრები განმაზოგადებელი სიტყვის შემდეგაა, ერთგვარი წევრების წინ პაუზაა და წერის დროს ორწერტილი დაისმის. განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარი წევრების წინ იქნება უშუალოდ თუ არა, ამას ამ მხრივ მნიშვნელობა არა აქვს.

მაგალითები: 1. პატარა ჩიორები ჭამენ მხოლოდ პატარა სულდგმულებს: ბუზებს, მატლებს, პეპლებს. ობობებსა და სხვა მწერებს (გოგ.). 2. ყველაფერი მღუმარებს: ხე, ქვა, ტყე, მთა და მიწა (ვაჟა).

2. თუ განმაზოგადებელ სიტყვას ახლავს ისეთი სიტყვა, რომელიც მიუთითებს ერთგვარ წევრთა ჩამოთვლაზე (მაგალითად, სახელდობრ, როგორიცაა...), ასეთი სიტყვის წინ მძიმე იწერება, შემდეგ კი — ორწერტილი.

მაგალითი: „აქა-იქ ოთახის ჯამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითები: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალაბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი“ (ჭავ.).

3. თუ ერთგვარი წევრები განმაზოგადებელი სიტყვის წინაა, ერთგვარ წევრთა შემდეგ პაუზაა და წერის დროს ტირე დაისმის.

მაგალითი: „დამკენარი დიცი, შუბყა, შამბი, არყი და ურძანი — ყველანი ერთად შფოთავდნენ“ (ვაჟა).

4. ზოგჯერ ერთგვარი წევრების წინ ორწერტილი იწერება მაშინაც, როცა განმაზოგადებელი სიტყვა არაა წარმოდგენილი.

მაგალითი: „საზამთროდ თავს გვანებებენ: გუგული, ბუღბული, ზერცხალი, გარეული იხვი, მწყერი, ტოროლა, წერო, გარეული ბატი, შროშანი და კიდევ სხვანი“ (გოგ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვეეთ, სად რა სას-
ვენი ნიშანია დასმული და რატომ.

1. მე თანა მყვანან რკინისა ძმები: ჩემი სიათა, დამბაჩა, ხმალი (ვაე).
2. [შაშვი] ტყეს, მთებს, ცას, დედამიწას — ყველაფერს მალლობას სწირავდა (ვაეა). 3. ყველა შეინძრა და შეძრწუნდა: დაბლა დედამიწა, გარშემო კედლები, მაღლა კერი, კერის ბანი, ბანს ზევით ტირიფები (ვაეა). 4. გარეშენიც ბევრი ჰყავდა: ტურა, მელა, კატა, მგლები (წერ.). უზარმაზარ წიფელას, ამაყ მუხას, ახალ ნორჩ შიმელას და პატარა ბუჩქებს — ყველას ნაკადულისაყენ გაეწია ფესვები (რაზ.). 6. მისი ჩამოსვლა მართლა საუცხოო იყო: დინჯი, ვაქაყური, მომხიბლავი (დად.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები; დაუსვით სასვენი ნიშნება.
განმარტავდებულ (გამაერთიანებულ) სიტყვას ხაზი გაუსვით.

1. ხენა თესვა თონხა მკა ყველაფერი შესწავლა პაწია აკაკიმ (ევდ.).
2. ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეულნა ფრინველნი ჩხიკვინი ქერონები წიპრიები ნიბლიები კაკბები გნოლები ღობემძვრალეები ბოლოცეცხლები ჰიკვაენი კოდა-
ლები გვირტნი მტრედნი და სხვანი მრავალნი (ვაეა). 3. კაცი მხეცი და ჩიტები ყველა საქმეს ჰკიდებს ხელსა (ერ.). 4. მამალი ნიბლია მუდამ თავის მეუღლის ზრუნვაში იყო დღე დაფრინავდა მინდორში საქმლის საზიდავად დამე კი ბუჩ-
ქის შტოზე იჯდა და სდარაჯობდა დედალ ნიბლიას (რაზ.). 5. მცოვანი ხეები ცაცხვები მუხები თელეები ბოყვები ვერხვები წიფლები არყები იფნები და სხვა-
ნი და სხვანი ვიშვიმებდნენ (ვაეა). 6. ნიბლია ღობემძვრალა წყლისჩიტა ღალა წუა მწყერჩიტა და ათასი სხვა სულ ყველა საომრად ეშვადებოდა (რაზ.). 7. ჩამორჩა მხოლოდ იმათში სამი მაჩვი ტყის ბუჭვი და კულა-მელა (წერ.). 8. ამ მიწებში ეთესა პური ქერი სიმინდი ღობიო დიკა ასლი მუხუდო შვრია ფეტვი უგრებელი და სხვ. (ლომ.). 9. მოხვალ თან მოგყვებიან მოქიკვიე ჩიტები ბუღბულები მერცხლები შოშები გვრიტები (ქუჩ.). 10. მოხუცი თუ ახალგაზრდა ერის კაცი თუ სამღვდლო ყველა ერთმანავე მიიწევდა (წერ.). 11. უნაგირის ტახტებზე იყო დაკიდებული გმირის რკინის სამოსელი პერანგი ჩაქქანი საფუხრები სამკლავე-საჩერნეები ხანჯალი მშვილდი რქისა და საის-
რები (ვაეა).

§ 137. ქვემდებარის ბრუნვა. რამდენიმე ერთგვარ შემასმენელ-
თან შერწყმულ წინადადებაში. როდესაც ერთ (ან რამდენიმე) ქვემდებარესთან რამდენიმე ისეთი შემასმენელია დაკავშირებული, რომლებიც ქვემდებარეს სხვადასხვა ბრუნვაში მოითხოვენ (გარდამავლობისა და სერიების მიხედვით), ქვემდებარე ბრუნვაში უახლოესს (პირველს) უწევს ანგარიშს. მაგალითი: „გ ა ფ რ ი ნ დ ა
მ ე რ ც ხ ა ლ ი, გაშალა ფრთები, გაინაგარდა და სინაარულის

ქიკვიკით ჰაერი შეათრთოლა“ (ყაზ.). აქ ერთ ქვემდებარესთან („მერცხალი“) ოთხი შემასმენელია დაკავშირებული: „გაფრინდა“, „გაშალა“, „გაინავარდა“ და „შეათრთოლა“. ამათგან პირველი გარდაუვალია და ქვემდებარეს სახელობითში იწყობს, ზოლო დანარჩენები გარდამავლებია და ქვემდებარეს მოთხრობითში მოითხოვენ. წინადადებაში პირველ ადგილზე გარდაუვალი ზმნაა („გაფრინდა“) და ქვემდებარეც მასთან არის ბრუნვაში შეწყობილი. პირველ ადგილზე რომ მეორე (ან მესამე და მეოთხე) ზმნა დავსვათ, ქვემდებარე მას გაუწევს ანგარიშს და მოთხრობით ბრუნვაში გადადგება: „მ ე რ ც ხ ა ლ მ ა გ ა შ ა ლ ა ფრთები, გაფრინდა, გაინავარდა და სიხარულის ქიკვიკით ჰაერი შეათრთოლა“.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო . ქვემდებარე სთანადოდ გააფორმეთ და მაგალითები ისე გადაიწერეთ. გამოარკვიეთ, შეიცვლება თუ არა ქვემდებარის ბრუნვა, შემასმენლებს რომ ადგილები შეეწუნაცვლოთ.

1. ირემ... შედგა, დაიფრუტუნა და გაიქნია თავი (ყაზ.). 2. ჯერ ისევ გინგლიან ბარტყებ... სასაცილოდ დაეპყიტათ თავიანთი პაწია თვალები და გაშტერებით გამოიციქირებოდნენ ბულიდან (ლომ.). 3. მამალ... მედიდურად ჩაახველა, გასივდა, გაიფხორა (ვაჟა). 4. ბავშვებ... შეცვივდნენ კაქლის ქვეშ, საჩქაროდ გაიხადეს ტანისამოსი და მორევში გადაეშვნენ (მგალ.). 5. დათვ... ჩვეულებრივ შებრძანდა სიმინდში და დაუწყო ტარობს ლეწვა-მტვრევა (ვაჟა).

§ 137. შემასმენლისა და ქვემდებარის ურთიერთობა ჩიცხვში ერთგვარქვემდებარეებიაანსა და ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში. რამდენიმე ქვემდებარეს შემასმენელი (შემასმენლები) ჩიცხვში ისე შეეწყობა, როგორც იმავე ტიპის სახელათ გადმოცემულ მრავლობითში დასმულ ერთ ქვემდებარეს, სახელლობრ:

1. სულიერი საუენების სახელებით გადმოცემულ რამდენიმე ერთგვარ ქვემდებარესთან შემასმენელი ჩვეულებრივ მრავლობითში დგას.

მაგალითები: 1. ა რ ი ი ლ ი და კ ე ს ო შ ე ბ რ უ ნ დ ნ ე ნ ოთახში (ვაჟ.). 2. რ წ ყ ი ლ ი და ჭ ი ა ნ ჭ ვ ე ლ ა დ ა ძ მ ო ბ ი ლ დ ნ ე ნ (ხალხ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : თუ ჯერ შემასმენელია და შემდეგ ერთგვარი ქვემდებარეები, ზოგჯერ შემასმენელი პირველ (უახლოეს) ქვემდებარეს უწევს ანგარიშს და მხოლოდითში დგას. მაგალითები: 1. სისხლისაგან დაცლილი ხოსრო მესამე დღეს ი ნ ა ხ უ ლ ა

ცოლმა და სიმამრმა (რ. ფვ.); 2. კარების წინ იდგა ქალი და ველაე უცნობი ვაჟი (ლორთქ.).

2. უსულო საგნების სახელებით გადმოცემულ რამდენიმე ერთგვარ ქვემდებარესთან შემასმენელი ჩვეულებრივ მხოლობითში დგას.

მაგალითები: 1. ტყე, მინდორი და ველი ბიბინებს (ევდ.). 2. ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხოვდა (ვაჟ.).

უსულო საგნების სახელებით გადმოცემულ რამდენიმე ქვემდებარესთან შემასმენელი ჩვეულებრივ მრავლობითშია, თუ იგი აქტიურ მოქმედებას გამოხატავს. მაგალითი: „სიცივე და სიცხე ერთნაირად შიშით ააჟრჟოლებდნენ ხოლმე საბრალო ის“ (რახ.).

3. თუ სულიერი საგნების სახელებით გადმოცემულ რამდენიმე ერთგვარ ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს ისეთი სიტყვა-რომლის ლექსიკური მნიშვნელობა მრავალზე მიუთითებს (ბევრი, მრავალი, ურიცხვი, რამდენიმე, ყველა და „ორი“ და ორზე მეტი რამდენობითი რიცხვითი სახელები), შემასმენელი მხოლობითში დგას (როგორც თვით ქვემდებარეები).

მაგალითები: 1. იქ ბევრი მსუქანი ბატი და ინდაური და გოგავს (ვაჟა). 2. ურიცხვი ქალი და კაცი ქალაზე შემოეფინა (ვაჟა).

4. თუ შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ ქვემდებარეებთან მათი განმარტავადელი (გამაერთიანებელი) სიტყვა არის წარმოდგენილი, შემასმენელი რიცხვში ამ უკანასკნელს უწევს ანგარიშს.

მაგალითები: 1. კაცი, მხეცი და ჩიტები — ყველა საქმეს ჰკიდებს ხელსა (ერ.). ჩამოჩა მხოლოდ იმათში საში: მაჩვი, ტყის ბუძვი და კუდა-მელა (წერ.).

შენიშვნა: ზოგჯერ განმარტავადელი სიტყვა არაა წარმოდგენილი და შემასმენელი სულიერი საგნების სახელებით გადმოცემულ ქვემდებარეებთან მაინც მხოლობითშია.

მაგალითები: 1. ქალი, კაცი, გოგო, ბიჭი ეზიდება ზამთრის სარჩოს (ერ.). 2. კაცი თუ დედაკაცი, დიდო თუ პატარა თავგამოდებით მუშაობდა (ვაჟა).

5. თუ წინადადება შერწყმულია შემასმენლების მიხედვით, ხშირად პირველი შემასმენელი მხოლოებითშია, მომდევნო შემასმენლები კი — მრავლობითში.

მაგალითები: 1. პატარა მღინარეებმა ც მოიმატა და ვაივავლახით მოაგორებენ ლოდებს, კლდეებს, ხეებს ძირიანად გლეჯენ (ვაჟა). 2. სუფრიდან ყველა აიშალა და წასახვლელად მოემზადნენ (დად.).

პირველი შემასმენელი მხოლოებითშია და მომდევნო შემასმენლები მრავლობითში, თუ ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს ისეთი სახელი, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა მრავალს (ორს ან ორზე მეტს) გულისხმობს.

მაგალითები: 1. რამდენიმე კაცი მიუახლოვდა გუგუას, გაუხსნეს ხელები და წინ წააყენეს (ყაზ.). 2. მართლაც ბუდის შორიახლოს წნორზე ორი კაკკაკი იჯდა და ბავშვებს ყურადღებით ათვალთვლებდნენ (რაზ.).

6. თუ რამდენიმე (ორ ან ორზე მეტ) ქვემდებარესთან შემასმენელი შედგენილია, ორივე მისი ნაწილი მრავლობითშია: სახელიც და მეშველი ზმნაც.

მაგალითი: „ქესანე და იატკბილი მეზობლები იყვნენ“ (რაზ.).

7. თუ ქვემდებარედ „ჩვენ“ ან „თქვენ“ ნაცვალსახელის მნიშვნელობის გადმომცემი სიტყვებია, შემასმენელი ყოველთვის მრავლობითშია.

მაგალითები: 1. ერთხელ მე და პაპაჩემი ერთ ადგილს შევიყარეთ (ვაგ.) 2. შენ და შენი თოფი სულ მუდამ გამარჯვებულები ხართ (ვაჟა).

8. სულიერ საგანთა სახელების შეერთებით მიღებული ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან ხშირია შემასმენლის როგორც მხოლოებითში, ისე მრავლობითში შეწყობა.

მაგალითები: 1. და-ძმა ერთმანეთს გადაეხვიო (რ. გვ.).

2. და-ძმა მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს (ყლო.).

3. სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს დამეშვიდობნენ (ჯაფ.).

ასეთ შემთხვევებში შემასმენლის მხოლოებითში დასმა უფრო ბუნებრივი ჩანს.

თუ ტოლად-შერწყმულ სახელში უსულო (არაცოცხალი) საგნების სახელებია, შემასმენელი ჩვეულებრივ მხოლოებითშია.

მაგალითები: 1. მთა-ბარი ზანზარებდა (ვკაჟა).
 2. ტყე-ველი ლალად ბიბინებს (ევდ.).

საეარჯიშო, წაიკითხეთ მაგალითები; გამოარკვიეთ, როგორ ეწყობა შემასმენელი (შემასმენლები) ქვემდებარეს (ქვემდებარეებს).

1. წმინდა, ანკარა წყაროები ჩამოიხუხუხებდნენ და რალაცა სიტყბოებით უალერსებდნენ კაცის ყურს (ყაზ.). 2. ქარმა, აედარმა და სიცოცემ თავისი იშოქმედეს (ყაზ.). 3. ჩიტები ძლივ-ძლივებდნენ, გლობდნენ, უსტვენდნენ (ყაზ.). 4. დედალ-მამალი დაფრინავს მანდორში (გოგ.). 5. მოხუცებული დედ-მამა ტებობდნენ შვილების ბედნიერებით (ყაზ.). 6. ცოლ-ქმარმა გოცებით ერთმანეთს შეხედეს (კვაჟ.). 7. ქალ-ვაჟი უზარმაზარ წიფლის ხეხ აკვროდა (ჩაფ.). 8. ცაცა და ვანო და-ქმანი იყვნენ (ევდ.). 9. მე და ის დიდი მეგობრები ვიყავით (ლომ.). 10. აღარსად ჩანდა ტოროლა, გუგული, ოფოფი, მერცხალი, მწყერი, გვრიტი (ევდ.). 11. მალალი ხეები შეიარყა და, თითქოს ვილაცას ემუქრებოდნენ, თავების ქნევა დაიწყეს (ყაზ.). 12. მერე ორივემ მე მომპართა და მკითხაუდნენ (ვკაჟა). 13. ვხედავ და რას ვხედავ: დაიწყო ცეკვა მთა-ბარმა. (ვკაჟა). 14. აქა-იქ კომში, მახალი, კერამი, ვაშლი და ატამი ყვითელ ქარვასავით ქაქათებს (მ. ჩავ.).

ბანკერძობული წმკრები წინადადებისა.

წინადადებასთან ბრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვები და გამოსთქმები

§ 180. დანართი. დანართი ჰქვია ისეთ განკერძობულ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც რომელიმე წევრს (ან სიტყვათა შეკავშირების) შემავსებელ ცნობებს შეიცავს ახსნა-განმარტების სახით.

მაგალითები: 1. ჩვენ, ირმები, ენით არ ვლაპარაკობთ (ევდ.).
 2. [კლდე] არწივებს, თავის აღზრდილ შვილებს, ჰკითხავს ხოლმე ამბავს ბარისას (ვკაჟა). 3. ხომ გაგიგონია: თავადებმა ზნე თქვენთვის, მშრომელი გლეხებისათვის, გამოსადეგი არ არის (დად.).

პირველ წინადადებაში დანართი ქვემდებარეს („ჩვენ“) ახლავს, მეორეში — ირიბ დამატებას („არწივებს“), მესამეში — უბრალო დამატებას („თქვენთვის“); ამასთანავე პირველ მაგალითში დანართი გაუვრცობელია, მეორესა და მესამეში — გავრცობილი მიმყოფელი სიტყვებით.

სახელით გამოხატულ წევრს დანართი ანგარიშს უწევს ბრუნვასა და რიცხვში (ნ. მაგალითები ზემოთ).

დანართი უკავშიროს ან კავშირიანი. საკავშირებლად გამოყენებულია როგორც საკუთრივ კავშირები (მაგალითად მაიგივებელი).

ესე კავშირის მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები: ესე იგი (ე. ი.), ანუ, როგორც, ...ც კი, მაგალითად, სახელად, გვარად, სახელდობრ, მოდგმით, წარმოშობით, ტომით, ჩამომავლობით, განსაკუთრებით, ხელობით, ვთქვათ და მისთ.

მაგალითები: 1. შაბაში, ესე იგი მუშაობის შეწყვეტის დრო, მოტანებული იყო (ვედ.). 2. ქვებს შუა ათასობით ეწყო თევზის პაწაწა კვერცხები, ანუ ქვირითი (გოგ.). 3. მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს (კავ.). 4. წიწვიანი მცენარე, მაგალითად (ან: განსაკუთრებით, სახელდობრ) ნაძვი, ბევრია სვანეთის ტყეებში. 5. ლაშას დარჩა ერთი მცირეწლოვანი ვაჟი, სახელად დავითი (გოგ.). 6. ღურმიშხანი, გვარად წამალადე, იმერელი იყო (კონქ.). 7. აბო, წარმოშობით არაბი (ან: ტომით, ეროვნებით, ჩამომავლობით, მოდგმით არაბი), მერვე საუკუნის დამღვეს აწამეს თბილისში. 8. ერთ მათგანს, სახელდობრ თილისძეს, შეუგროვებია ჯარი... (ვაჟა).

დანართი ჩვეულებრივ მოქცეულია წინადადების შუაში (ნ. მაგალითები: 1, 3, 4, 6, 7) ან ბოლოში (ნ. მაგალითები: 2, 5), მაგრამ ზოგჯერ წინ უძღვის იმ წევრს, რომლის შემავსებელ ცნობებსაც ის შეიცავს ახსნა-განმარტების სახით. „როგორც პოეტური ქმნილები, „ვეფხისტყაოსანი“ ერთი საუკეთესოთაგანია მთელს მსოფლიოში“.

დანართი, კავშირიანი თუ უკავშირო, თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ ინტონაციურად გამოყოფილია წინადადებისაგან.

§ 140. სასვენი ნიშნები დანართთან. დანართთან გამოყენებულია მძიმე და ტირე, ზოგჯერ ფრჩხილებიც.

1. დანართი (კავშირიანი თუ უკავშირო), რომელიც წინადადების ბოლოშია ან თავში, თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ მძიმით გამოიყოფა წინადადებისაგან: „ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ (ტაბ.); „როგორც ქვეყნის შვილს, მეც სიამით მიძვერდა გული“.

2. დანართი, რომელიც წინადადებაშია მოქცეული, თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ მძიმეებით გამოიყოფა წინადადებისაგან: „მე, ქართველი ბუხაიძე, ბალყარეთის მთებთან ვწევარ“ (ირ. აბ.).

დანართთან ხშირად ტირეც იხმარება:

ა) დანართი, თუ მის წინ აზრის შეუტყველვად შეიძლება აღვად-
ჯინოთ კავშირი. „სახელდობრ“, წინადადებისაგან ტირეთი გამოი-
ყოფა: „ბავშვები მხიარულად მიეგებნენ სტუმარს — ს ა ყ ვ ა რ ე ლ
მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ს“. თუ ასეთი დანართი წინადადებაშია მოქ-
ცეული, ის ორივე მხრიდან ტირეთი გამოიყოფა: „სტუმარს —
საყვარელ მასწავლებელს — ბავშვები მხიარულად მიეგებნენ“.

ბ) დანართი (ან რამდენიმე დანართი, ერთმანეთთან უკავშიროდ
შეერთებული) წინადადებისაგან ტირეთი გამოიყოფა, თუ მძიმის
დასმის შემთხვევაში არ ჩანს ნათლად საზღვარი დანართსა (დანარ-
თებსა) და მისგან (მათგან) საზღვრულ წევრს შორის და ისინი
შეიძლება ერთგვარ წევრებად იქნეს გაგებული: „ბრწყინავს
ქართლი — ვ ა რ დ ი ს ბ ა დ ი“ (გ. ლეონ.). „ცაში არხეინად დას-
ცურავდნენ ცის მეფენი — ა რ წ ი ვ ი, ქ ო რ ი, ს ვ ა ვ ი და
ძ ე რ ა“ (მ. ჯავ.).

გ) დანართი, რომელიც ახლავს შერწყმული წინადადების ერთ-
გვარ წევრს, მისგან ტირეთი გამოიყოფა (დანართის შემდეგ ტირე
არ იწერება): „ოთანზი შევიდნენ გიორგი — ვ ა ნ ო ს მ ა მ ა,
ვახტანგი — გ ი ო რ გ ი ს ძ მ ა, სტუმარი — ი მ ა თ ი ნ ა თ ე-
ს ა ვ ი და გიორგის უმცროსი ვაჟიშვილი“.

ზოგჯერ ამა თუ იმ წევრის ამხსნელი სიტყვა ფრჩხილებშია
ჩასმული: „შალვას თევზაობა უყვარდა ანკესით (ნემსკავით)“ (ვაჟა).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: „ანუ“ მაიგივებელი კავშირია, „ან“ — მაცალ-
კევებელი. პირველი დანართს აერთებს ასახსნელ სიტყვასთან,
მეორე კი ერთგვარ წევრებს აკავშირებს. „ანუ“ — წინ ჩვეულებრივ
მძიმე დაისმის.

ს ა ე ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. უკავშირო დანართს ერთი
ხაზი გაუსვით, კავშირიანს — ორი. დაუსვით სასვენი ნაწილები.

1. უცებ როგორც ცის ქვეშ იგრილა თოფმა (ვაჟა). 2. ერთი იმ დროის
კაცი სახელად გოჩი ზღვის პარად ცხოვრობდა გამოქვაბულში (ვაჟა). 3. ამ
შთის გადაღმა სევასტოპოლი იყო გმირი ქალაქი (კ. ლორთქ.). 4. ჰკითხეთ წინაპ-
რებს მამულის მხედრებს (გ. ლ.). 5. ბევრს ეპირა თვალი ბაში-აჩუქისაყენ ანუ
ბაჩუქისაყენ, მაგრამ გაუცრუდნათ იმედი (წერ.). 6. კობას როგორც სტუმარს
და ფარჩოს როგორც იქ მყოფების უფროსს ცალკე მოართვეს, დანარჩენები კი
ერთად დასხდნენ (ყაზ.). 7. გურიის უკანასკნელი მთავარი მამია გურიელი
ღვაძლი ძმა იყო აბაშიძის ცოლისა (წერ.). 8. ეს იყო სარდიონ ქველიძის ცოლი
მთათი (კლდ.). 9. ნაბდიანი კაცი გუგუა ფიჩიტაური იყო სასიმო (ყაზ.).
10. ელავს ბალი ხობბის ყელი შეიდ მისის წვიმით მთვრალი (გ. ლ.). 11. ჩვენ

კაცნი მაშინ ვამბობთ (ვაჟა). 13. პატარა ბავშვი მე ვიჭექი ბუხართან სახლში (ბ. ნად.). 14. ერთხელ ლომს ნადირთ მეფესა ხარი მოეკლა ირემი (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ა ჯ ი შ ი 2. გამორთვებული „ან“ და „ანუ“ თავ-თავის ადგილას აღადგინეთ და მაგალითები ისე გადაიწერეთ. დაუსვით სასვენი ნიშნები.

1. საღამო ხანზე დაღალულ-დაქანცულები დაებრუნდით სახლში... ნასახ-ლარში (ვაჟა). 2. [ჩხიკვი].. შევლსავით დაიხალებდა.. ხის ტოტებზე ქურდულად, ოსტატურად დაიწებდა ფრენას (ვაჟა). 3. იმათი წალმით დახურულა სახლი.. ქობი გადიდებულიყო (ვაჟა). 4. უზარმაზარი ნიგვზები... კაკლის ხეებზე საჩრდილებლად თავმომწონედ შლიდნენ შტოებს (წერ.). 5. არ გაგონდება არც მამა. დედა... ძმა... და.. სახლი, კარი? (ვაჟ.). 6. ...მოგიყვან იმ ცხენს.. თავს შეეწირავ შენს შეგობრობას (წერ.).

§ 141. განკერძოებული ადგილისა და დროის გარემოება-განკერძოებულია ადგილისა თუ დროის გარემოება, რომელიც აზუსტებს მის წინ მდგომი გარემოების მნიშვნელობას. განკერძოებული ადგილისა თუ დროის გარემოება იმავე კითხვაზე მოუგებს, რომელზედაც მის წინ მდგომი გარემოება, მაგრამ ისინი ერთგვარ წევრებად არ ჩაითვლება.

ადგილისა და დროის გარემოების განკერძოება ხშირია-

მაგალითები: 1. მეორე დღეს, კ ვ ი რ ა ს, ელიზბარი სანადიროდ ემზადებოდა (ვაჟა). 2. ერთი მთის პირად, დ ა ბ უ რ უ ლ ტ ყ ე შ ი, ამოსულიყო ლამაზი ია (რაზ.).

პირველ წინადადებაში დროის გარემოებაა განკერძოებული, მეორეში — ადგილისა.

განკერძოებული გარემოება ზოგჯერ გათიშულია იმ გარემოებისაგან, რომელსაც იგი ახლავს: „ — ა, ბარამ! მაგრამ ახლა იქით გაიხედე, ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი თ! (დად.).

ერთ გარემოებას (ადგილისა თუ დროისას) შეიძლება ახლდეს ერთი ან რამდენიმე განკერძოებული გარემოება: „აი ამ სახლში დავბადებულეარ მე 9 ივნისს, გ ა ნ თ ი ა დ ი ს ა ს, 1 8 4 0 წ ე ლ ს“ (წერ.).

განკერძოებული ადგილისა თუ დროის გარემოება, რომელიც წინადადების ბოლოშია, მიმყოლი სიტყვებითურთ მძიმით გამოიყოფა: „ლამაზი ია ამოსულიყო ერთი მთის ძირად, დ ა ბ უ რ უ ლ ტ ყ ე შ ი“.

თუ განკერძოებული გარემოება წინადადების შუაშია, იგი მძიმყოლი სიტყვებითურთ ორივე მხრიდან მძიმით გამოიყოფა:

„ვენახის ბოლოში, კაკლები გაცხვრივ, ბოსტანი იყო გამართული (ლომ.).

ს ა ე რ ჯ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები, განკერძოებულ ადგილის გარემოებას ერთი ხაზი გაუსვით, დროისას — ორი. დაუსვით სასვენი ნიშნები.

1. ლობესთან ერთი ფურცლის ხის სიხლოვეს მოჩანდა ძველი ჩაღური (ჭავ). 2. აქეთ პატარა მოშორებით თავი მოეყარათ ხარებს (ჭავ). 3. მეორე დღეს დილით ადრე გამოსულიყო ზალი აივანზე და ქალებს გადაჰყურებდა (წერ.). 4. სახლის წინ მისავლის მარცხნივ და მარჯვნივ ორი დიდრონი ლიმონის ხე იდგა (ქიარ.). 5. საწერეთლოში ზემო იმარეთში. ბევრი კარგი სოფელია (წერ.). 6. მაშინ ბატონყმობის დროს ამგვარი ქცევა საარაკო იყო (წერ.). 7. აქ ამ პატარა ახმეტაში ყველაფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას (წერ.). 8. იქ ცის კიდურზე ათასამდე მერცხალი შეკრებილიყო (ვედ.). 9. მეორე დღეს სისხამ დილაზე მეფე გაეშურა იოთამისაკენ (გოგ.). 10. შუაგულ ტყეში ერთ თითქმის მიუვალ ნაპრალში გამოქვაბულში იხსდნენ ახალგაზრდა ბიჭები ცეცხლის წინ და მწვადებს აშაშხინებდნენ (წერ.). 11. ...იქვე ახლოს ჰის ზემოთ ჰიშკრის პირდაპირ საუცხოო მტრედისფერი ქვები ეწყო (დად.).

§ 142. ვითარების გარემოების განკერძოება. ზმნას, როგორც ვიცით, შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარი ვითარების გარემოება. მაგალითად: „ხეხილი წითლად, ყვითლად, თეთრად ყვარდა“ (ვაჟა): აქ სამი ვითარების გარემოებაა („წითლად“, „ყვითლად“, „თეთრად“), რომლებიც ერთგვარი წევრებია: ისინი უშუალოდ არიან ზმნა-შემასმენელთან დაკავშირებული, მაგრამ ერთმანეთს არ ხსნიან და არ აზუსტებენ. ასევე წინადადებაში: „თბილად და რბილად წოლა ძალიან სასიამოვნოა“ (ვაჟა) — ორი ერთგვარი ვითარების გარემოებაა, რომლებიც აქ საწყისით გადმოცემულ ქვემდებარესთან არიან დაკავშირებული („თბილად და რბილად წოლა“) და სხვადასხვა ნიშანს, ე. ი. სხვადასხვა ვითარებას გამოხატავენ. ერთგვარი ვითარების გარემოებები პირველ მაგალითში უკავშიროდ არიან შეერთებული (მაგრამ მათ შორის შეიძლება ვინმაროთ „და“: „წითლად და ყვითლად“, „ყვითლად და თეთრად“), მეორეში — კავშირით.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ვითარების გარემოებებს სინონიმური მნიშვნელობა აქვთ და მომდევნო გარემოება (ერთი ან რამდენიმე) ხსნის და აზუსტებს პირველს. მაგალითები: 1. ძალიან დარიბად ცხობრობდით, ხელმოკლედ, საწყალად (ვაჟა). 2. მეფემ წერილი საჯაროდ, ხმაამალლა წაიკითხა (ვაჟა). პირველ წინადადებაში სამი ვითარების გარემოებაა: „ღარი- 13. ლ. კვაკვაძე, ქართული ენის სინტაქსი

ბად“, „ხელმოკლედ“, „საწყლად“, რომელთაგანაც მეორე და მესამე („ხელმოკლედ“, „საწყლად“) ხსნიან და აზუსტებენ პირველს მნიშვნელობას. მეორე წინადადებაში ორი ვითარების გარემოებაა („საჯაროდ“, „ხმაბლლა“). აქ მეორე („ხმაბლლა“) აზუსტებს და ხსნის პირველს („საჯაროდ“). ასეთი ვითარების გარემოებები უკავშიროდ არიან შეერთებული, წერაში ერთმანეთისაგან მძიმით გამოიყოფიან, მაგრამ ერთგვარი ვითარების გარემოებებისაგან განსხვავდებიან (მათ შორის შეიძლება ვიხმართ მაიგივებელი კავშირი: ე. ი., ანუ).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო . წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები და აღნიშნეთ, რა მნიშვნელობის არიან ვითარების გარემოებები.

1. მელამ ერთი თავისებურად, ცბიერად... გადმოჰხედა მონადირეებს (ვაჟა).
2. შინისაკენ მოიბატიყეს აუჩქარებლად, ჰკვიანად (ვაჟა).
3. უნდოდა თვითონ ეფიქრა გაგონილზე და მიუდგომლად, ღირსეულად შეეფასებინა (დად.).
4. ჩელა პირდაპირ შესცქეროდა, თამამად, გაბედულად (დად.).
5. გოგრა არხეინად ალაგებს დავლას ჭიბეში, არხეინად, ღინჯად, დარბაისლურად (ვაჟა).
6. იქვე აღაზაც ამოდის სახემოწყენით, მწუხარედ (ვაჟა).
7. ხალხი თანდათან, ნელნელა გაიკრიფა (ვაჟა).
8. ...ლოდები თავმოშწონენ, ამაყად გამოიყურებოდნენ (ვაჟა).
9. იგი თავმდაბლად, თითქმის შეუღმწნეველად ხალხის განაპირას მიყუყულებოდა (ჭაფ.).
10. ცხელის სიტყვები კარგად, გარკვევით გვესმოდა (ვაჟა).

§ 148. მიმართვა. წოდებითში დასმულ სახელს, რომელიც მეორე პირს ან მეორე პირად წარმოდგენილ საგანს აღნიშნავს, მიმართვა ჰქვია.

მეორე პირი საზოგადოდ თანამოუბარია, ადამიანია, ამიტომ მიმართვის როლში ძალიან ხშირადაა გამოყენებული ადამიანის საკუთარი სახელები, გვარები და ნათესაობის, წოდების, თანამდებობის, ხარისხის, ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები. მაგრამ პოეტურ მეტყველებაში ხშირად გვხვდება მიმართვა არამოუბარი საგნების მიმართაც (ბუნებისადმი, მიცვალებულებსადმი, ცხოველებსადმი, ფრინველებისადმი და სხვ).

- მაგალითები: 1. კ ა კ ო , ნუ სწყრები! (ჭავ.). 2. რა ამბავია, ძ მ ე ბ ო ? (ჭავ.). 3. მ ე გ ო ბ ' რ ე ბ ო , წინ, წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენო გული (ფედ.). 4. მოგესალმებით, ქ ე დ ე ბ ო , მომამქვს

სალამი გვიანი (ვაჟა). 5. გასწი, მე რ ა ნ ო, შენს ჰენებას არ აქვს სამძღვარი! (ბარ.).

მოყვანილ მაგალითებში მიმართვა ერთი სიტყვითაა გადმოცემული, მაგრამ იგი ხშირად გავრცობილია მიმყოლი სიტყვებით: „რა მშვენიერი რამა ხარ, დ ი ლ ი ს რ ი ე რ ა ე ო! რა მშვენიერი რამა ხარ, დ ი ლ ი ს ც ვ რ ი თ პ ი რ დ ა ბ ა ნ ი ლ ო ქ ე ე ყ ა ნ ა ვ! (ვაჟ.). პირველ წინადადებაში მიმართვას ახლავს მართული განსაზღვრება („დილის“), მეორეში—შეთანხმებული („პირდაბანილო“), რომელსაც თავის მხრივ ახლავს უბრალო დამატება („ცვრით“), ხოლო ამ უკანასკნელს—მართული განსაზღვრება („დილის“).

მიმართვა გრამატიკულად არ უკავშირდება წინადადების რომელიმე წევრს და არც თვითონაა წინადადების წევრი. ამიტომ მას, ცალკე თუ მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ, წინადადებაში სრულიად განკერძოებული ადგილი უჭირავს.

მიმართვა ხშირად გვხვდება დიალოგებში (იშვიათად—ავტორის მეტყველებაშიც), ლოზუნგებში, მოწოდებებში, მისალმება-გამომშვიდობების ფორმულებში, კერძო და საქმიან მიმოწერაში, საზოგადოების წინაშე წარმოთქმულ სიტყვებში. იგი ჩვეულებრივ არსებითი სახელით გადმოიცემა, უფრო იშვიათად—ზედსართავი სახელით, მიმღობითა და ნაცვალსახელით, რომელნიც ამ შემთხვევაში არსებითი სახელის მნიშვნელობით არიან გამოყენებული.

მაგალითები: 1.—გამარჯობა, გ ი ო რ გ ი!—გავიმარჯოს, ა რ ს ე ნ ი (მ. ჯავ.). 2. პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ო ყ ვ ე ლ ა ქ ე ე ყ ა ნ ი ს ა, შეერდითთ! 3. ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ ი ა ვ! გთხოვთ მომიტეოთ ესდენ ხანს ჩემგან მოუწერლობა (ბარ.). 4. ნუ გეშინია, პ ა ტ ა - რ ა ვ, არ დაშრები, არ დაიკარგებო (ვაჟა). 5. მოსთქვამს, იტყვის: „ვა, ვ ა ზ რ დ ი ლ ო, ველარ ცნაზვენ თვალნი რეტნი (რუსთ.). 6. ჰე, ჩ ე მ ო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები (რუსთ.).

მოუბარი (პირველი) პირი ზოგჯერ თავისთავსაც მიმართავს. ამ შემთხვევაში მიმართვად თვით მოუბარი პირის სახელია, ან უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“ პირველი პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთან ერთად, ან კიდევ მეორე პირის ნაცვალსახელი „შენ“, რომელსაც ახლავს უკუქცევითი ნაცვალსახელი მიმყოლი სიტყვებითურთ. მაგალითები 1. ჰა, პ ე ტ რ ე ვ!—არიგებდა პეტრე თავისთავს,—არ გაბრიყვდე, ეშმაკმა არ გაცდინოს (ვაჟ.). 2. თ ა ვ ო

ჩ ე მ ო, ბედი არ გიწერია (წერ.). 3. სუავი მიმართავს თავისთავს: რაზე კვლები მშიერი, შე ბ რ ი ყ ვ ო ჩ ე მ ო თ ა ვ ო, აღეძ (რაზ).

მიმართვა შეიძლება განმეორდეს: „ჰე, ც ა ო, ც ა ო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული“ (ბარ.). განმეორებისას შეიძლება დაემატოს განსაზღვრება: „ოჰ, ჩემო შეილო, ჩემო პ ა - ტ ა რ ა ვ, პ ა წ ა წ ე ს ნ ი ტ ე ლ ა შეილო!“ (ვაჟა).

მიმართვა ზოგჯერ განმარტობულია (წინადადების გარეშეა). ასეთი მიმართვა იხმარება დაძახებისას ან კიდევ პასუხად დამძახებლის მისამართით. მაგალითები: 1). პ ე ტ რ ე, ა ი პ ე ტ რ ე! — დაუძახა [გიორგიმ] შორიდან თივის მღვმელსა (ვაჟ.). 2. დ ა თ ო! დ ა თ ო! — დაუყვირა ბატონმა: — ბ ა ტ ო ნ ო! — სადღაც შორიდან მოისმა დათოს ხმა (ვაჟ.). ასეთი მიმართვა ძახილის ინტონაციით წარმოითქმის, მაგრამ თუ პასუხად ნახმარი მიმართვა კითხვითი შინაარსისაა, — კითხვითი ინტონაციით: — ც ი რ ა! — ბ ა ტ ო ნ ო? (წერ.).

ერთი და იმავე პირისა თუ საგნისადმი ზოგჯერ რამდენიმე მიმართვაა ნახმარი, რაც აძლიერებს ემოციურობას: „გიორგი! შეილო!.. არ მეტყვი, ბიჭო, რა წაგეკიდა? (ვაჟ.). თუ მეორე პირი ან მეორე პირად წარმოდგენილი საგანი მრავალია და სხვადასხვა, მიმართვაც შეიძლება რამდენიმე იყოს, რომელთაგანაც თვითეული გარკვეული პირისა თუ საგნის მისამართით არის ნახმარი. მაგალითები: 1. ს ო ს ი კ ა, ზ ა ქ ა რ ა, ბ ე რ უ ა, თ ე დ უ ა! — ყვიროდა გაბრაზებული სარდიონი (ვაჟა). 2. თქვენ, შ ე ვ ა რ დ ე ნ ნ ო, ქ ო რ ნ ო და გ ა ვ ა ზ ნ ო, ეცადეთ, რომ რამდენი კაციც ჩვენ ბრძოლას დაგვიწყებს, იმდენსვე ქუდი მოსტაცოთ (ვაჟა).

რამდენიმე მიმართვა ერთი და იმავე ან სხვადასხვა პირისა თუ საგნისადმი, ან კიდევ მიმართვის მიმყოლი განსაზღვრებები შეიძლება შეერთებულ იქნეს უკავშიროდ ან მაერთებელი კავშირებით (და, მაგრამ, ხან, თუნდაც...) მაგალითები: 1. ნუ ამბობ მაგას, ჩემო მ ა მ ა ვ და შეილო! (ვაჟ.). 2. ნეტავი შენა.. შ ა ე - ნ ი ს ლ ო, შეუპოვრად მდინარო, ხან ქვეყნის დამბნელებელი, ხან ზღვის უბეში მძინარო! (ვაჟა). 3. ერთი თან გამომყევ, ნახავ, თუ ფეხს ვერ დაგისველებ, შე ყ უ რ გ რ ძ ე ლ ო, ყ უ რ ბ რ ტ ყ ე ლ ო, ან კიდევ შე წ რ უ წ უ ნ ა კ უ დ გ რ ძ ე ლ ო!

(რახ.). 4. ის, რასაკვირველია, დაირღვევა ღვთისა და თქვენის წყალობით, ჩემო ძველის გზის მოყვარევე, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ქართველო! (ჭავ.). 5. მეც შენსავით, ჩემო ჭაბუკო მკითხველო, თუნდამოხუცო და დარბაისელო, ჭაბუკობისას სოფლად მიკრეფია იის კონები, თაიგულად შემიკრავს და მოკრძალებით მიმირთმევია იმისათვის... (დად.). მრავლობითში დასმულ მიმართვას ზოგჯერ ახლავს მისი მნიშვნელობის დამაზუსტებელი მიმართვები დანართის სახით: „ვაჰმე, შევიღებო, ჩემო ვეფხვიავ, ჩემო მზიავ!“ (ვაჟა).

მიმართვას შეიძლება ახლდეს მთქმელის სხვადასხვა გრძნობა, ემოცია: მოფერება, საყვედური, დანანება, პატივისცემა, ზიზღი, შიში, თხოვნა-მუდარა... მიმართვის ამა თუ იმ ემოციური იერის გამოხატვის ძირითად საშუალებას ინტონაცია წარმოადგენს. მაგრამ იგი შეიძლება გადმოიცეს აგრეთვე განსაზღვრებებით (ეპითეტებით), შორისღებულთ და წარმომქმნელი აფექსების საშუალებით, როგორცაა, მაგალითად, ია, იკო, ილ, ა, უკ, უნა, რომლებიც მიმართავს ალერსობითის მნიშვნელობას აძლევენ.

მაგალითები: 1. ჩემო ციციანთელა, საით ფრენ ნელანელა? (წერ.). 2. გამარჯობა, ძმობილო! (ვაჟა). 3. ეჰ, ძმობილო! — ვუთხარი გულნატყენად (ჭავ.). 4. აფსუსს, აფსუსს, წისქვილო, აფსუსს თედეს ამაგო! (ვაჟა). 5. როდის მოვა მამა. დედილო? (რახ.). 6. აგერ, დაიავ, მშვიერი ფუტკარი გეწვია მისთავაზე რამე (რახ.). 7. გაგიმარჯოს, თაგუნავ! (რახ.). 8. შენ, ეი, ჩიტუნიავ! (ვაჟა). 9. გეთაყვა, დათუნო (← დათუნია), ოძელაანთაჲ ვერ გადახვალ“ (მ. ჯავ.).

მიმართვა, საზოგადოდ, წოდებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა (დაერთვის „ო“, „ვ“ ან სახელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი). მაგალითები: 1. მზეო, დამხედე, წვიმავ დამამე! (ვაჟა). 2. რას მიჩივი, დედა? (ჭავ.).

ზოგიერთი სახელი მხოლოდ მიმართვისათვის არის გამოყენებული. ასეთია „ილ“ სუფიქსით წარმოქმნილი ორი სახელი, რომელთაც წოდებითის „ო“-ც აქვთ დართული (დედი-ილ-ო, მამ-ილ-ო), მაგალითები: 1. როდის მოვა მამა, დედილო? (რახ.). 2. შენი ჭირიმე, მამილო, ზღაპარი გვითხარი (ჭავ.). ამ ფორმებს ხშირად ეკვეცებათ მთელი მარცვალი („ლო“) და გვაქვს:

„მამი“, „დედი“. მაგალითად: 1. ეგეც დრომ იცის, დ ე დ ი (ჯავ.)
2. რა უნდა მოჰქლა, მ ა მ ი? (ჯავა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: „ილ“ სუფიქსი სხვა სახელებშიც გვხვდება (მამობილა, დედობილი, ძმობილი, დობილი...), მაგრამ ამათ, გარდა წოდებითისა, სხვა ბრუნვათა ფორმებიც აქვთ (მაგალითად: (ძმობილი. ძმობილმა, ძმობილს, ძმობილის, ძმობილით, ძმობილად, ძმობილო), „დედილო“ და „მამილო“ კი მხოლოდ მიმართვისათვის არიან გამოყენებული.

რამდენიმე საზოგადო სახელი, რომლებიც „იკო“ სუფიქსით არიან ნაწარმოები, ჩვეულებრივ მიმართვისას იხმარება (ისტორიულად წარმოქმნის აფიქსია „იყ“, „ო“ კი ფუძესთან შეზრდილი წოდებითი ბრუნვის ნიშანია). ასეთებია: დედიკო, მამიკო, ძამიკო, დაიკო, შვილიკო, ბებიკო... მიმართვისათვის არის აგრეთვე ჩვეულებრივ გამოყენებული ა-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელი, რომელიც „ია“ სუფიქსით არის ნაწარმოები (დაია, ძამია —). მაგალითები: 1. კმარა, ჩ ე მ ო შვილიკო, კმარა... (გრიშ.). 2. დილა მშვიდობისა, დილა კარგად ყოფნისა, ჩ ე მ ო კ ე თ ი ლ ო დ ა ი ა ვ! (ევდ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იკო-თი ნაწარმოები საკუთარი სახელები ფუძედ არის გაგებული და სხვა ბრუნვებსაც აწარმოებს: დათიკო, დათიკომ, დათიკოს... შეიძლება იბრუნოს იკო-თი ნაწარმოები საზოგადო სახელებიც (მამიკო, მამიკომ, მამიკოს...), რომელთაც საკუთარი სახელის მნიშვნელობა აქვთ მოპოვებული.

ა-ზე დაბოლოებულ ზოგიერთ საზოგადო სახელს (მაგალითად, ნათლიდედა, ნათლიძამა), ან კნინობითის ა-თი წარმოქმნილ საკუთარ სახელებს (არსენა, სამონა...), ან კიდევ ია-თა წარმოქმნილთ, მიმართვის ფორმად გამოყენებისას, ხშირად ეკვეციებათ ბოლო-კიდური ა. მაგალითები: 1. მშვიდობით, ნ ა თ ლ ი დ ე დ! (ჯავა) 2. გაბედვ-მეთქი, ნ ა თ ლ ი მ ა მ, გაბედვ! (ქონქ.). 3. მონი, ბ ი ძ ი ნ! (რაზ.). 4. ძილი ნებისა, ა რ ს ე ნ!- (მ. ჯავ.). 5. გეთაყვა, დ ა თ უ ნ ი (← დათუნაზ), ოძელაანთას ვერ გაღაზვალ? (მ. ჯავ.).

მიმართვას ხშირად იწყებენ მეორე პირის ნაცვალსახელები (ჩვეულებრივ ნ-ს ჩამოშორებით). მაგალითები: 1. ეპ, შ ე დ ა ლ ო - ც ვ ი ლ ო, შენა, რა ქნან? (რაზ.) 2. რასა ბრძანებთ, თ ქ ვ ე დ ა ლ ო ც ვ ი ლ ო? (რაზ.). 3. ვაპ, შ ე ო ს ა ბ რ ა ლ ო ჩ ე მ ო თ ა ე ო! (მ. ჯავ.). ასეთი მიმართვა თავისებურია: ნაცვალსახელის

მიმყოლი სიტყვები მნიშვნელობით შემასმენელს უახლოვდებიან და იძლევიან მისამართი პირის თვისობრივ დახასიათებას (მღრ.: „შენ კაი კაცი ხარ“ და „შე კაი კაცი“). არარწმიათად არსებითი სახელით გადმოცემულ მიმართვას მოსდევს მეორე პირის ნაცვალსახელის შემცველი მიმართვა განსაზღვრებად, რომელიც მისგან განკერძობებულია: „კ ა ტ ა ვ, შ ე ა მ ო ს ა გ დ ე ბ ო, ც ო ტ ა ხ ა ნ ს დ ა მ ა ც ა ლ ე ო (ვაჟა).

ადამიანის საკუთარი სახელი, მიმართვად გამოყენებული, ძველ ქართულში არ დაირთავდა ბრუნვის ნიშანს, ე. ი. ფუძის სახით იყო წარმოდგენილი. ეს ნორმა მოქმედი ნორმა ახალ სალიტერატურო ქართულშიც: „ლ უ ა რ ს ა ბ ი — დაუძახა ძმას დავითმა (ვაჟ.); „მაშინ იცი, რას გეტყვი, გაბრიელ!“ (ვაჟ.); „დ ა რ ე ჯ ა ნ — არ გეყურება, დედაკაცი?“ (ვაჟ.). მაგრამ ახალ ქართულში, ამასთან ერთად, არცთუ იშვიათად ადამიანის საკუთარ სახელს დართული აქვს წოდებითი ბრუნვის ნიშანი. მაგალითად: 1. პ ე ბ ი ა ვ, კ ა ც ო, შ ე ნ ა ხ ა რ ? (ვაჟ.). 2. თავი დამანებე, ჩემო დ ა რ ე ჯ ა ნ ო ! (ვაჟა). 3. შენა ხარ, ა რ ჩ ი ლ ო ? (ჯაფ.). 4. შენ იძახოდი, ს ა რ დ ი ო ნ ო ? (ჯაფ.). 5. რაზე წუხდებოდი, ბიციოლა ე ლ ი ს ა ბ ე დ ო ! (ჯაფ.). სალიტერატურო ქართულში მიუღებელია, რომ ადამიანის საკუთარი სახელით გამოხატულ მიმართვას დართული ჰქონდეს წოდებითი ბრუნვის ნიშანი, ე. ი. იგი ფუძის სახით უნდა იქნეს გამოყენებული.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : მიმართვას შეიძლება დაერთოს ზოგიერთი ნაწილაკი: „სად წახვალ, ჩ ე მ ო მ ა დ ლ ო — მ ე თ ქ ი, — ვლუღუნებდა (ვაჟა); „უ ნ ა მ უ ს ო ვ ო !“ მისძახდნენ ტან-დაწყებილნი დეკანი (ვაჟა); „კ ა ც ო — დ ა ფ ე ხ ი სა დ მოვიკიდოთ ორმა კაცმა მაგ ვიწროხედ?“ (ვაჟ.).

§ 144. მიმართვის ადგილი წინადადებაში. მიმართვას არა აქვს მყარი ადგილი წინადადებაში: იგი თავშია ან ბოლოში, ან კიდევე წინადადებაშია მოქცეული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეინიშნება გარკვეული შემთხვევები, როცა მისი ამა თუ იმ ადგილას მოთავსება ერთგვარი უპირატესობით სარგებლობს.

მიმართვა თავშია ჩვეულებრივ ბრძანებითს წინადადებაში, ცერძო წერილებში, ან კიდევე მაშინ, როცა მიმართვა წარმოთქმულია ვისიმე ყურადღების მისაპყრობად; თავშია მიმართვა ჩვეულებრივ მაშინაც, როცა იგი მეორდება ან მას ახლავს შორისდუ-

ზული მაგალითები: 1. კ ლ დ ე ო მ ა დ ა ლ ო, შეინახე ჩემი ფესვები! (ვაჟა). 2. ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო ძ მ ა ო გ რ ი გ ო ლ, შენი წიგნი მომიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ... (ბარ.). 3. დ ა თ ო! ხორცი ზომ ჩამოიტანე ბაზრიდან? (ჭავ.). 4. დ ე დ ი! დ ე დ ი! ეს რა ამბავია? (ჭავ.) 5. ჰ ო ი, ბ ნ ე ლ ო ლ ა მ ე ვ, მეჯავრები შენ მე (ჭავ.).

მიმართვა ბოლოშია ჩვეულებრივ მისალმება-გამომშვიდობების ფორმულებში, კითხვით-სიტყვიან კითხვისა და მოწონება-აღტაცების შინაარსის ძახილის წინადადებებში. მაგალითები: 1. — გამარჯვება, გ ი ო რ გ ი! — გაგიმარჯოს, ა რ ს ე ნ! (მ. ჭავ.). 2. — ღამე მშვიდობისა, ძ მ ე ბ ო! — ძილი ნებისა, ა რ ს ე ნ! (მ. ჭავ.). 3. საით მიდიხარ, ა რ ს ე ნ? (მ. ჭავ.). 4. ოჰ, რა კარგი ხარ, ო ც ნ ე ბ ა ვ ტ კ ბ ი ლ ო! (ვაჟა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მიმართვა, რომელიც წინადადების თავშია ან ბოლოში, ინტონაციურად უმეტეს შემთხვევებში მკვეთრად არას გამოყოფილი წინადადებისაგან.

მიმართვა ჩვეულებრივ წინადადებაშია მოქცეული, თუ ქვეშდებარე და დამატება გამოხატულია მეორე პირის ნაცვალსახელებით, ან კიდევ მაშინ, როცა მეორდება ესა თუ ის სიტყვა თუ წინადადება; მიმართვა წინადადებაშია ჩვეულებრივ მაშინაც. როცა იგი გულთბილ დამოკიდებულებას გამოხატავს მისამართი პირისა თუ საგნისადმი. მაგალითები: 1. შენ, ჩ ე მ ო გ ა ბ რ ი ე ლ, შავარდენი ყოფილხარ (ჭავ.). 2. შენ, ჩ ე მ ო ძ მ ა ო, ის ვენახი ვეღარ დაგიბრუნდება (ჭავ.). 3. გეყოფა მზღენი ტყუილი, პ ა ვ ლ ე, გეყოფა! (რაზ.). 4. რას ამბობ, ა დ ა მ ი ა ნ ო, რას? (ჭავ.). 5. რა ამბავია, ძ მ ე ბ ო, რა ამბავია? (ჭავ.). 6. მესმის, ჭ კ ვ ი ა ნ ო პ ე ტ რ ე, შენი გულის ვითარება (ჭავ.). 7. მიგიხვდი, ჩ ე მ ო მ ო ხ ე ვ ე ვ, რა ნესტართაც ხარ ნაჩვენები (ჭავ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მიმართვა, რომელიც წინადადებაშია, ინტონაციურად, საერთოდ, სუსტად არის გამოყოფილი წინადადებისაგან (ჩვეულებრივ დაბალი ტონით და სწრაფი ტემპით წარმოითქმის).

მიმართვა მოსდევს მიგებითსა (არა, დიახ...) და ჩვენებით (აი) ნაწილაკებს. მაგალითები: 1. — დეღამ განა? — არა, ბ ა ტ ო ნ ო, მამათქვენმა (ჭავ.). 2. არა, ძ მ ა ო, ეგ ბედის საქმე არ არის (ჭავ.). 3. აი, ბ ა ტ ო ნ ო, თუნდა ლუარსაბსა ვკითხოთ (ჭავ.). 4. აი, ძ მ ა ო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე (ჭავ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: მიმართვა ზოგჯერ განგრძობილად წარმოითქმის. მაგალითები: 1.— საით ხარ, ბ ი ჯ ო რ? — აქეთ, აქეთ, მამი! (ევედ.) 2.— ნ უ შემქამ, მ გ ე ლ ო რ! — დაიბღავლა საწყალმა ბეკეკამ (რაზ.).

§ 145. სასვენო ნიშნები მიმართვასთან. სასვენო ნიშნების ხმარება მიმართვასთან შემდეგ წესებს ემყარება:

1. თუ მიმართვა წინადადების თავშია მოქცეული, ის მასთან დაკავშირებული სიტყვებითურთ მძიმით ან ძახილის ნიშნით გამოიყოფა წინადადებისაგან. ძახილის ნიშანი დაისმის მაშინ, როცა მიმართვა ძლიერი გრძნობით არის წარმოთქმული და მისი წარმოთქმის შემდეგ დიდი პაუზაა. მაგალითები: 1. ჩ ე მ ო პ ა ტ ა რ ა შ კ ი თ ხ ე ლ ე ბ ო, მე მინდა გიამბოთ ჩემი თავგადასავალი (ევედ.). 2. — კ ნ ი ა ზ ო დ ა ვ ი თ! ეს რა ამბავია? — უთხრა გაჯავრებულსავეით მოსემ (ჰავ.).

2. თუ მიმართვა წინადადებაშია მოქცეული, ის თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ წინადადებისაგან ორივე მხრიდან მძიმით გამოიყოფა: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩ ე მ ო თ ე რ გ ო, ჰვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“ (ჰავ.).

3. თუ მიმართვა წინადადების ბოლოშია, ის თავისი მიმყოლი სიტყვებითურთ წინადადებისაგან მძიმით გამოიყოფა, შემდეგ კი ის ნიშანი დაისმის, რომელიც წინადადებას შეეფერება: წერტილი, ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი, კითხვისა და ძახილის ნიშანი ერთად თუ მრავალწერტილი. მაგალითები. 1. შენი ამბავი გვიან გავიგე, ჩ ე მ ო მ ე გ ო ბ ა რ ო. 2. მე გაბრიელმა ყველაფერი მითხრა, ჩ ე მ ო კ ა რ გ ო! (ჰავ.). 3. რა ამბავია, შ ვ ი ლ ო? (ვაჟა). 4. რატომ არ მღერით, მ თ ე ბ ო? (ვაჟა). 5. ნუ სტირი, დ ე დ ი... (ჰავ.). 6. მშვიდობით, დ ე დ ი.. (ჰავ.).

4. თუ მიმართვა და მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვები გათიშულია ერთმანეთისაგან, ისინი ცალ-ცალკე მძიმეებით გამოიყოფა წინადადებისაგან: „მ თ ა ო, გადმიშვი, მ ა ლ ა ლ ო, რას ნისლი მოგიხვევია?“ (ყაზ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. გაუერკობელ მიმართვას ერთი ხაზი გაუსვით, ისეთს კი, რომელსაც ახლავს მასთან სინტაქსურად დაკავშირებული სიტყვები, — ორი. დაუსვით სასვენო ნიშნები.

ა) 1. ახოვანო ფრინველნო ვაჟაკანო ხმლიანნო დაიწიეთ უკან (ვაჟა). 2. ჩემო ციკანთელა საით ფრენ ნელა-ნელა (წერ.). 3. დათო ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდან (ჰავ.). 4. მზეო ამოდი ამოდი ნუ ეფარები გორასა (ხალხ.). 5. ირემო მთასა მყვირალო რად ჩამოვარდი ბარადა (ხალხ.). 6. ბუნების ძალნო .

შეიწყნარეთ საბრალო ფესვების მუღარა (ვაჟა). 7. მთებო მთებო რას ელით ვის ელით (ვაჟა). 8. დათიკო შენ შენს ბედისწერას აუტანისხარ (ვაჟა).

ბ) 1. იზარღე მწვანე ჭევილო დაპურდი გახდი ყანაო (დავ.). 2. მალე გცოდნია ძმობილო პირობის ასრულება (ვაჟა). 3. ისმინე სწავლის მძებნელო მოყვე დავითის მცნებასა (გურ.). 4. აყვავდი ტურჯა ქვეყანავ ილხანე ივერთ მხარეო და შენც ქართველო სწავლითა სამშობლო გაახარეო (სოსელი). 5. შუო დამხედენ წვიმავ დამნამე კლდეო მაღალო შეინახე ჩემი ფესვები (ვაჟა). 6. თქვენ ელით ჩემო პატარა მკითხველებო კოშკი რა არის (ყაზ.).

ა) 1. მშვიდობით ჩემო გაბრიელ (ვაჟა). 2. ღამილი მაინც მიჩვენეთ თქვენა კარგებო (ვაჟა). 3. გამიშვი ადამიანო (ვაჟა). 4. საღ მიფრინეთ სადა თქვე სულელნო (რაზ.). 4. ვის ატყუებთ თქვე კარგებო (ვაჟა). 5. იკურთხოს შენი ძუძუ ჩვენო დედავ ჩვენო გამზრდელი ჩვენო ძუძუს მაწოვებელო (ვაჟა). 6. შენი სახელი ძმობილო (ვაჟა). 7. ეგრეა ჩემო გაბრიელ (ვაჟა). 8. საღ ბრძანდებოდი ჩემო შერმადინ (ვაჟა).

§ 146. ჩართული. ჩართული ჰქვია ისეთ განკერძოებულ სიტყვას ან გამოთქმას, რომლითაც მოლაპარაკე გვაგებინებს, თუ როგორ უყურებს ის წინადადებაში გამოთქმულ აზრს ან თვით გამოთქმის ფორმას.

მაგალითები: 1. ავადმყოფს, უ ე ქ ვ ე ლ ი ა, რალაცა აწუხებდა (ყაზ.). 2. იმაზე ზრუნვა ძმის, ანუ, უ კ ე თ ა ვ თ ქ ე ა თ, ძმობილის მოვალეობა იყო (ყაზ.).

ჩართული სიტყვა და გამოთქმა მნიშვნელობით მრავალგვარია. ძირითადი ჯგუფებია:

1. ჩართული სიტყვა თუ გამოთქმა გამოხატავს, რომ მოლაპარაკე დარწმუნებულია: ცხადია, თავისთავად ცხადია, რა თქმა უნდა, უეჭველია, რასაკვირველია, უთუოდ, მართალია, აშკარაა, მართლაც და სხვ.

მაგალითები: 1. რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, ეს ასე იქნება (ვაჟა). 2. შეუჩვევარ თვალს ის, უ ე ქ ვ ე ლ ი ა, ქვისაგან გამოკვეთილი ეგონებოდა (ყაზ.).

2. ჩართული სიტყვა თუ გამოთქმა გამოხატავს მოლაპარაკის ვარაუდს, წინადადებაში გამოთქმული აზრის საეგებიოდ თუ საეჭვოდ მიჩნევას: მგონია, ვგონებ, ვფიქრობ, შესაძლებელია, ალბათ, როგორც ჩანს, თითქოს, როგორც გატყობთ, ვიმედოვნებ, როგორც ეტყობოდა და სხვ...

მაგალითები: 1. ამ სოფელს სახელი, ვ გ ო ნ ე ბ, თვით თავისი მდებარეობით დარკმევი (ლომ.). 2. სვიმონს, რ ო გ ო რ ც ე ტ ყ ო ბ ო დ ა, არ ეიამა ეს სიტყვები (ყაზ.).

3. ჩართული გამოხატავს მოლაპარაკის გრძნობას, ფაქტის შეფასებას: საბედნიეროდ, ჩვენდა სასიხარულოდ, სამწუხაროდ, საუბედუროდ და სხვ.

მაგალითები: 1. ეს ამბავი, სამწუხაროდ, გვიან გავიგე.
2. ჩვენდა სასიხარულოდ, ავადმყოფი მალე განიკურნა.

4. ჩართული აღნიშნავს წინადადებაში გამოთქმული აზრის წყაროს, ე. ი. ვის ეკუთვნის ის: როგორც იტყვიან, ამბობენ, როგორც გადმოგვცემენ, გაზეთების ცნობით, ჩემი აზრით, იმის აზრით, ვადმოცემით...

მაგალითები: 1. ძიძიას მოაგონდა თავისი მოვალეობა, რომელიც, ხალხის რწმუნებით, „ხელის მომკიდეს“ ანათესავებდა (ყაზ.), 2. პოეტი, ილია აზრით, ერის მოძმე უნდა იყოს „კმუნვასა და სიხარულში“.

5. ჩართული გვიჩვენებს აზრების თანამიმდევრობას, ან კიდევ ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან თუ აზრებთან: ჯერ ერთი, პირველი, მერე კიდევ, მეორე (ან: მეორეც), მესამეც... მაშასადამე, ამგვარად, პირიქით (პირუკუ), გარდა ამისა, დასასრულ, ერთი სიტყვით, სხვათა შორის, ნაწილობრივ, მაგალითად...

მაგალითები: 1. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია; მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხილია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული (ჭავ.).
2. ჯერ სიტყვები არ დამდგარიყო და, მაშასადამე, ჩინებული პაერი ტრიალებდა (ყაზ.).

6. ჩართულია აგრეთვე საალერსო სიტყვა-გამოთქმები და ზოგიერთი ფიცილის ფორმულა, რომელთაც შორისდებულის მნიშვნელობა აქვთ: გენაცვალე (გენაცვა), გეთაყვა, შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, თქვენმა მზემ, ჩემმა მზემ, ღმერთმანი, ძმობამ, მამაშვილობას, დედაშვილობას და სხვ.

მაგალითები: 1. ერთხელაცა, შვილო, გენაცვალოს პაპა. მივდიოდი ტყე-ტყე არხეინად (ევდ.). 2. არა, თქვენმა მზემ, ჩემო რძალო, მე ჩემს მაზლზედ არ მომიხსენებია (ჭავ.).

7. ჩართული გვიჩვენებს, თუ როგორ აფასებს მოლაპარაკე აზრის გამოთქმის ფორმას: უკეთა ვთქვათ, უკეთ რომ ვთქვათ,

სწორედ ვითხრათ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოკლედ რომ ვთქვათ, მარტივად რომ ვთქვათ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სხვა რომ არა ვთქვა რა...

მაგალითები: 1. იმაზედ ზრუნვა ძმის, ანუ, უკეთავთქვათ, ძმობილის მოვალეობა აუო (ყაზ.). 2. იმის [ბატონის] ქალაში ოცხეზე, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ოც ჯაგზე მეტი არ იდგა (ვაჟა).

ერთი და იგივე სიტყვა თუ გამოთქმა ერთ შემთხვევაში შეიძლება წინადადების წევრი იყოს, მეორე შემთხვევაში კი—ჩართული.

მაგალითები: 1. ყველა მთიელი მწყემსი სამთო ქოხს ამ გვარად აკეთებს (ვაჟა). 2. ამ გვარად, ნ. ბარათაშვილი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელია.

„ამგვარად“ პირველ წინადადებაში წინადადების წევრია (ვითარების გარემოება), მეორეში — ჩართული.

ჩართულია ზოგჯერ მთელი წინადადებაც. მაგალითები: 1. ძველად, ძველის-ძველად, როგორც ყველამ ვიცით, კაცობრიობა განადირებული ცხოვრობდა (ვაჟა). 2. ძლივს არ გავესტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა), ძლივს! (ვაჟ).

მიუხედავად იმისა, რომ ჩართულ წინადადებაში ხშირად საკავშირებელი სიტყვებიც არის წარმოდგენილი (როგორც, თუ. რომ...), ის განკერძოებით დგას და ძირითად წინადადებასთან სინტაქსურად არაა დაკავშირებული.

სავარჯაშო. წაიკითხეთ მაგალითები. აღნიშნეთ, რა მნიშვნელობისაა ჩართული სიტყვა თუ გამოთქმა ამა თუ იმ წინადადებაში.

1. ჩვენს სოფელში კი, მოგეხსენებათ, ორი მდინარეა (დად.). 2. მე, რასაკვირველია, რუსთაველი არ ვახლავართ (ვაჟა). 3. თადა, ეტყობოდა, ფიქრში იყო გართული (დად.). 4. მაშასადამე, თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა (ვაჟა). 5. სირცხვილი იყო, სხვა რომ არა ვთქვათ რა, ეს არ აღმენუსხა (დად.). 6. ბიძაჩემმა, სხვათა შორის, ერთი დათვის ამბავი მითხრა (ვაჟა). 7. ის კი, პირიქით, თამამად შესცქეროდა ტაიას (დად.). 8. ზოგმა, როგორც ვიცით, იცოდა ეს ამბავი (დად.). 9. ვაჟაკს, ფშავლის წარმოდგენით, სიღარბასლე უხდება (ვაჟა). 10. ფულები კი, როგორც ბათუმ გადმოშვა, ჩემდა წილად ათი ათასამდე მერგება თურმე (დად.). 11. ამის ნიშნებს, ჩვენდა სასიხარულოდ, ვხედავთ დღეს (ვაჟა). 12. ის ხომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად ხელუხლებელი ყამირია (დად.).

13. ბოლოს, როგორც იყო, ნექტარინა შეიშმუშნა (დად.). 14. სწორედ გითხრათ, ამაზე მე არასოდეს არ მიფიქრია (დად.). 15. მერმე ისევ იწყებდა სიარულს, აცმა რომ თქვას, ეს უფრო წრიალს ჰგავდა (დად.). 16. ამას მოჰყვა დიდი ტანში, ჭერ-ერთი, გიორგი შერვაშიძის ყველას დიდი პატივისცემა ჰქონდა და, მეორე-ხვეულებრივ შაბლონურ სადღეგრძელოებს უეცრად ლექსი მოჰყვა და ამან საზოგადოება გამოაცოცხლა (დად.). 17. მწერალს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს (ვაჟა). 18. მართლაც, ბუნება სთვლემდა, ეშხადებოდა საძირულედ (ვაჟა). 19. მიჯნაში, გარდა გლახობისა, მონაწილეობას ღებულობდნენ უმთავრესად გვირგვინიანები (დად.). 20. თათბირს ესწრებოდნენ, ნექტარინას გარდა, ბარამი, ბათუ და თედორე (დად.). 21. ერთი სიტყვით, ესენი ყველაფერი მომცა (ვაჟა).

§ 147. სასვენი ნიშნები ჩართულ სიტყვა-გამოთქმასა და წინადადებასთან. ჩართული სიტყვა თუ გამოთქმა წინადადების თავშია, მუკში ან ბოლოში. მასთან გამოყენებულია სამი ნიშანი: მძიმე, უირე ან ფრჩხილები.

1. თუ ჩართული სიტყვა და გამოთქმა თავშია ან ბოლოში, მაწინადადებისაგან მძიმით გამოიყოფა. მაგალითები: 1. როგორც კიციოთ, გოგრა სავეაქაცო საქმეებსაც ეპოტინებოდა (ვაჟა). 2. მელას ერთხელ არაფერი უქამია, გარდა დამპალი ვაშლებისა (გოგ.).

2. თუ ჩართული სიტყვა და გამოთქმა წინადადებაშია მოქცეული, ის ორივე მხრიდან მძიმით გამოიყოფა წინადადებისაგან: „ყმაწვილის გული, შენი კირიმე, ადრეულა ყვავილსა. ჰგავს“ (ვაჟა).

3. ჩართული წინადადება (განსაკუთრებით, თუ ის ვრცელია, ე. ი. მრავალსიტყვიანია) ხშირად ფრჩხილებში ჩაისმის ან ტირეთი (ტირეებით) გამოიყოფა წინადადებისაგან.

მაგალითები: 1. ვენახიდან უმცროსი ძმა გამოვიდა, ხელში ეკლის ხის ტოტი და წალდი ეჭირა (ეტყო ბოდა, გოქიზ შესაწვავე შამფურს თლიდა), ძმას გადაეხვია და რალაც ჰკითხა (კ. ლორთქ.). 2. იმ წუთებში ბევიას, — ასე ეძახდნენ მწყემსს, — ფრინველად გადაქცევა უნდოდა (ყაზ.).

შენიშვნა 1. მეორე წინადადებაში ჩართული შეიძლება ფრჩხილებშიც ჩაისვას.

შენიშვნა 2. თუ ჩართული ფრჩხილებშია, მის წინ მძიმე არ დაისმის, ხოლო შემდეგ იმ შემთხვევაში იწერება, თუ ის ჩართულის გარეშეც საჭიროა: „იმ წუთებში ბეჯიას (ასე ეძახდნენ მწყემსს) ფრინველად გადაქცევა უნდოდა“, მაგრამ: „იმ წუთებში ბეჯიას (ასე ეძახდნენ მწყემსს), როგორც ვიცით, ფრინველად გადაქცევა უნდოდა“.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები. ჩართულ სიტყვასა თუ გამოთქმას ერთი ხაზი გაუსვით, ჩართულ წინადადებას კი — ორი. დაუსვით სასვენი ნიშნები.

1. ფრინველების დღევანდელი საქციელი უნდა მოგახსენოთ მე არ მომეწონა (ვაჟა). 2. მე კი სწორედ გითხრათ თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩაგვჭდარიყავ (ვაჟ). 3. შენც არ მომიკვდე ცხენებმა ყურიც არ გაიბერტყეს (ვაჟ). 4. სახლი როგორც ვთქვით ფიცრულია (ვაჟ). 5. მტერი რასაკვირველია არ ამორებდა თვალს ბრძოლის ველს (ვედ). 6. თქვენი ქვეყანა მეცნიერის ენით რომ ვთქვა განათლებული არ არის ესე იგი მდაბიურის ენით რომ ვთქვა გაუნათლებელია (ვაჟ). 7. ტყვეს მეკრძღვი წყალი ჩაუდგა ერთი სიტყვით განაღდა გაგნას სამწყსოსათვის სასუსნავი (ვედ). 8. აი ეს წიგნი აქ უჩვენა კარგა მონზრდილი უდიანი რვეული თქვენი მამულის შესავალ-გასავლის წიგნი გახლავთ (ლომ). 9. შენმა სიცოცხლემ მოკლა არა მაქვს (ვაჟ). 10. ეგ გითხრათ ჩემი გულქვაობის ამბავი სულაც არ შევიმჩნაე მაშინ (ვაჟ). 11. მართლაც ბურსაპირშიაც სიტყვე მოტყდა (ყაზ). 12. ობობას მოდგმა მოგესხენებათ მრავალია (რაზ). 13. ერთი წინ მიუძღოდა, ორს იქით და აქეთ ყურები ეპირათ უნდა გითხრათ, რომ საქმაოდ მონზრდილი ყურები ჰქონდა მუცელას ორი ზურგს უკან უდგა (ვაჟ). 14. აი მაგალითად გუშინ ზაქარიას ცოლს რა უქნა? (ვაჟ). 15. მაშასადამე ნიადაგი ნაყოფიერი ყოფილა (დად).

§ 148. შორისდებული წინადადებაში. შორისდებული წინადადების წვერი არაა და ყოველთვის განკერძოებით დგას.

1. შორისდებული, რომელიც წინადადების თავშია, მომდევნო სიტყვისაგან მძიმით ან ძახილის ნიშნით გამოიყოფა: ძახილის ნიშნით მაშინ, როცა შორისდებული დიდი გრძნობით და პაუზით არის წარმოთქმული, ხოლო სხვა შემთხვევაში — მძიმით.

მაგალითები: 1. უპ! ეგეც კარგია. სხვა? (ვაჟ). 2. ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული! (გრ. ორბ.).

2. შორისდებულს, რომელიც წინადადებაშია მოქცეული, ორივე მხრიდან მძიმე დაესმის: „მაგრამ, ეჰ, ძმაო, რაც იყო — იყო“ (ვაჟ).

3. თუ შორისდებული წინადადების ბოლოშია, ის წინადადებისაგან მძიმით გამოიყოფა, ბოლოს კი ძახილის ნიშანი დაისმის: „ყოჩაღ, ქალო, სკოლის თვალო! შეგიგნია სწავლის ძალა, გაიხარებს დედაშენი, ბ ა რ ა ქ ა ლ ა, ბ ა რ ა ქ ა ლ ა! (მღვ.).

შენიშვნა: ზოგჯერ შორისდებულის წინ (წინადადების ბოლოს) კითხვის, ძახილის ან კითხვისა და ძახილის ნიშანია: 1. დაგასწარი თუ არა?! ჰი! (ჰავ.). 2. რა რიგად ჩამოცხა! უჰ! (ჰავ.).

4. როცა ერთი და იგივე შორისდებული რამდენჯერმე მეორდება, თვითულის შემდეგ მძიმე ან ძახილის ნიშანი დაისმის, ან კიდევ უკანასკნელის შემდეგ ძახილის ნიშანი იწერება, სხვების შემდეგ კი — მძიმე.

მაგალითები: 1. უ ჰ, უ ჰ, რა ცივა! (ჰავ.). 2. უ ი! უ ი! დახე იმას, იმ წყეულს! (ჰავ.). 3. უ ჰ, უ ჰ, უ ჰ! ეგ ლორის სუკები, შენმა მზემ, რდაც უნდა ღირს (ჰავ.).

5. ზოგი შორისდებული (ჰა || ა, ჰაი || აი, ჰეი || ეი) აძლიერებს მიმართვას და მისგან მძიმით არ გამოიყოფა: „ჰ ა ი თ ქ ვ ე ლ ა ზ - რ ე ბ ო, თქვენა“ (ვაჟა). „კაცო, ჰ ე კ ა ც ო, ვინა ხარ?“ (ვაჟა).

შენიშვნა: შორისდებული ზოგჯერ გაარსებითებულია, წინადადებაში ამა თუ იმ წევრის ფუნქციით არის წარმოდგენილი და სასვენი ნიშნით არ გამოიყოფა: „ბუნებაც „ვაშას“ უძახის მდიდრად მორთულის აღმითა“ (ვაჟა). „ვაშას“ აქ მიცემითში დგას და პირდაპირი დამატებაა.

ს ა ე ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები. შორისდებულს ხაზი გაუსვით. დაუსვით სასვენი ნიშნები.

1. ყოჩაღ ბიკო მე და ჩემმა ღმერთმა ყოჩაღ (ჰავ.). 2. ეპ მარტო ერთი იმ ზღაპრებისა ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა (ჰავ.). 3. ვაშა ვაშა ღრიალებდა გაშმაგებით ალტაცებაში მოსული (რაზ.). 4. პაი პაი პაი ღონიერი არ ყოფილა ისიცა (ჰავ.). 5. უჰ უჰ შენმა მზემ კარგი რამ მოიგონე (ჰავ.). 6. იპ რაღაც სხვა მეგონა (წერ.). 7. ბიკოს ერთხმად გაიოცა ყველამ (რ. გვ.). 8. ეგ ველარ მოვიფიქრე ბიკოს (ჰავ.). 9. ეიშ რად ვავტებე მამის ნათქვამი (ჰავ.).

ს ა ე ა რ ჭ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, რა მნიშვნელობით არის ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში შორისდებული გამოყენებული.

1. ფუ იმ მწყემსსა; თავს უშველოს, მგელს დაუგდოს თავის ცხვარი (ჰავ). 2. ვა შ ა, ვა შ ა სათაყვანო მომავალს! (წერ.). 3. ვა ი შენს დედასა, შე საცოდავის შვილო! (ჰავ.). 4. ეი შ ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა (გრ. ორბ.). 5. ვაი შენს მოსეს! ვანა უნახავს სადმე? (ჰავ.). 6. ვაი შენს ლუარსაბსა! — წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა (ჰავ.).

§ 149. მიგებითი ნაწილაკები. მიგებითი ნაწილაკები (დადასტურებითი: დიახ (დიხალ), ჰო, კი; უკუთქმითი: არა, ვერა) ჩვეულებრივ კითხვის პასუხად იხმარება: და მთელი წინადადების ბადალი არიან.

- რაო, ძმობილო, ჩემთან საქმე ხომ არა გაქვს?
- ა რ ა, შენი ჭირიმე! გლახუკას მოვდეგ (ჰავ.).

„არა“ აქ პასუხია კითხვაზე და ამას უდრის: „შენთან საქმე არა მაქვს“. მიგებითი ნაწილაკები იხმარება აგრეთვე ბრძანების, თხოვნის ან რაიმე ვარაუდის დასადასტურებლად ან უარსაყოფად, ან კიდევ წინა თქმულს გასაძლიერებლად თუ დასაპირისპირებლად.

მაგალითები: 1. მე, კი ვერ შევხედავ, მე თვალებს დაეხუჭავ და შენ გასინჯე.— უი, არა, გეთაყვანე. შენ თითონა ნახე (ქავ.). 2. მგონი მწყურები მაშინ მოიღვეიან, როცა სამალავი და საფარავი აღარ არის მინდვრებში.— დიალ, შემოღგომავზე მწყერი ილევა (ქავ.). 3. — დედამ განა? — არა, ბატონო, მამ-თქვენმა. დიახ, თითონ თავის პირით მიბრძანა (ქავ.). 4. არა! წავალ, არ დავდგები (ქავ.).

მიგებითი ნაწილაკები ცალკეც იხმარება, მაგრამ ხშირად მათ მოსდევს განკერძოებული სიტყვები (მიმართვა, ჩართული), ან კიდევ ისეთი სიტყვები თუ წინადადება, რომლებიც აზუსტებენ ნაწილაკის მნიშვნელობას.

მიგებითი ნაწილაკები წინადადებაში მძიმით (მძიმეებით) გამოიყოფა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მიგებითი ნაწილაკის შემდეგ ზოგჯერ წერტილი, მრავალწერტილი ან ძახილის ნიშანი იწერება.

ს ა ვ ა რ ჯ ა შ ო. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, მიგებითი ნაწილაკების ნაცვალად რა წინადადება იგულისხმება. აღნიშნეთ, რა სასვენი ნიშნებია მიგებით ნაწილაკებთან ნახმარი და რატომ.

1. — რასაც ფრთები არა აქვს, ვერ გაფრანდება? მაგალითად, კაცი ვერ გაფრინდება?

— ვერა (წერ.).

2. — როგორ? არ ირთავს?

— არა (ქავ.).

3. — აქაური ხარ?

— დიახ, დიახ, მამა-პაპით აქაური მცხოვრებელი ვახლავართ (ვაჟა).

4. — გაიგონეთ, რაც გითხარით? დაიხსომეთ?

— დიახ, ბატონო, დიახ! (ქავ.).

5. — მაშ ქათმები არ გინახავს, ფრინველები სახლების, კარმიდამოში? — დაეკითხა მამალი.

— კი, კი, როგორ არ მინახავს (ვაჟა).

6. — იქნებ... გულს რამ გაკლია ჩემგან?

— არა, არა,, ღმერთმა დამიფაროს, ღმერთმა (ვაჟა).

7. — ჩხუბი მოგივიდა? — ჰკითხა არჩილმა გიორგის.

— არა. ამასთან საჩხუბარი რა მქონდა? (ქავ.).

8. — გინახავს სადმე პატირა პატიკო?

— არა, არსად შემხვედრია (ჰავ.).

9. — მე დაუძახებ ბიჭებს, — უთხრა მკითხავემა, — მაგაზედ როგორ და-
ლონდით!

— ჰო, გეთაყვა, შენ დაუძახე (ჰავ.).

10. — მაშ არ გაერევი?

— არა-მეთქი (ჰავ.).

11. — ჰმ! თქვენ, ვგონებ, ანკესი გაქვთ გადაგდებული იმ წყალში?

— ანკესი?!

— დიაღ.

— არა, მე საზოგადოდ არ მიყვარს ნადირობა (წერ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო ე ბ ი გ ა ნ კ ე რ ძ ო ე ბ უ ლ ი წ ე ვ რ ე ბ ი ს ა
და ს ი ტ ყ ვ ა - გ ა მ ო თ ქ მ ა თ ა გ ა ს ა მ ე ო რ ე ბ ლ ა დ .

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, სად რა გან-
კერძობული წევრი ან წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებული სიტყ-
ვები თუ გამოთქმებია. აღნიშნეთ მათთან სასვენი ნიშნების ხმარების წესები.

1. ფრინველნი, ჯერ კიდევ ძლით მოცულნი, დღის მოლოდინით კრთებოდ-
ნენ (ყაზ.). 2. გვადის წინ ბრიგადირი ზოსიმე იდგა, ცალგვერდით მისკენ მობ-
რუნებული (ქიაჩ.). 3. ჩვენ, კაცნი, ამას ზრდილობას ვეძახით (ვაჟა). 4. თქვენ-
მა სიძემ გაახლათ ჩემი თავა, ბიძინა ჩოლოყაშვილმა (წერ.). 5. აქეთ, პატარა
მოსწარებით, თავი მოეყარათ ხარებს (ჰავ.). 6. მეორე დღეს, სისხამ დილაზე,
მეფე გაეშურა იოთამისაკენ (გოგა). 7. ბიჭო, გამახარე, არიქა, მამაშვილობას,
ცეცხლი მომიტანე (ვაჟა). 8. მარო, როგორც ზემოთა ვთქვი, მაღალი და წარ-
მოსადეგი იყო (გაბ.). 9. ეგ, გითხრათ ჩემი გულქვაობის ამბავი, სულაც არ
შევიმჩნიე მაშინ (ჰავ.). 10. დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდან? (იმ სო-
ფელში ბაზარიც გახლდათ) (ჰავ.). 11. ეჰ, ვინ მოსთვლის? (ჰავ.). 12. განა დიდი
ხანია, რაც მელი? — არა, მაგრამ ლოდინი, თუნდა ერთის წუთისა, მაინც მოსაწ-
ყენია (ჰავ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითებუ, განკერძობულ წევრებსა
თუ წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებულ სიტყვებსა და გამოთქ-
მებს ხაზი გაუსვით (მარჯვნივ, ფრჩხილებში, მიუწერეთ, რა სახისაა). დაუსვით
სასვენი ნიშნები.

1. კესოს ყვაილების ბალი გეგმაზე გაკეთებული მოირთო მოიკაზმა (ჰავ.).
2. მთის მწვერვალზე ცის მახლობლად მერცხლას ბუდედ რალაც მოჩანს (წერ.).
3. ელიზბარმა... ყველაფერი ძმას ქურსიკას და დედას სეთურს უამბო (ვაჟა).
4. გიორგი სააკაძე როგორც წინამძღოლი ჯარისა იმავ წამს თადარიგს შეუდგა
(გოგა). 5. შენ ეი ჩიტუნია მე არწივი თქვენი მეფე მოვედი, მოგალოცო შენი
დღესასწაული (ვაჟა). 6. ბეკინა სამანიშვილი რასაკვირველია ღარიბი აზნაური
იყო (კლდ.). 7. გაძვალტყავებულ ცხენს მისა ნეკნები ნახევარ ვერსზე დაითვ-
ლება კისეარის გამოაბამს (კ. ლორთქ.). 8. უჰ უჰ შენმა მზემ კარგი რამ მოიგონე
(ჰავ.). 9. არა გეთაყვანე ფული რა სათქმელია არ იქმონენ არა (ჰავ.). 10. მერე
დედა გენაცვალოს და დალა ვერ მოჰპარე? — დაეციოთხა დედა ეფრემს. — ვერა
14. ლ. კ ვ ა ჰ ა ძ ე, ქართული ენის სინტაქსი

იმ დასაქცევმა დამინახა და გაფრინდა (ვაჟა). 11. ქორწილის მეორე დღეს საილილის შემდეგ ჩვენი ლუარსაბი შექვეითანებული წავადა და ფანატურში დაწვა. (ვაჟა).

რთული წინადადება

§ 150. ზოგადი ცნობები რთული წინადადების შესახებ. რთული ჰქვია ისეთ წინადადებას, რომელიც შედგება რამდენიმე (ორი ან მეტი) მარტივი თუ შერწყმული წინადადებისაგან და შინაარსობრივ და ინტონაციურად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს.

მაგალითები: 1. ამ დროს იგრიალა თოფმა და ქორბუდა დაეცა (ვედ.). 2. მინღორი და ველი ყვავის, ნამი ბზინავს ათასფერად (ერ.). 3. საუკუნო იყოს ხსენება გმირებისა, რომლებმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში ვაჟკაცური სიკვდილი პოვეს და სამშობლოს სახელი დიდებით შემოსეს (ქიაჩ.).

პირველი შედგება ორი მარტივისაგან, მეორე — შერწყმულისა და მარტივისაგან, მესამე კი — მარტივისა და შერწყმულისაგან.

რთულში შემავალ წინადადებათა აზრობლივი მიმართება, შეკავშირება და შეერთების საშუალება სხვადასხვაგვარია.

რთული წინადადების შედგენა თანწყობისა და ქვეწყობის საშუალებით ხდება.

თანწყობა ჰქვია ერთიმეორის მიმართ თანასწორ წინადადებათა დაკავშირებას. მაგალითი: „ყოღალა ხეს უკაკუნებს და ტოროლა ცაში გალობს“ (ერ.). აქ ორი მარტივი წინადადებაა: 1. „ყოღალა ხეს უკაკუნებს“, 2. „ტოროლა ცაში გალობს“. ეს ორი წინადადება ერთიმეორის მიმართ თანასწორია: ერთი არ ხსნას მეორეს და შეიძლება ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ვიხმართ.

რთულ წინადადებას, რომელიც შედგება ერთიმეორის მიმართ თანასწორი წინადადებებისაგან, რთული თანწყობილი წინადადება ჰქვია.

ქვეწყობა ჰქვია ისეთ წინადადებათა დაკავშირებას, რომლებიც ერთიმეორის მიმართ არაა თანასწორი და რომელთაგანაც ერთი დაქვემდებარებულია მეორეზე, ხსნის მას მთლიანად ან მის რომელიმე წევრს. მაგალითი: „ტაფობის შუა ადგილს მოჩანდა მრგვლად ამალღებული გორაკი, რომელსაც ფერდობები შემოსილი

ქონდა ვერხვის ტყითა“ (ყაზ.). აქაც ორი წინადადებაა: 1. „ტაფობის შუა ადგილს მოჩანდა მრგვლად ამალღებული გორაკი“, 2. „რომელსაც ფერდობები შემოსილი ქონდა ვერხვის ტყითა“. პირველი წინადადება დამოუკიდებელია, იგი მეორე წინადადების გარეშეც გასაგებია და ცალკეც შეიძლება ვიხმაროთ; მეორე წინადადება დამოკიდებულია პირველზე: ის იძლევა დამატებითს ცნობას პირველი წინადადების ქვემდებარეზე („გორაკი“), ხსნის მას. ამიტომ მეორე წინადადება პირველის გარეშე გაუგებარია.

რთულ წინადადებას, რომელშიაც ერთი წინადადება დამოკიდებულია მეორეზე და ხსნის მას, რთული ქვეწყობილი წინადადება ქვეცია.

რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილებია მთავარი და დამოკიდებული წინადადება. მოყვანილ მაგალითში პირველი წინადადება მთავარია, მეორე კი — დამოკიდებული.

მთავარს შეიძლება ახლდეს რამდენიმე დამოკიდებული. მაგალითი: „როცა ლომმა დაუპატიებელი სტუმარი დაინახა თავის ბუნაგში, მშვიდობიანად მიუახლოვდა და მუხლზე დაადო თავისი დაქრილი ფეხი, რომელიც სისხლში ქონდა მოსერილი“ (გოგ.). აქ სამი წინადადებაა, რომელთაგანაც მეორე მთავარია, პირველი და მესამე კი — დამოკიდებული.

ზოგჯერ რთულ წინადადებაში თანწყობაც არის და ქვეწყობაც. ეს მაშინ არის შესაძლებელი, როცა რთული წინადადება სამი ან სამზე მეტი მარტივი (ან შერწყმული) წინადადებისაგან შედგება. მაგალითი: „ყველანი გაჩუმდნენ და ჩამოვარდა ისეთი სიმშვიდე, რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით“ (ყაზ.). წინადადება მთლიანად თანწყობილია, თანაც ამ წინადადების მეორე ნაწილი თავის მხრივ ქვეწყობილი წინადადებაა.

რთული წინადადების შედგენა ჩვეულებრივ საკავშირებელი სიტყვების საშუალებით ხდება, უფრო იშვიათად კი — საკავშირებელი სიტყვების გარეშე, ე. ი. მარტო ინტონაციის საშუალებით.

მაგალითები: 1. გამხიარულებული ბუხარი გუფუნებდა და კობიტის შემას ტკაცატკუცი გაქონდა (წერ.). 2. ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალი კვივის, ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა ტირის (ქავ.).

პირველ მაგალითში ორ წინადადებას „და“ კავშირი აერთებს, მეორეში კი მარტო ინტონაციის საშუალებით (ე. ი. გარეგნულად

კავშირის გარეშე) სამი მარტივი წინადადებაა ერთმანეთთან შეერთებული. მაშასადამე, რთული წინადადება (იმის მიხედვით, თუ როგორაა იგი შედგენილი) ორგვარია: კავშირიანი და უკავშირო.

საკავშირებელი სიტყვებია: 1. კავშირი: და, რომ, მაგრამ, თუ, ხოლო და სხვ. 2. მიმართებითი ნაცვალსახელები: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც და სხვ. 3. მიმართებითი ზმნიშვნელები: სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც (როცა), როგორც და სხვ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. რთულ თანწყობილში გაერთიანებული წინადადებები ყოველთვის არაა საესებით თანასწორი, ჩვეულებრივ პირველია თავისთავადი, დამოუკიდებლად გაფორმებული, მეორის გაფორმება (სიტყვების რიგი, წევრის გამოტოვება...) კი რამდენადმე პირველითაა განსაზღვრული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. ტერმინები „მთავარი წინადადება“, „დამოკიდებული წინადადება“ რამდენადმე პირობითია, რადგანაც რთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილები არ არის დამოუკიდებელი. დამთავრებული წინადადებები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. მტკიცე ზღვარი თანწყობილსა და ქვეწყობილს შორის ხშირად არაა. ზოგი წინადადება, რომელიც თანწყობილად არის გაფორმებული, ქვეწყობილს უახლოვდება, ქვეწყობილად გაფორმებული კი — თანწყობილს. ამიტომ საკუთრივ თანწყობილსა და ქვეწყობილს გარდა, მოიპოვება ისეთი რთული წინადადებები, რომლებიც გარდამავალ საფეხურზე დგას.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, თანწყობილია წინადადება თუ ქვეწყობილი, აგრეთვე კავშირიანია შეერთება თუ უკავშირო. კავშირიან რთულ წინადადებაში აღნიშნეთ, როგორი სიტყვაა საკავშირებლად გამოყენებული.

1. მარტი გავადა, გათბა დღე, დარები დგება მზიანი, მიწა გაფუცდა, ბუჩქებში ამოჩენილან იანი (მღვ.). 2. უსულდგმულო ბუნებამ ხმა მისცა, ხოლო სულიერი არსებანი კი სდუმდნენ (ლომ.). 3. ფრთოსანებში ყველაზე თვალწარმტაცი ხოხობი იყო, მაგრამ მას კეკლუცობაში არც კაკაბი ჩამოუყარდებოდა (ეიდ.). 4. კურღლებმა ფეხით ქექდნენ თოვლს, რომ ამოეჩინათ ხმელი ბალახი საზრდოდ (ვჟა). 5. როცა დაეთი შინ მივიდა, საღამო ხანი იყო (ვჟა). 6. კაცი ის არის, ვინც მამულს გამოადგება შვილად (ერ.). 7. მსხალს თვალი დარჩა იქით, საათკენაც ფითრი უჩვენებდა (რახ.).

რთული თანწყობილი წინადადება

§ 151. კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება. წინადადებათა შესაერთებლად აქ გამოყენებულია მებრთებელი კავში-

რები: მაჩუფებელი, მაცალკეებელი და მაპირისპირებელი. სხვადასხვა კავშირის საშუალებით წინადადებებს შორის რთულ თანწყობილ წინადადებაში სხვადასხვაგვარი აზრობლივი მიმართებაა გამოხატული. ესა თუ ის მიმართება ზმნის ფორმებითა და ლექსიკური საშუალებებითაც გადმოიციემა. მაგალითად, ზოგჯერ მეორე წინადადებაში ნახმარია ისეთი სიტყვა, რომელიც ამ მიმართებაზე მიუთითებს.

§ 152. მაჩუფებელ-კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება. მაჩუფებელ კავშირთაგან თანწყობილად წინადადების ნაწილების შესაერთებლად ყველაზე ხშირად „და“ კავშირია გამოყენებული. „და“-თი შეერთებული წინადადებები გამოხატავს:

ა) მოვლენათა ერთდროულობას: „მგლები ღმუროდნენ მღუმარ ველებზე და წეროები ტიროდნენ ცაში“ (ნ. ნად.).

ბ) მოვლენათა თანამიმდევრობას: „ბუჩქები გაღიწია და ვილაცა უცნობი ვეფხვისავით გაღმობტა“ (ყაზ.), იგულისხმება, რომ ჯერ „ბუჩქები გაღიწია“, შემდეგ კი „ვილაცა უცნობი ვეფხვისავით გაღმობტა“.

გ) მოვლენათა თანამიმდევრობასა და მიზეზ-შედეგობრიობას: „ჰალას ნისლი დააწვა შავად და ისედაც ჩამოტურულ-ჩამობნელებული არე-მარე უფრო დაბნელდა“ (ვაჟა). აქ იგულისხმება: ა) ჯერ ნისლი დააწვა შავად და მერე არე-მარე დაბნელდა უფრო. ბ) ამასთანავე, ჰალას რომ ნისლი დააწვა შავად, ეს მიზეზია იმისა, რომ ისედაც ჩამოტურულ-ჩამობნელებული არე-მარე უფრო დაბნელდა, ე. ი. პირველ წინადადებაში მიზეზია დასახელებული. მეორეში კი — შედეგი.

რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალ წინადადებათა აზრობლივი მიმართება ზოგჯერ მეორე წინადადებაში ლექსიკური საშუალებითაც (ნაცვალსახელებით, ზმნაზელებით...) არის გადმოცემული. მაგალითები: 1. გავარდა ერთბაშად თოფი და ეს ნიშანი იყო საერთო იერიშისა (ყაზ.). 2. ერთს ადგილს რაღაც შეინძრა და წუთს შემდეგ ვილაცა კაცი გამოჩნდა (ყაზ.).

პირველ მაგალითში მეორე წინადადებაში ნახმარი ნაცვალსახელი „ეს“ პირველი წინადადების ბადალია; მეორე მაგალითში მოვლენათა თანამიმდევრობაა დროში. „წუთს შემდეგ“ აზუსტებს, თუ რა ხნით არის დაცილებული ერთმანეთსაგან თანწყობილი წინადადების ნაწილებში გადმოცემული მოვლენები.

უარყოფითი რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში „არც“ ან „ვერც“ გამეორდება; „და“ კავშირი შეიძლება იყოს ნახმარი, შეიძლება არა: „არც წვიმს, არც (ან: და არც) თოვს“.

რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს ზოგჯერ რომელიმე სიტყვა საერთო აქვთ, რომელიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა წევრია წინადადებისა. მაგალითები: 1. გაუფრინდა ყმაწვილობის ტკბილი დღეები კამეჩს და ზაქობაში გატარებული დრო სანატრელი გაუხდა (რახ.). 2. ყორანი იჭდა მუხის ერთს ხმელს ტოტზე და თვალებიდან ცრემლი დაჰაღუპით ჩამოსდიოდა (ვაჟა). საერთო სიტყვა („კამეჩს“, „ყორანი“) ნახსენებია პირველ წინადადებაში, მაგრამ ის იგულისხმება მეორეშიც. პირველ მაგალითში საერთო სიტყვა საერთო წევრიცაა (ირიბი დამატება: „კამეჩს გაუფრინდა“, „კამეჩს სანატრელი გაუხდა“), მეორეში კი — სხვადასხვა (პირველ წინადადებაში ქვემდებარეა: „ყორანი იჭდა“, მეორეში — ირიბი დამატება: „ყორანს ჩამოსდიოდა ცრემლი“).

როცა რთულ თანწყობილ წინადადებაში ორზე მეტი წინადადებაა გაერთიანებული, ჩვეულებრივ ორი უკანასკნელია „და“-თი შეერთებული, სხვები კი — უკავშიროდ: „ჩამობნელდა, ჩამოცხა და მოისმა ქექა-ქუხილი“ (ყახ.).

„და“-თი შეერთებული წინადადებები. ერთმანეთისაგან მძიმით არ გაიყოფა. უარყოფითი რთული წინადადების ნაწილებს შორის მძიმე იწერება, თუ „და“ კავშირი არაა ნახმარი.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. წაიკითხეთ მაგალითები; დაასახლეთ კავშირი და გამოარკვეეთ, როგორი აზრობივი მიმართებაა რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალ წინადადებებს შორის.

1. გათენდა დილა და ქარმა მზადება დაიწყო (ყახ.). 2. წრუწუნას მალე მოედო ღვინო და მოჰყვა ბაიათებს (ვაჟა). 3. ერთბაშად გაიღო კარები და ყველამ გაკვირვებით იქით მიიხედა (ყახ.). 4. მოწმენდილა ცა გაკრიალებულიყო და შრის სხივი მთის წვერებს შესთამაშებდა (ყახ.). 5. ციცია წყნარად სუნთქავდა და ცხვირის ნაზი ნესტოები ებერებოდა (ყახ.). 6. არც ზღვა ღელავდა, არც ქარი ქროდა. 7. არც კოდალა უკაცუნებდა ხეს და არც ტოროლა გალობდა ცაში. 8. ვერც მე ვნახე და ვერც მან მინახულა. 9. ელგუჯამ გაჰხედა ამ სურათებს და გული აუძგერდა (ყახ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. წაიკითხეთ მეორე, მეხუთე და მეცხრე მაგალითი და გამოარკვეეთ, რომელი სიტყვაა საერთო რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალ მარტივ წინადადებებში, რა წევრია ის პირველ წინადადებაში და რა წევრად იგულისხმება მეორეში.

§ 153. მაცალკეებელ-კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება. მაცალკეებელი კავშირები ჩვეულებრივ მეორდება რთული თანწყობილი წინადადების თვითეულ ნაწილში.

„ან“ (ან—ან, ან—ან არადა, ან—ანდა, ან—ან კიდეც) აღნიშნავს რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებში დასახელებულ ამბავთაგან ერთ-ერთის შესაძლებლობას (სხვების გამორიცხვით): „ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არადა აქედან ცოცხლები ვეღარ წახვალთ!“ (კავ.).

„ხან—ხან“ (ხან—ხან კი, ხან—ხანაც, ხან—ხან კიდეც) აღნიშნავს რთული წინადადების ნაწილებში დასახელებული ამბებისათუ მოვლენების მონაცვლეობას: „მის შორიახლო ხან შევარდენი გამოინაჯარღებდა, ხან ქორი გამოიქროლებდა“ (კავ.).

„გინდ—გინდ“ (გინდ—გინდაც) მიგვითითებს, რომ დასახელებულ ამბავთაგან ერთ-ერთი უნდა იქნეს არჩეული: „გინდ მე წავალ, გინდ შენ წადი“.

უკანასკნელ წინადადებას წინა წინადადებასთან მაცალკეებელთან ერთად შეიძლება „და“ კავშირიც აერთებდეს: „ხან დათვი ბურტყუნებდა, ხან მგელი ყმუოდა და ხან კიდეც ტურების ჩხავილი აყრუებდა იქაურობას“.

მაცალკეებელი კავშირის წინ, გარდა პირველ წინადადებაში ხმარებულისა, მძიმე დაისმის. თუ მაცალკეებელ კავშირთან ერთად „და“-ც არის ნახმარი, მაშინ მძიმე აღარ არის საჭირო.

ს ა ვ ა რ ა ი შ ო . გადაიწერეთ მაგალითები. კავშირებს ხაზი გაუსვით. დაუსვით სასვენი ნიშნები.

1. ან მონადირე წამომაღგება თავზე ან მგელს შეეფეთებო (ყვდ.). 2. ბეჟანი რაღას ფაქრობდა ან დაობლებულს ბატკანს რა დაეშარათა? (კავ.). 3. ხან წვიმდა ხან თოვდა ხან კი საშინელი ქარი ქროდა. 4. გინდა მე მოვალ შენთან ვანდ შენ შემომიარე. 5. დაქრილ შევლს ან მონადირე გამოასალმებდა სიცოცხლეს ან დათვი დაგლეჯდა და ან კიდეც მგლების კერძი შეიქნებოდა.

§ 154. მაპირისპირებელ-კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება. მაპირისპირებელ კავშირთაგან წინადადებათა შესაერთებლად ჩვეულებრივია „მაგრამ“, „ხოლო“, „კი“. ეს კავშირები აერთებს საწინააღმდეგო შინაარსის წინადადებებს. მაგალითები: 1. შუა ზამთარი იქნებოდა, მაგრამ ჯერ თოვლის ერთი ფანტელიც არ დასცემოდა ქუთაისს (რ. გვ.). 2. ხმელ წიფლის კენწეროზე

ქედნები სხდებოდნენ და ღულუნებდნენ, ხოლო გუგული არსად ჩანდა (ვაჟა). 3. მარო განარებული შინ წავიდა, დაღონებული კაქკაქები კი წნორებზე ჩამწკრივდნენ და გააბეს ლაპარაკი (რაზ.).

„მაგრამ“ ხშირად გაძლიერებულია „მინც“ ნაწილაკით: „წვიმამ გადილო, მაგრამ მზე მაინც არა ჩანდა“ (ვაჟა).

„კი“ ზოგჯერ ისეთ წინადადებაშიც გვხვდება, რომელიც წინა წინადადებასთან სხვა კავშირითაც არის შეერთებული (და, მაგრამ, ხოლო). მაგალითები: 1. სხვები ლხინობდნენ და მეკილული ცრემლსა თვალზე არა მშრებოდა (ჰავ.). 2. დედა წიბლია მწუხარე გულს შვილებთან ართობდა, მაგრამ გული კი მოსვენებას მოკლებული იყო (რაზ.). 3. მტრედები გაკვრით მიდიოდნენ, ხოლო მწყერი კი მალე დაიღალა და ბალახებში ჩაეშვა (ვაჟა).

„მაგრამ“ და „ხოლო“ იწყებენ უკანასკნელ წინადადებას და მათ წინ ყოველთვის მძიმე დაისმის. „კი“ არასოდეს არ იწყებს წინადადებას, ამიტომ მძიმე იწერება არა მის წინ, არამედ წინადადებათა მიჯნაზე (წინა წინადადების შემდეგ). თუ „კი“-სთან ერთად „და“-ც არის ნახმარი, წინადადებები ერთმანეთისაგან მძიმით აღარ გაიყოფა (ნახე მაგალითები ზემოთ).

თუ თანწყობილ წინადადებაში ორზე მეტი წინადადებაა გაერთიანებული, მასში შეიძლება სხვადასხვა ჩჯუფის კავშირებიც შეგვხვდეს (მაგ., მაცალკეებელი და მაპირისპირებელი): „ხან ეკალი ედება, ხან მაყვალი სწევს უკან, მაგრამ მაინც მისდევს ციკანს“ (ევდ.); პირველ ორს აერთებს მაცალკეებელი კავშირი (ხან—ხან), მესამე კი პირველი ორის საწინააღმდეგო შინაარსისაა და მათთან მაპირისპირებელი კავშირით არის შეერთებული (მაგრამ).

შენიშვნა: ზოგჯერ ერთი წინადადება წინა წინადადების შინაარსის აზნას წარმოადგენს და მასთან მაიგივებელი კავშირით არის შეერთებული: „[მდინარე] დაიბადება თუ არა, ე. ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის ქალთაზე, მაშინვე იწყებს ჟონვას ნელ-ნელა, ახალფეხადგმულ ბავშვივით“ (წერ.). ასეთი ამხანელი წინადადება არსებითად დანართი წინადადებაა.

სავარჯიშო 1. გადაიწერეთ მაგალათები. კავშირებს ხაზი გაუსვით; დაუსვით სასვენა ნიშნები. აღნიშნეთ, როგორია აზრობლივი მიმართება რთულში გაერთიანებულ წინადადებებს შორის.

1. ნათელი და თბალი დღეები ზამთარშიაც გამოვარდება ხოლმე მაგრამ ის განაფხული არ არის (ყაზ.). 2. დაჭრილი იყო ონისე ხოლო ზეზე იდგა გელა (ყაზ.). 3. მოქუშულ ცაზე აქა-იქ ჩანდა ვარსკვლავები მთვარე კი ღრუბლებიდან მკრთალად ანათებდა ბალახიანის რაიონს (ევედ.). 4. არმა ტარანს ძმრიან საწებელში აწყობდა ხოლო ეფრისინე კეცებზე ჰადებს აკრავდა (რ. გვ.). 5. ელგუჯა მიდიოდა ლაშქარად მაგრამ გული კა შინ დარჩენოდა (ყაზ.). 6. მამამ ცალკე მიუალერსა თებროს მაგრამ ის შინც სლუქუნებდა (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები; მაჭგუფებელ კავშირს ერთი ხაზი გაუსვით, მაცალკეებელს — ორი, მაპირისპირებელს — კლაკნილი. დაუსვით სასვენნი ნიშნები.

1. მამა გავიდა მეორე ოთახში და ჩვენც გავყევით (ვაჟ.). 2. ან ღათვი დაფათრავდა ან მგლების კერძად შეიქმნებოდა (ყაზ.). 3. ხან კოდალა უკაკუნებდა ხეს ხან ჩხიკვი ჩხაოდა ხან კიდევ ბულბულის სტეენა ისმოდა. 4. მიდის ილა და მიარღვევს პატარა ბუჩქებს ზვიდან კი ტოტებ-დაბურული ხეები დასცქერის თავზე (ევედ.). 5. ონისემ დაღონებით შეხედა მაგრამ მაშინვე თვალეში ელვასავით გაუბრწყინდა (ყაზ.). 6. მოლოდინით გულა გადამეღია ხოლო მალა შეცქერით თვალეში გაწყალდა (ვაჟა).

§ 155. უკავშირო თანწყობილი წინადადება. რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი წინადადებები ხშირად გარეგნული კავშირის გარეშე (ე. ი. ინტონაციის საშუალებით) არიან ერთმანეთთან შეერთებული. შინაარსობლივი მიმართება წინადადებას შორის დაახლოებით აქაც ისეთივეა, როგორიც კავშირიანი შეერთებისას. ამის გამო უკავშირო შეერთება შესაფერი კავშირის ჩასმით შეიძლება კავშირიანად გადაკეთდეს.

როცა რთულ თანწყობილ წინადადებაში სამი ან სამზე მეტი წინადადებაა, ხშირად უკანასკნელები კავშირითაა, „შეერთებული, სხვები კი — უკავშიროდ: „იჭექა, გრგვინვა მოისმა, იელა სადღაც ცაშია, მ ა გ რ ა მ ნამი კ ი არა ჩანს არსად ცის კამარაშია“ (ერ.).

უკავშიროდ გადაბმული წინადადებები ერთმანეთისაგან მძიმით ან წერტილ-მძიმით გამოიყოფა:

ა) მძიმე იწერება მაშინ, როცა წინადადებები მოკლე-მოკლეა და მათ შორის მკვიდრო აზრობლივი კავშირია: „მარტი გავიდა, გათბა ღღე, დარები დგება მზიანი, მიწა გაფუვდა, ბუჩქებში ამოჩენილან იანი“ (მღვ.).

ბ) წერტილ-მძიმე დაისმის მაშინ, როცა წინადადებები რამდენადმე დამოუკიდებელი არიან და მათ შორის აზრობლივი კავშირი არაა ძალიან მკვიდრო, ან წინადადებები მეტად გავრცობილია, განსაკუთრებით თუ წინადადების შიგნით მძიმეც არის გამოყენებული: „მზე დასავლეთისაკენ გადაიწურა; საღამო ახლოვდებოდა;

მონადირენი შინ წასასვლელად გაემზადნენ; ქალები ურმებზე ჩალაგდნენ; ვაჟები ცხენებზე ამხედრდნენ“ (ვაჟა).

გამოტოვებული შემასმენლის აღგილას ტირე იწერება: „შვლებს არჩეები მოჰყვენენ, არჩეებს — ირმები, ირმებს — გარეული ღორები, ღორებს — დათვები და სხვა“ (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები, დაუსვით სასენი ნიშნები. აღნიშნეთ, როგორია აზრობლივი მიმართება წინადადებებს შორის და შინაარსის შეუცვლელად სად რომელი კავშირის ჩასმა შესაძლებელი.

1. ენკენისთვე გაიწურა გადაყვითლდა მთა და ველი ღვინობისთვემ შოატანა-სოფლად განდა ყველგან რთველი (მღვ.). 2. საღაღაც ძალი ყვედა ხბო ბლო-და ბავშვი ბავშვს ეძახოდა ვილაცა შეშას ჩეხავდა (რ. გვ.). 3. ქარი ასევე ჩავარდა ხმურობა შეწყდა ისევე ჩამოცხა და სულთქმა გაძნელდა (ყაზ.). 4. აქ იყვენ მარტოკა კაცები ქალები არსად ჩანდნენ (ყაზ.). 5. მტერს ხმალი ვაჭარს თეთრი წისქვილს წყალი გუთანს ხარი (ანდ.). 6. ბინდბუნდი იყო დღე წყნარად ქრებო-და (ვაჟა). 7. ამ სიტყვებმა ელვასავით გაირბინა ყველანი და ყველაფერი გა-ჩუმდა (ყაზ.). 8. ერთი მეორეს აჩუმებდა მეორე მესამეს მესამე მეოთხეს (ვაჟა). 9. მთლად გადიბუგა ქვეყანა ტახტი დაედგა გვალვასა შინდორი ველი მთა კორდი სულ დაემსგავსა ჩალასა (მღვ.). 10. გასპარამ დოში დააღბო მე ცხვრის ხორცი ჩავსკერ ქვაბში (ვაჟა). 11. ბურსაპირშიაც სიცივე მოტყდა ქარი ჩავარდა და განთაადთან ერთად ნისლი გაქრა (ყაზ.).

რთული ჰემეფობილი წინადადება

§ 156. დამოკიდებული წინადადების დაკავშირება მთავართან-დამოკიდებული წინადადების დაკავშირება მთავართან ჩვეულებ-რივ საგანგებო სიტყვების საშუალებით ხდება, მაგრამ ზოგჯერ გარეგნული კავშირის გარეშეც — ინტონაციის საშუალებით.

მაგალითები: 1. ეკალში ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო (წერ.). 2. ზამთრობით [ვერხვი] ძალიან დაჩაგრული იყო: აბუნარი მთის ქარიშხალი მოსვენებას არ აძლევდა, ახეთქებდა აქეთ-იქით (ვაჟა).

პირველ მაგალითში დამოკიდებული წინადადება მთავართან კავშირით არის შეერთებული („რომ“), მეორეში — უკავშიროდ. მამსადამე, რთული ჰემეფობილი წინადადება კავშირიანია ან უკავშირო.

დაქვემდებარებითს დამოკიდებულებას უკავშირო შეერთები-სას ვარკვევთ შინაარსის მიხედვით. მაგ., მეორე მაგალითში პირ-ველი წინადადება მთავარია, რადგანაც მეორე წინადადება მას ხანის, სახელდობრ, აღნიშნავს იმას, თუ რატომ იყო ზამთრობით ვერხვი ძალიან დაჩაგრული.

მთავარისა და დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი სიტყვებია: მაქვემდებარებელი კავშირები (რომ, თუ, რათა, სანამ, რადგანაც, ვინაიდან, თუმცა...), მიმართებითი ნაცვალსახელები (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...) და მიმართებითი ზმნიზედები (სადაც, საითკენაც, საიდანაც, როდესაც (როცა), როგორც...).

მაგალითები: 1. სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილ-უბრალო ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა (ჭავ.). 2. ვინც გარეთ იყო, სახლში ეშურებოდა (რაზ.). 3. მსხალს თვალი დარჩა იქით, საითკენაც ფითრი უჩვენებდა (რაზ.).

მაქვემდებარებელი კავშირები მხოლოდ გადაბმის საშუალებაა და წინადადების წევრს არ წარმოადგენს, მიმართებითი სიტყვები (მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები) კი არა მარტო გადაბმას საშუალებაა მთავარ წინადადებასა და დამოკიდებულს შორის, არამედ წინადადების წევრიც დამოკიდებულ წინადადებაში. მაგალითად, მეორე წინადადებაში დამოკიდებულს მთავართან აერთებს მიმართებითი ნაცვალსახელი („ვინც“), მესამეში — მიმართებითი ზმნიზედა („საითკენაც“), რომლებიც ამავე დროს წინადადების წევრებია: პირველი („ვინც“) ქვემდებარეა, მეორე („საითკენაც“) — ადგილის გარემოება.

დამოკიდებული წინადადება მიმართებითი სიტყვებით შეიძლება დაუკავშირდეს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს ან მთელს მთავარ წინადადებას.

მაგალითები: 1. იმ დამეს გავიგე ის, რაც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია (ვაჟა). 2. მოწმენდილი ცა ერთბაშად შავი ღრუბლებით დაიფარა, რაც ჩვენთვის მოულოდნელი იყო.

პირველ მაგალითში მიმართებითი ნაცვალსახელი („რაც“) დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავარი წინადადების პირდაპირ დამატებასთან („ის“), მეორეში კი — მთელ მთავარ წინადადებასთან.

საკავშირებელი სიტყვა, როგორც წესი, დამოკიდებულ წინადადებაშია (ჩვეულებრივ იწყებს მას), მაგრამ ხშირად მთავარ წინადადებაშიაც მოიპოვება მეორე საკავშირებელი, ან კიდევ დამოკიდებული წინადადების სავარაუდო ნაცვალსახელები თუ ზმნიზედები, რომლებიც დამოკიდებულ წინადადებაზე მიუთით-

თებენ: ასეთი წყვილ-წყვილი სიტყვებია: ისე — რომ, სანამ — მანამ, ისეთი — რომ, რამდენადაც — იმდენად, იმიტომ — რომ, მისთვის — რომ, ისეთი — როგორიც, თუმცა — მაგრამ, იქ — სადაც, მაშინ — როდესაც (როცა), რაწამს — მაშინვე, როგორც კი — მაშინვე, რამდენჯერაც — იმდენჯერ და სხვა. დამოკიდებული წინადადების სავარაუდო, მისათითებელ სიტყვად მთავარში ხშირად გვაქვს პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმით.

მაგალითები: 1. თედემ სამი წელი დაჰყო ისე, რომ კაცის სახე არ დაუნახავს (ვაჟა). 2. მანამ ნურას ჰამს, სანამ ხევი ვერც ამოწყვიტოს და ვერც ყმად გაიხადოს (ყაზ.). 3. ზოგიერთ ქვეყანაში ისეთი შხამიანი ჭინჭარი იზრდება, რომ იმის დესუსხეისაგან კაცი აღვილად ვერ გადაარჩება (გოგ.). 4. რამდენადაც ძნელი გამოდგა კალმახის დაქერა, იმდენად უფრო მიძლიერდებოდა სურვილი იმის დაქერისა (გოგ.). 5. [მგლები] თავს იმიტომ იყრადნენ ერთად, რომ ტყეში აღარაფერი ეგულებოდათ საქმელი (ვაჟა). 6. მე ჩონგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს (წერ.). 7. სადაც ჰალა თავდებოდა, ფშაც იქ ერეოდა მდინარეში (ვაჟა). 8. რაწამს კაცმა მომავალს ჯარს თვალი შეჰკრა, მაშინვე თოფი ჰაერში გაისროლა (ყაზ.). 9. მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა (ჰავ.). 10. [ქეთევანი] რამდენჯერაც მოიგონებს მოტაცებულ დაბუა ვარიას, იმდენჯერ გულს ჩაიძვილავს (ვაჟა). 11. კობამაც მიიხედა იქით და დაინახა ისეთივე გალადებული ხარი, როგორიც იდგა კლდის წვერზე (ყაზ.).

ნაცვალსახელები და ზმნიზედები მთავარი წინადადების ესა თუ ის წევრია. მაგ., ისეთი (ისეთივე) განსაზღვრებაა; ისე, იმდენად, იმდენჯერ — ვითარების გარემოება, იქ — ადგილისა, იმიტომ — მიზეზისა, მისთვის — მიზნისა, მაშინ (მაშინვე) — დროისა. დამოკიდებული წინადადება მისათითებელი სიტყვის გაშლილ სახეს წარმოადგენს წინადადების სახით.

მთავარში მისათითებელი სიტყვა არ შეიძლება იყოს, როცა მიმართებათი სიტყვა მიუმართება არა მთავარის რომელიმე წევრს, არამედ მთლიანად მთავარ წინადადებას. როცა დამოკიდებული წინადადება დაკავშირებულია მთავარის ამა თუ იმ წევრთან, მაშინ მისათითებელი სიტყვა გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია და

საპიროც, ზოგჯერ კი შეუძლებელი. მაგალითად, წინადადებაში: „ერთბაშად გორაზე გამოჩნდა გოჩა, რომელსაც თეთრი თმა გაშლოდა“ (ყაზ.) — მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელსაც“ მიემართება მთავარი წინადადების ქვემდებარეს, რომელიც არსებითი სახელით არის გადმოცემული. მისათითებელი სიტყვა მას არ ახლავს და არც ივარაუდება (არ ითქმის: ერთბაშად გორაზე გამოჩნდა ის გოჩა (ან: ისეთი გოჩა). ზოგჯერ მისათითებელი სიტყვა თუ კავშირი მთავარში არაა წარმოდგენილი, მაგრამ ივარაუდება: 1. „შემცდარია [ის], ვინც გულს იტეხს“ (წერ.). 2. სანამ ესენი ამ ბაასში იყვნენ, მანამ გუგულმა შეათვალიერა კოდალას საბუღარი და ხითხითით მოცხრილა ტყისკენ“ (რაზ.).

ზოგჯერ მისათითებელი სიტყვა კარგავს თავის მნიშვნელობას, დამოკიდებულ წინადადებას ეკედლება და მაქვემდებარებელ კავშირთან ერთად რთულ კავშირს ვლდებულობთ: იმიტომ რომ; მაშინ როცა; ისე რომ; ასე რომ; ისე როგორც...

მაგალითები: [ლუარსაბმა] ძმას ვერაფერი კი ვერ ჰკითხა, იმიტომ რომ რომ რცხვენოდა (ჟავ.). 2. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი (ჟავ.). 3. ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო სანადიროდ, ისე რომ ჩვენებს ვერავის ვერ გავგო იმისი წასვლა (ვაქა).

კავშირი დამოკიდებულსა და მთავარს შორის, მათი ერთმანეთთან შერწყმის პროცესი ყოველთვის ერთნაირი არაა. მაგ., მკვიდრო კავშირია დამოკიდებულსა და მთავარს შორის მაშინ, როცა მთავარ წინადადებაში მოიპოვება მისათითებელი სიტყვა, რომელთანაც დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ მიმართებითი სიტყვებით არის დაკავშირებული, იშვიათად მაქვემდებარებელი კავშირით. მთავარი წინადადება, რომელიც შეიცავს მისათითებელ სიტყვას, ნაკლებად დამოუკიდებელია (როგორც გაფორმებით, ისე შინაარსითაც), ვიდრე ისეთი მთავარი წინადადება, რომელიც ასეთ სიტყვას არ შეიცავს.

„მამაჩემი ისე უვლიდა ვენახს, როგორც ღედა უვლის შვილსა“ (გოგ.).

მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვაა („ისე“), რომელიც მიგვითითებს, რომ

„ისინი მე ყურს არ მიგდებენ, როგორც არ უგდებს დიდი სალი კლდე ქარის გრიალს, ფრინველის ფრთის შეხებას“ (ვაქა).

მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვაა („ისე“), რომელიც მიგვითითებს, რომ

მთავარს ახლავს დამოკიდებუ-
ლი წინადადება. დამოკიდებუ-
ლი წინადადება რომ ჩამოვა-
შოროთ, მთავარს ცალკე ვერ
ვიხმართ, რადგანაც დამოკიდე-
ბული წინადადების გარეშე
არაა საფასებით გასაგები.

თითველი სიტყვა არაა და
ამიტომ დამოკიდებული წინა-
დადებაც არაა მასთან აუცი-
ლებელი, ასე რომ მთავარი
წინადადება აქ უფრო დამოუ-
კიდებელია (ვიდრე პირველ
მაგალითში) და ის ცალკეც
შეიძლება ვიხმაროთ.

§ 157. დამოკიდებული წინადადების ადგილი. დამოკიდებული
წინადადება უსწრებს მთავარს, მოსდევს მას, ანდა მთავარ წინადა-
დებაშია მოქცეული. მაგალითები:

ა) დამოკიდებული წინადადება თავშია: 1. ჩ ი ტ ე ბ მ ა რ ო მ
დ ა გ ვ ი ნ ა ხ ე ს, ჟივილით აიშალნენ და მოედვნენ ტყეს (ვაჟა).
2. რ ო ც ა დ ა ვ ი თ ი შ ი ნ მ ი ვ ი დ ა, სალამო ხანი იყო (ქავ.).

ბ) დამოკიდებული წინადადება ბოლოშია: 1. ჩვენს ბავშვებს
ეგონათ, რ ო მ ჭ რ ი ჭ ი ნ ა ფ რ ი ნ ვ ე ლ ი ვ ი თ პ ი რ ი თ ა მ ღ ე-
რ ი ს (გოგ.). 2. შუადღე ჯერ კიდევ არ იქნებოდა, რ ო ც ა გ ვ ა დ ი
შ ი ნ დ ა ბ რ უ ნ დ ა (ქიაჩ.).

გ) დამოკიდებული წინადადება მთავარშია: 1. ეს, წყლის
დასალევად რომ ჩავედოხევი, მაშინ ვიტყინე (ვაჟა).
2. ბაღს, სადაც ჩვენნი ვარდი იდგა, ნელ-ნელა ჩრდილი
მოეფინა (ევლ.).

დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის მნიშვნელობა
აქვს, თუ რომელი საკავშირებლით არის მთავართან შეერთებული
და რას მიემართება ის. მაგალითად, დამოკიდებული წინადადება,
რომელიც მთავართან შეერთებულია რთული კავშირებით „იმიტომ
რომ“, „ასე რომ“, ყოველთვის ბოლოშია. თუ დამოკიდებულ წინა-
დადებას მთავართან აერთებს მიმართებითი ნაცვალსახელი „რომე-
ლიც“, ის ჩვეულებრივ მთავარშია მოქცეული ან მთავარის შემდე-
გაა. ზოგიერთი საკავშირებლიანი დამოკიდებული წინადადება ჩვეუ-
ლებრივ თავშია ან ბოლოში, ზოგიც შეიძლება თავშიც, შუაშიცა
და ბოლოშიც. ამით აიხსნება, რომ დამოკიდებულ წინადადებას
ხშირად შეიძლება შევეუცვალოთ ადგილი, მაგრამ ზოგჯერ ადგი-
ლის შეცვლა შეუძლებელია (ისე, რომ ქვეწყობილი წინადადების
ძირითადი შინაარსი იგივე დარჩეს).

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო . წაიკითხეთ მაგალითები და დაასახელეთ საკავშირებელი სიტყვებმა; გამოარკვიეთ, რა იდგილი უქირავს დამოკიდებულ წინადადებას მთავარის მიმართ და შეიძლება თუ არა შევუცვალოთ მას იდგილი (ისე, რომ წინადადების შინაარსი არ შეიცვალოს).

1. გიორგი გვერდზე დაეწინათ, ასე რომ პირისაზე კესოსაკენა კქონდა (კვაე). 2. ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა, რათა გამშრალი პირი გაესველებინა (ყაზ). 3. ჩემს სიტყვასაც ვაეგებინებ, იმიტომ რომ შეილის სატყუა მშობელს ყოველთვის ესმის (ვაე). 4. ვიდრე ხეტე ამ სატყუებს გაათავებდა, გოვას დედა უკვე კარებში გამოჩნდა (ვაეა). 5. მთაში როცა დიდი თოვლი მოვა, ნაღარი ქალებს შოატანს (ვაეა). 6. დაბნელებულ სენაში, რომელსაც ოდნავ ანათებდა მბეურტავი კვარი, კასრებსა და ქილებს შუა იქდა პატარძალი (ყაზ). 7. ონისე და გუგუა, რომელთაც დღეს დარბაისლობა უნდა გამოეჩინათ, ისხდნენ გაუნძრევლად (ყაზ). 8. შემოდგომაზე, როცა ჩვენს ქვეყანას თანდათან ფრანველები აკლდება, თბილი ქვეყნები ჩვენგან წასული ფრანველებით ივსება (გოგ). 9. ირჩილს არ ეგონა, რომ გოჩას ბრაზი ასე უცებ მოერეოდა (ქიარ).

§ 158. სასვენნი ნიშნები კავშირიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. კავშირიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში სასვენნიშანთა ხმარების წესები ასეთია:

1. დამოკიდებული წინადადება თავის მთავარს მძიმით ან მძიმეებით გამოეყოფა, სახელდობრ:

ა) თუ დამოკიდებული წინადადება თავშია ან ბოლოში, მთავარი წინადადებისაგან მძიმით გამოიყოფა: 1. ვ ა ე ქ ა ც ო ბ ა თ უ ა ი ს უ ლ ე ლ ე ს თ ა ნ ა რ ი ხ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი , ჩაღად არა ღირს (ვაეა). 2. კოლოც კი წააქცევს ცხენსა, თუ დიდი მგელი უშველის (ანდ.).

ბ) თუ დამოკიდებული წინადადება შუაშია (მთავარშია მოქცეული), მთავარ წინადადებას მძიმეებით გამოეყოფა: „საიდუმლოებით სავსე სიჩუმეში, რომელიც მკვდართა სამფლობელოს მოგაგონებდათ, ერთბაშად გაიხსნა ჭიანჭურის წყნარი ხმა“ (ყაზ).

2. დამოკიდებული წინადადება მძიმით გამოიყოფა მაშინაც, როცა ის შერწყმულ წინადადებაშია და მის შემდეგ „და“ კავშირია: „მტრედებმა შენიშნეს, რომ მონადირე იმათსამტროდარმოდიოდა, და არ აფრინდნენ“ (ვაეა).

3. „რომ“ კავშირის წინ მძიმე მაშინ იწერება, თუ ის იწყებს დამოკიდებულს, რომელაც მოსდევს მთავარ წინადადებას: „ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ კაცს თვალთან მიტანილი

თითის დანახვაც არ შეეძლო“ (წერ.). თუ „რომ“-კავშირი დამოკიდებულ წინადადებაშია მოქცეული, მის წინ მძიმე არ იწერება: 1. ხევს რომ გასცდნენ, აღმართს შეუდგნენ (ვაჟა). 2. ეს, წყლის დასაღვეად რომ ჩავედი ზევში, მაშინ ვიტყინე (ვაჟა). 3. ტაროლას მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი (ხალხ.).

4. თუ კავშირი რთულია („იმიტომ რომ“, „ასე რომ“...), მძიმე მის წინ იწერება: 1. ჩემ სიტყვასაც ვაგაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის (ქავ.). 2. შეიქნა ერთი ქექა-ქუხილი და თავსხმა, ასე რომ სტუმარი უნდა დარჩენილიყო მეღანოსთან (წერ.).

ზოგჯერ „იმიტომ“-ზე ლოგიკური მახვილია და „რომ“-ს პაუზით გამოეყოფა. ასეთ შემთხვევაში „იმიტომ“ მთავარ წინადადებას განეკუთვნება და მძიმე „რომ“-ის წინ („იმიტომ“-ის შემდეგ) იწერება: „ყველას აშინებდა სიკვდილი იმიტომ, რომ საზრდოს შოვნა გაძნელდა“ (ვაჟა).

5. თუ მთავარი წინადადება კითხვითია ან ძახილისა, ან კიდევ კითხვით-ძახილისა, სათანადო ნიშანი ყოველთვის ქვეწყობილი წინადადების ბოლოს დაისმის: 1. განა სქები არის, რომ შვილმა თავისი მამის სისხლი აიღოს? (ქავ.). 2. აქ რომ ყოფილიყვნენ, ხომ არ დაემართებოდათ ეგ უბედურება?! (ვაჟა). 3. თუ ვაჟაკი ხარ, გამიმაგრდი! (ქავ.).

შენიშვნა: თუ მთავარში კითხვითი სიტყვა ურევია, კითხვის მახვილი მასზეა, თუ ასეთი სიტყვა არ ურევია — მთავარის შემასმენელზე: 1. თუ ეგრე გეშინოდა ჩემი დანახვისა, ქალი რად მოიტაცე? (ყაზ.). 2. ეგ რომ არ იყოს, გაექცეოდა შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა? (ქავ.). 3. მეც მგზავნი საომრად, დედის ერთაა, რომ თავი დავსლო მამულისა ჩვენის სახსნელად? (ქავ.).

5. თუ დამოკიდებული წინადადება ირიბ კითხვას გამოხატავს, მაგრამ მთავარი წინადადება თხრობითია, ქვეწყობილი წინადადების ბოლოს წერტილი უნდა და არა კითხვის ნიშანი: „ირმამ ვერ გააარკვია, თუ რომელი მხრიდან მოდიოდა ხმა (რ. გვ.).“

6. თუ ქვეწყობილი წინადადების ნაწილები (მთავარი და დამოკიდებული) შერწყმულია ან განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს შეიცავს, სასვენო ნიშნები მათში იმავე წესით დაისმის,

როგორც სრულიად დამოუკიდებელ მარტივსა თუ შერწყმულ წინა-
დადებაში: 1. ის მთა, ის ბარი, ის ტყე, ის მინდორი რომ
დავინახე, ავივსე ლხენითა და სიამითა (კავ.). 2. [არწივი] ტყესა და
მინდორში თავისუფლად რომ ყოფილიყო, რასაკვირველია,
უფრო ბევრს იცოცხლებდა (გოგ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები და დაუსვით სასვენი ნიშნები;
დამოკიდებულ წინადადებას ხაზი გაუსვით.

1. კურდღლები ფეხათ ქექდნენ თოვლს რომ ამოეჩინათ ხმელი ბალახი
საზრდოდ (ვაჟ.). 2. როგორც ტყეა იმისთანა ნადირი გამოხტის (ანდ.).
3. ფრინველები რომელნიც ტბილის კიკიკით დღეს ესაღებოდნენ გაჩუმდნენ
(ყაზ.). 4. შეიძლება რომ მოკლიდ გამაყნოთ თქვენი ჯანზრახვა (ლომ.). 5. თუ
მოყვარე ხარ მამ გამარჯვება (კავ.). 6. გამიქვავდეს შე ეს ენა თუ რომ ვისმე
მოვეფერო (წერ.). 7. წერილი ვერ გამოგიგზავნე იმიტომ რომ შენი მისამართი
არ ვიცოდი. 8. ქალი ვერ მიმგვდარიყო თუ რას ნაშნავდა იმისი საუბარი (ყაზ.).
9. არც ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა მაროს ყურებს თუნდაც რომ ეს სიტყ-
ვა სრულიად ჩურჩულით ყოფილიყო წარმოთქმული (ლომ.). 10. [ირემი] გავატ-
ყავე აკუწე ნაქრბად მივაფარე ზედ ტყავა და ვუფეთქე წამალი რომ ნადირი
არ მიჰკარებოდა (ვაჟ.). 11. ეს კეთილი და გონიერი ფინია რომ არ შესწრებოდა
რასაკვირველია საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა (გოგ.). 12. მთავრე ჩასული იყო
დიდ ხნისა როცა იმ ტყეში ერთი ხის ძირასა ფრთხილად ეძინა ბლაკიაშვილსა
(კავ.). 13. ვანო დარწმუნებული იყო რომ ჩიტის სიცოცხესა და შიმშილს მოშორე-
ბული და დაბინავებული თბილსა და საქმლით საკვს გალიაში მოკეთებოდა
მოლონიერდებოდა მომხიარულდებოდა და ბედნიერად იგრძნობდა თავსა (გოგ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. გადაიწერეთ მაგალითები, დასვით სასვენი ნიშნები;
კავშირს ხაზი გაუსვით; აღნიშნეთ, რა შემთხვევაში იწერება „რომ“ ის წინ მძამე
და რა შემთხვევაში არა.

ა) 1. [ოთარანთ ქვრივს] ბოსტანში მუშაობა ისე უყვარდა რომ სხვის
ხელს არ მიაკარებდა (კავ.). 2. შორიდან კარგად ვხედავდი რომ კურდღლს
ბურტყელი ნარის ბუმბულივით მალა მიმოჰქონდა ქარსა (ვაჟ.). 3. ნახა რომ
არე-მარე გადალესილია თოვლით (ვაჟ.). 4. თქვენ ხომ არ შეგშლიათ რომ ეჯ
ბავშვი უკანასკნელ მოწაფედ წარმოადგინეთ (წერ.).

ბ) 1. ჩიტებმა რომ დაგვიჩინეს უვილით აიშალნენ და მოედნენ ტყეს
(ვაჟ.). 2. ხიდი რომ წაღებული დახვდა ფონს დაუწყო ძებნა (წერ.). 3. გიორგი
რომ შინ მივიდა ყველაფერი უამბო დედას (კავ.). 4. ეჟყაცს რომ შტერი სხვას
დაამონებს დასატანჯავად ისიც ეყოფა (წერ.). 5. შეიღმა რომ დედის გულის-
თვის ხელზედ ერბო-კვერცხი მოიწვას იმის ამაგს მაინც ვერ გადაიხდისო (ანდ.).

გ) 1. ეს სულ იმ ბებერი არწივის ბრალია ჩემს გვერდით რომ ბუდობს (ვაჟ.).
2. შებინდებული იყო პლატონი კირილემ რომ გამოაღვიძა (ვლდ.). 3. ღამე იყო
გადასული პირველ მამლის ყვილისა ერთ ქოხიდან რომ მოესმათ ხმა ბარტყე-

ბის წივილისა (მღვ.). 4. ხომ ვახსოვს გუშინ რომ ორი მოთხრობა წაეკითხეთ (ლომ.). 5. შეღამებული იყო დათია რომ სადგურიდან დაბრუნდა (კლდ.).

§ 158. დამოკიდებულ წინადადებათა სახეები. სინტაქსური როლის (ფუნქციის) მიხედვით დამოკიდებული წინადადება მრავალგვარია: ქვემდებარული, დამატებითი (პირდაპირი, ირიბი თუ უბრალო დამატების შინაარსისა), განსაზღვრებითი, გარემოებითი (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა და მიზნისა), პირობითი, შედეგობითი, დათმობითა და მთავრის მიმართი.

დამოკიდებულ წინადადებათა უმეტესობა სინტაქსური ფუნქციის მიხედვით ემთხვევა წინადადების წევრებს; ამ ტიპის დამოკიდებული წინადადება თითქოს გაფართოებული სახეა წინადადების ამა თუ იმ წევრისაო. მაგალითად:

1) „ონისემ ერთბაშად ვერ მოიაზრა, რომ ფიფქ თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო“ (ყაზ.). მთავარი წინადადების შემასმენელი („მოიაზრა“) ორპირიანი გარდამავალი ზმნაა. დამოკიდებული წინადადება თითქოს პირდაპირი დამატების (მოიაზრა ის) გაფართოებული სახეა, ე. ი. იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, რასაც პირდაპირი დამატება.

2. „სადაც ჰალა თავდებოდა, ფშაც იქ ერეოდა მდინარეში“ (ჯაქა). მთავარში მისათითებელი სიტყვა („იქ“) ადგილის გარემოებაა. დამოკიდებული წინადადება ხსნის მისათითებელი სიტყვის მნიშვნელობას, მაშასადამე, იგი ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებაა.

დამოკიდებული წინადადება, რომელიც წინადადების ამა თუ იმ წევრის სინტაქსური ფუნქციის მქონეა, იმავე კითხვებზე მოგვიგებს, რომლებზედაც შესაბამისი წინადადების წევრი. ასე, მაგალითად, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება განსაზღვრების კითხვებზე მოგვიგებს, ადგილის გარემოებითი — ადგილის გარემოების კითხვებზე და ა. შ. ამასთანავე დამოკიდებული წინადადების აზრი შეიძლება წინადადების წევრითაც გადმოიცეს და პირიქით. მაგ., „ვინც წამსვლელია, წავიდეს“ და „წამსვლელი წავიდეს“ შინაარსით ერთნაირია.

ზოგიერთი ტიპის დამოკიდებულ წინადადებას არა აქვს რომელიმე წევრის სინტაქსური ფუნქცია (პირობითის, შედეგობითის, დათ-

მობითსა და მთავრის მიმართს), ამიტომ დაზოკიდებული წინადადებანი უფრო მეტია, ვიდრე წინადადების წევრები.

§ 160. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება. ქვემდებარული წინადადება წარმოადგენს გაფართოებულ ქვემდებარეს დამოკიდებული წინადადების სახით. იგი ან ხსნის მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ ქვემდებარეს, ან კიდევ ქვემდებარედ შეეფერება მთავარი წინადადების შემასმენელს. მოგვიგებს ქვემდებარის კითხვებზე: ვინ? ვის? რა? რამ? რას? მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარში იქნება სახელობითში, მოთხრობითში ან მცემითში. მაგალითები: 1. ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია (რუსთ.). 2. შემცდარია, ვინც გულს იტებს (წერ.). პირველ მაგალითში დამოკიდებული წინადადება ხსნის, აზუსტებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით („იგი“) გამოხატულ ქვემდებარეს. კითხვა: ვინ არის თავის მტერი? — იგი. ვინ იგი? — „ვინც მოყვარესა არ ეძებს“. მეორე მაგალითში დამოკიდებული წინადადება ასრულებს ქვემდებარის როლს მთავარ წინადადებასთან (მთავარში არაა მისათითებელი ნაცვალსახელი). კითხვა: ვინ არის შემცდარი? — „ვინც გულს იტებს“.

ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ თავშეა ან ბოლოში. მთავარ წინადადებასთან მას აერთებს მიმართებითი ნაცვალსახელები: „ვინც“, „რაც“ (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით) და მკვემდებარებელი კავშირები: „რომ“, „თუ“.

მაგალითები: 1. ვინც გარეთ იყო, სახლში ეშურებოდა (რახ.). 2. ახლა ცხადად ჩანდა, რასაც აქამდე წყვილიდი ფარავდა (ვაჟა). 3. თუ კომბოსტოს ან სხვა ბოსტნეულობას ფოთლები დახრული აქვს, ესეც ჭია-მატლების ბრალია (გოგ.). 4. ცხადად ჩანდა, რომ ჩვენი ცუგრიკა რალაც საგმირო საქმისათვის ეშვადებოდა (ლომ.).

სავარჯიშო. გადაიწერეთ მაგალითები: დამოკიდებულ წინადადებასა და მისათითებელ ნაცვალსახელს მთავარ წინადადებაში გაუსვით ქვეშ ხაზი (სადაც არ იყოს, აღადგინეთ და ფრჩხილებში ჩასვით). აღნიშნეთ დამოკიდებული წინადადების სახე, ადგილი და საკავშირებელი სიტყვა.

1. ვისაც თავისი საკუთარი ოჯახი არა სწამს, ის სხვის ოჯახს როგორღა იწამებს და როგორ შეეთვისება? (წერ.). 2. მოხდეს, რაც მოსახდენია (ევლ.). 3. ვინც ვერე იქცევა, ის აკლებს ქვეყანას ღაზათს და ღაზათის მიმეცემს საცოცხლეს (ყაზ.). 4. რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაჩნდების, საშვილიშვილოდ ვარდაცემის (ბარ.). 5. შავარდენს ლაპარაკი ძალფან უხდებოდა და ყველაზე მეტად ის, რომ საუბრის დროს მშვენიერ თვალებს მოხდენით აფოფინებდა (ვაჟა).

6. თქმულა და მართალიც არის, რომ ბავშვობა და ყრმობა ადამიანის ცხოვრების უბედნიერესი დროა (ქიაჩ.). 7. წინა ფანჯრიდან მოჩანდა, თუ როგორ უხედავ ცვიოდა თოვლის ფანტელები (რ. გვ.). 8. ვტყობოდა, რომ წელს კარგი მოსავალი იქნებოდა (ლომ.). 9. მოხდა ის, რაც ფშვში ხშირად ხდება (ვაჟა). 10. რასაც არ მოელოდნენ, ის მოხდა (ვაჟა).

§ 160. დამატებითი დამოკიდებული წინადადება. დამატებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც შეიცავს ერთ-ერთი დამატების გაგებას: პირდაპირისას, ირიბისას ან უბრალო დამატებისას.

ა) პირდაპირი დამატების გაგების შემცველი დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ პირდაპირ დამატებას, ან მთავარში ასეთი ნაცვალსახელი არაა და თვითონ ის გამოდის პირდაპირი დამატების როლში მთავრის შემასმენელთან. პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადება მაშინაა შესაძლებელი, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი გარდამავალი ზმნით (ორპირიანით თუ სამპირიანით) არის გადმოცემული. პირდაპირი დამატება, როგორც ვიცით, მიცემითში დგას ან სახელობითში. ამიტომ მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარში ან კითხვითი „ვინ“ და „რა“ წარმოდგენილ იქნება მიცემითის ფორმით (როცა მთავარის ზმნა პირველი სერიის ფორმაა) ან სახელობითისა (როცა მთავარის ზმნა მეორე ან მესამე სერიაშია).

მაგალითები: 1. იმ დამეს გავიგე ის, რაც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია (ვაჟა). 2. ერთხელ მთვარიან დამეში შევნიშნე, რომ ჩემი და ტალავერს ქვეშ იდგა და ყურძენს კრეფდა (წერ.).

პირველ მაგალითში დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით წარმოდგენილ პირდაპირ დამატებას („ის“). კითხვა: რა გავიგე იმ დამეს? — ის. თუ რას გულისხმობს „ის“, ამას აზუსტებს დამოკიდებული წინადადება: „რაც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია“. მეორე მაგალითში მისათითებელი სიტყვა მთავარში არაა, დამოკიდებული წინადადება პირდაპირი დამატების როლს ასრულებს მთავარი წინადადების შემასმენელთან. კითხვა: რა შევნიშნე? — „რომ ჩემი და ტალავერს ქვეშ იდგა და ყურძენს კრეფდა“.

ბ) ირიბი დამატების გაგების შემცველი წინადადება ხსნის მთავარში ნაცვალსახელით წარმოდგენილ ირიბ დამატებას, ან მთავარში ნაცვალსახელი არაა და თვით დამოკიდებული წინადადება გამოდის

ირიბი დამატების როლში წინადადების სახით. მისათითებელი და კითხვითი ნაცვალსახელები აქ მუდამ მიცემითშია (ირიბი დამატების ბრუნვა, როგორც ვიცით, მიცემითია). ირიბი დამატების გაგების შემცველი წინადადება მაშინ არის შესაძლებელი, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი სამპირიანი გარდამავალი ან ორპირიანი გარდაუვალი ზმნით არის გადმოცემული (გარდაუვალთან სამივე ტერიაში, სამპირიან გარდამავალთან პირველსა და მეორეში).

მაგალითები: 1. მ ა ს დედის ძუძუ ტკილი შხამდაც შერგებია, მამულისთვის სიკვდილი ვ ი ს ა ც დაზარებია (ჟავ.). 2. შენი ცოდვა მიეცეს, ვ ი ნ ც შენ აგრე გამოგზარდაო (წერ.).

პირველ მაგალითში დამოკიდებული წინადადება ხსნის (აზუსტებს) მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გადმოცემულ ირიბ დამატებას („მას“). კითხვა: ვის შერგებია დედის ძუძუ შხამდა? — მ ა ს. ვის მას? — „მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“. მეორე მაგალითში მისათითებელი ნაცვალსახელი არაა მთავარში, ირიბი დამატება დამოკიდებული წინადადების სახითაა წარმოდგენილა. კითხვა: ვის მიეცეს შენი ცოდვა? — „ვინც შენ აგრე გამოგზარდა“.

გ) უბრალო დამატების გაგების შემცველი წინადადება წარმოადგენს უბრალო დამატებას მთავარის შემასმენელთან, ან ხსნის და აზუსტებს მთავარში ნაცვალსახელით გადმოცემულ უბრალო დამატებას. მისათითებელი თუ კითხვაში შემავალი ნაცვალსახელები უბრალო დამატების ბრუნვებში იქნება (თანდებულობით თუ უთანდებულობით). ამ ტიპის დამატებითი დამოკიდებული წინადადება შესაძლებელია როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებთან.

მაგალითები: 1. ვგალობ და ვგალობ და ი მ ი თ ვხარობ, რ ო მ მე ქვეყანას გალობით ვატებობ (ჟავ.). 2. დარწმუნებული გახლავარ, რ ო მ აქ რაღაც სხვა ამბავია და არა ეშმაკები (წერ.).

პირველ მაგალითში უბრალო დამატება მთავარში ნაცვალსახელით არის გაჩნობათული („იმით“), დამოკიდებული წინადადება ხსნის და აზუსტებს ამ ნაცვალსახელის მნიშვნელობას. კითხვა: რ ი თ ვხარობ? — ი მ ი თ. „ი მ ი თ“, მაგრამ სახელდობრ? — „რომ მე ქვეყანას გალობით ვატებობ“. მეორე მაგალითში დამოკიდებული წინადადება მოგვიგებს კითხვაზე: „რაში გახლავარ დარწმუნებული?“ პასუხი მოცემულია დამოკიდებულ წინადადებაში: „რომ აქ რაღაც სხვა ამბავია და არა ეშმაკები“.

უბრალო დამატების გაგების შემცველი დამოკიდებული წინადადება შესაძლებელია არა მარტო მთავარის შემასმენელთან, არამედ ისეთ სიტყვებთანაც, რომლებსაც შეიძლება დაუკავშირდეს უბრალო დამატება. მაგალითი: „შენ რომ გუშინ კაცი გაგაცანი, ი მ ა ზ ე უკეთესი მეგობარი მე არა მყავს“. „უკეთესი“ უფროობითი ხარისხის ფორმაა, რომელიც სინტაქსურად განსაზღვრება: „უკეთესი მეგობარი“. უფროობითი ხარისხის ფორმას ახლავს უბრალო დამატება („იმაზე“), რომლის ახსნა-დაზუსტებას იძლევა დამოკიდებული წინადადება: „შენ რომ გუშინ კაცი გაგაცანი“.

დამატებით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს ძვივე მიმართებითი ნაცვალსახელები („ვინც“, „რაც“) და კავშირები („რომ“, „თუ“), რომლებიც ქვემდებარულ დამოკიდებულ წინადადებას. დამატებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ ბოლოში ან თავშია.

მაგალითები: 1. ვინც ქვეიანია და გონიერი, იმას უნდა მიეპყვეთ კვალზეო (ვაჟა). 2. მოვესწრები, რაც მინდოდა ზამთრისაგან და ჩაგრულსა (წერ.). 3. ონისე დარწმუნდა, რომ მომავლები მოხევეები უნდა ყოფილიყვნენ (ყაზ.). 4. ქალი ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავდა იმისი საუბარი (ყაზ.).

დამატებითი დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ ირიბ კითხვას გამოხატავს (ნ. მე-4 მაგალითი). როცა დამოკიდებული წინადადება ირიბ კითხვას გამოხატავს, ქვეშეობილი წინადადების ბოლოს წერტილი იწერება.

შენიშვნა: ქვემდებარულისა და დამატებითის საკავშირებლად ზოგჯერ მიმართებითი ნაცვალსახელი („ვინც“, „რაც“) და კავშირი („რომ“) ერთდროულად არის გამოყენებული: „ვინც რომ“, „რაც რომ“.

მაგალითები: 1. ის მზდაღია, ვინც რომ შიშით გაიწაბა, დაიძინა (ეკლ.). 2. ერთ ბებერ დედაკაცს კატომ სულ ერთიანად დაახოცინა, რაც რომ მამლები და ყვინჩილები ჰყავდა (ლომ.).

პირველ მაგალითში დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია, მეორეში — დამატებითა. დასაკავშირებლად საჭიარისია მიმართებითი ნაცვალსახელები: „ვინც“ და „რაც“.

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო . გადაწერეთ მაგალითები. დაუსვით სასვენი ნიშნები; საკავშირებელ სიტყვას გაუსვით ერთი ხაზი, მისათითებელ ნაცვალსახელს მთა-

ვარში — ორი (სადაც არ იყოს, აღადგინეთ და ფრჩხილებში ჩასვით); აღნიშნეთ დამოკიდებული წინადადების ადგილი და ხასიათი.

- ა) 1. ირმამ ვერ გაარკვია თუ რომელი მხრიდან მოდიოდა ხმა (რ. გვ.).
2. თედემ კარგად იცოდა რომ უწყლოდ წისკელი არ გაიმართებოდა (ვაჟა).
3. რაც ჩემი ურმის არ არის სახლში არ შემიტანია (წერ.).
4. შალვამ დედასაც უამბო რაც ნახა და გაიგონა (ვაჟა).
5. არწივმა გამოუცხადა იმათ სტუმრის მისვლის მიზეზი და აგრეთვე ისიც რომ ხელისთვის სალაშქროდ მომზადებულიყვნენ (ვაჟა).
6. ბარამმა უცერად დაინახა რომ ნეშოებს შორის იას ამოეყო თავი (დად.).

- ბ) 1. ვისაც არაფერი დაუშავებია იმას არაფერი მოეჩვენებო (წერ.).
2. ქალი ვერ მიმხედარიყო თუ რას ნიშნავდა იმისი საუბარი (ყაზ.).
3. ჩვენ ვერ შევეუბნებოდით იმას რომ ზოგიერთის თავქარიანობის წყალობით ოქახი განადგურდეს (ჭაფ.).
4. რასაც აღარ ეშველებს იმას თავი დავანებოთ (ყაზ.).

- გ) 1. ამის შემდეგ ბევრი ილაპარაკეს მასზე თუ რის გაგება სურდათ ამ მკითხაობით (ლომ.).
2. დამწავე ხარ იმაში რომ ყოველ დილას შენს პაპასთან ერთად ერთ აურზაურს ასტეხთ ხოლმე (ევდ.).
3. მე დარწმუნებული ვარ რომ ჩვენს იარაღს წინ ვერაიენ გადაუღვება (ყაზ.).
4. თავი მომქონდა რომ თვითონ ვაკეთებდი (წერ.).
5. მეფე ფრიად კმაყოფილი დარჩა რომ მისი მერანი იდეილად გაიხედნა (ვაჟა).
6. ყველანი წყნარ-წყნარად დარწმუნდნენ რომ გულით გამოვეყიდე ამ საქმეს და ადვილად თავს არ დავანებებდი (ყაზ.).
7. სადილზე ბევრი ისაუბრეს თუ როგორ შებრძოლებოდნენ მტერს (ვაჟა).

§ 162. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება. დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც განსაზღვრავს მთავარ წინადადებაში არსებითი სახელით (ან არსებითის მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვით) გადმოცემულ რომელიმე წევრს, ან ხსნის ნაცვალსახელით გადმოცემულ განსაზღვრებას, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ჰქვია. იგი მოგვიგებს კითხვებზე: როგორი? რომელი? (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით). საკავშირებელი სიტყვებია: 1) მიმართებითი ნაცვალსახელები: რომელიც, რამდენიც, როგორიც, ვინც, რაც (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით); 2) მიმართებითი ზმნიშვნელები: სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც (როცა). 3) კავშირი: რომ. საზღვრულ წევრს მთავარში შეიძლება ახლდეს განსაზღვრებად ნაცვალსახელი (ის, იმ, ისეთი, იმდენი, იმისთანა...), რომელსაც ხსნის და აზუსტებს დამოკიდებული წინადადება. კავშირი მხოლოდ გადაბმის საშუალებაა, მიმართებითი სიტყვა კი გადაბმის საშუალებაც არის და ერთ-ერთი წევრიც დამოკიდებული წინადადებაია.

მაგალითები: 1. ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონისეს, რომელიც მოსკლის შემდეგ ყველაზე მეტს მხიარულობდა (ყაზ.). 2. კობამაც მიიხედა იქით და დაინახა ისეთივე გალაღებული ხარი,

როგორც იდგა კლდის წვერზე (ყაზ.). 3. შეურცხვეს იმ ვაჟკაცს უღვაში, ვინც დედაკაცის დაწოკება იკადროს! (ვაჟა). 4. როგორ გამოვთქვამ იმ სიამოვნებას, რასაც შენი დანახვა მაგრძნობინებს ხოლმე უსულო და უსიცოცხლო მინდორზე (რაზ.). 5. ბაღს, სადაც ჩვენი ვარდი იდგა, ნელ-ნელა—ჩრდილი მოეფინა (ევდ.). 6. არის ხოლმე ისეთი წამები, როდესაც სიტყვას ადგილი აღარ აქვს კაცის მწუხარებაში (ყაზ.). 7. ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო (წერ.).

მიმართებითი ზმნიზედებით დაკავშირებული დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია, თუ ეს ზმნიზედები (სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც...) მიემართებიან მთავრის ისეთ წევრს, რომელიც სახელით არის გადმოცემული (ნ. მე-5 და მე-6 მაგალითები). ეს ზმნიზედები ენაცვლებიან „რომელიც“ ნაცვალსახელს, როცა მიმართებითი სიტყვა ადგილას გარემოებას ან დროსა.

„ვინც“ და „რაც“ ნაცვალსახელები (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით, უთანდებულო თუ თანდებულიანი) მთავართან აერთებს, გარდა განსაზღვრებითისა, ქვემდებარულსა და დამატებით დამოკიდებულ წინადადებათ; ამასთანავე მათ საერთო მისათითებელი ნაცვალსახელებიც მოეპოვებათ. ქვემდებარულსა და დამატებითს კითხვებიც საზიარო აქვთ. ამიტომ, შეცდომა რომ არ დაეშვათ, საჭიროა გავარკვიოთ, რა წევრია მისათითებელი ნაცვალსახელი მთავარში, რომლის ახსნა-დაზუსტებასაც დამოკიდებული წინადადება იძლევა. მაგალითად: „ის, ვინც ეს ამბავი მითხრა, აქ არის“: „ის“ ქვემდებარეა, დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია. „ის, ვინც ეს ამბავი გითხრა, აქ მომიყვანე“. „ის“ პირდაპირი დამატებაა, მაშასადამე, დამოკიდებული წინადადებაც დამატებითია; „ის კაცო, ვინც ეს ამბავი მითხრა; აქ არის“. „ის“ განსაზღვრებაა, ე. ი. დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითი ყოფილა. „ვინც“ ნაცვალსახელს ნათესაობითში კითხვით-კუთვნილებითი ენაცვლება: „იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისიც არ ითქმის სახელი“ (კვაკ.).

თუ მიმართებითი ნაცვალსახელი ნათესაობითის ფორმითაა საჭირო, მას ნაწილაკი ც (ცა) შეიძლება სულ ჩამოსცილდეს ან მომდევნო სიტყვაზე (საზღვარულზე) იქნეს გადატანილი.

მაგალითები: 1. ვისი სახლიც მაღალია, ის იმისი მაყარია (ანდ.). 2. ბუნების ამ საერთო მეჭლიშს დაჰყურებდა ონისე, რო მლის გულსაც ჯერ გაზაფხული არ სწევოდა (ყაზ.). 3. ჩემ წინ იყო გადაშლილი თვალგადაუწვდენელი ტრიალი მინდორი, რომლის ნაპირები შორს, შორს ლაქვარდ ცის დასავალს და ტყით შემოსილ მთების კალთებს უერთდებოდა (ლომ.).

პირველ ორ მაგალითში „ც“ საზღვრულზეა გადასული („სახელი-ც“, „გულსა-ც“), მესამეში კი სულ არ მოიპოვება. ასეთი ნაცვალსახელები მანაც მიმართებითია (და არა კითხვითი).

§ 163. მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვა და რიცხვი. მიმართებითი ნაცვალსახელი (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც), როგორც ვიცით, წევრ-კავშირია: იგი საკავშირებელი სიტყვაც არის და ერთ-ერთი წევრიც დამოკიდებული წინადადებისა. იმის მიხედვით, მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების რომელ სიტყვასთან არის სინტაქსურ კავშირში და რა წევრია წინადადებისა, ის სხვადასხვა ბრუნვის ფორმით იხმარება. მიმართებითი ნაცვალსახელი, როგორც წესი, იწყებს დამოკიდებულ წინადადებას.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მთავართან „ვინც“, „რაც“ და „როგორიც“ ნაცვალსახელებით არის შეერთებული, ჩვეულებრივ ბოლოშია ან თავში (იშვიათად შუაშიც); მთავარში მოიპოვება მისათითებელი ნაცვალსახელები: ის, იმ, ისეთი, იმისთანა, იმდენი...

მაგალითები: 1. როგორიც ავთანდილი შენ აყავ, მეც იმისთანა შერმაღინობა გაგაუიე (ჭავ.). 2. თქვენი მტერი ჩავარდეს იმ ყოფაში, როგორშია-ც მუცელა ჩავარდა (ვაჟა). 3. აი აქ ბრძანდება ის კაცი, ვინც მითხრა (ლომ.). 4. როგორიც ტყეა, იმისთანა ნადირი გამოხტის (ანდ.). 5. როტაში არ უნდებოდა იმდენი წკებლა, რაც თვითეულ კლასში (წერ.).

ნაცვალსახელთაგან განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას უმეტესად იწყებს მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელიც“ (სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმით). ამ ნაცვალსახელთან დაკავშირებით რამდენიმე მომენტია მნიშვნელოვანი:

ა) დამოკიდებული წინადადება, რომელსაც იწყებს ნაცვალსახელი „რომელიც“, ჩვეულებრივ მოსდევს მთავარს ან მთავარშია მოქცეული (თავში ძალიან იშვიათად თუ შეიძლება შეგვხვდეს): 1. ერთბაშად გორაზე გამოჩნდა გოჩა, რომელსაც თეთრი თმა

გაშლოდა და ნიავე უმღელვარედა (ყაზ.). 2. ბუჩქებს ამოფარებული მენახირეები, რომელთაც მთაზე საქონელი ადრიაანად აერეკათ, ჩუმად ადევნებდნენ თვალს იჭაურობას (რ. გვ.).

ბ) თუ დამოკიდებული წინადადება შუაშია (მთავარშია), წევრ-კავშირის წინ ყოველთვის მთავარის საზღვრული წევრი დგას: „ხშირი ბურუსი, რომელიც დაბლა ჩამოწოლილიყო და ეუნთქუნთად იდო დედამიწაზე, ძალზედ აბნელებდა იჭაურობას“ (ყაზ.).

გ) თუ დამოკიდებული წინადადება ბოლოშია, წევრ-კავშირის წინ ჩვეულებრივ მაშინაც მთავარის საზღვრული წევრი (მისამართი სიტყვა) დგას: „მეურმეებმა მორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის გატეხაზედ მინდვრად გასულიყო“ (ჭავ.).

მიუღებელია მთავარში სიტყვათა ისეთი დალაგება, როცა მიმართებით ნაცვალსახელსა და მთავარის იმ სიტყვას შორის, რომელსაც დამოკიდებული წინადადება განეკუთვნება, ჩამდგარია არსებითი სახელით გადმოცემული სხვა წევრი: „ცოცხალი გოჭები უკანა ფეხებით ეჭირათ, რომლებიც საშინლად ჰყვიტიანებდნენ“ (არაგ.). მთავარში არაა სიტყვები სწორად დალაგებული. სწორად იქნება: „უკანა ფეხებით ეჭირათ ცოცხალი გოჭები, რომლებიც საშინლად ჰყვიტიანებდნენ“, ან კიდევ: „ცოცხალი გოჭები, რომლებიც საშინლად ჰყვიტიანებდნენ, უკანა ფეხებით ეჭირათ“.

მიმართებითი ნაცვალსახელისა და მთავარის საზღვრული სახელის დაშორება არ იწვევს ორაზროვნებას, თუ მათ შორის მთავარის შემასმენელია: „ამ დროს ძალღმა ყვავე დაინახა, რომელიც იქვე გზაზე ჩამომჯდარიყო და გლოვის ზარად ჩხაოდა“ (ყაზ.).

შენიშვნა: ზოგჯერ შეორდება ის წევრი, რომელსაც დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს: „სოფელს დიდხანს არ ეჭერებოდა, თუ თედე წისქვილს მოიგონებდა, წისქვილს, რომელიც ოცდაათს, ორმოც კოდს დაფქვავდა დღე-ღამეში“ (ვაჟა).

დ) „რომელიც“ რრცხეში ანგარიშს უწევს მთავარის იმ წევრს, რომელსაც დამოკიდებული წინადადება განსაზღვრავს.

1. თუ საზღვრული სახელი მხოლოდითში დგას, მიმართებითი ნაცვალსახელიც მხოლოდითშია. მაგალითი: „ქაცვი, რომელიც გოჩასთან იდგა, მიუბრუნდა მოხუცს და უთხრა“ (ყაზ.).

2. თუ საზღვრული სახელი მრავლობითში დგას, წევრ-კავშირიც მრავლობითშია. მაგალითი: **ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც ტ კ ბ ი ლ ის ქ ი კ ვ ი კ ი თ დ ლ ე ს ე ს ა ლ მ ე ბ ო ლ ნ ე ნ, გა ჩ უ მ დ ნ ე ნ**“ (ყაზ.).

შენიშვნა: არის შემთხვევები, როცა საზღვრული სახელი მრავლობითში დგას, მაგრამ მიმართებითი ნაცვალსახელი მხოლოდითში დაისმის: **„თედომ შემოხსნა იარაღები და შეარბენინა კ ა რ ე ბ შ ი, რ ო მ ე ლ ი ც ს ო რ ო ს წ ა რ მ ო გ ი ღ ღ ე ნ დ ა თ“** (ვაჟა). **„ბუნების მ გ ო ს ნ ე ბ ი“**, **რ ო მ ე ლ ი ც ვ ა ჟ ა ს კ ა ლ ა მ ს ე კ უ თ ე ნ ის, შ ე ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი მ ო თ ს რ ო ბ ა ა**“.

3. თუ მისამართ სიტყვას (საზღვრულ სახელს) ახლავს ისეთი სახელი, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა ერთზე მეტს გულისხმობს (რიცხვითი სახელები: ორი, სამი... ბევრი, მრავალი; ნაცვალსახელები: რამდენიმე, ყველა...), საზღვრული წევრი მხოლოდითში დგას, მიმართებითი ნაცვალსახელი კი მრავლობითშია.

მაგალითები: 1. ვიწროებში ცის ტატნობზე გამოჩნდა **ო რ ი კ ა ც ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც გ უ ლ ა დ ა დ და შეუპოვრად მოდიოდნენ** (ყაზ.).

2. ქობის ქვევით ფერდობზე გამოჩნდა **რ ა მ დ ე ნ ი მ ე კ ა ც ი, რ ო მ ე ლ ნ ი ც** გამოქვავბულისკენ მიდიოდნენ (ყაზ.).

4. რამდენიმე ერთგვარ წევრს წევრ-კავშირი რიცხვში ისე შეეწყობა, როგორც მრავლობითში დასმულ ერთ სახელს. მაგალითი: **„ო ნ ი ს ე და გ უ გ უ ა, რ ო მ ე ლ თ ა ც დ ლ ე ს დ ა რ ბ ა ი ს ლ ო ბ ა უ ნ და გამოეჩინათ, ისწდნენ გაუნძრევლად“** (ყაზ.).

შენიშვნა: რამდენიმე ერთგვარ წევრთაგან დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ მხოლოდ უკანასკნელს განსაზღვრავს და მიმართებითი ნაცვალსახელიც მას უწევს რიცხვში ანგარიშს: **„აქ იყვნენ ბარონესა და ბ ა ბ ო გ ა ე ლ ე ნ ი შ ე ი ლ ი, რ ო მ ე ლ ი ც ჭ ე რ კ ი დ ე ვ ე რ და ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი ყ ო თ ბ ი ლ ის ს“** (დად.).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები; კავშირს ერთი ხაზი გაუსვით, წევრ-კავშირს — ორი, მისათითებელ სიტყვას მთავარში (თუ ასეთი მოიპოვება) — კლაკნილი, საზღვრულ სახელს — სწორი და კლაკნილი. მისამართ (საზღვრულ) სახელს მთავარში და მიმართებით ნაცვალსახელს დამოკიდებულში მარჯვნივ ფრჩხილებში მიუწერეთ, რა წევრებია წინადადებისა.

1. ერთ დღეს ორმა მოუსვენარმა სოფლის ბიჭმა ტყისკენ გასწია, სადაც ნიბლიას ბუდე იყო (რაზ.). 2. თქვენს მტერი ჩავარდეს ისეთ ყოფაში, როგორშიაც მუცელა იმყოფებოდა (ვაჟა). 3. რაიბულს ის აზრი კქონდა, რომ ლეინოც კარგი ეყიდნა და ფასიც ცოტა მიეცა (ვაჟა). 4. მწყემსებისგან გატუსულ ყუნჯის გვერდზე, სადაც მწყერს თავი შეეფარებინა, თხილი იდგა (ვაჟა). 5. არის განა სადმე ისეთი ფრინველი, რომ არ ჰსმენოდეს ბულბულის გალობა და არ დამტყ-

ბარიუს იმის ტყბილხმოვანებით? (ვაჟა). 6. არის ხოლმე ისეთი წამები, როდესაც სიტყვას ადგილი აღარ აქვს კაცის მწუხარებაში (ყაზ.). 7. ამოვალდებინე სკივრიდან ჩემი ხანჯალი, რომელსაც უანგი მოჰკიდებოდა, და გავწმინდე, გავაკაშავე (ვაჟა). 8. მოსიხსლე სული და გული ველარ გადმოსცემს იმ ხმებს, რისთვისაც მემადლიერებთან ყველანი (ვაჟა). 9. ის ბავშვი, ვანც ეს თქვა, ჩემი ნათესავია. 10. ის ქუჩა, სადაც არსენა იყო ჩასაფრებული, სიგრძით ორასი ნახევრი ძლივს იქნებოდა (მ. ჯავ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვეეთ, რომელ რიცხვსა და ბრუნვაში დგას მიმართებითი ნაცვალსახელი და რატომ. აღნიშნეთ, რა წევრია ის წინადადებისა.

1. მონადირემ, რომელიც ირმებს მისდევდა, გაბრიყვებულს მგელს თვალა შეასწრო (ვაჟა). 2. კურდღლები, რომელნიც გულში დათვთან მისალოცავად გარბოდნენ, დღეს ცმუტავდნენ, ხტოდნენ (ვაჟა). 3. [მათიამ] დაინახა იმისკენ მომავალი ორი ქალი, რომელთაც დაამღევეანეს მოუფიქრებელი გადაწყვეტილების აღსრულება (ყაზ.). 4. წუთიც და გზაზედ ქალი და კაცი გამოჩნდა, რომელთაც ერთი დატვირთული ვირი მოჰყავდათ (ყაზ.). 5. მოპირდაპირე მხრიდან ხუთი კაცა გამოჩნდა, რომელნიც სიფრთხილით მოდიოდნენ (ყაზ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 3. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვეეთ, მთავარ წინადადებაში არის თუ არა სიტყვები სწორად დალაგებული (თუ არ არის, აღნიშნეთ, როგორ უნდა დალაგდეს).

1. ამ სიტყვებმა მწარედ გაკენწლეს ონასეს გული, რომელსაც სიმღერა თანდათან უახლოვდებოდა (ყაზ.). 2. მას არ ესმოდა იქვე ახლო აკოკრებული ვარდის ბუჩქზე მჯდომი ბულბულის აღზნებული სტვენა, რომელიც სრულებით არ ამჩნევდა დათუას სიახლოვეს (არაგ.). 3. მას მოჰყვა კაპბის კაკანი, რომელიც გამშაგებით ეძახდა გულის მეგობარს (ყაზ.).

§ 104. შემასმენლური დამოკიდებული წინადადება. შექმასმენლურია დამოკიდებული წინადადება, რომელიც ხსნის და აზუსტებს მთავარში შედგენილი შემასმენლის ნაცვალსახელით გამოხატული სახელადი ნაწილის მნიშვნელობას. იგი მოგვიგებს კითხვებზე. როგორია? ვინ არის? რა არის? და სხვ. მთავარს უერთდება მიმართებითი ნაცვალსახელებით („ვინც“, „რაც“, „როგორიც“, „რომელიც“, „რამდენიც“) და კავშირით „რომ“.

მაგალითები: 1. ის აღარა ვარ, რაც ვიყავ (წერ.). 2. პატარა კაცი მარტო ის არის, ვინც არათერს აკეთებს (ჯათ.). 3. დროება მაშინ იმისთანა იყო, რომ ამგვარს ხმებს გასავალი ექნებოდა უშეცარს ხალხში (ვაჟა). 4. მე მარტო ის ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები (ვაჟა). 5. ხმალი გამოდგა ისეთი, რომ კამეჩს შუაზე გაჰკაფავდა (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. ვადაწერეთ მაგალითები; საკავშირებელ სიტყვას ერთი ხაზი გაუსვით, მთავარი წინადადების შედგენილ შემსამენელს — ორი. აღნიშნეთ, რა სახისაა დამოკიდებული წინადადება.

1. რატომ აღარ ვარ ის, რაც ერთ დროს ვიყავი? (ვაჟა). 2. ქართველების ოდენა სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშო უთუოდ ისეთია, რომელიც ჰეუა-გონებასა და სხეულს სწვრთნის, ავარჯიშებს (წერ). 3. ეხლა დარჩანის წუხილი ის იყო, რომ სადმე შეხვედროდა მზევიანარსა (ვაჟა). 4. ნამდვილი მიზეზი წასქვილის დადგომისა ის იყო, რომ წისქვილს წყალი მოჰკლებოდა (ვაჟა). 5. სირცხვილი ის არას, როცა შენ შენდა თავად არ ვარგხარ და არ ცდილობ სწავლას (წერ). 6. როგორც ალხანა, ისეთი ჩალხანაო (ანდ).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა სახისაა დამოკიდებული წინადადება (ქვემდებარული, დამატებითი, განსახლგრებითი, შემსამენლური); აღნიშნეთ, რომელი სიტყვა აერთებს დამოკიდებულს მთავართან და რა წერია მისათითებელი სიტყვა მთავარში.

1. მე როგორც დავიბადე, ისეთი ვარ მუდამ წამს, მუდამ ეამს, ყოველ შემთხვევაში (ვაჟა). 2. ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია (რუსთ). 3. ეს ყველამ ვიცით, რომ მგლები გაუმძლარნი ირიან (ცახელია). 4. როგორცაა მცენარე, ისეთივეა ნაყოფი (ანდ). 5. ჩამოვარდა ისეთი სიმშვიდე, რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით (ყაზ). 6. ცხელს ცრემლს ისინა ღვრიდნენ, რომელთაც მკვდარი დათვი არ ღანდეს და იმის ღეშს გაიხლენ (ვაჟა). 7. მიწა ტკბილია მშობლისი, გულს რომ ეუარა ფხვიერა (ვაჟა). 8. ნუ მომაგონებ იმას, რაც არ მინდა მოვიგონო და არც მოსაგონებელია (ვაჟა). 9. ვისაც არაფერი დაუკარგავს, არც ეძებს (ვაჟა). 10. ცოდვაა, რომ უსწავლელი დარჩეს (დად).

§ 165. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. ადგილის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს, თუ სად ხდება, საიდან იწყება ან საითკენ არის მიმართული მთავარი წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედება. იგი მოგვიგებს კითხვებზე: სად? საიდან? საითკენ? სადამდე? მთავარ წინადადებასთან მას აერთებს მიმართებითი ზმნიზედები: სადაც (საცა), საიდანაც, საითკენაც, საითაც, იშვიათად აგრეთვე კავშირი „რომ“. მთავარში ჩვეულებრივ მოიპოვება მისათითებელი ადგილის ზმნიზედა (იქ, იქვე, იქით, იქითკენ, იქიდან, მუნ...), რომლის დაზუსტებასაც დამოკიდებული წინადადება წარმოადგენს. იგი ჩვეულებრივ თავშია ან ბოლოში, იშვიათად კი მთავარშია მოქცეული.

მაგალითები: 1. სადაც ქალა თავდებოდა, ფშაც იქერეოდა მდინარეში (ვაჟა). 2. პავლიამ კი ღლინით გასწია იქითკენ, სადაც კაქკაჰები ისხდნენ (რაზ.). 3. მსხალს თვალი დარჩა იქით, საითკენაც ფითრი უჩვენებდა (რაზ.). 4. ყველა იქით მიბ-

რუნდა, ს ა ი დ ა ნ ა ც ბარაბანის ხმა მოისმოდა (ყაზ.). 5. ეზოში რ ო მ დიდი კაკალი დგას და გზისკენ მსხვილი ფესვი აქვს გაწვდილი, იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული (ვაჟა).

თუ საკავშირებელი სიტყვები (მიმართებითი ზმნიზედები: სადაც, საითკენაც, საიდანაც) ადგილის ზმნიზედას (იქ, იქითკენ და სხვ.) მიემართება, დამოკიდებული წინადადება ადგილის გარემოებითია, და თუ სახელს — განსაზღვრებითი. მაგალითად, წინადადებაში: „ამ დროს გ ო რ ა ზ ე, ს ა დ ა ც რქიანსა და ტოლს ჰქონდათ წინათ ბინა, ორმა დაყმედილმა მგელმა ამოყო ცხვირი“ (რაზ.) — საკავშირებელი ზმნიზედა („სადაც“) მიემართება სახელით გამოხატულ წევრს და დამოკიდებული წინადადებაც განსაზღვრებითია. „გორაზე“ რ ო მ შეეცვალოთ ზმნიზედით „იქ“, დამოკიდებული წინადადება ადგილის გარემოებითი გახდება: „ამ დროს იქ, ს ა დ ა ც რქიანსა და ტოლს ჰქონდათ წინათ ბინა, ორმა დაყმედილმა მგელმა ამოყო ცხვირი“.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები, დაუსვით სასვენი ნიშნები; საკავშირებელ სიტყვას გაუსვით ერთი ხაზი, მისათითებელ სიტყვას — ორი. დაუსვით კითხვები და გამოარკვიეთ, რა სახისაა დამოკიდებულ წინადადება.

1. ძერა აფრინდა და გასწია იქით სადაც შტრედები ასწავლა მელამ (ვაჟა). 2. [დათვი] გაექანა ბურტყუნით იქითკენ სადაც ქიტესა და თვედორა იყვნენ ჩასაფრებულნი (ვაჟა). 3. მე და დედაჩემი ავერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთ-იქით ხევები ჩაუღის იქ ეცხოვრობდით (ვაჟა). 4. იქ სადაც პირველად შეგვხვდი შაშვს ხომ არ ეგულება რამე საუნჯე (ვაჟა). 5. სადაც მოესწრო დედამიწას თოვლისაგან განთავისუფლება თავყვითელა ყვაივლს და დათვის ტერეფას. ამოყოთ თავი (რაზ.). 6. საც დამიღამდეს იქ გამითენდეს (ბარ.). 7. სადაც ჰაერი ორთქლით ღარიბია იქ თხელი ნამი იცის (გოგ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ წყვილულ წინადადებათაგან რომელია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება და რომელი — ადგილის გარემოებითი. აღნიშნეთ, რითაა გამოწვეული, რომ ერთნაირად გაფორმებული დამოკიდებული წინადადება ერთ შემთხვევაში ერთი სახისაა, მეორე შემთხვევაში კი — სხვა სახისა.

1. ა) ერთ დღეს ორმა მოუსვენარმა სოფლას ბიჭმა ტყისკენ გასწია, სადაც ნიბლიას ბუდე იყო (რაზ.).

ბ) ერთ დღეს ორმა მოუსვენარმა სოფლის ბიჭმა იქითკენ გასწია, სადაც ნიბლიას ბუდე იყო.

2. ა) დარიალის ვიწროებში, სადაც ეხლა მშენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლანება, უწინ მხოლოდ ბილიკები იყო (ყაზ.).

ბ) იქ, სადაც ეხლა მშენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლანება, უწინ მხოლოდ ბილიკები იყო.

3. ა) მტრედები სიხარულით გაფრინდნენ იქით, სადაც მათ ამხანაგები მოუთმენლად უცდიდნენ (ვედ.).

ბ) მტრედები სიხარულით გაფრინდნენ იმ ნანგრევისკენ, სადაც მათ ამხანაგები მოუთმენლად უცდიდნენ.

§ 160. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. დროის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც აღნიშნავს, თუ როდის ხდება მთავარი წინადადების მოქმედება. ის მოგვიგებს კითხვებზე: როდის? რა დროიდან? რა დრომდე? რამდენ ხანს? მთავარ წინადადებასთან მას აერთებს: როდესაც (როცა). რომ, სანამ, თუ არა, რაწამს, რა, რაკი, როგორც კა, ვიდრე, რაც. პოეტურ ნაწარმოებში გვხვდება ხერხევე „როს“ და „ოდეს“. მთავარში შეიძლება იყოს: მანამ, მაშინ, მაშინვე...

მაგალითები: 1. როცა დავითი შინ მივიდა, საღამო ხანი იყო (ქავ.). 2. დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც მატარებელი ქალაქის სადგურის წინ გაჩერდა (ლომ.). 3. ჩიტებმა რომ დავგინახეს, ჟივილით აიშალნენ და მოედნენ ტყეს (ვაჟა). 4. სანამ ელგუჯა ამ ფიქრებში იყო, ცხენოსანი მოუახლოვდა გაგის და იმის ამხანაგებს (ყაზ.). 5. გაიგონეს თუ არა ეს ხმა მგლებმა, მაშინვე მოძურწეს (ლომ.). 6. რაწამს კაცმა მომავალს ჯარს თვალი შეჰკრა, მაშინვე თოფი ჰაერში გაისროლა (ყაზ.). 7. რა გაიგეს გვრიტის საქმე, მონინდომეს მათაც შველა (მღვ.). 8. რაკი კაქკაქები აფრინდნენ და იმათი ხმა მიწყდა, კურდღელს დიღინი და ფეხის ხმა მოესმა (რაზ.). 9. როგორც კი კოდალა გაიგულა სხვაგან, გუგული მაშინვე იმის ბუდესთან დაფრქო (რაზ.). 10. ვირი მას შემდეგ, რაც თვალშეშვასთან დაბინავდა, მუდამ მაძლარი იყო (ვაჟა). 11. რაც ქმარი მოჰკედლომოდა, მას აქეთ სულ ასე ექცეოდა ამ იარაღს (ქავ.). 12. როს გაზაფხული დადგება, გავიფოთლები მწვანელა (ვაჟა). 13. ოდეს უღაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ მზე სხივაფენით ამოვიდოდა, იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშეებოდა (ქავ.). 14. კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე მოთავენი რჩევაში იყვნენ (ყაზ.).

დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება თავშია ან ბოლოში (ნ. ზემოთ მაგალითები), მაგრამ თუ ის მთავარი წინადადების დროის გარემოებას აზუსტებს, შესაძლებელია შუაშიც, მაგალითად: „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!“ (ქავ.).

მთავრისა და დამოკიდებულის ზმნების მოქმედება ერთდროულია ან ერთისა მოსდევს მეორეს. ეს მიმართება გამოიხატება საკავშირებელი და მისათითებელი სიტყვების, აგრეთვე ზმნის ფორმების საშუალებით.

ა) მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემული ამბები ერთდროულად ხდება. მაგალითები: 1. არაგვს რომ გამოვდარიდით, გაღმა ნაპირიდან იხვების გუნდი აფრინდა და ყიყინით გასწია თავქვე (ვაჟა). 2. მამა და შვილი რომ ბულბულის იუბილზე ბჭობდნენ, ეს უკანასკნელი კეთილხმოვანებას ჰფენდა მთელ არე-მარეს (ვაჟა).

ბ) დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემული ამბავი უფრო ადრეა მომხდარი (ხდება ან მოხდება), ვიდრე ის, რაზედაც მთავარშია ლაპარაკი. მაგალითები: 1. როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა, ხალხს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი (ყაზ.). 2. [ტურა] კარგად რომ გამოძღდა დათვის ლეშით, გაიპარა და ტყეში ჩხავილს მოჰყვა გლოვისა და ტირილის ხმაზე (ვაჟა).

გ) მთავარში გადმოცემული ამბავი უსწრებს წინ დამოკიდებულისას. მაგალითები: 1. ბაბო რომ ადგა დილას, სარდიონი უკვე სამსახურში იყო წასული (კლდ.). 2. ვიდრე ესტატე საუბარს დაიწყებდა, სოფიო ჩაის თადარიგს შეუდგა (ვაჟა).

თუ საკავშირებელი სიტყვა „როდესაც“ („როცა“) მიემართება სახელს, დამოკიდებულის წინადადება განსაზღვრებითია და არა დროის გარემოებითი. მაგალითები: 1. არიან ადამიანის ცხოვრებაში ი მ ი ს თ ა ნ ა წუთნი მარტობისა, რ ო ც ა ბუნებას შენ თითქოს შენასს აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს (ქავ.). 2. არის ხოლმე ისეთი წამები, რ ო დ ე ს ა ც სიტყვას ადგილი აღარა აქვს კაცის მწუხარებაში (ყაზ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გადაიწერეთ მაგალითები: დაუსვით სახენი ნიშნები. საკავშირებელ სიტყვას გაუსვით ერთა ხაზი, მისათითებელ სიტყვას მთავარში (თუ ასეთი მოიპოვება) — ორი. გამოარკვეით, როგორია დროული მიმართება მთავარი წინადადების ზმნის მოქმედებისა დამოკიდებულის წინადადების ზმნის მოქმედებასთან.

1. მზემ გამოანათა თუ არა მაშინვე აღმოსავლეთისკენ ცას მშვენიერი ფერადი რკალი გადაეკრა (გოგ.). 2. რაწამს ფრინველები და პატარა ცხოველები გაიგებდნენ არწივის ხმას მაშინვე აქეთ-იქით გულგახეთქილები იფანტებოდნენ (გოგ.). 3. როცა ირემი წაიქცა მონადირემ ირმის გასწვრივ შენიშნა მიმავალი ვეფხვე (ვაჟა). 4. ხევს რომ გასცდნენ აღმართს შეუდგნენ (ვაჟა). 5. როდესაც

ბავშს ექვსი წელიწადი შეუსრულდა დედამ ქართული ანბანიც დააწყებინა (ლომ.). 6. კარგა ხანმა გაიზარა ვიდრე მოთავენი რჩევაში იყვნენ (ყაზ.). 7. კარგა ხანი გავიდა სანამ „მარიამა“ კამეჩი უღელს შეეჩვეოდა (რაზ.). 8. რაკი ყველამ დაიძინა სოფიო ისევე ადგა და გარეთ გავიდა (არაგ.). 9. ვირმა როგორც კი ეს ბალახი შეჭამა სრულიად სხვა ტყავი და ხორცი შეისხა (ვაჟა). 10. მანამ ნურას ჰქონდა სანამ ხევი ვერც ამოწყვიტოს და ვერც დაიმონოს (ყაზ.). 11. ისინი რომ სათლებს აკეთებდნენ მე და ჩემი ამხანაგები შეინდაწლის ისრებს ვაწებებდით (ვაჟა).

§ 167. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ, რამდენად ან რამდენჯერ ხდება მოქმედება მთავარ წინადადებაში. იგი მოგვიგებს კითხვებზე: როგორ? რანაირად? რამდენად? რამდენჯერ? მთავართან მას აერთებს: რომ, როგორც, რამდენადაც, რამდენჯერაც, ვითომც, თითქოს, ვით; ხოლო მთავარში მოიპოვება ვითარებისა და ზომა-ოდენობის ზმნიზედები: ისე, იმდენად, იმდენჯერ... ერთმანეთთან შეპირისპირებით ვღებულობთ ასეთ წყვილებს: ისე — რომ, ისე — როგორც, იმდენად — რომ, ისე — ვით, ისე — ვითომც, ისე — თითქოს, რამდენადაც — იმდენად (რამდენადაც — იმდენადვე), რამდენჯერაც — იმდენჯერ. ასე რომ ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ხსნის მთავარში ნაცვალსახელური წარმოშობის ვითარებისა და ზომა-ოდენობის ზმნიზედებით გადმოცემულ ვითარების გარემოებას.

მაგალითები: 1. [ოთარაანთ ქვრივის] ბოსტანში მუშაობა ისე უყვარდა, რომ სხვის ხელს არ მიაკარებდა (ვაჟ.). 2. თავმოყვარეობა იმდენად გააბრაზებს, რომ ეცდება მუქარის გამართლებას (წერ.). 3. მამაჩემი ისე უვლიდა ვენახს, როგორც დედა უვლის შვილსა (გოგ.). 4. ვირი ხალხს ისე აჩვენებდა თავს, ვითომც უნაგირი ჯერ არ ენახა, და ყალფზე დგებოდა, ფრთხებოდა, ფრუტუნებდა (ვაჟა). 5. რამდენადაც ღონე და სიმარღე ემატებოდათ ჩვენს პატარა თევზებს, იმდენად უფრო გულადნი ხდებოდნენ (გოგ.); 6. [ქეთევანი] რამდენჯერაც მოიგონებს მოტაცებულ დაბუჯარას, იმდენჯერ გულს ჩაიძვლავს (ვაჟა). 7. ქვევით ჯურღმულიდან ამონადენი ცივი ნიავი ისე მცემდა, თითქოს უხილავი ხელი ყინულს მისვამდა შუბლზე (ვაჟა). 8. რაც უფრო მიახლოვდებოდა, მით უფრო იქცევა ჩემს ყურადღებას (ს. კლდ.).

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, საზოგადოდ, თავშია ან ბლოში. მისათითებელი სიტყვა მთავარში იშვიათად ჩავარდნილია (გამოტოვებულია). მაგალითი: „რ ა მ დ ე ნ ჯ ე რ ა ც ტ ა ხ ი კ ბ ი ლ ს გა კ კ რ ა ვ დ ა, დ ა თ ვ ი თ ვ ი თ ე უ ლ ს კ რ ი ლ ო ბ ა ს ბ ლ ა ვ ი ლ ი თ ა მ ო წ მ ე ბ დ ა“ (ვაჟა). აქ მთავარში ჩავარდნილია „იმდენჯერ“.

ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში ხშირად ცალკე გამოყოფენ ისეთ დამოკიდებულ წინადადებას, რომელიც შედარებას გამოხატავს (საკავშირებლები: ისე — როგორც, ისე — ვით...), მაგალითი: „პირველი რიგი მტრის ჯარისა ი ს ე დ ა ე მ ხ ო დ ე დ ა მ ი წ ა ზ ე დ, რ ო გ ო რ ც ც ე ლ ი თ მ ო კ რ ი ლ ი გამ ხ მ ა რ ი ყ ა ნ ა ი კ ც ე ვ ა ძ ი რ ს“ (გოგ.). მთავარში ლაპარაკია იმაზე, რაც უნდა იქნეს შედარებული, დამოკიდებულში კი იმაზე, რასაც უნდა შევადაროთ. ამ ტიპის დამოკიდებულ წინადადებაში ხშირად შემასმენელი გამოტოვებულია, მაგრამ იგი ადვილად იგულისხმება მთავარი წინადადების შემასმენლის მიხედვით. მაგალითი: „[ლუარსაბი] ისე თავჩაღუნული იდგა, რ ო გ ო რ ც პ ა ტ ა რ ა ბ ა ვ შ ვ ე“ (ჭავ.).

„რომ“ კავშირით შეერთებული ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ ერთგვარ შედეგს გამოხატავს იმისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი: „ჩვენი პატარა რუ ი ს ე დ ა მ შ რ ა ლ ი ყ ო, რ ო მ მ ი ს ძ ი რ ს თ ი თ ქ მ ს მ ტ ვ ე რ ი ა ს დ ი ო ლ ა“ (ლომ.).

ზოგიერთი ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ზომა-ოდენობაზე მიუთითებს. ასეთი დამოკიდებული წინადადება მოკვივებს კითხვაზე: რამდენად? რამდენჯერ? რა ზომით? რა ოდენობით? ამ შემთხვევაში მთავარშია ზმიზელები „იმდენად“, „იმდენჯერ“, ხოლო დამოკიდებულში „რამდენადაც“, „რამდენჯერაც“, იშვიათად „რომ“ (ნ. მაგალითები ზემოთ).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. „როგორც“ ხშირად დანართისა თუ ჩართული წინადადების საკავშირებელია. მაგალითები: 1. გიორგი სააკაძე, რ ო გ ო რ ც წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი ჯ ა რ ი ს ა, ი მ ა ვ წ ა მ ს თ ა დ ა რ ი გ ს შე უ ლ დ ა (გოგ.). 2. სახლი, რ ო გ ო რ ც ა ვ თ ქ ვ ი თ, ფ ი ც რ უ ლ ი ა (ჭავ.). „როგორც წინამძღოლი ჯარისა“ დანართია, „როგორცა ვთქვით“ კი — ჩართული წინადადება.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. „როგორც“ ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელია, „როგორიც“ — განსაზღვრები-

თისა. მთავარში პირველის მისათითებელი სიტყვაა „ისე“, მეორისა— „ისეთი“.

შ ე ნ ი შ ე ნ ა 3. „რომ“ კავშირით შეერთებული ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ მოსდევს მთავარს. მთავარსა და დამოკიდებულს ადგილები რომ შევეუცვალოთ, „რომ“ კავშირი ხშირად ამოვარდება. მაგალითად: „ყვინჩილა ისე უცებ მოექცა ქორს კლანჭებში, რომ დაყვირებაც ვერ მოასწრო“, მაგრამ: „ყვინჩილამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, ისე უცებ მოექცა ქორს კლანჭებში“ (ჩაზ.). თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი გადმოცემულაა მეორე კავშირებითს ან მეორე თურმეობითის ფორმით (III კავშირებითის მნაშვნელობით), დამოკიდებული წინადადების პირველ ადგილზე დასმისას „რომ“ შეიძლება არ ამოვარდეს (შეიძლება არ ამოვარდეს ზოგჯერ მაშინაც, როცა დამოკიდებული წინადადების ზმნა თხრობითი კილოსია): „ისე როგორ მოსცდება შვინდი, რომ ყვითლად არ გამოიქყიტოს გაღმა პირმზითიღამ“ (ვაჟა) — „ყვითლად რომ არ გამოიქყიტოს გაღმა პირმზითიღამ, ისე როგორ მოსცდება შვინდი“; „კვირა არ გავიდოდა ისე, რომ ოთარაანთ ქერივს არ ჩამოელო ეს იარაღი და გულმოდგინედ არ გაეწმინდა“ (ჭავ.) — „ოთარაანთ ქერივს რომ არ ჩამოელო ეს იარაღი და გულმოდგინედ არ გაეწმინდა, ისე კვირა არ გავიდოდა“.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითები; დაუსვით სახეები ნიშნები; საკავშირებელ სიტყვას ერთი ხაზი გაუსვით, მისათითებელ სიტყვას მთავარში — ორი. აღნიშნეთ, რა სახისაა დამოკიდებული წინადადება და რა განსხვავებაა დამოკიდებულ წინადადებებს შორის შინაარსის მხრით.

1. ის ბიჭი ისე გაშტერებული იდგა რომ სიტყვის განმეორებას ვერ ახერხებდა (წერ.). 2. ისე ცხელა რომ მზეზე კვერცხი მოიხარშება (მ. ჯავ.). 3. ირმის სიკეთე იყო სიკეთე თვით ტყისა როგორც შვილის სიკეთე არის მუდამ დიდება მშობლისა (ვაჟა). 4. რამდენადაც ძნელი გამოდგა კალმახის დაქერა იმდენად უფრო მიძლიერდებოდა სურვილი იმის დაქერისა (გოგ.). 5. ელექტრონის შუქზე წვიმის წვრილი ძაფები ისე მოჩანან თითქოს ცისა და მიწის შუა ობობას ქსელი იყოს გაბმული (ჩა. გვ.). 6. რამდენჯერაც ნიავის შებერვაზე სიმილის ფუჩეჩი გაიშრიალებდა მუცელსაც იმდენჯერ ტანი აუცახცახდებოდა (ვაჟა). 7. მოხუცი დაკმაყოფილდა ამ კითხვებით და დამშვიდდა რამდენადაც მის მდგომარეობაში დამშვიდება შეიძლებოდა (ყაზ.). 8. რამდენჯერ ქარი შეარხვეს საროს იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრაეს (ბარ.). 9. ვითა ეთერი მზეთუნახავი, საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს, სახეს ვარდისფრად იღებავს გრძნობით და, იელვარებს სურვილით თვალებს ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი ლაქვარდ

ცაზედა კაშკაშით თრთოდა (წერ.). 10. რაც უფრო შედიოდნენ ტყის სიღრმეში მით უფრო ციკაბო და ძნელი სავალი ხდებოდა (ჯაფ.).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 2. გალაწერეთ მაგალითები; დაუსვით სასყენი ნიშნები; დანართს ერთი ხაზი გაუსვით, ჩართულ წინადადებას — ორი, ხოლო ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას — კლაკნილი. აღნიშნეთ, რა მსგავსებაა მათ შორის და რა განსხვავება.

1. წერეთელი როგორც მტროქე და მოქიშვე აბაშიძისა ყველაზე უფრო გულნატკენი დარჩა და დაღონდა (წერ.). 2. ეს დედაკაცი გახლდათ როგორც თავდაც მისხვებოდით ბეკინა სამანიშვილის ქვრივი ელენე (კლდ.). 3. ეს ანდაზა არსად ისე გამართლებული არ მინახავს როგორც თავად ლუარსაბის სახლში (კვა.). 4. მწყემსები მოსულს როგორც სტუმარს ჩვეულებისამებრ წამოუდგნენ ფეხზე და მიესალმნენ (ყაზ.). 5. ძველ დროში როგორც ვიციტ და გაგონილი გვაქვს რაჭული ხალხს ძლიერ მტკიცედ ეპირა (ვაჟა). 6. ამ დიდრონი ფრინველების [წეროების] გროვასთან ისინი [მტრედები]. ისე არაფრად ჩანდნენ როგორც ზღვის კიდებზე დაცემული წვიმის ცვარი ზღვასთან არაფრად გამოჩნდება (ვაჟა).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 3. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვეეთ, რა შემთხვევაში უნდა გავიგოთ დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითად და რა შემთხვევაში — ვითარების გარემოებითად.

1. ა) დაბლად ჩამოწოლილი ნისლი... ისე აბნელებდა იქაურობას, რომ კაცი თვალთან მიტანილს თითს ვერ გაარჩევდა (ყაზ.).

ბ) ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო (წერ.).

2. ა) ცამ ისე საშინლად დაიქვეა, რომ დედამიწამ ზანზარი დაიწყო.

ბ). ამ დროს ისეთი საშინელი ქვეა-ქუხილი ატყდა, რომ დედამიწამ ზანზარი დაიწყო.

3. ა) [ფორია] ნაბიჯს ისე არ გადადგამდა, რომ უკან არ მოეხედნა (ქიაჩ.).

ბ) ფორია ისეთ ნაბიჯს არ გადადგამდა, რომ უკან არ მოეხედნა.

4. ა) შენც ისე არა ცხოვრობ, როგორც სხვა ფრინველები? (ვაჟა).

ბ) შენც ისეთ ადგილებში არა ცხოვრობ, როგორშიაც სხვა ფრინველები?

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 4. რთული წინადადების ნაწილებს ადგილები შეუნაცვლეთ და აღნიშნეთ, რა ცვლალება მოხდება.

1. თავთავიანთი სამწყემსო უნატრონოდ დაეტოვეთ, ისე გავციტაცა ცნობისმოყვარობამ (ვაჟა). 2. ერთხელ გიგლა კინლამ დააღრჩო, ისე მიიკრა გულზე და დაუბოლოებლად ლოწინდა (არაგ.). 3. ფათის ისე ეპირა თავი, რომ პირდაპირ დალაპარაკებას უცნობა კაცი ძნელად გაუბედავდა (ყაზ.). 4. შეშინებული ლუარსაბი ისე არეულად ლაპარაკობდა, რომ დარეჯანმა გარკვევით ვერაფერი გაიგო. 5. თედემ სამი წელი დამყო ისე, რომ კაცის სახე არ დაუნახავს (ვაჟა). 6. ორი წელიწადი ვიცხოვრე ღურგალთან ისე, რომ ჩვენს სოფელში არ მივბრუნებულვარ (ლომ.).

§ 168. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. მიზეზის გარემოებითია დამოკიდებული წინადადება, რომელიც აღნიშნავს იმის გამომწვევ მიზეზს, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპა-

რაკი. ის მოგვიგებს კითხვებზე: რატომ? რის გამო? (რა მიზეზით?). მთავარ წინადადებასთან მას აკავშირებს შემდეგი კავშირები: იმიტომ რომ, რომ, რადგანაც, ვინაიდან, რაკი. მთავარში მისათითებელი სიტყვებია: იმიტომ, იმის გამო, ამიტომ, ამის გამო. ერთმანეთის საპირისპიროდ გვაქვს ასეთი წყვილები: იმიტომ — რომ, იმის გამო — რომ, რაკი — ამიტომ, რაკი — ამის გამო...

მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება თავში ან ბოლოში.

მაგალითები: 1. პაპამ სოფოს გუგული ი მ ი ტ ო მ დაარქვა, რ ო მ ადრე იღვიძებდა და მოჰყვებოდა მღერა-ჰიკიკის (ვაჟა). 2. წყალი გუბდებოდა ოღრო-ჩოღროებში, რ ა დ გ ა ნ ა ც გამძლარი მიწა ველარ ისრუტავდა (ყაზ.). 3. ჩემს სიტყვასაც გვაგებინებ, ი მ ი ტ ო მ რ ო მ შეილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის (კავ.). 4. ფრინველებს გამოეთქვათ დიდი უსიამოვნება ი მ ი ს გ ა მ ო , რ ო მ რადაც ერთი ფრინველი თუ ორფეხი გაჩნდა და ღამე ღრიალით აგვიკლო, ადარ გვაძინებსო (ვაჟა). 5. ვ ი ნ ა ი დ ა ნ ქარი ძლიერ ქროდა და თანაც თოვდა, ი მ ღამეს იქ დარჩა (ყაზ.). 6. რ ა კ ი ს სვიმონასს თავი უკანა ჰქონდა გადაწეული და ნიკაპი მალა აკრული, ა მ ი ტ ო მ მთელი ყელი და ყანყრატო თავისუფლად უჩანდა (ლომ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. „რაკი“ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელია (ნ. § 166), მაგრამ ზოგჯერ ის მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან. ამ შემთხვევაში მთავარ წინადადებაში მისათითებელია „ამიტომ“, „ამის გამო“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. „იმიტომ“ ჩვეულებრივ მთავარშია, მაგრამ, როცა ის მთავარის ბოლოს მოხვდება, ზოგჯერ დამოკიდებულშია გადასული და რთულ კავშირს ვლდებულობთ: „იმიტომ რომ“. მძიმე რთული კავშირის წინ იწერება. თუ „იმიტომ“-ზე ლოგიკური მახვილია და ის მთავარს განეკუთვნება, მაშინ მძიმე „რომ“-ის წინ დაისმის (ნ. დამატებით § 158,4).

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო 1. გადანიწერეთ მაგალითები; დაუსვით სასვენი ნიშნები; კავშირს (დამოკიდებულში) ერთი ხაზი გაუსვით, მისათითებელ სიტყვას (მთავარში) — ორი (სადაც არ იყოს, აღადგინეთ და ფრჩხილებში ჩასვით).

1. უხილოდ გორში გასვლა შეუძლებელი იყო რადგანაც მტკვარი აღიდებულ იმოდოდა (გოგ.). 2. რადგანაც სადამო ჩინებული იყო და მთვარიანი ყველანი პატარა ბაღში გამოსულიყვნენ და ჩაის მიირთმევდნენ (ყაზ.). 3. [მკვლები] თავს იმიტომ იყრიდნენ ერთად რომ ტყეში აღარაფერი ეგულებოდათ საქმელი

(ვაჟა). 4. ყველას აზინებდა სიკვდილი იმიტომ რომ საზრდოს შოვნა გაძნელდა (ვაჟა). 5. ხმლით იეროზიმის შიტანა ოსმალ-ლეკებს იმის გამოც არ შეეძლოთ რომ ხმალში ქართველები მარჯვენი იყვნენ (გოგ.). 6. შამის ტყბილი სიტყვებით წახალისებულმა ნიკომ მღვდლობაზე უარი გამოაცხადა იმის გამო რომ სწავლა არ შემოიძლიაო (არაგ.). 7. რაჟი ბინდი ახლოვდებოდა ახლა მგლებისთვის უნდა დაეთმოთ სუფრა (რაზ.). 8. რაჟი... ურმით არ შეიძლება ასვლა ამის გამო ყოველი აყენებს ურმებს სოფელში, სტოვებს აქ საქონელს და თვით ბარგი-ბარხანით მიდის ზემოთკენ (ლომ.). 9. სანადიროდ წასვლა შეუძლებელი იყო ვანაიდან კოკისპირულად წვიმა. 10. რადგანაც სოფელი მკვიდროდ არის დასახლებული ამის გამო პატარა ადგილი უქირავეს (გოგ.). 11. მწყერებს თავშესაფარი აღარსად ჰქონდათ რადგან ბალახი ჯერ არ იყო კარგად ამოსული (ვაჟა).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რა სახისაა დამოკიდებული წინადადებანი.

1. რაჟი სვიმონის ამბავი და სიჩუშის მიზეზი შეეიტყვეთ, ესლა შეგვიძლია დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი მოთხრობის გმირებს და თვით მოთხრობის მიმდინარეობას (ყაზ.). 2. რაჟი მთას იქით მზე დაწვებოდა და გაეკვროდა ვარსკვლავი ცასა, გამლილი ძროხა მოგროვდებოდა და დავიწყებდით ყველანი თვლასა (ვაჟ.).

§ 169. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება გადმოგვცემს მიზანს იმისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი. ის მოგვიგებს კითხვებზე: რისთვის? რად? რა მიზნით? მთავარს უკავშირდება „რომ“ და „რათა“ კავშირების საშუალებათ. მთავარში მისათითებლად შეიძლება იყოს ნაცვალსახელოური წარმოშობის მიზნის ზმნიზედები: იმისათვის, მისთვის, იმად...

მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ ბოლოშია. მთავარში შემასმენლად თხრობითი კილოს ფორმას (უწყვეტლის, წყვეტილისა...), დამოკიდებულში II კავშირებითისა ან მეორე თურმეობითისა (III კავშირებითის მნიშვნელობით).

მაგალითები: 1. თვალმიუწლომელი სიშორიდან გველივით მოიკლაკნებოდა ჩუხჩუხა არაგვი და ერთგან კლდოვან კიდეს გამეტებით ეხლებოდა, რომ ახალი გზა გაეკვლია (წერ.). 2. ის წამდაუშუმ წყალს ითხოვდა, რათა გამეშრალი პირი გაეცვლებინა (ყაზ.).

შენიშვნა: მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მთავარში მისათითებლად მიზნის ზმნიზედები უნდა ვისმართოთ (ამისათვის, იმისათვის...), მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მთავარში კი — მიზეზისა (ამიტომ, იმიტომ, იმის გამო...), მაგრამ ზოგჯერ ვხვდებით ამ ზმნიზედების ერთიმეორის

ნაცვლად გამოყენებას, რაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულს ნორმათა მიხედვით დაუშვებელია.

მაგალითები: 1. რადგანაც მწყემსებს შუქი პირდაპირ სახეში სცემდა, ა მ ი ს თ ვ ი ს (?) იმათაც ხელებით მიეჩრდილებინათ თვალებისათვის და ისე გასცქეროდნენ (ყაზ.). 2. იმის ფიქრით, მწყემსი ი მ ი ტ ო მ (?) იყო გაჩენილი, რომ სვავისთვის ცხვრები დაეზარდა (რაზ.).

პირველ მაგალითში დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითია, მეორეში—მიზნისა, ამიტომ პირველის მთავარში „ა მ ი ტ ო მ“ უნდა (და არა: „ამისთვის“), მეორისაში კი — „იმისთვის“ (და არა: „იმიტომ“).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადაიწერეთ მაგალითება; დაუსვით სასვენი ნიშნები; კავშირს ერთი ხაზი გაუსვით, მისათითებელ მიზნის ზმნიზედას მთავარში — ორი (სადაც ასეთი აყოს).

1. ბარტყები ნისკარტს სცემენ ნაქუქს რომ გამოამტვრიონ და გამოვიდნენ გარეთ (ვოკ.). 2. მათიამ დაუძახა ყველას რათა დაეცვალათ ტყეები და ყველასთან ძმად გაფიცულიყვნენ (ყაზ.). 3. მე მაშინვე კარები მივხურე რომ ძაღლები შინ არ შეპყლოდნენ (ვჯა). 4. ქალი მოეფარა ერთ კლდეს რომ ზევეს საღმე არ მოეტანა (ყაზ.). 5. ...ამ ღამეს იქ დავრჩი რათა თვალი გაშეძლო მშვენიერის სანახაობის ხილვითა (ქავ.). 6. ქალი და მამა ერთმანეთს თვალს არიდებდნენ რათა უცაბელი კითხვით თავიანთ უნებლიე მწარე სავანს არ შეხებოდნენ (ყაზ.). 7. საშიშარი ეშვიანი ღორების გზებზე ორმოები ამოთხარეს რათა ბნელ ღამეში ჩაეცივნულიყვნენ შიგ და დამხრჩვალყვნენ (ვჯა).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები, დაასახლეთ დამოკიდებული წინადადების სახე და გამოარკვიეთ, რა შემთხვევაშია მთავარ წინადადებაში მიზნისა და მიზეზის ზმნიზედები სწორად ნახმარი და რა შემთხვევაში — არა.

1. მე გოგია მისთვის მიყვარს, რომ ძმა და მეგობარი (წერ.). 2. მე ჩანგური მისთვის მიწადა, რომ სიშარტლეს მსახურებდეს (წერ.). 3. რადგანაც გონს ვერ მოეყვანათ, ამისთვის აპყარეს იარაღი, შეკრეს და თან წაიყვანეს (ყაზ.). 4. მგელიც იმიტომ ნადირობდა, რომ იმისათვის საქმელი ლეში გაეჩინა (რაზ.).

§ 170. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს შედეგს იმისას, რაზედაც მთავარ წინადადებაშია ლაპარაკი. მთავარი წინადადება ყოველთვის პირველ ადგილზეა, დამოკიდებული — მეორეზე. მაგალითი: „ახლო-მახლო მთებზე ჭერ კიდევ არ იყო თოვლი სრულიად გამდნარი, ამის გამო აქედან კარგა საგრძნობი სიცივის სუსხი მოდიოდა“ (ლომ.). მთავარ წინადადებაში მიზეზია დასახელებული, დამოკიდებულში — შედეგი.

შედეგობითი დამოკიდებული წინადადება მიემართება მთელს მთავარ წინადადებას და არა მის რომელიმე წევრს. მთავარს ის უკავშირდება შემდეგი კავშირებით: ასე რომ, ამიტომ, ამის გამო, რის გამოც...

მაგალითები: 1. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი (კავ.). 2. იმის მეტი ხე იქ არ მოიპოვებოდა, ამიტომ მწყემსები თავის სამწყემსოთი მის ჩრდილის ქვეშ ისვენებდნენ (ვაჟა). 3. თავად ჩაღბოსაც ჩხუბის დროს, რა თქმა უნდა, ბევრი პხვდებოდა მუშტი, ჯოხი თუ საცერული, რის გამოც თავი სულ გადაკორტნილი ჰქონდა... (ვაჟა).

„ამიტომ“, „ამის გამო“ კავშირების წინ შეიძლება „და“ კავშირიც იქნეს ნახმარი: „ქიტლას მხრივ ამნაირი ქცევა პირველი იყო და ამის გამო სოფიო გონს ვერ მოსულიყო“ (არაგ.). ამ ტიპის რთული წინადადება ახლო დგას რთული თანწყობილი წინადადების ზოგიერთ შემთხვევასთან.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო . გადაწერეთ მაგალითები; დაუსვით სასვენი ნიშნები; აღნიშნეთ, რა ტიპისაა დამოკიდებული წინადადება. საკავშირებელს გაუსვით ხაზი.

1. მერცხალი იმავე ზაფხულში მეორედაც სდებს კვერცხებს და სჩეკს ბარტყებს ასე რომ თითო დედალ-მამალი თორმეტამდე შვილს დაზრდის ხოლმე ერთს ზაფხულში (გოგ.). 2. შეიქნა ერთი კექა-ქუხილი და თავსხმა ასე რომ სტუმარი უნდა დარჩენილიყო მელანოსთან (წერ.). 3. ცეცხლი კი ოდნავ ბეუტავდა კერაზე და ხრჩოლავდა რის გამოც ისეც ბნელი ფანჯრები კვამლით იბურებოდა (არაგ.). 4. ბაბუცა კი ცოტა გამზდარი წერილი და მალალი ტანის გოგონა იყო ამის გამო ბატივით აქეთ-იქით ლახლახი ვერ უხდებოდა (ლომ.). 5. უცებ ცა შავი ღრუბლებით დაიფარა ამიტომ სასეირნოდ კელარ წავედით. 6. ქართველების ბედზე ბრძოლის ველი ვიწრო იყო და ამის გამო ლეკების ბრბო ვერ იშლებოდა (ლომ.).

§ 171. პირობითი დამოკიდებული წინადადება. პირობითი დამოკიდებული წინადადება გვიჩვენებს, თუ რა პირობებში შეიძლება შესრულდეს ან არ შესრულდეს ის, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი. მას შეიძლება დავუსვათ კითხვები: რა პირობებში? რა შემთხვევაში? მაგალითი: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გაატანჯავს წუთისოფელი“ (გურ.). კითხვა: რა შემთხვევაში გასტანჯავს წუთისოფელი? პასუხი დამოკიდებულშია მოცემული: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს“. დამოკიდებულში პირობაა დასახელებული, მთავარში კი — შედეგი.

პირობითი დამოკიდებული წინადადება ჩვეულებრივ თავშია ან ბოლოში. მთავარ წინადადებასთან მას აკავშირებს: თუ, რომ, თუკი, უკეთუ და სხვ. მთავარში ზოგჯერ მოიპოვება „მაშინ“, „მაინც“...

მაგალითები: 1. ვაჟკაცობა თუ სისულელესთან არის დაკავშირებული, ჩაღად არა ღირს (ვაჟა). 2. მერცხალი შემოდგომაზედაც ჩვენთან დარჩებოდა, რომ მარცვლეულობის და ხილეულობის ქამა შეეძლოს (გოგ.). 3. თუკი ვისმე თვალი კარგად უჭრიდა, ალიას ბინიდან ყველაფერს დაინახავდა (არაგ.).

დამოკიდებული წინადადება, რომელსაც იწყებს „თორემ“ კავშირი, გადმოგვცემს შინაარსს მთელი რთული ქვეწყობილი წინადადებისას, რომელიც შეიცავს პირობით დამოკიდებულ წინადადებას. მაგალითი: „ჩემი ნათლიდელის კამეჩი ეხლავე გამოუშვას, თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ“ (კავ.). დამოკიდებული წინადადება: „თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ“ — შინაარსით აგვივია, რაც: „თუ არ გამოუშვებს, იქაურობას სულ მტვერს ავადენ“ („თორემ“ მიღებულია თუ არა-საგან).

„თორემ“ კავშირით შეერთებული წინადადება გვიჩვენებს, თუ რა მოჰყვება შედეგად მთავარში დასახელებული ამბის შეუსრულებლობას, ასე რომ ამ ტიპის წინადადება თავისი შინაარსით უახლოვდება შედეგობით წინადადებას.

„როცა“ („როდესაც“) ძირითადად დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებელია, მაგრამ ზოგჯერ ის „თუ“-ს მნიშვნელობით იხმარება და დამოკიდებულ წინადადებას პირობითის შინაარსი აქვს. მაგალითი: „ზატხულის დამეში ნამი მხოლოდ მაშინ გაჩნდება ხოლმე, როცა დღისით ძლიერ თბილა და დამით კი მეტად გრილა“ (გოგ.).

თუ რთული წინადადებას ნაწილები წარსული დროის ამბავს გადმოგვცემს, ხშირად დამოკიდებული წინადადების ზმნის ფორმა უკუთქმითია („არ“ ნაწილაკი ახლავს), მაგრამ იმით გამოხატული მოქმედება დადებითია (წართქმითია); მაგალითი: „ეს კეთილი და გონიერი ფინია რომ არ შესწრებოდა, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა“ (გოგ.). დამოკიდებული წინადადების ზმნას ახლავს „არ“ („არ შესწრებოდა“), მაგრამ ძალის მოქმედება დადებითია, ე. ი. ფინია შეესწრო. დამოკიდებული წინადადების ზმნას რომ „არ“ ნაწილაკი ჩამოვაშოროთ, ფორმა დადებითი გახდება, მაგრამ მაშინ მოქმედება უარყოფითი იქნება: „ეს კეთილი და გო-

ნიერი ფინია რომ შესწრებოდა, 'რასაკვირველია, საწყალი ბავშვი არ დაიბრჩობოდა', ეს ნიშნავს: ფინია არ შეეცაო.

მთავარი წინადადება, რომელსაც ახლავს პირობითი დამოკიდებული წინადადება, შეიძლება იყოს არა მარტო თხრობითი, არამედ კითხვითი, ან ძახილის შინაარსისა.

მაგალითები: 1. თუ სანადიროდ იყო, ხელცარიელი რად მოვიდა? (ქავ.). 2. თუ ჩემი სურვილი უსაფუძვლოდ მიგაჩნიათ, ნუ აღასრულებთ თქვენს განზრახვას! (ყაზ.).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. გადიწერეთ მაგალითები; დაუსვით სასენი ნიშნები; კავშირს გაუსვით ხაზი. გამოარკვეით, როგორია აზრობლივი მიმართება მთავარსა და დამოკიდებულს შორის.

1. თუ ყოჩაღად მოვიქცევით უქველად ვიპოვნით და დავიპყრთ (რაზ.). 2. მოკვდეს ბიჭი ფიცხელა თუ აღამიანს ხელში ჩაუვარდეს (ვაჟა). 3. შენს ადგილას რომ ვყოფილიყავი კარგად გამოვიძინებდი (არაგ.). 4. ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არც კი მოაღწევდა (ქავ.). 5. ერთი-ორი დღე რომ კიდევ დარჩენილიყო გალიაში ქოჩორა უთუოდ ფეხებს გაფშეკდა (გოგ.). 6. ოფიცერი რომ ქვეითად ყოფილიყო ჭარისკაცებისგან ვერავინ გაარჩევა (ს. კლდ.). 7. აქ რომ ყოფილიყვნენ ხომ არ დაემართებოდათ ეგ უბედურება (ვაჟა). 8. თუ ცხელი დღეა და ჰაერი ხმელი მაშინ მერცხალი მაღლა ჰაერში დაქროლავს (გოგ.). 9. ერთი ბარტყი გადმოვიგდე თორემ შავ დღეს დაგაყენებ (ხალხ.). 10. ნურც დაანახებებ შენს ქურანს ცხენსა თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა (ქავ.). 11. თუკი ჩემი საყვარელი გოგონა თვალცემლიანი ივლის ისეთი სკოლა და სწავლა რაში შეპრიანება (ვაჟა). 12. ეგ კეუა წინათ უნდა გეხმარა თორემ ახლა რაღას გიშველისო (გოგ.). 13. ასე გულდაგულ ვერ ვაბრძოლებდით რომ არ გვიძლოდეს მისი ცისკარი (ასათ.). 14. ხმლის ქნევას მაღლი მაშინ აქვს როცა ხმაღს ჰხედავ სხვისასა (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. წაიკითხეთ მაგალითები. დაასახელეთ საკავშირებელი სიტყვა და დამოკიდებული წინადადების სახე.

1. დღეა მაიმუნები ბროლაში მხოლოდ მაშინ გაერევიან, როცა იმათა სიცოცხლე და იმათი შვილები ხიფათში ჩავარდება (გოგ.). 2. არიან აღამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტობისა, როცა ბუნებას შენ თითქოს შენსას აგებენ და თავისას შენ გაგებინებს (ქავ.). 3. შუალრე ჯერ კიდევ არ იქნებოდა, როცა გვადი შინ დაბრუნდა (ქიჩი).

§ 172. დათმობითი დამოკიდებული წინადადება. დათმობითი დამოკიდებული წინადადება ისეთ ამბავს გადმოგვცემს, რომელიც მთავარ წინადადებაში გამოხატული აზრის მიხედვით საერთოდ მოსალოდნელი არ არის, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია. მაგალითი: „ეს თამაში [ქორობია] მე არ მიყვარდა, თუ მცა ყოველდღე სხვადასხვა თამაშობას ამით ვაბოლოვებდით ხოლმე“

(წერ.). პირველი წინადადება მთავარია, მეორე — დამოკიდებული. აზრობლივი მიმართება მათ შორის ისეთია, რომ პირველისგან მეორე არაა მოსალოდნელი, მეორისაგან — პირველი. მართლაც, თუ „ეს თამაში [ქორობია] მე არ მიყვარდა“, არცაა მოსალოდნელი, რავე ყოველდღე სხვადასხვა თამაშობა ამ თამაშით დაგვებოლოვებინა და, პირუტყუ: თუ „ყოველდღე სხვადასხვა თამაშობას ამით [ქორობიათი] ვაბოლოვებდით ხოლმე“, არც ისაა მოსალოდნელი, რომ ეს თამაში მე არ მიყვარებოდა.

დათმობითი დამოკიდებული წინადადება თავშია ან ბოლოში. მთავართან მას აკავშირებს „თუმცა“, „თუმცაღა“.

დათმობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადება ემსგავსება მაპირისპირებელ-კავშირთან რთულ თანწყობილ წინადადებას. თუ დამოკიდებული წინადადება თავშია, მთავარში მაპირისპირებელი კავშირიც არის. მაგალითი: „თ უ მ ც ა ბუღბული უდიდესი მგალობელია, მა გ რ ა მ ამ დროისათვის იმისი ტყბილი ხმები აღარ ვარგოდა“ (რახ.).

მთავარში, მაპირისპირებელ კავშირთან ერთად თუ ცალკე, ხშირად კავშირად გამოყენებულია ნაწილაკი „მაინც“ (← მაშინაც), რომელიც უპირისპირდება დათმობითი დამოკიდებული წინადადების კავშირს („თუმცა“-სა და მის ბადალ კავშირებს).

მაგალითები: 1. მზეს თ უ მ ც ა კარგა დაბლა დაეწია დასავლეთისაკენ, მა გ რ ა მ მაინც საშინელი სიცხის ბული ტრიალებდა ჰაერში (ლომ.). 2. თ უ მ ც აღარ ჰქონდა მკლავებში ღონე, მაინც კი ხელი შემოუბრუნა (ჭავ.).

დათმობით დამოკიდებულ წინადადებას ზოგჯერ მთელი გამოთქმა იწყებს: „მიუხედავად იმისა, რომ“. „რომ“-ის წინ მძიმე დაისმის. მაგალითი: „მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა, საექსკურსიოდ მაინც წავედით“.

დათმობითის შინაარსისაა დამოკიდებული წინადადება, რომელსაც მთავართან აერთებს გინდ (← გინდა), გინდაც, თუნდ (← თუ უნდა), თუნდაც, რაგინდ, თუგინდ, აგრეთვე „უნდა“ ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (იმის მიხედვით, თუ რა წევრად შედის მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებულ წინადადებაში); რაც უნდა, რასაც უნდა, რადაც უნდა, ვინც უნდა, ვისაც უნდა და სხვ.

მაგალითები: 1. ჩაიხედე, გამოჩნდება ყველა ნათლად, უტყუარად, გინდ იხმარონ მელის ტყავი პირბადედ და ხელში ფარად (წერ.). 2. თუნდაც მოკვდეს ქვეყნისათვის, ეგ აიკვდილი სიცოცხლეა (ჰავ.). 3. რაგინდ ითოვლო-ძვერით, ჟინიც მოიკლათ გულისა, მაინც ვერაფერს დაგვაკლებთ, მადლი ჩანს გაზაფხულისა (მღვ.). 4. რაც უნდა ღრიანცელი მდგარიყო, მისი მაღალი ბოხი წმა მაინც კარგად ისმოდა (ლომ.). 5. [არჩილს] რადაც უნდა დასჯდომოდა, დღესვე უნდა ენახა სარდიონი (ჯაფ.).

შენიშვნა 1. „გინდ“ და „თუნდ“ მაცალკეებელია შერწყმულსა და რთულ თანწყობილში, სადაც ეს კავშირები მეორდება: გინდ — გინდ, თუნდ — თუნდ. ამ შემთხვევაში ერთგვარ წევრებს თუ რთული თანწყობილი წინადადების ნაწილებს შორის შეიძლება „და“-ც ვიზმაროთ. „გინდ წადი, გინდ დარჩი“ (ან: „გინდ წადი და გინდ დარჩი“), — წინადადება შერწყმულია. „გინდ შენ მოდი ჩემთან, გინდ მე მოვალ შენთან“ (ან: „გინდ შენ მოდი ჩემთან და გინდ მე მოვალ შენთან“), — წინადადება რთული თანწყობილია.

შენიშვნა 2. „უნდა“ ნაწილაკიანი გამოთქმები („ვინც უნდა“, „რაც უნდა“, „რადაც უნდა“ და სხვ.) ზმნას იწყობს პირველ ან მეორე კავშირებითში, ან კიდევ მეორე თურმეობითში (მესამე კავშირებითის ნაცვლად), მაგრამ აუცალებლად წართქმითი ფორმით.

მაგალითები: 1. რაც უნდაც უდ გუნებაზე იყოს კაცი, შოშია დარდს უქარვებს (გოგ.). 2. რაც უნდა ახლო მანძილიდან ესროლა ნადირისათვის, უთუოდ ააცდენდა (გოგ.).

სავარჯიშო. გადაწერეთ მაგალითები; დაუსვით სასვენი ნიშნები; რამოკიდებულ წინადადებს ხაზი გაუსვით ქვეშ, საკავშირებელ სიტყვებს დამოკიდებულსა და მთავარში — კლანილი. დაასახელეთ, რა სახისაა დამოკიდებულ წინადადება.

1. ნოდარი მას უკვე მოკეთებული დაუხვდა თუმცა ორი კრილობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშუშებული (რ. გვ.). 2. თუმცა შემოდგომა იყო მაგრამ მაინც საგრძნობლად ცხელოდა (ჯაფ.). 3. თუმცა მამას გული მოუვიდა მაგრამ სიცოცხლის გამო გაჯავრება ვერ მოახერხა (გოგ.). 4. თუმცაღა წინა ღამით თოვლი მოვიდა მაგრამ იმ დღეს კი ცა მოიწმინდა (ნინ.). 5. რაც უნდა შორიდან ამოვლო მიზანში ისარს არ ააცდენდა (გოგ.). 6. რაც უნდ ბნელი ღამე იყოს მაინც ველით განთიადსა (ევდ.). 7. სოფელში რაც უნდა გვიან დაიძინო მაინც დილაადრთან გამოგვღვიძება (არაგ.). 8. უკეთეს ბინას ვერ ნახავ გინდ მოვლო კიდით-კიდო (წერ.). 9. თუნდ სრულად მოწყდნენ ვარსკვლავნი მზემ ტანთ ჩაიცვას შავები ისეც მზეობას მიზამენ შენი ფოფინა თვალები (ვჟა). 10. მიუხე-

დავად იმისა რომ მგელი სასიკვდილოდ იყო დაქრილი მაინც ჩქარა ვარბოდა-
11. ეს არა ჰგავს ეწრის მიწას თუმცა მენჯი-რობუ ხალხში ეწრად არის მიჩნეუ-
ლი (დად.).

§ 173. მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადება. მთავრის მიმართად იწოდება ისეთი დამოკიდებული წინადადება, რომელსაც მთავართან აერთებს ნაცვალსახელი „რაც“ (სხვადასხვა ბრუნვის ფორმით) და მთელ მთავარ წინადადებაში გამოთქმულ აზრს მიემართება. მაგალითი: „გავარდა ერთბაშად თოფი, რაც ნიშანი იყო საერთო იერიშისა“. „რაც“ შეიძლება შეიცვალოს „ეს“ ნაცვალსახელით (თუ „რაც“ სხვა ბრუნვაშია, შენაცვლებული ნაცვალსახელიც იმ ბრუნვაში დადგება) და რთული ქვეწყობილი წინადადება თანწყობილად გადაკეთდება. მაგალითად, მოყვანილი წინადადება რომ თანწყობილად გადავაკეთოთ, მივიღებთ: „გავარდა ერთბაშად თოფი და ეს ნიშანი იყო საერთო იერიშისა“ (ყაზ.).

§ 174. უშემასმენლო მთავარი წინადადება. მთავარი წინადადება ზოგჯერ უშემასმენლოდ არის წარმოდგენილი. უშემასმენლო მთავარი წინადადება სხვადასხვაგვარია.

1. მთავარ წინადადებად შორისდებულია, რომელიც წინადადების ბადალია. დამოკიდებული წინადადება „რომ“ ან „თუ“ კავშირით არის შეერთებული.

მაგალითები: 1. ჰ ა ი, ჰ ა ი, რომ ვაჟკაცს შერცხვენილს. სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია, გაწბილებას — ცოცხლივ მიწაში ჩამარხვა (ყაზ.). 2. ყ ო ჩ ა ლ, თუ ეს მართლა ასე არის. 3. ყ ო ჩ ა ლ, რომ არ შემარცხვინე (ვაჟა).

2. გაარსებებულ შორისდებულთან ერთად წინადადების სხვა წევრიც (თუ წევრებიც) არის წარმოდგენილი. საკავშირებლად აქ მამართებითი ნაცვალსახელიც გვხვდება.

მაგალითები: 1. ვ ა ი ი მ ა ს, ვისაც [ოთარაანთ ქვრივი] უსაქმოდ მოასწრებდა ხოლმე (ჭავ.). 2. ვ ა ი მ ი ს ი ბ რ ა ლ ი, ვისაც კარგი ხუჭუჭი თმა ჰქონდა (წერ.). 3. ასე რომ მოქცეულიყო, ვ ა ი ი მ ი ს ი ბ რ ა ლ ი (დად.).

3. მთავარი გადმოცემულია ნაწილაკით ან ნაწილაკთან ერთად წინადადების ესა თუ ის წევრიც არის წარმოდგენილი.

მაგალითები: 1. ლ ა მ ი ს, რომ არ შეეწიროს (ვაჟა). 2. ნ ე ტ ა ვ ი მ დ ე დ ა ს, ვისგანც გაზრდილა! (ჭავ.). 3. ნ ე ტ ა ვ ი ა მ ა ს, ვინაცა პირნათლად სოფლად იარა (ვაჟა).

4. მთავარი მისათითებელი სიტყვით არის წარმოდგენილი.
მაგალითები:

1. — ნაკეთებს კი ვერც მე მოგიწონებ. — არჩილი შეფიცხდა
და აიტკიცა.

— რატომ, ბიჭო?

— ი მ ი ტ ო მ, რომ აქ ფერღობია (ჭავ.).

2. — ფიცი რა საჭიროა, წადით და მოწმობა მოიტანეთ.

— მოწმობა? რისი მოწმობა?

— მ ი ს ი, რომ სწორედ თავადი როსტომ წერეთელი ხართ
(წერ.).

3. — ეგ რაზედა სთქვი?

— ი მ ა ზ ე დ, რომ შენ ჩემს სიტყვა-პასუხს შეუშინდი და
გაფრთხილება გინდა ჩემი (ჭავ.).

ასეთი რამ ჩვეულებრივია კითხვა-მიგების დროს.

დამოკიდებული წინადადება ზემოთ განხილულ და მსგავს შემ-
თხვევებში შეიძლება აყოს: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვ-
რებითი, გარემოებითი და მთავარისაგან მძიმით გამოიყოფა.

§ 175. დამოკიდებული წინადადება მთავარის გარეშე. კითხვა —
მიგების დროს ზოგჯერ მარტო დამოკიდებული წინადადებაა წარმო-
დგენილი, მთავარი კი იგულისხმება ნათქვამის მიხედვით.

მაგალითები:

1. — მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.

— რ ო მ ა რ ი ყ ო ს ო რ მ ო ც ი ა?

— ჯარიმა გადამახდევინე (ჭავ.).

2. — რა მოგცე?

— რ ა ც შე ნ ი ნ ე ბ ა ა (ჭავ.).

აქ იგულისხმება: „ის მომეცი, რ ა ც შე ნ ი ნ ე ბ ა ა“.

3. — ჩემს ნამუსზედ აგდებ, რაღა?

— რ ა ც უ დ ი თ ა მ ა ს უ ქ ი ე გ არ ი ს!

— ჩ ე მ ი ნ ა მ უ ს ი რ ო მ შე ნ ს კ ა ი - კ ა ც ო ბ ა ს ა რ
გ ა ს წ ე დ ე ს ?

— არა უშავს-რა! (ჭავ.).

შენი უვნა: მთავარი წინადადება ზოგჯერ გამოტოვებულია
სტვა შემთხვევაშიც (ე. ი. არა კითხვა-მიგების დროს). მაგალითად:
„სოფლის გზირისათვის რომ გვეითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარ-
მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნ-

ბურად“ (ჭავ.). აქ ორი წინადადებაა: 1. „სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ“; 2. „ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად“. ორივე წინადადება დამოკიდებულია. მთავარ წინადადებად ივულისხმება: „გიპასუხებდათ“ (ან: „გეტყობდათ“..). მთავარი რომ აღვადგინოთ, მივიღებთ: „სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, [გიპასუხებდათ, რომ] ოთარაანთ ქვრივის ეზოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად“. მთავარი წინადადება გამოტოვებულია შემდეგ მაგალითშიც: „თუ ძალაზედ დადგებით, არც ჩვენ ვართ ლაჩრები“ (ჭავ.). მთავარ წინადადებად აქ ივულისხმება „ნახავთ“ (ან: „გაიგებთ“...): „თუ ძალაზედ დადგებით, [ნახავთ, რომ] არც ჩვენ ვართ ლაჩრები“.

§ 176. უკავშირო ქვეწყობილი წინადადება. დამოკიდებული წინადადება მთავარს შეიძლება საკავშირებელი სიტყვის გარეშეც შეუერთდეს. ამ შემთხვევაში ჩთული ქვეწყობილი წინადადების ნაწილების დაკავშირება ზეპირმეტყველებაში ინტონაციის საშუალებით ხდება, ხოლო წერაში ამას სათანადო სასვენი ნიშნების დასმით გამოვხატავთ.

უკავშირო ქვეწყობილი წინადადება ხშირად „რომ“ და „თუ“ კავშირის გამოტოვებით არის მიღებული. „თუ“-ს გამოტოვება ჩვეულებრივია, როცა დამოკიდებული წინადადება ირიბ კითხვას გამოხატავს. თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი კავშირებითის (ან კავშირებითის მნიშვნელობით ნახმარი II თურამეობითის) მწკრივის ფორმით არის გადმოცემული, „რომ“ კავშირი ჩვეულებრივ გამოტოვებულია.

უკავშიროდ შეერთებული დამოკიდებული წინადადება სხვადასხვა შინაარსისაა:

1. დამოკიდებული წინადადება დამატებითია: „ქალი ვერ მიმხედარიყო, რა მიზეზით არ ეძინებოდა“ (ყაზ.). დამოკიდებული წინადადება ირიბ კითხვას გამოხატავს. გამოტოვებულია „თუ“ კავშირი.

2. დამოკიდებული წინადადება ქვემდებარულია: „ცხადად ეტყობოდა, ყველა ძალდი ცნობდა ცოფიანს და ერიდებოდა“ (რაზ.). გამოტოვებულია „რომ“ კავშირი.

3. დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია: „ისეთი ლხინი გავმართოთ, ჩვენ დაგენატროდეს ყველა“ (რაზ.).

გამოტოვებულია „რომ“ კავშირი. მთავარში მისათითებელი სიტყვაა („ისეთი“), რომლის ახსნა-დაზუსტებასაც იძლევა დამოკიდებული წინადადება.

4. დამოკიდებული წინადადება ვითარების გარემოებითია: „აქლე-მის ტვირთი ისე არ დაპატარავდება, ვირისა აღარ გამოვიდესო“ (ანდ.). გამოტოვებულია „რომ კავშირი. მთავარში მისათითებელი სიტყვაა („ისე“).

5. დამოკიდებული წინადადება დროის გარემოებითია: „წყალში ჩავაგდე — წყლად გადაიქცა, ცეცხლში ჩავაგდე — ხმად გადაიქცა“ (გამოცანა: მარილი). იგულისხმება: „როცა წყალში ჩავაგდე, წყლად გადაიქცა“ და „როცა ცეცხლში ჩავაგდე, ხმად გადაიქცა“. ამ წინადადებას პირობითის შინაარსიც ახლავს..

6. დამოკიდებული წინადადება მიზეზის გარემოებითია: „ხმათრობით [ვერხვი] ძლიერ დაჩაგრული იყო: აბეზარი მთის ქარიშხალი მოსვენებას არ აძლევდა, ახეთქებდა აქეთ-იქით“ (ვაჟა). შეიძლება ჩავსვათ კავშირი „რადგანაც“ (ან: „იმიტომ რომ“).

7. დამოკიდებული წინადადება მიზნის გარემოებითია: „წვერხმელი ხეებიც შე დამხარიან ზევიდან, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მათარებენ: ჩვენს იასარ შეგვიცივდეს ან არაფერმა არ აწყინოსო“ (ვაჟა).

8. დამოკიდებული წინადადება შედეგობითის შინაარსისაა: „მტაცებელ ფრინველებს ვერ ენდობიან მშვიდობიანი ფრინველები: მიკუენჭულან ზოგნი ბარდებში, სხვები — ფოთლებით შებურულ ხეებზე სხედან“ (ვაჟა).

9. დამოკიდებული წინადადება პირობითის შინაარსისაა: „მიწამ ყანა გაგიკეთოს — ნუ ჩამოეკიდები, მოგიცდინოს — ნუ შემოსწყრები“ (ხალხ.).

10. უკავშიროდ შეერთებული წინადადება (თუ წინადადებები) პირველი წინადადების (მთავარის) ახსნა-განმარტებას, მის გაშლად დაზუსტებას წარმოადგენს: „დათიას სიტყვა გამართლდა: ხარურეში ვერც როსტომმა იშოვა“ (კლდ.).

უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში გამოყენებულია ორწერტილი, ტირე და მძიმე (ტირეს გამოყენება იშვიათია, ორწერტილისა და მძიმისა ხშირი).

1. თუ უკავშირო ქვეწყობილ წინადადებაში „რომ“ და „თუ“ კავშირია გამოტოვებული და მეორე წინადადება ქვემდებარული.

დამატებითი, განსაზღვრებითი ან ვითარების გარემოებითია, დამოკიდებული წინადადება მთავარისაგან ჩვეულებრივ მძიმით გამოიყოფა (ნ. 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტში მოყვანილი მაგალითები).

2. თუ უკავშიროს ქვეწყობილი წინადადების მეორე ნაწილი შეიცავს პირველის მიზეზს, მიზანს, ან შედეგს, ან კიდევ გაშლილად და დაწვრილებით გადმოგვცემს პირველ წინადადებაში გამოთქმულ აზრს, ხსნის თუ განმარტავს მის მნიშვნელობას (ხშირად შემასმენლისას), პირველი წინადადების (მთავარის) შემდეგ ორწერტილი იწერება (ნ. მე-6, მე-7, მე-8 და მე-10 პუნქტში მოყვანილი მაგალითები).

3. თუ უკავშიროდ შეერთებულ წინადადებათაგან ერთი მეორის მიმართ პირობითისა ან ღრობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების გაგებას შეიცავს, რთული წინადადების ნაწილებს შორის ტირე იწერება (ნ. მე-5 და მე-9 პუნქტში მოყვანილი მაგალითები).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო. გადაწერეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, როგორია აზრობლივი მიმართება უკავშიროდ შეერთებულ რთული წინადადების ნაწილებს შორის და დასვით სათანადო სასვენი ნიშნები. გამოტოვებული „რომ“ და „თუ“ კავშირი აღადგინეთ და ფრჩხილებში ჩასვით. დამოკიდებულის მნიშვნელობის მქონე წინადადებას ხაზი გაუსვით.

1. ვანომ და ცაცამ არ იცოდნენ როგორ გადაეხადათ ამ კეთილის კაცისათვის მადლობა (ვედ.). 2. აქ ისეთი სიჩუმე იდგა კოდალას ნისკარტის ჩქამაც კი არსადან ისმოდა (ვაჟა). 3. რუსუდანი დარწმუნდა ირაკლი აღარ ზურობდა (რ. გვ.). 4. ყუაილებსაც უხაროდათ ისინი ქორწილში იყენენ დაპატიებულნი (ვაჟა). 5. ამ სიტყვებთან ერთად იელვა ხანჯალმა და ონისემ მიწაზედ ფართხალი დაიწყო მოხუცის მახვილს შეილისათვის გული ორად გაეპო (ყაზ.). 6. ბიძაქმე ნინია ვანთქმული მონადირე იყო და იმის მოსვლა ერთიათად მიმატებდა სიხარულს ბუერს რასმე მიამბობდა ნადირობისას (ვაჟა). 7. [ძალღებმა] მეგელი და მისი მოწამე ისე ვახადეს შარშანდელიც დაავიწყეს (საბა). 8. ეტყობოდა მას გონებაში რაღაცა აზრმა გაურბანა (ყაზ.). 9. ანდრია მიამბობდა როგორ ემზადებოდნენ რთველისათვის (ს. კლდ.). 10. ქარმა ავდარმა და სიცივემ თავისი იმოქმედეს ქალმა ველარ გაძლო და გაერქოლებულს ცახცახი დააწყებინა (ყაზ.). 11. დადგება გაზაფხული ანწვანდება მინდორ-ველი. 12. ჩვენ მაინც სიტრთხილე გემართებს ესე წერილიანზე ავიაროთ ველის პირად ნუ გამოვჩნდებოთ ნუ დავენახვებით (ვაჟა). 13. [ყუავი] ზის ჩხავის დაფრინავს ჩხავის (ვაჟა). 14. ყოველი მონადირე ფრთხილობდა ირმის მავიერად კაცი არ შემოჰკვდომოდა (ვაჟა).

რთული გვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებულით

§ 177. რამდენიმე არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება მთავართან. მთავარს შეიძლება ახლდეს რამდენიმე სხვადასხვა ან ერთი და იმავე სახის დამოკიდებული წინადადება.

1. მთავარი წინადადების ერთსა და იმავე წევართან (შემასმენელთან) დაკავშირებულია ორი სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადება. მაგალითი: „რომ დაასრულა ეს ნატვრა, ნახა, რომ ფრთები ესხმება“ (წერ.). მთავარია „ნახა“, რომელსაც ორი დამოკიდებული წინადადება ახლავს. ამათგან პირველი („რომ დაასრულა ეს ნატვრა“) დროს გარემოებითია, მეორე („რომ ფრთები ესხმება“) — პირდაპირი დამატების გაგების შემცველი.

2. მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს ახლავს სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებანი. მაგალითი: „როცა ლომმა დაუპატიებელი სტუმარი დაინახა თავის ბუნაგში, მშვიდობიანად მიუახლოვდა და მუხლზე დაადო თავისი დაჭრილი ფეხი, რომელიც სისხლში ჰქონდა მოსვრილი“ (გოგ.). მთავარს შემასმენლებთან („მიუახლოვდა“ და „დაადო“) დაკავშირებულია დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება („როცა ლომმა დაუპატიებელი სტუმარი დაინახა თავის ბუნაგში“), ხოლო მთავარის პირდაპირ დამატებასთან („ფეხი“) — განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება („რომელიც სისხლში ჰქონდა მოსვრილი“). განხილულ მაგალითებში ერთი დამოკიდებული თავშია, მეორე — ბოლოში, მაგრამ ზოგჯერ ერთ-ერთი შეიძლება მთავარში იყოს მოქცეული. მაგალითი: „ყმაწვილი ბიჭი, რომელიც იქვე იჯდა, გამოეკიდა ძალს, რათა მოეშორებინა ჩვენ კენ მომავალი კაცი სათვის“ (ყაზ.). მთავარშია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება („რომელიც იქვე იჯდა“), ბოლოში — მიზნის გარემოებითი („რათა მოეშორებინა ჩვენ კენ მომავალი კაცი სათვის“).

3. შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრებს ახლავს სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებანი. მაგალითი: „ნახა ჩემმა ყურწამამ, რომ ტიღუნა აღარა ხუმრობდა, ებგერა, წააქცია და, მე რომ არ მივშველებოდი, სულ ლუქმა-ლუქმა დაგლეჯდა“ (ვაჟა). მთავარის პირველ შემასმენელთან („ნახა“-სთან)

დაკავშირებულია დამატებითი დამოკიდებული წინადადება („რომ ტიღუნა აღარა ხუმრობდა“), მეოთხესთან („დაგლეჯდა“) — პირობითი დამოკიდებული წინადადება („მე რომ არ მივშველებოდი“). ამავ ეტიპისა შემდეგი რთული წინადადებაც: „ამ დროს ძაღლმა, რომელიც შორიანს იწვა და წაეყო ცხვირი მიწაშია, დაიყუდა, მაგრამ, რაკი თვალი გაახილა და დაინახა ორი მომავალი დედაკაცი, ისევ ხმა გაიკმინდა და ღრენით გაჯავრებულსავით ისევ ცხვირი ფეხებით ამოთხრილ მიწაში ჩაყო“ (ქავ.). „ამ დროს ძაღლმა დაიყუდა, მაგრამ ისევ ხმა გაიკმინდა და ღრენით გაჯავრებულსავით ისევ ცხვირი ფეხებით ამოთხრილ მიწაში ჩაყო“ მთავარია. ეს წინადადება შერწყმულია შემასმენლების მიხედვით, რომლებიც აქ მაპირისპირებელი კავშირით („მაგრამ“) არიან შეერთებული. მთავარში ორი დამოკიდებული წინადადებაა: პირველი — განსაზღვრებითი („რომელიც შორიანს იწვა და წაეყო ცხვირი მიწაშია“), მეორე — დროის გარემოებითი („რაკი თვალი გაახილა და დაინახა ორი მომავალი დედაკაცი“).

ს ა ე ა რ ჭ ი შ ო 1. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი მაგალითები და გამოარკვიეთ მათი შედგენილობა.

1. სადაც დიტო სწავლობდა, იმ გამნაზიაში ერთი ახალგაზრდა ქართველი მასწავლებელი იყო, რომელიც სხვებს არა ჰგავდა (წერ.). 2. როცა ქორი მიბარვით უახლოვდება ფრინველებს, ყველაზე ადრე ამას მერცხალი შეიტყობს ხოლმე, რადგანაც თითქმის მთელი დღე დაფრინავს ხან დაბლა, ხან მაღლა, ხან ერთს მხარეს და ხან მეორესა (გოგ.). 3. ზამთარში ქარი რომ ტიტველა ხეების წვერებში სტვენს, მშვერ მგელივით ყმუის და ზარს ამბობს, მუდამ იმ ნიაღვრის ხმას მაგონებს, ჩვენ პირდაპირ ახუნის ხეზე რომ მოვარდა ერთხელ (ჩახ.). 4. იმ ვებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარანთ ქერივი (ქავ.).

ს ა ე ა რ ჭ ი შ ო 2. გადმოწერეთ მაგალითები, გამოარკვიეთ მათი შედგენილობა და დასვით სასვენი ნაშნები.

1. ამოვიდა თუ არა მზე ზურამ ქართველამე მივიდა გზის პირად ამოეფარა ხეების ჩგუფსა და დაიწყო ცქერა იქითკენ საიდანაც ქეთოს უნდა გამოეცლო (გოგ.). 2. ხარ-იბრემი რომ მომეკლა ისე არ გამახარებდა როგორც ამ პატარა შავარდენმა გამახარა (ვაჟა). 3. ჭაჭალა რომელსაც გაგიყვებით შეჰყვარებოდა მათია იტანჯებოდა რადგანაც აშკარად ამჩნევდა მათიასაგან მზალვეს სიყვარულს (ყაზ.). 4. ექიმი რომელიც მოვიდა იაგოს ქრილობის შესახვევად არწმუნებდა რომ ორკვირაზედ იაგო სრულიად განთავისუფლდებოდა (ყაზ.).

§ 178. რამდენიმე ერთგვარი დამოკიდებული წინადადება მთავართან. მთავარის ერთწევრს შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარი დამოკიდებული წინადადება. მაგალითი: „როდესაც ესენი

ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც სვიმონის მტრის შეუბრალებელი გული თითქმის დამონებოდა მზადვეს ცრემლს, — ამ დროს ქიშპარიანთ კარს, ნინას სახლის დერეფანში, ერთი ავადმყოფი იწვა და რაღაცას ბოდავდა“ (ყაზ.). მთავარი წინადადება ბოლოშია; მას წინ უსწრებს ორი ერთგვარი დამოკიდებული წინადადება.

მთავარს შეიძლება მოსდევდეს რამდენიმე ერთგვარი დამოკიდებული წინადადება. მაგალითი: „ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისაკენ, სადაც თემის ყრილობა უნდამომხდარიყო, სადაც თემის საბჭო იყო გამართული და სადაც ერთხელ ხალხის აგანგადაწყვეტილებას ყველამ თიელი ემონებოდა და განუკითხველად ასრულებდა“ (ყაზ.). მთავარს (პირველ წინადადებას) ახლავს სამი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება. ორი უკანასკნელი, როგორც თანასწორები, და კავშირით არის შეერთებული. ასეთ შემთხვევაში დას მომდევნო დამოკიდებული წინადადების საკავშირებელი შეიძლება ჩავარდეს. მაგალითი: „როცა სადილს უკანლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი, როცა სადამოზედ ნიავეი ფრთას გაშლიდა და [როცა] ბაღჩის ღობის გრძლად გამოწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა, — მაშინ კნინა დარეჯანი ერთ ბალან-გაცვივულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავ-დახურული, წარბებ-აქიზული და გამოპრანქული“ (ჭავ.). აქ ხუთ ოთხი წინადადებაა. მთავარს, რომელიც ბოლოშია, უსწრებს სამი დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. ამათგან ორი უკანასკნელი და-თია შეერთებული. მესამე დამოკიდებულის საკავშირებელი ჩავარდნილია (აქ ის აღდგენილია და კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული).

ერთგვარი დამოკიდებული წინადადებები ერთმანეთისაგან მძინით გამოიყოფა, თუ მათ შორის არ არის ნახმარი და კავშირი (ნ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები).

თუ მთავარს უსწრებს რამდენიმე ერთგვარი დამოკიდებული წინადადება, ის მათგან მძიმითა და ტირეთი გამოიყოფა (ნ. პირველი და მესამე მაგალითი).

მთავარ წინადადებას რომ რამდენიმე დამოკიდებული წინადა-

ღება დაქვემდებაროს, ამას თანადაქვემდებარება ჰქვია, თვით დამოკიდებულ წინადადებათ კი — თანადამოკიდებულნი. ამ პარაგრაფში მოყვანილ მაგალითებში თანადამოკიდებულნი წინადადებები ერთგვარია, წინა პარაგრაფში (§ 176) კი — არაერთგვარი.

§ 179. თანამიმდევრული დაქვემდებარება. დამოკიდებულს შეიძლება ახლდეს თავისი დამოკიდებულნი, ამას კიდევ თავისი. ასეთ დაქვემდებარებას თანამიმდევრული დაქვემდებარება ეწოდება. მაგალითი: „არყის ბრჭყვიალა ზეთიან ფოთლებს ნიაზე გაჰქონდათ შრიალი, როგორც ყინვის აგან დამზრალი თოვლის ფიფქი შრიალებს ხოლმე, როცა ქარი უბერავს და ერთმანეთს აყრის შაქრის ფერფლსავით თეთრსა და ბრჭყვიალა ფიფქსა“ (რაზ.). პირველი წინადადება მთავარია, მეორე — მასზე დამოკიდებული, ხოლო მესამე დამოკიდებულის დამოკიდებულია. მთავარზე უშუალოდ დამოკიდებულ წინადადებას პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადება ჰქვია, პირველი ხარისხის დამოკიდებულის დამოკიდებულს — მეორე ხარისხის დამოკიდებული და ა. შ. მაშასადამე, მოყვანილ მაგალითში მეორე წინადადება პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადებაა, მესამე წინადადება — მეორე ხარისხისა. სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებული წინადადებები შეიძლება მთავარს უსწრებლეს წინ. მაგალითი: „მეზინ რომ მყოლოდა ის როკო, რომელიც გუშინ ჩემმა ყურშიამ დამიჭირა, ვასოს ვაჩუქებდი“ (ვაჟა). მთავარი წინადადებაა „ვასოს ვაჩუქებდი“. პირველი წინადადება („მეზინ რომ მყოლოდა ის როკო“) პირველი ხარისხის დამოკიდებულია, ხოლო მეორე („რომელიც გუშინ ჩემმა ყურშიამ დამიჭირა“) — დამოკიდებულის დამოკიდებული (II ხარისხისა).

ამა თუ იმ ხარისხის დამოკიდებული წინადადება შეიძლება თავის მთავარში იყოს მოქცეული. მაგალითი: „მთისკაცს ცოტა მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა ანაზღეულად შენიშნა, რომ სამოვრის ერთი კუთხე, საიდანაც ბზიფის მთების მიღმა კავკასიონის მაღალი მწვერვალების ხედი უფრო ფართოდ იშლებოდა, უცებ ცეცხლის აღმა დაფარა“ (ქიპა). პირველი წინადადება („მთისკაცს ცოტა მანძილი ჰქონდა გავლილი“) მთავარია. მას მოსდევს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება („როცა ანაზღეულად შენიშნა“). ამ დამოკიდებულს (I ხარისხის დამოკიდებ-

ბულს) ახლავს დამატებითი დამოკიდებული წინადადება („რომ საძოვრის ერთი კუთხე უკებ ცეცხლის ალმა დაფარა“), დამოკიდებული დამოკიდებულს (II ხარისხის დამოკიდებულს) კი — განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც მესამე ხარისხის დამოკიდებულია. ამასთანავე მესამე ხარისხის დამოკიდებული წინადადება მეორე ხარისხის დამოკიდებულ წინადადებაშია მოქცეული.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ერთდროულად შეიძლება იყოს თანადაქვემდებარებაც და თანამიმდევრული დაქვემდებარებაც. მაგალითი: „როცა ბავშვთან მივიდა, დაინახა, რომ მან ქუდში უჯდა ხუთი პატარა ბარტყი, რომელნიც ხის ფულუროში გაკეთებული ბუდიდან ამოესხა“ (გოგ.). მოყვანილ მაგალითში ოთხი მარტივი წინადადებაა გაერთიანებული. ამთვან მთავარია „დაინახა“, რომელსაც ახლავს ორი სხვადასხვა სახის პირველი ხარისხის დამოკიდებული წინადადება (დროის გარემოებითი: „როცა ბავშვთან მივიდა“, და დამატებითი: „რომ მას ქუდში უჯდა ხუთი პატარა ბარტყი“). მთავარის მომდევნო დამოკიდებულს (დამატებითს) ახლავს თავისი დამოკიდებული (განსაზღვრებითი: „რომელნიც ხის ფულუროში გაკეთებული ბუდიდან ამოესხა“).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გამოარკვეეთ, როგორია დაქვემდებარება ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში. დაასახელეთ მთავარი და დამოკიდებული წინადადებანი, მათი ადგილი, სახე.

1. ციხ-გომბორის გრეხილების ახლად აშლილ მწვანეზე აქა-იქ კრელად მოჩანდა თოვლი, რომელიც პატარ-პატარა ნაკადულეზად იწურებოდა ძირს ხეებში და აქედან კი ერთად შეერთებული ექანებოდა ძირს გადაშლილი შინდვრისაკენ, სადაც მას უხვდებოდა მწვანედ აბიზინებული ჭეჭილი, რომელიც ხარბად წოვდა თავისი ფესვებით ამ ციურ მანანას (ვედ.). 2. როცა [ორბი] ძვალს ნისკარტით ვერ გატეხს, რომ ტვინით გაიპოხოს ყელი, რიყზედ ჩამოაგდებს მალლით ძვალს, დაამსხვრევს და მეტე ტვინს ისე შეეჭყევაო (ჯეა). 3. მონადირე რომ მიადგა ტყის ნაპირს და შინდორს თვალი გადააელო, შენიშნა, რომ მეორე მხრით ტყიდან გამოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის მსგავსი ჭერ არა ენახა რა (წერ.). 4. როდესაც მარხილი გაუსწორდა, დაინახა, რომ ონისეს, რომელიც თითქოს სიცივეს მოჰფარებოდა, თავი ნაბადში ჩაეყო (ყაზ.). 5. წინა ურმის კოფოზე ესკუბა შეიღირვა წლის სოფლილი ბავშვი, რომელსაც, თუ კარგად დააქეპრდებოდათ, შეატყობდით, რომ მეტად მგრძნობიარე იყო (გოგ.).

§ 180. შერეული სახის რთული წინადადება. რთული წინადადება ხშირად შერეული სახისაა: შიგ თანწყობასაც აქვს ადგილი და

ქვეწყობასაც. განვიხილოთ შერეული სახის რთული. წინადადების რამდენიმე შემთხვევა.

1. რთული თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი ქვეწყობილია: „ყველანი გაჩუმდნენ და ჩამოვარდა ისეთი სიმშვიდე, რომ ბუზის გაფრენის ხმაასაც კი გაიგონებდით“ (ყაზ.). „ყველანი გაჩუმდნენ და ჩამოვარდა ისეთი სიმშვიდე“ რთული თანწყობილი წინადადებაა. ამ წინადადების მეორე ნაწილს ახლავს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება. მაშასადამე, პირველ წინადადებასა და მეორეს შორის თანწყობაა, ქვეწყობა — მესამესა და მეორეს შორის.

2. რთული თანწყობილი წინადადების პირველი ნაწილი ქვეწყობილია: „როცა [ძალდი] ცხვარს მიუახლოვდა, ერთხელ კიდეც დავუძახე, მაგრამ ყური აღარ მიგდო“ (ვაჟა). „ერთხელ კიდეც დავუძახე, მაგრამ ყური აღარ მიგდო“ თანწყობილი წინადადებაა. ამათგან პირველს („ერთხელ კიდეც დავუძახე“) ახლავს დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება („როცა [ძალდი] ცხვარს მიუახლოვდა“). მაშასადამე, რთული წინადადების პირველი ნაწილი ქვეწყობილია.

3. შერეული სახის რთული წინადადების ორივე ნაწილი ქვეწყობილია: „კიდეც ბევრს ლაპარაკობდა ონისე, რომელიც თანდათან სუსტდებოდა და წყნარდებოდა, მაგრამ იმას ყურს აღარავინ უგდებდა, რადგანაც ყველანი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ და იმ ადგილისაკენ მიისწრაფოდნენ, სადაც გოჩა დანარჩენის ხალხით გამაგრებულიყო“ (ყაზ.). აქ მთავარია „კიდეც ბევრს ლაპარაკობდა ონისე, მაგრამ იმას ყურს აღარავინ უგდებდა“. მის პირველ ნაწილს ახლავს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება („რომელიც თანდათან სუსტდებოდა და წყნარდებოდა“), ხოლო მეორე ნაწილს — მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება („რადგანაც ყველანი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ და იმ ადგილისაკენ მიისწრაფოდნენ“), ამ უკანასკნელს კი — განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება („სადაც გოჩა დანარჩენის ხალხით გამაგრებულიყო“).

ამ ტიპის წინადადება უფრო რთული სახისაც გვაქვს შემდეგ მაგალითში: „ექიმი, რომელიც დაუყენეს იაგოს, იმედობდა, რომ რამდენსამე დღეზედ თებზედ წამოაყენებდა ავადმყოფს, და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს, რადგანაც წარმოუთქმელად გული ედ-

ჩინებოდა გირგოლაზედ, რომელმაც ისე უკაცურად გააბა ხათაბალაში“ (ყაზ.). „ექიმო იმედობდა და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს“ მთავარია. მის პირველ ნაწილს ახლავს ორი არაერთგვარი დამოკიდებული წინადადება: განსაზღვრებითი („რომელიც დაუყენეს იაგოს“) და დამატებითი („რომ რამდენსამე დღეზედ ფეხზე წამოაყენებდა ავადმყოფს“). ამათგან პირველი მთავარშია მოქცეული, მეორე კი მოსდევს მას. თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილს უშუალოდ უკავშირდება მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება („რადგანაც წარმოუთქმელად გული ეღრინებოდა გირგოლაზედ“), ხოლო ამ უკანასკნელს — მეორე ხარისხის დამოკიდებული წინადადება — განსაზღვრებითი („რომელმაც ისე უკაცურად გააბა ხათაბალაში“).

მაშასადამე, შერეული სახის რთული წინადადების პირველ ნაწილში აქ თანადაქვემდებარება გვაქვს, მეორე ნაწილში კი — თანამიმდევრული დაქვემდებარება.

4. იშვიათად თანწყობილი წინადადების ნაწილებს (მთავარ წინადადებებს) ახლავს საერთო დამოკიდებული წინადადება: „ზაფხულის პაპანაქებაში უდაბნოში მყოფ ირემს ისე არ ენატრება დაწაფება ცივი წყლისა, მშიერ კატას ისე ძლიერ არ მისდის სული თევზის შესუსვნიისათვის, დაშეული კაქკაქი ისე არ ეტანება წიწილის ჩაგდებას თავის კლანჭებში, როგორც მე მინდოდა კალმახის დაქერა, მაგრამ ვერ იქნა და ვერა“ (გოგ.). პირველი სამი წინადადება — ყველა მთავარია, მეოთხე წინადადება, რომელიც ვითარების გარემოებითია, განეკუთვნება ერთდროულად სამივეს.

შენიშვნა: ამა თუ იმ ტიპის რთული წინადადების ნაწილებში შეიძლება მოიპოვებოდეს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, რომელთაც ზოგჯერ შეიძლება დამოკიდებული წინადადებაც ახლდეს.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. გაარჩიეთ სინტაქსურად ქვემოთ მოყვანილი წინადადებები.

1. გაიარა ბნელმა და გულწაფთბრობილმა ზამთარმა და მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი ტყვიისფერი ღრუბელი, რომელიც მწუხრის ზეწარსავეთ აბნელებდა მთის წვერებს და ხევებს (ყაზ.). 2. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ერისთავების ლაშქარი იმერეთში მიდიოდა, მაგრამ იმ დამესვე ელიზბარმა და შალვა მხარი უქციეს და სიღღმლოდ კახეთისაკენ მიემართნენ (წერ.). 3. მელამ რა ნახა, რომ ჩემი საქმე ცუდად არისო, მააშურა თავის სოროს, მაგრამ ერთი გულადი, ყველაზე უკეთესი მხედარი წამოეწია და, მანამ სულ შეეფარებოდა

სოროში, კულში ხელი სტაცა (ჯავა). 4. ქილუაე საზრდოს ზიდავს, რომ გაავსო თავის ბინა, და ფურტკარაც მიზუზუნებს ყვაილოსკენ თაფლისთვინა. (ერ.). 5 ორი კაცი ჰიშკრის უკან აბტუნა, ექვსი კი ისე აცოცდა აივანზე, რომ ხის კიბეს ერთხელაც არ დაუკვნესაა (მ. ჭავ.).

რთული მკვფობილი წინადადების შეცვლა მარტივით და მარტივისა — რთულით

§ 181. დამოკიდებულ წინადადებათა მიმართება წინადადების წევრებთან. დამოკიდებულ წინადადებათა უმეტესობა, როგორც ვიცით, იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს, რასაც წინადადების წევრები. ასე, მაგალითად, ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს, დამატებითი — დამატებისას, განსაზღვრებითი — განსაზღვრებისას, გარემოებითი — გარემოებისას (§ 159). ამიტომ არის, რომ წინადადებას წევრი და მისი შესაბამისი დამოკიდებული წინადადება ერთსა და იმავე კითხვებზე მიუგებენ და შესაძლებელია რთული ქვეწყობილი წინადადების აზრი მარტივი წინადადებით გადმოიცეს და პირიქით. მაგალითად: „შიშლით შეწუხებული მგლები ღმუროდნენ“ (რან.) — „მგლები, რომლებიც შიშლით იყვნენ შეწუხუნებულნი, ღმუროდნენ“. როგორც ვხედავთ, განსაზღვრება („შეწუხებული“) თავისი მოპყოლი სიტყვითურთ („შიშლით“) განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად გადაკეთდა („რომლებიც შიშლით იყვნენ შეწუხებული“), მაგრამ წინადადების შინაარსი იგივე დარჩა. ახლა ავიღოთ რთული ქვეწყობილი წინადადება: „ვინც წამსვლელია, წავიდეს“. მარტივი რომ შევუნაცვლოთ, მივიღებთ: „წამსვლელი წავიდეს“. „ვინც წამსვლელია, წავიდეს“ და „წამსვლელი წავიდეს“ შინაარსით ერთნაირია.

მიუხედავად ამისა, წინადადების წევრებსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: დამოკიდებული წინადადება აზრის სრულად და ზუტად გამოხატვის უფრო ღრმადარსა და მრავალფეროვან საშუალებას წარმოადგენს, ვიდრე წინადადების წევრი; ამასთანავე ხშირია შემთხვევა, როცა დამოკიდებული წინადადების აზრის გადმოცემა შესაბამისი წინადადების წევრის საშუალებით შეუძლებელია და პირიქით; მაგალითად: „ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო“ (წერ.). დამოკიდებული წინადადება („რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო“) განსაზღვრები-

თია, მაგრამ მისი განსაზღვრებად გადაკეთება არ შეიძლება, ე. ი. ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებას მარტივი წინადადებით ვერ შევცვლით. ხშირად ასევე შეუძლებელია, რომ მარტივ წინადადებას რთული ქვეწყობილი შევუნაცვლოთ. მაგალითი: „მთვარე ღრუბელს ნოჰფარებოდა“ (ყაზ.). ეს წინადადება ქვეწყობილად არ გადაკეთდება.

ზოგიერთი ტიპის დამოკიდებულ წინადადებას არ მოეპოვება წესაბამისი წინადადების წევრი. ასეთია, მაგალითად, შედეგობითი, დათმობითი, პირობითი და მთავრის მიმართი.

ამ ტიპის დამოკიდებულ წინადადებათა შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შინაარსი ზოგჯერ შეიძლება მარტივითაც გადმოვცეთ, მაგრამ, რაკი ამათ შესაბამისი წინადადების წევრები არ მოეპოვებათ, სხვა შედეგს მივიღებთ. მაგალითი: „გაზაფხული დადგა, რამაც ბუნება ერთბაშად გამოაღვიძა“. „გაზაფხული დადგა“ მთავარია, ხოლო „რამაც ბუნება ერთბაშად გამოაღვიძა“ მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადებაა. ამ წინადადების აზრი რომ მარტივით გადმოვცეთ, მივიღებთ: „გაზაფხულის დადგომამ ბუნება ერთბაშად გამოაღვიძა“. როგორც ვხედავთ, წევრ-კავშირი („რამაც“) ამოვარდა, სხვა მხრივ დამოკიდებული წინადადება უცვლელი დარჩა. ცვლილება განიცადა მთავარმა. პირიანი ფორმა („დადგა“) საწყისად გადაკეთდა და ქვემდებარე გახდა, ხოლო ქვემდებარე („გაზაფხული“) ნათესაობითში გადადგა და ქვემდებარისებრ დამატებდა გადაიქცა.

იშვიათად შეიძლება გამარტივდეს ერთზე მეტი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადებაც. მაგალითად: „გ ა ვ ა დ ე თ უ ა რ ა კ ა რ ი, დავინახე ძაღლი, რ ო მ ე ლ ი ც ს ი ს ხ ლ შ ი ი ყ ო მ ო ს ვ რ ი ლ ი“. მთავარ წინადადებას („დავინახე ძაღლი“) ორი დამოკიდებული ახლავს: 1. „გავადე თუ არა კარი“; 2. „რომელიც სისხლში იყო მოსვრილი“. ამ რთული წინადადების აზრი მარტივით ასე შეიძლება გადმოვიცუას: „კარის გაღებისთანავე დავინახე სისხლში მოსვრილი ძაღლი“.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ შერწყმული წინადადების რომელიმე წევრს მიმყოლი სიტყვებითურთ დამოკიდებულ წინადადებად გადავაკეთებთ, მაშინ მთავარი ან დამოკიდებული შერწყმული იქნება. მაგალითი: „ჩაფისაგან დაღლილი ფუტკარი წყალში ჩავარდა და იხრ-

ჩობოლა“ (გოგ.). ეს წინადადება ერთგვარშემასმენლებიანი წინადადებაა, რომელიც ქვეწყობილად ასე გადაკეთდება: „ფუტკარი, რომელიც ჭაფისაგან იყო დაღლილი, წყალში ჩაეარდა და იხრჩობოდა“. აქ შერწყმული მთავარია, მაგრამ შეიძლება ერთგვარი წევრები იყოს დამოკიდებულშიც ან კიდევ ორივეში (როგორც მთავარში, ისე დამოკიდებულშიც) იმის მიხედვით, თუ რა ტიპის შერწყმული წინადადების გადაკეთებას მივმართავთ რთულ ქვეწყობილად. თქმულის მიხედვით იგიც ივლლისხმება, რომ, თუ ქვეწყობილი წინადადების ერთ-ერთი ან ორივე ნაწილი შერწყმულია, გადაკეთებისას შერწყმულ წინადადებას მივიღებთ.

§ 182. რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით. შეცვლის წესები. რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივად გადაკეთება შემდეგნაირად ხდება: 1. მთავარი და დამოკიდებული წინადადებიდან ამოღარდება საკავშირებელი და მისათითებელი (საკორელაციო) სიტყვები; 2. დამოკიდებული წინადადების ზმნაშემასმენელი საწყისად ან მიმლეობად გადაკეთდება და დამოკიდებული წინადადების შესაბამის წევრად მთავარს შეუერთდება, ხოლო დანარჩენი სიტყვები იმავე წინადადებისა მას მიმყოფ სიტყვებად გადაჰყვება. მაშასადამე, გადაკეთების დროს მოიშლება დაქვემდებარება და ამის შედეგად მივიღებთ მარტივ გავრცობილ ან გაუვრცობელ წინადადებას. მაგალითად: „ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა, რათა გამშრალი პირი გაესველებინა“ (ყაზ.). დამოკიდებული წინადადება მიზნის გარემოებითია. მარტივად რომ გადავაკეთოთ, მივიღებთ: „ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა გამშრალი პირის გასასველებლად“. მთავარი წინადადება უცვლელი დარჩა, დამოკიდებული წინადადების ზმნაშემასმენელი კი მიმლეობად გადაკეთდა და მთავარ წინადადებაში მიზნის გარემოებად შევიდა. პირდაპირი დამატება („პირი“) პირდაპირისებრ უბრალო დამატებად შეეწყო მას („პირის გასასველებლად“), ხოლო პირდაპირი დამატების განსაზღვრება („გამშრალი პირი“) პირდაპირისებრ დამატებას განსაზღვრებადვე გადაჰყვა. ამ შენთხვევაში რთული ქვეწყობილი წინადადების ნაცვლად მარტივი გავრცობილი წინადადება მივიღეთ. ახლა ავიღოთ ასეთი წინადადება: „ვინც დააშავა, ის დაისაჯა“. ამის შესაბამისი მარტივია: „დამნაშავე დაისაჯა“. მარტივად გადაკეთებისას საკავშირებელი („ვინც“) და მისათითებელი (ანუ საკო-

რელაციო) სიტყვა („ის“) ამოვარდა; დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი მიმღეობად გადაკეთდა და ქვემდებარედ დაუკავშირდა მთავარის შემასმენელს. გადაკეთების შედეგად მარტივი გაუვრცობელი წინადადება მივიღეთ.

რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლა ზოგჯერ რამდენადმე განსხვავებულად ხდება, ვიდრე ეს ზემოთ არის ნაჩვენები. აღვნიშნოთ ორიოდე შემთხვევა:

1. თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შედგენილია მიმღეობისა და მეშველი ზმნისაგან, ან კიდევ ზედსართავი სახელისა და მეშველი ზმნისაგან („არის“, „იყო“), გადაკეთებისას მეშველი ზმნა ჩამოშორდება, ხოლო მიმღეობა თუ ზედსართავი სახელი სათანადო ფორმით დამოკიდებული წინადადების შესაბამის წევრად შეუერთდება მთავარს. მაგალითად: „მეურმეებმა მორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის ვატეხაზე მინდვრად იყო გასული“ — „მეურმეებმა მორეკეს საქონელი, სიცხის ვატეხაზე მინდვრად გასული“. „ვინც ჭკვიანია და გონიერი, იმას უნდა მივჰყვეთ კვალზეო“ (ვაჟა) — „ჭკვიანსა და გონიერს უნდა მივჰყვეთ კვალზეო“.

ასე ხდება მაშინაც, როცა დამოკიდებული წინადადების შემასმენელი რთული ფორმით არის გადმოცემული (შეიკავს ვნებითი გვარის მიმღეობასა და მეშველ ზმნას): „მეურმეებმა მორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის ვატეხაზედ მინდვრად გასულიყო“ (ვაჟ.) — „მეურმეებმა მორეკეს საქონელი, სიცხის ვატეხაზედ მინდვრად გასული“ (ადგილის შეცვლით: „მეურმეებმა მორეკეს სიცხის ვატეხაზედ მინდვრად გასული საქონელი“).

შენიშვნა: დამოკიდებული წინადადების შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (მიმღეობა, ზედსართავი) ზოგჯერ აბსტრაქტულ სახელად გადაკეთდება: „ეს ყველამ ვიცით, რომ მგლები გაუმადლარნი არიან“ (ცახელი) — „ყველამ ვიცით მგლების გაუმადლობა“; „ჩვენ კარგად ვიცით, რომ ვანო გულადია“ — „ჩვენ კარგად ვიცით ვანოს გულადობა“.

2. რთული ქვეწყობილი წინადადებას ნაწილებს ზოგჯერ რომელიმე სიტყვა საერთო აქვთ, რომელიც დამოკიდებულ წინადადე-

ბაშია ნახსენები და ერთი და იგივე ან სხვადასხვა წევრია წინადადებისა.

თუ დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ან დამატება (პირდაპირი, ირიბი) მთავარშიც ქვემდებარედ ან დამატებად იგულისხმება (ან აქ ის პირის ნაცვალსახელით არის გადმოცემული), გამარტივებისას მიმყოფ სიტყვად კი არ გადაკეთდება, არამედ უშუალოდ დაუკავშირდება მთავარის შემასმენელს ერთ-ერთ დასახელებულ წევრად. მაგალითად: „რაჟამს ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი და პ ა ტ ა რ ა ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი გ ა ი გ ე ბ დ ნ ე ნ არწივის ხმას, დაშინვე აქეთ-იქით ვულგახეთქილებ: იფანტებოდნენ“ (გოგ.). — „ფრინველები და პ ა ტ ა რ ა ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი არწივის ხმის გაგებისთანავე აქეთ-იქით ვულგახეთქილები ი ფ ა ნ ტ ე ბ ო დ ნ ე ნ“. „როგორც კი დალია ავადმყოფმა ტკივილების დასაყუჩებელი წამალი, მაშინვე დამშვიდდა“ — „ავადმყოფი ტკივილების დასაყუჩებელი წამლის დაღვევისთანავე დ ა მ შ ვ ი დ დ ა“; „სოფლიდან რაც ხორაგი წამოვადღეთ, მესამე ღღეს გამოგველია“ (ქონ.). — „სოფლიდან წამოდებული ხორაგი მესამე ღღეს გამოგველია“. „დაიძინა თუ არა ბავშვმა, მაშინვე ლოგინში ჩავაწვინე“ — „ბ ა ვ შ ვ ი დაძინებისთანავე ლოგინში ჩ ა ვ ა წ ვ ი ნ ე“.

3. გამარტივებისას ზოგჯერ ემატება ახალი სიტყვა, რომელიც საჭიროა რთული ქვეწყობილი წინადადების შინაარსის გადმოსაცემად. მაგალითად: „თუ გაწვიმდა, სასეირნოდ ვერ წავალთ“ — „გაწვიმების შემთხვევაში სასეირნოდ ვერ წავალთ“.

რთულ ქვეწყობილ წინადადებას, როგორც ვიცით, ყოველთვის ვერ შევცვლით მარტივით. გამარტივება უმეტესად მაშინაა შესაძლებელი, როცა დამოკიდებული წინადადება ქვემდებარული, დამატებითი და განსაზღვრებითია, ან კიდევ ღრრის ან მიზნის კარგმოცებითაა. რთული ქვეწყობილი წინადადება ზოგჯერ მარტივით შეიძლება შევცვალოთ მაშინაც, როცა დამოკიდებული პირობითი, შედეგობითი ან მთავრის მიმართია, ე. ი. ისეთი, რომელსაც შესაბამისი წინადადების წევრი არ მოეპოვება. რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლა, საზოგადოდ, მაშინაა შესაძლებელი, როცა დამოკიდებული წინადადების ზნა-შემასმენლისაგან ადვილად იწარმოება უპირო ფორმა — სწყისი ან მიძლეობა (იმის

მიხედვით, თუ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი მათგანია საჭირო).

რთული ქვეწყობილი და მისი შესაბამისი მარტივი წინადადება სტილისტიკურად ერთნაირი ღირებულებისა არაა. ამიტომ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ამათგან ერთ-ერთს უნდა მიეცეს უპირატესობა (იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო ნათლად, ზუსტად და ბუნებრივად გამოხატავს გადმოსაცემის შინაარსს).

§ 183. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების მარტივი შემასმენელი საწყისად ან მიმღობად გადაკეთდება და ქვემდებარედ შეეწყობა მთავარი წინადადებას შემასმენელს. მაგალითად: „ალარ შენშვენის, რომ ხელმეორედ სისხლით შევღებო ჩემი ფარ-ხმალი“ (წერ.) — „ალარ შემშვენის ხელმეორედ სისხლით შევღებვა ჩემი ფარ-ხმლისა“; „შემცდარია, ვინც გულს იტეხს“ (წერ.) — „შემცდარია გულის გამტეხი“.

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შედგენილია, გადაკეთების დროს მეშველი ზმნა ჩამოშორდება, ხოლო სახელადი ნაწილი ან აბსტრაქტულ სახელად გადაკეთდება, ან კიდევ არ შეიცვლება და ისე დაუკავშირდება ქვემდებარედ მთავარის შემასმენელს. მაგალითად: „მე ძალიან მაზარებს, შენ რომ ასეთი გულადი ხარ“ — „მე ძალიან მაზარებს შენი ასეთი გულადობა“. „მოხდეს, რაც მოსახდენია“ (ევედ.) — „მოხდეს მოსახდენი“.

სავარჯიშო. გადააკეთეთ მარტივად ქვემოთ მოყვანილი წინადადებანი და აღნიშნეთ, რადი რაცვლილება მოხდა.

1. შეიძლება, რომ მოკლედ გამაცნოთ თქვენი განზრახვა? (ლომ.). 2. დე, მოვიდეს, რაც მოსანელელია (ლ. ასათ.). 3. ვინც ეგრე აქცევა, ის აკლებს ქვეყანას ლაზათის და ლაზათის მიმცემს სიცოცხლეს (ყაზ.). 4. ვაჟაკს რომ მტერი სხვას დაამონებს, დასატანჯავად ისიც ეყოფა (წერ.). 5. რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაჩნდების, საშეილიშვილოდ გარდაეცემის (ბარ.). 6. ვისაც არაფერი დაუშვებია, იმას არაფერი მოეჩვენებო (წერ.). 7. ვინც ვაჟაკია, წამოვიდეს (მ. ჯავ.). 8. ვინც ჭებანია, დარჩეს (მ. ჯავ.). 9. კრილობებს ის უძლებს, ვინც უფრო ამტანია (დად.).

§ 184. დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილის შეცვლა მარტივით. დამატებითი დამოკიდებული წინადადების მარტივი შემასმენელი საწყისად ან პიძლეო-

ბად გადაკეთდება და მთავრის შემასმენელს შეეწყობა სათანადო ბრუნვის ფორმით ერთ-ერთი სახის დამატებად (იმის მიხედვით, თუ რა სახისაა დამოკიდებული წინადადება). მაგალითად: „ოთარაანთ ქერივი ამ ბოლო ხანებში ხედავდა, რომ შვილს გუნიება ეცვალა“ (ვაკ.) — „ოთარაანთ ქერივი ამ ბოლო ხანებში ხედავდა შვილის გუნიების ცვლას“; „შენი ცოდვა მიეცეს, ვინც შენ ეგრე გამოგზარდაო“ (წერ.) — „შენი ცოდვა მიეცეს შენს ეგრე გამომზრდელსაო“; „მთელმა სოფელმა გაიგო, რომ ვანომ ტყეში დათვი მოკლა“ — „მთელმა სოფელმა გაიგო ვანოს მიერ ტყეში დათვის მოკვლა“; „ექიმი დარწმუნებული იყო, რომ ავადმყოფი მალე განიკურნებოდა“ — „ექიმი დარწმუნებული იყო ავადმყოფის მალე განკურნებაში“.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ან არ შეიცვლება, ან აბატრაქტულ სახელად გადაკეთდება და დამატებად შეეწყობა მთავარის შემასმენელს. მაგალითად: „ვინც მოწინავეა, იმას ყველა აქებს“ — „მოწინავეს ყველა აქებს“; „ყველამ ვიცით, რომ ზოგიერთი ბავშვი გულმავიწყია“ — „ყველამ ვიცით ზოგიერთი ბავშვის გულმავიწყობა“.

დამოკიდებული წინადადების I და II პირის (ზოგჯერ შესაძრ-საც) ნაცვალსახელთა ადგილს მარტივში სათანადო კუთვნილებითი (ჩემი, ჩვენი, შენი, თქვენი, თავისი...) დაიჭურს: „ბავშვებმა ვერ გაიგეს, რომ მე სანადიროდ წავედი“ — „ბავშვებმა ვერ გაიგეს ჩემი სანადიროდ წასვლა“; „ბავშვებმა ვერ გაიგეს, რომ შენ სანადიროდ წახვედი“ — „ბავშვებმა ვერ გაიგეს შენი სანადიროდ წასვლა“; „ბავშვებმა ვერ გაიგეს, რომ ჩვენ სანადიროდ წავედი“ — „ბავშვებმა ვერ გაიგეს ჩვენი სანადიროდ წასვლა“... „მე გვიან გავიგე, რომ მამამ საჩუქარი გამოგვიგზავნა“ — „მე გვიან გავიგე მამის მიერ ჩვენთვის საჩუქრის გამოგზავნა“.

სავარჯიშო 1. გაამარტივეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები და აღნიშნეთ, რა და რა სახის ცვლილება მოხდა.

1. დედაჩემმა ურჩია [მამაჩემს], რომ მეც წავეყვანე ქუთაისში (წერ.). 2. ვინც კვიანია და გონიერი, იმას უნდა მივჰყვეთ კვალზეო (ვაკ.). 3. ვინ დასთვალოს, რაც რომ ხალხმა შენს გულმკერდზე ააშენა (ლ. ასათ.). 4. ნახა, რომ არე-მარე გადალეხილია თოვლით (ვაკ.). 5. ბავშვი დარწმუნდა, რომ ამხანაგი წიგნს

შალე დააბრუნებდა. 6. დედას აცნობეს, რომ მას შვილი დაუწინაურენ. 7. უნდა გვაკეთოთ ის, რაც დაგვიბარა (დაღ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. ქვემოთ მოყვანილი წინადადებები გადააკეთეთ რთულ ქვეწყობილად (ხაზგასმული, აქ დაყოფით დაბეჭდილი, სიტყვები გამოიყენეთ შემასმენლად) და ისე გადაწერეთ. აღნიშნეთ, რა სახის დამოკიდებული წინადადება მიიღეთ.

ა) 1. ბედში მყოფის უნეს ძმად მიჩნევა გერაფერი სიყვარულია. 2. გასაკეთებელი დროზე გაკეთდეს. 3. ჩვენი ნატურათმცოდნეობის მთლიანად ასრულდა. 4. გარეთ მყოფი სახლში ეშურებოდა.

ბ) 1. შალვამ დედას უამბო ნახული და განაგონი. 2. ყველასათვის ცნობილია მელიას ცბიერობა. 3. დედას წერილით ვაცნობე ჩემი სოფელში შვილობით ჩასვლა. 4. გასაგზავნად დროზე გააგზავნე.

§ 185. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მარტივი შემასმენელი მიმღეობად გადაკეთდება და განსაზღვრებად შეეწყობა მთავარის ასახსნელ წევრს. მაგალითად: „აი აქ არის ის კაცი, ვინც ეს ამბავი თქვა“ — „აი აქ არის ამ ამბის მთქმელი კაცი“; „საიღუშლოებით სავსე სიჩუმეში, რომელიც მკვდართა სამფლობელოს მოგაგონებდათ, ერთბაშად გაისმა ჭიანჭურის წყნარი ხმა (ყაზ.). — „მკვდართა სამფლობელოს მომგონებელ საიღუშლოებით სავსე სიჩუმეში ერთბაშად გაისმა ჭიანჭურის წყნარი ხმა“. მოყვანილ მაგალითებში დამოკიდებული წინადადების ზმნა მოქმედებითი გვარის მიმღეობად გადაკეთდა. ასე ხდება, როცა მიმართებითი ნაცვალსახელი (წევრ-კავშირი) ქვემდებარეა, ხოლო დამოკიდებული წინადადების ზმნა მოქმედებითი გვარისაა.

თუ მიმართებითი ნაცვალსახელი პირდაპირი დამატებაა ან ქვემდებარე ვნებითი გვარის ზმნისა, მაშინ დამოკიდებული წინადადების ზმნა ვნებითი გვარის მიმღეობად გადაკეთდება. მაგალითად: „ხალხი თავს დაჰბრუნავდა... ხარ-ირემს, რომელიც (პირდ. დამ.) ამ დილით მონადირეებს მოეკლათ“ (ვაჟა) — „ხალხი თავს დაჰბრუნავდა... მონადირეებისაგან ამ დილით მოკლულ ხარ-ირემს; „ხშირმა ბურუსმა რომელიც (ქვემდ. ვნებითისა) უცებ ჩამოწვა, ძალზე დააბნელა იქაურობა“ — „უცებ ჩამოწოლილი მანშირმა ბურუსმა ძალზე დააბნელა იქაურობა“.

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი რთული ფორ-

მითაა გადმოცემული, მასში შემავალი მიმღეობა არ შეიცვლება და ისე დაუდგება განსაზღვრებად მთავარი წინადადების ასახსნელ წევრს. მაგალითად: „ხშირი ბურუსი, რომელიც დაბლა ჩამოწოლილიყო, ძალზედ აბნელებდა იჭაურობას“ (ყაზ.) — „დაბლა ჩამოწოლილი ხშირი ბურუსი ძალზედ აბნელებდა იჭაურობას“.

თუ დამოკიდებული წინადადების შედგენილ შემასმენელში მეშვილად „არის“ (ან მისი მონაცვლე ერთპირიანი) ზმნაა და სახელადი ნაწილი ზედსართავი სახელით ან მიმღეობით არის გადმოცემული, გადაკეთების დროს მეშველი ზმნა ჩამოშორდება, ხოლო სახელადი ნაწილი მთავარის ასახსნელ სიტყვას განსაზღვრებად შეეწყობა. მაგალითად: „ბავშვი, რომელიც ბეჯითი ა, ყველას უყვარს“ — „ბეჯითი ბავშვი ყველას უყვარს“; „ბავშვი, რომელიც დასასვენებლად სოფელში იყო წასული, გუშინ დაბრუნდა“ — „დასასვენებლად სოფელში წასული ბავშვი გუშინ დაბრუნდა“.

თუ დამოკიდებული წინადადების შედგენილი შემასმენელი „აქვს“ ზმნისა და ვნებითი გვარის მიმღეობისაგან შედგება, გადაკეთების დროს მეშველი ზმნა ჩამოშორდება, ხოლო დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ფუძის სახით შეუერთდება მიმღეობით გადმოცემულ სახელად ნაწილს და ორივე ერთად დაუდგება განსაზღვრებად მთავარი წინადადების ასახსნელ წევრს. მაგალითად: „კედელზე ეკიდა ძველი ხმალი, რომელსაც უანგი ჰქონდა მოკიდებულნი“ — „კედელზე ეკიდა უანგმოკიდებულნი ძველი ხმალი“; „ეზოში შემოვიდა პატარა ბიჭი, რომელსაც თვალებზე ჭურდი ჰქონდა ჩამოფხატული“ — „ეზოში შემოვიდა თვალებზე ჭურდი ჩამოფხატული პატარა ბიჭი“.

დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ან პირდაპირი დამატება ფუძის სახით შეიძლება შეუერთდეს დამოკიდებული წინადადების მარტივი შემასმენლისაგან მიღებულ ვნებითი გვარის მიმღეობასაც. მაგალითად: „ამოვალდებინე სკივრიდან ჩემი ხანჯალი, რომელსაც უანგი (ქვემდებარე) მოჰკიდებოდა“ (ვაჟა) — „ამოვალდებინე სკივრიდან ჩემი უანგმოკიდებულნი ხანჯალი; „არწივი, რომელსაც ფრთები (პირდ. დამატება) შეეკუმშა, ისარივით მიჰქროდა თავისი მსხვერპლისაკენ“ — „ფრთებშეკუმშული არწივი ისარივით მიჰქროდა თავისი მსხვერპლისაკენ“.

ზოგჯერ უფრო ბუნებრივია, რომ განსაზღვრებითი დამოკიდებულები წინადადება განკერძოებულ განსაზღვრებად გადაკეთდეს. მაგალითად: „ქალაქში მიმავალი პეტრე, რომელიც გააკვირვებულ იყო უცნობის ვინაობით, ხმას არ იღებდა“ — „ქალაქში მიმავალი პეტრე, უცნობის ვინაობით გააკვირვებულ ი, ხმას არ იღებდა“.

განსაზღვრება (ჩვეულებრივი თუ განკერძოებული) თავის მხრივ შეიძლება გადაკეთდეს გამსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებად. მაგალითად: „არწივის აგან შეშინებულ იწეროები სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ“ (ყაზ.) — „წეროები, რომელიც არწივის აგან იყვნენ შეშინებულ ი, სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ“; „კესოს ტახტზე გადაეშალა დახაზული ქაღალდი, სხვადასხვა ფერად აჭრელებულ ი“ (ვახ.) — „კესოს ტახტზე გადაეშალა ქაღალდი, რომელიც სხვადასხვა ფერად იყო აჭრელებულ ი“.

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 1. ქვემოთ მოყვანილი წინადადებები გადააკეთეთ მარტივად და ისე გადაიწერეთ. აღნიშნეთ, როგორ გადაკეთდება თვითეული მათგანი.

1. ეკალში ვარდი შეენიშნე, ობლად რომ ამოსულიყო (წერ.). 2. კობა, ლამაზი ქუჩი, რომელიც ცირცელის ფესვებთან იდგა, წერაქვის წვერმა მოგლიჯა (ვაჟა). 3. შემოვიდნენ მუცელას ძმები, რომლებიც ამ დროს მარანში იყვნენ წასული ღვინის ამოსაღებად (ვაჟა). 4. ტაფობის შუა ადგილს მოჩანდა მრგვალი ამალღებელი პატარა გორაკი, რომელსაც ფერდოები შემოსილი ჰქონდა ევრხვის ტყითა (ყაზ.). 5. ამ დროს ძალმა ყვაი დინახა, რომელიც იქვე გზაზე ჩამომგდარიყო (ყაზ.). 6. ავადმყოფი, რომელსაც თვალები დაეხუჭა, თავს უფრო მშვიდად გრძნობდა. 7. ამ სიტყვებზე შეკრთა ვაჟია, რომელიც საზამთროდ ბინის დასაქერად მიდიოდა ანზორას სოფელში (ყაზ.).

ს ა ე ა რ ჯ ი შ ო 2. განსაზღვრება მიმყოლი სიტყვებითურთ გადააკეთეთ დამოკიდებულ წინადადებად და ისე გადაიწერეთ. აღნიშნეთ, როგორ ხდება გადაკეთება.

ა) 1. სიცივისაგან დაფიხხებული ტოტები კანკალებენ და ცახცახებენ (რაზ.). 2. ზამთრისაგან გაყვლეფილი ხეები საამურად იმოსებოდნენ ნორჩი, ლამაზი ფოთლებით (ლომ.). 3. ღრუბლებისაგან სანახევროდ დაფარული შვე მცხრალად აშუქებდა (რ. გვ.). 4. დერეფანში მწოლარე კარახელი გულმტკიანეულად შეჰყურებდა პირდაპირ დაყუდებულს მთას (ვაჟა). 5. თოვლით დაფენილს ტრიასს მინდორსა თითქოს ღრმა ძილით ჩასძინებოდა (ლომ.).

ბ) 1. მონადირე, ბედით კმაყოფალი, სიამოვნებით დასცქეროდა ნანადირევს (ვაჟა). 2. პეტრე, უწინდელზე უფრო მიბერებული, ქალაქს მიდიოდა (ვაჟ.). 3. არყმა, კლდის შუა წელზე მღვომარემ, შეარხია ტოტები (ვაჟა). 4. გვადის წინ ბრიგადირი ზოსიმე ედგა, ცალგვერდით მისკენ მობრუნებული (ქიაჩ.).

5. დედამ თვალი შეასწრო გიორგის, კაკლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს (ვაგ.). 6. სახლის მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხეუთხე ღია და ფარალა-ლალა (ვაგ.).

§ 186. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი საწყისად გადაკეთდება და დროის გარემოებად შეეწყობა მთავარი წინადადების შემასმენელს. მაგალითად: „ზარი და ი რ ე-კ ა თუ არა, ბავშვები კლასებში შევიდნენ“ — „ზარის და რ ე-კ ი ს-თ ა ნ ა ვ ე ბავშვები კლასებში შევიდნენ“.

საწყისი დროის გარემოებად, როგორც ვიცით, ნათესაობითში ან ვითარებითში დაისმის. ნათესაობითში დასმულს დაერთვის „თანა-ვე“, „შემდეგ“, „დროს“, ხოლო ვითარებითში — „მდის“. იგი ზოგჯერ ნათესაობით-მიცემითის რთული ფორმით არის წარმოდგენილი, როპელიც „დროს“-დართული ნათესაობითის ბადალია. რა შემთხვევაში როგორ უნდა გადაკეთდეს დამოკიდებული წინადადების ზმნა, — ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მთავარისა და დამოკიდებულის ზმნებით გადმოცემული მოქმედების მიმართება დროის თვალსაზრისით: ერთდროულია თუ ერთისა უსწრებს მეორეს. გასარჩევია სამი შემთხვევა:

1. თუ მთავარისა და დამოკიდებულის ზმნების მოქმედება ერთდროულია, მარტივად გადაკეთებისას საწყისი ნათესაობითში დაისმის და დაერთვის დ რ ო ს (ან ნათესაობით-მიცემითის რთულ ფორმას მიიღებს). მაგალითად: „როცა გაზაფხული და დ გ ა, ჩიტები ბუდის კეთებას შეუდგნენ“ — „გაზაფხულის და დ გ ო მ ი ა დ რ ო ს (ან: დადგომისას) ჩიტები ბუდის კეთებას შეუდგნენ“; „ტყეში რომ შევიდოდი, მგელი დავინახე“ — „ტყეში შე ს ვ ლ ი ს დ რ ო ს (ან: შესვლისას) მგელი დავინახე“.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თუ დამოკიდებელი წინადადების შემასმენელი შედგენილია, დროის გარემოებად ჩვეულებრივ სახელადი ნაწილი გადაკეთდება: „როცა პ ა ტ ა რ ა ვ ი ა ვ ი, თევზაობა ძლიერ მიყვარდა“ — „პ ა ტ ა რ ა ო ბ ი ს ა ს თევზაობა ძლიერ მიყვარდა (გოგ.)“.

2. თუ მთავარი წინადადების ზმნით გადმოცემული მოქმედება უსწრებს დამოკიდებელი წინადადების ზმნისას, გამარტავების დროს დამოკიდებელი წინადადების ზმნა, საწყისად ვადაქცეული, ვითა-

ტებითში დაისმის და „მღის“ (ან „მდე“) თანდებული დაერთვის. მაგალითად: „ს ა ნ ა მ გ ა დ ა ფ რ ი ნ დ ე ბ ო ლ ნ ე ნ, ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ მ ა გ უ ნ დ - გ უ ნ დ ა დ მ ო ი ყ ა რ ე ს თ ა ვ ი“ — „გ ა დ ა ფ რ ე ნ ა მ ღ ი ს ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ მ ა გ უ ნ დ - გ უ ნ დ ა დ მ ო ი ყ ა რ ე ს თ ა ვ ი“; „ვ ო ღ რ ე ზ ა რ ი დ ა ი რ ე კ ე ბ ო ლ ა, ბ ა ვ შ ე ვ ე ბ ი ე ზ ო შ ი თ ა მ ა მ ო ბ დ ნ ე ნ“ — „ზ ა რ ი ს დ ა რ ე კ ა მ დ ე ბ ა ვ შ ე ვ ე ბ ი ე ზ ო შ ი თ ა მ ა მ ო ბ დ ნ ე ნ“.

3. თუ მთავარი წინადადების ზმნით ვადმოცემული მოქმედება მოსდევს დამოკიდებული წინადადების ზმნისას, გადაკეთების დროს საწყისი ნათესაობითში დაისმის და შემდეგ დაერთვის. მაგალითად: „გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი რ ო მ დ ა მ თ ა ვ რ დ ა, ბ ა ვ შ ე ვ ე ბ ი შ ი ნ წ ა ვ ი დ ნ ე ნ“ — „გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი ს დ ა მ თ ა ვ რ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ ბ ა ვ შ ე ვ ე ბ ი შ ი ნ წ ა ვ ი დ ნ ე ნ“.

თუ დამოკიდებული წინადადების ზმნის მოქმედებას უშუალოდ (უინტერვალოდ) მოსდევს მთავარი წინადადების ზმნის მოქმედება, საწყისი ნათესაობითში დაისმის და „თანავე“ დაერთვის. მაგალითად: „რ ა წ ა მ ს ფ ე ხ ი ს ხ მ ა მ ი წ ყ ნ ა რ დ ა, ტ ყ ი დ ა ნ გ ა მ ო ვ ი დ ა ე რ თ ი მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი კ ა ც ი (ყ ა ზ).“ — „ფ ე ხ ი ს ხ მ ი ს მ ი წ ყ ნ ა რ ე ბ ი ს თ ა ნ ა ვ ე ტ ყ ი დ ა ნ გ ა მ ო ვ ი დ ა ე რ თ ი მ ო ხ უ ც ე ბ უ ლ ი კ ა ც ი“; „გ ა თ ე ნ დ ა თ უ ა რ ა, ჩ ე ვ ნ ს ა თ ე ვ ზ ა ო ღ წ ა ვ ე ლ ი თ“ — „გ ა თ ე ნ ე ბ ი ს თ ა ნ ა ვ ე ჩ ე ვ ნ ს ა თ ე ვ ზ ა ო ღ წ ა ვ ე ლ ი თ“; „რ ო გ ო რ ც კ ი დ ა დ გ ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი, ჩ ე ვ ნ ი ქ ე ვ ყ ა ნ ა ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი თ ა ი ვ ს ო“ — „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს დ ა დ გ ო მ ი ს თ ა ნ ა ვ ე ჩ ე ვ ნ ი ქ ე ვ ყ ა ნ ა ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი თ ა ი ვ ს ო“.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თუ მთავარისა და დამოკიდებულის საერთო სიტყვა ქვემდებარედ ან დამატებად (პირდაპირ ან ირიბ) ნახსენებია დამოკიდებულ წინადადებაში და ერთ-ერთ დასახელებულ წევრად იგულისხმება მთავარი წინადადებისათვისაც, იგი ქვემდებარედ თუ დამატება-ობიექტად უშუალოდ შეეწყობა მთავარის შემასწავლებელს. დამოკიდებულის შემასწავლებელი აქაც იმავე წესით გადაკეთდება, როგორც სხვა შემთხვევაში. მაგალითად: „გ ა ი გ ო ნ ე ს თ უ ა რ ა ე ს ხ მ ა მ გ ლ ე ბ მ ა, მ ა შ ი ნ ე ვ მ ო ძ უ რ წ ე ს“ (ლომ.) — „ამ ხმის გაგონებისთანავე მგლებმა მოძურწეს“. „როგორც კი ჩავიდნენ ს ტ უ მ რ ე ბ ი ე ზ ო შ ი, მ ა თ მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი გ ა მ ო ე გ ე ბ ა“ — „ეზოში ჩასვლისთანავე ს ტ უ მ რ ე ბ ს მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ ი გ ა მ ო ე გ ე ბ ა“.

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო 1. გადააკეთეთ ქვემოთ მოყვანილი რთული წინადადებები მარტივად. აღნიშნეთ, როგორ გადაკეთდა თვითეული მათგანი.

1. გავედით თუ არა ქალაქიდან, ჩვენ თვალწინ ჭაღაღიშალა მწვანე მინდორი (ვედ.). 2. ვირი მას შემდეგ, რაც თვალშავსთან [ირემთან] დაბინავდა, მუდამ მამლარი იყო (ვაჟა). 3. [ტურა] კარგად რომ გამოძღვა დათვის ლეშით, გაიპარა და ტყეში ჩხვეილს მოჰყვა გლოვისა და ტირილის ხმაზე (ვაჟა). 4. სანამ გაწვიმდებოდა, სახლში შევედით. 5. ვირმა როგორც კი ეს ბალახი შექამა, სრულიად სხვა ტყავი და ხორცი შეისხა (ვაჟა). 6. ერთი თოფიც არ გაისროლოთ, ვიდრე მტერი ახლოს არ მოვაო (გოგ.). 7. როცა დავითი შინ მივიდა, საღამო ხანი იყო (ვაჟ.). 8. როს გაზაფხული დადგება, გავიფოთლები მწვანედა (ვაჟა).

ს ა ვ ა რ ქ ი შ ო 2. დაყოფით დაბეჭდილი სიტყვები ღროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებად გადააკეთეთ და ისე გადაწერეთ.

1. გაღვიძებვისთანავე ირგვლივ ვაცეცებით მიმოიხედა (რ. გვ.). 2. მამლის ყივილისას დედაბერი იღვიძებდა. 3. შეჩვევამლის უცხო მხარეში ყოფნა გამოიწველდა. 4. ორი დღის გასვლის შემდეგ ავადმყოფი ფეხზე წამოდგა. 5. მთაში დიდი თოვლის მოსვლის დროს ნადირი ქალებს მოატანს.

§ 187. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით. დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელა ჩვეულებრივ ვნებითი გვარის მომავალ-ღროიან მიმღობად გადაკეთდება, ვითარებითში დაისმის და მიზნის გარემოებად შეეწყობა მთავარის შემასმენელს: „ბავშვი გაიქცა, რათა ბარტყებისათვის თუთა მოეტანა“ — „ბავშვი ბარტყებისათვის თუთას მოსატანად გაიქცა“.

დამოკიდებული წინადადების ზმნა ზოგჯერ ხა—ო თავსართ-ბოლოსართით წარმოქმნილ სახელად გადაკეთდება და ვითარებითში დაისმის: „ბიძაჩემი ხშირად მიდიოდა მთაში, რათა ჯახვებსა და არჩევებზე ენადირა“ — „ბიძაჩემი ხშირად მიდიოდა მთაში ჯახვებსა და არჩევებზე სანადიროდ“.

შენიშვნა: მიზნის გარემოებად იშვიათად შეიძლება შეგვხედეს საწყისის „თვის“—თანდებულისანი ნათესაობითიც: „ქართველნი მეომარნი თავგანწირულად იბრძოდნენ სამშობლოს დაცვისათვის“ (გოგ.). მიმღობიანი ფორმა უფრო ბუნებრივია,

ასე რომ მიზნის გარემოების გადმოსაცემად დამოკიდებული წინადადების ზმნა ვნებითი გვარის მიმღობად უნდა გადაკეთდეს და არა საწყისად.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 1. ქვემოთ მოყვანილი რთული წინადადებები გადააკეთეთ სარტივად. აღნიშნეთ, რა ცვლილება განიცადა დამოკიდებულმა წინადადებამ კადაკეთების დროს.

1. კურდღლები ფეხით ქექდნენ თოვლს, რომ ამოეჩინათ ხმელი ბალახი აზრდოდ (ვაჟა). 2. მტრედები წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ, რომ ბუნებას წვენიერებით დამტკბარიყვნენ (ყაზ.). 3. არაგვი ერთგან კლდოვან კიდეს გამეტეხით ეხლებოდა, რომ ახალი გზა გაეკვლია (წერა). 4. ჰილუაც საზრდოს ზიდავს, რომ გაავსოს თავის ბინა (ერ.). 5. მათიამ დაუძახა ყველას, რათა დაეცვათ ხუვიები... (ყაზ.). 6. პავლე ამხანაგებთან ერთად წასულიყო მდინარეზე, რომ ეთევზავნა.

ს ა ვ ა რ ჭ ი შ ო 2. გადააკეთეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები რთულ ქვეწყობილად და ისე გადაიწერეთ. აღნიშნეთ, როგორ გადაკეთდა თვითეული სათგანი.

1. ანუხია ეცა კარებს ბრძანების ასასრულებლად (კლდ.). 2. ჰალაში გულიად ვისაუზმეთ და დასასვენებლად წამოვწყვიტით (ეედ.). 3. აგერ პატრონი მობრძანება თავის ცოლ-შვილით ბაღის დასათვალიერებლად (ვაჟა). 4. არწივმა გამალეხით გასწია მთისკენ ნანადირევის შესაქმელად.

§ 188. ორიოდე დამატებითი ცნობა რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლის შესახებ. მარტივი წინადადებით იშვიათად შეიძლება შეიცვალოს ისეთი რთული ქვეწყობილიც, რომელშიც შედის ადგილის, ვითარების ან მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, ან კიდევ შედეგობითი, პირობითი, მთავრის ჰამართი... დავასახელოთ გადაკეთების ორიოდე შემთხვევა.

1. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი ჩვეულებრივ საწყისად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის, დაერთვის „ადგილას“ (ან: „ადგილიდან“, „ადგილისკენ“, „ადგილამდე“) და ორივე ერთად ადგილის გარემოებად შეეწყობა მთავრის შემასმენელს. მაგალითად: „ს ა ც დ ა მ ი ლ ა მ დ ე ს, იქ გამითენდეს“ (ბარა.) — „და ლ ა მ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ა ს გამითენდეს“; „სადაც, და ი ბ ა და, იქიდან ჩამოვიდა“ — „და ბ ა

ღების ადგილიდან ჩამოვიდა“; „საითყენაც დაჭრილი დათვი გაიქცა, უშიშარი მონადირეც იქითკენ წავიდა“ — „უშიშარი მონადირეც დაჭრილი დათვის გაქცევის ადგილისაკენ წავიდა“; „სადაც ცხვარი დაეკლათ, მწყემსმა იქამდე ძლივს მიაღწია“ — „მწყემსა ცხვრის დაჯვლის ადგილამდე ძლივს მიაღწია“. სტილისტიკურად უპირატესობა რთულს უნდა მიეცეს.

2. ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემსმენელი საწყისად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის და „მებრ“ დაერთვის, ან, უარყოფით მიმღეობად ქცეული, ვითარებითში დაისმის და ვითარების გარემოებად შეეწყობა მთავარის შემსმენელს. მაგალითად: „მონადირე სწორედ ისე მოიქცა, როგორც ურჩიეს“ (გოგ.) — „მონადირე სწორედ [მათი] რჩევისამებრ მოიქცა“; „თედემ სამი წელი დაჰყო ისე, რომ კაცის სახე არ დაუნახავს“ (ვაჟა) — „თედემ სამი წელი დაჰყო კაცის სახის დაუნახავდა“.

თუ დამოკიდებულ წინადადებაში, რომელიც შედარებას გამოხატავს, შემსმენელი გამოტოვებულია, მაგრამ ადვილად იგულისხმება, ან იგი მთავარი წინადადების ზმნის ფორმაა, გამარტივებისას ვითარების გარემოებად ქვემდებარე გადაკეთდება. მაგალითად: „ლახტი ბოლსა და ქვარტლს ისე გაუშავებია, როგორც ყორნის ბოლო“ (ვაჟა) — „ლახტი ბოლსა და ქვარტლს ყორნის ბოლოსავეით გაუშავებია“; „როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ“ (ჭავ.) — „მასავეით ვიცხოვრებ“; „ძალი მთელ დამეს, როგორც კარგი გუშაგი, ისე უვლიდა ჩვენს არემარეს“ — „ძალი მთელ დამეს კარგ გუშავსავეით უვლიდა ჩვენს არემარეს“.

3. მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემსმენელი საწყისად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის და „გამო“ დაერთვის; „ყველას აშინებდა სიკვდილი იმიტომ, რომ საზრდოს შოვნა გაძნელდა“ (ვაჟა) — „ყველას აშინებდა სიკვდილი საზრდოს შოვნის გაძნელების გამო“; „რაკი ბინდი ახლოვდებოდა, ახლა მგლებისათვის უნდა დაეთმოთ სუფრა“ (რან.) — „ბინდის მოახლოვების გამო ახლა მგლებისათვის უნდა დაეთმოთ სუფრა“; „რადგანაც გაწვიმდა, სასეირნოდ ველარ წავედით“ — „გაწვიმების გამო სასეირნოდ ველარ წავედით“.

4. შედეგობითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადებებს მარტივად გადაკეთების დროს მთავარი წინადადებებს ზმნა-შემასმენელი საწყისად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის, „გამო“ (ან: „შედევად“) დაერთვის და მიზეზის გარემოებად შეეწყობა დამოკიდებულის შემასმენელს (სხვა სიტყვები მთავარისა მას სათანადოდ შეეწყობა); დამოკიდებული წინადადებადან ამოვარდება საკავშირებელი, სხვა მხრივ იგი უცვლელი დარჩება. მაგალითად: ც ე ც ხ ლ ი ხ რ ჩ ო ლ ა ვ დ ა, რიხ გამო ისეც ბნელი ფანჯრები კვამლით იბურებოდა“ (არაგ.) — ც ე ც ხ ლ ი ს ხ რ ჩ ო ლ ვ ი ს გ ა მ ო ისეც ბნელი ფანჯრები კვამლით იბურებოდა“.

5. პირობითი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი საწყისად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის და დაერთვის „შემთხვევაში“, რომელიც, როგორც წინადადების წევრი, პირობის გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული. მაგალითად: „აქ რომ ყოფილიყვნენ, ხომ არ დაემართებოდათ ეგ უბედურება?! (გაჟა) — „აქ ყოფნის შემთხვევაში ხომ არ დაემართებოდათ ეგ უბედურება?“.

თუ დამოკიდებული წინადადების ზმნა უკუთქმითია („არ“ ნაწილაკი ახლავს), მაშინ ის ამ ზმნის უარყოფითი მიმღეობისაგან „ობა“ სუფიქსით წარმოქმნილ სახელად გადაკეთდება, ნათესაობითში დაისმის და „შემთხვევაში“ დაერთვის. მაგალითად: „ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ, ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არც კი მოაღწევდა?“ (ჭავ.) — ჩ ხ უ ბ ი ს მ ო უ ს ვ ლ ე ლ ო ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ეს ამბავი ჩვენამდე ხომ არც კი მოაღწევდა?“; „ეს კეთილი და გონიერი ფინია რომ არ შესწრებოდა, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა“ (გოგ.) — „ა მ კ ე თ ი ლ ი და გ ო ნ ი ე რ ი ფ ი ნ ი ა ს შ ე უ ს წ რ ე ბ ლ ო ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა“.

6. მთავრის მიმართი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შინაარსი რომ მარტივით გამოვხატოთ, მთავარის შემასმენელი საწყისად გადაკეთდება და ქვემდებარე ან დამატება გახდება (მთავარის სხვა სიტყვები სათანადოდ შეეწყობა მას), დამოკიდებული წინადადებიდან წევრ-კავშირი

(„რაც“ ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით) ამოვარდება, სხვა მხრივ კი იგი უცვლელი დარჩება. მაგალითად: „გ ა ვ ა რ დ ა ერთბაშად თ ო ფ ი, რაც ნიშანი იყო საერთო იერიშისა“ — „თოფის ერთბაშად გ ა ვ ა რ დ ა ნიშანი იყო საერთო იერიშისა; „გემმა ორი საათით დაიგვიანა, რასაც არავინ მოელოდა“ — „გემის ორი საათით დ ა ვ გ ი ა ნ ე ბ ა ს არავინ მოელოდა“.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი

§ 189. პირდაპირისა და ირიბი ნათქვამის რაობა. თუ ვისიმე ნათქვამი ან განაზრახი აზრი მოლაპარაკის მიერ სიტყვა-სიტყვითაა უცვლელად გამეორებული (ე. ი. ისე, როგორც ის იყო ან შეიძლება იყოს ყოფილიყო თქმული), ამას პირდაპირი ნათქვამი ჰქვია.

პირდაპირ ნათქვამს ჩვეულებრივ ახლავს ავტორის შენიშვნა, თუ ვის ეკუთვნის, ვისი მისამართით ან რა პირობებშია თქმული და სხვ. ავტორის სიტყვები მოსდევს პირდაპირ ნათქვამს, უსწრებს მას წინ ან კიდევ პირდაპირ ნათქვამშია მოქცეული.

მაგალითები: 1. „— როგორ მოგეწონა ეს ამბავი? — ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ (ჟავ).“ 2. ფეიქრობდი: „ნეტა მამის თვის მორთო ეს ელამაზად წუთის-სოფელი?“ (ჟავ). 3. „მე, სწორედ მოგახსენოთ, — დაიწყო ხელახლა გლახამ, — ჩემს ვინაობას არ გეტყოდით, თუ ჩემი აღსასრული არ მოახლოვებულ იყო ს“ (ჟავ).

თუ ვისიმე ნათქვამი ან განაზრახი ავტორის მიერ არაა სიტყვა-სიტყვით უცვლელად გამეორებული, არამედ სხვისი ნათქვამის აზრია გადმოცემული თავისი თვალსაზრისით (ე. ი. შეცვლილი გრამატიკული ფორმით, ზოგჯერ სიტყვების გამოტოვებით ან ჩამატებით), ამას ირიბი ნათქვამი ჰქვია. მაგალითად, პირველი წინადადება რომ ირიბად გადავაკეთოთ, მივიღებთ: „როცა ოთახში შევიდნენ, არჩილმა ჰკითხა დას, თუ როგორ მოეწონა მას ეს ამბავი“. გადაკეთებისას შეიცვალა ზმნის ობიექტური პირი: „მოგეწონა“-ში ობიექტური პირი მეორეა და „მოეწონა“-ში კი — მესამე.

პირდაპირი ნათქვამის საშუალებით ავტორს შეუძლია გადმოგვცეს სხვისი ან თავისივე წინანდელი ნათქვამი თუ ნათქვამი-ნაგრძობი. იგი აზრის გამომხატველობითი საშუალებებით მდიდარია,

იჩიბ' ნათქვამთან შედარებით ცოცხალი და ემოციური (მასში ხშირად გვაქვს მიმართვა, ჩართული სიტყვები და გამოთქმები, ნაწილაკები, სიტყვათა თავისებური წყობა და სხვ.).

პირდაპირი. ნათქვამი ხშირად დიალოგის, ე. ი. ორ ან ორზე მეტ პირთა შორის საუბრის ან კითხვა-მიგების სახითაა წარმოდგენილი.

მაგალითი:

— რა ამბავია?

— რალაც ჩხუბი მოსვლიათ.

— ვისა და ვის?

— გიორგისა და მეჩინიბეს.

— რაზედ?

— სწორედ არც მე ვიცი. აი, გიორგი მოვა და შევიტყობთ (ჰავ.).

§ 190. სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები პირდაპირ ნათქვამთან. პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ თავისი ან სხვისი ნათქვამის უცვლელად გამეორებას. ესენია:—მეთქი (← მე ვთქვი),—თქო (← თქვა) და ო.

ო მესამე პირის ნათქვამს ან განაზრახის გამომხატველ სიტყვებს დაერთვის, ამიტომ მას სხვათა სიტყვის ნაწილაკი ჰქვია.

მაგალითები: 1. თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო, — იტყუდა-ხოლმე [ოთარაანთ ქერივის] (ჰავ.). 2. ლუარსაბი გაიწურა: ეგ რა წამოვროხეო! — თქვა გულში (ჰავ.).

სხვათა სიტყვის ო ხშირად დაერთვის ანდაზებს, რადგანაც ანდაზების მთქმელად მესამე პირი იგულისხმება. მაგალითები:

1. კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო. 2. მჩხვანა კატა თავს ვერ დაიქერსო. აქ იგულისხმება: „იტყვიან“, „თქმულა“, „ნათქვამია“, „ამბობენ“... ეს სიტყვები ზოგჯერ მოიპოვება კიდევ: „საწყალ კაცს ქვა აღმართში მისწევიაო, ნათქვამია“ (რაზ.).

სხვათა სიტყვის ო ხშირად იხმარება ისეთ წინადადებაში, სადაც „თითქოს“ („თითქო“) სიტყვაა, რომელიც მიღებულია ამისაგან: „თუ ითქვას“ (ან „თუ ითქვა“). მაგალითები: 1. მძიმე და განიერი მხარბეჭი ისე მოემარჯვნა, თ ი თ ქ ო ს საშიში მტრის დასახედრად მომზადებულაო (ქიაჩ.). 2. თ ი თ ქ ო ს ზღვა გაღმოვარდნილა თავის ნაპირებიდანაო, ისე მოჩანდა არწივის ლაშქარი (ვაჟა).

„მეთქი“ აღნიშნავს პირველი პირის ნათქვამის ვამეორებას ან განაზრახვის თქმას. მაგალითები: 1. ამ ერთმა შაშვმა როგორ შემაშინა-მ ე თ ქ ი, — ვჭავრობდი (რაზ). 2. ახ, ერთი ის საკრავი ნეტავი ჩემი იყოს-მ ე თ ქ ი, — ვიფიქრე (რაზ).

თუ ზმნის პირველი პირის ფორმა მრავლობითი რიცხვისაა, ო იხმარება. მოყვანილ მაგალითებში პირველი პირის ფორმები („ვჭავრობდი“ და „ვიფიქრე“) მრავლობითში რომ გადავიყვანოთ, მივიღებთ: 1. ამ ერთმა შაშვმა როგორ შეგვაშინაო, — ვჭავრობდით ჩვენ. 2. ახ, ერთი ის საკრავი ნეტავი ჩვენი იყოო, — ვიფიქრეთ ჩვენ.

„თქო“ („თქვა“) დაერთვის პირველი პირის ისეთ ნათქვამს, რომელიც მეორე პირმა მესამეს უნდა გადასცეს. მაგალითები: 1. ქაჯან, გაიქე, დედაშენს უთხარი, ერთი პური ვვასესხე-თ ქ ო (ლომ.). 2. უთხარი, ძალიან დიდი საქმე აქვს, უეჭველად ამალამ ჩამოდი-თ ქ ვ ა (ნინ.).

ო უშუალოდ დაერთვის ნათქვამს, მ ე თ ქ ი და თ ქ ო (თ ქ ვ ა) კი დეფისით გამოეყოფა (ნ. ზემოთ მაგალითები).

შ ე ნ ა შ ვ ნ ა : „მეთქი“ ნაწილაკის ნაკვალად შეიძლება შეცდომით ვისმე „თქო“ („თქვა“) ნაწილაკი წამოსცდეს. მაგალითი: „მე მოვახსენე, რომ ამა და ამ სოფლიდან ვარ-თ ქ ვ ა და ამა და ამ კაცის შვილი-თ ქ ვ ა“ (კლდ.). უნდა იყოს ...ვარ-მეთქი... შვილი-მეთქი.

§ 101. სიტყვათა რიგი ავტორისეულ წინადადებაში პირდაპირ ნათქვამთან. ავტორისეულ წინადადებაში, რომელიც პირდაპირ ნათქვამს ახლავს, სიტყვებს რიგი შედარებით მყარია. აქ გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა.

1. ავტორისეულ წინადადებაში, რომელსაც მოსდევს სხვათა ნათქვამი, შემასმენელი ჩვეულებრივ ქვემდებარის შემდეგ დგას. მაგალითები: 1. პატარა ნ უ ც ა მ თ ქ ვ ა : „ჩემს დედოფლებს უთუოდ კითხვა უნდა ვასწავლოო“ („დედა ენა“). 2. ნ ა თ ე ლ მ ა მ თ ვ ა რ ე მ ბ რ ძ ა ნ ა : „ბევრით მე ვჯობივარ მზესა“ (ხალხ.).

თუ წინადადებაში ქვემდებარესა და შემასმენელთან ერთად ირიბი დამატებაც არის წარმოდგენილი, იგი შემასმენლის წინ ან შემდეგ დგას. მაგალითები: 1. ვანომ ჩ ი ტ ე ბ ს შესძახა: „ჰე, ჩიტებო ჩიორებო. მალხაზნო და ნაცარებო! სად ყოფილხართ, რა გი-

ნახავთ, დედაჩემი არ გინახავთ? (გოგ.). 2. მგზავრმა ჰკითხა
მე უ რ მ ე ს: „მშობილო, ვისია ძს ხარო?“ (გოგ.).

ამ ტიპის წინადადებაში არაიშვიათად გარემოებაც არის წარ-
მოდგენილი (ვითარებისა, დროისა, აგილისა...). ვითარებებს გა-
რემოება ჩვეულებრივ შემასმენლის წინ დგას, ხოლო დროისა და
ადგილისა იწყებს წინადადებას. მაგალითები: 1. მერცხალმა
ა ლ ე რ ს ი ა ნ ა დ ჩ ა მ ო ს ჰ ი კ ჰ ი კ ა: „თქვენი სახლის ერთ
კ უ თ ხ ე შ ი ბ უ დ ე მქონდა ანაშენი და ყოველთვის თვალწინ მედ-
გა მხნე, გამრჯელი დედაშენი“ (გოგ.). 2. პ ა ტ ა რ ა ხ ა ნ ს უ კ ა ნ
ლუარსაბმა წამოიძახა: „დარეჯან, აბა, თუ ჰკვიანი დედაკაცი ხარ,
გამოიცან ა ი მ ფ ი ტ ა რ ზ ე დ რ ა მ დ ე ნ ი ბ უ ზ ი ზ ი ს?“ (ჭავ.). 3. ბ ო ლ ო ს
ლუარსაბმა ისევ დაიწყო: — დარეჯანი! წყალში ხომ არ ჰხედავდა?
ჰა? შენ რას იტყვი? (ჭავ.) 4. უ ც ე ბ ზ ე მ ო დ ა ნ ხ მ ა მოისმა:
„მგელავ! ჰა მგელავ!“ (ვაჟა).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ქვემდებარისა
და შემასმენლის შებრუნებული წყობაც, იგიც უფრო პოეზიაში.
მაგალითად: 1. ბოლოს ჰკითხა მან: „ვინა ხარ, შეილო? ამ
უდაბნოში რამ მოგიყვანა?“ (ჭავ.). 2. გულში თქვა მწირმა:
„ძეა კაცისა და არა მავნე, ბოროტი სული“ (ჭავ.).

2. ავტორისეულ წინადადებაში, რომელიც სხვათა ნათქვამშია
ჩართული ან მოსდევს მას, შემასმენელი ქვემდებარის წინ დგას.
მაგალითები: 1. — თქვენ ვინა ბრძანდებით? — მ კ ი თ ხ ა მ ა ნ
(ჭავ.). 2. — მართალი ბრძანებაა, შენი ჰკირიმე! — მ ი უ გ ო
პ ე ტ რ ე მ (ჭავ.). 3. — მერე რა დედ-მამის შვილი! — წ ა მ ო ი -
ძ ა ხ ა დ ა რ ე ჯ ა ნ მ ა. — ეგა სთქვი-და, — მ ი უ გ ო ლ უ ა რ -
ს ა ბ მ ა (ჭავ.). 4. — მართალი ხარ! — მ ი ბ რ ძ ა ნ ა ი მ ა ნ ნ ა ლ -
ვ ლ ი ა ნ ა ლ, — უ ა რ ე ს ე გ ა ს ჯ ო ბ ი ა (ჭავ.).

თუ წინადადებაში ირიბი დამატებაც არის, ჩვეულებრივი
წყობა ასეთია: შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი — ი რ ი ბ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა —
ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე. მაგალითები 1. — შეილო! ეს ღლე დაიხსომე, —
უ თ ხ რ ა შ ვ ი ლ ს პ ე ტ რ ე მ, — ეს ღლე მე და შენთვის მზიანი
ღლეა (ჭავ.). 2. — გამარჯვება თქვენი! — უ თ ხ რ ა მ ე უ რ მ ე ე ბ ს
უ ფ რ ო ს მ ა (ჭავ.). 3. — ეს რა ამბავია? — ჰ კ ი თ ხ ა დ ა ს ა რ ჩ ი ლ -
მ ა (ჭავ.). 4. დმერთო, რა მეჭორავა!.. რა ენა ჰქარტალაა!.. — უთხრა

ქმარს ელისაბედზედ დარეჯანმა (ჟავ.). 5. ლუარსაბ! —
დაუძახა ქმარს კნეინამა (ჟავ.).

გვხვდება ამ წევრთა ასეთი რივიც: შემასმენელი —
ქვემდებარე — ირიბი დამატება: 1. — დაბრძანდი,
დაბრძანდი. კესო, ნათლიდედას ჩაი მოართვი, — უთხრა. არ-
ჩილმა თავის დას (ჟავ.). 2. — ჩხუბი მოგივიდა? — ჰკითხა.
არჩილმა გიორგის (ჟავ.).

პირდაპირი დამატება უმეტესად მოსდევს შემასმენელს, მაგ-
რამ ზოგჯერ შემასმენლის წინაც დგას. მაგალითები: 1. — ვაი შენ,
ჩემო თავო! — გააწყვეტინა სიტყვა არჩილმა (ჟავ.). 2. — მერე
რა-რიგი! საშინელი! — დაჰკრა კვერი დარეჯანმა (ჟავ.). 3. — მარ-
თლა კარგი რამ არის, — კვერი დაუკრა არჩილმა (ჟავ.).

შენიშვნა: თუ ავტორისეული წინადადება ახლავს მოუბ-
რისაგან დასმულ კითხვაზე თანამოუბრის მიერ კითხვითვე გაცე-
მულ პასუხს, ქვემდებარე შემასმენლის წინ დგას. მაგალითები:
1. — შენი სახელი, ძმობილო? — მკითხა იმან. — გაბრიელი. შე-
ნი? — ეხლა მე ვკითხე (ჟავ.). 2. აბა, როგორ? — ჰკითხა ლუ-
არსაბმა. — ხომ სტიროდი სიზმარში? — ეხლა დარეჯანმა
ჰკითხა (ჟავ.).

ავტორისეული წინადადების შემასმენელს ხშირად ახლავს ვი-
თარების გარემოება, უფრო იშვიათად — ადგილისა, დროისა,
მზნისა...

გარემოება შეიძლება იდგეს შემასმენლის წინ (ე. ი. წინადადე-
ბის თავში) ან შემდეგ (ე. ი. წინადადებაში), ან კიდევ მთავარი წევ-
რების შემდეგ (ე. ი. წინადადების ბოლოში).

1. გარემოება შემასმენლის წინ დგას: 1. — ვა!.. — უფრო გა-
კვირვებთ შეჰყვირა ლუარსაბმა (ჟავ.). 2. — ვინა-მეთქი? —
მკაცრად გაიმეორა გოჩამ (ყაზ.). 3. — გებრალეობდი? — მწარედ
ჩაიცინა ონისემ (ყაზ.). 4. — რაო, გზები ხომ არ დაგავიწყდა, ბი-
ჭო?! — ღიმილით უპასუხა გოჩამ (ქიან.). 5. — სად წახვალ? —
ბოლოს ჰკითხა თნოფრემ (ყაზ.).

2. გარემოება შემასმენლის შემდეგ დგას, ე. ი. მთავარ წევ-
რებს შორის არის მოქცეული: 1. — სად ბრძანდებოდი, ჩემო შერ-
მაღინ? — მითხრა დაცინვით დათიკომ (ჟავ.). 2. — რაღა რო-
გორ არის, შენი კირიმე, — უპასუხა გულნატკენად დედა-
კაცმა, — ავად შენი მტერი იყოს, ავად ის არი (ჟავ.). 3. — გაბ-

რეულ! — მითხრა ბოლოს პეპიამ, — ფეხ-მუცელი მიცივდება, შვილო, მე ვკვდები! (ჭავ.)

3. გარემოება მთავარი წვერების შემდეგ დგას, ე. ი. წინადადების ბოლოშია: 1. — ისა ვთქვით, რაც შენ გაიგონე, — მითხრა იმან დინჯად (ჭავ.). 2. — მართალი ხარ! — მიბრძანა იმან ნალელი დანად, — უარესს ეგა სჯობია (ჭავ.) 3. — გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, — თქვა სულელმა თავის გასამართლებლად (ჭავ.).

ზოგჯერ შენასმენელს ერთდროულად ახლავს რამდენიმე გარემოება (მაგ. დროისა და ვითარებისა, ადგილისა და ვითარებისა...). რომლებიც შემასმენლის წინ ან შემდეგ დგანან, ან კიდევ ერთი წინ მდგომია, მეორე კი მომდევნო... მაგალითები: 1. — შვილო! — ცოტა სიჩუმის შემდეგ თანაგრძნობით დაიწყო ისევ ონოფრემ (ყაზ.). 2. — ვუი, ვუი, ვუი! — გაისმა ოთახში ბლავილს ავით ვიღაც ტირილის ხმა (ჭავ.). 3. — ქმარი არ მოსვლია? — კარგა სიჩუმის შემდეგ თანაგრძნობით დაიწყო ისევ ონოფრემ (ყაზ.).

სავარჯიშო. გამოარკვიეთ ავტორისეულ წინადადებაში რა და რა წვერებია და როგორია მათი რიგი.

1. კურდღელმა თქვა: „ჩირგვში ეზივარ, ვერეინ მოვა ჩემზედაო“ (ხალხ.). 2. [ყმაწვილმა] აღერსით უხხრა პეპელას: „თავს რითი ირჩენ შენაო“ (წერ.). 3. ჩიტებმა მზიარულად ჩამოსკვიველეს: „დედაშენი ამ დილაზედ ბანზედ იყო გადმომღვარი და კრელ წინდებს ვანოსათვის ქსოვდა ტბილად მომღიმარი“ (გოგ.). 4. — რა გქვიან, ძმობილო? — გკითხვ მე. —...ლეულ ღუნისა მიხმობენ, — მომიგო მან (ჭავ.). 5. — მართლა გაიჩუმუნა? — წამოიძახა სიხარულისაგან გონება-მიხდღლმა ლუარსაბმა (ჭავ.). 6. — ოღონდაც, რომ არაფრით. — კვერი დაკრა ცოლმაც (ჭავ.). 7. — მარტოკა ხარ? — ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მან (ყაზ.). 8. — ვენაცვალე კახეთსა! — ამბობდა მთვრალი ლუარსაბი ენადაბმით. — ვენაცვალე! (ჭავ.). 9. — მე კახელი არ ვახლავარ, — მოკვეა კვლავ მცირე ჩაფიქრების შემდეგ (ჭავ.). 10. — რას გამიჩუმდი? — დამასწრო ხელახლად პეპიამ (ჭავ.).

§ 192. დამოკიდებული წინადადების ადგილი ავტორისეულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. ავტორის სიტყვები, ცალკე აღებული, ზოგჯერ რთულ ქვეწყობილ წინადადებას წარმოადგენს. მაგალითად: „ — როგორ მოგეწონა ეს ამ-

ბავი?—ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ“ (ჰავ.). „როგორ მოგეწონა ეს ამბავი?“ პირდაპირი ნათქვამია, ხოლო „ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ“ ავტორისეულია, რომელიც თავისთავად რთული ქვეწყობილი წინადადებაა. პირდაპირი ნათქვამი აქ თავშია, ხოლო ავტორის სიტყვები მოსდევს მას. მათ რომ ადგილები შევუცვალოთ, მივიღებთ: „როცა ოთახში შევიდნენ, არჩილმა ჰკითხა დას: „როგორ მოგეწონა ეს ამბავი?“ პირდაპირ ნათქვამსა და დამოკიდებულს რომ ადგილება შევუცვალებთ, ამის შედეგად მთავარმა და დამოკიდებულმაც შეიცვალეს ადგილები. მაშასადამე, დამოკიდებული წინადადების ადგილისათვის მნიშვნელობა აქვს, პირდაპირ ნათქვამსა და ავტორის სიტყვებს რა პოზიცია უჭირავს ერთმანეთის მიმართ, სახელდობრ:

1. თუ ავტორისეული რთული ქვეწყობილი წინადადება მოსდევს პირდაპირ ნათქვამს (ან მასშია მოქცეული), დამოკიდებული წინადადება ბოლოშია (ე. ი. მთავარის შემდეგაა). მაგალითები:

1. — დედი, დედი! ეს რა ამბავია? — ჰკითხა გაცინებით შეიღმა, როცა ეს სამზადისი დაინახა (ჰავ.). 2. — რა გქვიან, ბეგობარო? — ვკითხე მას, როდესაც სახლში შევიდი (ევდ.). 3. — რაც არ არის, რას ნახავდნენ, — წაიბუტბუტა ერთმა თავმოწონებულმა ყმაწვილმა ბიჭმა, რომელიც შორი-ახლო იდგა... (ჰავ.). 4. — ჰხედავ, — უთხრა დარეჯანმა, როცა ლუარსაბი წავიდა, — ჰხედავ, რა რისხვა შეუთვალა, იქაურობას სულ ააწიოკებს (ჰავ.).

2. თუ ავტორისეული რთული ქვეწყობილი წინადადება უსწრებს წინ პირდაპირ ნათქვამს, დამოკიდებული წინადადება თავშია. მაგალითები: 1. თავს რომ წაადგა, უთხრა: „გიორგი!... შეილო!... არ მტყვი, ბიჭო, რა წაუეკადა?“ (ჰავ.). 2. რა იხილა მხედარი ველზე, შეჰკვივლა: „მითხარ, ვინა ხარ შენა? რისთვის მოსულხარ — მოყვრად თუ მტრად?“ (ჰავ.). 3. რაზე მეულის ხელმძღვანელმა რომ გაიგო ეს ამბავი, თქვა: „რას ცხარობთ, ყმაწვილებო, დაანებეთ კამათს თავი“ (გრჩშ.).

ავტორისეულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება უმეტესად დროის გარემოებითია ან განსაზღვრებითი.

შენიშვნა 1. დამოკიდებული წინადადება შეიძლება მთავარშიც მოექცეს, მაგრამ ისე, რომ მთავარის შემასმენელი მაინც ქვეწყობილის ბოლოში იქნება. მაგალითები: 1. შემოვიდა ვიორგი და, ქუღმოსხილი გაჩერდა რაკარებთან, თქვა: „სალამო მშვიდობისა“ (ჭავ.). 2. რომ ჩაფუჩიჩოს თავისი მახეში გაბმა, კბილების კრაჭუნით, რომელსაც კნენა დიმილსეძახდა, თქვა: „დალახვრა ღმერთმა. ეგ ველარ მოვიფიქრე, ბიკოს! (ჭავ.). პირველ მაგალითში მთავარი შერწყმულია და დამოკიდებული წინადადება მეორე შემასმენლის წინ დგას. მეორე მაგალითში მთავარს ორი სხვადასხვა შინაარსის დამოკიდებული წინადადება ახლავს, რომელთაგანაც ერთი თავშია, ხოლო მეორე შუაშია მოქცეული.

დამოკიდებული მთავარში იშვიათად შეიძლება მოექცეს მაშინაც, როცა პირდაპირ ნათქვამს მოსდევს ავტორისეული რთული ქვეწყობილი წინადადება. მთავარის შემასმენელი ამ შემთხვევაში დამოკიდებულის წინ იქნება. მაგალითად: — ღმერთო, მიხსენ! — იქადა ღონემიძღილავით და, ერთს ავფიქრს რომ აიცილებდა, ახლა უფრო უარესს წააწყდებოდა (ჭავ.).

შენიშვნა 2. ზოგჯერ პირდაპირი ნათქვამია რთული ქვეწყობილი წინადადება, რომლის ნაწილები (მთავარი და დამოკიდებული) ერთმანეთისაგან გათიშულია ავტორის სიტყვებით: — მეც იმიტომ, ჩემო პეპიავ, — ვუპასუხე მე გულამომჭდარმა, — რომ შენისიკეთე მოვიწოდომე (ჭავ.).

§ 198. სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან. სასვენი ნიშნების ხმარებან პირდაპირ ნათქვამთან შემდეგ წესებს ემყარება:

1. პირდაპირი ნათქვამი ჩვეულებრივ ბრჭყალებში ჩაისმის. მაგალითი: შეჭკივლა: „მითხარ, ვინა ხარ შენა? რისთვის მოსულხარ, — მოყვრად თუ მტრად?“ (ჭავ.).

პირდაპირი ნათქვამი, რომელსაც სხვათა სიტყვის ო ახლავს, ბრჭყალებში შეიძლება ჩაისვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რომ ის სხვისი ნათქვამია. მაგალითი: სხვამ რაც უნდა თქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ თავს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — პირს უკანაო“ (ჭავ.).

2. თუ პირდაპირი ნათქვამი მოსდევს ავტორის სიტყვებს, ავტორის სიტყვების შემდეგ ორწერტილი იწერება. მაგალითი: რაზ-

პეულის ხელმძღვანელმა რომ გაიგო ეს აზრები, თქვა: „რას ცხარობთ, ყმაწვილებო, დაანებეთ კაპათს თავი“ (გრიშ.).

3. თუ ავტორის სიტყვები მოსდევს პირდაპირ ნათქვამს, რომელსაც უავტორის-სიტყვებოდ წერტილი დაესმის, პირდაპირი ნათქვამის შემდეგ იწერება მძიმე და ტირე. მაგრამ, თუ პირდაპირი ნათქვამი კითხვითი წინადადება ან ძახილისა, ან კითხვით-ძახილისა, ან კიდევ ავტორის სიტყვების გარეშე მრავალწერტილია საჭირო, ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან რჩება და შემდეგ ტირე იწერება.

მაგალითები: 1. — „არა, მე მაშინ ორი წლისა ძლივს ვყრფილვარ“, — მიუგო ლუარსაბმა (ქავ.). 2. „შეშა არა გვაქვს?“ — კითხა სტუმარმა (ქავ.). 3. „ახ, ნეტავი შენ!“ — წაიღულუნა (ქავ.). 4. „გამოიციწო?!“ — თქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა (ქავ.).

4. როცა ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამშია მოქცეული, რამდენიმე შემთხვევაა ვასარჩევია:

ა) თუ ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამს კვეთს იქ, სადაც ავტორის სიტყვების გარეშე არაა საჭირო ნიშანი, ან საჭიროა მძიმე, წერტილმძიმე, ტირე თუ ორწერტილი, ავტორის სიტყვები ორივე მხრიდან მძიმითა და ტირეთი გამოიყოფა, პირდაპირი ნათქვამი მთლიანად ჩაისმის ბრჭყალებში. მაგალითი: „კაბლს ტყეში, შეილო, — დაიწყო ბიძამ რიხიანად, — ერთი ირეში მოვკალ“... (ვაჟა).

ბ) თუ პირდაპირი ნათქვამის გაკვეთის ადგილას ავტორის სიტყვების გარეშე წერტილია საჭირო, პირდაპირი ნათქვამის შემდეგ იწერება მძიმე და ტირე, ხოლო ავტორის სიტყვების შემდეგ წერტილი და ტირე. მაგალითი: „— მე კახელი არ გახლავარ, — მოჰყვა კვლავ მცირე ჩანჭიქრების შემდეგ, — ჩემი მიწა-წყალი, როგორც მოგახსენეთ, აქედან შორს არის“ (ქავ.).

გ) თუ ავტორის სიტყვები პირდაპირ ნათქვამში ჩართულია იქ, სადაც ძახილის, კითხვის ან კითხვისა და ძახილის ნიშანია საჭირო, ავტორის სიტყვების წინ რჩება ეს ნიშნები და იწერება ტირე, ავტორის სიტყვების შემდეგ კი — წერტილი და ტირე, მაგალითი: „— ვუი, ვუი შენს დედას!.. — იძახოდნენ მანდილოსნები. — რა ახალგაზრდა ბიჭი ყოფილა!“ (ქავ.).

დ) თუ ავტორის სიტყვებში მითითებია პირდაპირი ნათქვამის დანგრძობის შესახებ, მაშინ ავტორის სიტყვების შემდეგ იწერება

ორწერტილი და ტირე (ავტორის სიტყვების წინ კი — ზემოთ დასახელებული წესების მიხედვით). მაგალითი: „— მრავალძარღვიანი კმარა, — უთხრა მოხუცმა და დაუმატა: — ახლა მელისკუდაი მომე“ (ყაზ.).

5. თუ დიალოგი გაბმით არის დაწერილი ერთიმეორის მიყოლებით, დიალოგის მონაწილეთა ყოველი ნათქვამი ბრჭყალებში ჩაისმის და ერთმანეთისაგან ტირეთი გამოიყოფა.

მაგალითები: 1. — „როგორ მოშორდი?“ — „რა გითხრა შვილო?“ (ჭავ.). 2. — „არ ვიცი“. — „როგორ?“ — არ ვთვლი წელთა-სვლას“ (ჭავ.).

6. თუ დიალოგის მონაწილეთა ყოველი ნათქვამი იწყება ახალი აზრით, წინ ტირე იწერება და პირდაპირი ნათქვამი ბრჭყალებში აღარ ჩაისმის (თუ დიალოგის მონაწილეთა ამა თუ იმ ნათქვამს ახლავს ავტორის სიტყვები, ის საერთო წესით გამოიყოფა).

მაგალითი:

— შენი სახელი, ძმობილო? — მკითხა იმან.

— გაბრიელ. შენი? — ეხლა მე ვკითხე.

— გლახუკა.

— სადაური ხარ?

— რაჭველი. შენა? (ჭავ.).

7. ზოგჯერ ამა თუ იმ პირის ნათქვამსა თუ ნაწერში უცვლელად შეტანილია ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებიდან ამოღებული სიტყვები. ასეთ ამონაწერს ციტატი ჰქვია. ციტატი ბრჭყალებში ჩაისმის.

მაგალითი: იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოველი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძლო მშვენიერის სანახავების ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ოთახიდან გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყულებულს მყინვარსა, რომელსაც ყაზიბეგის მთას ეძახიან (ჭავ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა 1. თუ ციტატში ავტორის სიტყვებია ჩართული, ის აქაც იმავე წესით გამოიყოფა, როგორც საერთოდ პირდაპირ ნათქვამში.

შენიშვნა 2. ბრკყალები იხმარება მრავალ სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად, ბრკყალებში ჩიხისმის სახელწოდებანი თხზულებათა (ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“), ეურნალ-გაზეთებია (ეურნალი „მნათობი“, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“), ირონიულად ნათქვამი-სიტყვა; სხვისი ნაწერიდან გამოყენებული სიტყვა (თუ სიტყვები) და სხვ.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო. წაიკითხეთ მაგალითები. გამოარკვიეთ, სად რა ნიშანია დასმული და რატომ.

ა) 1. ბუნებას წიაღში წარმოდგენები იმართება-მეთქი (ვაჟა). 2. ორივეს ტანზე სალდათის „კურტკები“ ეცვათ (ვაჟა). 3. გინდ ერას უთხარა „შენი ჩირიმე“, გინდ მეორეს (ვაჟა). 4. როგორც გითხარ, ისე მოაქცი-თქო (ვაჟა). 5. — პეტრე, აი პეტრე! — დაუძახა შორიდან თივის მღვმელს (ვაჟა). 6. „მეო, — ერთხელ მითხრა, — ერთი დავწყებული კაცი ვარ, რად გინდა ჩემი ვინაობა? შემომხედე, ჩემო ძმობილო, და მიცანიო“ (ვაჟა). 7. „გვეყოფის! — მოკლედ მიუგო მოძღვარმა და განაგრძო: — ამით თუნდა დუნიას ვუწამლებ“ (ყაზ.). 8. „ღიად, მოპყვე ენაპარტლობას, — ამბობდა გულში პეტრე. — სწორედ დაგიჭერე, აი“ (ვაჟა). 9. დათიკომ თქვა: „ჩემი ლექსით დავამშვენებ წიგნს და ეურნალს“ (გრიშ.).

ბ) — ხომ ხედავ? — მკითხა მამაჩემმა.

— რატომ არა!.. ბრმა ხომ არა ვარ?

— იცნობ? — შეკითხება მამა.

— რა დიდი ცნობა უნდა?

— ხომ არ გინდა, რომ დაეკიდო?

— ვისა?

— ამ პატარა ბიჭს.

— ბიჭი კი არა, ის არ გინდა კიდევ! ჩემი ლანდია!

— რა იცა, რომ ლანდია?

— რატომ არ ვიცი!.. განა ცოტა მინახავს წყალში? (წერ.).

გ) — ვეძებ! — მიუგო მან ბოლოს.

— თქვენ მამა გყავთ?

— არა.

— და?

— გათხოვილი.

— კაი დაგემართოს! ბედნიერი კაცი შენ ყოფილხარ! (ყლა)

სამარჯიშოები ნასწავლის ბასამეორებლად

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 1. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტი. მასში შემაკალი წინადადებები ცალ-ცალკე გაარჩიეთ სინტაქსურად. აღნიშნეთ, სად რა სასავენი ნიშანია ნახმარა და რატომ.

გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა და მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი ღრუბელი, რომელიც მწუხრის ზეწარსავით აბნელებდა შთის

წვერებს და ხევეებს. მასთან ერთად გაქრნენ ჩრდილოეთის ცივი ქარებიც, რომელიც ბაიუშურის ზუზუნით გაყინულს თოვლს აყრიდნენ დედამიწას სურნელოვან ფარდავს და სულშებუთულს ახმობდნენ, ფშენეტდნენ და მტკრად აქა-იქ აბნევდნენ. ბუნება შეიცვალა: მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი წყნარად მრხვევლმა ნიავემ დაიჭირა, მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარენი, ბალახმა იგრძნო თავისი ძალა, წამოაწია და თეთრად გადაფარებული თოვლის სუდარი ჯერ დედამიწას ააშორა და მალე, მზის დახმარებასთან ერთად, წყლად აქცია და ქვევით ხევეებში ხრიალით და უგზოუკლოდ გააქანა (ყაზ.).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2. გადაწერეთ ნაწყვეტი. დასვით სასვენი ნიშნები.

ერთხელ ძლიერ დაცხა დედაჩემი საწოლიდან ადგა და მითხრა წყალზე წავიდეთო წავედით დავეყვით წვრილიანს სერს ჩავიარეთ შამბზე და ჩავედით ხევში ხევი ღრმა იყო მზის სხივები ვერ ჩასწვდომოდა აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანეთზე გადაკვანძულიყო წვერებით ხის ძირებზე იქვე ხევის პირად ყოლის ფესვები იყო ამოსული წითლად თავი დაეხარათ და გადმოაყურებდნენ წყლის დენას ცივი ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა გალიპულს ქვებზე ერთის კლდიდამ მეორეზე გადადიოდა და გუბდებოდა დედაჩემი მივიდა და ჩადგა შიგ გუბეში მე ძლივს დავდიოდი ქვებზე ჩლიქები მტკიოდა

მოდა შეილო ჩადექ წყალში საამურია სიცხეში წყალში დგომა

მე მივედი და კრძალვით ჩავდგი ჯერ ერთი ფეხი წყალი საშინლად ცივი იყო და გადმოვბტი ისევ უკან.

ცივია არ შემძლია დგომა

არაფერი გიშავს უნდა ვხლავე შეეჩვიო შეილო

ცოტა ხანი დავდექი წყალში და მერე გამოვბრუნდით უკან ჩვენს ზევით ნაკაფიანებში ხმაურობა ისმოდა

ეგ საშიშა ხალხი არ არის მითხრა დედამ ერთი დედაკაცი და პატარა ბაღლია ჩვენი მტერი ეგრე არა ყვირის ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს ესე წვრილიანზე ავიართ ველის პირად ნუ გამოვჩნდებით ნუ დავენახვებით

დედაჩემი წინ წავიდა მე გულმა არ მომეთმინა და გავხედე ტანი დავმალე მხოლოდ თავი გამოვაჩინე ამ ღროს ქვედიან ხმა მომესმა ვაი ვაი დედილო მგელი დედილოჯან მგელი (ჯაჟა).

სასვენი ნიშნები

I. სასვენი ნიშანთა დანიშნულება

მეტყველება ორგვარია: ზეპირი და წერიითი. პირველი სმენით აღიქმება, მეორე კი — მხედველობით.

წერის დანიშნულებაა, აღნიშნოს ნათქვამი. ამხატვის ვიყენებთ გრაფიკულ ნიშნებს — ასოებს. ამ ნიშნებით გადმოვცემთ ენაში არსებულ ყველა სიტყვას თუ სიტყვათა შეკავშირებას (ზუსტად თუ არა, მიხედვით მაინც). მაგრამ ნათქვამის გადმოცემა ასოების საშუალებით არაა საკმარისი ამისათვის, რომ დაწერილი იყოს ადვილად წასაკითხი, ნათელი და გასაგები. ამიტომ წერის დროს ვიყენებთ დამატებით ნიშნებს. ასე, მაგალითად, სიტყვასა და სიტყვას შორის ვტოვებთ თავისუფალ არეს, ახალი აზრების შემცველ ნათქვამს ახალი შეწეული სტრიქონით (აბზაცით) ვიწყებთ; წინადადების ბოლოს თუ წინადადების შიგნით ვხმარობთ: წერტილს, კითხვის ნიშანს, მძიმეს, ძახილის ნიშანს, წერტილ-მძიმეს, მრავალწერტილს, ორწერტილს, ტირეს, ფრჩხილებს, ბრჭყალებს; ამ ნიშნებს სასვენი ნიშნები ჰქვია, რომლებიც დიდ დახმარებას გვიწევენ აზრის ზუსტად და ნათლად გამოხატვისათვის წერილობით. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასვენი ნიშნებს გამოყენებას, — ეს ერთ მაგალითზეც შეიძლება დავინახოთ თვალნათლივ. მაგ., რომ შეგვხვდეს სიტყვები „ვანო წავიდა გივი“ სასვენი ნიშნების დაუსმელად, გაგვიძნელებდა დადგენა იმისა, თუ რისი თქმა სურდა დაშწერს კონკრეტულად. ახლა შევადაროთ ერთმანეთს:

- ვანო, წავილა გივი.
- ვანო, წავილა გივი?
- ვანო წავილა, გივი.
- ვანო წავილა, გივი?

ჩიტყვები ქალაქებზე უცვლელი დარჩა. არ შეგვიცვლია აგრეთვე არც სიტყვათა რიგი და მათი ფორმა, მაგრამ ეს ოთხი წინადადება მნიშვნელობით სხვადასხვაა. ზეპირი მეტყველების დროს ამ განსხვავებას ჩვენ პაუზის, რიტმის, ხმის ტონის ან სხვა საშუალებით ვაღმოვცემთ, წერის დროს კი ამავე მიზნით სასვენი ნიშნებს მივმართავთ, რომლებიც გვანიშნებენ, როგორ ნაწევრდება ნათქვამი მის შემადგენელ ნაწილებად, ერთეულებად: სად იწყება და მთავრდება ერთი წინადადება თუ მისი რომელიმე შემადგენელი ნაწილი და იწყება მეორე... მაგრამ სასვენი ნიშნებს დამატებითი ფუნქციაც აქვთ. მაგალითად, კითხვის ნიშანი ნათქვამის ერთი დამთავრებული ნაწილის (წინადადების) ბოლოს დასმის და გამოყოფის მას მომდევნოსაგან, მაგრამ იგი, ამასთან ერთად, გვანიშნებს, რომ წინადადება, რომელსაც ის ბოლოში უზის, შინაარსით კითხვითია. ზოგი სასვენი ნიშანი აღნიშნავს აგრეთვე წინადადების იმ ნაწილების აზრობლივ მიმართებას, რომელთა შორისაც ის არის დასმული. მაგალითი: „ონისემ მიწაზე ფართხალი დაიწყო: მოხუცის მახვილს შვილისათვის გული ორად გაეპო“ (ყაზ.). აქ ორწერტილი აღნიშნავს არა მარტო რთული წინადადების დანაწევრებას შემადგენელ ნაწილებად, არამედ იმასაც, რომ მეორე ნაწილში დასახელებულია ნიზეზი. იმისა, რაზედაც პირველშია ლაპარაკი.

სასვენი ნიშნები საშუალებებია, რომ ნათქვამი უფრო ნათლად ვაღმოვიცვს წერილობით; ისინი ეხმარებიან დამწერს, რომ მან ცხადად და ზუსტად ვაღმოსცეს ის, რის თქმაც მას სურს, ხოლო მკითხველს — დაწერილი წაიკითხოს და გაივსოს ისე, როგორც ეს დამწერს ესმის. სასვენი ნიშანთა ანუ პუნქტუაციის გამოყენების ძირითადი დანიშნულება სწორედ ესაა. ამიტომაც, რომ პუნქტუაციის წესების ცოდნა და სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება ამა თუ იმ ადამიანის წიგნიერების მაჩვენებელია.

პუნქტუაცია არაა გრამატიკის ნაწილი, მაგრამ იგი მკიდროდ არის დაკავშირებული გრამატიკასთან, უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, სინტაქსთან. პუნქტუაციის წესების შესწავლა ძირითადად სწორედ სინტაქსის კურსის შესწავლასთან დაკავშირებით ხდება, რაც ადვილებს პუნქტუაციის წესების დაუფლებასა და მათ გამოყენებას წარმატებით.

II. სასმენ ნიშანთა ხმარების ძირითადი წესები წერტილი

წერტილი დაისმის:

1. დამთავრებული თხრობითი წინადადების ბოლოს.

დადგა გაზაფხული. პაერში სიტბო დატრიალდა. ყველგან ამოყვეს თავები პატარა ნაზმა ყვავილებმა და მიესალმნენ ერთმანეთს გრძელი ძილის შემდეგ. ირგვლივ ათასნაირი შერეები აირივნენ. ჩიტებმაც მოძებნეს ადგილი ბუდეებისათვის, სადაც უნდა დაბინავებულიყვნენ და გამოეჩეკათ ბარტყები (რაზ.).

მოყვანილ ნაწყვეტში ხუთი თხრობითი წინადადებაა. ამთგან პირველი, მეორე და მეოთხე მარტივია, მესამე — შერწყმული, მეხუთე — რთული.

2. ისეთი ბრძანებითი წინადადების ბოლოს, რომელიც თხრობითისებრ მშვიდ წარმოთქმას გულისხმობს.

მაგალითები: 1. მობრძანდით, მობრძანდით, გენაცვალე. (რ. გვ.).

2. ვანო, ცოტა ხნით წიგნი მათხოვე. 3. მძრზა, მოდი აქ. (რ. გვ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა 1. წერტილი დაისმის მაპირისპირებელი კავშირების წინ (მაგრამ, ხოლო, ოღონდ...), თუ ეს კავშირები დამოუკიდებელ წინადადებას იწყებენ (და წინა წინადადება თხრობითია).

მაგალითები: 1. ვერხეს უყვარს ყვავილები, იმის ჩრდილის ქვეშ, მის ახლო-მახლო რომ იშლებიან და იზრდებიან. ხოლო ვერხვისთვის ეს იყო გულსაკლავი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არც ამ საბრალოთა პქონდათ (ვაჟა). 2. — ვინ გტანჯავს? ვინ გაწვალებს ის უღმერთო? შენ რა გმართებს ვისი? — ვუთხარი მე. — არაფერი. მაგრამ არიან ისეთები, რომ სხვისა ტანჯვით და დაღონებით თითონა ხარობენ (ვაჟა). 3. იქნება ზურგი არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდევცა, რადგანაც ჩემში მაინც-ღა-მაინც ჩემი ქვეყნის ღვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მომიყოლოს და მიაშბოს თავის გულის-ტკივილი, თავის

გლოვის დაფარული მიზეზი, თავის იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? (ჭავ.).

შ ე ნ ი შ ე ნ ა 2. წერტილი დაიპბის სიტყვის შემოკლებიას. მაგალითები: 1. გოგა მოახტა ცხენს, ამოუღრიცა კისერი, ე. ი. კონტად დააქერინა თავი და დააქანა თავქვე (ვაჟა). 2. ა. წ. = ამა წლის.

კითხვის ნიშანი

კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი დაისმის.

მაგალითები: 1. საით მიდინარ, არსენ? (მ. ჯავ.). 2. ნუთუ არა აქვს აზრი შაშვის გალობას? (ვაჟა). 3. არის სადმე განა ისეთი ფრინველი, რომ არ ჰსმენოდეს ბულბულის გალობა და არ დამტკბარიყოს მის ტკბილხმოვანებით? (ვაჟა).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: თუ დამოკიდებული წინადადება ირიბ კითხვას გამოხატავს, მაგრამ მთავარი წინადადება არაა კითხვითი, წინადადების ბოლოს კითხვის ნიშანი არ დაისმის.

მაგალითები: 1. ირმამ ვერ გაარკვია, თუ რომელი მხრიდან მოდიოდა ხმა (რ. გვ.). 2. ქალი ვერ მიმხვდარიყო, რა მიზეზით არ ეძინებოდა (ყაზ.).

ძახილის ნიშანი

ძახილის ნიშანი დაისმის:

1. ძახილის წინადადების ბოლოს.

მაგალითები: 1. თურმე წყალი არ დაჰკლებია! (ვაჟა). 2. არც ერთი ჭრილობა სსიკვდილო არაა! (ყაზ.).

2. ბრძანებითი წინადადების ბოლოს.

მაგალითები: 1. გაჩუმდი! გაჩუმდი! ხმა ჩაიწყვიტე! (წერ.). 2. იტურთხოს წვიმის გამჩენი! (ვაჟა). 3. გულს ნუ გაიტეხ, მგოსანო! (ვაჟა).

3. მიმართვის ბოლოს.

მაგალითები: 1. ლუარსაბ! ლუარსაბ! — დაუძახა [დარეჯანმა] ქმარსა (ჭავ.). 2. დათიკო! შენ შენს ბედისწერას აუტანხარ (ჭავ.). 3. შეილო გაბრიელ! ნუ მიწყენ კი და მე სიარული აღარ შემიძლიან (ჭავ.).

4. შორისდებულის ბოლოს.

მაგალითები: 1. ბიჭოს! ბიჭოს! რა ამბავი ყოფილა და ჩვენ არაფერი არ ვიცით! (ვაჟა). 2. ჰმ! — წაიღუდუნა როსტომელამ (ვაჟა). 3. ვაჰმე! ვაჰმე! — თქვა კოდალამ (ვაჟა). 4. ოჰ, ოჰ! — კენესის გოული (რაზ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კითხვით-ძახილის წინადადების ბოლოს ორი ნიშანი დაისმის: კითხვისა და ძახილისა.

მაგალითები: 1. დათვმა როგორ უნდა დამბეგვოს!? (ვაჟა). 2. სად გაგონილა, სად თქმულა!? (ვაჟა). 3. აჰუ! მაგას როგორ ამბობ?! (ყაზ.).

მრავალწერტილი

მრავალწერტილით აღინიშნება:

1. სათქმელს დაუმთავრებლობა, შეწყვეტა, წინადადებისა თუ სიტყვის ნაწილ-ნაწილ (ნაწყვეტ-ნაწყვეტად) გამოთქმა, ჩოლოდნელი გადასვლა ერთი საგნიდან (მოვლენიდან) მეორეზე და სხვ., რასაც იწვევს მოლაპარაკისა თუ დამწერის მღელვარება, მისი მძიმე სულიერი მდგომარეობა, მოზღვევებული გრძნობა, სხვათა ჩარევა...

მაგალითები: 1.— ეგ აგრეა, მართალსა ბრძანებ, მაგრამ... — მაგრამ რა? — მაგრამ ისა, შენი ჭირიმე, რომ... — მესმის, რის თქმაც გინდა, — გამაწყვეტინა სიტყვა (ჰავ.). 2. ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება... (ჰავ.). 3.— წერილი? ვისგან? რა წერილი! — უსახელო... მე ეს დავხიე... მე... (ჰ. ლ.). 4. კიდექ!.. კიდექ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!.. მოვდივარ, მოვდივარ!.. (ჰავ.). 5. თებრო სიტყვებს ნახევარს ჰყლაპავდა, თან თვალებს იშემნდდა: — მას... მას... მას... წავლე... ბელნი... — როგორც იყო გამოაგნო (ვაჟა).

2. დამოწმებისას არასრულად (უარულად) მოყვანა, გამოტოვება სიტყვისა თუ სიტყვებისა.

მაგალითები: 1. — რა გქვიან, ძმობილო? — ვკითხე მე. — ...ლელთ ღუნისა მისმობენ, — მომიგო მან (ჰავ.). 2. ის როგორა სწერს, ავთანდილი, როსტევაშა?

„მე იგი ვარო...“

ვის სიკვდილი მოყვრისათვის
თამაშად და მიჩანს მღერად“.

ქარგი სიტყვა არის, თუ მოყვარედ ქვეყანა მიაჩნია ადამიანს (ჭავ.).

მ ძ ი მ ე

მძიმე დაისმის:

1. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთა შორის, თუ ისინი არ არიან შეერთებული „და“ და „თუ“ კავშირებით.

მაგალითები: 1. ხეხალი წითლად, ყვითლად, თეთრად ყვავდა (ვაჟა). 2. სისხლი სისხლით არც დაბანილა, არც დაიბანება (ვაჟა). 3. ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი (ჭავ.). 4. მზე ხან გამოაშუქებს, ხან თვალებს ახუჭავს (ევდ.). 5. ჩხიკვი ან შველსავით დაიხველებდა, ან ხის ტოტებზე ქურდულად დაიწყებდა ფრენას (ვაჟა). 6. ღრუბლიანი, მაგრამ წყნარი დღე იყო (ყაზ.). 7. ხოსრომ თუთის ნაწილი გალიაში ჩაყარა, ხოლო დანარჩენი პეშვით თვითონ შეჭამა (რ. გვ.).

2. განკერძოებული განსაზღვრების გამოსაყოფად.

მაგალითები: 1. მ ე ტ ი ს ჯ ა ვ რ ი ს ა გ ა ნ ხ მ ა-გ ა კ მ ე ნ-დ ი ლ ი, იგი მოაჯდა ცხენს (კლდ.). 2. იას, ბ ნ ე ლ ს ხ ე ვ შ ი მ ო ს უ ლ ს ა, დიდი ჭანდრები ფარავდა (ვაჟა). 3. [ოთარაანთ ქვრივმა] ...თვალი შეასწრო გიორგის, კ ა კ ლ ი ს ქ ე ე შ ი რ დ ი ლ შ ი მ შ ო ლ ა რ ე ს (ჭავ.).

3. განკერძოებული გარემოების გამოსაყოფად.

მაგალითები: 1. გამოღმა, მ ა რ ა ბ დ ი ს ზ ე მ ო თ, თრიალეთის ქედი ბზინავდა (მ. ჯავ.). 2. მეორე დღეს, კ ვ ი რ ა ს, ელიზბარი სანადიროდ ემზადებოდა (ვაჟა).

4. დანართის გამოსაყოფად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დანართი ფრჩხილებშია ჩასმული ან ტირეთია გამოყოფილი).

მაგალითები: 1. რ ო გ ო რ ც დ ე დ ა, იგი შეუდარებელი იყო. 2. ღურმიშხანი, გ ვ ა რ ა დ წ ა მ ა ლ ა ძ ე, იმერელი იყო (ჭონქ.). 3. ლაშას დარჩა ერთი მცირეწლოვანი ვაჟი, ს ა ხ ე ლ ა დ დ ა ვ ი თ ი (გოგ.). 4. თქვენმა სიძემ გაახლათ ჩემი თავი, ბ ი ძ ი ნ ა ჩ ო ლ ო ყ ა შ ე ი ლ მ ა (წერ.).

5. ჩართული სიტყვა-გამოთქმებისა თუ წინადადების გამოსაყოფად.

მაგალითები: 1. როგორც ვიცით, გოგრა სავაჟაკო საქმეებსაც ეპოტინებოდა (ვაჟა). 2. მტერი, რასაკვირველია, არ აშორებდა თვალს ბრძოლის ველს (ევდ.). 3. მელას ერთხელ არაფერი უჭამია, გარდა დამპალი ვაშლებისა (გოგ.). 4. ეგ, ვითხრათ ჩემი გულქვაობის ამბავი, სულაც არ შევიძინე (ჭავ.).

6. მიმართვის გამოსაყოფად (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიმართვა თავშია და სჯობს, რომ ძახილის ნიშანი დაისვას).

მაგალითები: 1. ჩემო ციცი ნათელა, საით ფრენ ნელანელა? (წერ.). 2. მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა (ჭავ.). 3. ტყე ხშირია, კურდღელო, და დაბურული (რაზ.). 4. ვინა ხარ, შეილო? (ჭავ.). 5. ოჰ, რა კარგი ხარ, ოცნებავ ტკბილო (ვაჟა).

7. შორისდებულის გამოსაყოფად (გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი მოითხოვს ძახილის ნიშანს).

მაგალითები: 1. ოჰ, რა კარგი ხარ, ჩემო დედილო (რაზ.). 2. მაგრამ, ეჰ, ძმაო, რაც იყო — იყო (ჭავ.). 3. შეგიგნია სწავლის ძალა, გაიხარებს დედაშენი, ბარაქალა, ბარაქალა! (მღვ.).

შენიშვნა: შორისდებული, რომელიც აძლიერებს მიმართვას, მისგან მძიმით არ გამოიყოფა.

მაგალითები: 1. მგელავ, ჰა მგელავ! (ვაჟა). 2. პეტრე, აი პეტრე! (ჭავ.). 3. გიო, ჰაი გიო! — მოისმა ამ დროს ხმა გარედან (ევდ.).

8. მიგებითი ნაწილაკების გამოსაყოფად (თუ ოსინი არ მოითხოვენ სხვა ნიშანს).

მაგალითები:

1. — აქაური ხარ?

— დიახ, დიახ, მამაპაპით აქაური მცხოვრებელი გახლავართ! (ვაჟა).

2. — გინახავს სადმე პატარა პატიკო?

— არა, არსად შემხვედრია (ჭავ.).

3. — მაშ ქათმები არ გინახავს?

— კი, კი, როგორ არ მინახავს (ვაჟა).

4. — ივრის პირზე?

— ჰო, ივრის პირზე (ევდ.).

9. რთულ უკავშირო თანწყობილ წინადადებაში შემავალ წინადადებათა ერთმანეთისაგან გამოსაყოფად, როცა ისინი მოკლე-მოკლეა, აზრობლივი კავშირი მათ შორის მჭიდროა (გამოხატავენ ერთდროულ ან თანამიმდევრულ მოქმედებას) და თუ მათში არ არის ნახმარი მძიმე.

მაგალითები: ღამით ცა ქუხდა, გრგვინავდა, მთებს მოედრიკათ თავიო, ტყეს გასდიოდა ფოთოლი, ზღვა ბობოქარობს შავიო (ვაჟა). 2. ენკენისთვე გაიწურა, გადაყვითლდა მთა და ველი, ღვინობისთვემ მოატანა, სოფლად გაჩნდა ყველგან რთველი (მღვ.).

10. კავშირიან რთულ თანწყობილში შემავალ წინადადებებს შორის, თუ ისინი „და“-თი არ არიან ერთმანეთთან შეერთებული.

მაგალითები: 1. ბეჟანი რაღას ფიქრობდა, ან დაობლებულ ბატყანს რა დაემართა? (ვაჟა). 2. დათუნა დონდლოდ რეკავდა და ჩუმი ღიმილით იღიმებოდა, არსენა კი დოინჯშემოყრილი იდგა და მარაბდვლების მოსვლას მჭრელი თვალებით ელოდებოდა (მ. ჭავ.). 3. დაჭრილი იყო ონისე, ხოლო ზეზე იდგა გელა (ყაზ.). 4. ნათელი და თბილი დღეები ზამთარშიც გამოვარდება ხოლმე, მაგრამ ის გაზაფხული არ არის (რაზ.).

11. რომ გამოიყოს რთულ კავშირიან ქვეწყობილ წინადადებაში მთავარისაგან დამოკიდებული, ხოლო დამოკიდებულისაგან დამოკიდებული (თუ ეს უკანასკნელი არ არიან „და“ კავშირით შეერთებული).

მაგალითები: 1. ჩ ი ტ ე ბ მ ა რ ო მ და გ ვ ი ნ ა ხ ე ს, ყივილით აიშალნენ და მოედგნენ ტყეს (ვაჟა). 2. ფრინველნი, რ ო მ ე ლ ნ ი ც ტ კ ბ ი ლ ი ჭ ი კ ჭ ი კ ი თ დ დ ე ს ე ს ა ლ მ ე ბ ო დ ნ ე ნ, გაჩუმდნენ (ყაზ.). 3. ისეთი ბნელი დამე იყო, რ ო მ კ ა ც ს თ ვ ა ლ თ ა ნ მ ი ტ ა ნ ი ლ ი თ ი თ ი ს და ნ ა ხ ვ ა ც ა რ შე ე ძ ლ ო (წერ.). 4. რ ო დ ე ს ა ც ო ნ ი ს ე მ გა ი გ ო, რომ ბეჟია შინიდან მოდიოდა, ყურები აცქვიტა, რ ა დ გა ნ ა ც ი. ც ო და, რ ო მ ე ს კ ა ც ი მ წ ყ ე მ ს ა დ გ ე ლ ა ს ე დ გა (ყაზ.).

შენიშვნა: მძიმით გამოიყოფა მთავარისაგან ჩვეულებრივ უკავშიროდ შეერთებული დამოკიდებული წინადადებაც, როცა იგი ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი ან ვითარების გარემოებითია.

მაგალითები: 1. ვანომ და ცაცამ არ იცოდნენ, როგორ გადაეხადნათ ამ კეთილი ქაცისათვის მადლობა (ევდ.). 2. ეტყობოდა, მას გონებაში რაღაცა აზრმა ვაურობინა (ყაზ.). 3. აქ ისეთი სიჩუმე იდგა, კოლა-ლას ნიხკარტის ჩქამიც კი არსაიდან ისმოდა (ვაჟა). 4. აქლემის ტვირთი ისე არ დაპატარავდება, ვირიხა არ გამოვიღესო (ანდ.).

წერტილ-მძიმე

წერტილ-მძიმე დაისმის:

1. შერწყმულ წინადადებაში ვრცელი ერთგვარი წევრების ერთი მთლიანი მონაკვეთის მეორისაგან გამოსაყოფად.

ალექსანდრე ზაგვაძემ

მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან მეჭლისში მოფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ლაღობს, ხარობს,
გამღერებს და ამღერდება;
ხან ღონდება ნაზ ქალსავით
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჭაბუქსავით
და განდევნის სევდას გულით;
ხან ბუჩქებში მიმალული
ზის მარტო, ვით იადონი,
შეჰყეფს სატრფოს გულსაკლავად,
ტრფობის ისრით ჯანაწონი;
ხან რბის ველად, მარტოდ გაღობს,
უღაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკენეს შავ-ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;
ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვეავის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა...

(ი. ჰავჭავაძე).

2. უკავშიროდ შეერთებულ თანწყობილ წინადადებათა შორის, თუ ძისინი ერთდროულ ან თანამიმდევრულ მოვლენებს გადმოგვცემენ და შინაარსით რამდენადმე დამოუკიდებელნი არიან.

მაგალითები: 1. მზე დასავლეთისკენ გადიწურა; საღამო ახლოვდებოდა; მონადირენი შინ წასასვლელად გაემზადნენ; ქალები ურმებში ჩალაგდნენ; ვაეები ცხენებზე ამხედრდნენ (ვაჟა). 2. ვრძელი, ხშირი, ოქროსფერი თმა კოჭებამდე სცემდა; მსხვილი, ლურჯი თვალები ვარსკვლავებივით უნათებდა (ვაჟა).

3. მრავალ ვრცელ ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებათა ერთმანეთისაგან გამოსაყოფად.

მაგალითი: დაავიწყდა, თუ რამდენჯერ დაუქამა შეჩვენებულმა [ჩხიკვმა] შაშვს. ბუდეში გამოსაჩეკად გამზადებული კვერცხები; რამდენჯერ სრულიად ღლაპი, დაუბუშმლავე ბარტყები გადაუხანსლა; რამდენჯერ აატირა ცხარე ცრემლით, რამდენჯერ გაამწარა, ააშფოთა იქამდის, რომ შაშვის საცოდაობით ტყეც-კი ტიროდა (ვაჟა).

ორწერტილი

ორწერტილი დაისმის:

1. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთა წინ, როცა ვან-მაზოგადებელი (გამაერთიანებელი) სიტყვა მიმყოლი სიტყვებითურთ თავზია (ე. ი. ერთგვარ წევრებს უსწრებს წინ).

მაგალითები: 1. ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეულნი ფრინველნი: ჩხიკვნი, ქერონები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, ვნოლები, ლობემძვრალები, ბოლოცეცხლები, ქიკვაენი, კოდალები, გვრიტები, მტრედნი და სხვანი მრავალნი (ვაჟა). 2. ახმეტაში ყველაფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას: მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი (წერ.). 3. მწვანილ-ბალახეულს გარდა, კალთაში სურნელოვანი ყვავილებიც უყრია: მთის შროშანი და დიყი, ქარცხვი და ასკილი, მთის კრაზანა და ზამბახი (მ. ჯავ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ განმაზოგადებელ სიტყვას მოსდევს ერთგვარი წევრები ისე, რომ შემასმენელი მათ შემდეგაა, — ერთგვარი წევრების წინ ჩვეულებრივ ტირე იწერება (და არა ორწერტილი).

მაგალითი: მხცოვანი ხეები — ცაცხვები, მუხები, თელეები, ბოყვები, ვერხვები, წიფლები, არყები, იფნები და სხვანი — ვიშვიშებდნენ (ვაჟა).

2. უკავშიროდ შეერთებული რთული წინადადების ნაწილებს შორის, თუ მეორე ნაწილი პირველის მიზეზს, მიზანს ან შედეგს გამოხატავს, ან კიდევ გაშლილად ვადმოგვეცემს პირველი ნაწილის ან მისი რომელიმე წევრის მნიშვნელობას.

მაგალითები: 1. ზამთრობით ვერხვი ძლიერ დაჩაგრული იყო: აბეზარი მთის ქარიშხალი მოსვენებას არ აძლევდა, ახეთქებდა აჭეთ-იქით (ვაჟა). 2. წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდან, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდეს ან არაფერმა არ აწყინოსო (ვაჟა). 3. მტაცებელ ფრინველებს ვერ ენდობიან მშვიდობიანი ფრინველები: მიკუნჭულან ზოგნი ბარდებში, სხვები — ფოთლებით შებურულ ხეებზე სხედან (ვაჟა). 4. ბუნება შეიცვალა: მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი წყნარად მრხეველმა ნიაგმა დაიჭირა, მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარენი, ბალახმა იგრძნო თავისი ძალა... (ყაზ.).

3. ავტორის სიტყვების შემდეგ, თუ მას პირდაპირი ნათქვამი (სხვათა ნათქვამი) მოსდევს.

მაგალითები: 1. მარწყვმა თქვა: „მოვალ პირველად, მე ვერა მისწრებს ხილია“ (ხალხ.). 2. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“ (ვაჟ.).

ტირე

ტირე დაისმის:

1. შემასმენლის გამოტოვებისას:

1. სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარს ძმას — ტირილი დისაო,
ტყესა — ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს — ყმული მგლისაო,
ვაჟკაცსა — ომში სიკვდილი,
ხელში ნატეხი ხმლისაო,
ომს — ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.

(ვაჟა)

2. ხევი მთას ჰმონებს, მთა — ხევსა,
წყალნი — ტყეს, ტყენი — მდინარეთ,
ყვავილნი — მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცინარეთ.

(ვაჟა)

2. მეშველი ზმნის გამოტოვებისას.

მაგალითები: 1. სიტყვა თესლია, საქმე — ნაყოფი (წერ.).
2. ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა (წერ.). 3. სწავ-
ლა წყაროა ცხოვრების, სიბრძნე — მოსი ნაკადული, და ნაყოფი
მათი ერთად — შვება, ლხენა, სიხარული (წერ.).

3: „ეს“ (და „ეგ“) ნაცვალსახელის წინ, რომელიც მოსდევს
და ცვლის სახელობითში დასმულ ქვემდებარეს თუ პირდაპირ და-
მატებას.

მაგალითები: 1. ხელოვნება — ეს ოქროა, მიწის გულში და-
მარხული (ტაბ.). 2. ნაკადული — ეს შენა ხარი (გრიშ.). 3. უხასია-
თობა — ეგ ერთგვარი ხასიათი არისო (დად.).

შენი შვნა: ტარე დასმის „ეს (და „ეგ“) ნაცვალსახელის წინ
მაშინაც, თუ ის მოსდევს და ცვლის მთელ წინადადებას ან მის წევრს,
რომელიც შეიძლება განოტოვებულ იქნეს, მაგრამ ივარაუდება.

მაგალითები: 1. ლეშ ეღვა ზევით თავთანა მხარი, — ეს ყვე-
ლამ იხილა (ვაჟა). 2. მართლა ასე იყო თუ არა, — ეს უნდა ეკი-
თხოს ერთს სხვა ქვრივს დედაკაცსა (ვაჟ.). 3. ზღვად დარხეულ
მინდორს გაუხარია, ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია (ა. კა-
ლან.). 4. ვინც ქვეყანას არ მოჰშორებია, — ეგ იმას ვერ უცვნიო
(ვაჟ.). 5. მე მიყვილია და ვათენდება თუ არა, — ეგ ღმერთმა
იცის! (ვაჟ.).

4. შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთა შემდეგ, თუ
ვანმაზოგადებელი სიტყვა მიმყოლი სიტყვებითურთ ბოლოშია,
ე. ი. ერთგვარი წევრების შემდეგაა.

მაგალითები: 1. იხვსა, ბატსა და ქათამსა — ყველას გავჰკარი-
კბილია (ხალხ.). 2. დამჰკნარი დიყი, შუჰყა, შამბი, არყი და ურ-
ძანი — ყველანი ერთად შფოთავდნენ (ვაჟა). 3. [შაშვი] ტყეს,
მთებს, ცას, დედამიწას — ყველაფერს მადლობას სწირავდა (ვაჟა).

5. დანართის გამოსაყოფად (რომ იგი არ იქნეს ერთგვარ წევ-
რად გაგებული), აგრეთვე დანართის მნიშვნელობით ნახმარი წინა-
დადებისა, რომელიც უკავშიროდ არის წარმოდგენილი.

მაგალითები: 1. ბრწყინავს ქართლი — ვ ა რ დ ი ს ბ ა დ ი (გ. ლეონ.). 2. ცვანოს თვალწინ უდგია თავისი სახლი, პატარა ძმა, რომელიც ძალიან უყვარს, ძროხა — ო ჯ ა ხ ა, ცხენი — ნ ი შ ა, ტახი — ნ ი ს ლ ა, ძაღლი — ა ფ თ ა რ ა და, წარმოიდგინეთ, მამალიც-კი (ვაჟა). 3. სითამამა ...შვილს ახალი მეგობრობს სახელი — ვ ე ფ ზ ე ი ა — დაარქვა (ვაჟა). 4. ერთხელ კათ სერი ვნახე — ჩ ხ ი კ ვ ე ბ ი ს ა და გ უ გ უ ლ ი ს ჩ ხ უ ბ ი (ვაჟა). 5. ეს-ეს იყო შაშვემა მთელი თავისი ოჯახი — თ ა ვ ი ს ბ უ დ ე ... გადაარჩინა (ვაჟა). 6. ...ერთი საშუალებაა მუდამ ბერიძის ხელთ — უ ძ ლ ე ვ ე ლ ი და ბ რ კ ო ლ ე ბ ა და ი გ ო ს ლ ო გ ი ნ ა დ და ზ ე დ თ ა ვ ა დ და ი ძ ი ნ ო ს სა უ კ უ ნ ო დ (ვაჟა). 7. ირჩევს დასაწოლად მოხერხებულს ადგილს, ადვილად გაიგოს მტრის — ა დ ა მ ი ა ნ ი ს და მ გ ლ ი ს — მოახლოება... (ვაჟა). 8. ამომაგალი მზე ოქროს ჭილას ადგამდა ბუნების უწყინარ შვილს — ი რ ე მ ს (გ. ქუჩ.).

6. გვაროვნული ცნების გამომხატველი სიტყვისაგან მისი მნიშვნელობის დამაზუსტებელი სიტყვების გამოსაყოფად.

მაგალითები: 1. დაიწყო ცეკვა მთა-ბარში, თამაშობდნენ ბალახნი, ხეები — დ ი დ რ ო ნ ი მ უ ხ ე ბ ო, გ ო რ ი ს ფ ხ ა ზ ე ჩ ა მ წ კ რ ი ვ ე ბ უ ლ ი ა რ ყ ე ბ ი, ვ ე რ ხ ვ ე ბ ი (ვაჟა). 2. ჩემი ბალები — შ ა ლ ვ ა და ნ ე ნ ე — წინ მომეგებნენ... (ვაჟა). 3. ამ ქალაში ბევრია ქათამზე უკეთესი ფრინველი — ხ ო ხ ბ ე ბ ი, კ ა კ ბ ე ბ ი, გ ნ ო ლ ე ბ ი და ტ ყ ი ს ქ ა თ ა მ ი (ვაჟა). 4. კლდე სამფეროვნად — ყ ვ ი თ ლ ა დ, ლ უ რ ჯ ა დ და შ ა ვ ა დ — ფ ა მ ო ც კ ი რ ე ბ ო და (ვაჟა).

7. უკავშირო. რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, თუ პირველი ნაწილი (წინადადება) მეორის მიმართ დროის გარემოებითი და მოკიდებული წინადადებისა ან პირობითის შინაარსისაა.

მაგალითები: 1. წყალში ჩავაგდე — წყალად გადაიქცა, ცეცხლში ჩავაგდე — ხმად გადაიქცა (გამოცანა: მარილი). 2. სუვაავი ...ზის — ჩხავის, დაფრინავს — ჩხავის (ვაჟა). 3. მომცემ ჯაგარს — დავგრებ ბაწარს (მღვ.). 4. გეტორებო დე — იტირე, იშვებ დე — გაიცინეო! იშრომე... და იღლები — დაწექ და დაიძინეო! (წერ.). 5. ხალხში წარ — ვამბობ: „კარგი ხარ, კარგი“ მართო ხარ — ვამბობ: „ჩემო ძვირფასო!“ (გრიშ.).

8. ავტორის სიტყვების გამოსაყოფად პირდაპირი ნათქვამისაგან.

მაგალითები: 1. მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გავეგრძობინე. — არ გეამა, შვილო? — მკითხავდა დედა (ვაჟა). 2. მე კახელი არ ვახლავარ, — მოჰყვა აკვლავ მცირე ჩაფიქრების შემდეგ. — ჩემი მიწა-წყალი, როგორც მოვახსენეთ, აქედან შორს-არის (ჭავჭავაძე). 3. «ახ, ნეტავი შენი!» — წაღღუნუნა (ჭავჭავაძე).

9. ორ სიტყვასა თუ ციფრს შორის, რომლებიც აღნიშნავენ დროს, ადგილს, რაოდენობას მიახლოებით: ასეთ შემთხვევებში ტორე აღნიშნავს: აქედან... აქამდე.

მაგალითები: 1. ჭალის ბოლოს, ასე 4 — 5 ვერსის მანძილზე, პატარა-სოფელი მოჩანდა (ვაჟა). 2. დარეჯანი იქნებოდა 50 წლისა, მაგრამ 30 — 35 წლისას ჰგავდა (ვაჟა). 3. 30 — 40 წლებში ფშავში ხმა გავარდა... (ვაჟა). 4. [ღვთისოს] 600 — 700-მდე ცხვარი ეყოლებოდა (ვაჟა).

10. ზოგჯერ ჩართული სიტყვებისა თუ წინადადების გამოსაყოფად (ნაცვლად მძიმეებისა თუ ფრჩხილებისა).

მაგალითები: 1. იმ წუთებში ბეჟიას — ასე ეძახდნენ მწყემსს — ფრინველად გადაქცევა უნდოდა (ყაზ). 2. რძალი — როგორც მოგეხსენებათ ჩვენი კურთხეული ცხოვრების ამბავი — რძლის მტერი (ჭავჭავაძე). 3. ხელი ხელს დაჰკრეს, დავითი — მეორე დღეს პატარძალი აღარ აჩვენეს — შინ წამოვიდა და მოსე თავის სახლში დარჩა (ჭავჭავაძე). 4. ამ ფიქრებში იყო, რომ სუტ-კენინა — მოსეს ცოლი არა ჰყვანდა და ჯალაბობას კენინა თამაშობდა — წინ მოეგება გახარებული (ჭავჭავაძე).

11. რამდენიმე ერთგვარ (ადგილისა, დროისა) დამოკიდებულ წინადადებასა და მთავარს შორის (მძიმესთან ერთად).

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებია;
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებია;
სად უღაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიაბული ვერ შესწვდენია;
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —

უწინდელს დროში ღვთისა შოსავთა
 გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
 და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
 ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.

(ჭავ.)

12. დიალოგის მონაწილეთა ყოველი ნათქვამი ტარეთი (და აბზაცით) იწყება.

მაგალითები:

1. — გამარჯვება, გიორგი!

— გაგიმარჯოს, არსენ!

— გეძებდი და კიდეც შეგხვდი.

— გერიდებოდი და მანც შეგხვდი. ეხლა რა გინდა?

— ეხლა ის მინდა, რომ ცხენიდან ჩამოხვიდე და სუფრა დამილოცო.

— რა სუფრაა რომელი სუფრა! (მ. ჭავ.).

2. — გამარჯვება თქვენი, დეიდა კატო!

— როგორ ბრძანდებით, დეიდა კატო!

— გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ, ჩემო მალხაზო. მერცხლებო! როგორ გიკითხოთ, ხომ კარგადა ხართ, ხომ არ ზარმაცობთ სწავლაში?

— ინებეთ, დეიდა კატო, ყვავილები!

— შე მომიტანეთ? გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო სათუთო ყვავილებო, დიდადა გმადლობთ.

— ამ კალათაში კვერცხებია, დეიდა კატო, დედამ გამოგიგზავნათ.

— ინებეთ დაშაქრული ჩურჩხელები, დეიდა კატო.

— ეს კამეჩის მაწონი ვახლავთ, დეიდა კატო.

— ეს გამტკიცული შოთებია, დეიდა კატო, დღეს დააცხო დედამ.

— ეს შარშანდელი ყურძნის ჯაგანია, დეიდა კატო. სხვენში ექ-ლა გადაგვრჩა შეუსანსლავი.

— ეს კიდეც ჩემი ქორჩია ვარია ვახლავთ, დეიდა კატო (გ. ქორ.) 1.

1 ავტორის სიტყვები გამოტოვებულია.

ფრჩხილები

ფრჩხილებში ჩაისმის:

1. დანართი (ჩვეულებრივ უკავშირო), რომელიც წინა სიტყვის ახსნა-განმარტებას წარმოადგენს.

მაგალითები: 1. სირა (ჩიბუხის ტარი) დააქუცმაცეს და აქეთ-იქით გადაყარეს (ვაჟა). 2. რა თავაზიანი ხარ და ყინჩი (კარგი) (ვაჟა). 3. შემოდგომით არაგვი წმდება (წმინდადება) და ამ ორ-მოდებს გამოცდილი თვალი ადვილად იპოვნის წყალში (ვაჟა). 4. ტავანაში (ხის კასრში) ჩხრიალი ჩაჰქონდა რძეს (ვაჟა).

2. ჩართული წინადადება (განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ვრცელია), როცა ავტორი იძლევა ახსნას თუ შენიშვნას სხვათა შორის, გაკვრით, რომ მასზე არ შეჩერდეს განსაკუთრებით მკითხველს ყურადღება.

მაგალითები: 1. საყვარელო დედავ და მამავ! პირველად მრავალ მოკითხვას მოგახსენებთ (დასაწყისი-სახლის პატრონმა უკარნახა) და ვთხოვ... (ვაჟა). 2. ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბს), ძლივს! (ვაჟა). 3. დათო! ხორცი ზომ ჩამოიტანე-ბაზარიდან? (იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ). — დიად, შენ- ჰირიმე (ვაჟა). 4. აი, ამოდენა. (დაბლა ხელით აჩვენა) ხელში მჭერხართ (ვაჟა). 5. მართლდებო შენი ნათქვამი ათასზე (განა ერთზედა?) (ვაჟა). 6. ლამაზი და ცქრიალა, ყმაწვილი და სიცოცხლით საჯსე „ათერია“ (ასე ეძახდნენ იმ ქალს) ცხოვრობდა თავის მამასთან მარტოობაში (ყაზ).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ფრჩხილებში ჩაისმის ნაწერში მოყვანილი (დამოწმებული) ადგილის წყაროს ჩვენება. მაგალითი: „ასეთსავე ქება-დიდებას ასხამს ბერი ხელაშვილი თუშებს („ქალმასობა“, გვ. 410). აი ყველა ის მასალა, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი „ბახტრიონის“ დაწერის დროს“... (ვაჟა).

ბრჭყალები

ბრჭყალებში ჩაისმის:

- 1. პირდაპირი ნათქვამი.

წამოხტა კაკო ლომივით ზეზე,
თოფი მოზიდა და შეაყენა
და, რა იხილა მხედარი ველზე.

შეპკივლა: „მითხარევენა ხარ შენა?“

რისთვის მოსულხარ. — მოყვრად თუ მტრადა?“

(ჟავ.)

2. ტექსტში გამოყენებული სხვისი ნათქვამი სიტყვები, ირონიულად და არაპირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები, სახელწოდებანი წიგნებისა, ჟურნალ-გაზეთებისა, თხზულებათა...

მაგალითები: 1. თვით მამამ ასწავლა „სამამაცონი ზნენი“ (ვაჟა). 2. ვაჟას „შელის ნუკრის ნაამბობი“ შესანიშნავი მოთხრობაა 3. სიტყვა „ლიმონათი“ პირველად ლიმნის წყნით შეზავებულ შუშხუნა სასმელს აღნიშნავდა. .

უნიკალური.

აბ. აბ. — ირ. აბაშიძე
 ანდ. — ანდაზა
 არაგ. — შ. არაგვისპირელი
 ასათ. — ლადო ასათიანი
 ბარ. — ნ. ბარათაშვილი
 გაბ. — ე. გაბაშვილი
 რ. გვ. — რ. გვეტაძე
 გოგ. — ი. გოგებაშვილი
 გრიშ. — ი. გრიშაშვილი
 გურ. — დ. გურამიშვილი
 დად. — შ. დადაანი
 დავ. — ი. დავითაშვილი
 ევდ. — ი. ევდოშვილი
 ერ. — რ. ერისთავი
 ვაჟა — ვაჟა-ფშაველა
 ზომ. — ნ. ზომლეთელი
 ა. კალან. — ა. კალანდაძე
 კლდ. — დ. კლდიაშვილი
 ს. კლდ. — ს. კლდიაშვილი
 გ. ლეონ. — გ. ლეონიძე
 კ. ლ. — კ. ლომთათიძე
 ლომ. — ნ. ლომოური
 ლორთქ. — ნ. ლორთქიფანიძე
 ქ. ლორთქ. — ქ. ლორთქიფანიძე

მგალ. — ს. მგალობლიშვილი
 მღვ. — შ. მღვიმელი
 ნ. ნად. — ნ. ნადირაძე
 ნ. — ნახე
 ნინ. — ეგ. ნინოშვილი
 გრ. ორბ. — გრ. ორბელიანი
 რაზ. — თ. რაზიკაშვილი
 რუსთ. — შ. რუსთაველი
 საბა — სულხან-საბა ორბელიანი
 ტაბ. — გ. ტაბიძე
 ქიაჩ. — ლ. ქიაჩელი
 გ. ქუჩ. — გ. ქუჩიშვილი
 ყახ. — ა. ყახბეგი
 შდრ. — შეადარე
 „შ. შ.“ — „შუშანიკის წამება“
 წერ. — ი. წერეთელი
 გ. წერ. — გ. წერეთელი
 ჰავ. — ი. ჰავჭავაძე
 ი. კეიშ. — ა. კეიშვილი
 კონქ. — დ. კონქაძე
 ხალხ. — ხალხურა
 ხევს. — ხევსურული
 მ. ჯავ. — მ. ჯავახიშვილი
 ჯაფ. — რ. ჯაფარიძე

გამოტოვებული ადგილები მრავალწერტილითაა აღნიშნული. აღდგენილი სიტყვები კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული. მოყვანილ მაგალითებში აქა-იქ შეტანილია ცვლილება მართლწერის თვალსაზრისით. ერთი თუ ორი მაგალითი ამოღებულია თარგმნილი ლიტერატურული მასალიდან, ასეთი მაგალითები მთარგმნელს აქვს მიწერილი. სადაც „დღეა ენა“ არის დამოწმებული, იგულისხმება ი. გოგებაშვილის „დღეა ენა“, მეორე ნაწილი, 1914 წ. გამოცემა.

ბოლოსიტყვაობა

I გამოცემისათვის

წინამდებარე წიგნი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ პედაგოგურ სასწავლებელთათვის. იგი დაწერილია ამ სასწავლებელთა ქართული ენის პროგრამის მიხედვით, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1955 წელს იქნა დამტკიცებული.

წიგნში მარტივად, მაგრამ საკმაოდ სრულად არის განხილული პროგრამის [თითქმის] ყველა საკითხი სინტაქსის განყოფილებიდან.

სინტაქსის კურსს უკავშირდება პუნქტუაციის შესწავლა. ამიტომ პუნქტუაციის საკითხებზე გზადაგზა სათანადოდ არის გამახვილებული ყურადღება. ასევე ნიშანთა ხმარების წესები, ერთად თავმოყრილი, წიგნის ბოლოს ცალკეც არის წარმოდგენილი.

„ქართული ენის სინტაქსი“ დიდ ნაწილში შეიცავს პროფ. ა. შანიძის საკოლო გრამატიკით შესწავლილი მასალის უფრო ვრცლად და სრულად გადმოცემას. საკითხების ერთი ნაწილი შიგ სრულიად ახალია. სიახლეა შეტანილი ზოგიერთი საკითხის გაშუქებაშიც.

თეორიულ მასალას ახლავს სავარჯიშოები, რომელთა შესრულება მოსწავლეს დაეხმარება სინტაქსისა და პუნქტუაციის საკითხების შეგნებულად შესწავლაში, მიღებულ ცოდნა-ჩვევათა გაღრმავებასა და განმტკიცებაში.

წიგნის პირველი გამოცემა, ცხადია, არ იქნება უნაკლო. ამიტომ ყოველ შენიშვნას, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნის შინაარსის გაუმჯობესებას, ავტორი გულითადი მადლობით მიიღებს.

1956 წელი, 28 იანვარი.

II გამოცემისათვის

„ქართული ენის სინტაქსის“ მეორე გამოცემა გადამუშავებულია და დიდად შეესებულო.

წიგნში დამატებულია: სინტაქსური კავშირი (§§ 2 — 4), პრედიკატული განსაზღვრება (§§ 108 — 114), ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები (§ 115), სიტყვათა რიგი მარტივ წინადადებაში (§§ 124 — 130), ვითარების გარემოების განკერძოება (§ 142), რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით და მარტივისა — რთულით (§§ 181 — 188), სიტყვათა რიგი ავტორისეულ წინადადებაში პირდაპირ ნათქვამთან (§§ 191 — 192) და სხვ. ამასთან ერთად შეიგადაშოგ ზოგი რამ დაზუსტებულია და გავრცობილი. ასე, მაგალითად, „მიმართვა“ თითქმის ახლად არის დაწერილი. ახალია ზოგიერთი სავარჯიშოც...

ცვლილებათა მასალის დალაგებაშიც, რაც წიგნში პრედიკატული განსაზღვრების შეტანამ გამოიწვია. ასეთ განსაზღვრებას შემხები ხაზები აქვს არა მარტო ჩვეულებრივსა თუ განკერძოებულ განსაზღვრებასთან, არამედ ვითარების გარემოებასთანაც. პრედიკატული განსაზღვრებებს წარმატებით დაძლევა, ჩვენი აზრით, სწორედ განკერძოებული განსაზღვრებისა და ვითარების გარემოების გაცნობა-შესწავლის შემდეგაა შესაძლებელი. ამითაა გამოწვეული, რომ განსაზღვრების სახეები, ერთად თავმოყრილი, გარემოებათა შემდეგაა განხილული.

გარდა პუნქტუაციისა, გზადგუზა სტილისტიკისა და წარმოთქმის ზოგიერთი მომენტიც არის გათვალისწინებული.

წიგნი, ჩვენი აზრით, გამოადგება არა მარტო პედაგოგიურ სასწავლებელთა მოსწავლეებს, არამედ პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებსაც (პირველ რიგში დაწყებითი განათლების ფაკულტეტისას), ქართული ენის-მასწავლებლებს და ყველას, ვისაც სურს გაეცნოს ქართული ენის სინტაქსური წყობის ელემენტარულ კურსს.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მარტივი წინადადება

სიტყვათა შემავსებლობა

§ 1. სინტაქსის საგანი	3
§ 2. სინტაქსური კავშირი	4
§ 3. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა სინტაქსური კავშირისათვის	6
§ 4. წყვილები. წყვილების რაოდენობა წინადადებაში	7
§ 5. სიტყვათა შეკავშირების ტიპები წინადადებაში	8
§ 6. დაქვემდებარებითი დამოკიდებულების ძირითადი სახეები	10
§ 7. სიტყვათა ჯგუფები სინტაქსური თვალსაზრისით	13

წინადადება უინაარსის მიხედვით

§ 8. წინადადების რაობა	16
§ 9. წინადადების სახეები უინაარსის მიხედვით	17
§ 10. წართქმითი და უკუთქმითი წინადადება	17
§ 11. თბრობითი წინადადება	18
§ 12. კითხვითი წინადადება	18
§ 13. კითხვითი სიტყვის შემცველი კითხვითი წინადადება	19
§ 14. კითხვით-ნაწილაკიანი წინადადება	21
§ 15. კითხვითი წინადადება, რომელიც არ შეიცავს კითხვითს სიტყვას	24
§ 16. ბრძანებითი წინადადება	27
§ 17. ძახილის წინადადება	29
§ 18. კითხვით-ძახილის წინადადება	30
§ 19. მრავალწევრილი	31
§ 20. ლოგიკური მახვილი	32

წინადადების წმკრები და მათი გამოსხატვა

§ 21. წინადადების წვერის რაობა	34
§ 22. მთავარი და მეორეხარისხოვანი წვერები	35
§ 23. მთავარ წვერთა რაოდენობა წინადადებაში	35

წინადადების მთავარი წმკრები

შემასმენელი

§ 24. შემასმენლის რაობა	36
§ 25. მარტივი შემასმენელი	37

§ 26.	შედგენილი შემასმენელი	37
§ 27	შედგენილ შემასმენელში შემავალი ზმნები	39
§ 28.	სახელადი ნაწილის ბრუნვები	41

ქვემდებარი

§ 29.	ქვემდებარის რაობა	42
§ 30.	ქვემდებარის გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით	43
§ 31.	ქვემდებარის ბრუნვები და კითხვები	45
§ 32.	ქვემდებარე პირველ, მეორე და მესამე პირის ფორმებთან	45
§ 33.	ქვემდებარე გარდამავალი ზმნის მესამე პირის ფორმასთან	46
§ 34.	ქვემდებარე გარდაუვალი ზმნის მესამე პირის ფორმასთან	48
§ 35.	ქვემდებარე პირველი და მეორე პირის ფორმებთან	49
§ 36.	ქვემდებარე ბრძანებითის ფორმასთან	51

ღამატება-ობიექტები (პირიმიმართი ღამატებანი)

§ 37.	ღამატებათა ორი ძირითადი ჯგუფი	52
§ 38.	ორგვარი ღამატება-ობიექტი (პირიმიმართი ღამატება)	53
§ 39.	ღამატება-ობიექტების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით	54
§ 40.	ღამატება-ობიექტების ბრუნვები და კითხვები	54
§ 41.	პირდაპირი ღამატება	55
§ 42.	ირიბი ღამატება	56
§ 43.	ირიბი ღამატება გარდაუვალ და გარდამავალ ზმნასთან	57
§ 44.	პირდაპირი ღამატებისა და ირიბი ღამატების შეხვედრა ბრუნვაში	59
§ 45.	პირდაპირი და ირიბი ღამატება პირველი და მეორე პირის ფორმებთან	60
§ 46.	ორიოდე ღამატებითი ცნობა ქვემდებარესი და ღამატებაზე	61
§ 47.	ქვემდებარე და ღამატება გარეგნულად მსჯავს შემასმენლებთან	63

შემასმენლის შრთიერთობა ქვემდებარისა და ღამატებასთან რიცხვის მიხედვით

§ 48.	შემასმენლისა და მასთან პირით დაკავშირებულ წევრთა სინტაქსური შრთიერთობის ძირითადი საკითხები	66
-------	--	----

ქვემდებარი და შემასმენელი

§ 49.	მხოლოდობითში დასმული ქვემდებარე და მისი შემასმენელი	67
§ 50.	სულთერი საგნის სახელი ქვემდებარედ -ებ-იან მრავლობითში და მისი შემასმენელი	69
§ 51.	უსულლო საგნის სახელი ქვემდებარედ -ებ-იან მრავლობითში და მისი შემასმენელი	69
§ 52.	ქვემდებარე ნარ-თანთან მრავლობითში და მისი შემასმენელი	71
§ 53.	ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვი, როცა ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს ისეთი სახელი, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა ერთზე მეტს გულისხმობს.	72

§ 54. შედგენილი შემასმენელი და ქვემდებარე	73
§ 55. შემასმენლის რიცხვი პირველი და მეორე პირის ნაცვაილასხელებით გადმოცემულ ქვემდებარესთან	75

დამატებისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში

§ 56. პირდაპირი დამატება და შემასმენელი	76
§ 57. ირიბი დამატება და შემასმენელი	77

წინადადების მორამხარისხრომანი წვერები და მათი გამოხატვა უბრალო დამატებანი

§ 58. ზოგადი ცნობები უბრალო დამატების შესახებ	78
§ 59. უბრალო დამატება მიცემითში	80
§ 60. უთანდებულო მიცემითი უბრალო დამატებად	80
§ 61. „თან“-დართული დამატება	81
§ 62. „ზე“-დართული დამატება	82
§ 63. „ში“-დართული დამატება	83
§ 64. უბრალო დამატება ნათესაობითში	83
§ 65. ქვემდებარისებრი დამატება	83
§ 66. პირდაპირისებრი დამატება	86
§ 67. ირიბისებრი დამატება	87
§ 68. ნათესაობითში დამატებული უბრალო დამატების სხვა შემთხვევები	89
§ 69. უბრალო დამატება მოქმედებითში	90
§ 70. საკურელის დამატება	90
§ 71. თანაობის დამატება	90
§ 72. უბრალო დამატება ვითარებითში	91
§ 73. თანაობის დამატება ვითარებითში	91
§ 74. ვითარების დამატება	92

ბარემოება

§ 75. გარემოების რაობა	98
§ 76. გარემოების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით	93
§ 77. გარემოების სახეები	93
§ 78. ადგილის გარემოების რაობა	94
§ 79. ზმნიზედა ადგილს გარემოებად	94
§ 80. სახელი ადგილის გარემოებად მიცემითში	96
§ 81. სახელი ადგილის გარემოებად ნათესაობითში	98
§ 82. სახელი ადგილის გარემოებად მოქმედებითში	100
§ 83. სახელი ადგილის გარემოებად ვითარებითში	102
§ 84. დროის გარემოების რაობა	104
§ 85. ზმნიზედა დროის გარემოებად	104
§ 86. სახელი დროის გარემოებად მიცემითში	105

§ 87. სახელი დროის გარემოებად ნათესაობითში	106
§ 88. სახელი დროის გარემოებად მოქმედებითში	107
§ 89. სახელი დროის გარემოებად ვითარებითში	108
§ 90. ვითარების გარემოების რაობა	109
§ 91. ვითარების გარემოების გადმოცემა	110
§ 92. მიზეზის გარემოება	112
§ 93. მიზნის გარემოება	113

განსაზღვრება

§ 94. განსაზღვრების რაობა	115
§ 95. განსაზღვრების სახეები	115
§ 96. განსაზღვრების გადმოცემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილით .	116
§ 97. ზედსართავი განსაზღვრებად .	117
§ 98. რიცხვითი სახელი განსაზღვრებად	117
§ 99. ნაცვალსახელი განსაზღვრებად	118
§ 100. მიმღეობა განსაზღვრებად .	118
§ 101. არსებითი სახელი განსაზღვრებად .	119
§ 102. განსაზღვრების ადგილი წინადადებაში	120
§ 103. განსაზღვრებისა და საზღვრული წევრის სინტაქსური ურთიერთობა	121
§ 104. ატრიბუტული განსაზღვრება და საზღვრული .	122
§ 105. მართული განსაზღვრება და საზღვრული .	125
§ 106. განსაზღვრება და უბრალო დამატება ნათესაობითში	126
§ 107. განკერძოებული განსაზღვრება	127
§ 108. პრედიკატული განსაზღვრების რაობა	131
§ 109. პრედიკატული განსაზღვრების გადმოცემა	132
§ 110. პრედიკატული განსაზღვრების მიმართება განსაზღვრებასა და ვითარების გარემოებასთან	134
§ 111. ზმნები; რომელთაც ახლავს პრედიკატული განსაზღვრება	138
§ 112. პრედიკატული განსაზღვრების ბრუნვები .	140
§ 113. პრედიკატული განსაზღვრების შეწყობა რიცხვში ქვემდებარესა და დამატებასთან	141
§ 114. პრედიკატული განსაზღვრების ადგილი. წინადადებაში	142
§ 115. ბრუნვათა ფუნქციები	144

მარტივი წინადადების სახეები

§ 116. წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით	149
§ 117. მარტივი წინადადება წინადადების მთავარ წევრთა შედგენილობის მიხედვით	150
§ 118. გავრცობილი და გაუვრცობელი წინადადება	151
§ 119. უქვემდებარე წინადადება	152
§ 120. განუსაზღვრელ-ქვემდებარეიანი (ქვემდებარე გაუჩინარებული) წინადადება	153
§ 121. მოქმედების განზოგადება (განზოგადებულპირიანი წინადადება)	154
§ 122. სახელდებითი წინადადება	156
§ 123. სრული და უსრული წინადადება	157

სიტყვათა რიგი მარტივ წინადადებაში

§ 124. სიტყვათა რიგისთვის ქართულში	158
§ 125. სიტყვათა რიგი უქვემდებარე წინადადებაში	160
§ 126. უბრალო დამატებისა და გარემოების ადგილი სახელშმნით გადმოცემულ წინადადების წევრთან	160
§ 127. სიტყვათა რიგი ერთბაიანი ზმნის შემცველ წინადადებაში	162
§ 128. სიტყვათა რიგი ორბაიანი გარდაუვალი ზმნის შემცველ წინადადებაში	167
§ 129. სიტყვათა რიგი ორბაიანი გარდამავალი ზმნის შემცველ წინადადებაში	169
§ 130. სიტყვათა რიგი სამბაიანი ზმნის შემცველ წინადადებაში	171

შერწყმული წინადადება

§ 131. შერწყმული წინადადების რაობა და ტიპები	173
§ 132. უკავშირო შეერთება	176
§ 133. კავშირიანი შეერთება	176
§ 134. ერთგვარი და არაერთგვარი განსაზღვრება	181
§ 135. განმაზოგადებელი სიტყვები ერთგვარ წევრებთან	183
§ 136. სასვენი ნიშნები განმაზოგადებელ სიტყვებთან	184
§ 137. ქვემდებარის ბრუნვა რამდენიმე ერთგვარ შემასმენელთან შერწყმულ წინადადებაში	185
§ 138. შემასმენლისა და ქვემდებარის ურთიერთობა რიცხვში ერთგვარ ქვემდებარეებიანსა და ერთგვარშემასმენლებიანს შერწყმულ წინადადებაში	186

განკერძოებული წევრები წინადადებისა, წინადადებასთან ბრამატიკულად შეუქაპვირებალი სიტყვები და ბამოთქმები

§ 139. დანართი	189
§ 140. სასვენი ნიშნები დანართთან	190
§ 141. განკერძოებული ადგილისა და დროის გარემოება	192
§ 142. ვითარების გარემოების განკერძოება	193
§ 143. მიმართვა	194
§ 144. მიმართვის ადგილი წინადადებაში	199
§ 145. სასვენი ნიშნები მიმართვასთან	201
§ 146. ჩართული	202
§ 147. სასვენი ნიშნები ჩართულ სიტყვა-გამოთქმასა და წინადადებასთან	205
§ 148. შორისდებული წინადადებაში	206
§ 149. მიგებითი ნაწილაკები	207

რთული წინადადება

§ 150. ზოგადი ცნობები რთული წინადადების შესახებ	210
---	-----

რთული თანწყობილი წინადადება

§ 151. კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება	212
§ 152. მაჭუფებელ-კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება	213
§ 153. მაკლკევებელ-კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება .	215
§ 154. მამირისპირებელ-კავშირიანი რთული თანწყობილი წინადადება	215
§ 155. უკავშირო თანწყობილი წინადადება	217

რთული მვეწყობილი წინადადება

§ 156. დამოკიდებული წინადადების დაკავშირება მთავართან	218
§ 157. დამოკიდებულ წინადადების ადგილი	222
§ 158. სასენი ნიშნები კავშირიან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში .	223
§ 159. დამოკიდებულ წინადადების სახეები	226
§ 160. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება	227
§ 161. დამატებითი " " "	228
§ 162. განსაზღვრებითი " " "	231
§ 163. მიმართებითი ნაცვალსახელის ბრუნვა და რიცხვი	233
§ 164. შემასმენლური დამოკიდებული წინადადება	236
§ 165. ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება	236
§ 166. დროის " " "	239
§ 167. ვითარების " " "	241
§ 168. მიზეზის " " "	244
§ 169. მიზნის " " "	246
§ 170. შედეგობითი დამოკიდებული წინადადება	247
§ 171. პირობითი " " "	248
§ 172. დამოშობითი " " "	250
§ 173. მთავრის მიმართი " " "	253
§ 174. უშემასმენლო მთავარი წინადადება	253
§ 175. დამოკიდებულ წინადადება მთავრის გარეშე	254
§ 176. უკავშირო ქვეწყობილი წინადადება	255

რთული მვეწყობილი წინადადება რამდენიმე დამოკიდებულთა

§ 177. რამდენიმე არაერთგვარი დამოკიდებულ წინადადება მთავართან	258
§ 178. რამდენიმე ერთგვარი დამოკიდებულ წინადადება მთავართან	259
§ 179. თანამიმდევრული დაქვემდებარება	261
§ 180. შერეული სახის რთული წინადადება	262

რთული წინადადების შეცვლა მარტივით და მარტივისა — რთულით

§ 181. დამოკიდებულ წინადადებათა მიმართება წინადადების წევრებთან	265
§ 182. რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით. შეცვლის წესები	267

§ 183. ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით .	270
§ 184. დამატებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით .	270
§ 185. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით .	272
§ 186. დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით .	275
§ 187. მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადების შეცვლა მარტივით .	277
§ 188. ორიოდღე დამატებითი ცნობა რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შეცვლის შესახებ	278

პირდაპირი და ირიბი ნათქვამი

§ 189. პირდაპირისა და ირიბი ნათქვამის რაობა	281
§ 190. სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკები პირდაპირ ნათქვამთან	282
§ 191. სიტყვათა რივი ავტორისეულ წინადადებაში პირდაპირ ნათქვამთან	283
§ 192. დამოკიდებული წინადადების ადგილი ავტორისეულ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში	286
§ 193. სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან	288
სამარჯნიშობი ნასწავლის ბასამიორებლად	291
სასმენი ნიშნები	
I. სასვენ ნიშნთა დანიშნულება	293
II. სასვენ ნიშნთა ხმარების ძირითადი წესები	295
შემოკლებანი	310
ბოლო სიტყვაობა	
პირველი გამოცემისათვის	311
მეორე გამოცემისათვის	312

კორექტორი თ. ხატიაშვილი

• •

გადაეცა წარმოებას 29/VIII-57 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 25/II-58 წ. ქაღალდის ზომა 6X84.
წიგნის ანაწყოების ზომა 6X9¹/₂. ტირაჟი 5000.
სასტამბო ფორმათა ჩაოდენობა 20.
სტამბის შეკვ. № 505.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბოლიგრაფიამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.